ᲬᲜᲝᲗᲘᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

114
1932

8-9

რუსთაველის
ვაჟძიბმის
იუბილეს
I/I-31/XII

ᲛᲠ. 21
ᲝᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲛᲘᲡ

ᲛᲑ

9 3 2

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო სასულოვნო და საზოგადოებრივ საპოლიტიკო ჟურნალი

8-9

ჩელიბადი მეცხრე

423

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგამი 1932 ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი: გიორგი ყურულაშვილი
რედკოლეგიის წევრები: ივ. ვაშაყმაძე
ს. ეული
შ. რადიანი
გალ. ტაბიძე
ტიც. ტაბიძე
დ. სულიაშვილი
სიმ. ჩიქოვანი
პ. ჩხიკვაძე
რედკოლეგ. მდივანი: ლევ. ასათიანი

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა
შეკ. № 2408. ტირ. 3000.
მთავლიტ. № 501.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე. ტელ. № 1—65
კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბიჯები

ტრილოგია. წიგნი პირველი

ქარიშხალის მოლოდინში*)

შემვარდენა ვარ, შემვარდენა!

დიდხანს გაგრძელდა კამათი კოწიას ბინაზე. გვარამაძე თავისას იჩემებდა, მოპირდაპირეები თავისას, ვერც კასრაძემ შეიკავა თავი და გვარამაძის კატეგორიულ წინადადებაზე, ხელი აეღოთ გაფიცვის მოწყობაზე ცხარედ შეუტია და შეეკამათა; მას მიყვენ სხვებიც და ჩქარა პირადულ ლანძღვა-გინებასაც მოჰყვენ წრესგადასული მოკამათეები.

— „ხლესტაკოვი"!—გაივლო გულში გვარამაძემ კასრაძის მისამართით და შურით აივსო.—„კასრაძე მჯობნიდეს მუშათა მოძრაობის საქმეში"? რატომ? რისთვის? დრო მიშოვე"?—გვარამაძემ ფიქრებს მისცა თავი და ხმაამოუღებლივ გულში დაასკვნა:— „ცოტა ხანს დამაცადე, რამდენიმე დღეს და ვნახოთ, როგორი ბრძოლისა და ლიდერობის გუნებაზე იქნები. შენ თუ „თავმოჭრილი" არ აგბარგე გურია-სამეგრელოდან თავი რაღად მინდა ცოცხალი"...—ირაკლიმ თვალები მოხუჭა, კარპე კალანდაძე აათვალთვალა და „სათანადო" გეგმის შედგენას შეუდგა კასრაძის წინააღმდეგ.—„შორიდან მოთრეულებმა სანამდე უნდა იბატონონ? ადგილებზე მომუშავეები გავწყდით თუ რა მოგვივიდა? მით უმეტეს ისეთი თავქარიანები, როგორიც ეს კასრაძეა, ან თუ გინდა ჩვენი ლადარია?! თავი შემოგვაფარა და უცებ თავზე წამოგვასკუპდა... მე კომიტეტისა მაკვირვებს, თორემ ეგ ხომ თავზეხელაღებული ვინმეა, კარგა ხანია ვიცოდი. როგორ ენდობიან ასეთ აბრაგებს?!. აბრაგებს, დიახ აბრაგებს... ლადარია ნამდვილი აბრაგია... კასრაძეც. გინდა კაციზა უსვრია თოფი, გინდა ჩიტიზა... ასეთი დაუნდობელი ჩემს ცხოვრებაში არაფერი მინახავს".

ეზოში ხმაურობა შეიქნა.

ყველანი შეჭოჭმანდენ. გვარამაძეც გამოერკვა ფიქრებიდან და როცა კასრაძეს შეაფეთა დაწკურული თვალები ზიზღის მომგვრელად დაიჭყანა.

— ვიღაც სტუმრებია, გეტყვი მე!—გაიჭყიტა ხოსიამ ფანჯარაში.

— ნაბდიანებია.—დააკვირდა მოსულებს გვიჩიაც.

---

*) იხ. მნათობი №№ 1—7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აივანზე, თოვლის მოსაშორებლად, ფეხის ბაკუნი შეიქნა.

— გააღეთ კარი თქვე დედაგაღლეტილებო!—მოისმა ხორხოზი ხმა.

— შევარდნაძეა!—წამოიძახა კოწიამ.

— შევარდნაძე!—სცქვიტეს ყურები დანარჩენებმა.

კარი გაიღო და ოთახში დამცინავი ღიმილით და ხელების ფშვნეტით შემოიმართა სიცივისაგან გათოშილი შევარდნაძე და ორი მისი მხლებელი.

— გამარჯობათ გლეხებო!—აროხროხდა შემოსვლისთანავე შევარდნაძე.

— რა თავპირი ჩამოგტირით?!. დაკარგულ აზნაურობას მისტირით თუ გემებსა და პარახოდებს?!. ვის გლოვობთ, რად მოგიწყენიათ?!.

— შენი შემხედვარე...

— რაო? შე დედაგაღლეტილო, ცოცხალი რომ ხარ დაჩოქილი უნდა დადიოდე, დღეში სამჯერ ლიტანიას აკეთებდე... ჰაიტ! შე მსახურიშვილო!—ჩვეულებრივად იხუმრა შევარდნაძემ და ბუხართან გაიჯგიმა, ცეცხლს ზურგი უჩვენა და თეძოზე ხელმოწყობილმა ხალისიანი საუბარი გააბა.

— გული უჩვენე ცეცხლს დათიკო, გული გამოითბე. ამისთანა ყიამეთი კარგა ხანია არ მახსოვს, ჩამოიქცა და ეს არის...

— მართლა, რავა შორიდან ელამუნები, ჩამოჯექი კაცო და ისე გაითბე.—აფუსფუსდა კოწია და ბუხარში რცხილას კუნძი შეუმატა.

შევარდნაძის მხელებელნი მკერდით მიუსხდენ ბუხარს, ღადარი გამოჩხრიკეს და სილურჯემდე შეციებულებმა სითბოს დაეხარბენ.

— ა, გლეხები! რავა ქათამსავით ეფიცხებიან ღადარს—Мужик!.. აი, ნამდვილი მუჟიკები...—აიტეხა სიცილი შევარდნაძემ და ულვაშები შეიკაპიწა.

— შენ კი ბრწყინვალე თავადი ხარ, შენმა სიცოცხლემ.—წამოიძახა ვილაცამ.

— თავადიც ვარ და თვალადიც.—მოუჭრა შევარდნაძემ.—პაპაჩემს აზნაურობა ვაჟკაცობით უშოვნია...

— დაიწყო ტრაბახი!—შენიშნეს ჩუმჩუმად ზოგიერთებმა.

— ტყუილს ვამბობ თუ?!.—არ გამოეპარა შენიშვნა შევარდნაძეს.

— შევარდნაძე ტყუილს როგორ იკადრებს...—აუხირდა გვიჩია და ცოტა მოშორებით დადგა, ხუმრობაში მუჯლუგუნი არ წამომკრასო.

— შენ რაღა გალაპარაკებს თხაპარია მეგრელო! რა გვარი ხარ შენ? ჩაგანავა თუ გვაზავა?—განგებ გამოაზოგა გვარები ხუმრობის გუნებაზე მოსულმა შევარდნაძემ და სხვებს გადახედა, თქვენ ხომ არაფერი გაქვთ ხუმრობის საწინააღმდეგოვო.

— არა მე კუტალიაძე ვარ, კუტალიაძე.—განგებ მეგრული კილოთი წამოიძახა გვიჩიამ და წრეში შეიქნა სიცილხარხარი. ყველა ხუმრობისა და ყბედობის ხასიათზე დადგა.

— არ შეიძლება, შევარდნაძემ სადმე ფეხი შედგას და თავისებური ალიაქოთი არ დააყენოს...

— არ მოგწონს თუ?!.—შეუტია მან საპასუხოდ.—შენ არც ის მოგეწონება, რომ ჩემს გვარს ვაჟკაცობით შეუძენია აზნაურობა,—თითქო სერიოზული ტონით დაიწყო მან და ერთი ბატონყმობის დროის თქმულება მოჰყვა:—მამაჩემის ბაბუას მეტსახელად „უმორჩილო“-ს ეძახდენ. ის თავისთვის ცხოვრობდა ნაბე-

ლლავის მიდამოებში და არც ბატონს აძლევდა ღალას და არც ერისთავს. ბატონსა და ერისთავსაც ბრაზი აღრჩობდა, „რა გაგვიხდა, ეს შევარდენა, რომ მაგის დამორჩილება ვერ შევძელითო“, შევარდენს კი სასაცილოდაც არ ყოფნიდა თურმე ერისთავისა და მისი ხელქვეითების მუქარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, მოჰყვა გვარის ქებასაც.

— დამაცა შე დედაგაღლეტილო! რაც საინტერესოა ახლა იწყება.

— დააცადეთერთი.

— თქვას კაცო, ყური უგდეთ.—გააფრთხილეს წრის წევრებმა ერთმანეთი და ისევ დაწყნარდნენ.

— ჰო და ერთ მშვენიერ დღეს...

— მაინცდამაინც „მშვენიერ დღეს“?!.—შეუსიტყვა ვიღაცამ.

— კარგი ერთი... ერთ მშვენიერ დღეს შევარდენა თურმე ქვეითად მოდის ნაგომრის ჭალებში. გზაზე ცხენით მომავალი ერისთავი შეხვედრია. ერისთავს ყალიონი გაუწყვია, მაგრამ ცეცხლი არ ჰქონია და გაწყობილი ყალიონი ხელში შერჩენია, შევარდენა მოაბოლებს თურმე ძოგრძო თხილაგანის ტარით მორთულ ყალიონს და მგზავრულსაც მოღიღინებს.

— ყაზახო! ცეცხლი მომაწოდე!..—შეუძახა თურმე ერისთავმა. შევარდენას ყალიონი მიუწოდებია ერისთავისათვის, ვაჟკაცური სალამი მიუცია და ცოტა მოშორებით დამდგარა.

ერისთავს ყალიონი გაუჩაღებია. შევარდენას ყალიონი ტალახში გადაუგდია, ცხენიზა მათრახი შემოუკრავს და ის იყო ცხენი გაფრენას აპირებდა თურმე, შევარდენამ იძრო ქამრიდან მოთელილი დამბაჩა და შესაზარი ხმით შეჰკივლა ერისთავს: „თუ ცოლშვილი არ მოგბეზრებია, ძირს ჩამოხტი და ყალიონი ხელში მომაწოდე, შე პირუტყო მამაძაღლო“. ერისთავს ცხენი შეუყენებია. შიშით კანკალი ავარდნია, ძირს ჩამომხტარა. ყალიონი ტალახიდან ამოუღია, აბრეშუმის ახალოხის კალთაზე გაუწმენდია და შევარდენისათვის გაუწოდებია, თანაც დაუტანებია. „მითხარი რა გვარი ხარ, შენთვის აზნაურობა ჭალალია თუ დღემდე არ ხარ აზნაურიო“.

— აზნაური არ ვარ, მაგრამ თავად-აზნაურობის ზაფრა ვარო—უპასუხა თურმე შევარდენამ.—მე შევარდენას მეძახიან, გვარად უგრეხელიძე ვარ.—სთქვა თურმე და დამბაჩა მომარჯვებულმა შევარდენამ ისევ ერისთავს შეუტია „თავს ნუ იკატუნებ, ცხენზე შეჯექ და გააჭენეო“.

ერისთავი თავით ფეხებამდე შეიარაღებული იყო თურმე და შევარდენას ეშინოდა კიდეც ხელი არ გაიღოს და არ შემარცხვინოსო.

— შენი სახელი და გვარი ვაჟკაცო!—ხელმეორედ იკითხა თურმე თავზარდაცემულმა ერისთავმა.

— შევარდენა ვარ, შევარდენა. საცა შენი სთქვა ნურც ჩემი დაგავიწყდებაო,—მიაძახა თურმე შერცხვენილ ერისთავს და მას შემდეგ ჩვენს ბაბუესშვილებს შევარდენაძეებს ეძახიან...

რას მიყურებ შე დედაგაღლეტილო!—მიუბრუნდა შევარდნაძე გვიჩიას.—ვაჟკაცობით შეგვიძენია თუ არა აზნაურობა!

წრის წევრებში სიცილ-ხარხარი შეიქნა.

კოწიას ოჯახი გამხიარულდა, გამხიარულდენ წრის წევრებიც და თუ წელან პირადი ლანძღვა გინებით ამკობდენ ერთმანეთს, ეხლა თანდათან რაინდული ამბების მოგონებებში შესტოპეს და ერთმანეთს ჯერზე ეცილებოდენ, ვინ უფრო ადრე დაიწყოსო.

—შენ აგაშენა ღმერთმა შევარდნაძე.—გულიანათ წამოიძახა ერომა.

—ვაჟკაციც არის და ლაპარაკიც ვაჟკაცური იცის—დაუმატა მეორემ. გვარამაძემ ცხვირი ასწია და თვალები ბრაზით მოხუჭა.

—შენ რას იჭყანები გვარამაძე! არ მოგწონს ჩვენი საუბარი? გამომწვევი ტონით იხუმრა შევარდნაძემ, როცა გვარამაძეს თვალი შეასწრო სახის უცნაურ ამოძრავებაზე.

—„იჭყანები“, სადაური ქართულია?

— სურებელი გვარამაძეზე მაინც ზედგამოჭრილია. აბა სარკეში ჩაიხედე? მიუგო შევარდნაძემ და მხლებლებს გადახედა.

—არაფერი მესმის!

—ცხვირის აწევა კარგა გესმის?—ჩააცივდა შევარდნაძე.

—თავი დამანებე თუ ძმა ხარ, რას ჩამაცივდი!

—ცოტა მსუბუქად გვარამაძევ!

—ბანდიტი.

—რაიო?—წამოყო თავი კასრაძემ, რომელიც აქამდე ჩუმათ იჯდა და საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა.

—ყაჩაღი, არც შენ ჩამოუვარდები შევარდნაძეს.

—ყაჩაღიო, ყაჩაღისა. რა მოგახსენო და ყოჩაღები კი ვართ. რას იტყვი დათიკო!-გადაიხარხარა კასრაძემ გვარამაძის გასაბრაზებლად.

—როდის რა წაგართვი, შენ ნიბლია?—ისევ აითვალისწუნა შევარდნაძემ ირაკლი გვარამაძე და ახირებული კირკიმალი დაუწყო.

—დამანებე თავი შენი ჭირიმე! —ჩაიქნია ხელი ირაკლიმ და გვერდი მოინაცვლა.

—შენი ქოჩორის მადლმა. სოციალისტობას წვერ-ულვაშით და გრძელი თმებით ჩემულობს.

—ჩემს წვერთან არავის არაფერი ესაქმება.—აბუზღუნდა გვარამაძე რომელსაც წასვლა და აქედან გაპარვა ყველაფერს ერჩია, მაგრამ საამისო დროს ელოდებოდა.

—თუ მარქსს ებაძები, ბიძიკო, უნდა იცოდე რომ მარქსს გრძელ წვერთან ერთად ჭკუა გონებაც გრძელი ჰქონდა...

—კარგი ერთი თუ ძმა ხარ, აიკლე აქაურობა შენი „ჭკუა მახვილობით“. საქმე გამოგელია თუ რა მოგივდა?!.—გაცხარდა გვარამაძე და პროტესტის ნიშნათ ფანჯარასთან მიდგა. შევარდნაძესა და კასრაძეს თვალი მოარიდა.

—რას იბერები ვაჟკაცო!—კვლავ გაწყრა შევარდნაძე და ბუხრის წინ მოკლე ნაბიჯი გადადგა.

—არაფერი მაქვს შენთან საერთო და გთხოვ თავი გამანებო.—მწყრალად მიუგო გვარამაძემ, ისე რომ თვალი ფანჯარისათვის არ მოუშორებია.

—ეგ მართალია, შენთან საერთო არაფერი გვაქვს არც მე და არც ჩემს ამხანაგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არც სხვებთან

—შენ ასე გგონია?!

—ამას სხვებიც დაადასტურებენ.

— ვინ მაინც?!—შევარდნაძემ წრის წევრებს გადახედა, რომელთაგან პასუხად ამხანაგური ღიმილი დაიმსახურა.

—კარპე თუ დაუდასტურებს, კალანდაძე, დასცინა ვილამაც.

—სხვებიც... ვერ ბედავენ თორემ...—მოუჭრა განგებ ირაკლიმ და მართალი კაცის პოზაში ჩადგა.

—ცდები ამხანაგო ირაკლი!—ისევ ჩაერია საუბარში კასრაძე.—დათიკო ჩვენი საუკეთესო ამხანაგია, თავდადებული მებრძოლი და ჩვენი საქმის ერთგული ჯარისკაცი... შევარდნაძე თავგანწირული მებრძოლია...

—თავგანწირვას ჭკუა როდა აქვს.-ღვარძლით შენიშნა გვარამაძემ.

—ვაი რომ შენ სხვის ჭკუასა და უჭკუობაზე ლაპარაკობდე. სწორედ შენზეა ნათქვამი: მაგის ჭკუაში ჩიტი ნისკარტს ვერ დაისველებსო.—უპასუხა შევარდნაძემ, რამაც წრის წევრებში სიცილი გამოიწვია.

—ენას ძვალი როდი აქვს... მით უმეტეს...

—კარგი თუ ძმა ხარ თავი გამანებე,... ზენთვის როდისმე სხვა დროს მოვიცლი... ეხლა კი...—გაბრაზებული შევარდნაძე სერგოს მიუბრუნდა სასაუბრო თემა გამოიცვალა.

—ახალს რას იტყვი სერგო-ჯან! „დავახეთქე“ ხომ კარგათ არი?

—მოიკითხა მისი ჰამქარი!-წასჩურჩულეს ერთმანეთს.

—კარგად იყო... ორი კვირა გახდება არაფერი გამიგია... ვინ იცის, იქნება მეტეხში აცეცებს თვალებს...

—ეგ არაფერი. ალმართს დალმართი მოსდევს, კვამლს ალი... ცხოვრება ბრძოლის საუკეთესო წუთების მოგონებაა...

—ეგ მართალია. ბრძოლის გარეშე ცხოვრება ჭაობს დაემსგავსებოდა... კასრაძე დადუმდა. თითქოს სასაუბრო შემოაკლდაო, ორი სამი ულაზათო ფრაზა წარმოსთქვა და ენას კბილი დაადგა. შევარდნაძემ შენიშნა ეს მდგომარეობა, წრის წევრები უგულოდ ჩაათვალიერა და თვითონაც დუმილი არჩია, საუბრის სხვა გზით განახლებას.

ოთახში სიჩუმე გამეფდა. ისმოდა მხოლოდ ბუხარში ანთებული რცხილის კუნძის გუგუნი და ცინცხალი ნაპერწკლების ტკაცანი. შევარდნაძე ფიქრებს მისცემოდა, მას ახლა თვალწინ უტრიალებდა ერთი საიდუმლო დავალების სისრულეში მოყვანის სიძნელეები და დღევანდელი მისი ჭარბი ხუმბრობა სწორედ ამ სიძნელით თუ აიხსნებოდა. მას ჩვეულებათ ქონდა ხუმრობითა და სიცილხარხარით შეემსუბუქებია რაიმე მძიმე დავალების შესრულების სიძნელეები... ვინც მას ახლო არ იცნობდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი მხიარული თითქო უდარდელი კაცი, რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩაბმული და რევოლუციონურ მოძრაობის საქმეს აკეთებდა.

გვარამაძემ დრო იხელთა და შინ წასვლა მოიმიზეზა. არავის გამომშვიდობებია ისე კუშტად გააღო კარი და ჩქარა ეზოში გაჩნდა.

— რას მოგიწყენია ამხანაგებო! — ხანმოკლე ღიმილის შემდეგ მიმართა შევარდნაძემ მხლებლებს, რომელნიც თავჩაქინდრულნი იჯდნენ სუფრის განაპირას და თვალმოჭუტულნი ფიქრებში გართულიყვნენ.

— რას ფიქრობ გოჩა! — ურაველი ხომ არ გაგონდება?!.

გოჩა შეინძრა, თვალები მოიფშვნიტა და პასუხის ნაცვლად ცეცხლს მიაშტერდა.

„გოჩა“ — გაივლო გულში გვიჩიამ, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა. „ვინ უნდა იყოს“? დაფიქრდა ისევ გვიჩია-“ მეგრელი კი უნდა იყოს. ნაბადი მეგრული აქვს. ოდიშური უძიროები აცვია...“

— ლადარია ხვალ ჩამოვა სრულიად უმიზეზო სთქვა შევარდნაძემ.

— რა იცი?

— რა იცი?

— ვინ სთქვა? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— აგერ ჩემმა ამხანაგმა მოიტანა ამბავი. იცნობდეთ მიუბრუნდა შევარდნაძე წრის წევრებს—ამხანაგ დოლიძეს ვგონებ ყველა იცნობთ...

— ვიცნობთ, როგორ არ ვიცნობთ — დაუდასტურეს წრის წევრებმა.

— ეს ახალგაზრდა კი გვარად ურიდია არის, გოჩა ურიდია, ბეგლარმა ჩამოიყვანა სამეგრელოდან...

— ბეგლარმა?!!

გვიჩია ცნობის მოყვარეობამ აიტანა. მაგრამ რატომღაც ურიდია მეტად უსიტყვო და გულჩათხრობილი მოეჩვენა და, ამიტომ ახლო გამოცნობასა და აზრის დაწვრილებით გამოკითხვას გვერდი აუქცია და საერთო გაცნობით დაკმაყოფილდა.

— ჰო, და ეს ორი ამხანაგი დღეიდან ჩემს რაზმში იმუშავებს... დღეს კი თქვენს ოჯახშიაც ერთად მოგვიხდება ღამის გათევა — გაფრთხილების კილოთი შენიშნა შევარდნაძემ მასპინძელს.

— სიამოვნებით გიმასპინძლებთ. ჩემო დათიკო, სიამოვნებით. —იყო კოწიას გულღია პასუხი,

— ბეგლარი სად არის? — ვერ მოითმინა გვიჩიამ.

—დღეს დილით ნაგომარში ვიყავით. იქ ერთი საქმე გავჩარხეთ. ის ოზურგეთში გაემგზავრა.. ჩვენ კი რიგორც ხედავთ სურებს შემოვეხიზნეთ. სამეგრელოში კინალამ მოეკლათ ბეგლარი. ჩიჩია და ძიკი დადევნებოდა, მაგრამ... ხომ იცით...

ყველას შიშისაგან გააჟრჟოლა.

ისევ სიჩუმე გამეფდა კოწიას ბინაზე. ბოლოს წრის წევრები სათითაოდ წავიდ-წამოვიდენ.

ბუხართან იჯდა კოწია ტრაპაიძე, და მისი ოჯახის წევრები. მგზავრებით დაღლილ სტუმრებს კოწია ღვინოს აძალებდა, ცეცხლს მუგუზლებს ურთავდა და დრო გამოშვებით ცალი თვალით ჭიშკრისაკენ იყურებოდა ფარდა ჩამოუფარებელ ფანჯრიდან.

ელვარ ნაკვერცხლებზე შაშხი ცხელდებოდა.

— დაასხი შე დედაგაღლეტილო — როხროხებდა შევარდნაძე და შარბათივით ჩხავრის წვენს შეექცეოდა.

— არ დაგვღუპოს ვინმემ არ გვიჩაჩუტოს. — შეუმჩნევლად სუნდა ხანშესული ოჯახის დიასახლისი და მასაც ცალი თვალი და „ყურთასმენა ჭიბკრისაკენ ეჭირა.

შევარდნაძე მიხვდა რა იყო მიზეზი ოჯახის დიასახლისის და კოწიას მოუსვენარობის და ყოველგვარი ეჭვების გასაქრობლად რიხიანად განაცხადა:

— ნუ გეშინია, დედილო! შევარდნაძეს ვაგლახ ვერავინ მიაკითხავს. კარგად ვიცნობ რა ვაჟკაცები არიან ჩვენი ბოქაული და მისი ჭიამკვდარი ჩაფრები.

ყველამ იმედით ამოისუნთქა.

კოწიამ სამურაბე ბადია მოითხოვა, ღვინით გაავსო და შევარდნაძეს შესთავაზა.

— ეს კი ზედმეტი იქნება, ჩემო კოწია! ნამგზავრი ვართ და ცუდათ იმოქმედებს. სთქვა შევარდნაძემ და დასტურისათვის ამხანაგებს გადახედა

დოლიძემ დასტურის მაგივრად ნერწყვი გადაყლაპა და თავის მხრივ ურიდიას შეხედა...

— რამ გაგაჩუმათ? გაგიტკბათ ჩხავრის წვენი?! დამისხი კოწია. თუ შევარდნაძე ვარ ამათ სეირს გაყურებინებ. — აღტკინებით წამოიძახა შევარდნაძემ და სავსე ბადია დაუსვენებლივ გადახუხა.

გ ა ი ქ ც ა!

სალომეს გარდაცვალება ხმამაღლა არავის შეუტყობია. მაგრამ მეორე დღეს მთელმა საბერიომ იცოდა ეს ამბავი; ჩუმჩუმად ბეგლარსაც იხსენიებდენ.

ამბობენ: ბეგლარის ხელში ამოძვრა სულიო.

— ცხონებული ყოფილა ის უბედურ დღეზე გაჩენილი! — ეჩურჩულებოდენ ერთმანეთს სოფლის დედაკაცები.

ბეგლარის სამეგრელოში ჩასვლა შეუჩნეველი არ დარჩა „საეჭვო ხალხის“ სპეციალურ მეთვალყურეებსა და იორდანე დანელია უთენია გაჩნდა ბოქაულის კართან.

ბოქაულ ჩიჩიას ნაბრძანები ჰქონდა, დაუკითხავად გაეტარებია მასთან დანელია, ამიტომ მან დღესაც დაუბრკოლებლად ინახულა ბოქაული და ხანგრძლივად ესაუბრა სხვადასხვა „საჭირბოროტო“ საკითხებზე.

— დიდებულია, ჩინებულია! — უაზროდ იმეორებდა ჩიჩია, როცა იორდანემ ახალახალ ცნობებს აწვდიდა გაიძკერა ბოქაულს და დროგამოშვებით ხმამაღლა ამთქნარებდა... უძილობა თუ აწუხებდა ახალთაობის ხალხზე დაგეშილ მეძებარს.

— მაშ დანამდვილებით იცი რომ ბეგლარ ძიგუა წუხელ შინ იყო. — განმეორებით შეეკითხა ჩიჩია იორდანეს.

— დანამდვილებით, ჩემი თვალით ვნახე შვილებს გეფიცები.

— მჯერა! ძიკი, როგორ შეხვდა გავარდნილ ძმას?!.

— სულოცოდვილო, ცუდს ვერაფერს გეტყვი ძიკიზე: უგულოთ მიიღო ბეგლარი და ჩქარა ხელჩართული ჩხუბიც მოუვიდათ, რომ მოხუცის სიკვდილს არ შეეშალა ხელი... ვინ იცის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ მოხუცი?—გაიკვირვა ჩიჩიამ.

— ძიკის დედა გარდაიცვალა.

— აჰა!—ჩიჩია ჩაფიქრდა—Так, Так Так!.—შეათამაშა თითები ბოქაულმა საწერი მაგიდის ძგიდეზე და ისევ ფიქრებში გაეხვია. „იქნებ თვითონვე ძიკიმ აცნობა ბეგლარს მოხუცის ავათმყოფობა“. გაიკლო გულში ჩიჩიამ დანელიას მიუბრუნდა: დიდი ხანია მოხუცი ავათმყოფობდა?

— ორი თვე იქნება ლოგინიდან არ წამომდგარა—უპასუხა იორდანემ და თან დაატაცა—მუდამ ბეგლარია ნატვრაში იყო საცოდავი. სულ ბეგლარი ეკერა ენაზე...

— Так, Так, Так! იმავე ტონით გაიმეორა ბოქაულმა და რევოლვერის საბმულს წვალება დაუწყო·—სხვა რაღა იცი?

— გავიგე ბეგლარმა იაკინთე გაფორჩხიას მიაკითხაო, მაგრამ...

— მერე?

— ჰი, ჰი! ხომ მოგეხსენებათ იაკინთეს დღევანდელი ასავალ დასავალი.

— ჰე, ჰე!—გადაიხარხარა ბოქაულმა-დიდებულია! მესმის? მესმის დიდებულია მედაჩემა ღმერთმა!—ახვიხვინდა ჩიჩია და იორდანე ახლა მთვრალი კატასავით გაილურსა.

— კიდევ რას იტყვი ჩემო იორდანე?!—ღიმილით მიუბრუნდა ბოქაული იორდანეს და წასათამამებლად მხარზე ხელი დაჰკრა.

— ჯერჯერობით სულ ეგ არის, ჩემო ბატონო!

— ყოჩაღად ჩემო იორდანე, ყოჩაღად და ხომ იცი ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში არაფერი დაგეკარგება. გამომართვი!

ჩიჩიამ თუმნიანი გაუწოდა იორდანეს ისე, რომ პირდაპირ არც კი შეუხედავს·

— ეცადე, მორიგი ცნობები უფრო მეტად საინტერესო იყოს.—დაატანა თან.

— თქვენის შემწეობით, ჩემო ბატონო მრავალს წელს თქვენი წყალობა.

იორდანე ხარბი თვალებით ეძგერა გაუტეხელ თუმნიანს და მუხლებამდე თავდახრილი კაბინეტიდან დერეფანში გაიძურწა.

საბოქაულოს წინ ჯერ ხალხის ჭაჭანება არ იყო. ხანშესული ჩაფარი მზის ყურზე ზურგს ითბობდა. სახურავიდან გადმოვარდნილი თოვლის წვეთების ტყაპატყუპით ერთობოდა.

— რაზე გარჯილხართ, იორდანე ასე დილაადრიანად.?—განგებ შეეკითხა ჩაფარი დანელიას, რომელმაც შორიახლო იცოდა იორდანეს დამოკიდებულება ბოქაულ ჩიჩიასთან.

— სახლიკაცი საზღვარზე მეკირკიმალება და მოვახსენე ბატონ ბოქაულს.—ჩვეულებრივად იცრუა იორდანემ და ულვაშებში ჩაიცინა.

— საზღვარზე კირკიმალი არაფერია თუ სხვა რამეზე არ გაწუხებს...

— სხვა რა უნდა იყოს ჩემო ჯანსულ. სხვა... ველარ დაასრულა დანელიამ ნაძალადევად შეკოწიწებული ფრაზა, ერთი ჩაახველა და საბოქაულო შენობას და ხანშესულ ჩაფარს ფეხაკრეფით გაშორდა.

ჩიჩია იჯდა ჩაფიქრებული და სამოქმედო გეგმას ადგენდა.

„მაშ ასე, ძიკი ძიგუა ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს და თვალში ასახვევად ჩვენ ეთგულებას გვეფიცება... კეთილი! ნეტა ვიცოდე რა დამოკიდებულებაშია ახლა ძიკი, ურიდიას ქვრივთან! იქ თვალთმაქცობა ხომ ხელს არ მისცემს. უჩა ხომ საკუთარი ხელით ჩააძალლა ძიკი ძიგუამ. გოჩაზე თავდასხმაც მანვე მოაწყო.. მაშ... არა, ბეგლარი ძმა არის და ალბად ვერ გაიმეტა თორემ... ძიკი ჩვენი გოშია არის. კიდევ მეტი... ძიკი მომხრე იყო ბეგლარის გაქრობის, ოლონდაც... მაშინ ჩვენ თვითონ ვერ გამოვიჩინეთ გამბედაობა... კარავზე თავდასხმის დროს. ჰე, როგორ ჩაიბანდა საქმე.. ალახმა უწყის ვის რა აინტერესებს ამ საერთო საქმეში... ფული ხომ ყველას აღელვებს... სახელი და დიდება, მაგრამ ძიკი, ძიკი აქ ორმაგად არის დაინტერესებული, სამმაგად... კიდევ მეტი... ფული, სახელი და დიდება, ურიდიას ქვრივი, ურიდიას ქონება, გოჩას განადგურება და ძმის ბეგლარის... აი, ბეგლარის საკითხი ამწვავებს საქმეს... იმწვავებს და შეიძლება ისეთი სუსტი ნების კაცმა, როგორიც ძიკი არის... ბევრი რამ დათმოს... დათმოს კი არა, დაღუპოს კიდეც“.

ჩიჩია გამოერკვა, კაბინეტი კუთხით კუთხემდე ჩაათვალიერა. ეზოშიც გაიხედა. არავინ იყო და ისევ ფიქრებს შეჰყვა: „კარგია, დანელიამ დროზე მაცნობა ყველაფერი. რამიშვილიც რაღაცას იწერება, მაგრამ ეს ლადარია ვინღაა —ვერ გამიგია. ლადარია... ასეთი არავინ მეგულება საბოქაულოდან. ჰე, ჯანდაბას. რაკი ბეგლარი ამჟამად სამეგრელოშია, თანაც დედის სიკვდილით დარეტიანებული და გულამღვრეული, სწორედ ახლა შეიძლება ნისი ხელში ჩაგდება. ან ახლა ან არასოდეს... ძიგუას ხელში ჩაგდება კი ნაღდი დაწინაურებაა. დაწინაურებას ისედაც მოველი, მაგრამ... მაშინ... მაშინ.—ჩიჩია ეჭვებმა აიტანა, გული ატკივდა,—მართლა, რატომ აგვიანებენ ჩემი დაწინაურების საქმეს?! აკი ხმა გავარდა: ჩიჩიას მაზრის უფროსად ნიშნავენო. მაზრის უფროსად ვიღაც რუსი დანიშნეს... ალბათ არ გვენდობიან ქართველებს, თორემ... გამოთაყვანებულმა რუსის ჩინოვნიკმა რით უნდა გვაჯობოს.

კარი გაიღო და ბოქაულის კაბინეტში ძიკი შემოვიდა. ის დაგვიანებით გამოცხადდა დღეს სამსახურში, უგულოდ შეაღო კაბინეტის კარი და ჩიჩიას უგულოდვე მიესალმა. ძიკის დედის სიკვდილი ისე არ აწუხებდა, როგორც სხვა, მისთვის მეტად რთული და სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათის საკითხები... საკითხები, რომლებიც ახლავე მოითხოვდენ გადაწყვეტას და, რომლის დაყოვნება თუ დაჩქარება თანაბრად ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო ძიკი ძიგუასათვის.

— ცუდ გუნებაზე ხართ ძიკი!—შენიშნა ჩიჩიამ, თითქო არაფერი იცოდა მომხდარი ამბების შესახებ.

პასუხად ძიკიმ მძიმეთ ამოიხვნეშა, რამდენჯერმე თავი დააქნია, სკამზე ჩამოჯდა და თითების მტვრევას მოჰყვა.

— მარცხი ხომ არაფერია ძიკი—განგებ გაიოცა ჩიჩიამ ძიკის სულიერი მღელვარება.

— დედაჩემი... საბრალო დედაჩემი!—დაქინდრა თავი ძიკომ და გულდათუთქული შვილის პოზაში ჩადგა, გულში კი ვინ იცის, რა უფრო აწუხებდა დედის დაკარგვა თუ ბეგლერთან შეხვედრის ისტორია, ან კიდევ ელენესთან შეუღლების საქმეზე დატრიალებული უსიამოვნო სცენები.

— ღმერთო ჩემო, სალომე... ჯერ კიდევ სრულიად ჯანსაღი და საჭირო ადამიანი.—უგულოდ და ცბიერად შეაგება ჩიჩიამ.

— ჯანსაღი არ ყოფილა, მაგრამ ჩემი მარტოხელა ოჯახისათვის მაინც ძვირად ღირდა.

— რა ამასთან მოსატანია, მაგრამ მარტოხელობაზე მომაგონდა, როგორ მიდის თქვენი შეუღლების საქმე? —ი ითხა ჩიჩიამ.

— ვერაფერს გეტყვით! მას შემდეგ რაც გოჩამ გაქცევა მოახერხა ელენემ ხასიათი გამოიცვალა... არ ვიცი რის იმედით, მაგრამ თითქოს უარზედაც არის. „მომატყუილე უდანაშაულო კაცის სისხლში გამსვარე და ვინც მთავარი იყო, ის არხეინად დასეირნობსო,“ მისაყვედურებს ხოლმე.

— გოჩაზე ამბობს, არა?

— ალბათ, მას უნდოდა ურიდიას ქონებაზე მემკვიდრის სახელი მოშლილიყო რის შემდეგ ნახევარს მე დამიმტკიცებდა და ნახევარის პატრონი თვითონ დარჩებოდა. ასეთი იყო ჩვენი პირობა იმთავიდანვე. დღეს, როგორც ხედავთ გოჩა გაქცეულია. მოხუცი კი ჩავაძაღლეთ, მაგრამ... რა გამოვიდა... მთავარი საფრთხე ისევ კარებზეა მომდგარი.

ძიკი დადუმდა, ჩიჩიამ დუმილითვე უპასუხა ძიკის აღსარებას, გულში კი ფიქრობდა, „ჯერ დაიცადე ყმაწვილო, სხვის ქონებას რას ეპატრონები, შენი არ დაგრჩეს ოხრად და პარტახადო“.

—„საცოდავი მოხუცი!—ისევ მოხუცის საკითხს დაუბრუნდა ჩიჩია ალბათ ბეგლარის დარდმა მოუსწრაფა წუთისოფელი. უმადური შვილი!—აუწია ხმას ჩიჩიამ და ძიკის გადახედა—თქვენ კი ჩემო ძვირფასო მეგობარო, გლოვა გმართებთ საყვარელი მშობლის, მაგრამ...

ძიკი მიხვდა, „მაგრამ“-ის იქით რა იწყებოდა, მიხვდა თუ რა უფრო აღელვებდა ჩიჩიას, ძოხუცის სიცოდვე თუ ბეკლარის ხელში ჩაუგდებლობა... მიხვდა მიხვდა მაგრამ.. აი აქაც „მაგრამ“—ეს ორაზროვანი, ზოგჯერ უაზრო და უშინაარსო სიტყვა ელობებოდა წინ სააშკარაოზე გამოსატან ნათელ აზრებს და, ამრიგად ერთხელ საიდუმლოებით მოცულ საკითხს, სინათლესა და მზის შუქს არ აკარებდა, „აქით ბეგლარი ძმა და სისხლხორცი,—ფიქრობდა ძიკი—იქით ჩიჩია, მაზრის უფროსი, გუბერნატორი—სამსახური, წარმატება. ჩემი მომავალი კარიერა. ცალკე ელენე და ამ ნიადაგზე წამოჭრილი ათასგვარი ხლართები და გაუგებრობანი. გაუკებრობა კი არა ბოროტმოქმედებაც... რომელიც, აბა ვინ იცის რით დამთავრდება... გოჩა ურიდია—ურიდიას გაქცევა ბეგლარის სამეგრელოში გამოჩენა, ჩემი დუმილი მასთან შეხვედრაზე, დუმილი რომელიც შეიძლება...—ძიკის გააჟრჟოლა—ოოჰ! გასკდი გულო ბარემ და მომასვენე ერთხელ და სამუდამოთ“.

ძიკის მღელვარება დაეტყო როგორ უნდა მოიქცეს ის, რომ ვინიცობაა ბეგლარზე ჩამოუგდოს სიტყვა ჩიჩიამ. ერთხელ იოლად დაიძვრინა თავი ძიკომ,

როცა მასთან ბეგლარის რუსეთში გაქცევაზე ქონდა საუბარი, მაგრამ ეხლა... ეხლა, როცა შესაძლოა ბეგლარის ჩამოსვლა სამეგრელოში მთელმა სოფელმა იცოდეს... მართალია ის დილაადრიან წავიდა ფაცხიდან, ისე, რომ ძიგუას ეზომიდამოზე ბეგლარისთვის თვალი არავის მოუკრავს, მაგრამ ვინ დაიჯერებს რომ ბეგლარი სამეგრელოში ჩამოვიდა და დედისა და ძმის უნახავად გაბრუნდა უკან.

— ეჰ!—ახლა ხმამაღლა ამოიხრა ძიკიმ, რაც უშენიშვნოდ არ დატოვა ჩიჩიამ და უმალ შეეგება:

— ხარჯების გაწევა მოგიხდება ძიკი, უბედურ შემთხვევის გამო, მე ვიცი შენი ახალნდელი ხელმოკლეობის ამბავი, ფული დაგჭირდება, უეჭველია,—გადაუკრა სიტყვა ჩიჩიამ და ბეგლარზე ამბის ჩამოსაგდებად მოემზადა.

— უფროსმა ძმამ ხომ არაფერი გაწვდინა? სალომე ხომ ბეგლარის დედაც იყო? რაზე დაჩუმდი? რატომ არაფერს იტყვი, ძიკი?!.

— ნეტა სულ დავმუნჯდებოდე... ამდენი დაცინვისა და უსამართლობის...

დერეფანში ხმაურობა შეიქნა.

ჩიჩიამ ყურები სცქვიტა მოულოდნელ ხმაურობაზე.

ჩქარა, დაუკითხავად კარი გაიღო და უფროსი ჩაფარი აქოშინებული შემოვარდა ბოქაულის კაბინეთში.

— თქვენო მაღალ კ. შ. ბავ!—ძლივს მოიბრუნა სული უფროსმა ჩაფარმა. რომელსაც რამდენიმე ჩაფარი ეზოდან დერეფანში შემოჰყვა.

— რა მოხდა ქემალ, რა ამბავია?..

— ბეგლარ ძიგუას ძაგანიას დუქნის წინ ხალხი შეუკრებია [და ქადაგებს თქვენო მაღ. კ. შ. ბავ!

— ბეგლარ ძიგუას?

— ბეგლარს?—გაიმეორა ცალკე ბოქაულმა და ცალკე ურიადნიკმა.

— დიახ, თქვენო მაღ. კ. შ. ბავ!

— ძიკი! რაები მესმის?! ისმაილს მიხმეთ?—ბრძანა ჩიჩიამ და სკამიდან წამოდგა.

— მესმის თქვენო მაღალ კ—შ—ბავ?

— ძიკი რაები მესმის?—გაუმეორა ჩიჩიამ ძიკის და მღელვარება დაეტყო. სახე წამოწითლებულს ტუჩები ოდნავ აუთრთოლდა.

— ისე მეკითხებით, თითქოს ბეგლარის თანამებრძოლი ვიყო..—ნაწყენი კილოთი მიუგო ძიკიმ და ადგილი მოინაცვლა.

კარებში ისმაილი გამოჩნდა.

— ისმაილ, ირასი ყაზახი! აბა! ჩქარა!

— მესმის, თქვენო მაღალ კ-შ-ბავ.!

— ურიადნიკ! რას იტყვით თქვენ?! დაცინვით მიმართა ჩიჩიამ ძიკის, თითქო ამით სურს აგრძნობინოს, რომ ხომ დაგიჭირე თვალთმაქცობაშიო.

— მე მზად ვარ ცეცხლს მივცე მთელი სამეგრელო, თუ კი ის ამას დაიმსახურებს.—უპასუხა კუშტად ძიგუამ.

— მომწონს ეგ სიტყვა!—გამოიცვალა კილო ბოქაულმა.

— მე მართალს მოგახსენებთ—მეტი დამაჯერებლობისათვის დაუმატა ურიადნიკმა და თვითონაც ფეხზე წამოდგა.

— მომწონს ეგ სიტყვა, თუ ის გულწრფელია—გაიმეორა ჩიჩიამ და ძიკის მიაშტერდა. ორი პროვინციელი დიპლომატი ზომავდა თავიანთ—გამძლეობას საბოქაულო—მასშტაბის საქმეებში, მაგრამ თაღლითობასა და გაიძვეროგაში ჯერჯერობით ისევ ძიკი სჯობნიდა ფიცხსა და მსუბუქი მოსაზრების ბოქაულს. ჩიჩია უფრო წინდაუხედავი და, ხეპრე იყო, თუმცა ზოგჯერ საოცარი შორსმჭვრეტელი და წინდახედულიც.

* * *

მთელი ღამე ცხედართან გაატარა ბეგლარმა. დამუნჯებული იჯდა ის მიცვალებულის სასთუმალთან და ყოველი წარსული დედაშვილური შეხვედრის მოგონებაზე ცრემლებით იგუდებოდა, განსვენებულის პატივისცემა, თორემ ძას აღარაფერი იზიდავდა ახლა სიცოცხლე ჩამქრალ ფაცხაში. ბეგიმ ერთხელ კიდევ სცადა თვალი გადაევლო საყვარელ დედისათვის. დამტკბარიყო მისი ნაოჭიანი მაგრამ გრძნობითა და სათნოებით სავსე სახის გამომეტყველებით. ეცქირა მისი მიმქრალი, მაგრამ ჭკვიანი თვალებისათვის. ბეგიმ პირზე ზეწარი ახადა მიცვალებულს, დამჭკნარ ლოყებზე ხელი შეავლო და შუბლზე საამბორებლად დაბლა დახრას აპირებდა, რომ ბეგლარის ხელის თითებმა მარმარილოს სიცივე იგრძნო—და ელდანაცემმა უკან დაიხია...

ბეგლარი წელში გასწორდა. სანთლის შუქზე სალომეს გამოფიტულ სახეს დააშტერდა და შეძრწუნებული ხმით წამოიძახა: „ნუთუ ადამიანისადმი მიძხიდველობას, ადამიანისავე სითბო განსახლკრავს? სითბო, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება. რარიგ საყვარელი და სანატრელი იყო დედაჩემი, რამდენიმე საათის უკან, როგორ მიმზიდველი, სათნოებით სავსე, მისი უბრალო შემოხნდვაც კი ათასგვარ გრძნობებს იწვევდა ჩემში და დახე... დახე ეხლა რა საზ... დიახ, საზიზღარიც კი მეჩვენება... საზიზღარი და საშიშიც... მე რატომღაც მეშინია იმ თვალების, რომლის დაკოცნას ვესწრაფებოდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ჩემში ზიზღს ბადებს სახე, რომლის ცქერა ბავშობიდან არ მომყირჭებია... მე გულს მიკრთოლებს დედაჩემის თვალების თეთრი გარსი, ყინულივით ცივი და უმოძრავო... ჰო, ეს დაკრეჭილი კბილები!—ბეგიმ ზეწარი დააფარა მიცვალებულს და ცოტა მოშორებით დაჯდა.

ბეგი ფიქრებმა გაიტაცა. ფიქრობდა ის სიკვდილ-სიცოცხლეზე; ფიქრობდა ბევრს სხვა ფილოსოფიურ საკითხებზე, მაგრამ გადამჭრელ პასუხს ვერ პოულობდა და თავს იმით ინუგეშებდა, რომ გამარჯვების შემდეგ მაინც შეისწავლიდა ცხოვრების რთულსა და საინტერესო ამოცანებს. შეისწავლიდა, გაიცნობდა და სხვასაც გაუზიარებდა ისე, როგორც რევოლუციონურ მოძღვრებას ავრცელებდა ის დღეს მოსახლეობაში.

ასეთ ფიქრებში გაატარა ბეგიმ მთელი ღამე.

გარიჟრაჟზე ის ხმაამოუღებლივ წაუმოდგა, ცხენი შეკაზმა და ძიკისთვის არაფერი უთქვამს—გზას გაუდგა.

— „ალბათ წავიდა,—დაასკვნა ძიკიმ თავისთვის და მეზობელს შეატყობინა მომხდარი უბედურების შესახებ.

კარგა გათენებული იყო, როცა ორი მეზობლის დედაკაცი დააგო თავზე სალომეს და ძალდატანებული კრინით შეიცხადა.

— სიცოცხლეში გაუხარებელო!—ხმადაბლა მოთქვამდენ მეზობლის ქალები

შეგროვდა ხალხი.

ძიკის მიუტირეს დედის დანაკლისი.

— ბეგლარზე თვალის გადავლება მაინც ღირსებოდა.

— საშხამავად ჩაყვა საცოდავს ბეგლარის ჯავრი.

— შხამი და დურბელა მის მდევარს.—ეჩურჩულებოდენ ერთმანეთს ხანშესული დედაკაცები და სალომეს ტკბილად ივონებდენ,

— გამართეს თათბირი დაკრძალვის შესახებ.

— ტირილი უსაზღვრო და ქელეხი ჯერ არნახული.—გააცნო მეზობელებს თავის აზრი ძიკიმ და ბრინჯისა და ზეთისხილისათვის ბიჭები აფრინა მახლობელ ბაზარში. ზოგს პურის მომარაგება მიანდო, ძიკიმ, ზოგს მტერმოყვარის მოწვევის საქმე და თვითონ საბოქაულოსაკენ გასწია....

ბეგლარი ამ დროს სოფლის დუქნებზე მეკუბოეს ევაჭრებოდა.

— ცაცხვის ფიცარი იყოს... გალაქული... ჯვარი და ანგელოზები არ უნდა.

— რატომ, ბატონო ბეგლარ, დედათქვენი მორწმუნე ქალი იყო...

— გრძელი მუსაიფისათვის არა მცალია გამომართვი რაც გერგება.

ბეგლარმა ოცდახუთიანი გაუწოდა მეკუბოეს და დუქნის წინ გამოვიდა. ხალხი გროვდებოდა.

ბეგლარი ჩამოსულა.

— შერიგებია თუ ჩამოპარულია?—ეკითხებოდენ ერთმანეთს განცვიფრებული ნაცნობები.

ჩქარა იმდენი ხალხი მოგროვდა სოფლის დუქნების შუამდებარე ვიწრო მოედანზე, რომ არცერთი თავმოყვარე ორატორი არ დაიწუნებდა მსმენელთა ასეთ კრებას.

— ბეგლარს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს ჩაგრული ხალხისთვის თავდადებულს—წამოიძახეს ხალხში კანტი-კუნტად.

ბეგლარი შეკრთა. განცვიფრებულმა ხალხს გადახედა,

— გვითხარი რამე ბეგლარ!

ბეგლარი განცვიფრდა ხალხის ასეთი შეხვედრით.

— საიდან? როგორ?—ეკითხებოდა ის თავის თავს და ვერ მოეხერხებია თუ ვის შეეძო გაეცნო ხალხისთვის, რომ ლადარია ჩაგრულთა წინამძღოლია.

— ბეგლარ, გვითხარი რამე?—გაუმეორეს მას დაჟინებით.

— ამხანაგებო,—შეხტა ჭის თავზე რომელიღაც ახალგაზრდა—დღეს ჩვენი ამხანაგები ციხეში არიან კარჩაკეტილები, ბევრი ციმბირშია გადასახლებული, ბევრი დევნილია და გაქცეული, მაგრამ ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მეფის ტახტის დასამხობად. ამხანაგებო! დღეს ჩვენ გავიგეთ, ჩვენი საუკეთესო ამხანაგის ბეგლარ ძიგუას დედის რევოლუციონერ ქალის,

სალომეს გარდაცვალების ამბავი. ჩვენ ვიცით რომ მას ვერ დაიტირებს ამჟამად ჩვენთან მყოფი, მაგრამ მთავრობიდან დევნილი ნიკო ძიგუას წამდვილი მემკვიდრე და მისი იდეების გამაგრძელებელი ბეგლარი. სიტყვა მივცეთ ამხანაგებო, ჩვენს ამხანაგს, რომ სალომეს დაკრძალვას თვითონ ჩვენი უხელმძღვანელებს.

— სიტყვას ვაძლევთ.—იგრგვინა ხალხმა ერთხმად.

— დროშით დავასაფლავოთ.—შემოიტანა ვიღაცამ წინადადება.

— დაკრძალვის პროცესია დემონსტრაციად გადავაქციოთ-დაუმატა მეორემ.

— დაგვიშლიან.

— იარაღით იმოქმედებენ.

— იმოქმედებენ და იმოქმედონ. კმარა მოთმინება.

— კმარა?

— კმარა!

— კმარა?—იგრგვინა ხალხმა ერთხმად.

ბეგლარი კიდევ უფრო გაოცებული დარჩა ხალხის ასეთი აქტივობითა და ის დარწმუნდა, რომ დრო იყო აქამდე მალული მუშაობა ფართო ხალხში გადაეტანა... ამიტომ ახალგაზრდა რევოლუციონერის საპასუხოდ ბეგლარმა მოკლე-მაგრამ მეტად მქუხარე ამაღელვებული სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ასე დააბოლოვა:

— მაშ ასე ამხანაგებო, თუ დღეს მშობელი დედის დასაფლავებას და საუკეთესო მებრძოლის დატირებას ვერ ვახერხებ მებრძოლის შვილი, ჩქარა ათასგვარ ბოროტებით გაყეყეჩებული და გონებაგამოფიტული პოლიცია, მათ შორის, ჩემი ულირსი ძმა ძიკი, ბოძებს დაუწყებენ ძებნას თავჩამოსახჩობად, მაგრამ მათთვის ბოძებს არავინ გაიმეტებს. აბობოქრებული მუშათა კლასის რისხვა თვითონ წალეკავს და მოსპობს ჯალათებსა და ჯაშუშებს, მათ შორის კიბატონ მურთაზ ჩიჩიას და ძიკი ძიგუას, საბერიოს ამ ულირს შვილებს...

ბეგლარის სიტყვას ხალხი გარინდული უსმენდა და სიტყვის დასასრული კი თავბრუდამხვევი ტაშისცემით დააჯილდოვეს.

საკვირველი იყო ვაჭრებისა და ნოქრების საქციელი. ყველას დუქნის კარები გამოეღეტა, ზოგს ყაფაზა მიეხურა და პირდაღებული უსმენდა ბეგლარის ცხარე, მაგრამ შინაარსიან სიტყვას. ხალხში კი ზოგიერთები ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ.

— ხედავ რა შვილი მოესწრო ნიკო ძიგუას?

— აფსუს, რა დროს დაიღუპა საცოდავი!

— მამის იერი ხომ დაჰკრავს ბეგლარს?

— იერი კი არა ნამდვილი ნიკო ძიგუაა!

— კაი ლაპარაკი უსწავლია მე და ჩემმა ღმერთმა.

— ნიჭიერი კაცის შვილია... რა გასაკვირია კაი ლაპარაკი იცოდეს.

ხალხში იორდანე გაერია.

ყველამ პირი მოარიდა მასთან შეხვედრას, მაგრამ დახელოვნებული იორდანე ვის თუთუნს თხოვდა, ვის ასანთს და ასე კიდით კიდემდე შემოიარა ბაზარი და სათითაოდ თვალი გადაავლო დუქნებზე თავმოყრილ ხალხს.

უცებ იორდანე გაქრა დუქნებიდან. ბეგლარი ცხენზე შეჯდა და ის იყო გამგზავრებას აპირებდა, რომ ხალხში თავზარდამცემი ჩოჩქოლი შეიქნა.

— თავს უშველეთ, პოლიცია მოდის!

— შარაზე ყაზახებია.

— გზები შეკრულია.—აირია ხმები ერთმანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წუთიც და სოფლის დუქნებს გარშემოერტყა ორი ათეული ჩაფარი. ბაზრის ბოლოში გამოჩდნენ ბოქაული, ურიადნიკი და რამდენიმე მათი მხლებელი ცხენოსანი ყაზახი.

— პოლიცია!

— ყაზახები!

— ბეგლარ თავს უშველე...

ბეგლარი არ დაიბნა. მან არწივის თვალი გადაავლო ირგვლივ არემარეს, დუქნებს შუა ვიწრო შუკა ამოიღო მიზანში, ცხენს ქუსლი ჰკრა და მეკუბოეს უკანასკნელი სიტყვა დაუტოვა:

— ხურდა არ მინდა. სამაგიეროთ დედაჩემის საფლავს რაიმე ნიშანი გაუკეთეთ...

ეს თქვა და გაფრინდა.

ხალხი პირდაღებული დარჩა ბეგლარის გაქცევის ოსტატობით.

— გაიქცა!

— ნახავ თუ არ გაძვრეს! ჩიჩია დაედევნა. ძიკიც... მისდევენ...

გავარდა თოფი.

მას მოყვა ჩქიფი გასროლა, თოფებიდან, მაუზრებიდან, მაუზერს ჩიჩია ისროდა. პასუხი მხოლოდ ბეგლარის იყო

ხალხი დაფრთხა. შეშინებული ვაჭრები თხრილებსა და ქვიტკირის კედლებს ამოეფინა.

— აფსუს! გათახსირებულო სამსახურო!—ამოოხვრით სთქვა გიორგი ადამიამ, როცა სროლა მიწყნარდა და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ბეგლარი სამშვიდობოს უვნებლად გავიდა.

— რაზე სთქვი ბიძია გიორგი?!.

— ძიკიმ ბეგლარს თოფი უნდა ესროლოს?! რას მოვესწარით!

ბევრი გააკვირვა ადამიას ასეთმა სიტყვამ, მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერავინ მიმხვდარა ნათქვამის ნამდვილ მნიშვნელობას.

ჯანყის მეთაური

თოვდა, როცა შერვაშიძემ მუშათა კარვებს ჩამოუარა დასათვალიერებლად მეტაბელემ მუშები ამოიკითხა სიიდან, თვითონ კი უამინდობასა და სამუშაო პირობებზე სიტყვა ჩამოაგდო. უცებ თითქო ანალა ძოაგონდა, ლადარია იკითხა და განგებ თვალები გააცეცა, როცა მუშებში ვერ შეიტყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღესვე მიურბენინეს ცნობა შერვაშიძეს რა ღრეს ლადარია სამეგრელოში გაემგზავრა. კარვების დათვალიერებაც ამან გამოიწვია.

— არ იცით?—შეიკრა წარბი შერვაშიძემ.—არც შენ იცი ტოროტაძე?

— გამოკითხვის ტონით მიმართა რწმუნებულმა ტოროტაძეს.—ნამუსს უნახავთ ერთმანეთს?! სიტყვის ბიჭები ხართ, არა?—აყბედდა რწმუნებული.

— მგონი სამეგრელოში წავიდა ავადმყოფ დედის სანახავად—უგულოდ მიუგო ტოროტაძემ, ისე რომ რწუმნებულის უკანასკნელ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ცნობის ღირსიც არ გაგვხადა... დიდი კაცია და რას იზამ—ისევ აყბედდა შერვაშიძე..

— მოულოდნელად წავიდა, ჩვენც დღეს შევიტყვეთ.

— ვიცი. ვიცი—თავის ქნევით შეაგება რწუმნებულმა—ვიცი, როგორ დაძვრებით და, სად დაძვრებით.

ეს კი მეტის მეტად მოეჩვენათ მუშებს, ერთმანეთს გადახედეს, გაწყრენ და პროტესტის ნიშნად თავი ჩაღუნეს.

— აღარც დღის ქირამ გიშველათ, აღარც სანარდომ... დადიხართ და ბუზღუნებთ. ერთ ხანს გიყურებთ და...—აღარ დაასრულა რწმუნებულმა.

— რას გვიყურებ თუ იცი?! ინგლისიდან არ მოიყვანოთ ერთბაშად მუშები.—გაბედა ტოროტაძემ—აქ აღებული ფული ძაღლს არ ეჭმევა.

შერვაშიძემ იუკადრისა მუშებთან კამათი, წარბი მოღუშა და მუქარის გამოსააშკარავებლად მეტაბელეს მიუბრუნდა:

— მოშალეთ სიიდან ბეგლარ ლადარია. ლაზღანდრობასა და ალმა-დალმა ხეტიალში ჯამაგირს როდი აძლევენ ინგლისელები,

ყველა გააკვირვა რწმუნებულის ასეთმა უკმეხობამ აქამდე ის სულ სხვა ნირით გამოიყურებოდა, მუშებთან უფრო რბილი იყო და ლოიალური. დღეს კი...

— რამ გაამწარა?..

— საკვირველია ღმერთმანი... გააყოლეს მუშებმა კონცესიონერისაკენ მიმავალ შერვაშიძეს.

კარგახანია ლადარიას ჯინი სჭირდა შერვაშიძეს მასში მეტოქეს და ჭკვიან მოწინააღმდეგეს ხედავდა, ახლა დრო იხელთა და მისი დათხოვნა სხვებისადმი მუქურადაც გამოაცხადა.

ერთი წუთის შემდეგ შერვაშიძე კონცესიონერის სასადილო ოთახში იჯდა მოღიმარი და მხიარული. ბუხარზე ზურგშექცეული ყავას აბრიკოტინით შეექცეოდა და ხანგამოშვებით—თავშეკავებულად იცინოდა.

— ჯანყის მეთაური სამეგრელოში წაბრძანებულა,—დაარღვია სიჩუმე შერვაშიძემ.

— ალბათ აღრმავებს რევოლუციას...—სარკასტულად შენიშნა ელიოტმა. ინგლისში სამი საუკუნის წინად ერთობოდენ ასეთი სანახაობით...

ინგლისელი დადუმდა, სხვა არაფერი სთქვა. ყავა მოსვა და გაზეთს მიაჩერდა.

კონცენსიონერს კვირაში სამჯერ მოსდიოდა სპეციალური ფოსტა, ინგლისური გაზეთები... ჟურნალები და ბირჟის ბიულეტენები.

— დავითხოვე,—დაუმატა შერვაშიძემ.

— გონიერად მოქცეულხართ.—სთარგმნა თარჯიმანმა, ჯონ ელიოტის ცივი მაგრმა მოკრძალებული პასუხი.

ელიოტი მუდამ დაღვრემილი გამოიყურებოდა. მის წითურ, მაგრამ ნისლით მობურდულ სახეზე ღიმილისა და ხალისის ზოლსაც ვერ შენიშნავდით.

ცხვირჩამოშვებული... წარბ შეკრული შუბლი მაღალი და ნაოჭიანი. დრომოჭმულობას ვერ შესწამებდით ჯონ ელიოტს, მაგრამ დანამდვილებით მისი ასაკის გამოცნობა გარეგნობით შეუძლებელია, ის ყოველდღეობით იპარსავს თმასა და წვერს; მარტო ქერა წარბებით აბა რას გამოიცნობთ.

ხასიათი დამძიმებული აქვს ინგლისელ მილიონერს. მარტოობას ეთაყვანება, განმარტოებით ხეტიალი და ოცნება უყვარს. თავისიანებშიც საქმიან საუბარში თუ ჩაერევა. ზის თავისთვის თავჩაქინდრული და რაღაცას ანგარიშობს. ბლოკნოტის სუფთა ფურცელზე ციფრებს აჯენს, უმატებს, აჯამებს, გემებს ხაზავს... ხანდახან ბრაზდება და ფურცლებს ნაკუწებად ფხრეწს, ინჟენერ ტომის, ეძახის, ეკონომისტ კონელტატნს იშველიებს... უსაქმო ლაპარაკს და ენის ტარტალს ვერ ითმენს ინგლისელი, ის ყველასთან უხეშია და უზრლედი. ეჯავრება მკვიდრთა ხალისიანი მასლაათი, მათი უდარდელი სიმღერა და დროსტარება... ვერაფერს ჰკადრებს, თორემ გულზე სკდება შერვაშიძის ენაწყლიანობითაც.

— თოვლი მატულობს, სერ ქიშვარდ.—ძლივ გამოიმეტა ელიოტმა, როცა შემთხვევით გაზეთს თვალი მოარიდა და ფანჯარაში პეპლებივით მოფარფატე თოვლის ფახტლებს შეხედა.—ალბათ სამუშაოზე ხელი შეგვეშლება—დაუმატა მანვე.

— როგორც კი გადაიღებს... ტყეს მივუსევ. ნაჯახები მზადა მაქვს. ბირდააბირებიც—არ დააყოვნა შერვაშიძემ.

— რომ არ გავიდენ სამუშაოთ?! აკი გაფიცვებს ამზადებენ..—ჩაიხითხითა კბილებში ინგლისებმა და ისევ გაზეთს გადაჰკრა თვალი.

—ცოტა შემწყნარლნი არიან, მაგრამ... ფეხზე არ აცვიათ და... ხომ იცით, მუშათა ფსიქოლოგია,—ეშმაკურად გადაუკრა შერვაშიძემაც.

— არ აცვიათ...—გაიმეორა ელიოტმა,—ცოტა იყბედონ, ბევრი იშრომონ და ფეხსაცმელიც ექნებათ და კუჭი უფრო გამაძღარი.

რწმუნებულმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ელიოტს აბრიკოტინი გაუმეორა.

— დიდებული სასმელები იცით ინგლისში, მისტერ ჯონ!—განგებ მოუწონა შერვაშიძემ, მაგრამ უხეშმა ინგლისელმა ჯიქურ მიახალა:

— ინგლსში სასმელებს როდი ამზადებენ... ვენეციაში ვიყიდე, აქეთ რომ მოვემგზავრებოდი.

შერვაშიძე გაწითლდა. ასეთ თავხედობას არ მოელოდა მასპინძელისაგან. „რა მსიჯიდა, ვერ დავდექი ჩემთვის?! ტყუილა თავი გავიბითურე! ნისლისა და წვინტლის ქვეყანაში აბრიკოტინსა და ღვინოებს არ უნდა... იქ ვაზი კი არა ალბათ წყავიც არ ხეირობს“.

სიჩუმე ჩამოვარდა.

„დამაცადე. თუ ვყოფილვარ შერვაშიძე განანებ თავხედობას“ უზრდელო ღორის ჯიშო! ნამდვილი იორქშირია, სისუქნით გაბოროტებული, რომელიც გულში ალბათ ასე ფიქრობს „ერთი მგელს შემახვედრაო“. მე შენ გიჩვენებ თამაშას“.—ცხარობდა გულში შერვაშიძე.

ქერიმ, დამისხი!

საღამოს შერვაშიძე გაჩაღებულ ბუხართან ირაკლის ეთათბირებოდა. ძმადნაფიცი ქერიმ წელზე იარაღს ისწორებდა და შერვშიძეს თვალებში შეჰყურებდა—„ეფედნის რა ესიამოვნებაო“.

ქერიმ ოსმალეთიდან იყო გადმოხვეწილი. მეზობელი შემოკტომოდა და სისხლს ემალებოდა სიცოცხლით სავსე ოსმალო. ორი წლის წინად ხიმიშაშვილის ბარათით ქერიმ ესტუმრა შერვაშიძეს და თავგადასავალი უამბო. მას შემდეგ იარაღში ჩამჯდარი ქერიმ შერვაშიძის პირადი მცველია, ოჯახის მეთვალყურე და ზოგჯერ მოურავიც. ხეტყის საქმეებსაც იცნობს ოსმალო. ხანდახან მუშებში ქიშვარდის მაგიერობას ქერიმი ეწევა... შინ დაბრუნებისას შავი არაბული ჩორთით მისდევს შერვაშიძის ფორეჯებიან იორღას.

შერვაშიძეს მოსწონს თვალტანადი ოსმალო. ენდობა მას. სამაგიეროთ ქერიმიც მუდამ იმის ფიქრშია, რა ასიამოვნოს მის შემწიზნებელს.

— ქერიმ, თითოც დაგვისხი!—იღიმება შერვაშიძე.

აქ არიან: გვარამაძე, კარპე კალადაძე, ხალამპრე მიკიტანი შერვაშიძის შორეული ნათესავი, ნიკო ბლაღოჩინი და ორი უცხო სტუმარი, რომელნიც გულითად ნათესავებათ გააცნო შერვაშიძემ გვარამაძესა და კარპე კალანდაძეს.

— იმას გეუბნებოდი, ირაკლი! მე ვხედავ, რომ მოძრაობა ღრმავდება.. ირაკლი ბლაღოჩინს მიაჩერდა, შერვაშიძის, სიტყვები ყალბად მოეჩვენა... ჩაფიქრდა. შემდეგ ისევ შერვაშიძეს, უნდო, მაგრამ მორჩილების გამომეტყველი თვალებით შეხედა და ქანდაკებასავით გაშეშდა.

— ბევრი რამ ცვლილება არის მოსალოდნელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ბევრის გარდაქმნა და გადხალისება, მაგრამ ერთი რამ მუდამ უცვლელია: ჭამა-სმა, ცხოვრება, გავლა-გამოვლა და ყოველივე ამისათვის საჭიროა სახსრები, ადამიანს ერთნაირად სჭირდება ყველგან და ყოველთვის... მე არ ვიცი „თქვენ“ რას აპირებთ. როგორია „თქვენი“ პროგრამა, მაგრამ მე ვიცი, რომ ადამიანი ყოველთვის კაი ცხოვრებისათვის იბრძვის, „თქვენი“ ბრძოლის მიზანიც ალბად ეს იქნება—სიტყვა „თქვენ“-ს ხაზი გაუსვა შერვაშიძემ და განაგრძო—ამიტომ.., განგებ შორიდან დაიწყო მან-ვიცი, რომ თქვენ თავიანთ რიგებს შორის ამთავითვე უკმაყოფილება და ბრძოლებიც გაქვთ, ერთი სიტყვით მე არ ვერევი თქვენს საქმეში, არც თქვენი პოლიტიკა მაინტერესებს, პოლიტიკას თავისი ხალიხი ჰყავს, სპეციალურად ამ საქმისათვის გაჩენილი და თავდადებული, მე მაინტერესებს ჩვენი კონცესიის საკითხი, რომლის არსებობა საკსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვეპყრობით ჩვენ უცხოელ კაპიტალისტებს, როგორ პირობებს შევუქნით მას მუშაობისა და არსებობისათვის... მუშებში რაღაც ლაპარაკია ცუდ პიროაებისა და გაფიცვების მოწყობის შესახებ, როგორც ვიცი ამ საკითხზე კომიტეტის დადგენილებაც კი უნდა არსებობდეს, თქვენ გეცოდინებათ ეს, როგორც კომიტეტის წევრს..

ირაკლი გაშრა... ხმის ამოღება ველარ მოახერხა „როგორც კომიტეტის წევრს“—გაიტარა გულში შემკრთალმა გვარამაძემ.

— ფიქრი ნუ გაქვთ ირაკლი!.. ჩვენ ვიცით სად რა კეთდება, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, ვის როგორ უნდა მოვეპყრათ, ვინ რა რწმენით არის აღჭურვილი, კიდევ მეტი, ვინ ვის მოსპობას ფიქრობს და თავისთავის გაბატონებას. ხომ არსებობს გაფიცვის მოწყობის ოფიციალური დადგენილება? — უტიფრად შეეკითხა შერვაშიძე გვარამაძეს, რომ უკანასკნელს უარის თქმა — ვერ ბედავდა.

მართალია არსებობს. — დაუქნია თავი გვარამაძემ და ბლაღოჩინს გადახედა.

— „სჩანს პოლიცია მუშაობს.—გაივლო გუში მან და დაუმატა — თუ გავუსწორდები კასაძრეს და ლადარიას, ეხლა თორემ შემდეგ გვიანღა იქნება... თუ ბრძოლის სადავე ამათ ჩაუვარდა ხელში, მშვიდობით, ჩვემთვის მაინც ყველაფერი დაღუპული იქნება, და დასამარებული“.

— უნდა დაბეჯითებით იცოდეთ რომ—განაგრძნობდა შერვაშიძე—გაფიცვების არამცთუ მოწყობა, მისი მოწყობის განზრახვაზე ლაპარაკიც კი, როგორც ხშირად მითქვამს თქვენთვის, ორ დღეში აბარგავს კონცესიონერს და აბა თქვენ თვითონ იანგარიშეთ, რა ხეირი გექნებათ. ახ თქვენ ან მუშებს, რომ მილიონების პატრონი ხელიდან გაუშვათ და ისევ ცალიერზე დავჯდეთ, როგორც აქამდე—მთელი საუკუნეების განმავლობაში. მართალია თავად — აზნაურობამ დაჰკარგა მამაპაპისეული ტყე, მიჰყიდა ის უცხოელ კაპიტალისტებს, მაგრამ მოგეხსენებათ, ცაზე წვერ-მიბჯენილი ნაძვები არავითარ სარგებლობას არ აძლევდა, არც თავადაზნაურობას, არც ხალხს და არც მთავრობას. გავყიდეთ ტყე და თავადაზნაურობამ დროებით მაინც ხელი მოითბო, მუშახელმა სამუშაო გაიჩინა, მთავრობა საკონცესიო თანხებს დაეპატრონა... სხვა რაღა გვინდა.. იმუშაოს ინგლისელმა კაპიტალისტმა, ჩვენც სამუშაო გვექნება და სარგებელი... როცა საჭიროთ დავინახავთ და კონცესიონერს ამის შესაძლებლობაც ექნება, პირობების გაუმჯობესებაც მოვითხოვთ... უარს ვერ გვეტყვის... დღეს აბა რა გვეთქმის. კაცს მილიონ ნახევარი წყალში ჩაუყრია და ჯერ ხელში არაფერი უჭირავს.. ვინ იცის კიდევ საბოლოოდ გაიწმინდება კალაპოტი თუ არა... ამიტომ შენ ჭკვიანი კაცი ხარ ირაკლი, გავლენიანი... ეცადე შენი დაწყებული საქმე, ხელი შეუშალო გაფიცვის ამჟამად მოწყობას, ბოლომდე მიიყვანო და დანარჩენი ჩემს კისერზე იყოს... ვეცდები, როგორც ყოველთვის, ყველაფრამდე პირნათლად ვიყო შენსა და შენი ამხანაგების წინაშე—შერვაშიძემ განგებ კალანდაძეს გადახედა, რომ ამასაც ეგრძნო რწმუნებულის თბილი მოპყრობა...

კარპე ყურებამდე გაიღიმა. ირაკლიმ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ყოველთვის ენამეტყველს ლაპარაკის მადა დაეკარგა, ათასგვარი ფიქრები წამოიშალა მის გონებაში... მის თვალწინ. ათასგვარი დაბრკოლება აღიმართა დასახულ გეგმის ცხოვრებაში გატარებისათვის...

ახლა ხალაპრე მიკიტანმა იხელთა დრო და რწმუნებულის სიტყვას ეს ღა დაუმატა:-ირაკლი! შენ კი იცი მე მოძრაობისა და ახალთაობის საქმეში წილი შიმიძღვის. ვაჭარი ვარ, მაგრამ რევოლუციას ყოველმხრივ ვეხმარები-ხალამპრემ ქიშვარდის შეხედა, ბლაღოჩინს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა-და იმავე ტონით გაგრძელა:-ფულს არ ვიშურებ თქვენთვის და საწევრო გადასახადს, კრებაზე გე-

სწრებით, თქვენს კაცებს ხშირად ღამეს ვათევინებ... ერთი სიტყვით, მეც თქვენი კაცი ვარ; აქეთ რომ მოვდიოდი ვიფიქრდებოდი: თან ოჯახსაც წავადგები, თანაც ახალთაობას მეთქი, ოჯახი მივატოვე, ცოლშვილს გავეყარე, და ამ უდაბნოში ჩამოვსახლდი, შენ კარგად იცი თავი სასწორზე მაქვს შედებული, დღე ერთია და ათჯერ მომაკითხავენ ყაჩაღები და გავარდნილები, ყველას დახმარება უნდა, ფული და სასმელ-საჭმელი... ჰო და ეხლა, რომ ელიოტი აქედან გაიქცეს, ხომ ჩაკვდება აქაურობაზე ყველაფერი. უსასყიდლოდ ვინლა იმუშავებს. ეს მუშები ოჯახებს მიაშურებენ... ერთი სიტყვით დავიღუპებით, მეც, თქვენც და ეს ხალხი სულყველა.

— მჯერა. მე მარტო ის მაფიქრებს: შეუძლებთ თუ არა მუშების შეჩერებას.-შეესიტყვა ხალამპრეს ირაკლი გვარამაძე და ღვინოშეკბენილს სიწითლე დაეტყო.

— ლადარია უკვე დავითხოვე,—ჩაურთო შერვაშიძემ,—ალბათ აიბარგება აქედან... უმუშევრობა არ შეაწუხებს?!

— შეინახავენ,—ემწეოდ ჩაიქნია ხელი გვარამაძემ-უმშეურობას არ აგრძნობინებენ...

— გავლენა ხომ დაეკარგება ხალხში... დავაჭერინებდი, მაგრამ ეს უფრო სახიფათოა ჩვენთვის ავტორიტეტსა და ნდობას მოიპოვებს ხალხის თვალში.

— არა მგონია. ისე ლადარია ჭკვიანია და მოხერხებული. ის ყელგან თავდასაძვრენს იპოვის. მე ყველაზე უფრო მაგისი მეშინია. ისე არც კასრაძეა ნაკლებ საფრთხილო. ენამჭრელია და საშინელი დემაგოგი. კაცი შენს მხარეს რომ გგონია, კასრაძის მოხდენილი სიტყვის შემდეგ მისკენ გადადის... გადაბირების საქმეში ბადალი არა ჰყავს.

— რამე უნდა ვიღონოთ.-დაჟინებით განაცხადა შერვაშიძემ და გულში დაუმატა: „ეს ზამთარი გავიდეს, გაზაფხულის ლანქერი ჩათავდეს და მაშინ მკითხე, პირველი მე ვიქნები გაფიცვისა და აჯანყების მომხრე, მაშინ ლადარიასთან კავშირი აჯობებს, ეხლა ირაკლიზე კარგს დამხმარეს მუშებში ვის იშოვი? ზაფხულში (ივნისში) გაუდის ვადა კონცესიონერთან დადებულ კონტრაქტს. გაზაფხულამდე კი კონცესიონერი ვერაფერს გახდება. კონტრაქტი ძალას დაჰკარგავს, ახალ პირობებზე ხელის მოწერის დროს შერვაშიძე და საერთოდ ტყის ყველა მეპატრონე თავადაზნაურობა არამცთუ შეუმსუბუქებს პირობებს კონცესიონერს, გაუარესებს კიდეც... ჯერ შირინკინთან კარგათ გავჩარხოთ საქმე... ჰო და ელიოტი დაიძვრება სურებიდან... მუშები ჩვენ თითონ დაგვჭირდება... შევცვლით პირობებს.. ან კიდევ... ჰო, მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ დროა, მოვიფიქრებთ და როგორც აჯობებს“...

— რა უნდა მოვიგონოთ ცარიელი ხელებით-ხანმოკლე ფიქრის შემდეგ სთქვა გვარამძემ.

— როგორ ცალიერი? რა გიშლის ხელს?-ერთხმად იკითხეს შერვაშიძემ და ხალამპრე მიკიტანმა.

— გეგმა მზად გვაქვს-კასრაძის „ჩასაგდებად“...

— რაღა გაკლია?-მოუთმენლად იკითხა შერვაშიძემ, რომელსაც პირველად ვეარაფრად ეპიტნავა კასრაძის სურებში ჩამოსვლა. კასრაძე შერვაშიძის სოფლიდან იყო. ოდესღაც მისი ნაყმევი და დღეს ასე საფრთხილო რევოლუციონერი... ამიტომ, ოღონდაც ის თავიდან მოიშოროს და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არის საჭირო, თქვი ადამიანო!?

— რა გაკლია ირაკლი აღარ იტყვი?!.—დაუმატა ხალამპრემ.

— ფულიღა გვაკლია!—გამოაშვავა გვარამაძემ მცირე დუმილის შემდეგ.

— ასე ვიტყოდი შე კაცო! აგვიშალე საღერღელი. რამდენი გინდა?

— ჯერჯერობით ოცოდე თუმანი.

ბლაღოჩინმა რომელიც უცხო სტუმტრებთან ქალღალდის თამაშით ერთობოდა, ყურები სცქვიტა ფულის ხსენებაზე და ხალამპრეს ჯიბეს თვალი შეავლო.

— მიეცი ხალამპრე!-არ დააყოვნა შერვაშიძემ-მე და შენ შემდეგ გავსწორდებით.

ხალამპრემ ორი დაუტეხელი ეკატერინკა გაუწოდა გვარამაძეს და „ხელწერილი“ კინაღამ წამოცდა მოვახშე მიკიტანს, მაგრამ უცებ მოაგონდა თუ სად იმყოფებოდა და შიშისაგან ენას კბილი დაადგა უწესო არაფერი წამომცდესო.

ირაკლიმ გატკიცინებული ეკატერინკები ჯიბეში ჩაიკუჭა და წასასვლელად მომზადებულმა უაზროდ წამოიძახა: „მაშ ასე... თუ ამ ორ კვირაში კასრაძე აქედან არ ავბარგე, ხალხში „თავმოჭრილი“ და გათახსირებული გვარამაძე არ ვიყო“.

— ლადარია?

— მარტო ლადარია ვერაფერს გახდება...

— ხოსია?- ვერ შეიკავა თავი ხალამპრე მიკიტანმა, რომელსაც ხოსიას ჟინი სჭირდა.

— ხოსია ლადარიას თუთიყუშია. თუ ლადარიას დავაჩუმებთ, ხოსია თავის თავად დაჩუმდება.

— ვითომ?!

— ვითომ?!

— არა მგონია..—გააქნია თავი ხალამპრე, მიკიტანმა-ხოსია არც ისე ხელწამოსაკრავია. ამ ბოლო ხანებში-მოსწრებულ სიტყვას დაეჩვია.. ენამწარიანობას კიდეც.

— ეს მართალია, მაგრამ საშიში არაფერია... ბოლოსდაბოლოს ერთი რაიმე შარი რომ მოვდვათ სადარდებლად ის ეყოფა. ხომ იცით, ხოსია რა უმწიკლო და გულღია კაცია... ბრაზით გასკდება მაგას რომ რამეში ბრალი დაედვას, სანამ თავს იმართლებდეს... ჯავრს გადაჰყვება, ალალი კაცია..,

— ალალი და აბდალი ერთიაო-გამიგონია.-სთქვა ხალამპრემ.

— არა, ხოსია ტრაპაიძე, გულწრფელი კაცია ამიტომ ხალხიც ნდობის თვალით უქცერის მას.-შენიშნა შერვაშიძემ.

ნდობა კი ვერაფერი სასიამოვნოა! საჭიროა სწორედ ეს ნდობა ხელიდან გამოვაცალოთ, რომ ხალხი იჭვის თვალით უცქეროდეს... თორემ...

— თუ საჭირო იქნება აქ არა ვართ.-ჩაერია კარპე საუბარში.

— როგორც იმედი გქონდეს... აბა, თქვენ იცით. ეს გაფიცვები ჩავშალოთ ახლა და დანარჩენისა მე ვიცოდე...

ირაკლი და კარპე წამოდგენ.

— ასე!. წამოიშალენ სუფრიდან შერვაშიძე და ხალამპრე მიკიტანიც, რომლებმაც მიმავალი ირაკლი და კარპე კარამდე მიაცილეს და დაბრუნებულნი იმ მაგიდას შემოუსხდენ სადაც ბლალოჩინი და უცხო სტუმრები ქალალდს თამაშობდენ.

— სოციალისტებია არა, ქიშვარდი?! ახვიხვინდა ცბიერი ბლალოჩინი, რომელმაც ქალალდის თამაშში დრო იხელთა და კარგი ქალალდის პატრონმა ბანკი დაიძახა.

— ორასი მანეთით ქვეყანა უნდა დააშოშმინოს, არა ქვიშვარდი?!—არ ისვენებდა ბლალოჩიხი და ნაყიდ ქალალდს ანთებული თვალით ჩითავდა.-სოციალისტები... ორასმანეთიანი სოციალისტები! ფუჰ! წავაგე მაგათ ხსენებაზე. ურჯულოები! აბურდღუნდა ბლალოჩინი და ხუთი წითელი თუმნიანი ბანკში შეაცურა.

— წააგეთ მამაო! –გაულიმა შერვაშიძემ და გვერდით მიუჯდა.—კარგი ფეხის ვარ მამაო,, თუ ფეხადობას იბრძნით, ხელის კი, აბა რა მოგახსენო. შერვაშიძეებს ხელს არ გვიქებენ. ჟამი ხელისას გვეძახიან. დაუმატა მანვე და მორიგი ქალალდი მოითხოვა.

ასე, რომ თუ შერვაშიძემ რაიმე წაიღო, მორჩა და გათავდა, დაღუპულია მისი მკვიდრი და მომავალი.-განმარტა ბლალოჩიხმა.

—ჰე, ჰე!-გადაიხარხარა შერვაშიძემ და პირველი ხელით მოგებული თუმნიანები სათუთუნეს ქვეშ ამოიდო, პაპიროს მოუკიდა და თურქული თუთუნი ვნებიანი ნაფაზით გააბოლა.

— სოციალისტები!-არ ისვენებდა ბლალოჩინი.-ორას მანეთიანი სოციალისტები!

— ძალიან კბილჩასობილიხართ მამაო სოციალისტებზე.

— უ მაგათი... ვერ ვიტან... დასანახავათ მეჯავრებიან.

— ეგ მეტისმეტია, ბატონი ნიკო!-შენიშნა ქერიმმა.

ნიკო აიმრიზა ოსმალოს შენიშვნაზე, მარჯვენა თვალი მოწკურა, მაგრამ შერვაშიძეს პატივი სცა და ქერიმს უკმეხი რამ არაფერი უპასუხა.

— ხუმრობა იქით, ლოლიალობა აჯობებს... თავზეხელაღებული ხალხია. ვინ იცის რა ამბები დაატრიალონ.-ქერიმზე გამოქომაგების მიზნით ჩაურთო ქიშვარდიმ.

— მე ვიცი რასაც დაატრიალებენ... გავლენა დიდი ექნებათ ამ ყრუ ხალხში, მაგრამ მე მთელი ჩემის შეგნებით ვიბრძოლებ მაგათ წინააღმდეგ. თანამოაზრე ჯერ ბევრი მყავს...

ქალალდის თამაში შეაჩერეს

— იერიშზე გადასვლა სახიფათოა, პატივცემულო ნიკო!

— მჯერა. მაგრამ მე ხომ სოფლის ქეცერა მღვდელი არა ვარ, მარტო ჟამსა და დავითნზე აღზრდილი. სემინარია დავამთავრე, აკადემიაში ვსწავლობდი, ორწელიწადსაც რომ დავრჩენილიყავი ეპისკოპოზობა არ ამცდებოდა.. სოციალისტობაზე და მარქსიზმზე პირველი სიტყვა თუ სადმე ითქვა, ისევ სემინარიაში, მაგრამ მე იმ თავიდანვე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი მარქსიზმის და ასეთივე დავრჩები ბოლომდე. მე შეგნებულ მონარქისტად ვთვლი ჩემს თავს,

შეიძლება მე ღმერთი ჩვეულებრივ ისე არ მწამდეს, როგორც ბრნარქიის კვერთხი მწამს და მისი ტახტისადმი ერთგულება. სოციალისტები! ვიცნობ მაგ სოციალისტებს! ჩვენს გვერდით ისხდენ სემინარიაში. ჩემთან ერთად სწავლობდენ. აიღეთ ჩემი სახლიკაცი ისიდორე. მაგან უნდა უწინამძღვროს რუსეთის იმპერიას? სოფლის უჩიტელი... და იმპერიის მმართველი?!. სასაცილოა, ღმერთს გეფიცები! თუმც სოციალ-დემოკრატებში უკვე ორი მიმდინარეობაა, დანარჩენ სოციალისტებზე (ეს ესერებიო, ეს ფედერალისტებიო) ლაპარაკიც არ ღირს... მთავარი ძალა და საშიშროება ისევ სოციალ-დემოკრატებია... დიახ, ორი მიმდინარეობა, რომელიც ვინ იცის რა გზით განვითარდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია... ორივე მიმართულების მეთაურნი და მესვეურნი მეტ წილად სემინარიელი ბუნტოვშჩიკებია, „საეჭვო“ ყოფაქცევისათვის სასწავლებლიდან გამორიცხულნი...

უცხო სტუმრებმა შერვაშიძეს გადახედეს. ბლაღოჩინის „გამჭრიახობას“ და ენაწყლიანობას განცვიფრებულნი შეხვდენ.

— აიღეთ მენშევიკების ლიდერი ჟორდანია... ვინ არის იგი? აზნაური ინტელიგენტი... ჟურნალისტი, რომელიც ხალხის საერთო განათლებითა და ნაციონალური კაპიტალის განვითარების გზით (ასე ვკითხულობთ მის წერილებში) ფიქრობს სოციალიზმის დამყარებას. ამ გზას ადგანან: ს. ჯიბლაძე, ჩემი სახლიკაცი ისიდორე, კ. ჩხეიძე და სხვები. ბოლშევიკები კი,—აბა ღმერთმა ნუ იცის მაგათი ასავალ-დასავალი, მუდამ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ გაიძახიან.

— აიღე „მოსაუბრე“ — ფილიპე, ხელმოკლე მამა სასოებით ზრდიდა, მომესწრება, დამეხმარებაო და დახე, დიქტატურისტი არ გამოზარდა?! — მარქსის მოძღვრებას ჰქადაგებს, რევოლუციის მედროშე გახდა! მაგათში კიდევ ერთი გორელი ურევია, კობას ეძახიან, სემინარიიდან სამჯერ გარიცხეს... უშიშარია, შეუპოვარი და უტეხი ნებისყოფის. არც ციხე აშინებს, არც გადასახლება. ენაზე მუდამ პროლეტარიატის დიქტატურა აკერია და ლენინის ფორმულა გლეხობასთან ურთიერთობის შესახებ. ლაპარაკობს მტკიცედ და დამაჯერებელი ტონით. მასზე არც რეპლიკა მოქმედობს, არც ხელოვნურად შექმნილი ცილისწამება. ამას წინად ხიდისთავში მოხსენებას აკეთებდა. ბუდუც იქ იყო, ისიც იმათი ჯილაგისაა, უტეხი, ძვალმსხვილი პროპაგანდისტია. მენშევიკებმა რეპლიკებით აიკლეს იქაურობა, მაგრამ მომხსენებელს ფერი ვერ აცვლევინეს. ბოლოს წამოვარდა ჩემი სახლიკაცის ბესოიას ბიჭი, ნოე, წამოვარდა და სხვების წაქეზებით ხელოვნური არევდარევისათვის კობას საჯაროდ რა არ დაუძახა. ვიფიქრე, კობა ეხლა კი გაცხარდება და ამ ლაწირაკს აჰყვება მეთქი! თქვენც არ მომიკვდეთ, მან ერთი მწარედ გაიღიმა, ცალი ხელი მენშევიკების ჯგუფისაკენ გაიშვირა, მეორე ახალგაზრდა ნოეს მიუთითა და ხალხს მიუბრუნდა: „გესმის ხალხო, ვისი ენით და როგორ მეკამათებიან ეს ურცხვი ვაჟბატონებიო“. ხალხს გაეცინა პირტიტველი ბიჭის დანახვაზე, რომელიც პასუხის ღირსი მართლაც არ ჩანდა. გაწითლდა ნოე, გაბრაზდა და თავისიანებში გაერია

გულმოსული, მე კი მართალი მოგახსენოთ, გული ამიღრინდა: „ციმბირისაკენ ეს ქოსატყუილა სოციალისტები მეთქი!“ ლაპარაკითა და ლაყბობით ატყუილებენ ქვეყანას. მიმდევრები ბევრი ყავთ. სხვათაშორის გვაროვნულ ერთობასაც აქვს ადგილი პარტიაში შესვლის დროს. მაგალითად: რამიშვილებში ერთ ბოლშევიკს ვერ ნახავთ, ისიდორეს ხათრიზა ყველანი მენშევიკები არიან. ხიდისთავში კალანდაძეები-ბოლშევიკებია, ამაღლებაში დოლიძეები... ისე, რომ გურია აღარ ხუმრობს ახალთაობით. ის მოწინავე კუთხეა ამ მხრივ. რევოლუციონური მოძრაობა დღითი დღე იზრდება. მატულობს მისი გავლენა, როგორც გლეხებს შორის, ისე მუშებში. აქაც ამ თქვენს სამუშაოზე სოციალდემოკრატებს ძლიერი ორგანიზაცია აქვთ. ფრაქციებათ დაყოფა აქაც ემჩნევათ, თუმცა ჯერ გამწვავებული არ არის საქმე. ვნახოთ ორასმანეთიანი სოციალისტი როგორ გაამწვავებს მაგათ ურთიერთდამოკიდებულებას. გვარამაძე უხერხემლო ოპორტუნისტია. ნამდვილი ჩამოყალიბებული მენშევიკის ტიპი. მათ შორის საშიშია ლადარია და კასრაძე, როგორც თვითონ გვარამაძე ამბობდა წელან, მუშებში ორივეს დიდი გავლენა აქვს მოპოვებული. კასრაძეს მე კარგათ ვიცნობ-თქვენი მეზობელია ბატონო ქიშვარდი;

— დიახ მამაო!-დაუდასტურა შერვაშიძემ.

— მომზადებული მუშაა. ასოთამწყობია. ლიტერატურას ახლო იცნობს, მასთან თქვენს მეზობელს ჟღენტსაც აქვს კავშირი. ხომ იცნობთ, ხმელხმელი რომ არის, მაღალი... ისიც უტიფარი ვინმეა. ენამწარე და ფოცხვერივით ფეხმარდი, ადრე ამდგარი საღამომდე ოზურგეთში ფეხით ჩადის და ამოდის. კასრაძის გამოზრდილია... რევოლუციონური ნათლობა კასრაძემ გაუწია...

— მაშინ მე მართალი ვყოფილვარ პატივცემულო ბლაღოჩინო! თუ რევოლუციონური მოძრაობა ასეთ სერიოზულ ძალას წარმოადგენს, აქ მეტი წინადახედვაა საჭირო და ფრთხილი მიდგომა, დაპირდაპირებას მხოლოდ ხიფათის მოახლოვება თუ შეუძლია.

— არა, თუ გინდა, რომ ბრძოლაში სახელი მოიპოვო, ძალას ძალით უნდა დაუპირდაპირდე, გამარჯვება და დამარცხება ძმებია. არც ერთმა არ უნდა გაგვაკვიროს. საქმე ის არის რომელიმე ბანაკში გარკვეული ადგილი გეჭიროს.

— კი მაგრამ—არ შეიძლება განზე გავდგე და შორიდან ვუცქირო მოპირდაპირე ძალთა განწყობილებას?

— შეუძლებელი არაფერია, მაგრამ აკი მოგახსენეთ, თუ გინდათ, რომ რომელიმე ბანაკში თავს გრძნობდეთ საჭირო ადგილას, პირისპირ დგომაა საჭირო... მაგრამ ჩვენ ძალიან შორს შევტოპეთ სოციალისტებზე საუბარში, მთავარი კი გადაგვავიწყდა.

ბლაღოჩინმა უცხო სტუმრებს გადახედა, რომელნიც აქამდე ჩუმათ ისხდენ მაგიდის შორიახლო და ბლაღოჩინის ლაპარაკს გულგრილად ყურს უგდებდენ. ერთი მათგანი ნავთის მრეწველი არშაკ მანუკიანი იყო და არა შერვაშიძის ნათესავი, როგორც ეს გვარამაძეს გააცნეს: ბათომში კანტორა ჰქონდა, ილიმ-

ონებში ხელს ურევდა, მეორე უფრო ახალგაზრდა და გარეგნულად წარმოსადეგი ვაჟკაცი, არჩილ ამილახვარი, ბანკის მმართველი და მთავრობის ხალხში გავლენიანი პირი. შერვაშიძესთან ორივეს საქმიანი ნაცნობობა ქონდა. აღებმიცემობაში ერთმანეთი აწონილდაწონილი ჰყავდათ. იცნობდენ ერთმანეთს, განსაზღვრულ ჩარჩოებში ენდობოდენ და ანდობდენ. საქმეზე—შინაწვა ისინი შერვაშიძემ, ხეტყე ჩუმად დაათვალიერებინა, კონცესიისა და კონცესიონერის მდგომარეობა გააცნო. აუხსნა კონტრაქტის პირობები და საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მივიდენ... ივნისამდე შერვაშიძე შეეცდება კონცესიონერს არ მისცეს საჩივრის საბაბი პირობის რომელიმე მუხლის დარღვევით, ელიოტის ხარჯით ახლო ხანში მოიწვევს შერვაშიძე მთავრობის წარმომადგენლებს და კერძოთ მეფის მოადგილის თანაშემწეს გენ. შირინკინს, გამართავს მასთან წინასწარ მოლაპარაკებას კონცესიის ჩაშლის შესახებ, მაისის ბოლო რიცხვებში ხელს შეუწყობს მუშებს გაფიცვის მოწყობაში... რის შემდეგ კონცესიონერი იძულებული გახდება პირობების შეცვლა მოითხოვოს, მთავრობა ნაცვლად შემსუბუქებისა გაუარესებულ პირობების პროექტს წარუდგენს. კონცესიონერი არ დათანხმდება... დასტოვებს ყველაფერს და გაიქცევა, კანტრაქტი დაჰკარგავს სამოქმედო ძალას და გაყიდული ტყე, მცირე კომბინაციით ისევ თავადაზნაურობის ხელში დარჩება. ამით თავადაზნაურობაც მოიგებს და შერვაშიძეც მადლიერი ეყოლება. შერვაშიძე კი მანუკიანთან, ამილახვართან და ბლაღოჩინთან ერთად ხელს მოითბობენ ინგლისელის დაწყებულ საქმეზე. ნიკო ბლაღოჩინს სინოდში დიდი გავლენა აქვს, სინოდის ერთი წევრი, კაცი მეტად გავლენიანი, ახლო იცნობს საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარეს. რომ საჭირო გახდეს საქმე რიგიანად გაიჩარხება, ეარდა ამისა ბლაღოჩინს ტყეში წილი აქვს, საბრუნავ თანხებსაც გააჩენს, ბლაღოჩინი ამიტომ... კონცესიონერის გაკოტრებისა და სურებიდან გაქცევის შემდეგ ხეტყის საქმეს ხელში ჩაიგდებენ, შერვაშიძე, მანუკიანი, ამილახვარი და ნიკო ბლაღოჩინი.

— მოდის—დაუდასტურეს ერთმანეთს სტუმარმასპინძლებმა და ოჯალეშის წვენს დაუბრუნდენ.

— ქერიმ დამისხი!—იძახდა გათენებისას შეზარხოშებული შერვაშიძე და ნიკაპზე ცვარ-ცვარად ჩამოდიოდა ყანწის პირიდან გადმონაჩქეფი ოჯალეშის წვეთები.

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ბეგლარის სამეგრელოში დაბრუნებამ საგონებელში ჩააგდო ნათელა. მთელი დღე გულაყრილი დაბორიალობდა, პირში ლუკმა არ ჩაცდენია; დადარდიანებული ოდას არ სცილდებოდა, ვითომ ოთახებს ალაგებდა; ნამდვილად კი ლადარიას ოთახში იდგა, მის ტანსაცმელს უალერსებდა, ბეგის ყმაწვილობის სურათს გულში იხუტებდა, ჰკოცნიდა, თვალებში ჩაჰყურებდა.

სურათშიც ვაჟკაცურათ გამოიყურებოდა ლადარია, მუშტის ოდენა თვალები სადღაც შორს იცქირებოდენ...

„ნეტა ვის დაეძებს? საბედოს თუ... მაგრამ ბეგლარი ხომ ახალთაობის კაცია“. — მძიმედ ამოიოხრა ნათელამ და სურათი ისევ გულში ჩაიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნათელა! — მოესმა დაღამებისას ხოსიას გამწყრალი ხმა.

— რა იყო?

— ვახშამი არ გინდა, გეტყვიმე!

— არ მინდა.

— რა მოგივიდა, გოგო, შენ დღეს!?

— არ მინდა, მადა არა მაქვს, — გაიმეორა ნათელამ და სამზადისში შესული სუფრის შორიახლოს დაჯდა.

— დიდება შენდა უფალო! — გამოისახა პირჯვარი ნათელას დედამ — დაღამდა აგერ და პირში წყალიწმინდა არ ჩასვლია. გახმები გოგო უჭმელ-უსმელი.

მერე ისევ მოეფერა.

— ჭამე დედაშენი ნუ მოგიკვდება... ხოსიას გაფიცებ, ხოსიას!

ნათელას საფიცრად ეხლა ხოსია აღარ ჰყავდა, მისი ადგილი უკვე სხვამ დაიჭირა, მაგრამ დედას ხათრი არ გაუტეხა, ჭადის კიდე მოტეხა, ერთი ნაჭერი შაშხი აიღო და სიცხიანივით ლოღნა დაუწყო.

— ღვინო ჩააყოლე, შვილო, ღონეზე მოგიყვანს — უჩიჩინებდა ნათელას დედა ივდითი და ნათელა, ნაძალადევად წრუპავდა ცეცხლივით ღვინოს.

ნავახშმევს ნათელამ კაბა გამოიცვალა, პოლსაპოჭკები ჩაიცვა, თავი გაზით წაიკრა და გულის ამოსარეკად ეგვიტოსას გასწია ბურდღის საწეწელში.

ეგვიტოს მთელი წლის თავნაყარი ბურდღა ჰქონდა გასაწეწი, ზოგი თავისი, ზოგი მეზობლებში ჩამონათხოვარი... თოვლსა და ყიამეთში იჯდა ეგვიტო ნადით თავის ფაცხაში, ბურდღასაც წეწდა და ზამთრის მოწყენილ დღეებს მხიარულებაში ატარებდა.

— ო, მ იდრაგუნდა ჩემი სასახელო გოგო! — ღიმილით შეეგება ეგვიტო ნათელას მოსვლას, — მამლის გირჩევნია, ნათელა, თუ დედლის, — შეეკითხა ეგვიტო და ხელი გაიცალა.

— დაიწყო მისებური.

— ბეჩა, მამლის ბურდღა გირჩევნია თუ დედლის მეთქი! ცალკე მაქვს გადარჩეული. — იმართლა თავი ეგვიტომ.

ნათელა ფიქრებმა გაიტაცა... ცდილობდა, მოწყენილობა არავის შეემჩნია, მაგრამ ყარყუმ ეგვიტოს რა გამოეპარება?!

— ერთი ამას უყურე, როგორი ატრუცუნებულია! — წაჰკრა ეგვიტომ ნიდაყვი მეზობლის ქალს მართას, ნათელა რომ დაფიქრებული და მოწყენილი შეამჩნია — გულის ჯავარი სამშობლოში გაისტუმრა და ხედავ, როგორ აღრეკილია?!

ნათელა გაწითლდა.

— კაი, ეგვიტო, ნუ გიყვარს ჩემი წვალება. — დაიმორცხვა მან და თავი კალთაში ჩარგო.

— შენი წვალება ვის შეუძლია, წავხთი! — გაიკვირვა ეგვიტომ — ლომს რომ ფაფარში ჩააფრინდეს ქვეყანას შემოაჭენებს, ისეა გაფრიწინებული აი მიწაგასახეთქი!

— რას ერჩი ბეჩა! — შეიცოდეს ნათელა დედაკაცებმა.

— ჩემისთანა მაჩივარ-მაწყევარი ნუ მოაკლოს ღმერთმა ნურც ჩემ შვილებს და ნურც ნათელას, ენის მოქავება მიყვარს, თვარა ჩემისთანა გულშემატკივარი შინ არ ჰყავს მაგას, ისე ეგვიტოს აქვს გახარება მისი შვილების კარგათ ყოფნით. ნათელას რომ შევხედავ გინდა ჩემი ივლიტე მენახოს... კაი გოგო, შინ ჭირიმე, კაი თვალტანადი, მაგრამ კაი ტოცორი ყაზახიც კი ჩაიგდო ხელში... ისე მოგოელავს ჩემო ნათელა, როგორც საჩოხე შალს.

— ამყრალდა ისევ.

— გამოურია მისებური.

— აყარყუმდა მაგი ენადასამიწებელი. — ახითხითდენ დედაკაცები და ეგვიტოს ყარყუმობით ვითომ დამორცხვებულებმა ერთმანეთს მუჯლუგუნი წაჰკრეს.

— წავალ შინ ღმერთმანი! — აკაპასდა ნათელა და გაკაწრულ გულში ლადარიას შესახებ ფიქრებმა კიდევ უფრო დაისადგურა.

— დავჩუმდები, ენაზე კბილებს დავადებ, ოღონდაც შენ ნუ გამიწყრები, ჩემო ნათელა! — შეემუდარა ნათელას ეგვიტო და ისევ სიცილი აიტეხა.

— ლაპარაკს ვინ გიშლის... რაღა ჩემზე მოიცალე.. — განგებ მწყრალად სთქვა ნათელამ, თუმცა გულში უხაროდა, როცა ლადარიასა და მის სახელს ერთად იხსენიებდენ. „ვინ იცის ამიხდეს კიდეც ამდენი ხუმრობა და შეძახილი“ —ფიქრობდა ნათელა და ბეგის ყოველ მოგონებაზე თვალები უბრწყინდებოდა. „მაშ ისე გაღიმებული რად მიცქეროდა დღეს? რატომ ღელავდა, როცა ჩემს ცრემლებს მოჰკრა თვალი? არა... ბეგლარს მე... მოვწონვარ... მოვწონვარ მაგრამ... ნეტა როდის ვიქნები ისე ბედნიერი, რომ მე და ბეგლარი ოჯახს მოვეკიდებით და საკუთარ კერას გავიჩენთ?!! ნუთუ დამიწუნებს“?!

ნათელას გააჟრჟოლა, ფიქრებში თანდათან უფრო ღრმად შეტოპა და ბურდღის წეწა სულ დაავიწყდა... ბატის ღინღლი ხელში შეაცივდა.

— ნიძლევს ჩამოვალ თუ ეხლა იმ ცხეხიპარია მეგრელზე არ ფიქრობდეს. აყარყუმდა ისევ ეგვიტო და ცეცხლზე ბალის შეშა წამოუმატა.

— ღმერთო მომკალი, ბალის შეშა ვინ გაიგონა ეგვიტო, იბრძნიან ბეჩა, მისდღემჩი ცეცხლზე არ მიმიკარებია, — გაიკვირვა მართამ, როცა ეგვიტომ ბალის დაპობილი ლანდურები შუაცეცხლზე დააყარა.

— ნახე როგორ მოეკიდოს — უპასუხა ეგვიტომ და განაგრძო. — მამაგიცხონდა, სარჩევი შეშა სადღა მაქვს, რომ ძველ ცრუმორწმუნეობას ყური ვუგდო. რამ გაარჩია ბალი და თხმელა, ან წაბლი და წიფელა?

— არც წაბლის შეშას ხმარობდა მამაჩემი.

— ტკაცუნი იცის და იმიტომ არ ხმარობდა... სხვა ეშოვებოდა და წაბლსა და ბალს გვერდს უვლიდა. ქვეყანა შეშად იყო და რა ენაღვლებოდა. ეხლა შემამაცხონებულო სარჩევი კი არა იმ ხელმადლიან ხოსიას, რომ ეს ბალი არ მოეჭრა, უშეშოდ დავრჩებოდი,

— კახამბალი მოსჭერი, ეგვიტო, თუ შავი ბალი.

— კახამბალი ვერ მოვიმეტე, შავი ბალი მოვსჭერი, ცოტა ღრუიანიც ქე იყო,

— ღრუიანი რომ ყორიფელი მოსპონ... ბეჩა...

— მაშინ ჩვენ რაღა გვეშველებოდა, არა. — წამოეხმარა ეგვიტო მარინეს, რომელმაც ეგვიტოს მიბაძა ყარყუმობაში, მაგრამ ენა წაუბორძიკდა და ისევ ეგვიტომ დააბოლოვა მარინეს დაწყებული წინადადება.

— ვაი შენს ნათელას მაშინ — დაუმატა ეგვიტომ.

— ვაი ჩვენ ქალებო, ნათელას ჯერ კიდევ რა უჭირს.

— მოასვენეთ ბეჩა მაი გოგო, მისი გაჭირვება ეყოფა საცოდავს. — მოუსვა თავზე ხელი მართამ.

— საცოდავი რად არის. მაგაზე ბედნიერი ორი არ მეგულება ჩვენს საპრისტაოში. თვითონ კარგი გოგონაა, საქმრო კარგი ჰყავს, კაი ოჯახის და დედმამის შვილია, ჯანსაღი ჩამომავლობის. ვერ უყურებ ბროწეულს უგავს ლოყები, შაურიანის სიფართე თვალებს აბრიალებს, მაგის ბადალი ლომისკარელის ეკლესიაზე არავინ გამოდის. ჩემი დრიქიანი გოგო. — შემოჰკრა ეგვიტომ ხელი სირბილეზე და გვერდებში შეუღიტინა — რავა კუპატავითაა გატკიპინებული, წკიპი რომ ჰკრა გასკდება,

— კაი თუ ღმერთი გწამს, კაცი არ ვარ, მაგრამ სისხლი ამითამაშდა, — აჰყვა ეგვიტოს ყარყუმობაში ილიკოს ცოლი მარინე, რომელსაც ეგვიტოსთან კაი მეზობლობა და ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდა.

— აგითამაშდა თვარა შენმა სიცოცხლემ გული არ დაგვიხეთქო შენი ვაჟკაცობით. ერთი გატეხილი ქოთანი შენ ხარ და მეორე მე... რით გვაშინებთუ იცი? ქალებმა ფხუკუნი შექმნეს.

— უი, შენ გაგიხმეს მაგი მყრალი ენა...

— ო, შე ენა გასახმობო შენ — ტკარცალებდენ მარტოობით გათამამებული ქალები და ფაცხას ხმაურობითა და ხმამაღალი ლაზღანდარობით იკლებდენ.

ნათელაც გამხიარულდა, მისი უდარდელი კისკისი შორს, მეზობლებში ისმოდა.

— ბეჩა, არ მოვიჯაყოთ, არ გვიდარაჯებდეს ვინმე.

— იმას კი ვადარაჯებ თუ მოვუდგინე წელი კარის ურდულით — თითქო მართლა ვინმეს გასაგონათ სთქვა ეგვიტომ და თვალები გადააბრიალა — მოდარაჯება რა ვაჟკაცის საქმეა... რაცხას ორპოტიკე ქალები მისთვის ბრუშუნობენ მაგის მიყურადებას რაზვა იკადრებ, რომ კაცი ვიყო და შარვალი მეცვას?

— ო, გაგიხმა მაგ შარახვეტია ენა, შე მყრალო შენ! — მოუსავდა სიცილით მარინეს და სკამიდან დაცურდა.

— ნუ იპარჭყები დედაკაცო, არ გადაგვართვა სურათი ამ შუალამეზე.

ქალები ისევ აფხუკუნდენ, სულმოუთქმელად დიდხანს იცინეს და ბოლოს დაწყნარდენ.

დაწყნარდა და დაჩუმდა ეგვიტოც. ის ახლა იმაზე ფიქრობდა ნადს რით გამასპინძლებოდა ბურდღის წეწის შემდეგ.

შუალამეს გადასული იქნებოდა, როცა ნათელა შინ დაბრუნდა და ტკბილ ოცნებაში გართული საბანში გაეხვია.

* * *

მიდიოდა დღეები და ნათელას გულს დარდი ეკიდებოდა. მთელი დღე ბეღურასავით აფხორილი იჯდა და რაღაცას გლოვობდა. წინანდულად არც

ცელქობდა არც ხტუნავდა, არც მეზობლებში სიარულის ხასიათზე იყო. ეგვიტოსთან სიარულსაც უკლო მან ბოლოს.

ერთ საღამოს თავი მოიავათმყოფა და უვახშმოდ დაწვა. დაწვა, მაგრამ არ იქნა არ ჩაეძინა. შამფურივით ტრიალებდა ნათელა ლოგინში, ეუმყო-მომავალზე ფიქროდა, ფიქრობდა ბეგლარზე, ბეგლარის მომავალ ცხოვრებაზე: „ვაი თუ როდისმე გადიდკაცდეს და აღარც კი შემომხედოს... სოფლის გოგო მიწოდოს. უსწავლელი, გაუნათლებელი, სურებში რა განათლება უნდა მიმეღო? სამრევლო სასწავლებელი ძლივს დავამთავრე... ვაი თუ ციხეში ჩააგდონ და მზის შუქი მოანატრონ, ან შორეულ ციმბირში გადაასახლონ. ჩემი ბიძაშვილი აფრასიონიც იქ არის გადასახლებული, გულსაკლავ წერილებს იწერება, ათასგვარ გაჭირვებას... იქნებ გაიქცეს ტუსაღი ბეგლარი და გაქცეულს ესროლონ... ნათელას გააჟრჟოლა. რომ ესროლონ და მოჰკლან... მაშინ, მაშინ, ხომ...—ნათელას ტირილი მოუნდა ძარღვები დასჭიმა და ორი ობოლი მარგალიტი თვალებიდან ამოიგორა.—მაშინ ტირილი ვისღა უშველის!!. ღმერთო! ეს ხომ შეუძლებელია, არწმუნებდა თავის თავს ნათელა.

„არა რა დავაშავე ისეთი?.. ვერ ისვენებდა ლოგინში ნათელა—ბედმა ასე რად უნდა გაგვწიროს, რომ ერთად ცხოვრება დასაწყისშივე მოგვეშხამოს?! ხანშესულები რას არ აიტანდენ, მაგრამ ახალგაზრდები?! ახალგაზრდები რომელთაც ჯერ კიდევ არ მოყირჭებია ერთმანეთის ცქერა და ალერსი. რა უსამართლობა იქნება, რომ ბეგლარი... არა...—აქ ნათელა განგებ წერტილს სვამდა. ფიქრების გაგრძელებას განგებ ამოკლებდა.—ჩემი ბეგი, ბეგლარი... იზმორებოდა ძილმორეული ნათელა და თვალების გახელით ებრძოდა ცალკე ფიქრებსა და ცალკე მოპარებულ ძილს.

გვიან ჩაეძინა ნათელას. ძილში სიზმარი ნახა. შიშისაგან გამოეღვიძა. თვალი მოხუჭა და სიზმრის გამეორება სცადა.

„აგერ ბეგლარი მოაჭენებს ლურჯა ცხენს. ცხენს ლურჯი სამკაულები ამშვენებს. ტანზე ლურჯი, უფრო ცისფერი, ჩოხა-ახალუხი აცვია. თავზე ყვავილების გვირგვინი ადგია ლურჯ ყვავილებში. გაღიმებულია. ბეჭებზე ყაბალახგადაგდებული... მოაჭენებს ლურჯას და ნათელას შეჰხარის.., მიუახლოვდა. ნათელა აიტაცა, ცისფერ აბრეშუმში გაახვია... ცხენს დასჭყივლა და... უცებ ცხენმა წაიფორხილა“.

ნათელას გამოეღვიძა. თავს ძალა დაატანა, ბურანში გაეხვია და ეხლა სიზმრის ასეთი გაგრძელება ნახა:

„მიჰქრის ლურჯა ცხენი თვალუწვდენ მინდორში და ატატებულ ნათელას ბეგლარი გულში იხუტებს. მისი ტანის სითბო სწავს უმანკო ქალის ტანხორცს, მისი სუნთქვა ყურში უქშიტინებს... მიჰქრის იორღა. მინდორს დასასრული არ უჩანს. რა ბედნიერია ამ დროს ნათელა. ბეგლარის მძლავრ მკლავებში მოქცეული უდარდელად მიჰქრის დაუსრულებელ სივრცეში...

მოიქანცა ლურჯა ცხენი... მოიქანცა მხედარი და ბუმბულივით გატაცებული ნათელა სულს ძლივხღა იბრუნებდა... უცებ ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი... ატყდა საშენელი ჭექა-ქუხილი. წვიმა და სეტყვა ერთმანეთში აერია... იელვა... აქუხდა მეხი მახლობელ ნიგვზის კენწეროზე. დაფრთხა ლურჯა. გა-

ქანდა და... ნათელა ბალახებში გაიშხლართა. თვალთ დაუბნელდა და გრძნობა დაჰკარგა. როცა მოსულიერდა მშვენიერი დარი იდგა, ბალახი საამურად ბიბინებდა სიოს წამოქროლებაზე, გამგელებული იორღა ბღუჯაბღუჯა იტენიდა პირში ლონთქოშო ბალახს, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბეგლარი აღარსად სჩანდა".

ნათელას შიშით გამოელვიძა. გული საცეხველივით უცემდა, გაჭირვებით სუნთქავდა..,

„ეს რა სიზმარი იყო"?—ეკითხება ნათელა თავის თავს და შიშით კანკალებს. არ იქნა აფორიაქებული გული ვერ დაიწყნარა, დაძინება გაუძნელდა. თვალში რული არ მოეკარა, გათენებისას როგორც იქნა ჩასთვლიმა და ძილმოკლებულმა მეორე დღეს მოგვიანებით გაახილა თვალები.

მზიანი დღე იდგა, თოვლი დნებოდა და სახურავებიდან გამოვარდნილ წვეთებს საწვიმარში ტყაპუნი გაჰქონდა.

ნათელა ლოგინიდან წამოიჭრა. შერცხვა კიდეც თავის სიზარმაცის... უცებ წუხანდელი სიზმარი მოაგონდა და გუნება შეეცვალა, მუხლები მოეკრა და მეორე ოთახში, კაბის გამოსაცვლელად აკოჭლებული გავიდა. ბეგლარი შინ არ ეგულებოდა და არავის აღარ მოერიდა, საცვლებისამარა ტანისამოსის განჯინასაკენ გაემართა,

ნათელამ კარი გააღო, რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფარდა ახადა, ფანჯრიდან აივანზე ბეგლარის ნაბადი დაინახა... შეჩერდა. უკან მოტრიალდა, ბეგლარის საწოლს თვალი გადაავლო და სიხარულისაგან კინაღამ ხმამაღლა დაიკიჟინა. აცქმუტდა და აიღეწა გახარებული ნათელა.

ფიცხლავ ჩაიცვა მან ტანზე და თმაპირშესწორებული ისევ ბეგლარის ოთახში დაბრუნდა.

ბეგლარს ეძინა. ოდაში აღარავინ იყო. ხოსია სამუშაოზე წასულიყო. ნათელას დედა ივდითი სამზარეულო სახლში რაღაცას ფუსფუსებდა.

ნათელა ბეგლარის ტახტს მიუახლოვდა.

წვერმოპარსული ბეგლარი გამოცვლილი ეჩვენა.

— რად გაიპარსა წვერი?! უხდებოდა".— გაიფიქრა ნათელამ და მძინარე ბეგის სახეზე დააკვირდა.

„რა დანისლული სახე აქვს?! თითქო მოღუშულია და წარბშეკრული: ღიმილის ნატამალი არსად უჩანს ამ სიფართე პირისახეზე. ვაკოცო"?!— აილეწა ნათელა ბეგლარის მოღეღილ მკერდის დანახვაზე.—„სირცხვილია. რას იფიქრებს?!".

ბეგლარმა ძილში გაიწოდინა.

ნათელა შეკრთა და უკან დაიხია—თავზემდგარს თვალი არ შემასწროსო,

ნათელას ფეხის ხმაზე, ბეგლარს მართლა გამოელვიძა. ნათელაა თვალი მოჰკრა და მკერდზე დაცურებული საბანი ნიკაპზე მოიბჯინა.

— დილამშვიდობის, ქალიშვილო!—მორცხვად მიესალმა ბეგი ნათელას.

— მომილოცავს კაი მგზავრობა.—უპასუხა გაწითლებულმა ნათელამ.

— კარგი არა, მაგრამ ცოცხალი რაკი დავბრუნდი...

— როგორ ცოცხალი... რა მოხდა?—წათამამდა ნათელა.

ბეგლარმა მწარედ გაიღიმა.

— შენ მამით ობოლი ხარ, ნათელა... მე კი დედაც დავმარხე..

ნათელა შეწუხდა. „შენობით“ მიმართვა არც კი შეუმჩნევია.

— საცოდავი... დახარა თავი ნათელამ სამძიმრის ნიშნად.—თქვენ რაკი შვიდობით იმგზავრეთ...—დაუმატა მანვე და წინადადება აღარ დაასრულა...

— ამცდა, თორემ შეიძლება აღარც მე დავბრუნებულიყავი, ნათელა!

— რა აგცდათ?—გულუბრყვილოთ იკითხა შეშინებულმა ქალმა.

— ცხადია ტყვია.—გაეცინა ბეგლარს.—მესროლეს.. ცოცხალი გადავრჩი.

— ღმერთო! ვინ გაგიბედათ?!—ნათელა სკამზე ჩამოჯდა.

— ზოგი ბოქაულმა, ზოგი კიდევ ძმამ.

— ძმამ?—მოიპოტნა ლოყები შეწუხებულმა ნათელამ.

— ასეა ჩემო კარგო! ვე რომ ხოსიასთანა ძმა მყოლებოდა...

ნათელას გააჟრჟოლა. ბეგლარის საუბარის კილო გულს მოხვდა და იმედის ნაკადი გულში ჩაეწვეთა.

— ჩემი ძმა ვეფხის ჯიშისაა... მესროლა. გაქცეულს მესროლა და საუბედურად ამაცდინა.

— სამაგიეროდ...—ველარ მოითმინა აღელვებულმა ნათელამ.

— სამაგიეროდ ჩემი განასროლი ტყვია მარცხენა მაჯაში შეინახა და გულშეწუხებული მიწას დაასკდა.

— მოკვდა?!

— არა. დაიჭრა მხოლოდ.

— დედა?

— დედა კი დაუმარხავი დავტოვე. მეზობლების და თანამოაზრე ამხანაგების ანაბარა. ეჰ, ასეთი შვილი... არა, ნათელა?—დასცინა თავის-თავს ბეგლარმა და ნათელას ღიმილით შეატყდა თვალებში.

— რატომ დატოვეთ?!—გულუბრყვილოთ იკითხა მან, რადგან ვერ გაიგო ბეგლარის გადაკრული სიტყვის მნიშვნელობა.

— შენ ისა სთქვი: ძმამ როგორ გაგიმეტა, თორემ...

— ააა!—ახლა ნათელასთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა.—მართლა კინალამ გადავიწყდა, ღმერთო რა საშინელებაა!

— ერთი სიტყვით ჩემი ცხოვრება სამუდამოთ შეირყა, ნათელა!—ნიშანდობლივად ჩაუკრა ბეგიმ ნათელას.

ნათელას გული აუჩუყდა. ტირილი მოერია და მეორე ოთახში გასვლა დააპირა.

ბეგლარი გაოცდა ნათელას ასეთ საქციელზე, დაფიქრდა... თავის ნაამბობს მეხსიერებაში თვალი გადაავლო და ისეთი გულამაჩუყებული ვერაფერი შენიშნა. ბოლოს ასე დაასკვნა: „ალბად... ჩემი უკანასკნელი სიტყვა თუ არ მოეწონა. „ჩემი ცხოვრება შეირყა მეთქი“! დიახ, ასე უნდა იყოს“.

ნათელა კართან შედგა.

უკან მოიხედა და ბეგლარს ცრემლიანი თვალებით გაულიმა.

ბეგლარმაც ღიმილით უპასუხა.

— არსად წახვიდეთ. დღეს მე თქვენთან ძალიან ბევრი სალაპარაკო მაქვს. ძალიან ბევრი...

ნათელამ კარი გაიხურა. ეზოში გავიდა და აფორიაქებული სამზადისისაკენ გაეშურა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვალერიან გაფრინდაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლიუციის წარსულიდან

რევოლიუცია ასრულებდა
სხვა და სხვა როლებს:
ის იყო გმირი
და პატიმარი;
ის ატარებდა მრავალ სახეს,
იხდიდა ბრძოლებს,
მუდამ დინჯი და
გაუღიმარი.
იმალებოდა სარდაფებში—
ჯანყის მდომელი,
და—გონიერი თავს შეშლილად
ის ასაღებდა.
მ-სი ნაბიჯი იყო მტკიცე
და გაზომილი:
თავის მარჯვენით
ის მომავლის
კარებს აღებდა.
და უსახლკარო—
ის ითევდა
ქუჩაში ღამეს,
აწყობდა სტამბას.
ფარულ ბინაში;
პირსისხლიანმა ჯალათებმა
ბევრი აწამეს,
მაგრამ ის იდგა ქანდაკებად
მტარვალთ წინაშე.
იგი ციმბირში
ატარებდა ახალგაზრდობას
და ხშირად იყო მიჯაჭული
მთელი სხეულით;
იგი უწევდა აჯანყებულ
სოფელს სარდლობას,
გამოუცნობი,
ახლობელი და შორეული.

სპილოს ძვლის კოშკზე
არასოდეს არ უფიქრია,
იყო სამსხვერპლო მისი კოშკი
თვით სახრჩობელა.
ბევრი გმირები
სასიკვდილო ნისლში
მიჰქრიან:
მათ ოცნებისთვის
ეს ქვეყანა
ვიწრო ყოფილა.
ის დადიოდა ნიღაბებით,
დაუმონები,
დემონსტრაციებს განაგებდა
უჩინარ ხელით.
გამოიყვანა ქარხნებიდან
ლეგიონები,—
არვინ იცოდა
მისი სახელი.
ხანგრძლივი იყო
ჭერ-ქვეშ ბრძოლა
და მუშაობა—
რევოლიუციის მიწის ქვეშ დენა,
მაგრამ ცხოვრება გადაიქცა
ზედმეტ ჭაობად—
საჭირო იყო დაუქრობელ
ცეცხლის გაჩენა.
როცა მოვარდა ოქტომბერი
ქარის სისწრაფით,
როცა უსმენდენ
მას მუშები
თრთოლვით, ცახცახით,
რევოლიუციამ მოიგლიჯა თავის ნიღაბი
და გამოცხადდა ლენინის სახით!

ტიციან ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი

ყური უყრია მუხრანზე ბალხს,
დაბრუნებია მერცხალი ბუდეს.
გაუწყვეტია ფაცერი კალმახს,
შავი არაგვი თეთრ არაგვს უტევს.
მთა მიყვება მთას—მთა მთას აწყდება,
სდგას ლანქერების კორიანტელი.
თვალებს ცრემლებად ვეღარ გაწვდება,
რომ იყოს თერგი ორი ამდენი.
ვარ მოპარული ლამის ყანიდან,
ვარ—ლეკების ტყვე გურამიშვილი,
თუ რამე მიმაქვს ამ ქვეყანიდან—
ბედნიერება ეს უსაშველო.
რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა,
და კალმად კიდევ მინა რხეული,
თუ, ამ მღვირე მზით გული გაგითბა,
თუ ამ ერუანტელს იგრძნობს სხეული.
უყელეს ყელი გამოალადრეს
და აუბნიეს ლექსის გზა-კვალი,
მაგრამ გათელავს ამ კლდესა და ღრეს
ბარათაშვილის მერანის ნალი.
ცა ცას ადნება, მყინვარი მყინვარს,
ბედნიერებას თოკავს ალერსი
და დაეწევა ორბების შურდულს
მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი.

მეწყერი მეწყერს

გაელავს, დაჰკრავს მეხი მეხს მწვერვალს,
მთა ტიტველია არ აქვს საფარი,
თვითონ მეხია და თვითონ ელავს,
როგორც შამილის თეთრი ფაფარი.
ნეტა თუ სადმე ხარ ძე კაცისა
ამ უკვდავებას ქედს არ უხრიდე?
თუ გაწყდა ძარღვი სიმამაცისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ცოცხალი ვარ ერთი მჯურიდი.
ვარ დაფრენილი ორბისგან გნოლი.
და არ იკარებს გული სალავათს,
ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი—
ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს.
ვარ გათელილი ლეკის ნაბადი,
ყველა სახსარი მაქვს დალეწილი,
მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე,
და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი.
რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა
და კალმად კიდე მინა რხეული.
თუ ამ მღვრიე მზით გული გაგითბა
თუ ამ ჟრუანტელს იგრძნობს სხეული.
მეწყერი მეწყერს, ლანქერი ლანქერს.
კლდე კლდეს ასკდება, ზვავს ღუპავს ზვავი.
ცა მოწყალებით თავზე დამცქერის.
არ მემეტება მოვიკლა თავი.

წინათ თუ ერთი იყო მთრეხელი

თავისუფალი იყო და არი
წინაც და ეხლაც თვითონ მყინვარი,
თავისუფალი იყო და არი,
თერგი, არაგვი და დარიალი.
თავისუფლება არ აკლდა ღრუბლებს,
თავისუფლება არ აკლდა არწივს.
სხვისი ბრძანებით ამ ულრან მთებში
არც მეხი ურტყამს, არც თოვს და არც წვიმს.
თავისუფლება მხოლოდ ხალხს აკლდა
მონობის ედვა მძიმე ულელი,
თავისუფლება რომ აქ დასახლდა
ჩვენი თაობა ამას უმღერის.
რომ ერისთავი ერისთავობით
და სიამაყით მყინვარს წვდებოდა
და თან შიოლა ღუდუშაური
ერისთავობას ედავებოდა.
—შიოლა ღუდუშაურო
სკამს იჯექ ერისთვისასა,
აქამდე სჭამე აჩხოტი,
ეხლა მე გაჭმევ ქვიშასა.. —
იკმარა ხალხმა წამება ტყვილად
და გამოიღო საომრად ხელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ათასია ეხლა გულადი
წინათ რომ ერთი იყო მთრეხელი.
დარიალიდან ღართისკარამდე
და ან სანამდე თვალი მიუწვევს
სოფლიდან სოფლად, აულით აულს,
ახალ ცხოვრებას ეყრება ფუძე.
თავისუფლება წინაც და ეხლაც
არ აკლდა მყინვარს, თერგს და დარიალს.
თავისუფლება დღეს ხალხს იახლა
და ყველა აულს სხივით დაიარს.
ყველა არაგვის და ქსნის ერისთავს,
ყველა ნუგზარს და ღუდუშაურებს,
სისხლის წვიმების ცოდვა რომ ტვირთავს,
მიწას აჭმევს და ქვიშას შეურევს.

ახალი ათონი, 1932 წ.
აგვისტო.

როდიონ ქორქია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგალი

დასასრული *)

9

სოფლის ბოლოს, სადაც ტყე იწყება, გზა მეორე სოფლისაკენ უხვევს. ტყის დასაწყისს პატარა ვაკეა. ვაკის ბოლოს, სადაც ტყე ბრიალებს, ორი დიდი მუხა დგას. ერთს ტოტები ისე გაუშლია, თითქოს დედამიწისთვის კალთა გადაუფარებიათ. მეორე კი შუაზე გადაუტეხია მეხს. ქარი ჰქრის და ტყე ბრიალებს.

მუხებს ქვეშ თივაა გაშლილი. მუხის გასწვრივ ორი ჭიგოა ჩარჭობილი მიწაში. ჭიგოებზე და მოტეხილ მუხაზე ჭოლოკია გადებული, ზედ ჯოხებია გაწყობილი. ჯოხებზე თხმელას ფოთლოვანი ტოტები და ქვერი ყოველგვარი. ასეთია ალექსი შავდიას კარავი. აქ უნდა გაითიოს ღამე. დილით ალექსი წავა და მეზობელ სოფელში ურემს დაიქირავებს. ხვალ ქალაქს გაიხიზნება.

კარავში კესა წევს, სიკვდილს ეძახის, და სიკვდილი კი არ მოდის.

ქარი ისე სისინებს ხეებში, თითქოს უშქარ გველთა გროვას ენა გამოუყვია და სისინებსო. ასე ეჩვენება ალექსის.

კარვის კუთხეში მაცხოვრის ხატი ჰკიდია, ხატი კესას ნამზითვარია, იოსელიანისეული, გვაროვნული.

შალვა უყურებს ხატს, დედას, მამას, ცას, და ბოლოს:

— შეგვიწყალენ შენ, უფალო, დიდითა წყალობითა შენითა!

ალექსის არ ესმის დაცინვის კილო და შემოსწყრება:

— რა უფალო, რისი უფალო! მაგისი მომგონი და მაგისი გამჭედი!—უცებ ეცა ხატს, ჩამოიღო, ხელში დაიჭირა, თვალი დაუმიზნა:—სამოცი წელიწადია მაგას ვლოცულობ. სამოცი წელიწადია მწამდა, ახლა კი ხომ ხედავ როგორ გადამიხადა.

— უფალმა მომცა, უფალმა მიმიღო.—წყნარის ხმით, თითქოს ეს ხმა სიჩუმის ძირიდან მოდისო, ამბობს კესა.

— უფალს არა მოუცია რა ჩემთვის. ჩემმა ხელებმა და ჭკუამ მომცა. რა უფალი, რისი უფალი!

— ღმერთს ნუ სცოდავ, ალექსი! დიდი ცოდვა მიგიძღვის ღვთის წინაშე. ახლა მაინც მოინანიე.—არიგებს კესა.

---

*) იხ. მნათობი № 7.

— რა ცოდვა, რისი ცოდვა! სახლი წამართვეს, კარი, ქონება... ჩემი ნაშოვნი სოფელს უნდა დაურიგონ. არა გამომატანესრა. ჩალაც კი ქურდულად მომიტანა იმ მამაძაღლმა... რა სახლი მქონდა, რა კაცი ვიყავი! ახლა კარავში ვგდივარ ძაღლივით. საკუთარ სოფელში ურმის დაქირავების უფლებაც კი არ მომცეს. ცოლი მიკვდება. საჭმელი არა მაქვს და სასმელი. ესაა მისი სამართალი?—დააშტერდა ხატს:—ესაა შენი სამართალი? ოოჰ, შენი გამჭედი!...

ფეხთ ქვეშ ჩაიგდო და ზედ შედგა.

— დასჭექე, ცაო, დაჭექეხ! მომსპე, თუ გაქვს ძალა! თუ არა და, აი! აი! აი!— და ხატს რამოდენიმეჯერ დაარტყა ფეხი.

— მაგას რომ ძალა ჰქონოდა, შენ აქამდე გაგანადგურებდა!—მოისმა გარედან და ხმელი ნაყარით დატვირთული გლეხი კარავთან შედგა.

— ვინა ხარ შენ?—თვალები ამოიფშვნიტა ალექსიმ.

— ბურდღუ ვარ. ვერა მცნობ თუ?

ბურდღუმ ტვირთი ჩამოიღო, ხელები პაჭიჭებზე დაიბერტყა. შემდეგ გრძელი ქისა ამოიღო, ყალიონი დატენა, ტალით კვესი დაკვესა. გააბოლა.

— ბურდღუ?

— ჰო, კი უნდა მიცნობდე, ალექსი ჩემო! რა უცნაური სახლი გაგიშენებია?

— გაეთრიე აქედან!

— რატომ? ამ მუხის ძირას შენ თუ გაქვს მოსვენების უფლება, მეცა მაქვს. მე შენზე მეტი უფლება მაქვს.

ალექსი შეკრთა. გაახსენდა: გასულ ზაფხულს ბურდღუს შვილი ჰყავდა დაქირავებული საქონლის მოსაწყესად. ერთი დეკეული დაჰკარგოდა. სახლიდან გააგდო: გინდა არ გინდა, მოსძებნეო. ბავში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მეორე დილას იპოვნეს მუხის ქვეშ გაჭყლეტილი. მუხას მეხი დასცემოდა და ორივე ემსხვერპლა: მეხს მუხა, მუხას ბავში.

— რას გაჩუმდი, ალექსი, ვისა აქვს მეტი უფლება ამ მუხის ძირას იჯდეს და თავის ბედზე იფიქროს? შენს ნასწავლს შვილს მაინც ჰკითხე.

შალვას სიტყვა გაუშრა პირში.პირველად დადგა შალვას წინაშე საკითხი: ვინაა მართალი? უცნაურია, აქამდეც იცოდა მან ბურდღუს ბავშის დალუპვის ამბავი, მაგრამ აქამდე ამ საკითხის სიღრმეში არ ჩაუხედავს.

— ღმერთსა და ხატს რას ემდური, ალექსი? მაცხოვრის ხატს რომ ძალა ჰქონოდა, ის აქამდე იტყოდა თავის სიტყვას... რა უყავი ჩემი ძაკუ?

— რა გინდა ჩემგან?—კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ალექსიმ.

— რა მინდა? იცი რა მინდა? ყური მიგდე!—ბურდღუმ ყალიონი ხელზე დაიბერტყა, ცალი ფეხი ნაყარს დააყრდნო.

— მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია მოხდა, შენ იყავი მთელი სოფლის ბატონი, შენ და გიგო. თქვენ გამოსწოვეთ სოფელს სისხლი. რამდენი სხვისი ცრემლი, რამდენი სხვისი ოფლი გამოგიყენებია! რამდენისთვის გაგიძვრია ტყავი, ჰა, სთქვი! ჩამოგითვალო?

ყალიონი სარტყელში ჩაირჭო და მარცხენა ხელის თითები გაშალა.

— რომელი ერთი ჩამოგითვალო, მითხარი! საიდან მოიტანე ამდენი ქონება? შენ გგონია, სოფელი ბრმაა და ყრუ, სოფელმა არ იცის საიდან იშოვნე? რას შვრებოდი ომში? დაჭრილ-დახოცილთ სძარცვავდი. ამისთვის, გამიგონია, მეფეც კი ხვრეტდა ხალხსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ ჩემი მოსამართლე არა ხარ.

— ჰაი, ჰაი, რომ ვარ. აქამდე არ ვიყავი, ახლა გავხდი შენი მოსამართლე. ჯუბუს რომ უკანასკნელი ძროხა გაუყიდე ვალში და მშიერი ბავშვები კერასთან დაუყარე, შენ არ იყავი? სთქვი, გაიხსენე, რამდენი დედა აგიტირებია, რამდენი მამისთვის ჩაგიმწარებია თვალები. კესას უმადლოდე, თორემ დღემდე აგიკლებდა სოფელი. სძულხარ ყველას, ეჯავრები. ვისაც ფული არა ჰქონდა და ქონება, კაცად არ მიგაჩნდა. შენ დასცინოდი ყველას, ვინც ხელთ ჩაგივარდებოდა. ეჰ, ალექსი, მაცხოვრის ხატს რომ სამართალი ჰქონდეს, მიწა უნდა გაეხეთქა და შიგ ჩაეტანე. ღმერთი, რომელიც არ გიპასუხებს, შენი ღმერთი იყო. დღეს შენც უნდა დამუნჯდე შენი ღმერთივით.

— მომშორდი მეთქი!

— არა, ჯერ კიდევ მოისმინე!—ბურდღუ მივიდა ახლოს.—შვილი რად მომიკალი? სად არის ჩემი ძაკუ? იმ საშინელ ელვა-ქუხილში რად გაუშვი ტყეში? სხვისი შვილი იყო და ძაღლად მიგაჩნდა. წელიწადი არ გასულა შვილის უბედურების შემდეგ და, შემომხედე, ოცი წლით დავბერდი. შვილი მეთქი, ჩემი შვილი!

ბურდღუს ხმა აუკანკალდა. უცბად მობრუნდა. დადგა გადატეხილ მუხის წინ, დაიკრიფა გულზე ხელები და დაიწყო თვალუა[1]

— შვილო, ძაკუ! ჩემო ძაკუ! ჩემო იმედო! ვა... ვაა... შვილო! ჩემო გაჭყლეტილო, ლამაზო ბიჭუნა, ჩემო შვილო! ვაა... ვაა... ა... ა...

კარვიდან ქვითინი მოისმა. კესა ტიროდა.

და იგრძნო შალვამ, ახლალა იგრძნო, რომ ჯარნას განაჩენში მისთვის ჯერ უხილავი, უგრძნობი, უთქმელი სიმართლე ყოფილა. ახალი თვალებით შეხედა მამას და შეეშინდა: ახლა, ამ წუთს, მას აღარ უყვარდა და არც ებრალებოდა მამა. თვალი მოჰკრა მაცხოვრის ხატს:

ქრისტეს დაზიანებული თვალები უყურებდნენ ცივის დუმილით.

10

ორი კვირაა, რაც ჭკადუების ოჯახს კრიჭა შეუკრავს. როსტომი ზღვაურით მოდენილ ღრუბელსა ჰგავს: ეს-ეს არის უნდა იელვოს, დაიგუგუნოს გრგვინვამ, მოვიდეს ნიაღვარი. ეფრემის ტუჩებს არ ეკარება ღიმილი. პირქუშადაა ზურაბი.

მაკოც გულჩათხრობილია, არ იცის რა ჰქნას, რა მოისაზროს. არ ჰსურს აჩვენოს შვილებს უიმედობა, და ადრინდებულად ფუსფუსებს. გრძნობს კი, რომ თავის თავსაც ატყუებს და სხვასაც.

მხოლოდ ძიბუ სცდილობს ძმებისა და დედის გაცინებას. აიღებს ხელში გიტარას, ან ჩონგურს, ჩამოჰკრავს თითებს, მაგრამ უღიმილო ტუჩებზე სიმღერა ცივდება.

[1] თვალუა—მეგრული ტირილი

ორი კვირაა, ორნი ძმანნი პირალმა წვანან, გადაუწყვეტელს სწყვეტენ, უცნაურს საზრისობენ, მოულოდნელს არკვევენ, მაგრამ პასუხი მაინც ვერ უპოვნიათ. მხოლოდ ზურაბი არ მოდუნდა. დადის, რაღაცას აკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეფრემ!—ხანდახან დაარღვევს სიჩუმეს როსტომი.

— რა იყო?

— ჩვენი ხარები კოლექტივში მიჰყავთ!

— ის დღე არ გათენდეს, ჩემი კვიცი კოლექტივში მიჰყავდეთ.—ბრაზობს ზურაბი.

— რა ვუყოთ, შვილებო, რაც სოფელს მოუვა, ჩვენც მოგვივიდეს. ფიქრში არ ჩავარდეთ, შვილებო!—ანუგეშებს დედა.

— ხარები კიდევ ჰო, მაგრამ კანჯარი და რაშა... ჩემს კანჯარზე ბათუ შეჯდეს? ჩემს უნაგირზე ის დაჯდეს, ჰა?

როსტომი წამოხტა. ადლიანი მკერდი მთა-კერასავით ქშინავდა:

— ასე მგონია მიწა ქანაობს. ყველაფერი ინძრევა.

— სატევარს გავუყრი კისერში ჩემს რაშას და მაგ მოლაყბეს არ დავანებებ.—ცხარობს ეფრემი.—ეგებ სჯობდა, როსტომ, ალექსისთვის დაგვეგდო ყური.

— ჰაა...ა... ეგ სულ სხვა ამბავია.—უცბად აცივდა როსტომი.—მე ჩემს ოჯახში რასაც მინდა მას ვიტყვი და ჩავიდენ, გარეთ კი ყოველი ნაბიჯი უნდა გაზომო. რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ამ მთავრობის წინაამღდეგ ხელი არა გვაქვს.

— რა ვიცი, როგორც იტყვი. შენ უფროსი ძმა ხარ.—ცივადვე უპასუხა ეფრემმა.

— რას ცხარობ, ეფრემ!—ამშვიდებს ძიბუ.—განა ვინმე წაიყვანს და მიისაკუთრებს შენს რაშას? აკი აგვიხსნეს, კრებაზე ყველაფერი საერთო საკუთრებაში იქნებაო .მაშასადამე, შენც შეგიძლიან ისარგებლო!

— მეც შემიძლიან ვისარგებლო.—გამოაჯავრა ეფრემმა.—მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო! ბათუს უნდა ვთხოვო ნებართვა, არა?—და დაემუქრა თითით:—შენ არ გნახო მათთან, თორემ... მათთან ყოფნა რომ კარგი ყოფილიყო, ზურაბი იქ დარჩებოდა.

ძიბუმ იცის, რომ ეფრემმა გაიგო მისი და ჯარნას შეხვედრები. მიხვდა, გაჩუმდა, ზურაბსაც აგონდება კომკავშირის ბილეთი, ცანუშამ რომ გამოართვა და დასცინა:

— წადი შენს კვიცს მოუარე! შენი საქმე არაა კომკავშირლობა.

— ცხენი, ხარი, ძროხა, მიწა, ყველაფერი საერთოაო.—ელაპარაკება თავის თავს როსტომი.—გაგიგონია? არ ვიცი, როგორ იქნება ეს. ჰმ! არა სჯობია პირის გემო ვნახო? ბიჭებო, ეფრემ, ზურაბ!

— ჰა?

— სირცხვილი არ არის, ერთად ერთი დეიდაშვილი გვყავს, ქალი შეირთო, და დღემდე არ დაგვიპატიჟებია? აგერ სამი თვე გადის თითქმის... აბა, დატრიალდით, ის დეკეული დავკლათ. სოფელი ამბობს, ჭკადუები ხელ-მაგარი ხალხიაო, უნდა ვუჩვენოთ სოფელს რანი ვართ. დატრიალდი, ეფრემ, გაახაზირე ყველაფერი. ახალ რძალს პატივი უნდა ვსცეთ, დღემდე უნდა გვეფიქრნა, მაშა! არ მაჭამოთ ხარბედიებთან სირცხვილი, დაფაცურდით ყველანი. მე კი ხვალ ეკს წავალ. დავპატიჟებ.

— კარგი აზრია.—მოუწონა ეფრემმა.

— ვინ იცის რა იქნება? ქვეყანა ქანაობს, მაგრამ სანამ წავიქცევი, რაც მიშოვნია იმის გემოს მაინც ვნახავ.—ასე ელაპარაკება თავის თავს როსტომი, დადის ეზოში და სარისტას იჭერს.

— ძიბუ, ისეთი ხაჭაპურები დამახვედრე, რომ მისახელოს შენი თავი.

ყველა გამხიარულდა. თითქოს სასიხარულო რამ იშოვნეს.

— შვილო, რახან ასეა, ბარემ ძიბუ გავათხოვოთ და ქორწილი გავმართოთ—იხუმრა მაკომ.

— ფიქრი ნუ გაქვს. ძიბუსთვისაც გვეყოფა.

და იმ ღამეს, როდესაც როსტომ ჭკადუას სახლში ჭკადუები და ხარბედიები ერთმანეთს ღვინის სმაში ეჯიბრებოდნენ, ყანწი ყანწზე გადადიოდა, ოშხივარიანი ბეჭები სუფრას ამშვენებდნენ, და ძიბუს განთქმული სიმღერა დარბაზს ხიბლავდა, ჯარნა ჩარგაზია ღარიბთა ჯგუფში იჯდა და მომავლის წიგნს ფურცლავდა.

— მართალი გითხრათ, ამხანაგებო, მე მაინცა და მაინც არ მომწონს დათა რეხვიაშვილის მოქმედება, მაგრამ ახლა რომ ეს საკითხი დავსვათ საერთო საქმეს შევაფერხებთ. ამიტომ ვეცადოთ მისი ზოგიერთი მოუფიქრებელი ნაბიჯები შევანელოთ, შევუფარდოთ ადგილობრივ პირობებს. დათა გლეხი არაა, მას ბევრი რამ სხვანაირად ესმის, ჩვენ კი სხვანაირად. მაგრამ ისიც ჩვენსავით დაინტერესებულია საერთო საქმით.

— მართალია, მაგრამ ბრძანებლობას უნდა უკლოს. აბა რასა ჰგავს, ზოგჯერ სიტყვას ვერ შეუბრუნებს კაცი.—ემდურის მიხა.

— ჰო, იმ დღეს შენ რომ შეგეკითხა, რომელ წელს შემოდი პარტიაშიო. ჩვენ თუ ვინმეს ვენდობით სოფელში, ჯარნას ვენდობით.—ამბობს ჯუბუ.

ჩემზე არ ღირს ლაპარაკი.—აშოშმინებს ჯარნა.—მთავარი ისაა, ამხანაგებო, რომ სოფელი დარწმუნდეს ჩვენს ერთსულოვნებასა და სიმტკიცეში. არ უნდა გვემჩნეოდეს რყევა, ქანაობა, ღლეტის ნიშნები.

— მართალია... განა გვემჩნევა?

— ჯერ არა, მაგრამ ერთს კი ვამჩნევ: სოფელში ამბობენ, ჩამორთმეულ ქონებას საერთო ქონებად გამოაცხადებენო. ეს ხალხმა ისე არ უნდა გაიგოს, ვითომ გვსურდეს ჩამორთმეული გავინაწილოთ და შინ წავიღოთ. ჩვენ ეს ქონება უნდა გამოვიყენოთ საერთო საქმისთვის, მომავალ კოლექტივში წარმოების უკეთ მოსაწყობად, რომ მეტი შემოსავალი მივიღოთ და უკეთ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება.

— როგორ იქნება ეს მოწყობილი, ამხანაგო ჯანნა?

— მართალი გითხრათ, ამხანაგებო, ჯერ არც მე ვიცი და არც დათოს ეტყობა იცოდეს რამე დაწვრილებით. ჯერჯერობით მთავარი ის არის, რომ დავანგრიოთ ძველი ქვეყანა, რომელიც ქანაობს. ეს მდიდრებისა და ჩარჩების, კულაკებისა და მუქთახორების ქვეყანა.

— კარგად ამბობ, ჯარნა!—მოუწონა ცანუშამ.—მართლაც ასე მგონია თითქოს მიწა ქანაობდეს და რაღაც უნდა დაინგრესო.

— უსამართლობა უნდა დაინგრეს! ჩაურთო ბურდღუმ.— ჩვენს დროს რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი უსამართლობა? მთავრობას ადრევე უნდა ექნა ეს. მაგ შეჩვენებულმა ალექსიმ ყურძნის ჭაჭასავით გაგვწურა. რამდენი ხალხი გააუბედურა? ოი, ჩემო ძაკუ!.— და გულღვიძლიანად ამოიოხრა.

— მე მართალი უნდა გითხრა, თუმცა პარტიელი ვარ, მაგრამ დღემდე გულს მაკლდა და ხანდახან კი ვემდუროდი ჩემს პარტიასა და მთავრობას: რატომ არ წაართვა დღემდე ვაჭრებსა და კულაკებს ხალხის ყვლეფის საშუალება? ძალიან კარგია რაც ახლა ხდება.— ამბობს თავის მოსაზრებას ჯუბუ.

— მე პარტიელი არა ვარ, ძმებო.— ჩაურთო მეთომ.— მაგრამ თუ მდიდრებს ატყავებენ, მეც მიხარიან. ერთი რომ მე არაფერს ვკარგავ, მეორე ისა, რომ შეიძლება მე მომემატოს, და მესამეც: თუ მე არ მომემატება, დეე, იმასაც ნუ ექნება!

— არ გეთანახმები, მეთო, არ გეთანხმები!— გაუსწორა მიხამ.— მე თუ არა მაქვს, შენც ნუ გექნებაო. ეს არ ვარგა. მაგრამ მდიდრებს უნდა წაერთვას ღარიბების დაჩაგვრის საშუალება. აი მაშინ იქნება თანასწორობა.

— ჰო, მეც მაგას ვამბობ, შე კაცო, რას მიწყრები?— თავი იმართლა მეთომ.

— ერთი სიტყვით, ამხანაგებო, თქვენ ხომ ხედავთ, ჩვენ გვსურს ხალხის კეთილდღეობა და ისეთი წყობილების დაარსება, სადაც მდიდარი და ღარიბი არ იქნება, სადაც ყველა თანასწორი იქნება, ყველა ერთნაირად იმუშავებს. აი ეს გვსურს ჩვენ. ამ საქმეში ყველანი უნდა გავერთიანდეთ, პარტიელიც და უპარტიოც.

— მართალია!— ადასტურებს ბურდღუ.— რა შუაშია პარტიელი და უპარტიო? საქმე ის არის, რომ ერთნაირი გაჭირვება გვაწუხებდეს ყველას და ერთნაირი საქმე გვინდოდეს. აი მე ყოველთვის გავიგებ ჯუბუს გაჭირვებას, მაგრამ ალექსი ან გიგო გაიგებდა?

ცანუშას თვალები აენთო. ადგა. თავი, დაარხია თმები ჩიტის ფრთებივით გაეშალა, გასაფრენად გამზადებულს დაემზგავსა:

— თქვენ ხომ იცით, ამხანაგებო, ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ ჩვენი მტრები: კომუნისტები ჩამორთმეულ ქონებას გაანიავებენ, გაფლანგავენ, ღარიბებს დაურიგებენო. ღარიბები კი მუქთახორა ხალხია, არასფერს აკეთებენო. აი ჩვენ, ღარიბებმა, მაგალითი უნდი ვუჩვენოთ და საწინააღმდეგო დავუმტკიცოთ.

— მართალი ხარ, ცანუშა!— დაუდასტურეს.

— საქმით უნდა გავსცეთ მტერს პასუხი, საქმით!— დაუმატა ჯარნამ.— შრომა და სიმტკიცე, ამხანაგებო, შრომა და სიმტკიცე!

კიდევ ბევრ ხანს ბჭობდა იმ ღამეს ღარიბთა ჯგუფი.

11

მზე უკვე ძალზე მაღლა იყო აწეული, როცა სოფლის ეზო-ორღობეები ბარაბანის ხმამ გააყრუა.

— დუმპა-პიტო!.. დიმპა-პიტო!.. დუმ! დამ! დუმ! დამ!— ისმის ჩალიკების რახუნი, ჰქუხს ბარაბანი და წინ მიუძღვება რაზმს.

რაზმი ორი ნაწილისგან შესდგება. წინა რიგებში პიონერები ჩამწკრივებულან, უკან რიგებში კომკავშირელები. წინ წითელი დროშა ფრიალებს. მწყობრად, ოთხად მიდიან. მეთაური მარჯვენა მხარეს მიჰყვება და წესრიგს იცავს.

— ერთი, ორი! ერთი, ორი! ფეხი, პარასკევა! წესრიგს ნუ არღვევ ევგენი! აბა მარჯვედ, ამხანაგებო! ერთი, ორი!

პიონერების რიგებში წკრიალა ხმამ სიმღერა ჩამოჰკრა:

...გული გვაქვს გული,
კომკავშირული,
გამბედაობა
პიონერული...

და რამოდენიმე ათეული ახალგაზრდის ჯერ გაუმართავი ხმა სიმღერამ შეჰკრა ძნებივით.

— სად მიდიან ნეტავი?

— დღეს ხომ დღესასწაული არაა?

— რაღაც ახალი ამბავია კიდევ. აი ნახავთ, ნახავთ!..

ასე მიმართავენ ერთმანეთს სოფლის ქალები და მოშორებით, ზოგი ქუჩით, ზოგიც ღობე-ღობე, მისდევენ რაზმს.

— თქვენც საქმე გამოგლევიათ...—არიგებენ ქალებს გლეხები.—ბავშვებს დაედევნეთ. გაივლიან, გამოივლიან და დაიშლებიან.

არიგებენ, მაგრამ თვითონაც შორით მიჰყვებიან რაზმს, ოღონდ ისე შორს, თითქოს სულ არ აინტერესებდეთ ეს რაზმი. პიონერების დედებმაც კი არ იციან სად მიჰყავთ ბავშები. კომკავშირლებმა კი იციან. ეს მათი თაოსნობაა. აი რაზმი მიუახლოვდა ალექსი შავდიას სახლს, განიერს და დიდს. ფართო ალაყაფის კარები მარჯვედ გააღეს და რაზმი სიმღერითა და გუგუნით მოედო ეზოს.

მეთაური აივანზე ავიდა. ერთი დროშა აივნის ბოძს მიამაგრეს. მეორე დროშა დაბლა ბზინავს მზეზე. ეზო თანდათან გაივსო მოსული ხალხით. ცანუშამ გააღო კარები, ბავშები შეცვივდნენ ოთახებში და ხარბად ათვალიერებენ ყველაფერს. მაგალითად: მათ სახლებში ლამპა ან მაგიდაზე დგას, ან ბუხარზე, აქ კი ჭერზე ჰკიდია და გარშემო თეთრი წინწკლებიან შუშითაა შემოვლებული.

— შეხედე, შეხედე ფაცურა, შუშის მძივი!

— უი, თომა, რომ ჩამოვარდეს? განზე დადექ!

— დედა, დედა, რა ყოფილა!—უკვირთ პიონერებს.

— ამას შეხედე, ამას! ო... ო... ო...—და მრავალი თვალი მიაჩერდა კედელს.

კედელზე ჰკიდია ფართო სურათი: სამი ღიად ჩაცმული ქალი. ხელში ერთს ვაშლი უჭირავს. იქვე მწყემსი ზის, ხის ქვეშ; შორიახლო ცხვრის ფარა. ქალი მწყემსს ვაშლს აძლევს.

— რა კარგია!..—უხარიათ ბავშვებს.

— ამათ მე ვიცნობ.—უხსნის ამხანაგებს მეორე კედელთან ფაცურა.—ესენი არიან შოთა, აკაკი, ილია.

— ეს ჩვენც ვიცით.—ეუბნებიან ფაცურას.

მეორე ოთახში პიონერები დიდხანს შეჩერდნენ საწოლებთან. ეს იყო კესას და ალექსის საწოლი ოთახი. აქ იდგა ორი განიერი, საგანგებოდ მორთული და მდიდარი ტახტი. ორივე ვერცხლივით ბრჭყვიალებდა. კედელთან იატაკიდან ჭერამდე ამართული დიდი სარკე იდგა. ბავშვები დადგნენ სარკესთან. ქალებმა თმები შეისწორეს, ვაჟებმა სარტყელი. კიდურებ-მოსარაყებული და წითელი ხის ჩარჩოში ჩასმული სარკე თითქოს უცინოდა ბავშებს.

— ნანაია... ნანაია... რა ვნახე ეს!—უკვირს თომას.—ფაცურა, ფაცურა, ჩახედე შიგ, ჩახედე! სულ შიგა ვარ, ქალო, სულ!

— ტრრრ! ტუმ! ტუმ! ტუმ!—დაიწკრიალა მაღვიძარა საათმა და ჩამოჰკრა ერთი, ორი, სამი, ოთხი, და ასე თორმეტამდე.

— ბრრრ! დუმ! დუმ! დუმ!—დაიგრიალა მეორემ კუთხეში, მაღალ პალმას უკან.

— დედა, ეს რა არის?—დაფრთხა ჯგუფი.

— ეს მაღვიძარა საათია.—უხსნის ცანუშა.—ეს კი დიდი. საათია, კუთხეში რომ დგას.

— ჰო, ო, ო,—გაიცინა ფაცურამ.—ეს ჩვენც კი გვაქვს სახლში, მაგრამ ასე ხმამაღლა როდი რეკავს. ჩვენი პატარაა. ეს კი—ჰა! პა პა პა!

— ახლა დარბაზში, ბავშვებო!

— ვაი, ეს რაა? როგორი იატაკია?

იატაკი შეღებილია და კრიალებს. შუა ადგილზე ფართო ნოხია გაშლილი. ჭერზე ბრინჯაოს მბზინავი ჭაღი ჰკიდია, დიდი, ძალიან დიდი. გარშემო წრეზე თორმეტი სანთელია. ცანუშამ ჭაღის ბოლოს მოჰკიდა ხელი, ასწია, შემდეგ ხელი უშვა და ჭაღი დაეშვა დაბლა, ადრინდელი მდგომარეობა მიიღო. აწევ-დაწევის დროს ჭაღი შეირხა, მზის სხივები ალაპლაპდა ჭაღზე და ანარეკლი სხივები კედლებზე ათამაშდა.

ბავშებმა პირი დააღეს.

— ფაცურა, ჩაჯექ სავარძელში!—ეუბნება ცანუშა ფაცურას.

ფაცურა მივიდა სავარძელთან, ხელი დააბჯინა, ხელი ჩაიძირა, ფაცურამ დაიხია, ვერ გაჰბედა.

— ხა-ხა!—გაეცინა ცანუშას.—შენ ჩაჯექ, თომა! ვაჟკაცი ხარ, არ შერცხვე! თომამ გადახედა ამხანაგებს, გაუბედავად მივიდა სავარძელთან. დააბჯინა ხელი. ხელი ჩაეფლო სავარძელში. უკან მოიხედა: ისევ ისე მრავალი ანთებული თვალი უყურებს.

სუნთქვაშეკვრით მოჰკიდა თომამ სავარძლის ხეტარს ხელი და ჩაჯდა. ღრმად ჩაეფლო.

— ვაიმე!—შებღავლა თომამ.

უცებ ცანუშამ ხელი ჰკრა სავარძელს და ხალიჩიდან იატაკზე გააგორა. სავარძელი იდგა რგოლებზე. მოწმენდილ იატაკზე გაექანა და კედლისკენ გაიქცა.

— დე-ე-დაა!—დაიყვირა თომამ.

ცანუშამ ახლა უკან გამოაგორა სავარძელი. სავარძელმა გაიარი ფართო დარბაზი, მიგორდა მეორე კედელთან და გაჩერდა. თომა გადმოხტა ტირილით.

— ხა-ხა-ხა! —იცინის ცანუშა.—შეგეშინდა, თომა? ეს ჩასაჯდომია, შე სულელო, რისა გეშინიან? აი ხომ ხედავ, არა დაგიშავარა! აბა მე მიყურე!

ცანუშა ჩაჯდა საჯალძელში. გაჰკრა ფეხი იატაკს. სავარძელი წავიდა უკან, მეორე კედელთან გაჩერდა. ცანუშამ მოატრიალა სავარძელი. ისევ ჰკრა ფეხი იატაკს. ისევ გაჰქანდა სავარძელი. მიხვდნენ ბავშები.

— მე ჩამსვი, ცანუშა! მე! მე!

— დიმ! დამ! დიმ! დამ! —აბრაგუნდა გარედ ბარაბანი.

— ტუ-ტუ-ტუ! ტუ-ტუ-ტუ!— ჰკრეს საყვირს.

ბავშვები გამოიშალნენ გარეთ. გამოაცხადეს სოფლის პიონერთა და კომკავშირის კრება. პრეზიდიუმში აირჩიეს ფაცურა, თომა, ცანუშა და ამხანაგი უშანგი, კომკავშირის თავჯდომარე. საქმიანი, მხიარული იყო კრება. ერთხმად დაადგინეს:

„კულაკი ალექსი შავდიას სახლი გამოცხადებული იქნას პიონერთა და კომკავშირის კლუბად.“

— ვაშაა! —იგრიალეს პიონერებმა და კომკავშირელებმა.

— მაშ ეს სახლი ჩვენი იქნება?—ეკითხებიან თომას კრების შემდეგ ამხანაგები.

— მაშ! მაშ!—თავმომწონედ უპასუხებს თომა და აგონდება მოსეირნე სავარძელი.

12

ჭკადუების ოჯახს შავი ღრუბელი დასწოლია. დროგამოშვებით მაკოსა და ძიბუს კვილი ელვასავით გაარღვევს ამ ღრუბელს, შემდეგ ღრუბელი ისევ იკუმშება და ცრემლებად სდის მაკოსა და ძიბუს თვალებს.

— ვაი, სირცხვილო! ვაი, ჩირცხვილო!—მოსთქვამს მაკო.—ეს ეკადრება მაკო გუგუნავას შვილებს? ვაი! ვაი!

— ძიძა! ჩემო ძიძა!—ზარობს ძიბუ.

— საწყალი კესა, რა კარგი ქალი იყო!—ამბობენ ერთნი.

— ისეთი კეთილი ადამიანი იმ სულ-კუზიანის ხელში ცოდვა არ იყო? მოისვენა ახლა.—ბჭობენ მეორენი.

— რა არის კაცის სიცოცხლე? ყველაფერი ჰქონდა. ყელამდე სავსე იყო ოჯახი და ახლა თურმე კუბოს ფულიც არა ჰქონიათ. ამბობენ მესამენი.

როსტომ ჭკადუა აივანზე დადის. ხელები გულზე დაუკრეფია, თავი მძიმედ დაულუნავს. ეფრემი მიჰყრდნობია ბოძს და ნამტირალევი თვალებით შორს სივცეს გაჰყურებს.

დროგამოშვებით როსტომი შეჩერდება, ხელში ჩაკეცილ ქაღალდს გაშლის, წაიკითხავს, შემდეგ ისევ ბოლთასა სცემს. წიგნი გრძელია, არეულად დაწერილი. როსტომი მესამედ კითხულობს ორ ადგილს. ერთი ესეთია:

„მე დროზე გითხარი შვილო როსტომ, რომ შენ სოფელი გიჯერებს და დროზე რომ ხმა ამოგეღო, კოლექტივიზაციის საქმე ასე არ წავიდოდა. ყოველ საქმეს მოთავე უნდა, მეწინავე. რეხვიაშვილის ჯიქური საქციელი ჩვენ საშუალებას გვაძლევდა კოლექტივის საქმე დაგვეშალა და ჯარნა ჩარგაზია წაგვექცია.

მიგრამ შენ არ ისურვე, შეშინდი. ახლა მე ყველაფერი ჩამომართვეს და შენ გგონია ასე გათავდება? შენც ყველაფერს წაგართმევენ, ნაწილს ლერმ, ნაწილს ხვალ, ზეგ, ან მაზეგ. სოფლის ჯობნა ძნელია, თუ სიმტკიცე ექნა და მოთავე ეყოლა. შენ უნდა გამხდარიყავი მოთავე, რომ საქმე გაკეთებულიყო. მე არ მეშინიან, მაგრამ მე რომ კულაკს მიძახიან? ჩემი მოთავეობა [illegible] საქმეს გააფუჭებდა".

როსტომი თავს აქნევს და ერთხელ კიდევ უმეორებს ეფრემს:

— რაც სოფელს დაემართება ის ჩვენც დაგვემართოს. მთავრობის წინააღმდეგ კი მე არ წავალ

— უფროსი ძმა ხარ, შენ იცი!—მხრებს იშმუშნის ეფრემი და ბრაზით უმატებს—ჩემს ცხენზე რომ დათო რეხვიაშვილი შეჯდეს, ტყვიით გადმოვიღებ.

— ძიძა!.. ძიძა!.. ძიძა!..—მოსთქვამს მაკო.

— ძიძა!.. ჩემო ძიძა!..—ზარობს ძიბუ.

წიგნის მეორე ადგილი ასეთია:

„ახლა, შვილო როსტომ, რა ვქნა არ ვიცი! აქ არავინ არის დამხმარე, რომ ფული მომცეს. ზეგ უნდა დავასაფლავო ძიბუს ძიძა და კუბოს ფული კი არა მაქვს რომ პატივისცემით მივაბარო მიწას. აწი შენ იცი და შენმა პატიოსნებამ, თუ შენი ძიბუს ძიძას ძაღლივით არ ჩააგდებ მიწაში. გუგუნავას ქალს უთხარი, დედაშენს, გვარი არ შეარცხვინოს და ძიძა უნამუსოდ არ ჩამაგდებინოს მიწაში. ქვეყანამ იცის, რომ კესა თქვენი ძიძა იყო. არ შერცხვეთ საქვეყნოთ. თავი არ მოიჭრათ. აბა შენ იცი..."

წიგნი მოვიდა ერთი კვირის დაგვიანებით.

— ვაი, სირცხვილო! ვაი, სირცხვილო!—და როსტომ ჭკადუა გააფთრებული ბრდღვინავს.

— ქვეყანა შეიტყობს, რომ შევრცხვით. ხომ მოგვეჭრა თავი?—წუწუნებს მაკო.

— რა ჩვენი ბრალია, დედა!—ამშვიდებს ეფრემი.—წიგნი გვიან მივიღეთ.

— ქვეყანა ამას იტყვის, რომ წიგნი გვიან მიიღესო? არ იცი რა კაცია ალექსი?

— ქვეყანა, ქვეყანა!—გაბრაზდა ეფრემი.— რას მეპრიანება შენი ქვეყანა! ის საწყალი მებრალება, თორემ..,

— როგორ თუ რას იტყვის?—გააწყვეტინა დედამ.—ჯერ ჩვენს ოჯახს სირცხვილი არ უჭამია არსად. როგორ გამოგზარდეთ, შვილებო, ხომ გახსოვთ? მამა თქვენმა ყმაწვილები დაგაობლათ, მაგრამ ოჯახისთვის არაფერი მომიკლია.

მთელს სოფელში ვამაყობდი ჩემი ოჯახით, შვილებით. ახლა კი სიბერის ჟამს თავი უნდა დავხარო მტრის წინაშე. თვალს ვერ გავახელ მოკეთეებთან. შვილებო, ეს ჩამოურეცხავი სირცხვილია, რძის შელახვაა.

— ახლა გაფუჭდა ქვეყანა. სირცხვილი აღარაა, ნათესაობა აღარაა, მაგრამ ჩვენს ოჯახს მაინც დაეცვა ადათი. მაინც რით ვიხსნათ თავი ამ სირცხვილისაგან, რით?—განაგრძობს მაკო.

— მართალია, რძის შელახვა ჩამოურეცხავი სირცხვილია...—ბუტბუტებს როსტომი და მუშტებს ისე ჰკუმშავს, რომ თითები ემტვრევა.

— რძის შელახვა.—და ეს ორი სიტყვა ტვინს უწვავს ეფრემს, და კიდევ ბევრ ხანს ისმის ჭკადუების ეზოში მოთქმა:

— სირცხვილი... სირცხვილი... რძის შელახვა... რძის შე...ლა...ხვა...

მარტო ზურაბი სდუმს. მას ამ სირცხვილისა არა სწამსრა.

13

— ძიბუ, შენი ძმები მიწყრებიან?—ეკითხება ჯარნა ძიბუს.

— არა მგონია, რომ გიმადლოდნენ.

— შენ? შენც მიწყრები?

ძიბუმ ისე შეხედა, რომ სიკვდილამდისაც არ დაავიწყდე ჯარნას:

— მე ძმები მთელს დუნიას მირჩევნია.

— ვინმე რომ შეგიყვარდეს?

— შენ რატომ ფიქრობ, რომ ახლა არ მიყვარს?

— შენ... გიყვარს?..

— ჰო, მე... ჯერ სიყვარული ხომ არ აგიკრძალავთ კომუნისტებს?

— ნუ ხუმრობ, ძიბუ! მე სერიოზულად გეკითხები.

— დიაღ...

— შალვა?—და თავისავე თავს გაუწყრა ჯარნა: რა მომდის? რად ვიმცირებ თავს? როგორ შეიძლება ასეთი ბავშური შეკითხვა?

— ხა, ხა, ხა!—შეაფრქვია ძიბუმ სიცილი.

ჯარნა განცვიფრდა.

— ვერ გაიგე? ლაჩარი მე არ შემიყვარდება!

— როგორ? განა შალვა ლაჩარია?

— დიაღ! იმ დღეს, როცა შენ განაჩენი წაუკითხე ალექსის, მე რომ შალვა ვყოფილიყავი, ან ტყვიას გესროდი, ან ორლესულ სატევარს გაგიყრიდი გულში. შემდეგ იმ სატევარს გულისპირზე გავწმენდდი.

— ამცილდეს შენისთანა მტერი!

— გისურვებ, რადგან ჩემს მტრობას ჩემი სიყვარული სჯობიან.

„ჰმ... როგორ თრთიან ძიბუს ტუჩები... ღიმილია თუ დაცინვა?“ დაიბნა ჯარნა. სდუმს ძიბუც.

— ძიბუ, ძიძა შენი მოკვდა?—ჰკითხა ჯარნამ, თითქოს არ იცოდა.

— დიაღ.

— რა კეთილი ადამიანი იყო! საწყალი... და ასე უპატრონოდ!

— არა, პატრონი აღმოუჩნდა.—და ძიბუ მიუახლოვდა ჯარნას.—ერთადერთმა ადამიანმა სცა პატივი ძიძას, ეს იყავი შენ. შენს კუბოში ჩაასვენეს ძიძა.

— ტყუილია!—თითქმის შეჰყვირა ჯარნამ.

— ნუ გეშინიან, ჯარნა! პარტიაში განცხადებას არ შევიტან, არ დაგასმენ.

— ტყუილია მეთქი!—და ჯარნამ ძუბუს ხელში ხელი სტაცა.

ძიბუმ თავისუფალი ხელი მკერდში ჩაიდო, წერილი ამოიღო, ჯარნას გაუწოდა.

— წაიკითხე აქედან.

ჯარნამ წაიკითხა:

„მას შემდეგ, ძიბუ, უცნაურის სიახლითა და სიმწვავით დადგა ჩემს წინ საკითხი: ვინა ხარ შენ? მარტო ძლიერს ეძებს ქალი თუ დიდბუნებოვან გულსაც? შენ განგებ მოაწყე ჯარნასი და ჩემი შეხვედრა. შენ არჩევდი: ჯარნა თუ მე? ხა-ხა!.. რომელი აირჩიე? ჯარნა დღეს გამარჯვებულია, მე დამარცხებული ვარ. მაგრამ ბრძოლა იყო უსწორო. ყოველ შემთხვევაში, ძიბუ, მე ვარ პასუხისმგებელი მამის წარსულის გამო. მე არ ვიტყვი უარს მამაზე.

მაინც ვერ გამიგია, მამის ცოდვისთვის პასუხი რატომ უნდა აგოს შვილმა. იქ, იმ მუხის ძირას, მე შევეკითხე ჩემს თავს: ვინაა მართალი, მამა თუ ბურდღუ? მაგრამ სიმდიდრე-სიღარიბე მამას ხომ არ გაუჩენია? მაინც მაწუხებს ეს საკითხი. თუ კომუნისტები მართალნი არიან მამის მიმართ, ისინი სცდებიან, როცა მამის ცოდვისთვის შვილს ჩაგრავენ. ეს არ აროის კომუნისტური საქციელი. ჩამოურეცხავი შეურაცყოფა მომაყენეს და კომუნისტებთან შერიგება არ შემიძლია.

გარდა ამისა არ შეიძლება არც ერთი მოვლენა განხილულ იქნას ერთს გაშუქებაში. საჭიროა პირისპირი შუქი, მაშინ საგანი უჩრდილოდ წარმოგვიდგება. თუ მამაჩემი ბოროტი იყო, დედაჩემი არ იყო ბოროტი. ეს შენთვის ახალი ამბავი არაა, მაგრამ აი ერთი დამამტკიცებელი საბუთი კიდევ: დედა რომ გარდაიცვალა, ჩვენ კუბოს ფულიც არა გვქონდა. მამამ წერილი აფრინა ტატაშ აკირთასთან, რადგან დედა უფრო მისი ძიძა იყო; დედა ტატაშს მთელი წლის განმავლობაში ზრდიდა საწყალს ჩემს უფროსს ძმასთან ერთად. ტატაშისაგან ჩვენ პასუხი არ მიგვიღია. დედა პერანგის ამარა უნდა დაგვემარხა, ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ არავინ გვეკარებოდა. მე უკვე თავის მოკვლას ვფიქრობდი და აი ჯაგვი მოგვადგა კარს. კუბო მოგვიტანა და გვირგვინი. ორივე უსახელო.

— აი, ხომ ხედავ, შვილო, არ დავვიწყებივარ ჩემს მეგობრებს.—გაეხარდა მამას.—ეს უეჭველად ჭკადუების გამოგზავნილია. რეხვიაშვილის დეკრეტის გარდა კიდევ არის ქვეყანაზე სხვა ძალა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ კუბო და გვირგვინი შენი ძმების გამოგზავნილია. ჩემო კარგო ძიბუ! მე ამაში ჩვენს ბაღში მოკრეფილი ია მარწმუნებს, რომელიც შენ გვირგვინში ცალკე კონად მიგიმაგრებია. შენი ასეთი ლამაზი საქციელი ერთხელ კიდევ მარწმუნებს, რომ ჩემი არჩევანი შემცდარი არ არის. ჩვენ ბოლოს და ბოლოს არც ისეთი მახლობელი ნათესავები ვართ“..

— საკმარისია. შემდეგ შენ არ გეხება.—და ძიბუმ ფრთხილად გამოართვა წერილი.—გვირგვინი და კუბო შენი გაგზავნილია. გული მეუბნება.

ჯარნა გაფითრებული იდგა, უსიტყვო.

— ჩემი მტრის ოჯახში შევიდეს კუბო, მაგრამ ამ კუბოს შეიძლება სიხარული მოჰყვეს...—თითქოს სივრცეს ეუბნება ძიბუ.

— ძიბუ!

— მართალი ყოფილხარ, ჯარნა! ალბათ, გრძნობს სოფელი შენს სულმაღლობას, რომ მტერიცა და მოყვარეც დღეს თვალში შეგცქერის. ის კი... ის... ჩლუნგია...

და შაშვივით გაფრინდა, ღობეს ჩაჰყვა.

14

კაკაჩა ლამეა. სოფელს სძინავს. მხოლოდ ძაღლები, დაგვიანებული მგზავრები და ცანუშა ფხიზლობენ. ცანუშა მარტოდ-მარტოა თავის სახლში. ჩამორთმეული ქონება აწერილია და ცანუშას აქვს ჩაბარებული. ღამითაა ვეებერთელა ოჯახის მოსავლელად ცანუშას მიჩნეული ჰყავს დამხმარე, ღამით კი მარტოა. არ ისურვა არავინ.

ყველა ოთახები ასწერეს. ყველა ოთახები გააღო ცანუშამ. ერთი კი მაგრად დაკეტა. არც თავმჯდომარე, არცა ვინ შეუშვა შიგ.

— ჩემი ოთახია. აქ ჩემი ნივთებია დალაგებული.

ყოველ დღე დაჰგვის, დაალაგებს, გაალამაზებს ამ ოთახს. ყოველ დღე იის თაიგულს ჩასდებს ვარდფანჯში. ვარდფანჯზე მიყუდებულია მოდიდო სურათი. სურათზე იცინის ჩალის თმიანი ქერა ყმაწვილი. ყმაწვილს მოგრძო და წაბლის ფერი თვალები აქვს, გრძელი, თხელი წარბები, ოდნავ დაბალი ფართო შუბლი, ვიწრო ნიკაპი, თხელი აქედებული ცხვირი. თითქმის კალმითაა ცხვირის ბოლო დახატული: ისეთი ლამაზია. ბევრია ამ ყმაწვილში ქალური.

უყურებს ცანუშა სურათს და ეუბნება:

— ოჰ, შალვა! შალვა! სადა ხარ?

აი ეხლაც, ამაღამ. მიწყნარდა სოფელი. სიჩუმემ მოიცვა ეზოები, ძაღლების ყეფა თუ მოისმის აქა იქ. ლამფას პატრუქი დაწეული აქვს. ცანუშა ფხიზლობს. ზის შალვას ოთახში და ფიქრობს. ჰსურს უცნაური რამე შეიცნოს, შორეული რამე დაიახლოვოს, მიუწდომელს მიწვდეს. არ იცოდა აქამდე, რომ ასეთ გენიას ატარებდა გულში, არ იცოდა აქამდე, რომ უჩინარი, უშრეტი ცეცხლით იწვის.

აგონდება წარსული. გარედ სიო ჰქრის. ცანუშა გადაყრდნობილია რაფაზე, სიო ურხევს ხშირს შავს გრუზა თმებს და თითქოს იგივე სიო უფურცლავს მოგონების რვეულს. შემოიქროლა სიომ, დააქანა ლამფის სინათლე, აცელქდა ცანუშას თმებში, გადააბრუნა რვეულის პირველი ფურცელი:

ცანუშა პატარაა. შავი ხუჭუჭა თბები აქვს. თეთრი კაბა აცვია. ეზოში დარბის, ცელქობს. სადღაც შორიდან გუგუნი ისმის, ხმაურობა. გუგუნი ახლოვდება, ხმაურობა უფრო და უფრო მკაფიოდ ისმის.

— ყუმბარები! ყუმბარები! — ყვირიან სოფელში.

— თურქები!... თურქები მოდიან!... ვაიმე! — ჰკივის დედა.

დედა იხუტებს ცანუშას. ხედავს ცანუშა: სხვა დედებიც იხუტებენ პატარა შვილებს და გარბიან. მამები იარაღს ჰკიდებენ ხელს. სოფელს ცეცხლი ეკიდება.

— რაა დედა? — ეკითხება ცანუშა დედას.

— თურქები მოვიდნენ, შვილო! დაგვხოცავენ! ვაიმე, შვილებო! — კივის დედა.

— რატომ მოგვკლავენ, დედა? — ეკითხება ცანუშა.

— იმიტომ რომ სომხები ვართ, შვილო! — ეუბნება დედა.

— გზა შეკრულია. დაბრუნდით! — ესმის ცანუშას მამის ხმა.

აქ მოგონების ფურცელი წაშლილია. სიზმარივით ახსოვს მხოლოდ, რომ მამამ წალდით გაუპო თავი მოძალადეს. შემდეგ თვალწინ მოუკლეს შამა და ორი ძმა, წითელქუდიანი თურქები დაერივნენ ქალებს, ბავშებს და დაუწყეს ჟლეტა. ერთმა მოქნეული ხმალი დაჰკრა დედას.

— ანუშ! — მოასწრო დედამ შეკივლება და წაიქცა, ცანუშა კვნესა მოიყოლია, ტანით დააწვა და დაიფარა. ცანუშა გაათბო სისხლმა...

გააჟრჟოლა. ცრემლები გადმოსკდა. ბევრი წლის შემდეგ გაიგო, რომ ის იყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, თურქები შეესივნენ სომხეთის სოფლებს, აიკლეს.

იმ ღამეს ცანუშა ალექსიმ გადაარჩინა.

კიდევ შემოიქროლა სიომ. კვლავ შეათამაშა სინათლე. ლანდები ამოძრავდა კედელზე. ისევ გადაფურცლა სიომ მოგონების რვეული. ფურცელი მეორე:

ანუშს ახლა ცანუშას ეძახიან. ისევ ისე გრუზა თმიანია, ცელქი, მოუსვენარი. ათასს რამეს დაასაქმებენ და ყველაფერს სწვდება. ხელები გაშავებული აქვს და თითები გასივებული: ბევრი აქვს საქმე. ეს ალექსი ბიძია სულ არ ყოფილა კეთილი. უკვირს ცანუშას, რატომ უნდა ეშინოდეს მას ისეთი ძიასი, რომელმაც ის, ცანუშა, იხსნა? რატომ ეშინიან ალექსისა კესა ბიცოლას, შალვას და ყველას, ვინც კი აივანზე შემოსდგამს ფეხს? უკვირს, რომ ალექსის მოსვლის წინ მას სუფთა ტანისამოსს გახდიან, ძველსა და დაკერებულს ჩააცმევენ, დავარცხნილ თმებს დაუშლიან. ერთხელ კესა ბიცოლამ ვერ შენიშნა ალექსის დაბრუნება. მორთული ცანუშა შეეფეთა ალექსის.

— ჰა? ეს რა არის? მე შვილად კი არ მომიყვანია ეგ უპატრონო სომხის გოგო. სადა მაქვს ამისთვის გადასაყრელი ფული? გახადეთ ფეხზე. ფეხშიშველი ვერ ივლის თუ? ეგ ბაბთები რად უნდა თმებში?

დაატანა ხელი, მოგლიჯა ბაბთი და რამოდენიმე თმაც გააყოლა. იკივლა ცანუშამ. ალექსიმ მუჯლუგუნი ჰკრა. ახლაც სტკივა იმ მუჯლუგინისგან ცანუშას... მიხვდა მაშინ ცანუშა, რომ ის არ არის სრულუფლებიანი წევრი ამ ოჯახში, მიხვდა და იგრძნო, რომ ქყეყანა დაყოფილია უსწოროდ, რომ ის, ცანუშა, გერია, არა მარტო ამ ოჯახში, არამედ მთელს სოფელშიც. რატომ? რატომ? უეჭველად დედმამა უნდა გყავდეს, რომ ცხოვრების შვილად იგრძნო თავი?

მიხვდა და იმ დღეს განუცხადა თანხმობა კომკავშირის მდივანს, რომელიც ბევრი ხანია ეჩიჩინებოდა:

— მოდი ჩვეხთან, გასწავლით. დაგიცავთ. მშვენიერი ქალი ხარ და როგორ დადიხარ? ადამიანს დაგამზგავსებთ.

კომკავშირმა ახალი წევრი მიიღო და შეიტკბო.

ისევ შემოიჭრა სიო. ისევ დაშალა ცანუშას თმები. დაშლილ თმებზე მთვარის სხივები ლეჩაქივით გადაეფარა. ცანუშამ ჩახედა სარკეს. ღიმილმა გაუპო სქელი, ბუსუსიანი და ვნებიანი ტუჩები. გაუელვა:

— ნეტავი შალვა მხედავდეს ეხლა...

სიომ გადაფურცლა მესამე ფურცელი:

ზაფხულია. შალვა ჩამოსულია არდადეგებზე. ძიბუ ბაღში წევს, ჭოჭინაში. შალვა აქანავებს. ძიბუ მღერის. ძიბუს საუცხოვო ხმა აქვს, მთელს სამეგრელოში განთქმული. ქანაობის დროს სიმღერა იშლება და შალვას აცინებს. შორი-

ახლო ჯარნა მუშაობს. ჯარნა ალექსის მოჯამაგირეა და ეს სწყენია ცანუშას; რატომ უნდა იყოს მოჯამაგირედ ასეთი ლამაზი, ახოვანი, უნაკლო ყმაწვილი? ეჰ, კიდევ ბევრია უსამართლობა და უსწორობა ქვეყანაზე, ბევრი, ბევრი... ოჰ, რატომ არ უნდა სწავლობდეს ჯარნა შალვასთან ერთად? — ეს ცანუშა რატომ არ უნდა სწავლობდეს ძიბუსავით? მართალია, კესა ბიცოლამ ორივეს ასწავლა წერა-კითხვა, წაუკითხა არსენას ლექსი, ალექსი ღვთის კაცი, სახარება, ბეჟანიანი, ქალ-ვაჟიანი, ქუჩუკ-ყარამანიანი, თამარიანი, ვეფხისტყაოსანი. მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა ალექსი ქალაქს წავიდოდა. ალექსი ნახევარზე მეტ ხანს ქალაქში ატარებდა სავაჭროდ და ცანუშა და ჯარნა ბევრს სწავლობდნენ. მაგრამ სკოლა, აჰ, რა კარგია სკოლა!

მღერის ძიბუ და ქანაობს. შალვამ დაკრიფა ყვავილები, ძეწნის მღუდე ტოტი დაგრიხა, წრე გააკეთა. ჩააქსოვა მაკოცეს ბაბთოვანი ფურცლები, მორთო მიხაკით, დაამაგრა წითელი ვარდები, შემოაცალა წითელი აბილილი, ლობეს რომ აჰყოლოდა და იქიდან შურით უცქეროდა ბაღის ყვავილებს. ერთგან მიამაგრა სუსამბარი და ძიბუს დაადგა თავზე.

პირველად იგრძნო ცანუშამ მტანჯავი იქვი. თითქო მარწუხი მოუჭირეს მკერდზე, ისე ეტკინა გული.

— აჰ, ნეტავი მე ვიყო იმ ჭოჭინაში!

იმ დღიდან ჰბორგავს ცანუშას გული. სიამოვნებით წავიდოდა ამ სახლიდან, მაგრამ ორი ვინმე აჩერებს: კესა და შალვა.

კესას დედას ეძახდა, მაგრამ ალექსი გაუწყრა და მას შემდეგ ბიცოლას ეძახის. ბევრი სიკეთე უქნია კესას ცანუშასათვის: ასწავლა ჭრა-კერვა, ქსოვა, წერა-კითხვა, მაგრამ ერთი რამ ვერ შეაგნებინა, ვერ შეათვისებინა: სახარება და საღვთო სჯული. და ისიც, რაც ოდესღაც სახარებიდან ასწავლა კესამ, კომკავშირმა თავდაყირა გადაუბრუნა.

კესა ასწავლიდა: იყავი მორჩილი ყველასი და თავმდაბალი.

„ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“...

კომკავშირმა კი: არავითარი სიმშვიდე. დაუნდობელი ბრძოლა ძველს ქვეყანას.

კესა ასწავლიდა: „გიყვარდეთ მტერნი თქვენი და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა“.

კომკავშირმა კი: ხა-ხა!... ზღაპარია მტრის სიყვარული, მოჭორილია...

და ყველა იმ ამბებიდან, რომელსაც კესა ასწავლიდა, ცანუშამ დაიმახსოვრა და გულში ღრმად ჩაიხურა ერთი — ამ ერთში ხედავდა ცანუშა საკუთარ განცდების სარკეს: —

„მოსეს მოუწოდა ღმერთმან მაყლოვანთან. ცეცხლში იყო გახვეული ბუჩქი და არა შეიწვოდა“.

„მაყლოვანსა აღატყდების ცეცხლი და არა შეიწვების“...

ცანუშას გააჟრჟოლა. ხომ თვითონაა ეს მაყლოვანი? ცეცხლი კი ისაა, ის, ვის გამოც ვერ მოშორდა ამ სახლს...

აი მას შემდეგ, რაც ალექსი გადაასახლეს და ცანუშა მარტოდ-მარტო დარჩა ამ სახლში, მიხვდა, რომ შალვა ღრმად, ძალიან ღრმად ჩასჭრია გულში. რომ იცოდეს შალვამ, კიდევაც გაეცინება.

ან რატომ უნდა გაიცინოს? „ახლა ჩვენ სწორნი ვართ. ბედმა გაგვასწორა“.—გაუელვა ცანუშას. ისევ სარკეს მოხვდა თვალები. ისევ ტოკავს სურვილი: „ახ, ნეტავი შალვა იყოს აქა!“

აილო შალვას სურათი. დააცქერდა. თავის თავათ იმღერეს ტუჩებმა:

„ვაგიყორქო-მა,
ვაგოკორქო მა,
ვამორწონქო, მახარია. სქანი ჭირი მა?“

უცებ ფანჯარას ჩრდილი გადაეფარა.

— გამარჯვებული ასეთ ტანჯულ სიმღერას არ უნდა მღეროდეს!

— შალვა!—შესძახა ცანუშამ.—დაბრუნდი?

— დიაღ, დავბრუნდი!

შფარველობისა და მზრუნველობის გრძნობამ აიტანა.

— შენ ხომ დაგიჭერენ... ნებართვა...

— შეგიძლიან დამაბეზღო, შეატყობინე შენს ამხანაგებს.

— უსინდისო შალვა!—და იატაკზე მოეშვა.

შალვამ დაინახა, რომ მეტის მეტი სისასტიკე გამოიჩინა. მოლბა, მიუახლოვდა. თავი აუწია, მუხლზე დაიდვა. მიუალერსა.

ფიზიკურმა სიახლოვემ რაოდენ წელთა განმავლობაში დაფარული ცეცხლი ააგიზგიზა. მაყლოვანმა იფეთქა.

ალი მოედო შალვას, ისე მიეკრა ცანუშა.

— ს.... ს.... ს.... ს....—სისინებდა სიო ფანჯარასთან.

15

დათო რეხვიაშვილი შფოთავს, განუწყვეტლივ ბოლთასა სცემს. თამბაქოს ბოლში ისეა გახვეული, თითქოს შენიღაბებულა, მტერს ერიდებაო.

აღმასკომის წევრები მაგიდას შემოსხდომიან, ათეულივით შეკრულან და გაზეთს დასჩერებიან. კითხულობენ, კითხულობენ, კიდევ კითხულობენ.

ზოგი მხარს იჩეჩავს, ზოგი თავს იფხანს, ზოგს ეღიმება, ზოგმა კიდევ არ იცის რა ჰქნას.

— ვერაფერი გამიგია. რას გავს ეს!—უკმაყოფილოდ აქნევს ხელებს რეხვიაშვილი.

— გაუგებარი არაფერია, ამხანაგო დავით,—მშვიდის ღიმილით ეუბნება ჯარნა.

— როგორ თუ არაფერია?—ცხარობს დათო.

— ჰო, არაფერია. ბელადი იძლევა სწორ ლოზუნგს: „არ შეიძლება კოლმეურნეობათა შექმნა ძალით. ეს სულელური და რეაქციონური ნაბიჯი იქნებოდა“.—უხსნის ჯარნა გაზეთიდან.

— შენ მასწავლე ახლა ჭკუა.

— მე როდი გასწავლი, ბელადი გვასწავლის.—გადაუშალა თვალწინ გაზეთი—ჯარნამ.—შენ, დათო, თოხი არასოდეს გჭერია ხელში. შენ იცი თუ არა რად ულირს გლეხს მისი სახლკარი?

— ეს დემაგოგიაა!—და რეხვიაშვილმა ფეხი დაარტყა იატაკს.

— ჰკითხე ამათ.—მიუთითა ჯარნამ ამხანაგებზე.—რემა დაგაბეზღა? რემა მუდამ ამსრულებელი პარტიული იყო, მაგრამ ხომ გახსოვს როგორ დაიჭირა თავი კრებაზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კრებაზე ჯუბუც იყო.

— აი საქმეც ის არის, აქედან უნდა დაგვეწყო, რამდენია ჯუბუსთანა? ჯერ უნდა დაგვერაზმა ღარიბი გლეხობა. პარტიელთა გარშემო უპარტიოთა ბირთვი უნდა შეგვექმნა, აი ბურდღუსთანა გლეხებისაგან. უპირველეს ყოვლისა ნებაყოფლობა არ უნდა დარღვეულიყო. დაუგდე ყური.

და ჯარნამ გაზეთის ფურცლებიდან ყუმბარები დაუშინა რეხვიაშვილს:

„... ვის ესაჭიროება ეს დამახინჯება, ეს ჩინოვნიკური მბრძანებლობა კოლმეურნეობრივ მოძრაობაში, ეს უკადრისი მუქარა გლეხების მიმართ? არავის, ჩვენი მტრების გარდა! რის გამოწვევა შეუძლია ამ დამახინჯებას? ჩვენი მტრების გაძლიერება და კოლმეურნეობრივი მოძრაობის იდეის სახელის გატეხა. განა ცხადი არ არის, რომ ამ დამახინჯებათა ავტორები, ვისაც თავი „მემარცხენეებად“ მოაქვთ, სინამდვილეში წყალს ასხამენ მემარჯვენე ოპორტუნიზმის წისქვილზე?“—აი, რას ამბობს ბელადი, ამხანაგო დათო, შენ კი მეზობელი სოფლები გამოიწვიე შეჯიბრში და გლეხებს ბატები აუწერე. სოფლის კრება დუმილით ჩატარდა, შენ კი დეპეშა აფრინე ტფილისში: გლეხობა აღფრთოვანებულია, კომუნას მოითხოვსო.

— ახლა დიდი გული გაქვს.

— მაშინაც დიდი გული მქონდა.—ხმა აიმაღლა ჯარნამ.—მე გაფრთხილებდი, შენ არ მიჯერებდი, მოიმკე ახლა შენი დათესილი. როგორც კი წაიკითხავენ გლეხები ამ ნუმერს, თხილივით დაიშლება შენი კოლექტივი.

— არა და შენ შეკრავ ახალს! ნიშნის მოგებით დაუქნია თავი დათომ.

— ჯარნა გასწორდა წელში, ლაფშასავით მოიღერა კისერი, ამაყად დადგა: ორთავემ თვალით გაზომეს ერთმანეთი.

— მე შევკრავ კოლექტივს, თუ ვარ ჯარნა ჩარგაზია. ამ ზაფხულსავე აბიბინდება ჩვენი კოლექტივის ყანა.

— ჩვენ უკან არ დავიხევთ!—მოისმის კუთხიდან ჯუბუს ცივი, მტკიცე და ლითონისებური სიტყვები.

— ამის შემდეგ არ დაიხიოთ უკან!—დაცინვით მიუთითა დათომ გაზეთზე.—ეს თუ უკან დახევა არ არის, მაშ რა არის?

— სწორება პირდაპირ!—მოუჭრა ჯარნამ და თვითონვე მოეწონა თავისი პასუხი.

— ამის შემდეგ მე აღარაფერი დამრჩენია აქ გასაკეთებელი.—ბრაზით ჩაიქნია ხელი რეხვიაშვილმა.—დღესვე ვბრუნდები ტფილისს. რაც გინდა ის ჰქენით.

კარები გაიღო და შალვა შემოვიდა. ხელში დაკეცილი გაზეთი ეჭირა. ჩამოდგა უსალამო სიჩუმე.

— რა გნებავთ?—ჰკითხა ბოლოს ჯარნამ.

— თქვენ ალბათ წაკითხული გექნებათ—და შალვამ გაზეთი ასწია.

— მერე?

— დამიბრუნეთ ჩემი ქონება.

— აბა დაუბრუნე ახლა მისი ქონება. დაუბრუნე!—გადაიხარხარა დათომ.—აბა, რას ეტყვი? უთხარი ახალი ლოზუნგი: სწორება ვირობაში!

— რას ვეტყვი?—ჯანრა მიუბრუნდა შალვას.—მშრომელი ხალხის სახელით მამაშენის ქონება ჩამორთმეულია და გამოცხადებული სახალხო საკუთრებად. ცანუშა დანიშნულია დროებითი გამგედ. სახლი გადაეცა კომკავშირსა და პიონერ-ორგანიზაციას.

— რა უფლებით?

— რევოლუციის უფლებით...

— დამიბრუნეთ ჩემი ქონება!

კარებს მოადგა რამოდენიმე გლეხი. ჯარნამ თვალი მოჰკრა ბურდღუს.

ჯარნამ ისე აუწია ხმას, რომ ყველას გაეგონა:

— მოქალაქე შავდია, რა არის თქვენი? სად გაქვთ თქვენ ქონება? თუ დამიმტკიცებთ, რომ საკუთარი შრომითა და ხელებით შეგიძენიათ რამე, სიტყვას გაძლევთ ამ ხალხთან, დაგიბრუნებთ. სთქვით, რა არის თქვენ მიერ შეძენილი?

შალვა სდუმდა.

— ხალხმა დაიბრუნა ის, რაც მამა თქვენმა წაართვა.

— მართალია!—მოისმა ხმები.

ჯარნამ დაუწია ხმას, მიუახლოვდა:

— შალვა, აკი შენ ჩაფიქრებულხარ უკვე და მიგიცია შენი თავისათვის კითხვა „ვინაა მართალი?“ როგორ გადასწყვიტე?

— წერილი....—წაიბუტბუტა შალვამ. შემდეგ გასწორდა, ლონე მოიკრიფა, ხალხს მიუბრუნდა:

— თუ მართალია, მაშ დამიბრუნონ ხმა! მამის გვარისთვის რათა მდევნიან?

— მამის გვარისთვის შენ არავინ გერჩის. დარჩი სოფელში, იმუშავე! ჩადექ ჩვენს დღეში! შრომით მოიპოვე ხმა და უფლება—განუმარტა ჯარნამ.

— მართალია!—დაადასტურა ბურდღუმ.—რით ხარ ჩვენს ბიჭებზე ცუდი? დღეს უშრომოთ ძალიც არ ცხოვრობს. დატრიალდი. ხელი გამოიღე, ყველაფერი იცვლება, ბიძია! ხედავ გრიგალმა ჭკადუების დიდი მუხაც კი გადატეხა.

შალვამ გლეხებისათვის პასუხი ვერ იპოვნა და მძიმე ნაბიჯით ჩაჰყვა კიბეს.

ჯარნას შემოესივნენ ღარიბები:

— როგორაა საქმე?

— რაო? დაიშლებაო?

გლეხობა სულ უფრო და უფრო ემატება.

— კრება იქნება? როდის გამოაცხადებენ?

— გესმის, ძალით არ შეიძლებაო... ნებაყოფლობითაო...

— იქნება, ამხანაგებო, კრება! ხვალ ან ზეგ, გამოვაცხადებთ.—გამოაცხადა ჯარნამ.

შორით გამოჩნდა როსტომ ჭკადუა. ხელში გაზეთს აფრიალებდა.

შალვა ზანტად აბიჯებს ფეხებს. თითქოს სხვისი ფეხები გამოესხა: არ ემოჩილებიან. თავი უცნაურად ცარიელია. მთელი სხეული სტკივა, თითქოს ტანჯ-განაგი გაიარა. მოსახვევში ძიბუს შეეფეთა. უსიტყვოდ შეჩერდნენ ერთმანეთის პირისპირ.

— მე წერილი ჯარნა ჩარგაზიასთვის არ მიმიწერია.—შემოსწყრა ბოლოს შალვა.

— რაც კუბოს ეხებოდა, მე ჯარნას ის წავაკითხე.

დაუმალა, შალვას განცდების ერთი ადგილიც რომ წააკითხვინა.

— ძიბუ, მე ახლა მესაჭიროება მეგობარი.

— განა ჩვენ მეგობრები არ ვიყავით?

— მე სხვას გეუბნები.

— ეჰ, შალვა, შენისთანა კაცს დასაყრდენი ესაჭიროება. შენზე დაყრდნობა სახიფათოა. ამ ხნის განმავლობაში ჩამოდნი, გაყვითლდი, განახევრდი. რა ვაჟკაცობაა ეს? ფიე! ასე მგონია, ეს-ეს არის უნდა ატირდე.

— საცინარი რა მჭირს?

— თავი არ უნდა დაიმცირო და არავის დაეჩაგვრინები. ახლა სთქვეს კოოპერატივში, თხოვნით მისულხარ აღმასკომში. ნუ თუ ვერ გაიგე, რომ შებრუნებულია ქვეყანა? შენ წიგნებს იქით არაფერს ხედავ. ცხოვრების ბორბალი კი სხვანაირად დატრიალდა. ხომ დაფიქრებულხარ მუხის ძირას „ვინაა მართალი“?.

შალვამ იფეთქა.

— მე დედის სიკვდილმა დამჩაგრა, თორემ მათი უსამართლობა განა პირველია? მე ჩარგაზია ვერ გამდრეკს.

— რას ჩააცივდი ამ ჩარგაზიას? ის არ ყოფილიყო, სხვა იქნებოდა. ის კიდევ სხვებსა სჯობიან.

— ჰფარველობ ხომ? ჯარნას მოთაყვანე ხარ?

— მას ჩემი მფარველობა არ ესაჭიროება და მე არავის მოთაყვანე ვარ.

— შენ იმას ამართლებ?

— ასე ვფიქრობ: ჭაში უნდა ჩაიხედო, რომ სიღრმე დაინახო.

შალვა მიხვდა, რომ ძიბუ და ის მდინარის სხვადასხვა ნაპირას იდგნენ და ხიდი არ იყო მდინარეზე.

— ქალზე ყოველთვის ფიზიკური ძალა მოქმედობს.—გადმოანთხია გესლი შალვამ.

— ვაჟკაციც ძალამ არ უნდა გასდრიკოს.—დასცინა ძიბუმ.

— მე შენ დაგიმტკიცებ, რომ ამ სოფელში ჩემი გამდრეკი არავინაა.

— გამეხარდება, თუ ჩემი მეგობარი არავის გაექელვინება...

— ძიბუ! აუ!—მოისმა მაკოს ხმა

ძიბუ მოტრიალდა. ისე ურხევად მიჰქონდა ტანი, თითქოს ცოცხალი სანთელი მიდიოდა.

— ჰმ... სწორება პირდაპირ!—გაახსენდა შალვას და მწარედ გაეცინა. პირველად იფიქრა თავის თავზე, როგორც მესამე პირზე:

ყველასაგან მიტოვებულმა მწარედ ამოიკვნესა.

16

უტარო ყანასავით ღელავს აღმასკომის მოედანი. სახლში არავინ დარჩე, ნილა, ყველანი მოვიდნენ. ბევრს ხელში „კომუნისტის“ ნუმერი უჭირავს. გაშლიან, დაჭეცავენ, ისევ გაშლიან.

— მაშ! მაშ!— ჩამდგარა ქალებში მაკო.—თურმე ყველა სოფლებში ასეა. შეჰკრებენ ხალხს და ეტყვიან: ვისაც არ გსურს კოლექტივი, მარჯვნივ გადადექით, ვისაც გსურთ მარცხნივ.

— ერთი სიტყვით ნებით ყოფილა, ჩემო ბატონო!—უდასტურებენ ქალები.

— მაშ!—განაგრძობს მაკო.—ჩემი და მატყობინებს სამურზაყანოდან, თურმე იქ ქალებმა ითავეს კოლექტივის დაშლა.

მეორე ჯგუფში როსტომ ჭკადუა ქადაგებს:

— კაცო, ასე აჩქარებით სოფელი ვის აუშენებია? ძალით მაცხონე გინახავს? მინდა ჩავეწერები, არ მინდა და არ გინდა ჩემგან? თავიდან ხომ ასეთი ყოფილა განკარგულება: კოლექტივში შესვლა ნებაყოფლობითია. რეხვიაშვილმა კი ბრძანება გასცა: ვინც არ ჩაეწერება, ქონებას ჩამოვართმევთო. სადაური კულაკი მე ვარ, ან შენ მელიტონ, ან შენ კირილე! აჰა, დახედეთ ჩვენს ხელებს!

— მართალია, დახედეთ ჩვენს ხელებს!—და გლეხებმა ერთმანეთს ხელები აჩვენეს.

— კულაკებისა და ჩვენი შედარება როგორ იქნება?—განაგრძო ძმის აზრი ეფრემმა.—ჩვენ დღე და ღამე ვმუშაობთ, ერქვანისთვის ხელი არ მოგვიშორებია, სხვისთვის არა წაგვირთმევია, რა... არა, მახარია, გარჩევაა საჭირო.

— ჩვენისთანა ხალხთან სხვანაირი ანგარიშია საჭირო.—მსჯელობს კაფანდარა მელიტონი.—ჯერ გადავხედავთ, მოვიფიქრებთ და შემდეგ, თუ კარგია, თავისი თავის მტრები ხომ არა ვართ?

— ასეთი საქმე რომ უცბად არ გაკეთდებოდა. იმ თავითვე ვიცოდი, მაგრამ ვინ გაჰბედავდა თქმას?—ჩაურთო კირილემ.

— რეხვიაშვილს მიწოლით უნდოდა გაეტანა, თითქოს ვინმე მოსდევდა.—უდასტურებს მელიტონი.—ნადობა წინადაც ვიცოდით. ვისაც ერთი ხარი ჰყავდა, მეორეს შეუამხანაგდებოდა. ნადური მუშაობა ძველი ამბავია.

— რაც მართალია, მართალია!—ჩაურთო ვილაცამ.—ჯარნას უნდა ვუმადლოდეთ, თორემ მეზობელ სოფლებში ქათმებიც კი ასწერეს.

— პატივსაცემი ბიჭია, ძმაო! —დაეთანხმა ჯგუფი.

მესამე ჯგუფში ბურდღუ და ჯუბუ ქადაგობენ:

— რაც უნდა დამემართოს, არ გამოვალ კოლექტივიდან!

— ყველა რომ გამოვიდეს, მე მაინც დავრჩები!

— ჩვენ, მახარია, ღარიბები ვართ. მთავრობა ყველაფრით გვეხმარება, რატომ უნდა დავშალოთ კოლექტივი? თუ ესენი გავიდნენ—ხელი გაიშვირეს ჭკადუების ჯგუფისკენ—ჩვენ მაინც დავრჩებით.

*) რიეკრაკი

— რასაკვირველია!—ჩაერია ბათუ.—ისეთი დიდი კოლექტივი არ გვექნება, როგორც იქნებოდა მთელი სოფელი რომ დარჩენილიყო. აი წუხელის ახლად ჩამოსული ამხანაგი გვეუბნებოდა მე და ჯარნას: თუ კოლექტივი დაიშალა, ვეცადოთ არტელი დავაარსოთო.

— არტელი თუ კოლექტივი, იმას კი მოვესწარი, რომ ალექსი და გიგო გაანიავეს. ახლა რომ მოკვდე, არ დამენანება.—ამბობს ბურდუ.—თუ თანაწორობაა, ერთი მუჭა მუქთახორებს რატომ უნდა ჰქონდეთ ხალხის გატყავების საშუალება? მე ამისი მომხრე არა ვარ.

— სუ, სიჩუმე! სიჩუმე!

აივანზე ჯარნა გამოჩნდა.

— ამხანაგებო, ჩვენი სოფლის კოლექტივის შესახებ მოწვეულ კრებას დაწყებულად ვაცხადებ. მოხმენებას წაიკითხავს მაზრიდან ჩამოსული ამხანაგი, გთხოვთ თავმჯდომარე აირჩიოთ.

— ჯარნა! ჯარნა!—იგრიალა ხალხმა.

— მაშ დავიწყოთ. მდივანია საჭირო, ამხანაგებო!

— ცანუშა! ცანუშა!—დაიძახეს კომკავშირლებმა.

— დაიჭირე ადგილი, ამხანაგო ცანუშა!

კრება დაიწყო. მაზრიდან ჩამოსულმა ამხანაგმა ერთხელ კიდევ განმარტა კოლექტივების მნიშვნელობა. სთქვა რომ კოლექტივები ნებაყოფლობითი პრინციპით უნდა დაარსდეს, რომ ძალდატანება უგუნურებაა, რომ საშუალო გლეხს სიფრთხილით უნდა მოპყრობა.

— ჰო! ჰო!— დააქნიეს თავი როსტომმა, ეფრემმა, მელიტონმა, კირილემ.

მომხსენებელი განაგრძნობდა გაზეთიდან:

„კოლმეურნეობის მოძრაობის ძირითადი რგოლი, მისი გაბატონებული ფორმა, რომელსაც ხელი უნდა ჩავსჭიდოთ, ამჟამად არის სასოფლო სამეურნეო არტელი. სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია ძირითადი საწარმოო იარაღები, უმთავრესად მარცვლეული მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა-საქონელი და სამეურნეო ნაგებობანი. მასში არ არის განსაზოგადოებული: კარმიდამოსთან მდებარე მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა საქონელი, შინაური ფრინველი და სხვა“.

— სწორია! აი, ეს მესმის.—დაადასტურეს კრებიდან.

— მაშასადამე, კვიცი ჩემი იქნება.—გადასწყვიტა ზურაბმა.—ეს სულ სხვა საქმეა.—და გადახედა თავის ყოფილ ამხანაგებს. გულმა გაიწია მათკენ. ცანუშას თვალები საყვედურით უყურებდნენ.

— ამ საკითხში აჩქარება და დაკვრითი ტემპი არ შეიძლება, ამხანაგებო,— არიგებდა მომხსენებელი.—თქენ კი შეჯიბრებაც გამოგიცხადებიათ.—უსაყვედურა მან სოფელს.

— რეხვიაშვილმა გამოაცხადა.—შენიშნა ვილაცამ.

— ვინცხამ გამოაცხადა, ხომ იყო გამოცხადებული? აი არ ვარგა ს. ე ამიტომ ვაცხადებთ: ვისაც არ გსურთ, გამოდით კოლექტივიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებას სიჩუმე დააწვა.

— აბა, ვის სურს გამოსვლა?

როსტომ ჭკადუამ იფიქრა, ვაი თუ პირველად მე გამომიძახონო და შეუმჩნეველად ჩაჰყვა აღმასკომის ლაფარას, ამოეფარა ღობეს.

— შენცა, კაცო!— გაუცინა მელიტონმა. მელიტონი ღობეს მიუწოლოდა.

— დამასწრო რჯულ ძაღლმა.—ჩაიცინა როსტომმა.

— მელიტონ ჭკადუა!—მოისმა ჯარნას ხმა.—გინდა თუ არა კოლექტივი?

— შენმა მზემ!—ჩუმად უპასუხა მელიტონმა.

როსტომს სიცილი წასქდა.

— მელიტონ ჭკადუა არ არის? აბა შემდეგი: კირილე ჭკადუა.

კირილე წინ წამოდგა. აივანს შეხედა. მთელი აღმასკომი აივანზეა, ყველა დროშები გამოტანილია, კოლექტივის მედგარი დამკვრელნი თვალში უყურებენ რას იტყვის ნადიაკვნარი?

„ნადიაკვნარი მაინც არ ვიყო ეს ოხერი.—გაუბრაზდა თავის თავს კირილე.—გავბედავდი.“—და ხმამაღლა უპასუხა:

— მსურს...

— სტყუის, მამაძაღლი!—ვერ მოითბინა მელიტონმა.—ეკლესიაში შეჩვეულია.

— რემა ჩარგაზია! გსურს თუ არა კოლექტივი?

— რა ვიცი...

— როგორ თუ რა იცი? ბავშვი ხომ არა ხარ?—გაბრაზდა მომხსენებელი

— მსურს.—გაბრაზდა რემაც და უკან დაიხია.

კიდევ ორი-სამი დარჩა კოლექტივში.

— ეშინიათ.—მიხვდა ჯარნა და დაიძახა:—ბეგი ჭკადუა!

ბეგი ჭკადუა ხუმარა კაცია. მუდამ ოხუნჯობა აკერია პირზე.

— ბეგი, გსურს თუ არა კოლექტივში დარჩენა?

ბეგი დაბალი ტანისაა. ცერზე შესდგა, გაკვირვებული სახე მიიღო და მიამიტად ჰკითხა:

— ჩაწერილი ვიყავი თუ?

კრებას სიცილი შესკდა. სიცილმა აირბინა აივანზე. დაარხია დროშები. იცინის ჯარნა, მომხსენებელი, აღმასკომი, კრება. მხოლოდ ბეგი სდგას ცერზე და უსიტყვოდ შეჰყურებს ჯარნას.

— ბეგი, გსურს თუ არა კოლექტივში დარჩენა?—იცინის ჯარნა.

— კაცო, კირილე ჭკადუასთან რა მაქვს საერთო? მღვდელი ხომ არა ვარ: ისევ ისე ცერზე დგომით უპასუხებს ბეგი.

— ჩასწერე, ცანუშა! არა ჰსურს.

კრებას მოეშვა. სხვებმა უკვე თამამად მისცეს პასუხი. როსტომ და მელიტონი შეუერთდენ კრებას. გამოკითხვა გრძელდება:

— ჯუბუ ჩარგაზია! გსურს თუ არა კოლექტივი?

— მსურს!

— ბურდღუ ჩარგაზია! გსურს თუ არა კოლექტივი?

— მსურდა და მსურს.

— არ დაღუპო, ჯარნა, არ გამოსწერო, თორემ კირილეს რა ეშველება.— ოხუნჯობს ბეგი. და კრება იცინის. მხოლოდ კირილეს აქვს შეკრული კრიჭა.

— მაგ რჯულ ძაღლმა რაღა მე გამომიძახა პირველად!

კრება გათავდა. ოცოდე კაცი დარჩა კოლექტივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე გაიმართა მეორე კრება, ახალი კოლექტივის კრება. მოკლე, მგრძნობიარე სიტყვები. შეჰფიცეს ერთმანეთს: კოლექტივი გავამაგროთ, განვამტკიცოთ.

— სახელი რა ვუწოდოთ?—იკითხა ჯუბუმ.

— მოლია!—სთქვა ჯარნამ[1].

— მოლია!—წამსვე დაატანა ბურდღუმ.

— მოლია!—დაადასტურეს წევრებმა.

ჯარნა ჩადგა შუაში და შემოსძახა:

„აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო,
ქვეყანავ მშიერ მონების!..“

ვერ მოუთმინა გულმა ზურაბს. მივიდა ძმასთან:

— როსტომ, ასეთ პირობებში მეც მსურს კოლექტივი...

— როგორც გინდა, ძმაო! ჩვიდმეტის წლის კაცი ხარ.

ზურაბი შეუერთდა მომღერალთ.

— ეს ერთი და სხვა ათასი!—შესძახა ჯარნამ

— ეს ერთი და სხვა ათასი!—გაიმეორეს წევრებმა.

ბევრ ხანს ისმოდა ჰაერში ახალი კოლექტივის ძლიერი გუგუნი.

სოფლის შუკებს კი იმ დღესვე მოედო ჩამოტანილი სიმღერა:

უსურველი ჭადი მქონდა, ვაი,
მივატანდი მწვანილსაო, ვაი,
კოლექტივის დაშლისათვის, ვაი
ვენაცვალე სტალინსაო, ვაი!

17.

გაზაფხული დაეუფლა დედამიწას. ჩანჩქერთან უკვე აღარ სჭირდება ძიბუს ფანტაზია: ყვავილები გაშლილია. დაჰყურებს ძიბუ ყვავილებს. მაგრამ გულში უჭკნება ყვავილები. სულ უფრო და უფრო უცრუვდება იმედი, რომ როსტომ და ეფრემი შეიტკბობენ ჯარნას. ყვითელი ფერი აეკრა ლოყებზე, თვალები ჩაუღრმავდა და ეზოს არ ახარებდა ლამაზი სიმღერა.

დედა ბავშვია: მას ცოტა რამ მოალბობს. და ერთ დღეს მაკო უთხრა ძიბუს:

— შვილო, შენ თუ არ მეყოლები რა ჭირად მინდა ქვეყანა? მოველაპარაკები შენს ძმებს.

— მე ძმების სურვილს არ გადავალ, დედა! ძმები ქვეყანას მირჩევნია.

ძმებმა კი ჯარნასთვის გული არ გააღეს.

— ჩემი და ისეთ კაცს უნდა მისთხოვდეს, რომ შვიდი ცხენოსანი ესტუშროს მეზობლისას სათხოვრად არ დასჭირდეს წასვლა.—უპასუხა ეფრემმა დედას.—ძალას არ ვატან, მაგრამ ასეთია ჩემი სურვილი.

[1]) რიჟრაჟი.

დაეკეცა ძიბუს იმედი, მაგრამ ჯარნას ბედს ურღვევი ძალები სჭედდნენ.

ერთხელ როსტომ ჭკადუას ეზოში სამმა მხედარმა შემოაქროლა ცხენი. ერთი ცხენი მარქაფად მოჰყავდათ.

— ტატაშ აკირთა!—გაუკვირდა როსტომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატაშს საკადრისი წვეულება გაუმართეს.

როსტომმა იცოდა, რომ ტატაშის გული ძიბუს მიერ იყო გაბზარული და უკვირდა მისი მოულოდნელი სტუმრობა. მაგრამ ტატაში აფხაზურის ზრდილობითა და ეჭვმიუტანელი გრძნობით იქცეოდა.

— ბატონებო, ყურადღებას გთხოვთ!—და ტატაში წამოდგა ფეხზე.

მთელი წვეულება ფეხზე დადგა.

— სააფხაზოში საუკუნოებითი განმტკიცებული ჩვეულება არსებობს. ეს ჩვეულება გარდაუვალია, როგორც ქალის პატივისცემა და ვაჟკაცის სახელი. ეს არის ძიძის პატივისცემა. მე მყავდა ძიძა: კესა იოსელიანის ქალი.—პურის ნატეხი აიღო, ღვინოში დაასველა. ყველამ მიჰბაძა.—თქვენც იცით რა პირობებში გარდაიცვალა ძიძა. მე არ მქონდა საშუალება ჩემი მოვალეობა მომეხადა. გვიან მივიღე ცნობა. ძიძას ელოდა უკუბო დასაფლავება. ეს სირცხვილი წაურეცხავ ლაქად დამაჩხდებოდა მთელს ჩემს სიცოცხლეში. ჩემი ძიძა, როგორც ვიგინდარა და ოხერი, უპატივცემულოდ და უკუბოდ დამარხული, განა ჩემი სიკვდილი არ იქნებოდა? რას იტყვით? მეპატიებოდა ძიძის შელახვა მე ტატაშ აკირთას?

— რასაკვირველია! — დაუმოწმეს.—ძიძის შელახვა დიდი სირცხვილია.

— აი ამ სირცხვილისგან მე მიხსნა როსტომ ჭკადუამ. მან გაუგზავნა ალექსი შავდიას კუბო და ძიძა ჩემი კუბოში დაასაფლავეს. ამიტომ მე ვუცხადებ დღეიდან როსტომს ძმობას და ვთხოვ ჩემი უდიდესი პატივისცემის ნიშნად მიიღოს ჩემგან აი ის ცხენი, მარქაფად რომ ჩამოვიყვანე.

როსტომს ეოცა. აუხსნა ტატაშს, რომ კუბო არ გაუგზავნია.

— როგორ გეკადრება, ბატონო როსტომ! სხვა ვინ გაუგზავნიდა?

როსტომს ოჯახმაც დაუდასტურა. ყველანი განცვიფრდნენ.

— მაშ ვინ გაუგზავნა?—გაშეშდა ტატაში.

წამოდგა ძიბუ.

— ბატონო ტატაშ, ჩვენს ძიძას ჯარნა ჩარგაზიამ გაუგზავნა კუბო.

— მოჯამაგირემ?

— ალმასკომის თავმჯდომარემ.—გაუსწორა ძიბუმ.

ჩამოწვა სიჩუმე. შემდეგ ის სიჩუმე ძიბუს რბილმა ხმამ დაარღვია. ძიბუმ წაიკითხა შალვას წერილის ზოგი ადგილი, ის ადგილები ძიბუმ ასე განმარტა:

— იცით როგორ მივხვდი, რომ კუბო ჯარნას გაგზავნილი იყო? ძიძას უყვარდა ია. მთელი ყათარი ჰქონდა ბალში საგანგებოდ. ჯარნამ ეს იცოდა და საყვარელი ყვავილი კუბოში ჩაატანა. მე ველაპარაკე ჯარნას. ჯერ უარი მითხრა. მაგრამ როდესაც ია მოვაგონე, გამიმჟღავნდა.

— ბატონებო! — ბრძნულად ჩაურთო მაკომ.— ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობაო.

წვეულებმაც დაადასტურა.

— ადამიანის ღირსება ქონებაზე როდი ჰკიდია..

— გაუმარჯოს ჯარნა ჩარგაზიას! —ასწია თასი როსტომმა. თასმა სუფრა ჩამოიარა.

ამ გარემოებით ისარგებლეს მაკომ და ძიბუმ და ძიბუ ჩადგა ძიბე ჩარგაზიად ჩასწერეს მმაჩში.

ტატაშ აკირთა მაყარი იყო და მარქაფად ჩამოყვანილი ცხენი ძლვნად შიერთვა ძიბუს.

— ბედი მაგას ჰქონებია, ძმაო! —ამბობდა მელიტონი. მაგაზე უკანასკნელი ვინ იყო სოფელში. მოჯამაგირე, სხვისი შემყურე, ერთი კოჭლი ხულა ედგა. ახლა შეხედეთ, თავჯდომარეა, საუკეთესო ქალი შეხვდა; ნასწავლი, მდიდარი, ლამაზი. ორ ოჯახს ააშენებს მისი მზითევი.

— ბედი რა შუაშია? —უპასუხეს მას. —კაცად კაცი ვარგა და ისაა.

— ჭკადუები ყველას როდი მისცემდნენ ქალს, მერე როგორ ქალს!

ბეგიმ აქაც იხუმრა:

— მაგ რჯულძალლ კულაკს წინასწარ ვუყიდდი კუბოს, რომ მცოდნოდა ძუბუს მე მომცემდნენ. ეჰ, ხანდახან კარგია კომუნისტობა!

— მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩემო ბეგი, —განუმარტა კირილემ, —უკანანი წინაო!.

18

ეს ერთი ხანია როსტომ ჭკადუა ჩაფიქრებილი დადის. ძველებურადვე დგება— როცა სხვებს სძინავთ, ჩაჭკირკიტებს მიწას, არ დააყოვნებს ხელებს, მაგრამ სადღაც გაიბზარა გულის სარკე.

მას შემდეგ, რაც ჯარნა ჩარგაზია როსტომის სიძე გახდა, ჯარნამ მოუხშირა როსტომთან შეხვედრას. ხან თავისთან მიიწვევს, ხან თვითონ ეწვევა. ესაუბრება სოფლის საქმეებზე, გლეხების სვე-ბედზე, მოსავალზე, ყანებზე, ბაღზე. ხშირად ასეთ საუბრებს კოლექტივის წევრებიც ესწრებიან.

ერთხელ, საღამოს, როცა როსტომი ჯარნასას იჯდა, კოლექტივის გამგეობის წევრები მოვიდნენ.

— სასწრაფო საქმეა, საგანგებო სხდომა უნდა შესდგეს. —უთხრა ჯუბუმ ჯარნას.

— აბა, დავიწყოთ!

— მე ხელს შეგიშლით... —და როსტომი წამოდგა.

— არა, როსტომ, შენ როგორ შეგვიშლი ხელს? კოლექტივი გლეხებისაა, შენ როგორ შეგიძლიან შეუშალო ხელი გლეხებს? —გაიკვირვა ჯარნამ.

— მე ხომ წევრი არა ვარ?

— მერე რა? ჩვენ ძალიან გაგვეხარდება თუ რჩევას მოგვცემ. შენ გამოცდილი მეურნე ხარ. რჩევისა და დარიგებისთვის მადლობას გეტყვით.

როსტომს იანა, რომ კოლექტივისა და აღმასკომის ხალხი რჩევას სთხოვს. დარჩა.

მეორეჯერ როსტომს შინ ეწვივნენ. „მოღია“ მომავალი ბაღისთვის ხარჯთაღრიცხვას ადგენდა.

— შენი რჩევაა საჭირო, როსტომ! გაწუხებთ, მაგრამ, იმედია მეზობლურ რჩევას არ დაგვამადლი, რადგან ჩვენი „მოღიას“ წევრები შენი მეზობლები ვართ.

— მობრძანდით. მობრძანდით. თქვენი წარმატება მე მხოლოდ გამიხარდება.— გულღიად დაუხვდა როსტომი.

— ხომ იცით, თუ დოვლათიანი და ღონიერი მეზობელი გყავს, გაჭირვებასა და უბედურებას უშიშრად შეხვდება კაცი—დაუმატა ეფრემმა.

— სიძე რომ ეზოში შემოვა, ღობის სარებიც გაიცინებენ. იუმორი მაკომ.—რას ბოდიშობ, შვილო, შენს სახლში არა ხარ?

სხდომის შემდეგ როსტომმა ვახშმად მოიწვია გამგეობის წევრები. წევრებმა შეიპატიჟეს.

— როგორ გეკადრებათ!—ეწყინა როსტომს.—ჩემს სახლში ჩემი სიძის სტუმრები ისე უნდა გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. გამარჯვებას ნუღარ მეტყვით თუ არ დარჩით.

სტუმრები დარჩნენ.

— ეჰ, როსტომ, შენ რომ ჩვენი კოლექტივის წევრი იყო!—ვერ მოითმინა ჯუბუმ.

— რა დროს აგიტაციაა? ჭიქა გამოსცალე, ისა სჯობიან.—ხუმრობით უსაყვედურა ჯარნამ.—გზაზე კი ასე აუხსნა.

— ნუ ავჩქარდებით... შეუმჩნეველად შემოვარტყათ ალყა... მოვა ჩვენთან...

დრო გადიოდა. როსტომს უცნაურად შეეკრა შუბლი. ფიქრობს. სულ ფიქრობს. ერთხელ დაჯდა და იანგარიშა: „ბოლოს და ბოლოს რა მაქვს? ძიბუმ თავისი წილი წაიღო. ზურაბმა თავისი წილი მუშა-საქონელი კოლექტივში შეიყვანა. კარგი და პატიოსანი. ახლა ესეც ვთქვათ, ჩვენ, სამნი, მუდამ ხომ ერ ვიქნებით ერთად? ათადან-ბაბადან ასე მოდის: ძმები ერთად იზრდებიან, ერთად შრომობენ ოჯახში, ერთად ჰქმნიან დოვლათს, შემდეგ ოჯახი იყოფა და ყველანი თავ-თავის გზით მიდიან. შორიდან რომ შეხედოს კაცმა, თითქოს ბევრი მაქვს, მაგრამ გავყოთ სამად და რა მექნება? მეც ღარიბი გლეხი ვიქნები“. ჩაჰკიდა თავი.

— რამ დაგაფიქრა, როსტომ?—და მელიტონი წაადგა თავს.

— დაჯექ, მელიტონ! კარგ დროს მოხვედი: შენი რჩევა მჭირდება.

— ბატონი ბრძანდები.

როსტომმა გულის ნადები გაუზიარა.

— მართალი ხარ, როსტომ! სანამ გაუყოფელი ხართ, სავსე ოჯახი გაქვთ, მაგრამ ხვალ რომ ერთმანეთს დაშორდეთ, ცოტა დაგრჩებათ. მეც ასე არ ვიყავი? გაყოფამდე დიდი ოდა გვქონდა მე და ჩემი ძმა რომ დავცოლშვილდით და რომ გავირყაენით, არ გვებევრა ქონება. შენც ხომ უნდა დაცოლშვილდე, ეფრემიც. ზურაბიც. ასეთია ქვეყნის წესი, მახარია! ამან არ უნდა დაგალონოს.

— განა ეს მალონებს მელიტონ! მე სხვა მაფიქრებს ამ ჟამად.

— აბა!

— ხომ იცი „მოლიას“ წევრებს რა ყანა აქვთ?

— მერე?

— მთავრობა ყველაფერში ეხმარება მათ. სესხი, თესლი, კოოპერატივი, სხვა და სხვა შეღავათი. ვინ მოსთვლის?

— ჰო-ო!—მიუხვდა მელიტონი.

— რას იტყვი მელიტონ! ხომ ხედავ რა დაემართა სოფელს? ამას წინათ გრიგალმა რომ ჩემი ძველი მუხა გადასტეხა, გულმა რეჩხი მიყო. ასეთი გრიგალი სოფელს ჯერ არ ახსოვს.

— ჰა, რა გრიგალი იყო. როსტომ! კიდევ ცოტა და ... იქნებოდა. ზანზარი გაჰქონდა მიწას. მეც ვიფიქრე, რაცხა უნდა მოჰყოლოდა ამ გრიგალს.

— მაშ, როგორ?

— ვიფიქროთ კიდევ.

— ჰო, ვნახოთ რა იქნება, რას გააკეთებენ.

— ჭკადუებს გაუმარჯოს!—მოესმა მათ და ცხენოსანი თავზე წაადგა.

— ჰა, ბურდღუ, შენა? გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს!

— ასანთი ხომ არა გაქვთ? შიხ დამრჩენია ის სატირალი!—ბურდღუმ გადასწია ახალი ახალუხის კალთა, ამოიღო პაპიროსის კოლოფი. მიაწოდა ჭკადუებს.

— საით, ბურდღუ?—ჰკითხა როსტომმა.

— ქალაქს. კოლექტივის სასწრაფო საქმეები მაქვს.—დაჰკრა ცხენს მათრახი და ჩაათოხარიკა.

— შეხედე, ახალი ახალუხი აცვია!—ჩაიცინა მელიტონმა.—პაპიროსი-არასოდეს ჰქონია, მუდამ დატკეჩილ თამბაქოს სწევდა.

— ცხენზეც არასოდეს მინახავს. ახლა კი ხედავ ის „მოღია“ როგორ გაიზარდა?

— ფეხებს დააკვირდი? ახალი ეცვა.

— როგორ მიათოხარიკებს...

— გუშინ მაგ ცხენზე შენი სიძე იჯდა. მართალი გითხრა, მახარია, კარგი ბიჭია შენი სიძე! არ წაუგია ძიბუს.

— რა ვიცი, მელიტონ, სხვა ბედს ველოდი კია ძიბუსათვის.

— არა, როსტომ, ჯარნა ჩარგაზიას მთელი სოფელი უმადლის.

— ჰო, რაც შეეხება ამ დროს...

— მახარია, ყველაფერი დროზეა დამოკიდებული. ჩვენც დროს უნდა დავყვეთ, ოღონდ ფრთხილად. ასე მგონია გრიგალმა გადაიარა სოფლის თავს და კარები ეხეთქებიან. ჩვენც ისე მივუგდოთ კარები, რომ თითები არ მოვიჭეჭყოთ. ხომ ხედავ როგორ ბრუნავს ეს ქვეყანა?

— ჰო, თითქოს იმ გრიგალმა შეანძრია ყველაფერი... მართალი ხარ. ბოლოს და ბოლოს ერთის სოფლის შვილები ვართ. თუ ეს კარგია, რაღა ბურდღუ უნდა მიხვდეს და არა ჩვენ?

— ჰო, მახარია, ასე! მოველაპარაკები დესპინეს... ვნახოთ.

— ამ საქმეში აჩქარება არ ვარგა. ფენჯგირე რა არის, იმასაც დრო უნდა რომ გაიზარდოს, ნაგავი დაგავოს და ბინა გაახალისოს.

და საკუთარი კაეშნის ორი ვაზირი დაშორდა ერთმანეთს.

19

სოფლის დასაწყისს გორაკზე, სადაც ჩანჩქერი შხუის, შალვა შავდია ზიხ დამწუხრებული. აღმოსავლეთით ცა აწითლებულა და ტყეში ... ბულბულებენ სიო და ჩიტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვას გაბზარული გულის ნატეხები ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ძიბუ ფართო არალუღიდან ამოვარდა. ბევრი რამ გაჰყვა ძიბუს შალვას გულიდან. და უმთავრესი ის, რომ შალვას გაუწყდა უკანასკნელი ძაფი, სოფელთან შემაერთებელი. გადასწყვიტა დაშორებოდა სოფელს. უკანასკნელად მივიდა ჩანჩქერთან. ისევ ისე შხუოდა იგი როგორც უწინ, როდესაც შალვა და ძიბუ პატარეები იყვნენ და აქ თამაშობდნენ გაახსენდა: ერთხელ „ვეფხის-ტყაოსანი“ გაითამაშეს. ძიბუ ნესტან-დარეჯანი იყო, ჯარნა—ტარიელი, შალვა—ავთანდილი.

მწარედ გაეცინა.

„ის, რაც ბავშობისას სიცილითა და სიხარულით გავითამაშეთ, ბედმა მწარედ და დამამცირებლად გაიმეორა“.

ქვასთან ჩამოჯდა. თვალთ ცრემლები მოერია.

„ რა მემართება? ნუთუ მართალია ძიბუ“

ერთხელ დედის სიკვდილის შემდეგ, ძიბუმ უთხრა:

— შალვა, შენ უსისხლო გული გაქვს.

შალვა მიხვდა: ძიბუს ჰსურდა დაენახა ძლიერი, მებრძოლი, უდრეკი შალვა.

— ძალა აღმართსა ხნავს.—უმტკიცებს შალვა.

— ლაჩარს თავის გასამართლებელი არ გამოელეკა.—დასცინის ძიბუ.

აენთო შალვა:

— მე ლაჩარი არა ვარ. აბა, რა ვქნა, მითხარი?

ძიბუმ სიბრალულით შეხედა:

— იცი, შალვა, შენ რომ შებრძოლებოდი. მე ციმბირში გამოგყვებოდი. შენ ლოკოკინასავით მიფორთხავ, ჯარნა ჩარგაზიამ კი გრიგალივით გადაიარა სოფლის თავზე. შენ ქონება ჩამოგართვეს და აბილილივით დასჭკნი. ჯარნას კი არასოდეს არაფერი ჰქონებია, მაგრამ შეხედე მუხასავით უდრეკია.

— რა შედარებაა!. სად ისწავლე?

— აქ ვისწავლე, ამ სოფელში.

მაშ ასე: ძიბუს ჰსურდა, რომ შალვას ვაჟკაცობა გამოეჩინა. გამოიჩენს... გამოიჩენს...

— დაგაობლებ, ძიბუ! ჩაგაცვამ ძაძას! ზარალებულს დაგტოვებ.!

ფარაჯა გადასწია. თოფს ელი მოუჭირა. იცის, ამ გზით დადის ჯარნა კოლექტივის ყანაში. საცაა უნდა გამოიაროს. აქ გააცივებს ჯარნას, დაობლებს ძიბუს, დააბნელებს "მოლიას" და წავა, სამუდამოდ წავა. არც მამა, არც ვინმე აჩერებს სამშობლოში.

ცანუშა. ჰო.. ცანუშა...

რამდენს ეცადა ცანუშა ჩაება შალვა ახალ ცხოვრებაში.

— შეურიგდი, შალვა, მდგომარეობას! მოიპოვე ხმის უფლება.

— რას მომცემს შენი ხმის უფლება?

— პატიოსანი შრომით ცხოვრების საშუალებას.

— კოლექტივში ჯოგური ცხოვრების საშუალება? არა ცანუშა, ასეთი ცხოვრება იმათთვის დამილოცნია, ვისაც მოსწონს.

— ეს ახალი ცხოვრებაა, შალვა, უნდა მიიღო და შეეგუო!

— ესე იგი დავძორჩილდე ჯარნა ჩარგაზიას... მან, გაუნათლებელმა დაუსწავლელმა, მე მიკარნახოს? არა, ცანუშა, მე წავალ სადმე, თუნდაც საზღვარ გარეთ. იქ ვისწავლი, და თუ დავბრუნდი, ჩარგაზიას მოკარნახე ყოველთვის ვიქნები. ცოდნა მათრახზე უფრო ძლიერი ძალაა.

— შალვა, ნუ წახვალ ნუ! სახიფათოა. რომ დაგაპატიმრონ?

— მერე შენ რა?

— მე?—ცანუშას ხმა აუკანკალდა.—შალვა, ბავშვი ხომ არა ხარ? ნუ თუ ვერა ხედავ, რომ...

— ეჰ—და შალვამ ხელი ჩაიქნია.

— რატომ, შალვა;—თრთოლვით აეკრა. ვედრებით შემოხვია ხელები.

შალვამ ცანუშას ხელები მოიშორა, ცივად უთხრა:

— უმალ შიმშილით მოკვდები და შენ არ შემოგეხიზნები ჩემს საკუთარ სახლში. მაშ ასე: დღეს ყველაფერი გადასწყდება, ყველაფერი.“

შორიდან მომავალი დაინახა. დილის ბურუსში იცნო ჯარნა. ლაღად მოდის, არხეინად. ან რისი უნდა ეშინოდეს? რა იცის, რომ შალვას აკანკალებულ ხელებში ცივი სიკვდილი უდარაჯებს მას?

ჩემი ყოფილი მოჯამაგირე... ჩემი რაყიფი.. ყველაფერი წამართვა: სახლი, კარი, საყვარელი ქალი- მამა გამიგდო სოფლიდან. სწავლას მომსწყვიტა. გამაუბედურა... ავადმყოფი დედა გადამისახლა... მერე რა, რომ კუბო გაუგზავნა? დიდი საქმეა. მთელი ქონება წამართვა და ერთი კუბო გამოგზანა... ახალ ცხოვრებას აშენებს.., კოლექტივი დაარსა. ვერ გაანათებს შენი „მოღია“, ჯარნა ჩარგაზია!.. ძიბუ წამართვა ძიბუ!.. რა ლამაზად, მღეროდა წუხელის ძიბუ! ჩაგიმწარდება, ძიბუ, ეს სიმღერა! აჰა, ახლოსაა... აბა, გავსწორდეთ ჯარნა ჩარგაზია!

და მაშინ, როდესაც შალვამ ჩახმახს თითი გამოჰკრა, ვიღაცამ მარჯვენა ხელს აუკრა ხელი,

აცდენილმა ტყვიამ გაიზუზუნა.

— ძლივს მოგასწარ, გაგიჟდი თუ?—ჩასძახა ცანუშამ.—როგორ გაბედე!

— შენ... რა გინდოდა აქ?

— მინდოდა ერთხელ კიდევ დამენახე გზად მიმავალი. რა მექნა, თითქოს მთელი ჩემი სული მიგქონდა... ამ ტყვიის შემდეგ კი აღარ მიყვარხარ, მხოლოდ მებრალები... მუხდალი ყოფილხარ... არ მეგონა...

— ვინა ხარ მანდ?—და რევოლვერ მოღერებული ჯარნა კლდეზე ამოვარდა.

— ხა-ხა-ხა!—გადაიხარხარა ცარუშამ.—შეშინდი ამხანაგო ჯარნა? რა გაფითრებულხარ!

— ვინ იყო?

— მე ვიყავი. აი შალვას დავენიძლავე. რომ ნიშანში მოვარტყამდი იმ ხეს. თურმე შენ კი მოდიოდი. აქედან ხომ არა სჩანდი?

ჯარნამ რევოლვერი ჩააგო. უცნაურად შეხედა შალვას. გესლიანად გაიცინა:

— მაშინვე მივხვდი, რომ დედაკაცის გამოსროლილი ტყვია იყო.

— შეგეშინდა?—ისევ შეეკითხა ცანუშა.

— შეგეშინდა რომელია, ქალო! ერთს ნაბიჯზე ჩამიარა ტყვიამ, ასე როგორ შეიძლება, გამარჯობა, შალვა! რად კანკალებ? ხომ არ გაციებს?

— მაპატიე, ამხანაგო ჯარნა! სისულელე მომივიდა.—ეხვეწება ცანუშა.

— სისულელე,.. რად დაგჭირდა ეგ ნიძლავი? ფუ?

— კარგი, ჯარნა, ნუ სწყრები! ამ თოფს კი, აი შეხედე!

დაარტყა კლდეს, დაამტვრია.

— არ მიწყრები? სთქვი. არ მიწყრები?

— კარგი, კარგი... ერთი ალილუია მღვდელს შეცდებაო,—შემდეგ შალვას მიუბრუნდა—ჰა. შალვა, რასა იქ? ხედავ, კინაღამ მომკლა ამ ქალმა.

— ბედი ბრმაა!—ყრუდ მიუგო შალვამ.

ჯარნა კლდეზე შედგა, გარემოს გადახედა. აბიბინებული ყანები, მწვანე სოფელი, გიჟმაჟი ჩანჩქერი, ამომავალი მზის სხივებით სავსე ცის კაბადონი.

— ვიშ, რა სურათია! აღმოსავლეთით მზე ამოდის, გორაკის თხემი მოვარაყებულია წითელი სხივებით, წინ გაშლილია სოფელი. გორაკზე კი ისე გრძნობთ თქვენ თავს, თითქოს თქვენს მეტი არავინ იყოს ქვეყანაზე, და სროლაში ეჯიბრებით ერთმანეთს.

შალვა დააცქერდა: ისე მაგრად, ისე ლაღად სდგას გორაკზე ჯარნა, როგორც თვით ეს მთა მიწაზე. ჯარნას ტუჩებზე უცნაური ღიმილია, თითქოს ვილაცას დასცინისო.

— აი ამ ტუჩებით, ის...—და შალვამ გასწყვიტა ფიქრი.

— სად მიდიხარ, ამხანაგო ჯარნა—გაისწორა თმები ცანუშამ.

მოლიას ყანაში. შეხედე, რა მშვენიერი ყანაა!

— მოლია!—ვერ მოითმინა შალვამ.

— ჰო, გადახედეთ!—ჯარნას ხელმა ფართო მინდორი მოხაზა. მინდორზე ყანა აკვანივით ჰქანაობდა.—მოლია გაანათებს და მტერს თვალს დაუბნელებს.

შალვა ჩუმად იდგა და ყანას თვალს არ აშორებდა.

— სად მიდის შალვა?—ჰკითხა ჯარნამ ცანუშას.

ცანუშა დაიბნა, შეკრთა. რა ჰქნას? სთქვას სიმართლე? არა სთქვას?

— ვშორდები შენს სოფელს, ჯარნა!—უპასუხა ცანუშას მაგივრად შალვამ.

— სად მიდიხარ?

— იქ, სადაც შენი მოლია არ მომწვდება.

— ოჰო! უკვე ეშინიათ მოლიასი—გაიცინა ჯარნამ,—კარგი ნიშანია, მაშ, შორს მოგიხდება წასვლა, შალვა! მოტრიალდა, უსალამოდ გაშორდა. აღმართ-აღმართ აჰყვა ბილიკს.

შალვა ცანუშას მიუახლოვდა, ყურში ჩასჩურჩულა: „გმადლობ“, ხმამაღლა კი დაუმატა: „მშვიდობით“! და დაქანებული გზას ჩაჰყვა.

ცანუშა ულონოდ მოეშვა მიწაზე. ცრემლები წასქდა.

— მუდამ ობოლი ვიყავი, ახლაც ობლადა ვარ...—აუვარდა სლუკუნი,

ჯარნამ გაიგონა, მობრუნდა. დააცქერდა ცანუშას:

— არა, ცანუშა, შენ ობოლი არა ხარ შენ ახალ ცხოვრებას იწყებ, ის კი ძველს ათავებს. ააყენა. დაუყვავა. მიაბრუნა დალმართით მიმავალ შალვასკენ, შალვა ბარბაცით მიდიოდა და პატარავდებოდა,

— შეხედე, ცანუშა! ნაცემი ძაღლივით მიეთრევა... შენ კი შველს ჰგავხარ ამ დილას ამ მთაზე. სად შენ, სად ის...

ცანუშას ლოყები აეწვა... მოისმა სიმღერა, ძლიერი, მხიარული ნადური.

— შეიშრე ცრემლები! ეს სიმღერა ჩვენი კოლექტივისაა. ყანაში მიდიან. მტკიცედ იცოდე, შენ არა ხარ ობოლი!

მზის სხივებიც ისე დააჩერდა ცანუშას, თითქოს გაკვირვებით ეკითხებოდნენ; „განა ობოლი ხარ“?

კოლექტივის სიმღერა ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა, მხიარულად გუგუნებდა. სიმღერა ზევით ამოდიოდა, სადაც მზის სხივებით სავსე თხემზე ორნი იდგნენ; ცანუშა და ჯარნა.

სიმღერა რეკავდა ჰაერში. მხიარულის გუგუნით მოდიოდა სოფლიდან.

სიმღერა გულს უკლავდა შალვას და ახარებდა ჯარნას,

ცანუშას მკერდში გულის ცრემლები ბობოქრობდა.

და ხედავდა ცანუშა:

იქ, სადაც ჯერ კიდევ ბნელოდა, დაბლა-დაბლა მიდიოდა შალვა. უცნაურად დაპატარავებული, დამტვრეულის ნაბიჯებით, ნაცემი ძაღლივით.

იქ კი, სადაც თხემზე იცინოდნენ ახალი სხივები, ალმართ-ალმართ ამოდიოდნენ მოლიას წევრები.

და მათის ნაბიჯისაგან დრკებოდა კლდე...

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა

ზღვის ცხელ რიყეზე ცხენების ჯოგში
ულაყ კვიცივით თამაშობს ლაფშა;
ხვიხვინებს, ხტის და, დროდადრო შვენის
ქალის თმებივით ფაფარის გაშლა.
ყელს მოიღერებს და ტანად თეთრი
სამდურავ თვალით შეხედავს ულაყს:
ცხენების ჯოგში ის არის ერთი,
რომ თავიდანვე ლაფშას არ უყვარს.
და, თითქოს ჟინზე, ულაყი შავი
ფაშატს გრძნობათა დუღილში აბამს;
კბენს, არ ასვენებს და ვნებით ავი
სქელი კბილებით უჯიჯგნის ფაფარს.
რას იზამს ლაფშა! დაკოდეს, თორემ
ულაყზე უფრო იცოდა კბენა,
თავისი მჭიდრო კუნთების ღონე
და ტანმხურვალე ფაშატის ენა.
ახლა საჯდომი ცხენია მარტო,
ემსახურება არტელის კაცებს.
როცა საქმეა მხედარი სანდო
იჭერს... უბრძანებს...
და ლაფშაც გასწევს.
გასწევს... შარა და მხედარი უყვარს,
მინდვრებიც უყვარს, მარჯვნივ თუ მარცხნივ.
ცეცხლი აქვს ისევ სხეულში უხვად.
გზნება აქვს ისევ და გული ანჩხლი.
ზღვის ცხელ რიყეზეც ცხენების ჯოგში
ულაყ კვიცივით თამაშობს ლაფშა:
ხვიხვინებს, ხტის და, დროდადრო შვენის
ქალის თმებივით ფაფარის გაშლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ცუცქირიძე, ჭალარა მწყემსი,
იქვე ჩიბუხში ნაცრავს თამბაქოს.
ამ კაცს ცხენების ცხოვრება ესმის,
წესრიგი ესმის და ჯოგს ამაგობს.
ის გურიიდან მოსულა მარტო:
ორულერგეტის მკვიდრია ახლა;
ემორჩილება ზუგდიდის პარტკომს
და პარტიზანის სიმტკიცე ახლავს.
გონება უჭრის.
ამაგრებს არტელს:
აქვს მინდობილი ცხენების მოვლა.
და ამ შრომიდან დღითიდღე მატებს
კოლმეურნეებს მადლიან დოვლათს.
წელს გამოზარდა თვრამეტი კვიცი,
ყველა კარგი და დედების მჯობნი.
როგორ მიუდგეს თვითეულს, იცის,
რჩება ჭკუით და მრავლდება ჯოგი.
მაკე ფაშატნიც მშობლიურ შიშით
უფრთხილდებიან წამოზრდილ მუცლებს.
შავი ულაყი—განთქმული ჯიშის,
მზრუნველი თვალით ფაშატებს უცქერს.
უცქერს და ქვებზე აელვებს ნალებს...
გრძნობ ცხელ რიყეზე სიცოცხლეს ფერადს;
მეგრულ სოფლებში შეირბენს მალე
ორულერგეტის ცხენების ფერმა.
და კოლექტივებს ძალ-ღონეს შესძენს,
არ დააფიქრებს მიჯნათა ჩიხი,
გაშლილ თავლიდან გავა და ველზე
ფორდზონის გვერდით დაიწყებს ჭიხვინს.

კვიცები ხტიან. არა აქვთ წესი.
ტანდაბანილი ცხენები გაშრა.
მარჯვედ წამოდგა ჭალარა მწყემსი
და მხედარივით მოაჯდა ლაფშას.
გახედა რიყეს,—მზე ადგა მწველი.
მწყემსს არ სჭიროდა მოხურვა ჩოხის.
შეათამაშა ჰაერში წნელი
და მინდვრებისაკენ გარეკა ჯოგი.
ზეგ ისევ მოვა...
და ხშირად შუადღით
ზღვასთან ცხენებით უხდება მოსვლა;
ცხენებს ჩაიყვანს ზღვაში და,—შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშვიდებული ზღვის ჰაერს ყნოსავს.
უყურებს დიდხანს მინდვრისფერ სივრცეს:
ზღვა... ფიქრები და
ოცნებაც არ სძულს.
ქვებზე დამჯდარი გულისთქმას მისცემს
გემს, ანაკლიის პორტიდან გასულს.
გემი ჩაივლის ნაპირთან ახლო,
დაფარავს მანძილს სოხუმის ხაზით.
მწყემსი მონახავს თვალისთვის მაღლობს
და გაუელვებს მრავალი აზრი.
ხახას დააღებს წარსულის ხრამი
და ის დღეები, ქცეული ნაღმად,
როცა ცხენები მიყავდათ ღამით
აფხაზელ ქურდებს ენგურის გაღმა.
და მწყემსი ფიქრობს:— სად არის ქურდი?!
მშვიდია გზა და ოდიშის ღამე.
ის ვაჟკაცები—ყაჩაღთა გუნდი,
ტყეს დაშორდენ და ყამირებს ხნავენ;
მართავენ დაზგებს, დიდება შრომას.
როგორ გამოვთქვა, სხვა დროა მართლაც.
აქ ჭაობებმა დაიწყეს შრობა
და კაცის გულიც სინდისით გათბა.

ცხენები სძოვენ. არ არის შიში.
მწყემსი ჩიბუხით ერთობა ჩრდილ ქვეშ.
ისვენებს, სტვენს და, რა იგრძნობს შიმშილს,
შევა მჭადისთვის კარავში იქვე.
თავს ძილისათვის ფიცარზე დადებს,
გონიერ თვალებს დახუჭავს მშვიდად.
და, თუ ცხენები გაებნა სადმე,
ლაფშა სითეთრით აჩვენებს ნიშანს.
ლაფშა ნაღდია. ჭაღარა ინდო.
დაბადებულა მაგარი ზურგის.
თუ საჭიროა, დატოვებს მინდორს
და უყოყმანოდ მოიარს ზუგდიდს.
დაღამებისას კოლექტივს კარზე
მიუჭიხვინებს დაღლილი ცოტა.
მიუტანს ნივთებს, მიუტანს გაზეთს
და რაიონის მრავალგვარ ცნობას.

ცხენები სძოვენ, და მწყემსთან ჩირგვზე
არხევს ნიავი შეცვეთილ ბაშლაყს.

ველზე გაფანტულ თხმელების ჩრდილ ქვეშ
ტანგაოფლილი ფრუტუნებს ლაფშა.
და სიხარული ეძლევა თვალებს,
გრძნობ: სიტკბოსავით სიცოცხლეს ფერადს;
შეგრულ სოფლებში შეირბენს მალე
ორულერგეტის ცხენების ფერმა.
და კოლექტივებს ძალ-ღონეს შესძენს,
არ დააფიქრებს მიჯნათა ჩიხი,
გაშლილ თავლიდან გავა და ველზე
ფორდზონის გვერდით დაიწყებს ჭიხვინს.

1952 წ. ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ქუჩიშვილი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხურ პილოზე

ახალსოფლელი ბიჭი ვარ,
მიწის მუშა მხნეო;
მე რომ ერთი გოგო მომწონს,
სჩანს კოლმეურნეო.

დილდილობით, ვიდრე სოფელს
შუქს მოჰფენდეს მზეო,—
ის უკვე მინდვრად გასული
მღერის ტრაქტორზეო.

მოხდენილად მართავს საჭეს
ახალ ტრაქტორზეო;
ვდნები, როცა მინდვრად გასულს
კოცნას უწყებს მზეო.

სოცშეჯიბრში ვერვინ სჯობნის,
დამკვრელ ქალად სცნესო;
პირველობის შრომის ჯილდო
მას მიაკუთნესო.

ერთი სოფლელი ბიჭი ვარ,
მიწის მუშა მხნეო;
მე, რომ გოგო მომეწონა
სჩანს კოლმეუნეო.

კონსტანტინე გამსახურდია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოეტეს ცხოვრების რომანი*)

საშიშარი სტუდენტი

1765 წელს ოქტომბრის დამლევს დედის ტკბილი ხელითა და ნაზი რუდუნებით შეფუთვნილი ყრმა, არა, ჭაბუკი, რომელსაც უკვე სწყინდა ყრმობა, ლაიპციგს მიემგზავრება. მაშინდელ ლაიპციგში სულ 30-ოდე ათასი მცხოვრები ითვლებოდა. სიდიდით იგი ფრანკფურტისაგან ოდნავაც არ განსხვავდებოდა; ლაიპციგი მაშინაც კულტურის, მეცნიერებისა და მწიგნობრობის დიდი ცენტრი იყო; საშუალო საუკუნის დაღი გარეგნულად ჯერაც არ იყო წარხოცილი. აქაც ქალაქი უშველებელი თხრილებით იყო შემორაგვული, ოთხივე კიდიდან ალაყაფის კარებიდან შემოდიოდენ მოქალაქენი და ეს კარები განსაზღვრულ საათებში მაგრად იკეტებოდენ. 30 წლიანი ომების ნატერფალი ჯერაც არ წაშლილიყო ციხე ქალაქის გალავნებსა და ქონგურებზე

ქალაქის ცენტრში აწინდელი აუგუსტუს მოედანი იყო, ამ მოედნიდან სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდენ ჩეროებიანი „პრომენადები", ასეთი იყო ქალაქის ცენტრი, ხოლო გარეუბნებში ვიწრო მიხვეულ-მოხვეული პატარა შუკები და ქუჩები.

გოეტეს დროსაც არსებობდენ ლაიპციგში „გრიმანიშეს ტორ", „ჰალიშეს ტორ", „პეტერს ტორ", რომელთა არსებობა და სახელი მხოლოდ საშუალო საუკუნის იდილიის მოსაგონარადაა დარჩენილი.

მაშინდელ ლაიპციგს არ ახლდა ის დიდი კომფორტი და ბრწყინვალება დიდი ცივილიზაციური ცენტრისა, ცხადია ვერც ის საუცხოვო მისვლა-მოსვლის სიიოლე იყო; ვიწრო, ტალახიანი, ღორღიანი თემშარები აერთებდნენ მაშინდელ ვერმანიის კულტურულ ცენტრებსაც და ამ თემშარებზე მოძრავი ფოსტის ეტლები, დანჯღრეული დილიჟანები.

ასეთი პოსტილიონით გაემგზავრა ჭაბუკი გოეტე ფრანკფურტიდან ლაიპციგს.

შემოდგომის წვიმებს გზები აეტალახებინა, ჰანაუსა და გელჰაუზენის თემშარაზე დიდი მერეხი დააცხრა თავზე ჩვენს მგზავრს, პოსტილიონი ძლივს მიბორდღავდა ტალახში, მეეტლე წარა მარა ჩამოდიოდა მაღალ კოფოდან, ქაქა-

*) დასაწყ. იხ. მნათობი № 7.

ნით და ყვირილით ამხნევებდა ცხენებს, ბოლოს მგზავრებიც იძულებული გახდნენ ძირს ჩამოსულიყვნენ და ქვეითად გადგომოდენ გზას.

ერთბაშად სიბნელეში, თვალი მოჰკრა გოეტემ უშველებელ ტაფობში მირიადი ციცინათელების ხროვას, აღტაცებულ პოეტს სულ ეგ გასაოცარი სანახაობის მზერა უნდოდა, ხოლო მეეტლე ბუზღუნითა და გინებით შიერეკებოდა ცხენებს.

ტურინგენში უფრო უარესი გზები დაუხვდათ, აუერშტეტის ახლოს, შელამებისას ეტლი ტლაპოში გაეჩხირა. ირგვლივ წყვდიადი იყო, ადამიანების ჭაჭანებაც არსაიდან ისმოდა, გოეტე თავგამოდებით შველოდა მეეტლეს. როგორც იქნა ხელით ამოათრიეს ტალახიდან ბორბლები, ამ არაჩვეულებრივ დაძაბვისაგან გოეტეს მკერდის ძარღვების გაგანიერება შეემთხვა და აქედან დარჩენილი ტკივილი მრავალი წლის განმავლობაში აწუხებდა.

მხატვრობით, ლიტერატურითა და ენებით უზომოდ დაინტერესებულ ჭაბუკს უშველებელი ასპარეზი თვალ წინ გადაეშალა. ლაიპციგი მაშინაც წიგნის ვაჭრობის მსოფლიო ბაზარი იყო, სწორედ ლაიპციგის მესსე [1]. მაშინაც ამ მესსეზე ჩამოდიოდენ მთელი ევროპის და აზიის სხვა და სხვა კუთხის ვაჭრები, ინგლისელები, ესპანელები, ფრანგები, იტალიელები, ბალკანელები, თურქები, რუსები, ჩინელები, სპარსები. ზოგს თავ თავიანთი ნაწარმოები მოჰქონდათ, ზოგიც საქონლის წასაღებად მიდიოდა.

ლაიპციგი იმ დროის „პატარა პარიზია", წიგნის, მუსიკის, მხატვრობის სტუდენტების ქალაქი.

იმ დროს გერმანიის ქალაქების მოსახლეობა ნელნელა იხდიდა გერმანულ საშუალო საუკუნის ეროვნულ ტანისამოსს, თუ გოეტეს პირველ მიჯნურს და ფრანკფურტის მოსახლეობის დემოკრატიულ ნაწილს გერმანულად ეცვათ, მაგალითად გრეტხენს, პილადესის ტურფას და სხვებს, გოეტეს დას კორნელიას პარიზულად ე. ი. ფრანგულად ეცვა, ფრანგულად პარიზულად ირთვებოდენ ლაიპციგელი საზოგადოების ქალები, მამაკაცებიც სასტიკად იცავდნენ პარიზულ მოდას, შავ ფრაკს, მოკლე შარვალს, მაღალ ყელიან წინდებს, ლაკის ტუფლებს. ყოველი კავალერი ყოველწუთს მზად იყო დუელისათვის და საამისოდ ხრმალიც ე. წ. „დეკენ" წელზე ერტყა. ფრანგული ენა ბატონობდა გალანტური კავალრების წრეში და მშვენიერ სქესთან მხოლოდ ფრანგულად ელურტულებდა მაშინდელი ლაიპციგის მოწინავე ახალგაზრდობა, სახელგანთქმული იყო მუდამ ლაიპციგის სტუდენტობა, დუელებით, ქეიფით, გონება მახვილობით; უნდა იყო ნამდვილი ევროპელი, გერმანელი რომ ახალგაზრდობაში შესძლო კიდევაც იქეიფო, იარშიყო იანგლო და ამავე დროს ბევრი იმუშაო, ეს იმ თავიდანვე ახასიათებდა ლაიპციგის სტუდენტობას.

XVIII საუკუნის ახალგაზრდობა!

ეს იყო უნებისყოფო, ენამრავალი, ფრიად განსწავლული და ფრიად მშიშარა თაობა. ურცხვი და დესპოტიური მთავრობა ამ ახალგაზრდობას სიმთვრალეში უდიდესი დებოშების ნებას აძლევდა, მაგრამ პოლიტიკიდან შორს უნდა დაეჭირა ყოველ კაცს თავი. თავისუფლების ლოზუნგებიც საფრანგეთიდან მოდი-

[1]. მესსე—ეს ყოველ წლიური ბაზრობა შემოდგომაზე ლაიპციგში.

ოდა, ისევე როგორც მზადმზარეული პარიზული მოდა, ეს ლოზუნგები დიახაც ენთო ახალი თაობის გულში, მაგრამ მისი გამომჟღავნება აკრძალული ყოო. ამიტომაც მოწინავე ახალგაზრდობა უნებლიედ მისცემოდა ქეიფს, დუელებს, მას განუკითხავად სჯეროდა ბედისწერის გარდუვალი ეტლი და ამ ეტლს მიჰყვებოდა მისი გული და გონება.

ორი, ბჟურგერულ გემოვნებაზე მორთული ოთახი იქირავა გოეტემ ნოიმარკტის ახლოს.

ჭაბუკი გოეტეს თავში უკვე რიალებენ ლაიპციგის მაშინდელი უნივერსიტეტის სახელოვანი პროფესორების სახელები, ყოველ მათგანს იგი ისე შესცქერის, როგორც ახლად გამოჩენილ კომეტას, მრავალი მათგანის გვარი საბოლოოდ მიეცნენ სრულ დავიწყებას და მხოლოდ ზოგიერთნი გადარჩნენ, რადგანაც ისინი მრავალ გზის მოხსენებული ჰყავს მათ მოწაფეს გოეტეს. ცხადია, პარიზულ მოდაზე მორთულ ლაიპციგში ჭაბუკიც გოეტე პირველ ხანებში სავსებით არავის შეუმჩნევია, იგი ყურადღებას იქცევდა მხოლოდ თავისი ძველი მოდის ტანისამოსით, უნდა ითქვას, ყოველ ასაკში განირჩეოდა გოეტე თანამედროვეებისაგან თავისი ჩაცმულობით, ისევე როგორც ლორდ ბაირონი, რადგან მათ ორივეს ამ შემთხვევაშიაც აკლდათ მოარული საზოგადოებრივი გემოვნებისადმი შეგუების უნარი. ლაიპციგში ახლად ჩამოსულ გოეტეს არქაულ ჩაცმულობას ყურადღება მიაქციეს. გოეტეს მამასაც მიუძღვის წილი ამ საქმეში. ეს უკანასკნელი ფრიად პრაქტიკული კაცი იყო. სჩვევოდა: „ერთი ღერი ნოშოთი ორი ბუზის მოკვლა“, მუდამ მკერვალებს ირჩევდა მსახურებად, ასეთ მკერვალს საკუთარ ლივრებს აკერვინებდა, ბავშვების ტანისამოსსაც უკვეთავდა, ხანაც საწერ სამუშაოებს უკარნახებდა და თანაც იმსახურებდა.

ცხადია, ძნელია ერთი და იგივე კაცი კარგი მღივანიც იქნეს, კარგი მსახურიცა და კარგი მკერვალიც, ამიტომაც ამგვარ მკერვალების ხელით გამოჭრილი და მათ მიერვე შეკერილი ტანისამოსი მუდამ სასაცილო აღნაგობას აძლევდა თვით ისეთ ტანწყობილ და საროსტანიან ჭაბუკს, როგორიც იყო ახალგაზრდა გოეტე, რომლის სიჭაბუკის ძეგლს ლაიპციგსა და მიუნხენში ახლაც აღტაცებაში მოჰყავს მაცქერალი.

ამგვარი ფრაკი არქაულ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ასე რომ ლაიპციგში ახლადგაჩენილი მიჯნურები ფრიად უკმაყოფილონი იყვნენ გოეტეს ჩაცმულობით. „ასე მგონია სულ სხვა ქვეყნიდან იყვე ჩამოსულიო“, არწმუნებდენ ფრანკფურტელ კავალერს, მაშინ როცა ფრანკფურტშიაც იგივე პარიზული მოდა იყო გაბატონებული.

თავდაპირველად ვოლფგანგი ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ იმ ხანებში პატარა სკანდალი მოხდა ლაიპციგის თეატრში, ახალგაზრდა სტუდენტი ვინმე ჰერ ფონ მაზურენ სასაცილოდ აიგდო დამსწრე საზოგადოებამ. ვის არ ეშინია ამ ქვეყნად დაცინვის და ჩვენი ვოლფგანგიც დაფაცურდა და საჩქაროდ შეაკერვინა ახალი მოდის ტანისამოსი. გარდა ამისა, მეტყველებითაც განირჩეოდა ოდნავ ჭაბუკი გოეტე ლაიპციგელ ახალგაზრდობისაგან. ლაიპციგში, ცნობილია, საქსონურად უქცევენ, ხოლო გოეტე თავისმხრით ზემოგერმანულად უქცევ-

და ოდნავ, გარდა ამისა მან ისე ჩინებულად იცოდა ლუთერის ენა, რომ ოდნავ ბიბლიური იერი გადაჰკრავდა მის მეტყველებას.

მამის მიერ გამოტანებული სარეკომენდაციო ბარათების საშუალებით მალე მოიპოვა ვოლფგანგმა ლაიპციგელ კულტურულ ოჯახების ნაცნობობა. ცნობილია, გერმანული ბურჟუაზიული ოჯახი თავიდანვე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწოდა, ასე რომ თქვენ შეგიძლიათ რამოდენიმე წელი დაჰყოთ ამა თუ იმ დიდ ქალაქში და ვერც ერთი ოჯახის კარიც ვერა ნახოთ, თავად ბინა ვოლფგანგისა ლაპციგელი წიგნებით მოვაჭრის ფლაიშერის სახლში იყო.

მამის წერილი მიუტანა ვოლფგანგმა ლაიპციგის ქალაქის საბჭოს ხმოსანს ლანდგეს, „პოლიტიკისა და მორალის“ პროფესორს დოქტორ ფრანკეს, გოეტეანთ ოჯახის მეგობარმა ოელენშლეგერმა რეკომენდაცია გაუწია ახალგაზრდა პოეტს სჯულისდებისა და ისტორიის პროფესორის ბატონ ბოემეს წინაშე. ამ უკანასკნელმა ნება დართო ჭაბუკ პოეტს გარდა იურიდიული ლექციებისა, გელლერტის ლიტერატურის ისტორიის კოლლეგ [1] მოესმინა. ქალბატონი ჰოფრატ ბოემე „დედობრივ მზრუნველობას“ უწევს ჩვენს ვოლფგანგს. როგორც ყოველი პირველი სემესტრის სტუდენტი ვოლფგანგიც ხარბად დაეწაფა ლექციებს, აუარებელი კოლლეგებში ჩაეწერა. დილიდან საღამომდის ლექციებს უსმენს ვოლფგანგი, საღამოობით „სოციეტე“ [2] იკრიბება განსაზღვრულ კაფეში და აქ იმართება ყოველგვარი სიტყვიერი პაექრობა ჰუმანისტური დისციპლინების ნაირნაირი დარგებისა და საკითხების შესახებ.

კამათობდენ, ვგონებ არავინ იმდენს არ კამათობდა, რამდენსაც მე-XVIII საუკ. ახალი თაობა, რადგან ყველაზე მეტს იგი კამათობს, ვისაც მოქმედების ასპარეზი და უნარი აკლია.

ბევრს მუშაობდა, ბევრს ისმენდა, ბევრს აკვირდებოდა ვოლფგანგი, ერთობოდა, ახალ საზოგადოებას აკვირდებოდა, საზოგადოებაში იგი ჩუმი იყო: მოკრძალებული, მაგრ ამ იმავე დროს ფრიად თავმოყვარეც. ყოველ შემთხვევაში პირველ სემესტრში იგი ბევრ დროს ხარჯავდა მისვლა მოსვლაში, საუბრებში და პაექრობაში.

ჰოფრატ ლუდვიგის ოჯახში სადილობდა ყოველდღე, ეს უკანასკნელი თავად ექიმი იყო და ბოტანიკოსი, ამ ოჯახში ექიმები და ბუნებისმეტყველები იკრიბებოდენ. ასე რომ ისტორიის, თეოლოგიის, ხელოვნებათა მეცნიერების გულმოდგინე შეგირდი ბუნებისმეტყველურმა ამბებმაც განსაკუთრებულად დააინტერესა. აქ ყარამარა გაისმოდა ლინეს, ჰალლერის, ბუფფონის სახელები.

ბუნების მეტყველების, რაციონალისტების ყურისგდებამ, მკაცრი და ცივი ლოგიური კატეგორიების სიბასრემ საკუთარ შემოქმედებისადმი სკეპტიური განწყობილება გაუჩინა ჭაბუკ გოეტეს და საკუთარ თავთან ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ აიღო თავისი პოეტურ ქმნილებების ესკიზები, ლექსები და გეგმები და ერთ მშვენიერ დღეს ცეცხლს შეუკეთა.

კრიტიკული თვალით შესცქერის საკუთარ თავს ჭაბუკი ვოლფგანგი: „ერთ ერთი ჩემი მთავარი ნაკლთაგანი ის გახლავთ რომ მე ცოტა არ იყოს ფიცხი

[1]. ლექციები.
. საზოგადოება.

ვარ, თქვენ უთუოდ იცნობთ კოლერულ ტემპერამენტებს, მე კი ამ მხრით სხვა გვარი ვარ, არავინ ისე მალე არ ივიწყებს შეურაცყოფას როგორც მე. გარდა ამისა, მე მბრძანებლობასა ვარ ჩვეული"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუსმინოთ ერთ ერთ მის თანამედროვესაც. აი რასა სწერს იგი ჰაბუკი ვოლფგანგის შესახებ: „გოეტე იგივე თავაწყვეტილი ფანტაზიორი დარჩა. შენ რომ იგი თავად ნახო, ან ბრაზით აივსები, ან სიცილისაგან ჭიჭინაზე გასქდები იგი ამპარტავანი დენდია, ყველა მისი ტანისამოსი, (თუმცა მშვენივრად იცვამს) შლეგური გემოვნებისაა [1]), რითაც იგი მთელს აკადემიაში [2] ყურადღებას იქცევს. მაგრამ იგი ამას აინუნშიაც არ აგდებს, მისთვის მთავარია თავის ქალბატონს მოეწონოს როგორმე და თავად დასტკბეს საკუთარის სიამაყითა. იგი ყოველ საზოგადოებაში გაცილებით მეტ დაცინვას იწვევს, ვიდრე სიამეს. სიარულს არ იკითხავთ? სიარულშიაც აუტანელი მანერა აქვს".

ახლა ვოლფგანგის სამიჯნურო საქმეებსაც მივხედოთ.

„არ გაცივდება სიყვარული აწი ჩემს გულში,
ვიდრე სიცივე არ გათოშავს სხეულსა ჩემსა".

მღეროდა თუმცა ჰაბუკი პოეტი, მაგრამ გრეტხენის სახე ნელნელა გაუჩინარდა მის ხსოვნაში.

ჯერ კიდევ ფრანკფურტში ყოფნის დროს მრავალ გზის გაპარულა შინიდან ყრმა ვოლფგანგი „გრეტხენის სახლის" თვალის მოსავლებად. მაგრამ დედამ და დამ ჯერ კიდევ ფრანკფურტში ყოველივე საცდელი სცადეს რათა უბირი ხალხის წრიდან გამოსული გრეტხენი როგორმე ამოეგლიჯათ ვოლფგანგის შეურყვნელ გულიდან. ფრანკფურტელი წარჩინებული ოჯახების წრიდან გამოსული ქალიშვილები ხელოვნურად დაუახლოეს ყრმას მაგრამ თავაზიანმა, ნაზმა საქსონელმა ქალებმა მალე გადაავიწყეს ვოლფგანგს გრეტხენი და მისი მომდევნო ახალი მიჯნურები, ეს უკანასკნელი კიდევ დიდხანს აბარებდნენ კორნელიას „ურიცხვი კოცნა და სალამი" გადაეგზავნა ლაიპციგში ჰაბუკ ვოლფგანგისათვის, შარიტას მაიქსნერის ხსოვნა კიდევ რიალებდა მის ხსოვნაში. მოვიდა ალერსიანი, მშვენიერი, ნაზი კეტჰხენ შენკოფ ლაიპციგელი ღვინით მოვაჭრის ქალი და ჰაბუკი პოეტის გული ახალი ვნებებით აღაგზნო. ვოლფგანგს სიყრმიდანვე ესა სჩვევოდა: იგი მუდამ ხნით უფროსებს უმეგობრდებოდა.

1766 წელს ლაიპციგის მესსეს სანახავად ჩამოვიდა ფრანკფურტელი ვექილი შლოსსერი. (შლოსსერი მენტორად და მდივნად აიყვანა ჰერცოგ ფრიდრიჰ ოიგენ ფონ ვიურტენბერგმა, რომელმაც სახელი გაითქვა იმ ხანებში რუსსოსთან მიწერმოწერით. სწორედ ამ უკანასკნელს მოსწერა რუსსომ.... Si j'avais le malheur d'etre né prince [3]...

შლოსერის ჩამოსვლამ ფრიად გააცხარა ვოლფგანგი. სწორედ შლოსსერის წყალობით გაეცნო გოეტე შ ე ნ კ ო ფ ი ს ოჯახს.

შლოსსერი თავად მწერლობდა, უცხო ენების ცოდნაში ფრიად დახელოვნებული იყო, ლექსსა და პროზას სწერდა, ინგლისურ პოეზიის ნიმუშებს დიდ

[1] ტექსტში ფრანგული სიტყვაა Gout.
[2] უნივერსიტეტს უწოდებდნენ ასე.
[3] სიტყვა სიტყვით: მე რომ უბედობა დამმართნოდა და თავადად დავბადებულიყავ....

უპირატესობას აძლევდა და მომეტებულის სიამოვნებით სწავლობდა ინგლისურ ფილოსოფიასა და ლიტერატურას.

შლოსსერს იმ დროს ლაიპციგში მცხოვრები სახელოვანი მწერლები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ლაიპციგის მესსე. გოეტე აგვიწერს, თუ როგორ ეახლენ სადარბაზოდ გერმანელ მწერალს გოტტშედს.

ბიბლიოთეკა

მსახურმა ისინი წინა ოთახში შეიყვანა. სტუმრებიაო, მოახსენა გოტტშედს, გამობრუნდა: ბატონი ახლავე გეახლებათო. სტუმრებმა მსახურის ნათქვამი კარგად ვერ გაიგეს და იმის ნაცვლად რომ წინა ოთახში დაეცადათ ააღირეს თავი და შემდეგ ოთახში შევიდნენ.

სტუმრებს წინ შემოეგება უზარმაზარი, ახოვანი, მწვანე ხალათში გამოწყობილი ბრგე და სავსებით მელოტი კაცი. მასპინძელი დაიბნა, რადგან ურიგობად მიაჩნდა უცხო სტუმრებთან უპარიკოდ შეხვედრა, მსახური შეკრთა, ლანდის უსწრაფესად უშველებელი, ბანჯგვლიანი პარიკი გამოარბენინა და თავის ბატონს მიართვა. ამ უკანასკნელმა აღელვების გაუმჟღავნებლად მარცხენა ხელით პარიკი გამოართვა მსახურს, ხოლო მარჯვენათი ისეთი სტკლიცა მასვე, რომ ეს უბედური ჯარასავით შეტრიალდა და ღია კარებში გავარდა. თავად გოტტშედს კი წარბიც არ შეუხრია, ისე დარბაისლურად მიუჯდა სტუმრებს და ლიტერატურის შესახებ დაუწყო საუბარი.

შენკოფის სახლში თითო ჭიქა ღვინოზე ხშირად ჰპატიჟებდნენ გოეტეს, შლოსსერს, ლაიპციგის ქალაქის თავს გოტფრიდ ჰერმანს, კრებელს, ბარონ ფინ ჰაგენს, პროფესორ ოეზერს და თეოლოგს გუსტავ ბერგმანს, რომელსაც ერთხელ თეატრში სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა გოეტემ და სამგიეროდ საკმაოდ მწვავე სილა მიიღო. ამ სკანდალის შემდეგ დუელი შესდგა და ბერგმანმა მკლავში დასჭრა ვოლფგანგი. ყურადღების ცენტრში იყო არა მარტო გონება მახვილური საუბარი და შექცევა, არამედ ფრიად ზრდილი და მშვენიერი ქალწული კეტხენ შენკოფი „ცელქი, ნორჩი, თავაზიანი გოგონა, რომელიც უთუოდ ღირსი იყო გულის საუნჯეში ყოფილიყო როგორც პატარა წმინდანი, იგი საჭმელების გაკეთებაში შველოდა თავისიანებს და სტუმრებისათვის საკუთარი ხელით მოჰქონდა ღვინო“.

სულ რამოდენიმე თვის შემდეგ ვოლფგანგი სიყვარულს უხსნის კეტხენ შენკოფს.

ისეთ საზოგადოებაში, სადაც აზნაურობა, საერთოდ წოდება უპირატეს ღირსებად ითვლებოდა, უთუოდ განცვიფრებას გამოიწვევდა ფრანკფურტელი პატრიციული ოჯახის საკმაოდ თავმოთნე და ამპარტავანი ვაჟისაგან უბირი ქალის კეტხენ შენკოფის შეყვარება.

„რა მნიშვნელობა აქვს წოდებას? ეს სავსებით ამაო ფერადია, რომელიც ადამიანების მიერ იმისთვისაა მოგონილი, რათა უღირსი ადამიანები შეაფერადონ... მე მიყვარს ერთი ღარიბი და წოდებრივ წარჩინებას მოკლებული ქალწული და პირველად ვგრძნობ ჭეშმარიტი სიყვარულისაგან მონიჭებულ ბედნიერებას“. სწერდა გოეტე თავის მეგობარს ჰორნს, ფრანკფურტში.

წელიწად ნახევარის განმავლობაში გრძელდება ეს სიყვარული, მიჯნურები წამდაუწუმ ურთიერთის ხლებას ნატრობენ, გოეტე ფიცხობს, ეჭვიანობს, შმაგობს. სიყვარულის ღველფი ნელნელა გრილდება, ვოლფგანგი სერიოზულად

არწმუნებს მიჯნურს რომ უკვე დროა გაახლებული ვნებათა ღელვა დარბაისლური მეგობრობის კალაპოტში ჩადგეს. ისევ ლვივდება სიყვარული, ვაკი ეჭვიანობს, ვერტერის სტილით დაწერილ ბარათებს უგზავნის პირველულ სატრფოს. კეტხენიც ყოველივე ღონეს ხმარობს უფრო და უფრო გაანელოს თავისი მიჯნური. ბოლოს კვლავ კეტხენს შეიპყრობს ეჭვიანობის მანია და ეეედრება ვოლფგანს: „ეჭვის გესლით გულს ნუ მიშხამავო". გოეტე ფროლაინ ბრაიტკოფს ეარშიყება. კეტხენ შენკოფს ეჭვის გენია გულზე შემოეგზნება.

შეყვარებულების ურთიერთობა დღითი დღე აუტანელი ხდება ორივე მხრისათვის. ბოლოს ვოლფგანგი გამოტყდება! „ჩვენს სიყვარულში ჩამოვარდნილი ყოველივე უხიაგობის სათავე მე ვარ, მე შლეგი ვარ, ხოლო იგი ნამდვილი ანგელოზიაო". ამგვარი გულახდილი აღვიარების მიუხედავად ვერც „ანგელოზობამ" უშველა კეტხენ შენკოფს და ეროსი განუდგა ორივეს და ამ ამბებით გულმოკლული პოეტი ახლა სხვა „ანგელოზის" ნუგეშს შეაფარებს თავს.

ეს იყო ფრიდერიკე ოეზერ, ხელოვნებათა აკადემიის დირექტორის ქალიშვილი. ფრიდერიკე ოეზერს ადრიან ქალწულობის დროს ყვავილი შეჰყროდა, ამიტომაც სახე ოდნავ დაკენკილი ჰქონდა, ამის გამო ფიზიკური ნაკლის შესავსებად ადრეევ შესდგომია სულიერი ჰარმონიის გამომუშავებას—ხელოვნებას და ლიტერატურას დასწაფებია. ფრიდერიკეს მამას აგარაკი ჰქონდა დოლიცში გონებრივი მუშაობისაგან დაქანცული ვოლფგანგი ხშირად მიდიოდა დოლიცს და ოეზერიანთ აგარაკში ფრიდერიკეს ხლებითა და გონება მახვილი საუბრებით სტკბებოდა. ხშირი მისვლა მოსვლა ჰქონდა ვოლფგანგს აგრეთვე ბრაიტკოფის ოჯახთან, ამ უკანასკნელმა გამოიგონა პირველად ნოტების ბეჭდვა, მისნი ქალვაჟნი მუსიკას ეტანებოდენ, ვოლფგანგს ხშირად უყვარდა შინაური მუსიკაც. ამავე წელს კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ერაზმუს რაიხთან. რაიხიანთ ოჯახში თავს იყრიდნენ ლიტერატორები და მწიგნობრები.

ბრაიტკოფების, შონკოფების და რაიხის ოჯახებში მუსიკის კულტი სუფევდა, ვოლფგანგი მუსიკაშიაც საკმაოდ განსწავლული იყო. მას პიანო და ფლეიტა ემარჯვებოდა და ოჯახურ კონცერტებში მონაწილეობას იღებდა. ბრაიტკოფების ვაჟებმა იმ ხანებში რამოდენიმე ლექსი ვოლფგანგისა მუსიკაში გადაიტანეს. ვოლფგანგის ლაიპციგელი მეგობრების გალლერეიაში ყურადღებას იქცევს მის მიერ „კაფანდარა ეშმაკად" წოდებული ფრიად გონება მახვილი, დიდი ერუ[illegible], ნიჭიერი, მაგრამ ლაზღანდარა პიროვნება—ბერიში. ბერიში ნამდვილი პროტოტიპი იყო იმ ზედმეტი ადამიანებისა, რომელიც შემდეგ საუკუნეში ლიტერატურულ ტიპად ჩამოყალიბდა. ბერიში მთელს თავის დროს, თავის ნიჭსა და უნარს გონება მახვილურ ყბედობას, სალონებში გართობას ანდომებდა. იგი გრაფ ლინდაუს სახლთუხუცესი იყო. სამსახურის საქმეებს იოლად იცილებდა თავიდან, მუდამ დენდისებრ გამოპრანჭული დადიოდა, ქუდი იღლიას ქვეშ ჰქონდა გაჩრილი და წელიდან ხრმალს არ იცილებდა. გარეგნულად „ძველებურ ფრანგსა ჰგავდა, ჩინებულად სწერდა და ლაპარაკობდა ფრანგულად". თავად ფრიად ექსცენტრიული, ხუმარა დაუდევარ ცხოვრებას ეწეოდა, საზოგადოებრივ გემოვნებასა და აზროვნებას ანგარიშს არ უწევდა, თავად უანგაროს ფული არ უყვარდა, მუდამ ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, საოცარ მი-

დრეკილებას იჩენდა რუხვი ფერისადმი და მუდამ იმის ოცნებაში იყო, რაც შეიძლება მეტი ნაირნაირი ნაუანსის რუხვი სამოსი შეეძინა. ვოლფგანგი ფრიად აფასებდა მის უზომო ერუდიციას, ენების შესწავლის ტალანტს და ხელწერას. ხელწერას თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა თავად ვოლფგანგიც, რადგან მას სჯეროდა რომ კარგ ხელწერას კარგი სტილიც უცილობლად თანასდევს.

ბერიშიც, როგორც ყოველი კარგი გემოვნების პატრონი, დიდი ერუდიტი, მაგრამ შემოქმედებით ბერწი, გადაჭარბებული კრიტიკით შესცქეროდა ყოველგვარ ახალ ლიტერატურულ მოვლენას, დაწუნებისაკენ უფრო მეტად იხრებოდა, ვიდრე მოწონებისაკენ. ვოლფგანგის ლაიპციგელი პერიოდის შემოქმედებას სერიოზულად უკვირდებოდა ბერიში, მაგრამ დაბეჯითებით ურჩევდა ახალგაზრდა პოეტს ჯერჯერობით თავი შეეკავებინა და არაფერი დაესტამბა. სამაგიეროდ ბერიშმა გადასწყვიტა ვოლფგანგის ლექსებიდან რამოდენიმე რჩეული თავის გემოზე ამოეკრიფა, ლამაზი ხელით გადაეწერა, თავად შეეკინძა და მერმე სახსოვრად მიერთმია ახალგაზრდა ავტორისათვის. მაგრამ ვიდრე ყოყმანა, უნებისყოფო ბერიში კარგ ტუშსა და მელანს იშოვნიდა, სათანადო ფორმატის ქაღალდს გამოსძებნიდა, ვიდრემ ის თავისუფალ დროს შეარჩევდა, შესაფერ განწყობილებას მოიმარაგებდა, მერმე გადაწერილსა და გასწორებულს შეკონავდა და შეკიხძავდა, უამრავი დრო გავიდა. ბოლოს როგორც იქნა დანაპირები აასრულა ბერიშმა. საუცხოვო, საქსონური ხელწერით გადათეთრებული, შესაფერი ვინიეტებიანი, დაკინძული ხელთნაწერი უთავაზა ვოლფგანგს.

მეთვრამეტე საუკუნის ევროპა ჯერ კიდევ არ იყო სკრიპტომანიით წალეკილი, უნიჭოების ტრიუმფი არც მაშინ იყო უცნობი, მაგრამ ქაღალდის კულტურის ასეთი საშინელი წარღვნა, რომელიც დღეს მიწოლილია ევროპული ლიტერატურის კალოზე, მაშინ არა ყოფილა.

ბერიში საინტერესოა ამ მხრითაც, მას ხელალებით სძაგდა გუტენბერგის გენიალური გამოგონება და სერიოზულად ამტკიცებდა: რაც გუტენბერგის საბეჭდი ქვები იქნა გამოგონილი უნიჭოებას ასეთი დარი არასოდეს დასდგომიაო. ცხადია იგი ძლიერ აჭარბებდა, მიმიკით დასცინოდა ასოთამწყობის მექანიურ მუშაობას, სამაგიეროდ აქებდა და თვალსაჩინოდ ხდიდა წერად დამჯდარი კაცის „კეთილშობილ აღნაგობას“.

1767 წელს ბერიში დაითხოვა გრაფ ლინდაუმ, რადგანაც ამ გრაფს ფრიად არ მოსწონდა თავისი ვაჟის აღმზრდელის და სახლთუხუცესის მისვლა-მოსვლა ეროტიულად განწყობილ „ახირებულ“ ახალგაზრდა კაცთან, რომელსაც მაშინდელი ლაიპციგელი გაზეთებიც და უნიჭო ჟურნალისტებიც გადასწვდნენ, „საშიშარ სტუდენტსა“ და „გარყვნილ პოეტს“ უწოდებდნენ. ბერიშს ლაიპციგიდან მოუხდა წასვლა, ვოლფგანგმა სამი მჭუხარე ოდით აღნიშნა მიმავალ მეგობრისაგან გაყრა. გრაფ ლინდაუმ ბერიშის მომდევნო სახლთუხუცესს გოეტესთან მისვლა-მოსვლა აუკრძალა. შემდეგმა წელმა მძიმე განსაცდელი მოუტანა ვოლფგანგს. იგი უკვე გრძნობს რომ კეტხენ შენკოფის ადგილი ცარიელი დარჩა მის გულში.

არ აკლდა ვოლფგანგს მუსიკალური კულტურაც, მაგრამ ეგი, როგორც პოეტი და ხელოვანი გაცილებით უფრო მძლავრი იყო პლასტიკაში. თავადაც აღიარებდა: სამყაროს შესაცნობ უპირატეს იარაღად თვალი მიმაჩნდაო.

ლორდ ბაირონის ფრიად მოუსვენარი ტემპერამენტი და ბანი ჩიგზაურობის ჟინი ინგლისური სპლინით თუ აიხსნება, თუ ჯერ კიდევ ერთმა გოეტე ფრანკფურტში მოუსვენრად დაყიალობდა, მუდამ სანახაობის მონატრული იყო, ეს უნდა გავიგოთ როგორც მისი ქვეშეცნეული მიდრეკილება სამყაროს პლასტიური ათვისებისადმი. მოუსვენრად დახეტიალობს გულამღვრეული ვოლფგანგი ლაიპციგში, პლაიზეს ნაპირად. მერზერბურგის ლუდს ეტანება, ლოთობს, სტუდენტებთან ანგლობს, როზენტალის ღამეულ დეგოშებში და ეროტიულ ორგიებში მონაწილეობას იღებს. განსაკუთრებით აღტაცებულია ამჟამადაც ცნობილი ლაიპციგელი ბაღებით. ეს ბაღები დღესაც წყვილების თავშესაფარია, სადაც მრავალმილიონიანი უბინაო პროლეტარიატი, წელიწადის ტფილტარობიან დროებში მოლზე ნებივრობს და სათანადო ხარკს უხდის ნაყოფიერების გულმართალ ღმერთს.

მუდამ ასე ყოფილა:

დიდი კაცები წვრილმალებში პატარა კაცებს ემსგავსებიან, მაგრამ სამწუხაროდ პატარანი დიდებს წვრილმალებში კი ჰგვანან, მაგრამ სხვილმანებში ვერ უტოლდებიან.

ვოლფგანგსაც განუზომელად უყვარდა თავისი სახელი და გვარი. როგორც სჩანს ჯერ კიდევ ვერ მიეღწია ისეთ ასაკისათვის, როცა ადამიანი შეიგნებს რომ ყოველგან ხელისმოწერა უდიდესი უპასუხისმგებლობის მაჩვენებელია.

ბუკოლიკური იდილიები იღვიძებდა პოეტის გულში პლაიზეს ნაყოფიერი, ნაირნაირი მცენარეულობით დატვირთული ნაპირების მიმოხილვისას, იგი პლაიზეს პირად გაჭრილ „მწყემსს“ უწოდებს თავის თავს და საკუთარ სახელსა და გვარს ჯიბის დანით ამოსჭრიდა ხოლმე პლაიზეს პირად ალანძულ მშვენიერ, გვირგვინოსან ცაცხვის ხეებზე, როცა ამგვარი ბარბაროსული ოპერაცია შეასრულა, პლაიზეს მწყემსს თავის მიჯნურის სახელის „გამეორებაც“ მოუნდა. ეს მოხდა შემოდგომაზე, შემდეგი გაზაფხული მოვიდა. მოსძებნა ვოლფგანგმა იგივე ცაცხვი და ნახა უდანაშაულო ცრემლები მიქონაკდნენ ახალგაზრდული სიშლეგის მიერ მიყენებული ჭრილობებისაგან.

დიდხანს, დიდხანს შესცქეროდა ამ უხმო ტირილს ცაცხვის ხისას რიჩარდსონის სენტიმენტალურ რომანებით აღზრდილი პოეტი და ცრემლები, სიბრალულის ცრემლები ჩამოწკანწკარებდნენ ლაწვებზე. მერმე ვის? იოჰან ვოლფგანგ გოეტეს, რომელსაც უძვირფასესის ძმის სიკვდილზედაც ცრემლი არ დასდენია.

ვოლფგანგი ლოთობს, მერზერბურგის ლუდს ეტანება.

ცნობილია: სათუთი შგრძნობიერობის ადამიანები მეტწილად მაშინ ავადდებიან, როცა მათ სულში წონასწორობა დაირღვევა. ვოლფგანგი ავად ხდება. ცალკერძ სულიერმა და ცალკერძ ფიზიკურმა ბუნების აღრევამ იგი სიკვდილის კიდემდის მიაგდო.

ადრიან სიჭაბუკიდანვე უჩივოდა ვოლფგანგი ჭირვეულობასა და ჰიპოხონდრიას.

სწორედ ასეთი ჰიპოხონდრიული ხასიათის წყალობით მეგობრები შემოეცალა.

ავადმყოფობის აუტანელი აგონიით გარემოცული იგი ანალიზს უკეთებს საკუთარ უხიაგობას და უკარებლობას. სიყრმიდანვე სჩვეოდა მას თვითანალიზი ხასიათისა.

მამა ძლიერ დაღონდა, როცა ავადმყოფი შვილი უდიპლომოდ კარზე მიადგა.

უსიტყვოდ მიხვდა რომ ენციკლოპედიური ცოდნის წყურვილით აღტყინებულ შვილს იურიდიულ განსწავლისათვის არა სცხელოდა. გარდა ამისა, კრიტიკულად განწყობილი პოეტი ვერ ურიგდებოდა იმ დროინდელი უნივერსიტეტების უებრო სქოლასტიკას. ცხოვრების ნასამხრალზე, თავის ფაუსტში დასცინა მან კიდევაც გონება შეზღუდულ პროფესორებს და დოქტორებს, „უნივერსიტეტის პროფესორებს“, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე გესლიანად ებრძოდნენ გოეტესთან ერთად შილლერი, შოპენჰაუერი და ნიცშე. ლაიპციგელ მშრალ და დოგმატიურ პროფესორებს შორის გოეტე განსაკუთრებულის გულისყურით უსმენდა ლიტერატურის ისტორიკოსს გელლერტს.

ასეთივე დიდი ზეგავლენა ჰქონდა ახალგაზრდა გოეტეს განსწავლის საქმეში ხელოვნების თეორეტიკოსს ვინკელმანს, ძველი, ანტიური ხელოვნების პიონერს გერმანულ ხელოვნებათა მეტყველებაში. არა ნაკლებად აღაფრთოვანა იგი მხატვარ ოეზერთან ურთიერთობამ. ოეზერი დიდად განსწავლული იყო ზოგადად პლასტიურ ხელოვნებათა ისტორიაში და ამიტომაც ვოლფგანგი მარადჟამს მოწიწებით იხსენიებდა ოეზერს და მისგან მიღებულ გავლენებს.

ენციკლოპედიზმი და ტალანტის მრავალსახიერად გაფანტვა ფრიად ვნებს ხოლმე უნიჭობას და თვით საშუალო ნიჭის ტალანტებს გენიალი პიროვნებისათვის ინტელექტუალური ექსპანსივობა საშიში არაა, რადგან ძლიერი ტალანტისათვის ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეში გადაჯირითება, ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენს მისი მუშაობის მთავარ ასპარეზზედაც.

გოეტე საფუძვლიანად განსწავლული იყო მხატვრობაში როგორც პრაქტიკულად, ისე თეორეტიულადაც. მას მრავალი სერიოზული ნამუშევარი აქვს ამ დარგშიაც დატოვებული. როგორც მხატვრობით, ისე საერთოდ პლასტიური ხელოვნებით გატაცება ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი პოეტური შემოქმედებისთვისაც. ამით აიხსნება ნაწილობრივ ის რომ, გოეტეს პოეზია და მისი პროზა უპირატესად პლასტიურ მონუმენტალობითაა აღვსილი.

ოეზერ თავისი ტემპერამენტით უფრო მეცნიერს წააგავდა, ვიდრე მხატვარს. იგი უთუოდ მოგვაგონებს თანადროული პროფესორის ტიტულებით დაჯილდოვებულ მხატვრებს, რომელთაც კარგად ესმით მეცნიერისა და ხელოვანის გზებს შორის რაღაც საშუალოს ეტლის მოძებნა. ასეთი ტიპის ხელოვანი ბევრს ვერას შესძენს თავად ხელოვნებას, სამაგიეროდ მისგან თეორეტიულ განსწავლას ღებულობს ახალი თაობა.

ოეზერი ლაიპციგის სამხატვრო აკადემიის დირეკტორი იყო. აკადემია მოთავსებული იყო პლაისენბურგის კოშკში. უკანასკნელ სართულზე ბინა ჰქონდა ოეზერს. უშველებელ, ნათელ დარბაზებს იტალიელი ოსტატების სურათები

ამკობდა. ვოლფგანგი, სხვა წარჩინებულ ახალგაზრდებთან ერთად, ერთძო გაკვეთილებს ღებულობდა ოეზერისაგან. ოსტატი ნებას აძლევდა თავის შეგირდებს ამ მშვენივრად მორთულ რომაულ ატელიეში ემუშავნათ.

ამ ხანებში ლაიპციგში მუშაობდნენ ჰუბერი—დიდი გემოვნებიანი ბატრონი და ხელოვნების სიძველეთა იშვიათი მცოდნე და განსწავლული ანტიქვარი. კროიხაუფ, ვინკლერი და სხვ. ცხადია ამგვარი მრავალფეროვანი ინტერესების სფეროში ახალგაზრდა გოეტემ ვერ მოიცალა მარტოოდენ იურისპრუდენციისათვის, საერთოდ ამ მეცნიერებას იგი უპირატესად მამის ხათრით ეწეოდა.

პლასტიური ხელოვნებებით გატაცებული ვოლფგანგი ლაიპციგიდან დრეზდენს გამგზავრებას აპირებს, დრეზდენის სახელგანთქმული მუზეუმის სანახავად. ეს იყო მხოლოდ ვოლფგანგს მამისაგან ნაანდერძევი ჭქონდა სასტუმროების სიძულვილი. იმ დროინდელი ადამიანს ჯერაც არ ესმოდა, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა უცხო ქალაქში, უცხო სახლში ღამე გაათიოს, რადგან ჯერაც ძლიერი იყო საშუალო საუკუნისაგან გადმოცემული ჩვეულება—სტუმართმოყვარეობა. გოეტეანთ ოჯახს არავინ ჰყავდა ნაცნობი დრეზდენში. ვოლფგანგის მეზობლად სცხოვრობდა ვინმე თეოლოგი, სტუდენტი, რომელსაც ერთი ნათესავი ყოლია დრეზდენში ვინმე ღარიბი მეწაღე. თეოლოგმა სარეკომენდაციო ბარათი გაატანა ვოლფგანგს. დიდხანს ეძია ვოლფგანგმა ეს მეწაღე და როგორც იქნა მიაკვლია მისი ღარიბულად მორთული ბინა. მეწაღე დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა, როცა თეოლოგის ბარათი წაიკითხა, ბიბლიური გერმანულით მიმართა გოეტეს.

„ეს წიგნი მიმოწმებს ჭაბუკო, თქვენ საოცარი ქრისტეანი უნდა იყოთ.

„როგორ გავიგო თქვენგან ნაბრძანები ოსტატო“?

„საოცარი მეთქი, ვამბობ მე და ეს არ უნდა იქნეს გაგებული ვითარცა ბოროტი, ვინაიდგან მარტოდენ ეშმაკეულია ბოროტი შვილო ჩემო“.

ვოლფგანგმა შეკითხოვა უფრო ცხადად ემცნო მისთვის თუ რისი თქმა ეწადა ამ რიგად?

„მე მოგახსენებდით შვილო ჩემო საწადელი თქვენი ასეთი უნდა იყოს:

ფრიად მდაბალსა და გლახაკსა უფლისასა ამცნოთ ამბავი სანუკველი, საამურია შვილო ჩემო და საქებარი მიმზგავსება ესოდენ სათნო უფლისა ჩვენისა იესოსადმი, მაგრამ ხომ დაწერილ არს, რომ იგი მეტწილ მდიდართა თანა უსხდა სუფრასა და სიამითა იყნოსებდა მურსა და ნელსაცხებელსა, ხოლო ჩემთანა ვერა პოვოთ ვერცა მური და ვერცა ნელსაცხებელი“.

ასეთმა პათეთიურმა სტილმა ხუმრობის გუნებაზე დააყენა ვოლფგანგი. დიდხანს გრძელდებოდა დიალოგი მასპინძელსა და ახლადმოსულს შორის. მეწაღის ცოლს ღაწვზე მიბჯენილი საჩვეხებელი თითი გარინდებოდა, ფიქრობდა: სად მოეთავსებინა ასე ბრწყინვალედ მორთული ახალგაზრდა სტუმარი.

როცა ბიბლიისა და გოტფრიდის მატიანის შესახებ დაწყებული პაექრობა მოათავეს, ვოლგანგმა თავისი ქისა დიასახლის გადასცა და სთხოვა საჭიროების მიხედვით ამოეღო ხოლმე ქისიდან ვერცხლი. წარჩინებულთა წრეში აღზრდილ ვოლფგანგს სიამოვნებას ჰგვრიდა უბირი მუშა კაცის შრომისა და პურის ჭამის დაკვირვება. ფილოსოფიურად განსწავლილი სტუდიოზუს გაოცებული უსმენდა პრაქტიკული სიბრძნით აღჭურვილ მეწაღეს.

ვოლფგანგი არ იყო უკარება იგი მუდამ სიამოვნებით ესაუბრებოდა ყოველი წრის ადამიანს; დრეზდენში ვიღაც ახალგაზრდა კაცი გაიცნო, ამ უკანასკნელმა თავის ტოლებს წარუდგინა ლაიპციგელი სტუმარი, საღამოობით ახალგაზრდობა დუქანში იკრიბებოდა, ყოველი მათგანი საკუთარი გულის მიჯნურის სადღეგრძელოს სვამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით სურათების გალლერეის დათვალიერებას უნდებოდა ვოლფგანგი. თუმცა შვიდწლიანი ომების წყალობით ბევრი რამ დაიკარგა და დაიღუპა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გალლერეიაში მოიპოვებოდა საუკეთესო კოლლექციები როგორც ანტიკის, ისე იტალიის და ფლანდრული სკოლების ნახატებისა.

თავის მასპინძელს ჩინებულად შეეწყო ვოლფგანგი. როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, გვერდით მოუჯდებოდა და შესცქეროდა მის მუშაობას. ეს იყო, ხანდახან ცილობა მოსდიოდათ სხვადასხვა თეოლოგიურ საკითხების გაშუქებისას. სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში მეწაღე და მისი მეუღლე ძლიერ შეეთვისენ თავიანთ „საოცარსა და ახირებულ“ სტუმარს, რომელსაც მათ ღარიბულ ბინაში სულ სხვა ქვეყნიდან მოვლენილ მწირად ეჩვენებოდათ.

ლაიპციგში ყოფნის დროს გოეტე აქვეყნებს თვისი სიჭაბუკის ლირიკის პირველ ცდებს, რომელთაც აშკარად ეტყობოდა მოტივების მიხედვით ბიბლიისა და კლოპშტოკის ზედგავლენა. ამ პერიოდის პერიოდული პრესსა მოწმობს რომ გოეტეს ფრიად უხიაგი ტონით შეეგება კრიტიკა. წვრილფეხა კრიტიკოსები უდიერად აძაგებენ გოეტეს, ხშირად პორნოგრაფიასა და გადაჭარბებულ ეროტიზმს სწამებენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ უჩვენებს პოეტა ახალ გზას და მეთოდს შემოქმედებისას.

ასეთმა ტლანქმა თავდასხმამ მცირე ხანს გული აუცრუა ვოლფგანგს, მას თითქმის ერთი წლის განმავლობაში არაფერი გამოუქვეყნებია. ხანდახან თავის დას კორნელიას უგზავნის ფრანგულსა და ინგლისურ ლექსებს. მხოლოდ პირადი მეგობრები: ჰერმანი, პფაილი, ცახარიე, კრებელი ამხნევებენ მას და ახალი შემოქმედების სტიმულს ჰმატებენ.

მიუხედავად კლოპშტოკის სუპერპათეთიური ზედგავლენისა, ახალგაზრდა გოეტე ამჟღავნებს თავის ტკბილსა და ახალ სტილს (Dolce stil nuovo). აქ უნდა ვიგულისხმოთ ლექსები: „პეპელა“, „ღამე“, „საქორწინო ლექსი“, „მთვარისადმი“ და სხვ.

თუ კლოპშტოკი მეტწილად რელიგიურ აბსტრაქციებს, „ღმერთს“, „მესსიას“ და ქრისტეანულ სიქველეებს უმღეროდა, გოეტე ხოტბას ასხამს წმინდა ადამიანურ ვნებათა გამოცხადებას: ქალისადმი სიყვარულს და ბუნებისადმი ტრფიალს. და ეს თემატიური მიდრეკილება ბუნებრივისადმი მიუჭირვებელ და თავისუფალ ელასტიურობას აძლევს ლექსის მისის რითმიულობას, ხოლო სტილს სისადავეს ჰმატებს.

გულჯავრიანი დადიოდა ფრანკფურტში შინ მობრუნებული ვოლფგანგი. ნელი, ელეგიური განწყობილება უთრთვილავდა გულს თავისი სიყრმისა და სიჭაბუკის უტყვი მოწმეების: ფრანკფურტის ქალაქის საბჭოს, მაინის ხიდის, ქუჩების და მოედნების შემხედვარეს გრეტხენის უბანში სრული სიცარიელე დახვდა, აღარც გრეტხენი, არც მისი გულკეთილი ბიძაშვილი, არც ყოჩაღი პილადეს.

ასეა: სიყრმიდან სიჭაბუკეში გადასული ადამიანი ისეთსავე ტკივილებს განიცდის ხოლმე, როგორც ჭარმაგობიდან სიბერეში გარდამავალი, რადგან იგი ყოველ ასაკს ტკივილით სცილდება, როგორც სანუკველსა და ძვირფასს ლანდშაფტს, სად ხელმეორე მობრუნება აღარ შეიძლება. მამა ოდნავ აღრენილი დახვდა, განვლილი სიყრმის მოგონებისაგან მიყენებული ტკივილები ძელანქოლიით ავსებდნენ მის სულს. და ასეთ დროს დედისა და დის—კორნელიას სალბუნი და ალერსი ნუგეშით ავსებდა დაკარგული მიჯნურების მგლოვიარე პოეტს, რადგან ქალისაგან მიყენებულ ტკივილებს მხოლოდ ქალის ნაზი ხელი თუ განკურნავს. მას შემდეგ რაც ვოლფგანგი ოჯახიდან წავიდა, ოჯახის მამამ მთელი თავისი პედანტური პედაგოგობა კორნელიას მოანდომა. კორნელია იძულებული იყო ბეჯითად ესწავლა იტალიური, ფრანგული და ინგლისური, პიანინოსათვის დიდძალი დრო შეეწირა.

მამა მთელ დღეებს კორნელიას განსწავლას ანდომებდა, თავის მოგზაურობის მემუარებს სწერდა, ლაუტეს[1] უკრავდა, მაგრამ ეს იყო სიბერეს ცეცხლი მოეპარა გულისა მისისაგან და ამიტომაც „უფრო მეტ ხანს უნდებოდა ლაუტეს აწყობას, ვიდრე დაკვრას“.

მუდამ საქმიან, სათნოს, გულმოლხენილს დედას ვოლფგანგისას მელანქოლია შეპარვოდა გულში. მას თავისი „ღვთის მოსავი მეგობრები“ გარს შემოეხვია და რელიგიურ საგნებზე საუბრით და „ღვთის დიდებით“ ირთობდა თავს. ამ წრეს ეკუთვნოდა ფროლაინ ფონ კლეტტენბერგ. მისგან არა ერთი და ორი შთაგონება მიუღია ჭაბუკ გოეტეს და მასთან საუბრები, მისგან მიღებული წერილები გადატანილი აქვს კიდევაც „ვილჰელმ-მაისტერში“.

ტანმორჩილი, უფერო, თვალდარდიანი, სუფთად, კოხტად, მაგრამ მუდამ სადად ჩაცმული, ფროლაინ ფონ კლეტტენბერგ მუდამ თალხ სამოსს ატარებდა. აღნაგობითა და ქცევით იგი ძლიერ წააგავდა მონაზონს. მუდამ თავაზიანი, თავმოდრეკილი, გულხმიერი, ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ არასოდეს ავადმყოფობას არ უჩივოდა, რადგან ავადმყოფობას „აქყოფნის უცილო ხარკად სთვლიდა“. უდიდესი მოთმინებით ქედს უხრიდა სენს და როცა ხანგამოშვებით ოდნავ მოეშვებოდა სატანჯველი, სახეზე ნეტარი ღიმი ეხატებოდა.

ექზალტიურობამდის რელიგიური იყო და ერთად ერთი ეთიური საზომით სჭვრეტდა როგორც სამყაროს ისე საკუთარ მეობას.

ფროლაინ ფონ კლეტტენბერგზე უფრო სასტიკი, უფრო რიგორისტი იყო ვოლფგანგის დედის მეორე მეგობარი ფრაუ გრისბახ, იგი თანადროულ ქალებისაგან არა ჩვეულებრივი დიდი განსწავლულობით განირჩეოდა თუ დანარჩენები მე-XVIII საუკუნის ქალების მანერაზე მხოლოდ გრძნობიერების კულტს ეწეოდნენ, ფრაუ გრისბახ გონებრივ განათლებასაც ჭარბად ეწაფებოდა. ბუნებრივია: სენტიმენტალი, მგრძნობიერი და გულხმიერი ფროლაინ ფონ კლეტტენბერგ გაცილებით უფრო იოლად ეგუებოდა ვოლფგანგს.

სათუთი გულხმიერებით შესცქეროდა ჰარმონიული სრულყოფისა და დაუცხრომელი თვითგანსწავლის წყურვილით ანთებულ პოეტს, მაგრამ ხშირად სა-

[1] ლაუტე—მუსიკ. ინსტრუმენტია, ჩანგისებური.

ყველურსაც შეჰკადრებდა: „ეგ შენი მგზავრობის, სწავლის, შემოქმედების, სახეცვლის და სხვადასხვა ქცევის და სხვადგახდომის დაუცხრომელი სურვილი მხოლოდ და მხოლოდ იმით აიხსნება რომ შენს გულში ურყევი და უცვლელი ღმერთი არ ჩასახულაო“.

ასეთივე თავაზიანი კილოთი, ცალკერძ ხუმრობით, ცალკერძ სერიოზულად ეპაექრებოდა ვოლფგანგი თავის მეგობარს, არწმუნებდა რომ „ღმერთი“ მასაც ჰყავს, რომ მის გულშიაც ერთგვარი სახატეა გამართული, მაგრამ ფროლაინ ფონ კლეტტენბერგ ოდნავ ირონიულ ღიმილს შეაგებებდა, ხანაც სიტყვას მოკლედ მოუჭრიდა: შენ ჯერ კიდევ ფრიად ჭაბუკი ხარ, წინ დიდი მანძილი გიძევს, მოიცა ცოტა, კიდევ ბევრს შეიცნობ, ბევრს შეისწავლიო.

იმჟამად ვოლფგანგს ჯირყვლების სიმსივნე აწუხებდა. ამ სენის გასაკურნავად გოეტეანთ ოჯახში ერთი ქირურგი და ერთიც ექიმი დადიოდნენ. მაშინდელი ბუნებისმეტყველები ჯერ კიდევ ანტირელიგიური განწყობილებების გამომჟღავნებას ვერა ბედავდნენ. ქირურგი თავადაც მორწმუნე იყო, მაღალი, გამხდარი და ალალმართალი კაცი, ქირურგობასა და გულმართალ ქრისტეანობას თანაბრად ეწეოდა, ხოლო ექიმი უფრო გულჩათხრობილი იყო, ბუნებისმეტყველებაში უფრო მეტად ჩახედული, გოეტეს დედას და ფროლაინ ფონ კლეტტენბერგს „სათნო კაცად“ ეჩვენებოდა, თავად კი შავი მაგიისა და ალქიმიის ამბები უფრო სჯეროდა, ვიდრე დაბადების და სახარების მიამიტი ზღაპრები. მიუხედავად ამისა, სააშკარაოზედ გამოსვლას დიახაც ერიდებოდა. თავად ვოლფგანგზედაც საკმაოდ „ბნელი და საოცარი“ კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა: გოეტეანთ ოჯახთან საკმაოდ დაახლოებული იყო, ამიტომაც გაჰბედა და ნება ითხოვა საკუთარი წამლებით ეაქიმნა ვოლფგანგისათვის. ასეთი რამე სასტიკად იყო აკრძალული, მაგრამ რაკი ვერც ერთმა ნებადართულმა საშუალებამ ვოლფგანგის ჯირყვლების სიმსივნეს ვერაფერი უშველა, სხვა გზა არ იყო, ნებას დაჰყვნენ. შესამზადებელი წამლის ორ კავშირს იგი აშკარად ასახელებდა, ერთი მათგანი უბრალო მალამო უნდა ყოფილიყო, მეორეც აგრეთვე ცნობილი ფხვნილი, ხოლო მესამე ელემენტს საიდუმლოდ ინახავდა. რაკი ამგვარი წამლის ხმარება უაღრესად საფრთხილო იყო, ექიმი ურჩევდა თავის პაციენტებს თავად შეესწავლათ ხსენებული წამლის შემზადება. ეს იყო მხოლოდ დიდძალი მისტიური, ქიმიურ-ალქიმიური ლიტერატურა უნდა შეესწავლა და გადაექეცა მას, ვინც ამ საიდუმლო წამლის თავად შემზადებას მოინდომებდა.

ფროლაინ ფონ კლეტტენბერგ დაინტერესდა ამ ამბით. მას ამ საიდუმლოების მიწვდომა უფრო კაცთმოყვარული მოსაზრებით ეწადა, ვიდრე ბუნებისმეტყველური ინტერესის მიხედვით. თავად ჩაუჯდა ძველ ვოლიანტებს და ველინგის Opus magocabalisticum შეისწავლა. ვოლფგანგმა გამოქეცა საიდგანღაც ეს წიგნი, ამასთან ერთად უძველესი ალქიმიური ლიტერატურა მე-XVIII საუკუნიდან ვიდრე ნეოპლატონიკებამდის. თავად ვოლფგანგიც გაიტაცა კაბალისტიკამ, ყოველ ახალ შრომაში ახალსა და ახალ უცნობ წყაროებს წააწყდებოდა ხოლმე და ამგვარად დიდძალ მაგიურ მწიგნობრობას გაეცნო. Opus magocabalisticum მაინც იდუმალებით მოცული და გაუგებარი დარჩა.

ფროლაინ ფონ კლეტტენბერგ და ვოლფგანგი ახლა თეოფრასტუს პარაცელსუსს, ბასილიუს ვალენტინუსს, ჰელმონტს, ტერკაჟს და სხვ. ამგვარ შრომებს მიადგნენ. ბოლოს Aurea Catena Homeri-ს გადააწყდნენ. გრძელი და ბნელი ზამთრის ღამეები მიჰქროდნენ, გრძელ შანდლებში სანთლები ილეწებოდნენ, ისხდნენ ვოლფგანგი, დედა მისი და ფროლაინ ფონ კეტტენბერგ და გულმოდგინეთ ისმენდნენ ძველი კაბალისტების, ალქიმიკოსების და შავ წიგნების ავტორებს.

ცხადია, ბუნების უკანასკნელ საიდუმლოებას ვერ მისწვდნენ ეს მოხალისე კაბალისტები. ვოლფგანგის ავადმყოფობა ამასობაში გართულდა, ვოლფგანგის სიცოცხლე განსაცდელში იყო, როცა ყოველივე საშუალება ამოიწურა, დედამ სასწორზე შეაგდო მომაკვდავი შვილის ოლბალი და მოუწოდა ექიმს ესინჯა როგორმე თავისი იდუმალი წამალი. რომელიც უცხო შემადგენლობის კრისტალიზირებულ მარილს წარმოადგენდა.

ექიმმა წამალი მიაშველა სიკვდილ სიცოცხლის მიჯნაზე შემდგარ ვოლფგანგს და სულ მოკლე ხანში ავადმყოფი გამომჯობინდა.

რამოდენიმე კვირის შემდეგ ვოლფგანგმა ზეწამოდგომა მოახერხა, სახლიდან გასვლა მაინც არ შეეძლო და თავის ოთახში პატარა ალქიმიური ლაბორატორია გამართა. სწორედ ამ ხანებში დაინტერესდა იგი მინეროლოგიით, ძლიერ გაიტაცა ბოერჰევის ქიმიურმა შრომებმა, ხანაც პირაღმა იწვა და თავის მიერ ლაიპციგიდან გამოგზავნილ ბარათებს კითხულობდა.

ეს წერილები ბეჯით მამას თურმე მთლიანი წიგნის სახით შეუკინძავს და ორთოგრაფიული შეცდომებიც კი გაუსწორებია გერმანული ენის მერმინდელ უდიდეს ოსტატისათვის. ხანაც ხატავდა, მამას რამოდენიმე „nature morte“ დაუხატა, ხოლო კეტხენს მარაო და ყელსახვევი.

სხვა გასართობი ვერ მოეძებნა ვოლფგანგს, რადგან იგი ვერც ერთ თამაშს ვერ ეგუებოდა, იმ დროს ფრიად გავრცელებული იყო კარტის თამაში, მაგრამ გოეტე ყოველთვის აგებდა, რადგან მას არ შეეძლო ბოლომდის გულმოდგინედ ეთამაშნა, თამაშს იოლად სწავლობდა, მაგრამ როგორც კი გული აეყრებოდა, უმალვე ხელი უნდა აეღო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვარლამ რუხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სახლი

მე ყოველ დილით ვუცქერ ფანჯრიდან,
როგორ შენდება საბჭოთა სახლი;
როგორ იღვრება მშრომელ მაჯიდან
ძალა, რომელიც მქნელია ახლის.

ცვივა მასალა: სილა, ქვა, კირი...
ცვივა მასალა: ფიცარი, ძელი...
ადის კედელი, მტკიცედ ნაკერი,
და იხლართება ხარაჩო გრძელი;

მშვიდი დღეა, თუ გრიალებს ქარი,
ხუროთმოძღვარი გეგმას დაჰყურებს,
და კალატოზი კედელზე მდგარი,
იჭერს ბურთივით ნასროლ აგურებს.

იქ მუშა კირს ზელს და ეზიდება,
აგერ ქვასა სთლის მარჯვედ ქვის მთლელი...
ყველა მოძრაობს და ეჭიდება
სხვადასხვა საქმეს ათასი ხელი.

ისმის ღიღინი: „ჟამს ავის მყოფელს
ჩვენ მუდამ ვებრძვით, მოგვაქვს სიახლე:
ვაშენებთ ქალაქს, ვაშენებთ სოფელს
და სართულების გვიყვარს სიმაღლე!

ძველ ცხოვრებიდან რაც ხავსი დაგვჩა,
გვინდა სიახლის რაზით დავრაზოთ,
აი რად გვინდა შიმშა და ქაბჩა!
აი რად გვინდა ლარი, თარაზო!“

ისმის და მედგრად მოქმედებს ხალხი,
არის შეტევა, სიფიცხე ომის...
ასე შენდება საბჭოთა სახლი,
ასე შენდება ქვეყანა შრომის.

გიორგი შატბერაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამე ყაზბეგზე

გაუჩინარდენ—
შელამების შემოსვლის შემდეგ,
შავი კლდეები ბინდბუნდებში გაუჩინარდენ;
გაჩნდენ ნისლები
და ყაზბეგის მხრებზე აშენდენ—
დარიალიდან
მყინვარების დახრილ ჩრდილამდე...
ჭრაქების შუქი
ატორტმანებს ხავსიან აჩხოტს,
მღერიან ქოხში,
და მოოხრავს ძველი ანდაზა,
მთებში ამტყდარი ქარაშოტი
მრისხანედ ანჩხლობს,
და შეაშფოთებს
სინათლეში ჩამდგარ ანდეზიტს...
ხარხარებს ჯანღი—
გადმოუტანს ხმაურს საზარელს,
ახოვან კლდეთა
ხეობაში ამართულ ქალაქს,
დგანან კოშკები სიმწუხარის შავი მაზარით,
დადუმებულან და თალხიან ჩრდილში ჩამქრალან.
—ჩაფიქრებულან,
და წყვდიადში წუხილს ამხელენ,
ხავსიან კოშკებს
სურთ ქალაქში შხამი ჩაღვარონ,
და ეხლა მინდა:
მე ვუსმენდე შენს ქუხილს მხოლოდ—
მხოლოდ შენს ხმაურს,
თერგო მთებში ნაყაჩაღარო!
გახსოვს,
უხმობდენ—
შენს შფოთიან ზარს და მოძახილს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუკი მგზავრი—
აფურთხებდა შაღარა ყაზბეგს,—
მე ვიდექ დიდხანს,
და საღამოვ შენ ისე წახველ—
მხოლოდ პირქუში მოგონებით დამტოვე გზაზე!
...ვუცქერ შატგორას—
თერგის პირას წაქცეულ ვაჟკაცს,
და მე მგონია:
ამღამ იგი გათავხედდება—
—ადგება ფეხზე,
აიტაცებს ნაპრალებს გამშრალს,
და მოხუც მყინვარს
მრისხანების შუბლით დახედავს!
მოულოდნელად—
ჩემ ფეხქვეშ თერგი ასტეხავს ღრიალს,
და გახუნდება
მყინვარწვერის გამჭრიახობა,
ვხედავ, ღამეა—
და ჩრდილები შორს გადახრილან,
რომ დაუკარგონ
სიდიადე—კლდეებს ახოვანს...
მაგრამ მოჰქრიან
შეღამების ცივი ქარები,
მოვდივარ ხევხევ—
ქარებს უნდათ ტანში გამზარონ,
აიშლებიან—
აშლილ ნისლებს მოაჩქარებენ,
და, მე შევსცქერი:
—მოჩხუბარიძის სახეს გაბზარულს...
შორს კი კლდეები,
ხან ჯანღიან და ხან უნისლო,—
თითქოს ფიქრობენ,
ლაჟვარდებში დგანან მწუხრიან,
—მათ აეკრძალათ
სივრცეებში დგომა უმიზნოდ,
დაირღვევიან—
და ანდეზიტს მუხლს მოუხრიან!

აგვისტო—32 წ.

დ. სულიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კედელი *)

დასასრული

ერთ კუთხეში გძელ მაგიდასთან შემომსხდარ ზურგების რიგში ფეხზე წამომდგარ პირტიტველა ახალგაზდას ღვინის სავსე ჩაის ჭიქა ეჭირა და გატაცებულ-აღგზნებული ხმით, თავის მეგობარს ხოტბას ასხამდა. მარცხენა ხელში მოკაუჭებული თითით პაპიროსი ეჭირა. მისი ფერფლი პიჯაკის კალთებს ეცემოდა და იქიდან სუფრაზე ცვიოდა. ეს მაგიდა ყველა მაგიდების ყურადღებას იქცევდა, იქითკენ იცქირებოდენ და მოლაპარაკეს უსმენდენ.

— იცი? ვინ არიან—ეკითხებოდენ ერთი მაგიდიდან მეორეს.

— არ იცით? პოეტები არიან, კაცო. პოეტები!...

— აგერ ის, მსხვილი რომაა და ცისფერ-თვალება, ის რა პოეტია იცი?— ამბობდა ერთი კვეხნით და თავგამოდებით, თითქო ყველა მწერლებს და პოეტებს იცნობდაო.

პირტიტველა ახალგაზრდა თანდათან ხმას უმატებდა, ჭიქიდან ღვინოს პიჯაკის კალთაზე ჰლვრიდა. მეორე ხელს, მოკაუჭებულ თითში რომ პაპიროსი ეჭირა,სიტყვის ამაღლებასთან ერთად ჰაერში იქნევდა. ამხანაგს მიუწვდომელ სიმაღლისაკენ სწევდა. გადაჭარბებული ქებით ისტორიული მასალებიდან შედარებები მოჰქონდა, სულხან საბა ორბელიანის ან საიათნოვასგან და საკუთარ ივრის ლექსებიდან მოტანილ მაგალითებით ამკობდა. მისი აწეული ბარიტონული ხმა, ლამაზი, სიღრმეში წასული თვალები—მოქეიფეთა ყურადღებას თვისკენ იზიდავდა. ყველა ჰკვირობდა—ვინ უნდა ყოფილიყო ის პირი, ვისაც ეს ხოტბა ესხმოდა და რომელსაც შოთა რუსთაველის შემდეგ ჯერ ბადალი არავინ გამოსჩენოდა...

— ვინ არის კაცო, ვინ, ასე ძლიერ რომ აქებს?—კითხულობდენ მაგიდებთან მსხდარნი.

— არ იცი, კაცო? აგერ აი ის, ჭროღა თვალები რომ აქვს! ცნობილი პოეტია!

„მრავალ ჟაააამიეეერ“... გაისმოდა თაღებში სხვა და სხვა მაგიდებიდან მონადენი სიმღერა.

პოეტების მაგიდაზე კი, თითქო სიტყვების შეჯიბრება ყოფილიყო გამოცხადებული, ერთი ორატორი მეორეს სცვლიდა და ყოველი მათგანი სცდილობდა მეტი შექებით გადაეჭარბებინა მასზედ ადრე მოლაპარაკე ამხანაგისთვის.

---

*) იხ. „მნათობი“ № 5–6.

ის, ვინც ეხლა წამოდგა, მსხვილ ტანიანი, ცისფერ თვალება, პიეროს ნაივური სახის გამომეტყველებით—პირველ ხანად, თითქო სიტყვებს ეძებსო, ღვინის ჭიქას დიდ ხანს ატრიალებდა გრძელ თითებში, ბოხი ხმით თითო სიტყვას დაბნევით ისროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, მარცხენა ხელის მოთლილ გძელ თითებში გამოკობილ პაპიროსი გადმობრუნებულ ტუჩებთან მიიტანა, მოჰქაჩა, ბოლი ჰაერში გაჰფანტა და, თითქო ამან შეუქმნა განწყობილებაო, მისი ხმა გაძლიერდა, სიტყვები სიტყვებს მიება. აზრი შესისხლხორცდა და ჭიქასთან ათამაშებული სუფთა აპრიალებული ფჩხილები, თითქო ათრთოლდა. ბოხი, გაბზარული ხმა თაღიან ჭერს ედებოდა ძლიერდებოდა, ზოგ შემთხვევაში სიტყვა მღერით გძელდებოდა და მსმენელთა ყურადღებას იპყრობდა. მისი შექებაც ამაღლებული, აწეული იყო. შიგადაშიგ სიტყვა, საკუთარ ლექსებიდან მოტანილი ადგილებით ლამაზდებოდა. ხანძარივით იფრქვეოდა ნაპერწკლები და სახეზე ალმური ასდიოდა. მისი ხმა სქელდა, ჰქუხდა. მისი ნათქვამიდან ის აზრი გამოსჭვიოდა, რომ ის პოეტი, ვისაც სიტყვას ეუბნებოდა, საქართველოში პირველ პოეტად უნდა მიეღოთ. ამავე დროს ის იყო შესამჩნევი დრამატურგი, რაინდი და მეგობარი. მერე, თითქო ხანძარი ჰქრებაო, ხმაც ნელხელა დაეშვა და სიტყვაც გაათავა.

ის კი, ვისაც სიტყვა უთხრეს, სკამის ზურგს მძიმედ აწვებოდა, პაპიროსის ბოლოში იყო გახვეული და დაკრეჭილი თეთრი კბილებით და გაბრწყინვებული სახით შესცქეროდა მოლაპარაკეს. ეტყობოდა, რომ სხეულში სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა. კმაყოფილი და მოღიმარი ჭროლა თვალებით გასცქეროდა შემქებელ ამხანაგს, თითქო სჯეროდა და არც სჯეროდა მისკენ მომართული ხოტბა. სიტყვის გათავების შემდეგ, წამოდგა, ჭიქით ხელში მივიდა მასთან, აკოცა, გადაეხვია და აცრემლებული თვალებით სამგზის აკოცა.

„ჰაი, მრავალ ჟამიეეერ“... გაისმოდა დარბაზის კუთხეებში გაჭიანურებული ხმა და ეს სიმღერა, პაპიროსის ბოლი, ღვინის სუნი, აურზაური, გაძახილი, თებშების ჩხარუნი, ჭიქების წკარუნი და ბურუსში გახვეული დარბაზი ერთ მთლიან აღგზნებას მიცემული,—ტოკავდა, ქანაობდა.

ეხლა სუფრები აღარ იყო თეთრი სუფთა ქაღალდით გადაფარებული, არამედ წითელი ზოლებით დასველებული, ქათმის ძვლებით, წაქცეული ბოთლებით, ღომის ნამცეცებით და პურისა და ჭადის ნატეხებით თითქო ხანძრის შემდეგ ჩაფერფლილი, საცოდავად გამოიცქირებოდა

გალაქტიონი და მისი მეგობარიც უკვე მესამე ბოთლსა სცლიდენ. კვლავ პარტიულ მუშაობის შესახებ ლაპარაკობდენ. ბოლშევიკებს დასცინოდენ, აწბილებდენ, ლანძღავდენ, და საქართველოს სადღეგრძელოს სვამდენ. მენშევიკურ ხანას ოქროს ხანად აღიარებდენ. იგონებდენ ყოფილ ბელადებს, მოწიწებით სვამდენ მათ სადღეგრძელოსაც და, კვლავ გამარჯვების იმედით აღფურვილნი მალე ბოლშევიკების დაღუპვას ნატრულობდენ.

—აბა, ეხლა შენ იცი! ნულარ დააყოვნებ. მალე დაიწყე მუშაობა. საბას ვინახულებ. ვეტყვი შენს შესახებ. ძალიან გაუხარდება. ალბად გინახულებს და მაშინ ბევრ რამეს გაიგებ ახალს.

— ჰო, ასე! ასე!—გამოჯავრებით და კბილების კრაჭუნით ამბობდა გალაქტიონი.

— ხომ იცი საბა რა კაცია! თუ ერთი ჩაგიგდო ხელში, ისე აგამუშავებს რომ მოსვენება აღარ გექნება! დიდი კონსპირატორია, დიდი ორგანიზატორი! ბოლშევიკებმა კარგად იციან მისი აქ ყოფნა და მუშაობა. ხომეიკ სასტიკია მიღებული მის წინააღმდეგ, მაგრამ კარგად იცის თავის შენახვა, ასე ადვილად ვერ ჩაიგდებენ ხელში.

თაღებიანი დარბაზი დათვრა, ქანაობს, ბარბაცებს, დალეულები ერთი მაგიდიდან მეორე მაგიდასთან ფეხ არევით მიდი-მოდიან. სავსე ჭიქებიდან ღვინოს ღვრიან, ზოგან ილანძღებიან, იგინებიან, ზოგან კი ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან. მაგიდებმაც თითქო ფეხი აიდგეს, ერთმანეთს უერთდებიან, ბოთლებიდან ღვინო იქცევა და ნაკადებად მისრიალებს იატაკზე.

ერთი ჯოხიანი შეზარხოშებული ჩოხოსანი პოეტების მაგიდას მიუახლოვდება, წელში მოხრით შეჩერდება მაგიდასთან.

— ბოდიში, ბატონებო, ბოდიში!—მიჰმართავს მათ, ჭიქას მაღლა ასწევს და ამის გამო ღვინო წვეთ-წვეთად განიერ ჩოხის სახელოში ესხმება. გაშვერილი ხელი უთრთის. პოეტების მაგიდა იშმუშნება, საუბარს თავს ანებებენ. ჩოხოსანს შესცქერიან.

— ნება მომეცით ამ პატარა სასმისით—განაგრძობს ჩოხოსანი,—ჩვენი პატარა მაგიდის სახელით შევსვა თქვენი სადღეგრძელო. თქვენ ხართ მნათობნი და თქვენი მარგალიტი სიტყვებით ამ პატარა საქართველოს ანათებთ და აშუქებთ, რომელსაც დიალაც რომ დიდი წარსული აქვს. ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“... მაგრამ—ჩოხოსანი იბნევა, სიტყვებს ეძებს, ტორტმანებს—მაგრამ, ეს მრავალ-ტანჯული საქართველო კვლავ დამცირებაში და გაჭირვებაშია... ამიტომ...—ხმას უწევს ჩოხოსანი. მაგიდის გარშემო მსხდარნი შეიშმუშნებიან, ერთმანეთს გადაჰხედავენ, წარბებს შეიჭმუხნიან, უკმაყოფილების იერს მიიღებენ, მაგრამ არაფერს იტყვიან. ჩოხოსანი კი განაგრძობს, ეხლა უკვე უაზრო დაუმთავრებელი ფრაზებით, თითქო ვიღაცას უტევს, უყვირის. მისი ამხანაგები სუფრიდან წამოდგებიან, ჩოხაში ხელს მოჰკიდებენ, ეხვეწებიან გაჩუმდეს, სუფრისკენ მიეწევიან და მის მაგიერ ბოდიშს იხდიან. ჩოხოსანი კი ჭირვეულობს და დაუმთავრებლივ ისვრის სიტყვებს: „ჩვენ მათ ვაჩვენებთ, როცა შავ ზღვაზე“... ამხანაგები პირზე ხელს აფარებენ, მაგიდისკენ ძალით მიათრევენ. ჭირვეული მაინც თავისას არ იშლის. პოეტების მაგიდას კისერ მოღერებული მიჰმართავს—„თქვენი ბასრი კალაჭით, სულმნათი შოთას შემდეგ თქვენ რომ გადმოგეცათ..—აღგზნებული გაჰკივის და ამ დროს თვალს მოჰკრავს პოეტების მაგიდაზე მსხდარნი რომ რაღაცაზე ჩურჩულებენ. მოღიმარი სახით მისკენ იცქირებიან და თითქო დასცინიან. ერთი წუთით შეჩერდება, სახე შეეცვლება, მერე მძლავრად გაიწევს, თავის ამხანაგებს ხელიდან დაუსხლტება, მოღიმარ სახეებთან მივა და მწარე ხმით, დაღრეჯილი სახით შესძახებს:

— ღმერთმა თქვენც შეგარცხვინოთ და რაცხას რომ ჯღაბნით, კიდევ ისიც! — ღვინიან ჭიქას იქვე მაგიდასთან დაანარცხებს და უკან გამოტრიალდება ათრთოლებული.

„მრავალ ჟააამიეეერ.“—გაისმის შორეულ კუთხიდან შექეიფიანებულების სიმღერა. დარბაზი ნელნელა იცლება. ფარეშს უსწორდებიან, დალეულ ბოთლებს სთვლიან. წეროებივით კიბეზე ერთმანეთს მიჰყვებიან.

მაგიდების თეთრ ქაღალდზე დაღვრილი ღვინის ლაქები ფარეშელ გაჭიმულან. დასვრილი თეფშები და მათლაფები ერთმანეთშია არეული. წაქცეული ბოთლები და ცარიელი ჭიქები ხმაურით გორაობენ. ფარეშები გაჭუჭყიანებული ჩაშავებული ხელსახოცებით ალაგებენ დაცლილ სუფრას. ჭირვეული „მრავალ ჟამიერი„ მაინც გაისმის დარბაზის კუთხეებში, ხოლო ეხლა არეულ-დარეულად, ხან ცალკეულ ყელში დაჭიმულ ძარღვებით, ხან ორი-სამი ხმის შეერთებით. ეს მრავალ ჟამიერი მოდუნებული ზლაზვნით მისდევს თაღიან კუთხეებს და სადღაც კუნჭულში ინთქმება.

დამძიმებული გალაქტიონი სკამის ზურგზეა მიბჯენილი და ვერ წამომდგარა, ნიკო მას მრავალზგის წაჰკრავს მუჯლუგუნს და ეუბნება:

—წავიდეთ ეხლა, გალაქტიონ, წავიდეთ!...

გალაქტიონი თავს ძალას დაატანს და ნიკოს დახმარებით ბარბაცით წამოდგება. კლავში ხელ-გაყრილნი კიბეს აივლიან და ნათელ ქუჩაზე რომ გავლენ, ჰაერს ღრმად ამოისუნთქავენ.

XIII

სამსახურის დარბაზი, სადაც გალაქტიონი მუშაობდა, გძელი და ვიწრო იყო. ერთ მხარეს კედელი მისდევდა, ხოლო მეორე მხარეს შუშაბანდიანი ფარდული. წინათ ამ შენობაში ბანაკი იყო, ეხლა კი ის ადგილი, სადაც დიდ რამოდენიმე ოთახად გაჰყვეს, აქა-იქ ფიცრული კედელი აიყვანეს და ამნაირად სამუშაო ოთახებად აქციეს.

თავგაბრუებული გალაქტიონი მაგიდასთან იჯდა და ქაღალდებს არჩევდა. გუშინდელი ღვინის დალევის გამო თავის ტკივილს გრძნობდა, სხეული მოდუნებული ჰქონდა, მუშაობა არ ეხალისებოდა, რომელიც თითქმის არც ჰქონდა. იმ განყოფილებაში, სადაც გალაქტიონი მუშაობდა, ყველა საქონელი გაიყიდა და სავაჭროთაც აღარ მოდიოდენ, ამიტომ მუშაობაც შეჩერებული იყო.

კედლის ძიგრძეზე ჩაყოლებულ მაგიდებთან სკამებზე წახრილი ზურგები მაინც აშრიალებდენ ქაღალდებს. ბუხჰალტრები და მოანგარიშეები საანგარიშოებს აჩხარუნებდენ. გაძახილი და ერთი მაგიდიდან მეორესთან მიმოსვლა საერთო მყუდროებას არღვევდა.

გუშინდელმა შეხვედრამ გალაქტიონზე ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა. ეხლა ეს კედლები, მაგიდები და თანამშრომელთა სახეები ისე მოეჩვენა, თითქო ყველაფერი წარსულში ყოფილიყო და მხოლოდ მის დასასრულს უმზერდეს. უკვირდა კიდეც, რომ აქნამდის არ მოსლოდა ის აზრი, რაც გუშინ ნიკომ უთხრა. მართლაც, მხოლოდ სამსახურით ხომ არ შეიძლება კმაყოფილი იყოს? მართალია ლევანი, ათასჯერ მართალი: ან აქეთ მხარეს, ან იქით! საშუალო გეზი არ არის! ინახულებს იმას, უსათუოდ ინახულებს!..

დარბაზში მატაფიევმა გაიარა, ხელში ქაღალდები ეჭირა, ბუხჰალტერთან შეჩერდა და ჩუმი ხმით რაღაცაზე ლაპარაკი დაუწყო. ლაპარაკის დროს ბუხჰალ-

ტერს განცვიფრებული სახე ჰქონდა, მხრებს იჩეჩავდა და ხელებს შლიდა. მერე-დამწუხრებული სახე მიიღო და თანამშრომლებს გადახედა. მატაფიევი კი მოტრიალდა და ლაღი სიარულით დარბაზიდან გავიდა.

გალაქტიონმა თვალი გააყოლა მას და კვლავ თავის ფიქრებში ჩაეფლო. „მუდამ ასეა! მუდამ აბნეულ და დამძიმებულ ცხოვრების პირობებში! არასდროს დაწყნარებული, მშვიდობიანი ცხოვრება არა მქონია! მუდამ გაურკვეველი, ბურუსიანი, დახლართული კითხვები! მუდამ მოდუნებული, გაუხარებელი სიცოცხლე! მუდამ დაღვრემილი ცხოვრება და გაუხსნელი შუბლის ნაოჭები! რა მეშველება! რა მოელის ჩემს ყოფას! იქნებ თვით უნდა შევქმნა პირობები და არა პირობებმა ჩემი ცხოვრება? მერე? იქნებ თინაც.. იქნებ ის კი არა, მე თვითონ ვიყო მის წინაშე დამნაშავე? მართლაც, ერთხელაც არ მივსულვარ მასთან ალერსით, ერთხელაც არ გამიშლია ჩემი გულისნადები! მერე რა ჰქნას თინამ? მატაფიევი კი სულ უბრალოდ, მტკიცედ და გადაწყვეტილი აზრით მივიდა მასთან და დაანახვა, აგრძნობინა, დაარწმუნა, რომ მას მოსწონს მისი თვალები, თეძოები, გულმკერდი. მივიდა და უბრალოდ მოჰკიდა ხელი! ხელი იყო მარჯვე, ძლიერი და ჟრუანტელის მომგვრელი! დამიზნება იყო ერთი აზრით განმტკიცებული. მე კი კითხვის გადაჭრის დროს უამრავი ეჭვი გამივლის თავში! ერთს გადაწყვეტილებას ვერ დავადგები. გაჭიანურებულ მდგომარეობაში და რყევაშია მუდამ ჩემი აზრი და თინამაც არ იცის რა გზას დაადგეს... მაგრამ იქნებ სულაც არაფერი მომხდარა! იქნებ თინა არც ფიქრობს ამასზე? იქნებ თინა მხოლოდ ფორმალურ მხარეს იცავს და ამიტომ დადის მასთან, მხოლოდ იმიტომ რომ ვერ უთქვამს უარი! მაშ თავი ვანებოთ ორეოფობას! უნდა მივიდე თინასთან და ვუთხრა ჩემი გულის ნადები!...“—და ამ გადაწყვეტილებასთან ერთად სისხლი აუჩქეფდა, გული აუძგერდა.

თავი ასწია და უცბად თვალი მოჰკრა მთავარ ბუხჰალტრის მაგიდასთან შექუჩულ თანამშრომლებს. მათ განცვიფრებული, დაღვრემილი სახე ჰქონდათ. ერთმანეთს კითხვითი ნიშნით უცქეროდენ და გაცხარებით კამათობდენ. გალაქტიონმა ყური მოჰკრა სიტყვა ლიკვიდაციას და მაშინვე მიხვდა ლაპარაკის შინაარსს. მაგიდიდან წამოდგა და თვითონაც იქ მივიდა. მთავარ ბუხჰალტრის ნალაპარაკევიდან ირკვევოდა, რომ მოკლე ხანში ამ დაწესებულების ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო.

— ჩვენ რაღას გვიპირებენ ნეტავი, სად უნდა წაგვიყვანონ!—კითხვას იძლეოდენ აქეთ-იქიდან.

— ზოგს იმ ახალ დაწესებულებაში გადაიყვანენ, რომელიც ამის ადგილას აღმოცენდება, და ზოგსაც სალიკვიდაციოს მისცემენ და შარა გზაზე გაისტუმრებენ!—უპასუხა ბუხჰალტერმა.

— მერე, რამდენს მოგვცემენ სალიკვიდაციოს?

— ორი თვის ჯამაგირი, მორჩა და გათავდა!

— ორი თვის ჯამაგირი და მერე უმუშევრობა?...

— არა კაცო, რატომ; იქნება მეორე დღესვე იშოვნო ალაგი. და თანამშრომლები მსჯელობდენ სამსახურის შესახებ. ზოგი თავს ინუგეშებდა, მე ძლიერი დამხმარე მყავს, და ამიტომ მისთვის ალაგი უზრუნველყოფილი იყო, და ზოგიც ფიქრობდა, რომ მას დასტოვებდენ.

გალაქტიონი ყურს უგდებდა ლაპარაკს და თვითონ კი ლაპარაკში არ ერეოდა. უცბად თინას სახე აემართა თვალწინ. „თინა? თინასაც დაითხოვენ აუ? არა, არა! მაგრამ, იმას უკეთ ეცოდინება, წავალ ვკითხავ“.—გაივლო გულში და თინას ოთახისაკენ გასწია. გაქანებული მივარდა კარს, გააღო და ოთახში შევარდა... უცბად ხელნაკრავივით შეჩერდა და სახტად დარჩენილი იქვე კარებთან გაშეშდა.

მის მხედველობაში, როგორც ბურანში თინას აბნეული თმა, და გაწითლებული სახე ისახებოდა, მის გვერდით კი, სულ ახლოს, დაბნეული მატაფიევის ამღვრეული თვალები.

ოთახის კედლები გადმოიზნიქა, შექანდა. გალაქტიონიც ისე ათრთოლდა, როგორც მიწის ძვრის დროს, როცა არ იცით, რომელი კედელი ჩამოიქცევა და რომელ ნამსხვრევებში მოექცევი. თვალთ დაუბნელდა. გაბრუებული ერთ ხანად ადგილზე ატორტმანდა.

— რა გნებავთ თქვენ აქ, რისთვის ამოხვედით?—ისე შეეკითხა მატაფიევი, როგორც უფროსი შეეკითხება უმცროსს, გაჯავრებულ კილოზე.

— არაფერი! არაფერი!... ისე!—ძლივს წაილულლულა, შუბლზე ხელი გადისვა. გასწორდა. თითქო რალაცას თქმა უნდოდა კიდევ. გადმოკაკლული თვალებით თინას შეხედა. თითქო უნდა დაეყვირა, დაებღავლა. ეღმუვლა. მაგრამ ყელში ბურთი მოადგა, თითქო დახრჩობას უპირებსო, სუნთქვა შეეკრა.

მერე იძალავა, დაჭრილი მხეცის ხმით დაიღმუილა და მოსხლეტილი გარეთ გავარდა,

კი არ მიდიოდა, მირბოდა. სად,—თითონაც არ იცოდა. თავჩაღუნული, დამძიმებული თავით, აფორიაქებული ფიქრებით—უკან სტოვებდა გამვლელებს, დუქნებს, ქუჩებს.

მიეშურებოდა და ეჩვენებოდა თითქო გაქროლებული ავტომობილები, ეტლები. ვაგონები, და მოსიარულე ხალხი მასთან ერთად მიისწრაფოდა უფსკრულისაკენ, დალუპისაკენ... სირბილში უნდოდა ჩაეხშო კორიანტელივით მოწოლილი ფიქრთა გროვა. გაურკვეველი ფიქრები კი წყალვარდნილის შხეფებივით თავს ესხმოდენ მას, არ ეშვებოდენ.

მწვავე იყო გახსენება, ტოკავდა გული, და როგორც მიწისძვრის დროს მოძრავია ნიადაგი და არ იცი სად დაადგა ფეხი, რომ არ გასკდეს იგი და არ ჩავარდე ნაპრალში, ისე ქანაობდა სხეული და უთრთოდა მუხლი. შეცვლილი იყო გარემო, ბურუსით იყო მოცული სახლები და დაქანებული კედლები.

უეცრად ამ არეულ-დარეულ მოძრაობის ქაოსიდან გამოკრთება ნაცნობი თვალები, მერე ჩამოყალიბდება სახე. მაროს ალერსიანი გამოხედვა შეაკრთობს გალაქტიონს. შედგება ხელნაკრავივით.

—ეგრე უნდა გალაქტიონ, რატომ ერთხელ მაინც არ შემოივლით ჩვენთან?—ეკითხება მარო.

გალაქტიონი ფიქრებიდან ამოძვრება, როგორც დაყვინთული იხვი წყლიდან. თვალებზე ხელის გულს მოისვამს და მაროს დაბნეით უპასუხებს:

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო მარო, ბოდიშს. ვერ მოვიცალე—ეს რომ სთქვა, თავისივე ხმა ეუცხოვა.

— ჩემი ძმა ძალიან მოხარული იქნება თქვენი ნახვის.

— უსათუოდ შემოვივლი როგორმე, ქალბატონო მარო, უსათუოდ! მარომ ნაბიჯი გადადგა ისე, რომ გალაქტიონიც უნდა გაჰყოლოდა მას. ისიც უმებლიედ მოდუნებულად მიტრიალდა და მის გვერდით იწყო სიარული. ეხლაღა ამოისუნთქა თავისუფლად და გულში დაცობილი ბურთი მოიშორა.

— სად მიეშურებოდით ასე ჩქარი ნაბიჯით?—შეეკითხა მარო.

— არსად, ისე, ნაცნობთან.—იცრუა გალაქტიონმა

— თინა თქვენთან მსახურებს? თქვენს დაწესებულებაში. არა?

— დიაღ, იქ არის—დაბნევით უპასუხა.

— ხომ კარგად არის?

— ისე, რა უჭირს, კარგად არის!

— თქვენ, ბატონო გალაქტიონ, ხომ კარგათ ხართ, რას აკეთებთ?

მაროს ლაპარაკი ალერსიანი იყო. თითქო გალაქტიონის დაწყლულებულ გულს მალამოს უსვამდა დასამშვიდებლად, დასაწყნარებლად. ის მართლაც გრძნობდა, რომ მისი გაბოროტებული გული ისე აღარ ჩქროლავდა, აღარც თავში იყო ბურუსი და თვალებში ნისლი.

— გმადლობთ. თქვენც ხომ კარგად!

— კარგად, რა მიჭირს! მხოლოდ თუ ასეთი ბოროტი იყო ცხოვრება, ეს კი არ ვიცოდი. На жизнь трезвыми глазами, кто захочет посмотреть, тому лучше не родиться или тотчас умереть![1]) ხშირად იტყოდენ ხოლმე ჩემი მეგობრები ახალგაზდობაში. შინაარსი კი არც მათ ესმოდათ და მე ხომ სულ არა ვიცოდი რა ცხოვრებისა.

— ეხლა? ეხლა გაიგეთ?—შეეკითხა გალაქტიონი და მაროს შეხედა. ეუცხოვა მისი დაღვრემილი, ძირს დაშვებული თვალები.

— ეხლა, მხოლოდ ეხლა მივხვდი ბევრ რამეს.

მერე რატომ ეხლა მიხვდა და არა წინათ! რატომ იყო ბეცი და ვერ ხედავდა ვერაფერს!? ეხლა? ეხლა იქნებ უკვე გვიანღაა—ჰფიქრობდა თავისთვის გალაქტიონი.

— რა მოხდა მაინც, რას მიხვდით, რა დაინახეთ?—შეეკითხა.

— ბევრი, ძალიან ბევრი რამ! უპასუხა მარომ.

მართლა ბევრ რამეს მიხვდა მარო ამ მოკლე ხანში, ბევრი რამ გაიგო თითქო ეხლა გაეხილა თვალები და დაინახა ცხოვრების ხლართები. ეხლაღა დაინახა გალაქტიონიც, მისი მაღალი შუბლიც, ულვაშებში ჩაფლული წვრილი ტუჩებიც. ელხაღა გაიხსენა მან გალაქტიონის პირსახე, მასთან შეხვედრისას რომ აწითლდებოდა ხოლმე და მისი თვალები ქურდულად რომ უმზერდენ მას. მაშინ ქალური გუმანით იყო მიშვერილი გალაქტიონის ასეთ მზერას, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, არ ჰფიქრობდა ამაზე. მაშინ მარო ზევიდან დაჰყურებ-

---

[1]) ვინც ცხოვრებას გამჭრიახი თვალებით შეხედავს, სჯობია არ დაიბადოს, ან მაშინვე მოკვდეს.

და მას. უკადრისად სთვლიდა მასთან გავლას და საუბარს. მაშინ ვერ მიხვდა, ვერ გაიგო გალაქტიონის სხვანაირი ცხოვრების მიერ გატარება, ეხლა კი თავისებურად დაინახა ის საქმე, რასაც გალაქტიონი მისდევდა.

ყველაფერი ეს თავში უელავდა მაროს და უნდოდა გალაქტიონისათვის გაემჟღავნა და ეთქვა, რომ ეხლა მზათაა მასთან ერთად მაროს მისი გზით, რომ არ დაზოგავს თავს, რომ მზათაა კავშირი გასწყვიტოს ყოველივე და ყველაფერთან და მისი ცხოვრებით იცოცხლოს, მუდამ მასთან იყოს. ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდოდა კიდევ ეთქვა მაროს. ხოლო გალაქტიონი სდუმდა, არაფერს ამბობდა და ისევ თავის ფიქრებს ეძლეოდა. მაროც სითამამეს ჰკარგავდა.

საზოგადოთ ქართველი ქალი სიყვარულში მფთხალია, სითამამე და გამბედაობა აკლია. მკრთალია მისი გრძნობა, და არასდროს ალმორეული ცეცხლით არ დაიწვის. ასეთ დროს ის მსჯელობს, სხვა შემთხვევაში კი მსჯელობის უნარი სუსტი აქვს. მთელი თავდავიწყებით სიყვარულს არ მიეცემა და არც გააგებინებს ვინმეს ამ გრძნობას. თითქო ეს დამამცირებელი რამ იყოს. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა პირველად ქალი აუხსნის ვაჟს სიყვარულს!...

— გაიგეთ კოწია კინვალიძე რომ დაიჭირეს?—უცბად შეეკითხა გალაქტიონს.

— რომელი კოწია კინვალიძე?—

— აი, ის. გახსოვთ ერთხელ რომ გაგაცანით როგორც მეეტლე?

— ჰო, კი, კი! მახსოვს მერე როდის, რატომ?

— დაიჭირეს, მაგრამ ისევ მალე გამოუშვეს!

— ეხლა სად არის?...

— ისევ აქ, გახურებულ პარტიულ მუშაობას მისდევს.

— კარგია, კარგი!

— კი, მაგრამ, გვეშველება რამე როდისმე?—ამოოხვრით თქვა მარომ. პატარა მანძილი დუმილით გაიარეს.

— უკაცრავად, ბატონო გალაქტიონ! მე მგონი ხელი შეგიშალეთ, სადლაც მიეშურებოდით. აქეთ უნდა შევუხვიო. მშვიდობით. შემოიარეთ, გვინახულეთ

— უსათუოდ, უსათუოდ, ქალბატონო მარო!—და გალაქტიონი რუსთველის გამზირის ფილაქანს გაჰყვა.

შეპირებისამებრ გალაქტიონი და ნიკო ერთმანეთს კვლავ იმ სასადილოში უნდა შეხვედროდენ, სადაც პირველად ნახეს ერთმანეთი; გალაქტიონი იქით ეშურებოდა.

სასადილოში რომ ჩავიდა, მაშინლა შეამჩნია, რომ ჯერ კიდევ სადილობის დრო არ იყო. ფარეშები არიგებდენ მაგიდებს, აფარებდენ თეთრ ქაღალდებს და მის გარშემო აწყობდენ სკამებს. მოჰქონდათ თეფშები, დანები და ჩანგლები. სასადილოში მყუდროება სუფევდა. მხოლოდ ერთ მაგიდაზე იყო გაშლილი სუფრა და ორი ამხანაგი წყნარი მუსაიფით სვამდა ღვინოს.

გალაქტიონი ერთ კუთხეში მიუჯდა მაგიდას, ფარეშმა მისი სუფრაც გააწყო, მაგრამ ჯერ კიდევ საჭმელი არ მიუტანია.

ბომსვლელები თანდათან ემატებოდა. ეხლა ფარეშები უფრო მარდად დარბოდენ, მაგიდების გარშემო უვლიდენ, ჭიქებს აწყობდენ, ასწორებდენ, ასუფთავებ-

დენ და მირბოდენ და რომელიმე საგანს, მაგიდას რომ აკლდა, მოარბეინებდენ. სასადილოში შემწვარი ხორცის და კართოფილის სუნი დგა.

მალე მაგიდების გარშემო შემომწკრივებულ სკამებზე ზურგები ჩამორიგდა. ფარეშებმა შეკვეთილი სადილები მიუტანეს. დანაჩანგლიების და ჭიქების წკრიალი შეიქნა. გალაკტიონის თვალები კიბისკენ იყო მიშტერებული და გულის ძგერით უცდიდა ნიკოს.

სადილი უკვე გათავებული ჰქონდა და ნიკო კი არსად სჩანდა. ის იყო სასოწარკვეთილებით შეურიგდა იმ აზრს, რომ დღეს ალბად ნიკო სასადილოში არ მოვიდოდა, და ფარეშს დაუძახა, გაუსწორდა და კიბისკენ გაემართა, რომ ქვეით ჩამომავალი ნიკოც სილუეტივით აიმართა მის წინაშე. პირზე ღიმი მოუვიდა. მკლავში მოჰკიდა ხელი და ცარიელ მაგიდისკენ წაიყვანა.

— მე კი გადავწყვიტე, რომ შენ დღეს არ მოხვიდოდი და უკვე მივდიოდი კიდეც.

— სადილი უკვე სჭამე?

— მაშ! შენ რად დაგიგვიანდა?

— ერთი ვიმმე ვინახულე და იქ შევრჩი.

— სხვა, როგორა ხარ?

ნიკოს ხილვით გალაქტიონი ისე იყო გახარებული, თითქო ის ყოფილიყო მისი მხსნელი, ის მიაწვდიდა მას თოკს და მორევიდან ამოათრევდა, დახჩობას გადაარჩენდა. ამიტომ გული უცემდა, სახე ულიმოდა და მბზინავი თვალებით შესცქეროდა ნიკოს.

— მე? ძალიან კარგად! ოჰ, ისეთი გახურებული მუშაობაა, ისეთი აღფრთოვანება, რომ იმედია მალე ძირს დავცემთ ბალშევიკებს. ეხლა პროვინციაში? საქმე იქაა და! ველარ ითმენენ,—როდის იქნება, როგორ, რანაირად და სხვა, სულ ასეთ კითხვებს იძლევიან. შენ რას შვრები? რა გადასწყვიტე?

— მეც ამიტომ მოვედი. საბასთან წამიყვანე.

— ოჰ! ეს კი კარგია! ძალიან კარგია!—გაეხარდა ნიკოს. ჭიქას ხელი წაავლო და გალაქტიონის სადღეგრძელო დალია.

გალაქტიონის ძარღვებში სისხლი აჩქროლდა. ეხლა თავს ისე გრძნობდა, თითქო ერთი ნაპირიდან, მეორე ნაპირს გადავიდა. ცახცახებდა, თრთოდა, მუხლი უკანკალებდა და გული უძგერდა.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს მომავალ მუშაობის შესახებ. მეორე დღისათვის ადგილი დანიშნეს, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდენ. კონსპირაციის მოსაზრებით სასადილოშივე დაშორდნენ ერთმანეთს.

XIX

ისე მიდიოდა, როგორც მიდის მთვარეული. ნიკოს უნდა შეხვედროდა და მუშაობა დაეწყო. თითქო მხიარული უნდა ყოფილიყო, მაგრამ წყეული კითხვები თავს ევლებოდა და ენტუზიაზმის მაგიერ დაღვრემილი ჰქონდა გული. ბევრს ჰფიქრობდა იმაზე, თუ კონკრეტულად რაში უნდა გამოხატულიყო ბალშევიკების წინააღმდეგ მუშაობა, როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო პრაქტიკული ნაბიჯები. თითქო სათქმელი ბევრი ჰქონდა მათ წინააღმდეგ, ოღრამ ეს ხომ ლაპარაკი იქნებოდა მხოლოდ და სხვა არაფერი.

როცა სასტუმრო ორიანტის წინ სამხედრო ეკლესიას გაუსწორდა და მის გუმბათებს შეხედა, ყვითელი თათრული კვახებივით რომ ჩამოცმულიყვნენ მასზე, შეამჩნია რომ მაღლა აზიდული ჯვრები მოეხსნათ, აღარ ბზინავდენ. ეკლესიის გაშიშვლებულ ფართე ეზოში ახალგაზდები ფეხ-ბურთს თამაშობდენ—ალაყაფის და ეკლესიის კარები ღია იყო. კედლებიდან ხატები ჩამოეღოთ, კანკელიც აეღოთ და მის ადგილას სცენა გაემართათ, ხოლო დარბაზის ერთ კუთხეში ბიბლიოთეკა—სამკითხველო მოეწყოთ.

სამლოცველოს მაგიერ, სადაც მღვდლები აბრჭყვიალებული ფილონებით, საცეცხლურით და ხელების მაღლა აპყრობით მეფისა და მისი ოჯახობის დღეგრძელობას ჰგალობდენ, სადაც სამხედრო პირნი—მეფის ნაცვალი, გენერლები, პოლკის მეთაურები, პოლაციისა და ჟანდარმების უფროსები მბზინავი ეპოლეტებით, არშიებით, ჩინებით და მენდლებით სამღვდელოებასთან ერთად ფიცსა სდებდენ დაუზოგველათ ებრძოლათ გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ და ერთგულნი ყოფილიყვენ მეფისა და სამშობლოსი, სადაც ქრისტეს სახელით გამეფებული იყო მლიქვნელობა, პირმოთნეობა, მექრთამეობა, მრუშობა და სხვა მრავალი ბოროტება,—ეხლა აქ, ამის მაგიერ ახალგაზდები შეგროვილიყვნენ და სოციალისტურ მშენებლობის წესებს სწავლობდენ, მოსალოდნელ ბრძოლებისთვის ემზადებოდენ. ხატების მაგიერ კედლებზე სურათები გაეკრათ რევოლიუციის ცხოვრებიდან, სანთლით გაჟღენთილ დაძველებულ საღვთო წიგნების მაგიერ კომუნისტური მოძღვრების შესასწავლი ბიბლიოთეკა გაემართათ და ყოველდღიური საჭირ-ბოროტო კითხვების გამშუქებელი გაზეთები მაგიდაზე დაეწყოთ.

მლოცველების მაგიერ ეხლა აქ იყო ახალგაზდების გაბრწყინვებული თვალები, მათი ათრთოლებული კუნთები და იმედით სავსე გული, რომ ამ ცხოვრებაში გაიმარჯვებენ და არა იქ, სამოთხეში. ეხლა აქ სუფევდა აფრთოვანებულ ახალგაზდათა გატაცება, გაფართოებული თვალები, სიმღერა, ყიჟინა და სიხარული.

როცა გალაქტიონი ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, როცა ისიც აფრთოვანებული დაიარებოდა მუშათა უბანში და მათ სამღვდელოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ უქადაგებდა, მაშინ მას ხშირად გაუვლია ამ ადგილზე და სამხედრო ეკლესიის შენობისთვის და მის ფართე ეზოსთვის რომ შეუხედნია, გულით უნატრია იმ დროს მოსწრებოდა, როცა ამ ეკლესიას თეატრად გადააკეთებდა. ეხლა ეს ოცნება უკვე განხორციელებული იყო. სამლოცველოს მაგიერ იგი კომუნისტურ ახალგაზდობის კლუბად იყო გადაქცეული. სამლთო გალობის მაგიერ, სოციალისტური სიმღერა გაისმოდა. სამფერიანი დროშის მაგიერ წითელი დროშა ფრიალებდა.

მაშ რატომ იყო გალაქტიონის გული ბოლმით და გესლით სავსე? რატომ არ უხაროდა? ხომ განხორციელდა სინამდვილეში ის, რაზედაც ოცნებობდა? რატომ სწყინს სამღვდელოების განადგურება? იქნება ეს სხვანაირად უნდა მომხდარიყო? მერე, როგორ? როდის?

ეს კითხვები გალაქტიონის თავში ისე ჰქროდენ როგორც ქარბუქისგან აბნეული კორიანტელი და პასუხს კი ვერ ჰპოულობდა. დაძმარებული გულით, მოდუნებული სხეულით მიდიოდა და გაურკვეველ კითხვებს თავს ვერ ართმევდა.

სამხედრო ეკლესიას ჩაუარა და ქაშოეთის ეკლესიის დალმავრეს დაჰყვა. ბუკინისტების დუქნებს რომ გაუსწორდა მისი ყურადღება მეორე მხარეზე მომავალმა ერთმა ახოვანმა ევროპიულად ჩაცმულმა პირმა მიიპყრო, რომელსაც სამოდე სხვადასხვა ჯიშის ძაღლი ლაქუცით და კუდიანი ქნარაბა მისდევდა. გალაქტიონმა შეამჩნია, რომ დუქნების წინ შექუჩული ხალხი მისკენ აშვერდა თითს და რაღაცაზე ლაპარაკობდა.

— ვაჰ! ვაჰ! ჰხედავ?..—ესმოდა გალაქტიონს მათი ლაპარაკი.

— ვინ არის, ვინ?—ეკითხებოდა ცნობისმოყვარე ახალგაზდა.

— ვაჰ! არ იცი?

— არ ვიცი!

— როგორ არ იცი, ვაჰ, თავადი მუხროვანელია!

თავადი მუხროვანელი კი, ძაღლებით გარშემორტყმული, ევროპული პიჯაკით, რომლის გძელი კალთები მუხლებს სცემდა, ნელი ნაბიჯით მოხრილი ალმართს მიჰყვებოდა გალიფეს შარვალი აზიურ წაღებში ჰქონდა ჩატანებული. მაღალი ტანით ბაღის მოაჯირს სცილდებოდა. ხელში წვრილ თასმისაგან დახლაკნილ სტეკს ათამაშებდა და ძაღლებს ეალერსებოდა თავზე ხელის გადასმით.

— მერე?—კვლავ კითხულობდა ცნობისმოყვარე.

— მერე, ხომ ჰხედავ!

— რას ვხედავ, კაცო, რა არი?

— ვაჰ! ვაჰ! ვერ ჰხედავ? ეხლა ძაღლებს ჰყიდის!

— ჰოო!..

— მაშ ძაღლებს ამრავლებს, უბრალო ძაღლებს კი არა, ჯიშიან კარგ ძაღლებს?

— თავს ამითი ირჩენს?

— ჰო, თავს ირჩენს რაღა!

— წინათ?

— ვაჰ! წინათ! დიდი თავადი იყო, დიდი ადგილ-მამულის პატრონი. მაგის ქონებას კაცი თვალს ვერ გადაავლებდა, მაშა, მაშ! ტფილისშიც საკუთარი სახლი ჰქონდა! ახლა როგორი ცხენები ჰყავდა, ვაჰ! ვაჰ! მაგის ეტლს ყველა იცნობდა! ვა, სულ მთავარმართებელთან დადიოდა, აი!.. ეხლა კი აგერ ძაღლებს ჰყიდის!.. ვაჰ! ვაჰ! რა დრო დადგა?.. ეს რა არი კაცო!

ძაღლების გამყიდველი თავადი კი ქაშოეთის ეკლესიას გასცდა და რუსთაველის გამზირისკენ გაუხვია.

გალაქტიონმა გზა განაგრძო და ნინოშვილის ბაღში შევიდა. იქ უნდა შეხვედროდა ნიკოს და მერე საბასთან წასულიყო.

გძელ სკამზე ჩამოჯდა, გამვლელებს თვალიერება დაუწყო და წარსულის ფიქრთა მორევში შეცურდა. ხშირად მომხდარა წინათ ამავე ადგილს უცდიდა კავშირს მუშების წრეში წასასვლელად. მაშინ სიხარულის, აფრთოვანების და გატაცების სისხლი უჩხრიალებდა სხეულში. ოვალები უბზინავდა და იმედიანად გამოიყურებოდა. მუშებიც დიდი ყურადღებით უსმენდენ მას და კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ემზადებოდენ, ყურს იმახვილებდენ და თეორიულ

ცოდნას იძენდენ. მაშინ ერთი აზრით, ერთი ფიქრით გატაცებულნი, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდენ. დავიწყებული იყო შეშობლები, ოჯახი, მოვალეობა, ამხანაგები, გართობა, სიყვარული და ყველაფერი. მთლიანად ერთ მიზანს ეწირებოდა. ეს მიზანი იყო სოციალიზმი და ამისთვის მივიწყებული ჰქონდათ ყოველი პირადული კეთილდღეობა. მაშინ [illegible] ფული აზრები, გაორება და ყველაფერს ნათელი და გარკვეული სახე ჰქონდა.

ეს გატაცება გაზაფხულის ნაკადს წააგავდა, გააფთრებით რომ მიეშურება ველ-მინდორზე, ვიწრო კალაპოტს რომ სცილდება და აღელვებული ტალღებით ჰფარავს დაბლობს და კორდიან ალაგებს. მუშათა ჯგუფებიც ეშურებოდენ პარტიისკენ, მის რიგებს ავსებდენ და ენერგიულად, ხალისით, სიყვარულით, აფრთოვანებით, მბზინავი თვალებით იბრძოდენ არსებული რეჟიმის დასანგრევად.

ასე იყო მაშინ. ეხლა? ეხლა სულ სხვაა! ბალშევიკები აგრძელებენ და აღრმავებენ ბრძოლას სოციალიზმისთვის და მუშათა ფართე ფენებიც ახალი ენტუზიაზმით და გატაცებით მიდიან ამ გზით. პირველ საფეხურზე გამარჯვება მათია. მაშ რაღა დაუშლის, რომ საბოლოოდაც მათ გაიმარჯვონ? იბრძვიან გამობრძმედილი საქმისთვის თავდადებული რევოლიუციონერები. მათი ძალა ენერგიულია, ნებისყოფა მძლავრი, სიყვარული და გატაცება აღმაფრენი და უსაზღვრო, მათ არ იციან უკან დახევა და უკვე ხელში ჩაგდებულ ძალა-უფლებას არავის არ დაუთმობენ. საქმეს ეკვეთებიან მთელი თავგანწირვით, მთელის რწმენით და სიყვარულით.

ამ მიზნის წინააღმდეგ წამოყენებულია „ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“... მერე?.. რატომ წინათ არ იბრძოდენ ამ ლოზუნგისთვის. რატომ წინათ არ ახსოვდათ საქართველო? პირიქით, ლანძღვითა და გინებითაც უმასპინძლდებოდენ მას?

მერე რა არის საქართველო?.. რომელია საქართველო?.. სად არის იგი?.. ვინ იბრძვის მისთვის?..

იქნება საქართველო ფიქრია მხოლოდ და სხვა არაფერი? ან იქნება საქართველო სრულიადაც არ არსებობას? ან ორი საქართველოა, როგორც ლევანი ამბობს ხოლმე. ან იქნება საქართველო ტფილისია, მცხეთა, ქუთაისი, რიონი და მტკვარი? მერე, ეს საქართველო ხომ მუდამ იყო და იქნება! ეხლაც ხომ არის! ხალხი? ხალხიც იგივეა! რა შეიცვალა? თითქოს ბევრი რამე და თითქოს არც არაფერი!..

იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი, თავჩაქინდრული, ფიქრთა კორიანტელით გარემოცული, ერთ წერტილს იყო მიშტერებული.

მის წინ ჩრდილი შეჩერდა და იქვე შემდგარ მუხლს შეხედა. თავი მაღლა ასწია და ნიკო იცნო. მის გვერდით ახალგაზდა ქალიშვილი იდგა.

— დიდი ხანია იცდი?—შეეკითხა ნიკო.

— არა, დიდი ხანი არ არის.—ფიქრებისგან გამოერკვა გალაქტიონი და ქალიშვილს შეხედა.

— გაიცანი. ეს მიგიყვანს საბასთან.—უთხრა ნიკომ.

გალაქტიონი ფეხზე წამოდგა. ქალიშვილს ხელი ჩამოართვა.

— ქეთო, როგორც გითხარი ამას რომ მიაცილებ, ისევ იქ გამოხვალ. არ დაივიწყო!—მიჰმართა ნიკომ მას.—აბა, ეხლა ნახვამდის, მეჩქარება.— ხელი ჩამოართვა გალაქტიონს და ნინოშვილის ბაღის ზედა ნაწილისკენ გასწია სწრაფი ნაბიჯით.

— ჩვენ გაღმა უნდა წავიდეთ.—უთხრა ქეთომ გალაქტიონს და ხიდისკენ იბრუნა პირი.

მიდიოდენ ხმაამოუღებლივ. ქეთო წინ უსწრებდა, გალაქტიონი ფილაქანზე მოსიარულეებს გზას უთმობდა და ამიტომ უკან რჩებოდა. ხშირად ეკარგებოდა თვალიდან და მაშინ სირბილით ეწეოდა. მალე ისეთ ქუჩაზე გავიდნენ, სადაც ნაკლები მოძრაობა იყო და მხოლოდ მაშინ გაუსწორდენ ერთმანეთს და ერთად იწყეს სიარული. ეხლა კი შეხედა გალაქტიონმა პირსახეში და შეამჩნია მისი ფიფქიანი ახალგაზდული ლოყები, პატარა ნიკაპი და თხელი ცხვირი. უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ არ იცოდა რაზე დაეწყო ბაასი. უნებლიედ მოაგონდა მარო ბევგარიანი და გაიფიქრა: ეხლა ისიც ამ ქალიშვილივით ჩაერევა საქმეში, რატომ წინად არ მიდიოდენ ქართველი ქალები ასეთ სამუშაოზე? რა მოხდა? რა შეიცვალა?..

ბაასის დაწყებისთვის ქალიშვილს შეეკითხა:

— დიდი ხანია საბას იცნობთ?

— არა,დიდი ხანი არ არის.—მორიდებით შეხედა გალაქტიონს.—ჩემი ძმა რომ დაიჭირეს, იმასთან დავდიოდი ციხეში. ერთხელ იმან ნიკოსთან გამგზავნა, ნიკომ კი შუშაობაში ჩამაბა და საბაც იმან გამაცნო.

— უკაცრავად, თქვენი ძმა... რა გვარი ბძანდებით?

— გავლიანიძე.

— ჰო, ჰო! ვიცნობ თქვენ ძმას, ვიცნობ.

გალაქტიონი მართლაც კარგად იცნობდა ვანო გავლიანიძეს, მაგრამ ეხლა მისი სახე ვერ მოეგონებინა, გვარი კი ახსოვდა. ასე რომ, როცა ამბობდა „ვიცნობ, ვიცნობო“, ეს მართლიც იყო და ტყუილიც.

— როგორ ჩავარდა თქვენი ძმა, რაზე დაიჭირეს?—შეეკითხა გალაქტიონი.

— ღმერთმა რომ არ იცის ბალშევიკების გზა-კვალი! რას გეიგებ მაგათსას? დეიჭირეს, როგორც სხვა მრავალი.

— ახლაც ზის?

— კი!

— მერე რას უპირებენ?

— გადასახლებას. მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან. სანამ იმას გადაასახლებდენ, მგონი თვით გადასახლდენ ეგენი.

— რას ამბობს საბა?

— ამბობს, რომ ევროპა უსათუოდ ჩაერევა ჩვენ საქმეშიო. საბა კი ამოიყრის მაგათ ჯავრს! ოჰ, რა ორგანიზატორია! ერთი ხუთიოდე უნდა იყვეს შაგისთანა, რომ მალე დაითვალოს მაგათი დღეები და მალე განთავისუფლდეს საქართველო მაგათ ხელიდან.—უკანასკნელი სიტყვები ხაზგასმით სთქვა და ამაყად გაიარა.

უკვე აღმართს შეუდგენ. მერე ვიწრო ქუჩით ფილაქანს გაპყვენ, და ჭიშკრიან პატარა ეზოში შევიდენ. იქვე კიბის ძირში აივანს გაპყენ, ფანჯრიანი კარები შეაღეს და ოთახში შევიდნენ. გძელ ტახტზე მჯდარი დედაკაცი წამოდგა და ქეთოს უთხრა მეორე ოთახში გასულიყო და სტუმარიც [illegible] გაეგზავნა, რადგან საბა იმ ოთახში ისაოფებოდა.

* * *

ოთახში რომ შევიდა, გალაქტიონმა პატარა მაგიდის გარშემო მსხდარი სამი პირი შეამჩნია. სამივეს ხელში სათამაშო ქაღალდი ეჭირათ და ჩაშტერებით დაცქეროდენ. ერთ მათგანში მაშინვე იცნო შავ წვერ-ულვაშიანი გაგუნგლული საბა, ხოლო ორი დანარჩენი—ქალი და ვაჟი—ვერ იცნო. განცვიფრებული სახტად შეჩერდა კართან, მაგრამ თავში მყისვე გაუელვა იმ აზრმა, რომ საბა მთელი დღეობით ოთახიდან არსად გადიოდა და ამიტომ მოსაწყენ გძელ დღეებს ხანდახან ალბათ ქაღალდის თამაშით ჰკლავსო. მაგრამ მისმა განცვიფრებამ უფრო იმატა, როცა მისი თვალები საბას თვალებს შეხვდა. მას ეგონა, რომ ის მაშინვე მიატოვებდა ქაღალდის თამაშს და მას დაუწყებდა საუბარს, იმან კი ქაღალდის თამაში კვლავ განაგრძო, ერთი კი გაულიმა გალაქტიონს, ოთხი კბილების რიგი ჩამოფენილ ულვაშების ქვეშ გააელვარა,—მოიცა პატარა ხანსო—უთხრა და ერთი ქაღალდი ჯერ მაღლა ასწია და მერე მაგიდაზე დაახალა, თრთოლვით შეხედა მოწინააღმდეგეს, უნდოდა მის სახეზე გაეგო—გასჭრიდა ქაღალდს თუ არა. თან მისძახებდა—„აბა, თუ ქალი ხარ, აბა გასჭერი!..“ ჰაზარტში შესული ბალნით გაბურძგვნილ სახის ქვეშ თაგვის სოროსავით სილრმეში ჩამძვრალ თვალებს გამალებით აცქრიალებდა. ხან მაგიდაზე დაგდებულ ქაღალდს დაჰხედავდა, ხან მოწინააღმდეგის სახეს შეხედავდა.

მთელი სახე წვეტიანი ცხვირის წვრილი ნესტოებით უთრთოდა და ერთ წერტილზე იყო მიშტერებული. ეს სახე ჟინიანი, ვნებიანი და უკმეხი იყო. ფანატიკოსის გამომეტყველების ვიწრო შუბლის ძირში ორი წარბი ჰქონდა გაერთიანებული და ამ ალაგს ორი ვიწრო ხაზი, პატარა ღარივით ცხვირის ზედა ნაწილთან თვალის უპეებს უერთდებოდა. მთელი სხეულით კანკალებდა, თრთოდა. თავდავიწყებული, მხოლოდ ერთი ჟინით იყო გატაცებული,—მისი ქაღალდი არ გაეჭრათ. რწმენა ქჰონდა, რომ ასეც იქნებოდა, რომ მოწინააღმდეგეს დაამარცხებდა და ამიტომ ულვაშის ძირში დამცინავი, გამარჯვებულის ღიმი უკრთოდა.

მაგრამ უცბად სახე მოეღუშა: მოწინააღმდეგემ მისი ნასროლი ქაღალდი გასჭრა. მოულოდნელობისგან ტუჩები გაუფითრდა. ერთ წუთს გაშტერებული შეჩერდა.

— არა, შენ ეს ქაღალდი არ უნდა გქონოდა! ეს ქაღალდი გასული იყო.—ლაჟინებით წამოიძახა სახტად დარჩენილმა.

— არა, ამხანაგო საბა, როგორ შეიძლება, როგორ გეკადრებათ!—მოწიწებით ეუბნებოდა მოწინააღმდეგე ქალიშვილი.

— არა, ეს უსათუოდ ასე იყო!—სთქვა საბამ და ქაღალდები აურია.

აღელვებული, გაფითრებული საბა წამოდგა და ოთახში იწყო სიარული. ისევ მაგიდისკენ მიბრუნდა მაგიდაზე დაბნეული სათამაშო ქაღალდი ხელში აიღო და რაღაც წაიბურტყუნა. გალაქტიონი განცვიფრებით შეაცქერდა მას. ასეთმა მისმა აღელვებამ წვრილმანის გამო გააოცა იგი. [illegible] [illegible]და საბას წინ შეჩერდა. ისიც ეხლაღა გამოერკვა აღელვებისგან — [illegible] გალაქტიონს რომ შეხედა, გაიღიმა.

— კარგი, ეხლა დავანებოთ ამას თავი.—მიუბრუნდა მაგიდაზე მსხდართ. ისინიც წამოდგენ და გავიდნენ. ოთახში მარტო საბა და გალაქტიონი დარჩა.

— სხვა, გალაქტიონ?—მხარზე ხელი დაარტყა, იქვე მდგარ ტახტზე უჩვენა, რომ დამჯდარიყო, თითონ კი სიარული განაგრძო.

ეხლა, ასე უცბად იმ საქმეზე ლაპარაკის დაწყება, რისთვისაც გალაქტიონი იყო მოსული, თითქო უხერხულებას იწვევდა. ორივე სდუმდა.

გალაქტიონს აგონდებოდა საბასთან უკანასკნელი შეხვედრა. ეს იყო სასახლის დიდ დარბაზში. დამფუძნებელ კრების სხდომა უნდა დაწყებულიყო და მის გახსნამდე კი მათი ფრაქციის სხდომა უნდა შემდგარიყო. ამის მოლოდინში დიდ დერეფანში ჯგუფ-ჯგუფად შექუჩული წევრები გაცხარებით ეკამათებოდენ ერთმანეთს, ცხარობდენ, იგინებოდენ და ილანძღებოდენ. ამ დღეს ნაციონალ-დემოკრატებს სხდომაზე შემოჰქონდათ შეკითხვა, რომელიც მათს პარტიას ბრალს სდებდა, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას, რომ პარტია ხელმძღვანელობდა პარტიული მოსაზრებით, მისი დადგენილებებით და სახელმწიფოებრივ საქმეებს მხოლოდ ამ განხრით აწარმოებდა.

ჯგუფებში ბევრი იცავდა იმ აზრს, რომ ნაციონალ-დემოკრატების მითითება სამართლიანი იყო, რომ პარტია სარგებლობდა რა ხმის უმრავლესობით, მართლა მარტო განაგებდა სახელმწიფოებრივ აპარატს და ამიტომ ამას ბოლო უნდა მოღებოდა. მეორე მხარე იცავდა პარტიულობას და მის ხაზს. ესენი უმთავრესად მმართველ წრეებთან ახლო მდგარი პირები იყვენ და, ზურგ-გამაგრებულნი, უფრო ლაღად და გაბედულად მსჯელობდენ.

რაც შეეხებოდა წმიდა ეროვნულ საკითხს, აქ უკვე არევ-დარევა სუფევდა. საერთოდ პარტიას ეს კითხვა არ ჰქონდა გარკვეულად გადაწყვეტილი და იგი თვით-მიმდინარეობას მიჰყვებოდა ე. ი. იმას, რასაც ცხოვრება უკარნახებდა, ამიტომ ეს საკითხი ყურით მიათრევდა პარტიას. ამის გამო კამათიც დაბნეული იყო და ყოველ პრინციპიალობას მოკლებული.

კამათის, შეხლა-შემოხლა და წაჯექ-უკუჯექობაში გადიოდა დრო. პარტიულების მხარეზე მდგარი საბა ჯგუფის შუაში ჩამდგარიყო და ყველას ყურადღებას იქცევდა თავისი აღელვებული, მაღალი, ყვირილში გადასული ხმით. სხდომის დრო ახლოვდებოდა და ჯერ კიდევ ფრაქციული კრებაც არ იყო გახსნილი. „ნულარ ვაგვიანებთ კაცო, რატომ არ ხსნიან კრებას?.“—გაიძახდენ ზოგიერთები. „ჯერ ქვორუმი არ არის, არ მოსულან ამხანაგები...“—უპასუხებდენ მეორენი. ერთი განზე გამდგარიყო, თითი გაეშვირა და შეჯგუფულებს სთვლიდა.—„არ არის ქვორუმი, არა!“—ადასტურებდა ისიც. „რამდენი გვაკლია?“ რამდენი!—ეკითხებოდა ერთი, მაგრამ პასუხს არვინ აძლევდა. „სხვა

ფრაქციებმა კრება უკვე გაათავეს და ახლა დიდ დარბაზში იცდიან...“ „დაიცადონ, იმათი დედაცა!..

ზანტად იკრიბებოდენ წევრები. ბოლოს ქვორუმიც შესრულდა, ზარის ხმა გაისმა, მოკამათეებმა კამათს თავი ანებეს და კარებისკენ გაიწიეს. გალაქტიონიც შეირხა. ეხლა-ღა მოაგონდა აქ მოსვლის მიზეზი და კარებისკენ მიმავალ საბას რომ მოჰკრა თვალი მისკენ გაექანა, მკლავში ხელი მოჰკიდა, შეაჩერა და უთხრა:

— „იცი რა უნდა გითხრა, საბა?“—

— „აბა, მითხარი, რაშია საქმე?“

— „საქმე იმაშია, რომ ჩვენს დაწესებულებაში ჩვენი უფროსი,—ხომ იცი ვინც არის!—ბეც პოლიტიკას აწარმოებს და ამას ბოლო უნდა მოეღოს“.

— „კი, კი! ვიცი! ამის შესახებ მე ხშირად მილაპარაკნია უშენოდაც და კარგი იქნება შენც მოხვიდოდე დაადასტურებდე“.

— „არა, ამ ბოლო დროს მეტის-მეტია, ხომ იცი!..“

და გალაქტიონი მოუყვა თუ როგორი რუსიფიკატორული პოლიტიკა გძელდებოდა დაწესებულებაში, როგორ ჰყავდათ დაჭერილი ხელში უცხო ელემენტებს უფროსი და სხვა.

— „კარგი, კარგი! ზომები იქნება მიღებული.—დაჰპირდა მაშინ საბა გალაკტიონს, მაგრამ... ეს იყო მასთან უკანასკნელი ლაპარაკი. მალე გასაბჭოება მოხდა და აღარც შეხვედრიან მას აქეთ ერთმანეთს.“

ეხლა კი, როცა სასახლის დარბაზის მაგიერ პატარა და ბნელ ოთახში შეხვდენ ერთმანეთს სულ სხვა პირობებში, სულ სხვა გარემოებაში, თითქო ერთმანეთისა სცხვენოდათ, ეკრძალებოდათ.

საბას მწუხრი სახე ჰქონდა. ეს სახე თანდათან მოიღუმა. თაგვის ცქრიალა თვალებით გალაქტიონს შეხედა. მის წინ შეჩერდა და უთხრა:

— მაშ ასე, გალაქტიონ, გინდა მუშაობა დაიწყო?

— ჰო, ნიკომ გაცნობა ალბათ. ხოლო რაში უნდა გამოიხატოს ახლა ჩვენი მუშაობა, ჯერ არ ვიცი.

ეხლა სავსებით შეიცვალა საბა და გალაქტიონს ახალი მუშაობის შესახებ დაუწყო ლაპარაკი. მისი ლაპარაკიდან ირკვეოდა, რომ საზღვარგარეთ უკვე შემდგარია რაღაც ბიურო და რომ ამის მსგავსად აქაც დაარსებულია კომიტეტი, რომლის მიზანია საზღვარგარეთს მიაწოდოს ცნობები ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლების შესახებ. ამისათვის პროვინციაშიც შექმნილია კომიტეტები, რომელნიც თავის მხრივ ცნობებს უგზავნიან ტფილისის კომიტეტს საზღვარგარეთ გადასაგზავნად. უმთავრესი მუშაობა კი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს კომიტეტები მზად უნდა ყოფილიყვნენ რათა ხელი შეეშალნათ საბჭოთა ხელისუფლების ყოველ მოქმედებისა და მის ახალ წამოწყებისთვის. ამ მიზნით მათ უნდა ააფეთქონ ხიდები, დაანგრიონ გზები, დაამსხვრიონ მატარებლები და ყოველ მხრივ ხელი შეუშალონ მოძრაობას და მიმოსვლას. უნდა მოაწყონ გამოსვლები, რომ საზღვარგარეთ წავიდეს ცნობები საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლით გამოწვეულ უკმაყოფილებასა და აჯანყებების შესახებ, რომ ამით შესაძლებლობა მიეცეთ მათ ჩაერიონ საქართველოს განთავისუფ-

ლების საქმეში. დავალებაა ყველგან გამოტანილ იქნას საპროტესტო რეზოლიუციები და ამნაირად უნდა ვეცადოთ ევროპის ყურადღება ყოველ წუთს ჩვენსკენ იყოს მოპყრობილი.

საბა ლაპარაკობდა ფანატიკური, დამაჯერებელი ხმით და ბრძენ-ნით. საფეთქელთან ძარღვი გამალებით უცემდა და გაერთწერტილებული შესცქეროდა გალაქტიონს.

— ახლა უნდა იცოდე რა მდგომარეობაა პროვინციაში.—განაგრძობდა გატაცებით საბა.—მუდამ მზად არის, თუგინდ შეიარაღებული აჯანყეფისთვის მოუწოდე, მაშინვე გამოვა იარაღით. დელეგატები მოდიან, მოქმედებას მოითხოვენ, ველარ ითმენენ... ჩვენთვის კი საჭიროა ხელსაყრელ მომენტს მოუცადოთ როცა ევროპის სახელმწიფოებში შეიქმნება შესაფერი განწყობილება...

გალაქტიონი თვალებ-გაფართოებული და პირდაღებული შესცქეროდა საბას, როგორც ბურანში მყოფი, და ნათლად ვერ გაერკვია ყველაფერი, რაზედაც საბა ლაპარაკობდა. კონკრეტულად ვერ მიმხვდარიყო პირადათ მას რა უნდა გაეკეთებინა. საბა კი განაგრძობდა:

— ეხლა ჩვენ ოცდაექვსი მაისისთვის ვემზადებით. ამ დღისთვის შემუშავებული იქნება განსაკუთრებული გეგმა მოქმედებისა სოფლად და ისე ქალაქშიც. გამოსვლები უსათუოდ უნდა მოხდეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ასეთია ამოცანა...

კიდევ დიდხანს ილაპარაკა საბამ მდგომარეობის შესახებ. ახალი შთაბეჭდილებებით გაბრუებული გალაქტიონი შეჰპირდა მუშაობა დაიწყოს და კავშირი იქონიოს მასთან ნიკოს შემწეობით, მერე გამოემშვიდობა და მძიმე ფეხებით გავიდა ქუჩაში.

* * *

მას შემდეგ რაც ლევანმა დაწესებულებაში სამსახურს თავი დაანება და პარტიული მუშაობა დაიწყო, ყოველდღე დამძიმებული, მოთენთილი, დაღლილი და დაქანცული ბრუნდებოდა ოჯახში. დასვენებისათვის დრო აღარ რჩებოდა. შინაც სამუშაო მოჰქონდა. მთლიანად მუშაობაში ჩაეფლო და ყოველდღიური ოჯახური საქმისთვის აღარ სცალოდა. გაერთწერტილებული მისდევდა დაკისრებულ საქმეს და გარეშე ამისა მისთვის არაფერი ფიქრი და აზრი აღარ არსებობდა.

ამ დილას რომ გამოეღვიძა, მაშინაც პირველი აზრი, რომელიც გამოფხიზლებულ გონებაში ამოძრავდა—იყო რაიონულ კომიტეტის სხდომაზე აგიტ-პროპის მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენების დამზადება. კითხვა შეეხებოდა რაიონში აგიტ-პუნქტების და კლუბების მოწყობას. ეს მუშაობა ძალიან სუსტად მიმდინარეობდა მუშაკების ნაკლებობისა და აგრეთვე ამ საქმის უკეგმოდ დაწყებისა და არეულ-დარეულ წარმოების გამო.

ამ კითხვის გარშემო მუშაობა ლევანს წინადაც უყვარდა და ეხლაც გატაცებით მისდევდა. მის სათანადო მოწყობისთვის ბევრი უფიქრია, მაგრამ სულ სხვა იყო ამ კითხვაზე თეორიული ფიქრი, მოსაზრება გეგმის შედგენა და სულ სხვა იყო მისი პრაქტიკულად განხორციელება. ის წარმტაცი ელფერი, ის აღმაფრენა და ამღერება, რაც ფიქრის დროს ამ საქმეს თან სდევდა, პრაქტიკულ განხორციელებისას ქუცმაცდებოდა, ფუქსავატდებოდა და დიდი ენერგია და

მუშაობა იყო საჭირო, რათა გადაგელახა ის წვრილმანი დაბრკოლებანი, რაც ამ წამოწყებას თან ახლადა, რომ განსაზღვრულ მიზნისთვის მიგეხწია.

უმთავრესი დაბრკოლება, რაც მუშაობის დროს თავს იჩენდა ხოლმე, ძალების სიმცირე იყო, განსაკუთრებით ქართულ სექტორში. [illegible] მუდამ კამათი და ამხანაგებთან გამწვავებული ლაპარაკი იჩენდა [illegible] ხშირად პირად შეურაცყოფამდე მიდიოდა. მაგრამ ბოლშევიკური დაჟინებული ნებისყოფა მოითხოვდა ამ მუშაობის წინ წაწევას და ლევანიც ინტენსიურად ფიქრობდა მასზე.

საბანი გაისწორა, გაიზმორა და აზრების მოსაკრეფად ოთახის კუნჭულში ერთ წერტილს მიაცქერდა. მისი ცოლი უკვე ამდგარიყო, ადუღებული სამოვარი მაგიდაზე დაედგა და ეხლა ჭიქებს ჭრეცხავდა. მეორე ოთახში ბავშვებს ჯერ კიდევ ეძინათ. გარშემო მყუდროება სუფევდა. მხოლოდ ჩაის ჭურჭლის წკარუნი გაისმოდა და სამოვარის ორთქლი ფანჯრის მინებს ცარცის სითხედ ეფინებოდა. მუდამ გამრჯელი მისი ცოლი ეხლაც თავის შვილზე ჰფიქრობდა და თან ჩაის სუფრას შლიდა.

ლევანს აღარ დაუყოვნებია. თითქო ეშინოდა, რომ მოკრებილი აზრები, გონების ერთ კუთხეში რომ დაემწყვდია, არ დაჰფანტოდა—ეშურებოდა მალე პირი დაებანა, ჩაი დაელია და მოფიქრებული ქაღალდზე გადაეტანა. სწრაფად ჩაიცვა. პირი დაიბანა და ჩაის დასალევად მიუჯდა მაგიდას.

— აბა ნინა ჩქარა დამისხი ჩაი, მალე უნდა დავლიო, სამეცადინო მაქვს. მიმართა ცოლს.

— მე კი არ ვიცი! თუ სახლში ხარ, სამეცადინო გაქვს, თუ გარეთ ხარ, მაშინ ხომ უფრო ვერ მოიცლი ოჯახისთვის და ასე მუდამ!—ლბილი საყვედურის კილოზე სთქვა ცოლმა. ჩაის ჭიქა გაავსო და წინ დაუდგა. ყველი და პური მისკენ მისწია და თვითონ პირდაპირ დაჯდა.

ორივე ფიქრს მიეცა. ლევანი ჩაის სვამდა და თან გონების თვალით ახედავდა გრძელი მაგიდის გარშემო მსხდარ ამხანაგებს, გაფართოებული თვალებით რომ უმზერდენ მას და მის აზრებს ნახევ ქაღალდებზე იწერდენ, ის კი გატაცებით ამტკიცებდა თავის დებულებას და დაჟინებით მოითხოვდა ნააზრევის ცხოვრებაში გატარებას, ამხანაგებიც ეთანხმებოდენ და ტაშს უკრავდენ.

— ჰნახე ის კაცი?—უცბად შეეკითხა ცოლი და ლევანი ფიქრებიდან გამოიყვანა. ლევანი ვერ მიხვდა ვისზე ეკითხებოდა და ერთ ხანად განცვიფრებული თვალებით შესცქეროდა. მერე კი უცბად გაერკვა და უპასუხა;

— ვერა ვნახე.

— ვერ ნახე! მე კი არ ვიცი! რატომ ვერ ნახე მერე?

— იმიტომ რომ დრო არა გაქვს.

— დროც რომ გქონდეს, მაინც არაფერს ეტყვი, არ ვიცი შენი ხასიათი?

— რატომ არ ვეტყვი, ქალო, რატომ! რათ იცი ეგრეთი ლაპარაკი?

— იმიტომ, რომ შენ მუდამ ასე იცი ოჯახზე სულ არ ჰფიქრობ.

— ვინ, მე არ ვფიქრობ ოჯახზე? უნდა გრცხვენოდეს მაგას რომ ამბობ! ენა როგორ გიბრუნდება მაგის სათქმელად?

— შენ რომ ოჯახზე ფიქრობდე, მაშინ ასე არ გვექნებოდა საქმე.

— კარგი ეგრე იყოს, ოღონდ ეხლა თავი დამანებე.—ნერვიულად სთქვა. დაცლილი ჭიქა ხმაურით დასდო ლამბაქზე.

— მერე, როგორ გინდა? არ გინდა იმ გოგომ პიანინოზე, დაკვრა ისწავლოს თუ?

— მერე?

მერე, ის, რომ ამაზე უნდა იზრუნო, უნდა ნახო ის კაცი, ვინც პიანინოს მოგიხერხებს!

— ეხლა თავი დამანებე, მაგის დრო არ არის, დასაწერი მაქვს.

ლევანი წამოდგა და საწოლ ოთახში საწერ მაგიდას მიუჯდა. ქაღალდი გაშალა, კალამი ხელში მოიმარჯვა და ჩაფიქრდა. მაგრამ დალაგებული, მოგროვილი აზრები ეხლა სადღაც მიიკრუნჩხნენ და არც ერთი არ ჩამოყალიბდა ფრაზაში, რომ კალამი გაქანებულიყო და უკვე მოფიქრებული ქაღალდზე აღნიშნულიყო. დილას კი, სანამ ლოგინიდან ადგებოდა, დაჟინებული სიმწვავით მოსდევდა ერთი აზრი მეორეს და ერთმანეთში ირეოდა, როგორც ქარისგან არეული კორიანტელი.

მისი ცოლი მეორე ოთახში ჩაის ჭურჭელს სწმენდავდა და თან ბუტბუტებდა: „ბატონო, ამას არ ნახავს, იმას არაფერს ეტყვის და რანაირად უნდა ცხოვრება, არ ვიცი! რომ არ შეეძლოს, კიდევ ვერაფერს იტყოდა კაცი, მაგრამ რომ შეუძლია?!

ლევანი ცდილობდა ცოლის ლაპარაკისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგიდაზე იდაყვებ დაყრდნობილი ხელის გულში სდებდა ფართე შუბლს და გაერთწერტილებული ცდილობდა წერა დაეწყო. მაგრამ თავში არაფერი აზრი არ მოსდიოდა.

სწორედ ეგრე არ იქცევიან სხვებიც! რასაკვირველია ვერ არიან გამოჭიმული საუკეთესო ბინებში! სწორედ შენსავით საწოლ ოთახში აქვთ კაბინეტი! პიანინო მათ არ აკლიათ და როიალები. ფეხით არც კი გაივლიან, სულ ავტომობილებით დადიან! კარგს სვამენ და კარგს სჭამენ. მარტო მუშაობა კი არაა საკმარისი. მაგას ფასი არ აქვს, საქმე მოხერხებაა, თორემ შენ შრომას არავინ დააფასებს!—ბუტბუტებდა მისი ცოლი.

— კარგი ეხლა ადამიანო, მომასვენე! ხომ ხედავ საწერი მაქვს.—გასძახა ნერვიულად ლევანმა.

— მომასვენე! კაი შენმა მზემ! მე კი მოსვენებული ვარ? ამ ბავშვებს პატრონობა უნდა და შენ კი არ ჰფიქრობ ამაზე. ვითომ რა იქნება რომ ერთი პიანინო ჩვენც გვქონდეს!

— რამდენჯერმე გითხარი, გექნება მეთქი!

— ეგრე მესმის მე ჩემი დღენი და სიცოცხლე და ჯერ კი არაფერი გვაქვს.

— ოღონდ მოისვენე და დღესვე წავალ და საწყობიდან გამოგიტან თვიური გადასახადით.

— თვიური გადასახადით, მე კი არ ვიცი! შენ ისე მოახერხე როგორც სხვები ახერხებენ.

— ნინა, მე შენთვის რამდენჯერ მითქვამს მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებე მეთქი! მე არ ვიცი სხვები როგორ ახერხებენ და არც მინდა ვიცოდე, გაიგე?

— დიალ ბატონო, გავიგე! მაგრამ შენც გაიგე და შეიტყვე, რომ თუ შენი საქმე გაწუხებს, ჩვენც ჩვენი ოჯახის მოვალეობა გვაწევს კისერზე!

— მერე?—თანდათან ღელდებოდა ლევინი.

— მერე ის რომ—ჩვენი ბავშვეში ვისზე ნაკლები არიან? მე, იცი, რომ შენ შეგიძლია!

— რა შემიძლია ქალო, რა! თავს არ დამანებებ? ხომ ხედავ საწერი მაქვს!— ლევანი უცბად წამოდგა ფეხზე, კალამი კედელს მიახეთქა და ოთახში დაიწყო ჩქარი სიარული.

ნინამ რომ ეს დაინახა, გაჩუმდა, გაინაბა და მაგიდას ალაგება იწყო. იცოდა რომ ყოველი სიტყვა ეხლა ქმარს განრისხებამდე მიიყვანდა. ამიტომ სდუმდა, აღარაფერს ამბობდა. ლევანი კი გაცხარებული იარებოდა ოთახში და ილანძღებოდა. დაწყნარებული ნინა, თითქო საწადელს მიაღწიაო, დინჯად ვითომ არაფერი მომხდარიყვეს—ჭურჭელს ალაგებდა.

ლევანმა კიდევ დიდ ხანს იარა ოთახში. მერე თითქო დაწყნარდაო, თითქო აზრები მოიკრიბაო, ისევ მაგიდას მიუჯდა. მას უნდოდა მოხსენება უსათუოდ დაეწერა და ამიტომ ისევ კალამი აიღო ხელში. სუფთა ქაღალდზე ჯერ ხაზები გაუსვა, მერე რაღაც უჯრედები დახატა, ჩიტები გაამწკრივა, მაგრამ გონება მაინც არ მშვიდდებოდა და საჭირო აზრები თავში არ მოდიოდა. აგიტპუნქტის მაგიერ ცოლის ნასროლი სიტყვები ტვინში პალოსავით გარჭობილიყვნენ და ვერ მოეშორებინა. კიდევ დიდხანს იწვალა რომ დაეწერა რამე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. წამოდგა და ცოლს მიახალა.—

— აჰა! აი მოისვენე ახლა! საწერი მქონდა, სანამ არ ამიბნიე თავგზა, არ მომეშვი და ეხლა რაც გინდა ის ჰქენი! კმაყოფილი ხარ?

დარცხვენილი ნინა არაფერს ამბობდა, ქმრის ნალაპარაკევს თითქო ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ სამაგიეროდ ეხლა ლევანი არ ჩერდებოდა.

— ხომ იცი შენი ქმარი რა ხასიათისაც არის! ასეთია, რას იზამ!

— შენ ხელში მართლა ასეც რომ ვცხოვრობთ ისიც კარგია!—ველარ მოითმინა ნინამ და სიტყვა შეუბრუნა.

— როგორ თუ ასე სცხოვრობ, განა ცუდათ ცხოვრობ? რაშია საქმე?— აენთო ლევანი და ცოლის წინ შეჩერდა ბოძივით.

— ძალიან გაგიკვირდეს! რა იყო! სხვებიც ასე არ სცხოვრობენ შენსავითა! სწორედ ამდენს მუშაობენ, როგორც შენ და სამსახურშიც ფეხით დაიარებიან!

— მაშ, როგორ!

— როგორ და შენც კარგად იცი, რომ ყველას ავტომობილი ჰყავს, შენ კი! განა შენ არ შეგიძლია რომ გყავდეს? მაგრამ უშნო ხარ, უშნო!

ნინას, ეგონა ქმარი დაცხრებოდა, მაგრამ ის უფრო ღელავდა, ოთახში ჩქარი ნაბიჯით იარებოდა და ბუტბუტებდა.

— თუ არ მოგწონს ჩემი უშნო თავი, ძალას არავინ გატანს, შეგიძლიათ მიბძანდეთ! ეს ძალიან ადვილი საქმეა! მე კი ჩემი გზა მაქვს და ისე ვივლი, როგორც მე მინდა!

პორტფელს და ქაღალდებს ხელი წამოავლო, ქუდი დაიხურა და კიბეზე დაეშვა.

ამას არ მოელოდა ნინა, როცა ლევანმა კარი გააბრახუნა და გავიდა. ნინა გაფითრდა, კარებისკენ მიაშურა, გამოაღო. უნდოდა დაეძახა, ან გამოსდგომოდა, მაგრამ თავი შეიკავა. დიდხანს იდგა კართან გაბრუებული და არ იცოდა სახტად დარჩენილს რა ექნა. მერმე თავი გაიქნია და ბავშვების ოთახში შევიდა.

* *
*

ლევანმა კიბე ჩაირბინა, ქუჩაზე გავიდა და სული მოითქვა. თავზე ხელი გადისვა, აზრები მოიკრიბა. ფილაქანს გაჰყვა. მიდიოდა ისე, როგორც მიდის უმიზეზოდ შეურაცყოფილი ადამიანი, სხეულში რომ სისხლი უდუღს მაჭარივით და თავი დამძიმებულია ტყვიასავით. „მერმე რატომ, რისთვის? სულ ასე? მუდამ“?—და მოაგონდა წარსული ცხოვრების ისეთი სურათები, როცა ოჯახს საჭირო ნივთები აკლდა ხოლმე და არ იყო საკმაო სასმელ-საჭმელი. მაშინაც ასე იყო! დუხჭირ ცხოვრების პირობებთან და სიღარიბესთან ბრძოლას მიჰქოდა საუკეთესო დრო. არ ახსოვს კმაყოფილი ცხოვრება. მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა და გატაცებული ნახევრად არალეგალურ ცხოვრებას ეწოდა, როცა დავიწყებული ჰქონდა ყველაფერი გარდა რევოლუციონურ მოძრაობისა,—შინ ბრუნდებოდა თუ არა, მის წინ ოჯახის მოუწყობლობის საკითხი წამოიჭრებოდა მთელი სიგრძე-სიგანით. არ იყო ტახტი, სკამები, საკმარისი ჭურჭელი, ფეხსაცმელი და ტანისამოსი. ცოლის მომდურავი სახე მაშინაც მოსვენებას არ აძლევდა და გულს სტკენდა მისი საყვედურით სავსე კილო. მუდამ ბნელსა და ნესტიან ოთახებში ცხოვრება და ლუკმა პურის საშოვნელად გაკვეთილებზე სიარული—გულს უწყლულებდა. ცხოვრების წვრილმანი მხარეები ახჩობდა მის ენერგიას და სამუშაოდ გამზადებული გული, აღგზნებული და გასწრაფებული, ნელდებოდა, იფერფლებოდა. კი, მაგრამ მაშინაც ასე იყო და ეხლაც ასე უნდა იყოს? მუდამ ასე?!... წარსულში კიდევ ამას თან სდევდა—დევნა, ჩხრეკა, გადასახლება, კატორღა მშობლების, ნათესავების და მეგობრების დაშორება. შეხუთული ცხოვრება, გრძელი ღამეები და რეაქციის სუსხიანი დღეები.

გული მოეკუმშა. ტკივილები იგრძნო. მაგრამ წარსულ ცხოვრებას თავის კარგი მხარეც ჰქონდა, მზიანი და თბილი დღეები! მაშინ იყო ბრძოლა, გატაცება, იმედი, სიყვარული, აფრთოვანება, ამხანაგობა და მეგობრობა. იყო სიცილიც, მხიარული სახეც აღგზნებული თვალები, გამარჯვების იმედი და უსაზღვრო რწმენა. ოჯახურ სიმწვავეს და გაჭირვებას ეხლანდელივით არ გრძნობდა. მძიმე დღეებს და სიხარულს, გამარჯვებას და დამარცხებას თანაბრად იტანდენ. ეხლა კი... ეხლა თითქო სიყვარული მიიჩქმალა, ოჯახში აღარ იყო ინტიმური და მყუდრო გუნება, აღარც ის აფთოვანება და გატაცება, ორივეს რომ თავდავიწყებამდე მიიყვანდა ხოლმე. მერმე რა მოხდა? რა შეიცვალა?

უამრავი კითხვები და გაქანებული ფიქრები, როგორც წყალვარდნილის მჩქეფარე წვეთები, დაჟინებით ირეოდა მის გონებაში. არეულ და შემჭიდროებულ მოსიარულეთა შორის სასახლის ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით გაიარა. ვერც

კი შეამჩნია როგორ გაუსწორდა სასახლეს. უცბად თავი მაღლა ასწია. მოკირწყლულ მოედანზე გასრიალებულ ავტომობილს მოჰკრა თვალი. იგი შესავალ კართან შეჩერდა, როცა შიგ მჯდომი წამოდგა, ლევანმა იცნო თავის ამხანაგი, რომელსაც პორტფელი ჰქონდა იღლიაში. ის შესავალ კარში შეიყვანა და კიბეს შეუდგა.

წარსულის მოგონებიდან ისე ამოძვრა, როგორც მაღაროდან მზის სხივებზე ამოსული მუშა. მხრებიდან მძიმე უღელი მოიშორა, ამოისუნთქა. სიხარულისაგან ერთ ადგილს იწყო ტოკვა, უცნაურად დაიწყო აქეთ იქით მზერა. ტკბილი სითხე. კუნთებში რომ სცურავდა, ბავშვივით ამხიარულებდა. მიდიოდა მჩატე, მსუბუქი ნაბიჯით. შორს, რუსთველის თეატრის პირდაპირ, ახალგაზრდა კომკავშირლების რიგებს მოჰკრა თვალი. წითელი დროშა მზის სხივებზე ლაპლაპებდა, ყმაწვილების ხმები კი სივრცეში გუგუნებდა. იქით გაეშურა. ხმებს აჰყვა, იწყო სიმღერა. თითქო ავადმყოფობის შემდეგ, ეხლა გამოვიდა სუფთა ჰაერზე—გამძაფრებით სცემდა გული. გაბრწყინვებული თვალებით ესალმებოდა კომკავშირელებს, მათ სიმღერას, ახმაურებულ ხალხს, ტრამვაის გუგუნს და ავტომობილების ხრიალს. კომკავშირელებთან ერთად ისიც გაიძახდა ურას და ვაშას, და რომ ეს ძახილი საბჭოთა საქალთველოს და მის კომუნისტურ პარტიას ეკუთნოდა, ეს მან კარგად იცოდა.

როცა კომკავშირელთა რიგები მის წინ ჩაივლის, აღგზნებული და მხიარული, ცეკას შენობაში შევა, კიბის საფეხურებს აირბენს. გრძელ დერეფანში ჯგუფად მდგომ ამხანაგებს მიუახლოვდება. მას უნდა ყველას მოეხვიოს, ერთმანეთს მიაჯახოს და შესძახოს, რომ ცხოვრება კარგია, რომ მომენტი დიდია, ბრძოლა წარმტაცია, რომ მეგობრებში და ამხანაგებში ყოფნა გამამხნევებელია, რომ აქ არის ნამდვილი აღმაფრენა, იქ კი, ოჯახში, იქ ყველაფერი წვრილმანია, წარმავალია და ამაო.

ამხანაგები შეამჩნევენ მის მხიარულ გუნებას, მთრთოლარე კუნთებს და ამბობენ:

— ალბათ გაზეთში რომ ამბავი ამოიკითხა ინგლისის მუშების საერთო გაფიცვის შესახებ, იმან თუ გადარია.

ეხლა-ღა გამოერკვევა და განცვიფრებული შეეკითხება:

— როგორ თუ გაფიცვა, რა გაფიცვა?

— ვაი, ვაი! ამას არც კი სცოდნია.—გარს შემოეხვევიან და სიცილს დააყრიან.

— გაზეთი არ წაგიკითხავს, კაცო? სად იყავი?

სად იყო! სად იყო და ოჯახში, მოხსენება უნდა დაეწერა, მაგრამ არ დასცალდა, მისი ყურადღება სულ სხვა საგანზე მიაპყრეს. დაჟინებით მოითხოვდენ მისგან პიანინოს, მას კი სულ სხვა ზრახვები ჰქონდა, გაზეთის წაკითხვისთვის ვერ მოიცალა.

მაღალ შუბლზე ჩამოცვენილ თმებს ხელი შეავლო. თითქო შერცხვა, რომ ასეთი ამბავი მოხდა და მას კი არაფერი სცოდნია.

— მითხარით, თუ ძმა ხარ, რაშია საქმე! გაზეთი ჯერ არ წამიკითხავს.

— რა და ინგლისის პროლეტარიატი დაიძრა, გამოცხადებულია საერთო გაფიცვა. ქუჩებში შეჯახებებია, პოლიცია ფეხზე დგას!

— რას ამბობ, მართლა?

— აი, ნახე, წაიკითხე გაზეთი. მე მგონი ინგლისში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭიმული ძარღვები ეხლა მოეშვა. ამხანაგების კამათს და მსჯელობას მიუგდო ყური.—„ალბათ ეხლა მეორე ინტერნაციონალი ამუშავდება თავის აპარატით და შეეცდებიან ამ გამოსვლების ჩაქრობას.“—ამბობდა ერთი,—„მეორე ინტერნაციონალი ვერაფერს იზამს, ძმაო, აქ საქმე მუშებშია!“ „კი, მაგრამ მისი მოღალატური პოლიტიკა დიდ როლს ითამაშებს და შეიძლება წააგონ მუშებმა“. „მერე ჩვენ რაღას ვაკეთებთ, ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ?“ „ჩვენი მხრის დაჭერა მხოლოდ მორალურად შეიძლება, სხვა ხომ არაფრით“!.. „ოხ! მაგათი დედა კი“! ცხარდებოდა კამათი შეჯგუფულ ამხანაგებში.

ჯგუფი ნელნელა დაიშალა. ლევანი კიდევ დიდ-ხანს იდგა მარტო. მერმე ერთმა გამვლელმა ამხანაგმა წაჰკრა მუჯლუგუნი და შეეკითხა:

— რას გაშტერებულხარ, კაცო, უცდი ვისმეს?

ეხლაღა მოაგონდა, რომ რაიონში უნდა წასულიყო, და კიბეზე დაეშვა.

* * *

მიდიოდა ფიქრებით მოცული. უეცრად მხიარული გუნება შეეცვალა, შუბლი დაიჩრდილა, გულს ბოღმა მოაწვა. წინადაც სწვევია მას იგი მოულოდნელად, მაგრამ ეხლა იგი სავსე იყო გესლით და ტკივილებით, მიზეზს ვერ მიმხვდარიყო. ჯერ ოჯახურ პირობებში ეძებდა. ან იქნება მოხსენების მოუმზადებლობა იყო მიზეზი? ან ინგლისის მუშების გამოსვლამ და მეორე ინტერნაციონალის ამ საქმეში ჩარევამ ხომ არ დააძმარა მისი გული?

მაღალი, ახოვანი ტანით მიარღვევდა ფილაქანზე მიმავალთა ზურგებს და პაპიროსის ბოლს გამალებით ჰფანტავდა ჰაერში. მერე რა მოხდა? რატომ სწუხს გული! რატომ თრთის სხეული! ან, მალე რაიონში მივა. რადგან მოხსენება მზად არა აქვს, ამ კითხვას დღის წესრიგიდან მოახსნევინებს და შემდეგ სხდომისთვის დაანიშნინებს. დღეს კი აქტიურ კითხვაზე—ინგლისის გაფიცვაზე ისაუბრებენ.

როცა გაფიცვაზე დაიწყო ფიქრი, თვალწინ დაეხატა უამრავი ქარხნები, რომელთა ღუმელები არ იყო გახურებული და მაღალი საკვამლეთა თავებიდან არ იფანტებოდა შავი კვამლი. ლონდონის ჰვარტლიან ქუჩებზე მუშები წითელი დროშებით დაიარებოდენ და საბჭოთა ხელისუფლებას მოითხოვდენ. აგერ ისინი პოლიციელთა ძლიერ რაზმს შეეტაკენ. გახურდა ბარიკადული ბრძოლა. მუშებმა გაიმარჯვეს. ქალაქის თვითმართველობა ხელში ჩაიგდეს და მუშათა და გლეხთა საბჭო დაარსეს. ეს ბრძოლები ეფინება მთელ ევროპას და მალე საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება.

უცბად ქუჩას გახედა და ქვევიდან მომავალი გალაქტიონი შენიშნა. მის დანახვაზე გული შეეკუმშა. მისი შეხვედრა არ ესიამოვნა. სახე მოეღუშა. წარ-

მოიდგინა გალაქტიონი მოწინააღმდეგე ბანაკში. ეს რომ გაიფიქრა, შეტორტმანდა, თითქო შეჩერდა. ერთმა აზრმა სისინით გაუელვა—ეს ხომ იმათი წარმომადგენელია, რომელნიც სცდილობენ ინგლისის მუშების გამოსვლის ჩახშობას! ლიალ, დიალ! თუ იქ მეორე ინტერნაციონალის ტაქტიკა [illegible], ესენი გაიხარებენ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გალაქტიონი პირდაპირ ლევანისკენ მოდიოდა. აცილება შეუძლებელი იყო. როცა უკვე ერთმანეთს გაუსწორდენ, ერთდროულად შეჩერდენ და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— გამარჯობა, გამარჯობა, ლევან, როგორ ხარ?—ეკითხებოდა გალაქტიონი.

ლევანმა შავ ულვაშებში ქვეიდან თეთრი კბილები გააელვარა და ღიმილით ააცალა თვალები. თითქო მოეხსნა ის ბოლმა და გაბოროტება, მის დანახვაზე რომ იგრძნო და ეხლა მეგობრულ შეხვედრასთან ერთად გაქრა ყველაფერი. მის წინ ისევ ის ძველი ამხანაგი იდგა, ძველი თანამებრძოლი, ძმასავით თანშეზრდილი გალაქტიონი. თითქო დანაშაულობაში დაიჭირესო, ბავშვის თვალებით უცქეროდა, თავისთავს უსაყვედურებდა და მონანიების ნიშნად მკლავზე ხელს ჰკიდებდა, ეალერსებოდა. ორი მახლობელი მეგობრული მიღიმარი თვალებით უმზერდა ერთმანეთს. გამვლელები გვერდით გაუვლიდენ, შეხედავდენ და კვლავ სიარულს განაგრძობდენ. გაზაფხულის მცხუნვარე მზე უკვე საკმარისად იკბინებოდა. ქუჩაში მტვრის ბული იდგა.

— კმაყოფილი ხარ ლევან პარტიული მუშაობით?—შეეკითხა გალაქტიონი.

— სამუშაო ბევრია. მხოლოდ შენ...—და უცბად მეგობრული გრძნობა ბოროტეულად შეიცვალა. პარტიულ მუშაობის გახსენებამ მოვალეობა მოაგონა, შეეშფოთა შუბლი, ბოლმა მოაწვა გულს და გაიფიქრა—„შენ კი რას აკეთებ? იქნებ ჩვენს წინააღმდეგ მუშაობ? რა აზრებით დაიარები ამ ქუჩებზე, ვინ იცის!“ ეს აღარ უთხრა, თავი შეიკავა და მკვახედ შეეკითხა:

— შენ აღარ მსახურობ მგონი, მაშ რას აკეთებ?

— ჯერ კიდევ ვმუშაობ, მაგრამ მგონი ამ დღეებში ჩვენს დაწესებულებას გააუქმებენ და მაშინ ან სადმე გადამიყვანენ, ან უმუშევარი დავრჩები.

— მერე?

ლევანმა თვალი გაუშტერა გალაქტიონს. ერთ წერტილში ჩააცქერდა, თითქო მისი პასუხი მისთვის გადამწყვეტ რამეს მოასწავებდა. აბნეული ფიქრებით შეჰყურებდა.

— მერე სხვაგან თუ ვერ მოვეწყობი, უსამსახუროთ დავრჩები. მეტი არაფერი!

გალაქტიონმაც იგრძნო კითხვის მნიშვნელობა. მიხვდა, რის თქმაც უნდოდა ლევანს. მოაგონდა მისი ამხანაგური დარიგება, რომ მენშევიკურ კონფერენციაზე მისულიყო და ეხლა, იმის მაგიერ რომ ლევანის რჩევის გზას დადგომოდა, ის საბასთან მივიდა და არალეგალურ მუშაობას დაჰპირდა. ამიტომ მისი ხმა აღარ იყო მტკიცე და ძირს დახრილი თვალებიც დამნაშავესავით გამოიცქირებოდა შუბლის ქვეიდან.

უეცრად ლევანმა მკლავში მოჰკიდა ხელი გალაქტიონს, თვალებში ჩაჰხედა და მტკიცე ხმით შეეკითხა:

— ერთი ეს მითხარი, წაიკითხე დღევანდელი გაზეთი?

— წავიკითხე.

— მერე?

— მერე რა?

— როგორ მოგწონს ინგლისის მუშების გამოსვლა? რას ჰფიქრობ?

— მე მგონი არაფერი გამოვა.

— შენ მაგრე გაგიგონია?

— ინგლისელი მუშები რუსის მუშები ნუ გგონია.

— ვითომ რა განსხვავებაა? მუშა მუშაა! გულისწყრომით უპასუხა ლევანმა.

— ეგრე რომ ყოფილიყო, ხომ იქაც მოხდებოდა კომუნისტური რევოლიუცია.

— შენ გგონია არ მოხდება?

— მე მგონია, არა.

— რატომ?

— რასაც მოითხოვენ, კიდეც მოიპოებენ და ასე გათავდება.

ლაპარაკის კილო თოთქო თანდათან ზევით მიიწევდა. ერთმანეთს თვალებში ველარ უცქეროდენ. ლევანს ქვედა ტუჩი უთრთოდა.

— შენ ძალიან ცუდი აზრისა ხარ მუშებზე. აბა ერთი იმათ ისეთი ბელადი ჰყავდეთ, როგორც ლენინი!

— ლენინი. ლენინი ინგლისში ჩემ ფეხებსაც ვერ გააკეთებდა!— სთქვა გალაქტიონმა და ენაზე იკბინა. მყისვე დადუმდა და ერთი ნაბიჯი უკან გადადგა. ლევანმა ჯერ კარგად ვერ გაიგო, ვერ მიხვდა ნათქვამს. მერე თვალები გადმოკარკლა და შეჰყვირა:

— რაო! რა სთქვი გალაქტიონ!?— წინ წაწევით, მაღლა აწეული მხრებით, გაფართოებული თვალებით დააცქერდა მის სახეს.

— რაც ვთქვი ვთქვი!— დაშვებული ხმით სთქვა გალაქტიონმა და გაფითრებული სახით ერთი ნაბიჯი უკან გადადგა.

— შენ მგონი თავი აგიგლეჯია და საჭიროა მოგაგონო, რო...— თანდათან ღელვას უმატებდა ლევანი, თავს ველარ იკავებდა. გალაქტიონის შეშინებული მხდალი სახე მას უარესად აღელვებდა, ათრთოლებდა. მკლავზე ხელს ჰკიდებდა და ანჯღრევდა.

— ჰო, ვთქვი! მართალი ვთქვი!— ჯიუტობდა გალაქტიონიც, თან კი უკან იხევდა, ლევანს შესცქეროდა და უკვირდა მისი გაბოროტებული თვალები, მთრთოლვარე ტუჩები და აცახცახებული სხეული.

— მაშ შენსას არ იშლი?— კიდევ შესძახა ლევანმა და თან ისეთი მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდში, რომ გალაქტიონი შეტორტმანდა და ძლივს შეჩერდა

— რას შვრები ლევან! გონს მოდი!— მიაყვირა გალაქტიონმა.

მაგრამ ლევანი გონს ველარ მოდიოდა. გააფთრებული და თავდავიწყებული უტევდა, უყვიროდა.

— რა სთქვი, რა! როგორ გაბედე შე მხდალო, გამყიდველო, მოღალატე!

— მოღალატე შენ თვითონ ხარ! რა დაგემართა?— შეუბრუნა პასუხი გალაქტიონმა.

— ოო, შე ორპირო იანუსო, გამცემო!—ჰყვიროდა ლევანი. ბილებს აკრაჭუნებდა. ხელს ჰკუმშავდა. ვერ ჰხედავდა, თუ როგორ [illegible] ხალხი გარშემო და განცვიფრებით შესცქეროდა მათ. აბნეული ლევანი უკვე მარჯვენა ხელის მუჭს უტრიალებდა გალაქტიონს ცხვირ-წინ და როცა მან ამ მუშტის შეჩერება მოინდომა და ამიტომ იდაყვში მოჰკიდა ხელი, მაშინ თითქო ელექტროს დენი გავარდა სხეულში, თითქო ამ შეხებამ შეურაცჰყო მათი არსება, თავდავიწყებული და გაფითრებული მივარდა მას, მოიქნია მუშტი და ცხვირ-პირში ჩასცხო გამეტებით.

მაყურებელთა პატარა ბრბო მხოლოდ ეხლა შეინძრა, ზოგმა ლევანს წააცანა ხელი და ზოგმა გალაქტიონს მოჰხვია მკლავი.

თმა-აბნეული, უქუდო გალაქტიონი მთელის ძალით იწევდა მისკენ, მაგრამ მკლავებით შემოხვეული ვეღარ სწვდებოდა ლევანს. აფხეკილ ჭარხალივით გაწითლებული, თვალებ-გადმოკარკლული, ყელში ძარღვებ-დაჭიმული ჰყვიროდა, იქაჩებოდა, მიიწევდა, მაგრამ ლევანი უკვე ქუჩის მეორე მხარეს იდგა, მტვერში ამოგუნგლულ პორტფელს სწმენდდა და გამოცვივნულ ქაღალდებს ალაგებდა.

რამდენადმე დამშვიდებული ლევანი ეხლა უკვე არჩევდა გარშემორტყმულ პირობებს, თითქო შერცხვაო, გაფითრებულ ტუჩებით, მღვრიე თვალებით, ათრთოლებული ხელებით, პორტფელი იღლიაში ამოიდო. მოაგონდა, რომ რაიონში იყო წასასვლელი. შეჯგუფულ სახეებში კარგად გაარკვია ნაცნობი, მოღიმარი სახით რომ შესცქეროდა. ეს ერთი უმცროსი მოხელე იყო, მის დაწესებულებაში რომ მსახურობდა წინათ.

— ლევან, ნუ თუ თქვენა ხართ? განა დასაჯერებელია? რა მოხდა. რა იყო?—ეკითხებოდა ნაცნობი.

მკლავი მაგრა მოჰხვია. წრიდან გაიყვანა. მიმავალ თავისუფალ ფაიტონისკენ მიიზიდა, ჩასვა და რაიონისკენ წაიყვანა.

გალაქტიონი მეორე მხარეს გაფითრებული იდგა. ვიღაც უცნობი ქუდს უწმენდავდა. აცახცახებული და დაბნეული უაზროდ გასცქეროდა მიმავალ ფაიტონს. მერმე, თითქო კუნთებში ძმარი შეასხეს, ათრეული ფეხით გაჰყვა ქუჩას. გაურკვეველი ფიქრები შემოდგომის ქარისგან აბნეულ ფოთლებივით ლასტრიალებდენ თავში.

XXI

იმ დღეს თინას დილა ადრიან გამოეღვიძა. თვალი რომ გაახილა, მზის სხივების ციალმა დასწვა. გაიზმორა, გვერდზე გადაბრუნდა.

გაზაფხულის სიო ნელა არხევდა ფანჯარასთან მომდგარ ტოტის ფოთლებს, მათი ჩრდილები იქვე ოთხკუთხიან მინებზე პეპელასავით ფარფალებდენ და შუა ოთახში მაგიდაზე დაფარებულ სუფრას ეთამაშებოდენ. მთელი ოთახი ბზინავდა. სხივების ნაკადი წყალვარდნილის შხეფივით ეტანებოდა კედლებს და იქ ციცინათელას მსგავსად ციმციმებდა.

მის მეგობარ ელენეს იქვე პირდაპირ ეძინა. მკლავები საბანზე გადმოეყარა. ნახევარი სახე შავ თმას დაეფარა და მძინარის სუნთქვით სუნთქავდა.

კვირა დღე იყო და ამიტომ სამსახურში არ მიდიოდენ. მთელი ღამე თინას თითქმის არა სძინებია, ეხლაც მოუსვენრად გრძნობს თავს. გადაყვარ ლბილად დაუდვია ლოყა, შავი, ფართედ გახელილი თვალებით ერთ წერტილს მისცქერებია და ფიქრებს მისცემია.

თინა ისე არაფერს არ შეუწუხებია რომ ჩაფიქრებულიყო. უდარდელი, ხალისიანი, მოკისკისე, იმედიანი და მუდამ გამარჯვებული დაიარებოდა ტოლამხანაგებში. მაშინ მისი ფიქრები ლაღად მისცურავდა, შეუმჩნეველად მისრიალებდა, ერთი მეორეს თავისუფლად მისდევდა, ეხლა კი, ეხლა რაღა დაემართა თინას? რამ აუმღვრია გონება? რამ შეუშფოთა ფიქრები! რამ დაამწუხრა! რაღაცას ებრძვის, რაღაცა აწუხებს. ჰსურს ფიქრები მოიშოროს, ისინი კი თავში აიბნევიან, გაიქროლებენ, აიშლებიან, ქარისაგან გაფანტული ღრუბლებივით, სისინით ახმაურდებიან ერთი მეორის წინააღმდეგ, გაშიშვლებული ხმლებივით აიმართებიან, ერთმანეთს შეებრძვიან და ორივე დამარცხებული უკანვე ბრუნდებიან. ეხლა სხვები აიზიდებიან, აპრიალდებიან, აჩხარუნდებიან და თინასაც ტკივილებს აგრძნობინებენ. ერთ რომელიმე ფიქრზე შეჩერება უძნელდება, ერთი გარკვეული აზრის შეთვისება არ ეხერხება. ყოველი მათგანი გველივით აყირავებულა და ტკივილებს აგრძნობინებს.

ჯერ კიდევ გუშინ დამშვიდებული და მხიარული ნაბიჯით მიარღვევდა ცხოვრების გზას, საღამოს კი მოულოდნელი ამბავი მოხდა. ვერ წარმოედგინა თუ მატაფიევი ასე მოიქცეოდა. სათვალეები მოიხსნა, მის წინ მუხლებზე დაეცა, ტიროდა, სლუკუნებდა. მერე რა დაემართა? რატომ ირთოდა? არეულ სიტყვებს ამბობდა, აზრი ვერ გამოეთქვა. ეხლა კი თინა გარკვევით იგონებს ამ სიტყვებს „თინა, თინა! რაღა ვქნა! მიყვარხარ, არ მეგონა არ მოველოდი“...

„რაღა ვქნა“!... ხელზე ჰკოცნიდა. მერმე ისევ დგებოდა, თითებს ისრესდა, თავს ძაღლა ვერ სწევდა. თინა კი სდუმდა და მთლად ყურადღებად იყო გადაქცეული. თითქო მის წინ ვინმე გველებს ათამაშებდესო, თინას იზიდავდა ეს ამბავი, იხიბლებოდა, თან ეშინოდა, თან უხაროდა, თან ტანში ჟრუანტელის მომგვრელი თბილი ელექტროს დენი ათრთოლებდა, ვერაფერი ეთქვა და, ამ სანახაობით გატაცებული, უცნაურად სტკბებოდა.

მერმე მატაფიევი თანდათან დასცხრა, და ბოლოს თინა მიხვდა, რომ იგი უკანასკნელ გადაჭრილ პასუხს მოითხოვდა მისგან.

როგორ უნდა მოქცეულიყო თინა? რა უნდა ეთქვა? ამავე დროს ეს ამბავი მას ართობდა, მოსწონდა. და იმ დროს, როცა მატაფიევი დაბნეული და არეული იყო, დალაგებულ აზრს ვერ გამოსთქვამდა, თინა დამშვიდებული იყო. იგი უპირატესობას ჰგრძნობდა მის წინაშე და როცა მატაფიევს ასეთ გარემოებაში ხედავდა, სიამოვნების და სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა სხეულში.

ეხლაც, როცა ამ ამბავს იგონებდა, მზის სხივებზე გამთბარ კატასავით იზმორებოდა ლოგინში. აბურცულ გულმკერდს ამაყად სწევდა ზევით, ხელის გულს უსვამდა და გამარჯვებულის ღიმილით იღიმებოდა.

მაშინ ვერაფერი ვერ უთხრა მატაფიევს „არ ვიცი, ვნახოთ, მერე გეტყვით— ასეთი დაპირებით გაისტუმრა. ეხლა კი საჭირო იყო პასუხი მოეძებნა და ეს ფიქრი ამწუხრებდა. კმაყოფილი იქნებოდა, რომ მისი ბედი სხვა ვინმეს გადაეწყვიტა. კმაყოფილი იქნებოდა, რომ პასუხი მისგან არ ყოფილიყო დამოკიდებული. კარგი იქნებოდა, რომ ეს კითხვა თავის-თავად დამთავრებულიყო.

მერე რატომ? რატომ არ შეეძლო თვითონ თინას გადაეწყვიტა საკითხი თავის-თავის შესახებ? განა ეს მისგანვე არ იყო დამოკიდებული? რას ეუბნებოდა ამის შესახებ მისი გული? თინამ არ იცოდა. მის თავში გაურკვეველი ფიქრები რბოდენ და ვერც ერთზე ვერ გაჩერებულიყო.

ფიქრთა კორიანტელში გამოკრთებოდა გალაქტიონის სახე, თითქო ისეთი ახლობელი, როგორც დიდი ხნის მეგობარი. ვაჟი იღიმებოდა და ალერსიანი თვალებით შესცქეროდა. მასთან მისვლა თინასათვის მუდამ იოლი იყო და თითქო მხოლოდ მას ანდობდა თავის საიდუმლოს და ფიქრებს, როგორც დიდი ხნის ნაცნობ-მეგობარს. ტკბილი იყო მასთან ყოფნა, საუბარიც. მაგრამ არა! გალაქტიონი ის არ იყო, ვისთანაც შესაძლებელი ყოფილიყო თავის ცხოვრების გზა შეერთებინა და თავის გული შეეკავშირებინა, არა, და რატომ, ეს თინამაც არ იცოდა. მაშ, ვინ? რომელია? ვინ გადაწყვეტს ამ კითხვას?

თინა ამაზედაც ჰფიქრობს—რომელ მათგანს უფრო მეტად უყვარს: გალაქტიონს თუ მატაფიევს? ერთმანეთს ადარებს და ჰპოვებს იმას, რაც ერთს მოსაწონი აქვს და მეორეს კი აკლია; რაც მეორეს მოეპოვება, და პირველს კი არა აქვს. ჰფიქრობს, მსჯელობს, ადარებს და არჩევს. ხოლო სადაც მსჯელობაა, იქ ხომ არც სიყვარულია!

მისი მსჯელობაც იქით ეზიდებოდა, სადაც მეტი დაკმაყოფილება იქნებოდა, ვინც მის ვნებას, ჩაცმა-დახურვას და სურვილებს შეასრულებდა. მან კარგად იცოდა, რომ სამსახურში მყოფი მეგობრები შურით შესცქეროდენ თინას, როცა მის ბედს მატაფიევისას უკავშირებდენ. ეს კარგად იცოდა თინამ და ამას ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როცა ქართველი ქალი ასეთ კითხვას სწყვეტს ხოლმე.

მაგრამ კითხვის გადაჭრას ის უძნელებს, რომ მას არ უნდა ასე მალე შეიზღუდოს თავისუფლება. მას კი ისე აქვს წარმოდგენილი, თითქო გათხოვებასთან ერთად მოსხლტება თავის ტოლ-ამხანაგებს, თავისუფალ ლაღ ცხოვრებას და, ოჯახის ტვირთით დამძიმებული, ველარ გაიხარებს, ველარ ილაღებს.

„უარს ვეტყვი, არ მინდა არა! “ მძლავრად წამოიძახა. თითქო ამ გადაწყვეტილებასთან ერთად გულსაც მოეშვა. იდაყვი გაითავისუფლა, ლოგინში წამოჯდა და მეგობარს გადახედა. მას უკვე გაეხილა თვალები და გაერთწერტილებული მოციალე სხივებს შესცქეროდა.

— გღვიძავს, ელენე?—შეეკითხა.

— რამდენი ხანია მღვიძავს. მე მეგონა შენ გეძინა, ისე იყავი განაბული და არ ინძრეოდი.

— მე კარგა ხანია მღვიძავს.

— რაზე ფიქრობდი თინა ასე გამწარებული?—შეეკითხა ელენე, რომელიც მიმხვდარი იყო თინას ფიქრებს და რამდენადმე იცნობდა მის გრძნობებს.

— ისევ, არაფერზე—უპასუხა თინამ და ისევ ფიქრებს მიეცა. ელენესაც აღარ გაუმეორებია შეკითხვა.

მას შემდეგ, რაც ისინი ერთად ცხოვრობდენ, ელენემ თინა შეიყვარა და ისე უვლიდა მას, როგორც უფროსი და შეიყვარებს უმცროსს და ერთნაირ მზრუნველობას არ მოაკლებს. ელენე ერთ კომერციულ დაწესებულებაში მსახურობდა და გარეშე სამსახურისა მისთვის სხვა რაიმე ცხოვრება არ არსებობდა. დიდი ხნის სამსახურს შეჩვეული, ნათესავებს დაშორებული, განმარტოებით ცხოვრობდა. გაუთხოვრად იყო დანრჩენილი და არც ეხლა აპირებდა ოჯახიანობას. კეთილი გული ჰქონდა და ყველას თანაბრად და სიყვარულით ექცეოდა, სხვის საქმეებში არ ჩაერეოდა და არც თვით ჩაურევდა ვინმეს თავის პატარა ზრახვებში. სოციალისტური მოძღვრება არ იტაცებდა. იგი მას რაღაც მიუწვდომელ და განყენებულ საგნად წარმოედგინა. მისი ფიქრით ამ საქმეს მხოლოდ ვაჟები უნდა მისდევდენ და ისიც ისეთები, ვისაც რაღაც განსაკუთრებული ხასიათი და დანიშნულება აქვთ. მას არ იტაცებდა არც ლიტერატურა, არც მუსიკა და არც სხვა რამ. მისთვის არაფერი არ წარმოადგენდა საყურადღებოს: არც პოლიტიკური და არც ეროვნული საკითხები.

ყოველ მდგომარეობას და პირობებში იგი მუდამ მომდურავი იყო ცხოვრების. მაგრამ არასდროს არ აღელვებულა. მისი დღეები ერთი მეორეს მისდევდა უფერულად. ზანტი და უხალისო, მუდამ წვრილმან ფიქრებში იყო ჩაფლული. ის ეკუთვნოდა ქართველი ქალის ისეთ ტიპს, რომელიც ათეული წელი ტფილისში ცხოვრობს და ბოტანიკურ ბაღში არ ყოფილა, არც ფუნიკულიორით ასულა მამადავითის ვორაკზე და ერთად-ერთი ქალაქის ტფილისის მეტი სხვა ქალაქი არც უნახავს და არც სურვილი და განზრახვა აქვს ნახოს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ თითქო ერთნაირად შეარხია მასის მყუდრო ცხოვრება, მაგრამ ყველაფერი მალე თავის გზით წავიდა.

პირველ ხანებში იმანაც სხვებსავით წუწუნი და მოთქმა დაიწყო, ვითომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს განადგურების გამო, მაგრამ მალე ისევ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, დაწყნარდა და ნამდვილი საბჭოთა მოსამსახურე გახდა.

ეხლა აღარაფერზე ჰფიქრობდა სამსახურისა და თინას მდგომარეობის გარდა, და როცა თინამ მის შეკითხვაზე არაფერი უპასუხა, ეწყინა. ხმა აღარ ამოუღია, გვერდზე გადაბრუნდა. ეს შეამჩნია თინამ, მიხვდა თავის შეცდომას და ამიტომ თვითონ ჰკითხა მას:

— შენ თვითონ რაზე ფიქრობდი?

ელენე მიხვდა თინას შერბილებულ ხმას, იგრძნო რომ მასთან ლაპარაკს გაგრძელება უნდოდა და მეგობრულ კილოზე უთხრა:

— აბა მე რა მაქვს საფიქრებელი? შენ სთქვი, თორემ მე რა.

— მე ჩემს ბედზე ვფიქრობდი, ელენე, ჩემს ბედზე. უპასუხა თინამ მწუხარე ხმით. ელენეს გული აუჩუყდა. უცბად დაკვირვებული შეაქერდა მას.

— ჰო, ელენ, მეც არ ვიცი როგორ მოვიქცე.

— რაშია, ქალო, საქმე, რატომ არ იტყვი?

უეცრად თინას სიცილი წასკდა და თავშეუკავებლად იწყო კისკისი. ელენე განცვიფრებული შეცსქეროდა მის გულ-მკერდს, სიცილთან ერთად რომ თრთოდა, და სახეზე, აბნეული შავი თმა რომ ეფინებოდა. დიდ ხანს იკისკისა თინამ და მერე ძლივს წარმოსთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, რომ იცოდე ელენე, რა სასაცილო იყო,—და კვლავ კისკისი გაგრძელა

— ვინ, თინა, არ იტყვი ქალო?

— არა, ეს სერიოზული კაცი, დაწესებულების უფროსი და ჩემს წინაშე მუხლებზე დაჩოქილი, წარმოგიდგენია?

ეხლა ეს სიცილი ქვითინს ჰგავდა, თავს ძლივს იკავებ და. მერე თითქოს გული ეტკინა, გაშლილი ხელი მიიდო და დაწყნარება იწყო.

— სათვალეები მოიხსნა. ტიროდა... ღმერთმანი, ელენე, ღმერთმანი. ჰო, ჯერ არ მითქვამს ვინ იყო. აბა თუ მიხვდები.

ელენე მიხვდა ვინ იქნებოდა.

— ვილა იქნებოდა თუ არა გალაქტიონი! რასაკვირველია ის იქნებოდა.

— არა, ქალო, არა! იმას ხომ სათვალეები არა აქვს. ის კი არა, მატაფიევი. მის შესახებ შენთან მილაპარაკნია კიდეც.

— მერე, რა გითხრა?

— სიყვარული ამიხსნა.—ამაყად წარმოსთქვა.

— მერე, რატომ იცინი თინა?

განა თვითონ კი იცოდა?

ეს იყო ქალური კმაყოფილება, ეს იყო გამარჯების სიმღერა და უცნობი გრძნობის გაღიზიანება. სიყვარულის ახსნა მას ხიბლავდა, იტაცებდა. როგორც მოცურავეს ტალღაზე გადაცურვა, ისე მას ეს ამბავი უჩქროლებდა გულს.

— არც მე ვიცი, ელენე! ნეტა ვიცოდე ეს სიცილი კარგის მომასწავებელია, თუ ცუდის!

ელენე უკვე ჩაცმული იყო. ლოგინს ალაგებდა და თან თინას ეკითხებოდა:

— მაინც რა გაწუხებს, არ იტყვი!

— ვერ გადამიწყვეტია, არ ვიცი როგორ მოვიქცე.

— როგორ უნდა მოიქცე, ქალო! იმას გაჰყევი ვინც უფრო მოგწონს, ვინც უფრო გიყვარს.

— რომ არ ვიცი?—თვალები სიღრმეში წაიღო და გაერთწერტილებული ჩაფიქრდა. ორივე დიდ ხანს სდუმდა. მერე თინა წყნარი ხმით შეეკითხა:

— რა აზრისა ხარ გალაქტიონზე? მოგწონს?

— ძალიან კარგი ადამიანია, ასეთი კაცი იშვიათად შეგვხვდება ცხოვრებაში.

— ერთი ნაკლი აქვს. ძალიან უნდილია და მერე კიდევ...—აღარ დაამთავრა აზრი.

— ეხლა შენ გინდა ადამიანი ყოველ მხრივ შემკული იყოს? ნაკლი ყველას აქვს.

ელენეს გულისთქმა გალაქტიონისაკენ იყო. მატაფიევი მას მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნახული და თავის შეხედულება იმის შესახებ თინას ნალაპარაკევიდან გაოქონდა მისი აზრით, იგი არ უნდა ყოფილიყო ოჯახის ადამიანი. არც

ის მოსწონდა ელენეს, რომ ის კომუნისტი იყო. ვინ იცის რა ზრახვები აქვს გულში!—ასე ჰფიქრობდა ელენე. მაგრამ ყველაფერ ამას თინას არ ეუბნებოდა.

— არა, ჩემ ბედს რაღაც გარეშე ძალა, რაღაც მოულოდნელი შემთხვევა თუ გადასწყვეტს სთქვა თინამ.

— ძნელია სხვის საქმეში ჩარევა და რაიმე გადამწყვეტი რჩევის შიცემა. უთხრა ელენემ.—შენ თვითონ რასა გრძნობ, როგორ ფიქრობ?

ბევრი იფიქრა თინამ, მაგრამ ერთ გადაწყვეტილებას მაინც ვერ დაადგა, მატაფიევი ნისთვის რაღაც გაურკვეველი ძალაა, რომელიც კიდეც იზიდავს და თან მის მიახლოვებასთან ერთად ერთნაირი შიში და მოკრძალებაც იპყრობს. თინას ჯერ კიდევ ვერ შეუხედნია მისთვის თვალებში. მათი თვალები გულღიად ერთმანეთს არ დალაპარაკებიან, რატომ? რატომ არ შეუძლია თინას მისი სახე გარკვევით დაინახოს? ხელიდან უსხლტება იგი და რამდენადაც ბურუსითაა მოცული, იმდენად მეტად იზიდავს და იმავე დროს აშინებს. მაშ, რა ჰქნას თინამ, როგორ მოიქცეს? არ იცის, ეს არ იცის თინამ.

XXII

სრული ერთი კვირა გავიდა, რაც გალაქტიონს შეტაკება მოუხდა ლევანთან ამ ხნის განმავლობაში იგი გარეთ არ გამოსულა. ეხლა, როცა ქუჩაზე მიდიოდა, სხვა ელფერი ეძლედა მის თვალში ქუჩის მოძრაობას, მაღაზიების ვიტრინებს და შენობების კედლებს. ამ ხნის განმავლობაში არავინ უნახავს, არავის შეხვედრია და ეხლაც, თითქო გაურბოდეს ვისმეს, კედელ-კედელ მიდიოდა თავჩაღუნული, დაღვრემილი და გაურკვეველი კითხვებით მოცული.

მას აქეთ უცბათ აგონდებოდა ლევანთან მომხდარი შემთხვევა და გული ეკუმშებოდა, ტკივილებს გრძნობდა. ხოლო ბევრი ფიქრისა და ტანჯვის შემდეგ იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ ლევანისადმი შურისძიებით აღსილი, სამაგიეროს მით მიუძღვნიდა, რომ არალეგალურ მუშაობას ბოლშევიკების წინააღმდეგ გამძაფრებით დაეწყებოდა. გამარჯვების შემდეგ უსათუოდ შეხვდებოდა ლევანს, ჩახედავდა თვალებში, არაფერს კი არ ეტყოდა, მხოლოდ დააკვირდებოდა და ასე მოუკლავდა გულს. არა, არაფერ ზომებს მის წინააღმდეგ არ მიიღებდა, რასაკვირველია, არც ხელს შეახებდა! დიდსულოვნად აპატიებდა სულელურ გატაცებას და მიუხწეველ მიზნებს, ხოლო შეურაცყოფისათვის მორალურად დასტანჯავდა.

ასე ოცნებობდა გალაქტიონი და ამ დროს სისხლი ჩქეფით ამოძრავდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა და არალეგალურ მუშაობისკენ გამალებით ისწრაფოდა.

კარგა ხანია ნიკო აღარ ენახა და მისი ნახვა უზომოდ უნდოდა, ის-იყო სირბილით ტრამვაის წინ გადაუსწრო, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და ფილაქანზე გაემართა, როცა მის მხედველობაში თინას სახე აიხატა. შედგა. თინას შეაცქერდა. თინაც შეჩერდა, როგორც შეჩერდება დანაშაულის ჩამდენი ბავში, თავდაღუნვით. გალაქტიონი მიუახლოვდა, სულ ახლო მივიდა მასთან. თვალებში შეხედა, შავი მელანივით რომ ბზინავდა. თითქო სულის თქმას იბოუნებსო ერთხანად, ისე გაჩერებული იდგა. მერე შეეკითხა:

— ისევ აქ მსახურობთ, თინა?. — თქვენობით ლაპარაკს ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა.

— დიაღ, ისევ აქ.

— მატაფიევთან?

— დიაღ. — თინა შეწითლდა. გრძნობდა, რომ გალაქტიონი ულვაულო კილოზე ელაპარაკებოდა და მის გამო იბნეოდა. თითქო გაირღვა ფარდა და ფარდის იქიდან გამოიყურებოდა თინა, როგორც დამნაშავე მოწაფე მასწავლებლის წინაშე. ამას თვითონ თინაც ხედავდა. ის ხედავდა თავის თავს ძირს დაშვებული თვალებით, უმწეოდ რომ შეჰყურებდა გალაქტიონს.

— მერე, თინა? — ჩახლეწილი ხმით შეეკითხა გალაქტიონი.

— ?!?

— ჰო. თქვენ გაჰყვებით მატაფიევს... სთქვით, ხომ მართალია? რიხით შეეკითხა გალაქტიონი.

— რატომ, რატომ ფიქრობთ? მე არაფერი მითქვამს.

— ნუ დამალავთ, ყველაფერი ვიცი!

— რა იცით?

— ის ვიცი, რომ თქვენ მატაფიევი გიყვართ, რომ თქვენ ჩვენ დამლუპველს, ამ კომუნისტს უნდა გაჰყვეთ და მასთან ბედნიერი ცხოვრებით იცხოვროთ.

გალაქტიონი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თინა კომუნისტს მიჰყვებოდა და თითქო ამის გამო იყო აღელვებული და ეს აცხარებდა.

— რასაკვირველია, ქალები მუდამ მოდას მისდევთ, — განაგრძობდა გალაქტიონი — და ეხლა თქვენთვის მოდაში კომუნისტებია.

— რატომ ლაპარაკობთ აგრე, გალაქტიონ?

— რა, ვითომ არ არის მართალი?

— რასაკვირველია, არ არის მართალი.

თინამ ცალი თვალი ასწია და ისე შეხედა გალაქტიონს პირსახეში. მისი მოლუშული სახე დახრილი თვალ-წარბით ისე დასცქეროდა თინას, თითქო, ემუდარებოდა, ნუ თინა ნუ იზამ, ამას ნუ ჩაიდენო.

— მე ვიცი, რომ იმიტომ გაჰყვებით მატაფიევს რომ ის კომუნისტია.

— არა, სრულებითაც არა! — ჯიუტობდა თინა და ანჩხლობდა, დაბნეული და აღელვებული იყო, ვერ წასვლას ახერხებდა და გალაქტიონის წინ დამნაშავე შეგირდივით იდგა.

— რასაკვირველია, თქვენ ის კარგად ჩაგაცმევსთ. კარგად დაგახურავსთ და კარგადაც მოგივლისთ. ეხლა მათს ხელშია ძალა. ისინი არიან ქვეყნის მმართველ-პატრონნი და გიყვარდეთ ავტომობილით სეირნობა, თეატრებში სიარული, მოდაზე შეკერილი კაბები!

აღარ ინდობდა გალაქტიონი თინას და თითქო გულს ამით იოხებდა.

— თქვენ ცდებით, ბატონო გალაქტიონ! ცდებით! — ამბობდა თინა თავ-ჩაღუნული.

— მაშ მითხარით, თინა, მატაფიევი გიყვართ თუ არა? პირობა მიეცით თუა რა?

— არა, არ მიმიცია.

— ხომ იცით, ის მოღალატეა, საქართველოს დამღუპველია! ოღონდ იმას ნუ გაჰყვებით და სხვა ვინც გინდათ აირჩიეთ. აბა რად გინდათ ისეთი კაცი, რომ ყველას ეზიზღება! ის არც სამსახურში უყვართ თანამშრომლებს და არც თავის ამხანაგებს—პარტიელებს, ნუ ივლი მასთან, თინა, ნუ! დაანებე თავი! შენ კარგი გოგოხარ, ნუ აჩქარდები. ხომ იცი მატაფიევს შენთან კავშირი მხოლოდ დროებით უნდა და მერე თავს მიგანებებს.

— ეგ მართალი არ არის.—მოულოდნელად ცივი ხმით წამოიძახა თინამ.

— არ არის მართალი? რატომ გგონია?

— მე ვიცი.

— ჰო, მაშ თქვენ ყველაფერი გცოდნიათ. საქმეც გათავებული ყოფილა. მაშ რატომ შიმალავთ?

— არაფერსაც არ გიმალავთ.—თამამად სთქვა თინამ.

— მე მეგონა თქვენ სულ სხვა იყავით. თურმე როგორ ვტყუვდებოდი!—გესლით სთქვა გალაქტიონმა.—თქვენ კი აი ვინ ყოფილხართ! ისეთივე, როგორც სხვა მრავალი, ათასი და ათი-ათასები!

გალაქტიონს თვითონაც უკვირდა, რომ ასეთი რიხით და სითამამით ლაპარაკობდა. ამას ის ჩვეული არ იყო. ლაპარაკის დროს კუნთები უთრთოდა, აღელვებული იყო, მაგრამ არ იბნეოდა. გულში რატომღაც ბოღმა და გესლი უგროვდებოდა. თითქო ყოველი მისი შეურაცყოფის, მისი დამცირების მიზეზი თინა ყოფილიყოს და თითქო ეხლა მისცემოდეს მას ძალა და უფლება შურისძიებისა, ის აღარ ინდობდა ქალს:

— თქვენ გრძნობის ერთი ნატამალიც არა გაქვთ. თქვენ არც სიყვარული შეგიძლიათ, არც გატაცება. თქვენ ყოველთვის იმას გაჰყვებით, რასაც ცხოვრება მისდევს. თქვენი მსჯელობა არ გასცილდება გარშემორტყმულ ამხანაგების გემოვნებას და შეხედულებას. ეს გემოვნება კი მუდამ ჩამორჩენილია.

— რატომ ფიქრობთ ეგრე, გალაქტიონ!

— ოჰ, მე კარგად ვიცი, რომ თქვენთვის საჭიროა მატაფიევის ცოლობა. ის ხომ გამგეა და თქვენც გამგის მეუღლე იქნებით. თქვენ იამაყებთ იმის გამო, რომ ამხანაგები შურიანი თვალით შემოგხედავენ. ეს არის თქვენი მისწრაფება და ქალაქისკენაც ასე ძლიერ სწორედ ამიტომ ისწრაფვოდით. ოჰ, ქალაქი! ოჰ, ქალაქი! ქალაქური ცხოვრება! რა წარმტაცია! რა აღმაფრენია! გახსოვთ ამას რომ გაიძახოდით? კიდევ კარგი, რომ ასე გათავდა. შესაძლებელი იყო ქალაქური ცხოვრებით გატაცებას პროსტიტუციამდე მიეყვანეთ.

— რაო, გალაქტიონ? რა სთქვი?

— რაცა ვთქვი, მართალია! ბოდიშს ვიხდი—უცბათ ხელი გაუშვირა თინას,—ამხანაგებთან მეჩქარება.—თინამაც უნებურად ჩამოართვა ხელი. მერე მიმავალ გალაქტიონს თვალი გააყოლა და დიდხანს უცქირა მის მოღუნულ ზურგს. თვალ-გაშტერებული კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას. გამვლელებს ბურუსში ხედავდა, არეული ფიქრები თავს უმძიმებდა. მერე თავი გააქნია და შინისკენ წავიდა.

გალაქტიონი კი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა გამარჯვებულივით. უცბათ შედგა, თითქო უკან დაბრუნებას აპირებდაო, მაგრამ ისევ განაგრძო გზა და

პაპიროზის ბოლი ჰაერში გაფანტა. უნებლიედ მივიდა ვიტრინასთან და გამოფენილ საგნებს დაუწყო მზერა, ხოლო ფიქრებით სხვაგან იყო. ეს ფიქრები ფეხის კუნთებს უთრთოლებდა. პაპიროზს კი არ სწევდა, არამედ მის დასველებულ ბოლოს ჰკვნეტდა და მოკვნეტილ ქაღალდს ტუჩებით ისროდა. ნახევრად მოწეული პაპიროსი თითებში დაჭუჭკნა, დაასოსოლა და წკიპურტით გადააგდო, ღრმათ ამოიხვნეშა და დამძიმებული თავით ისევ გზა განაგრძო.

სწყურიოდა. ლაღიძის წყლის სასმელ დუქნამდის კიდევ კარგი მანძილი იყო. ფეხი აუჩქარა. როცა შიგ შევიდა, არეული სახეები თვალში ისე აეხატა როგორც ბურანში. ცივი წყლის დალევამ გული აუჩქროლა. ირგვლივ მიმოიხედა. უფრო კარგად დაინახა საგნები და როცა ქუჩისაკენ ფანჯარაში გაიხედა, უცბად თვალი მოჰკრა მიმავალ ნიკოს. სასწრაფოდ გადიხადა ფული და გამოუდგა.

— სადა ხარ, კაცო! სად დაიკარგე რომ აღარსად სჩანხარ?—შეხვედრისთანავე შეეკითხა ნიკო გალაქტიონს.

— მართალია, ჩემი ბრალია. არსად გავსულვარ, ეხლა კი მზადა ვარ.

— ჰო და, საქმე მაქვს შენთან. დაგეძებდი. კიდევ კარგი რომ შეგხვდი.

— ეხლა ყოველივე ორჭოფობა გამიქრა და მზადა ვარ ყოველნაირ საქმეს მოვკიდო ხელი, თუნდ ძალიან ძნელი ასასრულებელიც რომ იყოს.

— ეგ აქამდინაც ეგრე უნდა ყოფილიყო და, სწორეთ გითხრა, მაკვირვებდა, რომ აქამდის საქმეს ზერელედ უმზერდი.

— მე ახლა დავრწმუნდი, რომ საქმის გასამარჯვებლად ევროპაზე კი არ უნდა გვქონდეს დამყარებული იმედები, არამედ აქვე, შიგნით, ჩვენივე ძალებით უნდა მოვუღოთ ბოლო ბოლშევიკების ბატონობას. და მაშინ ნიკო, ოჰ, მგონი სიხარულისაგან გავგიჟდები. ეხლა მე იმდენი ძალა მაქვს, იმდენი ენერგია და მუშაობის სურვილი, რომ ათი კაცის სამუშაოს შევასრულებ. არ დავერიდები, თუნდაც რომ დავიღუპო. მე იმისთვისაც კი მზადა ვარ, რომ იარაღს მოვკიდო ხელი, ოღონდ ეს საქმე პარტიამ დამავალოს.

ნიკომ კარგად იცოდა, რომ ისეთი სუსტი და უნებისყოფო ადამიანის ცხოვრებაში, როგორც გალაქტიონი იყო, ხშირად დგებოდა აღტაცების მომენტი. ასეთ დროს მას ჰგონია თითქოს იმდენი ძალა შესწევდეს, იმდენი ენერგია ჰქონდეს, რომ თუ საქმეს ეკვეთა, უსათუოდ დასძლევს და გაიმარჯვებს. ესეც კარგად იცოდა ნიკომ, რომ ამ კვარი ხალხის გატაცება დროებითია, წუთიერია. აფრთოვანება მალე იფერფლება და ისევ მოდუნებული ცხოვრება იწყება.

— რაც შეეხება იარაღს, მგონი მაგის ხმარებაც მოგვიხდეს.—უთხრა ნიკომ.—ხომ იცი საბა რა აზრისაა?

— არა, რას ამბობს?

— იმასაც ნაკლები იმედი აქვს ევროპის. ჯერ კი, ჯერ ვნახოთ კიდევ რა იქნება.

ნიკო ამჩნევდა, რომ გალაქტიონი ეხლა სულ სხვანაირად ლაპარაკობდა ვიდრე წინათ. ასეთი ცვლილება მას ახარებდა. ის საქმეც, მისთვის რომ უნდა დაევალებინა, მძიმე იყო. ეხლა დარწმუნდა, რომ გალაქტიონი ამ მძიმე საქმეს

ხელს მოჰკიდებდა და შეასრულებდა კიდეც. ამიტომ საჭირო იყო ესარგებლნა ასეთი მომენტით და გალაქტიონის გატაცება ხელიდან არ გაეშვა.

გამვლელები გაატარეს, ფილაქანის ნაპირად მდგარ ხეს მიეყუდნენ და ნიკომ საიდუმლო ხმით აუწყა გალაქტიონს, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

— ეს საქმე მხოლოდ სამ კაცს ეცოდინება, ხომ იცი, და სხვას არავის. ბინა მზად არის. პეტრე გადმოიტანს მანქანას და ასოებს. ეს ორი კაცი, ის და პეტრე იქნებიან ამ საიდუმლო სტამბაში. შენ კი კავშირი ვექნება მათსა და ჩვენ შორის. ანაბეჭდს გაასწორებ და შენვე გამოიტან გარეთ.

— კარგი საქმეა. სიამოვნებით ვიმუშავებ.

— შენს განკარგულებაში ერთი ეტლი იქნება, ხოლო იმას არ ეცოდინება არაფერი, სად რა კეთდება, ან რა გადაგაქვს, მას შენ მხოლოდ გადატან-გადმოტანის მიზნით გამოიყენებ. სადაც დაიბარებ, იქ მოვა და მაშინღა გაუშვებ, როცა აღარ იქნება საჭირო. ამ მეეტლესაც ამ ორ დღეში გაგაცნობ.

— მე მგონი იმ მეეტლეს უნდა ვიცნობდე.

— არა მგონია.

— რა ჰქვია?

— იაკინთე.

— არა, ნამდვილი სახელი და გვარი მითხარი. ხომ ყოფილი თავადია?

— კი.

— კოწია კინვალიძეა, არა?

— ჰო, საიდან იცნობ?

გალაქტიონს მოაგონდა მაროს მიერ გაცნობილი თავადი კინვალიძე, ეტლზე რომ აჯდა ქურქით. „ბრძოლის ველზე შევხვდებითო“,—უთხრა მაშინ და ეტლით გაჰკურცხლა.

— გავიცანი, გამაცნეს. წინადაც ვიცნობდი.

— ჰო და უფრო კარგი. იმასთან გექნება საქმე. ამ ორ დღეში დაიწყებთ მუშაობას. ხომ იცი, ეს მეორე სტამბა იქნება. ბოლშევიკები გულზე გასკდებიან, მაგრამ ვერც ერთს ვერ მიაგნებენ. მაშ ასე, გალაქტიონ...

გალაქტიონი დაიწყებს მუშაობას და აღარაფერზე არ იფიქრებს გარდა მიჩნეული საქმისა. გალაქტიონი გამოუშვებს სტამბიდან ისეთ ფურცლებს, რომელიც ლევანს დაამარცხებს. მაშინ შეხვდება მას იგი, შურისძიების წყურვილს დაიკმაყოფილებს და ამაყად გაივლის მის წინ გამარჯვებული. ისიც გაამხიარულებს გალაქტიონს, რომ მუშაობის დროს მის განკარგულებაში იქნება კოწია კინვალიძე, ის კინვალიძე, რომელიც ყმაწვილობისას, ამაყად შესცქეროდა მას, ახლოს არ იკარებდა და მასთან საუბარსაც კი არ კადრულობდა. ეხლა ეს კაცი, მეეტლის ტანსაცმელში გახვეული, მისი ხელქვეითი უნდა ყოფილიყო და ორივეს საერთო საქმე გაეკეთებინათ. გატაცებით ფიქრობდა გალაქტიონი მუშაობის შესახებ, ნიკო კი საუბარს განაგრძობდა. მისი ლაპარაკიდან ირკვეოდა, რომ საზღვარგარეთთან კავშირი კარგადაა მოწყობილი, რომ აქედან მრავლად იგზავნება ცნობები მდგომარეობის შესახებ და იქიდანაც მოდის ამბები, ხოლო ყველაფერი ეს ისეთ ატმოსფერას ჰქმნის და ცნობებიც ისე გადაჭარბებული და ყალბად არის გაშუქებული, რომ ნიკოს აზრით ეს გარემოება საქმეს ვნებდა.

ამის მაგიერ კი საჭიროა მუშაობა გაცხოველდეს,—განაგრძობდა ნიკო,—იმისათვის კი არა, რომ უცხოეთმა გაიგოს აქაური აუტანელი ამბები, არამედ იმიტომ, რომ ნამდვილად იყოს მუშაობა საქმისთვის და არა სხვის დასანახვებლად.

ის-იყო ნიკო უკვე ემშვიდობებოდა გალაქტიონს, რომ ერთი ნაცნობი მოუახლოვდა. მას პირსახე ძალიან დამწუხრებული ჰქონდა, უსიტყვოდ მიესალმა მათ და შეეკითხა:

— რატომ დგეხართ აქ, განა პანაშვიდის დრო არ არის?

— რა პანაშვიდის?—შეეკითხა გალაქტიონი.

— ვაჰ, როგორ არ იცი, კაცო?

— ჰო, ვიცი, მაგრამ მე ვერ წამოვალ, არა მცალია.—სთქვა ნიკომ. ორივეს ხელი ჩამოართვა და წავიდა.

გალაქტიონმა ეხლაღა გაიგო, რომ გადაცვლილიყო ძველი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ელიზბარ ჭანტურიძე, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა, კარგ მთარგმნელად ითვლებოდა და ბოლო დროს ფედერალისტების პარტიაში მუშაობდა. ვიდრე მიცვალებულის ბინამდე მივიდოდნენ, გალაქტიონმა ნაცნობისაგან გაიგო, რომ მისმა გადაცვალებამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დაჟინებით ამტკიცებდენ, რომ ის ბოლშევიკების მსხვერპლი გახდა. „ჯერ იყო და შემოსვლისთანავე მის სახლს ალყა შემოარტყეს და გაჩხრიკეს. ვერაფერი უპოვეს, მაგრამ შვილი მაინც დაატუსაღეს. ისედაც მოღლილ-დასუსტებულმა ორგანიზმმა ვერ აიტანა ბოლშევიკების შემოსვლა, ვერ შეურიგდა მათ ყოფა-ცხოვრების ამბავს და აი, სულიც განუტევა“!—ამბობდა გალაქტიონის ნაცნობი, რომელსაც გალაქტიონი კარგა ხანია იცნობდა, ხოლო არ იცოდა მისი არც სახელი და არც გვარი. ეს ნაცნობი მას მაშინ შეხვდებოდა ხოლმე, როცა ასაფლავებდენ რომელიმე მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, ხელოვანს ან რითიმე ცნობილ და ქველმოქმედ ქართველს. იგივე ნაცნობი ესწრებოდა ყოველ ქართულ კრებას და კამათის დროს უსათუოდ ოპოზიციაში იყო. ძალიან უყვარდა ორატორის ლაპარაკის დროს ადგილიდან რეპლიკის მიცემა. ამით ძალიან მოჰქონდა თავი. გალაქტიონმა არ იცოდა სად მსახურებდა ეს ნაცნობი, ან საზოგადოდ მსახურებდა სადმე თუ არა. რუსთაველის გამზირზე ხშირად შეხვდებოდით მას. არც ის იცოდა გალაქტიონმა, რომელ პარტიას ეკუთვნოდა იგი. ყოველ დასაფლავებაზე, რომელი პარტიის წევრიც არ უნდა ყოფილიყო მიცვალებული, ის უსათუოდ წარმოსთქვამდა სიტყვას. მუდამ პატრიოტული გრძნობებით იყო აღგზნებული. ყველა მოღვაწეს იცნობდა და ყველა მას სცნობდა. სალამის მიცემას ვერავინ მოასწრებდა. დიდი მოწიწებით და თავაზიანად იცოდა ქუდის მოხდა.

ეხლაც ჭანტურიძის პანაშვიდზე ისე ეშურებოდა, თითქო უიმისოდ მის დასაფლავებას ვერ მოახერხებენო. მიდიოდა ჯოხის ქნევით და პაპიროზის წევით. გზაში ვინც შეხვდებოდა, ყველას პანაშვიდის შესახებ მოაგონებდა.

როცა ეზოში შევიდენ და ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულ ხალხს შეერივნენ, გალაქტიონის ნაცნობს სახე გაუბრწყინდა. ქუდის მოხდას ვერ ასწრებდა, ისე სწრაფად იხრებოდა აქეთ-იქით და ნაცნობებს თავს უკრავდა. მერე ჯგუფში

ჩადგებოდა. ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა, თავაზიანად ხელს ართმევდა, ლაპარაკში ერეოდა და დიდ მწუხარებას გამოსთქვამდა დანაკლისის გამო. ერთ ჯგუფში ყურმოკრული ამბავი მეორეში გადაჰქონდა. იმ ჯგუფში გაგონილ ამბავს სხვაგან წაიღებდა. ყველგან ასწრებდა მისვლას, სალამს მიცემას, ორიოდე სიტყვის წარმოთქმას.

პანაშვიდზე ყველა პარტიების წარმომადგენელები მოსულიყო. რომელიმე ჯგუფში პანაშვიდის დაწყების მოლოდინში ვინმე ხანშესული უამბობდა ამბავს გადაცვალებულის ცხოვრებიდან. მისი სიტყვებით—ის იყო სათნო და კეთილი ადამიანი. უყვარდა ქართველი ერი და აკი კიდეც შეეწირა მას. ხოლო ეს შეწირვა რაში გამოიხატა კონკრეტულად, ამას არ ამბობდა მთხრობელი.

გაიღებოდა ალაყაფის კარები და ყველა იქით გაიხედავდა. იქიდან რომელიმე დარბაისელი, ძველ ქართულ ტანისამოსით გამოწყობილი მანდილოსანი ორიოდე ახალგაზრდას თანხლებით დინჯად გაივლიდა ეზოს. აქეთ-იქით ჯგუფებს სალამს მისცემდა და მთელის ღირსებით მიცვალებულის დარბაზისკენ ეშურებოდა.

ჯგუფური ლაპარაკი კი გრძელდებოდა.

— ვერ ატყობ ბოლშევიკებთაგანი რომ არავინ მოვიდა?—იკითხა ერთმა.

— აბა რა სინდისით მოვლენ! გამიგონია?

— არა, იმათ ამისთვის არა სცალიათ!

— ჰო, ძალიან არიან დატვირთული. ქვეყანას აშენებენ.

— მამა უცხონდებათ!

— აბა, ეხლა იმათ ჰკითხეთ!

ეზოში გაფანტული იყო სხვადასხვა პარტიების ის ნაწილი, რომელიც უფრო სახელით არიან დაკავშირებული პარტიასთან ვიდრე საქმით და მოქმედებით. ეს ნაწილი მუდამ მზათაა შარა გზაზე გამოეფინოს, სხვებს დაენახოს, თავის თავის არსებობა მოაგონოს. ამიტომ ისინი ყველაზე ადრე მიდიან პანაშვიდზე და მუსაიფსა და მასლაათში ატარებენ დროს. გულის მოსაჯერებლად ჭორიკანობენ და ზერელედ პოლიტიკის გარშემო გაგონილ აზრებს დიდის რიხით გადასცემენ ერთმანეთს.

— ეგ შერცხვენილები, ეგენი!—გაიძახოდენ ჯგუფში ბოლშევიკების წინააღმდეგ.

— შერცხვენილი კი არა, თავს ვერსად გამოჰყოფენ ეგ დამღუპველები, ეგ გამყიდველები!

— ოოჰ, ერთი როდის იქნება მაგათ ოხტში რომ ამოვალთ!—მსჯელობდენ ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულები.

— მე კი მგონია თავს ძალიან კარგად გრძნობენ. ტყუილია ის ამბავი თითქო მალე წავლენო.—ამბობდა ერთი.

— როგორ, როგორ!—ფეხის ჭვინთებზე სდგებიან დანარჩენები.

— როგორ და ისე! აბა, რომელი ძალაა მაგათ რომ განდევნის?

— შენ გგონია მაშ, რომ ეგენი...

— დიაღ, დიაღ, კარგა ხანს დარჩებიან.

— შენ მგონია ბოლშევიკი გამხდარხარ და რაღა გითხრათ.

ამის შემდეგ ვინმე მათგანი მოჰყვებოდა ახალ ანეგდოტს ბოლშევიკების შესახებ და ყველა კმაყოფილი ხითხითებდა.

ეზო თანდათან ივსებოდა. მალე ნელი ნაბიჯით ანაფორებიანმა და გრძელ თმაწვერიანმა ჭაღარა მღვდლებმა შუა ეზო გაიარეს და მიცვალებულის ოთახში შევიდენ. მათ მოსვლასთან ერთად ხალხი შეჩოჩქოლდა, ბევრმა ლაპარაკს თავი ანება და მიცვალებულისკენ გასწია.

ამ ოთახში შუა ადგილს გადაფარებულ გრძელ მაგიდაზე კუბოში ჩასვენებულ ცხედარს გარს შემორტყმოდენ თავდახურული მანდილოსნები. კუბოს თავში თმაგაშლილი ქალები დაშრეტილი თვალებით დასცქეროდენ ცხედარს.

ღვდლები რომ შევიდენ, კუბოსთან გარშემორტყმულ მანდილოსნებმა ალაგი დაუთმეს შავ ფილანებში შესუდრულ ღვდლებს. ოთახში საკმევლის სუნი დატრიალდა და ჰაერი მთავარდიაკვნის ბოხი ხმით შეინძრა. მოგვეულმა გუნდმა მთავარდიაკვნის აწეულ კილოს ხმები შეუწყო და მალე ერთმანეთში აირია მღვდლების, დიაკვნების და გუნდის ხმები.

...„სულთა თანა მიცვალებულისა მონისა შენისასა“... ბოხი ხმით გალობდენ ღვდლები.

დიაკვანი კუთხეში დავითნს კითხულობდა და ქათამივით კაკანებდა.

გუნდი „უფალო შეგვიწყალეს“ მღეროდა. ღვდლები კი გაბმული ხმით, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო, გაიძახდენ:

...„განუსვენე მაცხოვარ სადაც მართალნი განისვენებენ“...

გალობა და შეუწყვეტელი დავითნის კითხვა ერთმანეთში ირეოდა. საერთო გალობას შიგადაშიგ უერთდებოდა ნათესავების ხმამაღალი ტირილი და წამოძახილი. ოთახში შეხუთული ჰაერი იდგა და მასთან შეერთებული საკმეველის სუნი სუნთქვას აძნელებდა. საცეცხლურიდან ავარდნილი ბოლი ლეჩაქის ნაგლეჯებად იფანტებოდა ოთახში.

ფილანში აყუდებული ღვდლები აფხორილი ინდაურებივით გარს შემორტყმოდენ კუბოს. ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფროსი იყო და თავში იდგა, ხშირად კუბოს გარს უვლიდა საცეცხლურით და თან გალობდა—„სულთათანა მიცვალებულისა, მონისა შენისასა, განუსვენე მაცხოვარ!“ მაშინ გარშემორტყმული ფილახები უკან იხევდენ და ისინიც გალობას იწყებდენ.

აივანზე შეგროვილი ხალხი მაინც ლაპარაკს არ იშლიდა და ზოგნი შინაურ საქმეზე ან სამსახურის გამო, ზოგნი პოლიტიკისა და ზოგნიც სიძვირის შესახებ შესჩიოდენ ერთმანეთს.

გალაქტიონმა თავის ნაცნობი ჯარგა ხანია დაკარგა. ეხლა ოთახის კუთხეში იდგა და პანაშვიდს ისმენდა. მიცვალებულის ოთახი საკმარისად მოზრდილი იყო ნივთები მეორე ოთახში გაეტანათ. მხოლოდ კედლებზე ღა ეკიდა თეთრ ტილოებში გახვეული სურათები, გალაქტიონი გაერიწერტილებული შესცქეროდა ერთ ჩარჩოიან სურათს, მაგრამ ტილოზე ვერაფერი გაერჩია. თვალი ერთ წერტილზე ჰქონდა მიპყრობილი და იგონებდა თინას. „მერე, რატომ აწყეინა მას? რატომ უთხრა შეუფერებელი სიტყვები? რა მოხდა, რა უფლება ჰქონდა თი-

ნას რომ ასე მიმართა? თინა კი დაბნეული შესცქეროდა. მერე, რატომ მოიქცა გალაქტიონი ასე? ასეთი მოპყრობით ხომ უფრო ხელი შეუწყო მის და მატაფიევის დაახლოებას?“ ეს რომ გაიფიქრა, ტანში შეაჟრჟოლა. „უსათუოდ ასეა, ასე! ნამდვილად ხელი ჰკრა და ეხლა ამის გამოსწორება აღარ შეიძლება! მერე, რატომ? რატომ ჩაიდინა ეს საქმე?“ ამ კითხვაზე შეჩერებული გალაქტიონი გაბრუებული შესცქეროდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათს, ყურში კი გაისმოდა „სულთათანა მიცვალებულსა მონისა შეხისასა განუსვენე მაცხოვარ!“—გალობდა ერთი წყება ღვდელმთავრებისა. „დიდება მამასა და ძესა და წმინდისა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“...

მორჩა, გათავდა! გალაქტიონი თინას ვეღარ შეხვდება. მერე, უყვარდა იგი? გალაქტიონი ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს ვერ იძლეოდა. ვთქვათ თინა მიყვარს! მერე, რატომ ერთხელ არ მივედი და ჩემი ფიქრი არ გადავეცი? რატომ ერთხელ ისე არ მოვეალერსე, რომ ჩემს სიყვარულში დარწმუნებულიყო? რატომ არ ვეუბნებოდი ჩემი გრძნობის შესახებ, რატომ არ დავდიოდი მასთან ხშირად, არამედ გამწყრალივით განზე ვიდექი და ამ დროს მატაფიევი კი თავის საქმეს აკეთებდა. მაშ, ვინ არის დამნაშავე? მაგრამ იქნებ არ მიყვარდა თინა? მაშ რატომ ასე ღელავდა და თრთოდა გული, როცა მას მატაფიევთან დავინახავდი? რატომ ასე მიზიდავდა თინა?...“—ჩქროლავდა გალაქტიონის გული, უცახცახებდა მუხლები და ყელში სისხლი ბურთივით ეცობოდა. ამ დროს იყო, რომ ჩოჩქოლი შეამჩნია. ფიქრებისგან განთავისუფლდა. მიმოიხედა. პანაშვიდი გათავებულიყო. მაღალი მოხუცი ღვდელი, თავში რომ იდგა, ეხლა მობრუნებულიყო. ხელში ჯვარი ეჭირა. ჭირისუფლები რიგრიგად მიდიოდენ მასთან, ჯერ ჯვარს ეამბორებოდენ და მერე ხელზე ემთხვევოდენ.

ხალხი აირია. ზოგი ეზოში გავიდა. ნაცნობები ერთიმეორეს ხვდებოდენ. ხელს ართმევდენ და მუსაიფით მიდიოდენ ალაყაფისკენ.

გალაქტიონმა ეზოში ნელი ნაბიჯით მიმავალი მარო შეამჩნია, რომელიც მუსაიფით მისდევდა ნაცნობს და თან აქეთ იქით იცქირებოდა. მის დანახვისთანავე გალაქტიონი უცბად მოტრიალდა, მიმავალ მანდილოსანს ამოეფარა, მოპარული ნაბიჯით მიდიოდა ალაყაფისკენ. ქუჩაში რომ გავიდა, აღარ მოიხედა და დაღმართს გაჰყვა. მალე ფართე ქუჩაში გავიდა. კუთხესთან გაჩერებულ ტრამვაის ვაგონში ჩაჯდა და შინ წავიდა.

XXIII

ვიწრო და გრძელი ქუჩიდან გალაქტიონი ფართე ქუჩაზე გამოვიდა, ეს ქუჩა ნათელი და ხალხით იყო სავსე. ეროი თვე იქნებოდა, რაც სტამბასთან იყო მიჩენილი და არალეგალურად მუშაობდა. მუშაობა არ აკმაყოფილებდა. არ იყო სიცოცხლე, გატაცება. და როცა პროკლამაციებით გაბერილი უბე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, უნებლიედ ადარებდა თავის წინანდელ პარტიულ მუშაობას და ეხლანდელს, მას აკვირვებდა რომ აწინდელს არ ახლდა ენტუზიაზმი, ის აფთოვანება და გატაცება, რომელიც უწინ ამოძრავებდა. მას აგონდებოდა იდუმლად ქუჩაზე ღამით გაფანტული ფურცლები. აგონდებოდა ამ ფურცლების გამო კონსპირატულ ოთახში მისვლა. ამხანაგების გაბრწყინვებელი თვალე-

ბი, გულის თრთოლა, აკანკალებული მუხლები და მერე სიხარული, უზომო სიხარული; იმედიანი გამარჯვებული გამოხედვა. აგონდებოდა პროკლამაციის ფრაზები, სიტყვები, თითქო ცეცხლიანი ასოებით იყო დაწერილი. თითქო სიტყვები სანთლებივით ბნელ გზას უნათებდა, ბრძოლისკენ იწვევდა და ბნელში გამარჯვების იმედს უსახავდა. მაშინ რწმენაც იყო, სიყვარულიც, თავგანწირვაც, სიხარულიც. არაფერი არ არსებობდა გარდა სულში ჩაჭედილი იდეისა და ბრძოლისა. ციხე, გადასახლება და კარტორღა უფრო მეტად ამხნევებდა, ყოველი პატარა არალეგალური ბროშურა, პროკლამაცია ანდა პარტიული ტაქტიკური კითხვები—გაცხარებულ კამათს და ახალ ენტუზიაზმს იწვევდა. ასე იყო წინათ, ეხლა კი რატომღაც ასე აღარ არის! აბა რა არის დღევანდელი ფურცლები! თითქო ზარბაზნიდან ბომბას ისროდენო. ეხლანდელ მუშაობას არც ხალისი ჰქონდა და არც გატაცება. არ სჩანს გარკვეული მოქმედების ტაქტიკა!!.—ეჭვიანი, ორჭოფული აზრები დაჰქროდენ გალაქტიონის თავში.—„მერე, ბიკენტიმ უნდა წარმათოს ის გზა, რომელიც ბოლშევიკებს დაამარცხებს? ვინ არის ბიკენტი? საიდან მოვიდა ის, რომ ასეთს საქმეს ჩაუდგა სათავეში? მუდამ ლეგალურად მომუშავე ჟურნალისტი, ეხლა არალეგალურ მუშაობას როგორ მოახერხებს. საბა? ერთად-ერთი საბა! იმასაც ხომ ნამდვილ ინფორმაციას არ აძლევენ. მერე? კვლავ საზღვარგარეთის იმედი! საქმე თითქო ქიშპობით, ჯიბრით და ნიშნის მოგებით კეთდებოდეს! ოოჰ, მალე, მალე კი მოელება ბოლო ბოლშევიკების ფარფაშობას, მაგრამ რატომ იგვიანებს ეს მომენტი?..

ასეთი ფიქრებით ნელის ნაბიჯით მიდიოდა გალაქტიონი არეულ ხალხში, როცა ავტომობილიდან გადმომხტარი თინა დაინახა. ეს იყო სახელმწიფო ოპერის აივანთან, ელექტროს შუქი შხეფებად ეშვებოდა ზევიდან და ამ ელექტროს შხეფებში კარგად გაარჩია გალაქტიონმა მატაფიევი, რომელმაც ხელი მოხვია თინას მკლავებში და ავტოს საფეხურიდან ჩამოიყვანა.

თინას თეთრი მსუბუქი სათეატრო კაბა ეცვა და თავზე ყვითელი ლეჩაქისებური საკრავი ჰქონდა მოხვეული. გალაქტიონმა კარგად შეამჩნია, როგორ ბზინავდა თინას თვალები, რა კმაყოფილება იხატებოდა მის სახეზე. ისიც კარგად გაიგონა მატაფიევმა რომ უთხრა—„ჩემო კარგო, ხომ კმაყოფილი ხარ? შენი გულისთვის დღეს კრებას თავი დავანებე“.

გალაქტიონი შეჩერდა, ხალხში შეერია რათა მათ აცილებოდა. მერე ფილაქანს გაჰყვა და თავის გზას გაუდგა.

აყირავდენ და ბუძგად ყალყზე დადგენ აფორიაქებული ფიქრები. გულის სიღრმეში კი ყრუ და შემკრთალი შიში შეიპარა. მტანჯველი ბოლმა ნელი ნაკადით დაიღვარა და ტკივილები აგრძნობინა.

მიდიოდა ნერვიული ნაბიჯით, მწარე ფიქრებით მოცული.

ის-იყო თეატრში მიმავალ მოფუსფუსე ხალხს გაცდა, რომ ერთ ძველ ნაცნობ მუშას შეხვდა. ორივემ განცვიფრებით დაუწყეს ერთმანეთს მზერა.

— რატომ ეგრე გაკვირვებით მიცქერი?—შეეკითხა გალაქტიონი.

— რამდენი ხანია არ მინახავხარ! შენზე კი ხშირად მიფიქრია.

— რა გიფიქრია ჩემზე, რაჟდენ?

— მოდი აქ კუთხეში, მინდა გელაპარაკო.

ხელი მოჰკიდა და იქვე კედელთან შეაჩერა.

ძველი მუშა გალაქტიონის დიდი ხნის ნაცნობი იყო. მასთან დაახლოებული, დამეგობრებული. ხშირად ჰქონიათ ერთმანეთში ინტიმური ლაპარაკი, უკანასკნელ დროს კი რამოდენიმე წელიწადია აღარ შეხვედრიან.

— რაზე უნდა მელაპარაკო, რაჟდენ, რა მოხდა?

— როგორ რა მოხდა, კაცო, ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს! მითხარი შენი აზრი!

— რის შესახებ!

— უნდა შევურიგდეთ ჩვენ ბოლშევიკებს თუ განზე დავდგეთ?

— რა გვაქვს მაგათთან შესარიგებელი, მაგათი დედაც!

— არა, გალაქტიონ, ეგრე კი არა, დავფიქრდეთ, დინჯად, წყნარად, მოსაზრებით ვილაპარაკოთ.

— კარგი, ვილაპარაკოთ. მე ვაბობ, რომ მაგათთან ჩვენ არაფერი საერთო არ გვაქვს და მაგათ წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

— მე კი მგონია, რომ საერთო ენა უნდა გამოვნახოთ და ბრძოლას თავი უნდა დავანებოთ, სულ ერთია, არაფერიც არ გამოვა.

— შენ მაგრე გგონია?

— დარწმუნებული ვარ.

—გაბოლშევიკდი?

— არა!

— მაშ?

— ის რომ... და ბოლოს ერთი მითხარით, რა მოხდა? მენშევიკების მაგიერ საქართველოს დაეპატრონენ ბოლშევიკები. მერე, რა? საქართველო ხომ ისევ თავის ადგილზეა, მტკვარი ხომ ისევ მიდუდუნებს! რა ვუყოთ რომ ზოგიერთ თავადს და ბურჟუას საქართველოდან აღგვიან. ეს უფრო უკეთესიც იქნება. მე რომ მკითხო, ნამდვილი სოციალისტები ესენი უფრო არიან. ამასთანავე, მე ვფიქრობ, რომ როგორც ჩვენში, ისე მაგათში გაივლის კოსმოპოლიტური ბავშური გატაცება და ეგენიც დადგებიან საქართველოს ნიადაგზე.

— შენ არ იცნობ ბოლშევიკების ბუნებას, თორემ ეგრე არ ილაპარაკებდი.

— ბოლშევიკის და მენშევიკის ბუნებას შორის დიდი განსხვავება არ არის, ჩემო გალაქტიონ! მე მგონი ეგენი გაიმარჯვებენ და მოდი ხელს ნუ შევუშლით.

— მაშ?

— დავეხმაროთ. ჩვენც ხომ სოციალისტები ვართ და ეგენიც.

— ეგენი მრუდე სოციალისტები არიან. მაგათ არ სწამთ ერი. ეგენი საქართველოს ღუპავენ.

— საქართველოს ვერაფერი და ვერავინ დაღუპავს, შენ არხეინად იყავი

მტკიცე, დამაჯერებელი აზრები მუშისა გალაქტიონს აოცებდა. შეუმჩნეველი ძალა, ურყევი ნებისყოფა გამოდიოდა მისი ლაპარაკიდან და თითქო ასეთი საუბარი ამშვიდებდა მას. მუშის მსჯელობა არ იყო გამოწვეული რაიმე ჟინიანობით, პარტიული ფეტიშით, ან შურისძიებით, არამედ ნაყოფი იყო გონების მსჯე-

ლობისა, უბრალო და მარტივი, და ამიტომ უფრო დამაჯერებელი, თუმცა გალაქტიონი არ ეთანხმებოდა მას.

— მაშ შენ მიდიხარ ბოლშევიკებთან, ჩაეწერები მათ პარტიაში?

— არ ვიცი... შესაძლებელია. ჯერ არ გადამიწყვეტია. სხვათა-შორის, მე ამას შენ გელაპარაკები, ხომ იცი, თორემ სხვასთან არ ვიტყოდი.

— ჰო და, თუ ძმა ხარ, ნულარც ჩემთან ილაპარაკებ.—გესლიან კილოზე სთქვა გალაქტიონმა.

— კარგი, ეგრე იყოს!

— ეხლა კი მშვიდობით. საქმე მაქვს. გაღმა უნდა გავიდე.

— ნახვამდის, გალაქტიონ, მაგრამ მაინც იფიქრე.

— ვიფიქრ ე და გადავწყვიტე კიდეც.

— რა?

— მაგათ წინააღმდეგ მუშაობა....

გალაქტიონმა მაგრად ჩამოართვა ხელი და ფილაქანს გაუდგა, ნალაპარაკევით გაბრუებული, თავგზა აბნეული და გულდაწყვეტილი.

XXIV

...„აწ რაღა დამრჩა? ნუ თუ ჰამლეტივით, საუკუნო სიჩუმე მხოლოდ?“, მისი გული ტოკავდა. საფეთქელი გამალებით სცემდა. მრავალგზის ერთი და იგივე ფიქრი უვლიდა თავში. იგონებდა მომხდარ ამბავს და მაინც ვერ გამორკვეულიყო, თუ როგორ მოხდა ყველაფერი ეს.

მისუსტებული იატაკზე წამოწვებოდა. პატარა სარკმელს, საიდანაც მბჟუტავი სინათლე ჩამოდიოდა, თვალს უშტერებდა. სარკმელი აყირავებული ჯამით იყო და მის ზევით მხოლოდ ცის პატარა ნაწილი მოსჩანდა.

საკანში მხოლოდ ხუთი ტუსაღი იჯდა. უკვე თვეები იყო გასული, რაც გალაქტიონი აქ იჯდა, და ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ დაჰკითხეს, მაგრამ ჯერ განაჩენი არ იყო გამოტანილი. მაგრამ მას განაჩენი არ აფიქრებდა იმდენად, რამდენადაც ამ ამბავის გამორკვევა...

მრავალჯერ ერთსა და იგივეს ეკითხებოდა თავის თავს: „როგორ იყო? ჰო! ჩვენ სამნი ვაყავით, სხვა არავინ. მეოთხე გვეხმარებოდა. მან არაფერი არ იცოდა. სამივე ძველი ნამუშევრები. მაშ როგორ გაიგეს ყველაფერი? რატომ ჩავარდა სტამბა? ვისზე შეიძლება შეჩერდეს გონება?

მაშ, საუკუნო სიჩუმე მხოლოდ. სხვა არაფერი? აღარც სიყვარული, აღარც ამხანაგები, აღარც გამარჯვების იმედი. დაიღუპა ყველაფერი, დაიღუპა! მაგრამ როგორ, რიდის, რანაირად? მერე, რომ ხელსაყრელი პირობებიც იყოს, შევძლებ? გავბედავ? მოვახერხებ? უნდა მოვახერხო. უნდა შევძლო! ერთხელ ჩემს სიცოცხლეში, ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა გავხდე მძლავრი... ერთხელ და უკანასკნელად“...

ურისავით სცემდა გული, თონესავით გახურებული იყო გული. ვერ ისვენებდა გონება და გამოუსავალ ადგილიდან გამოსავალს ეძებდა ფიქრი. ბევრი ფიქრებისა და ტანჯვისაგან თვალები სიღრმეში იყო წასული, გარეთ კი გაზაფხულის სუნი იდგა და ვიწრო სარკმელიდან თოკივით ეშვებოდა დღის სინათლე.

ნელი სიო ჩუმად ეშვებოდა ნესტიან კედელთან. საკანში ყველანი ძალიკზე იყვნენ წამოწოლილი და თავიანთ ფიქრებში ჩაფლული.

„დაკითხვას რომ დაამთავრებენ, ხომ მეტეხში გადამიყვანენ?“ —მრავალჯერ ჰკითხა ამხანაგებს და დასტურის მიღების შემდეგ თვალები ცრემლებით აევსებოდა. გულში კი კვლავ იმეორებდა, თითქო თავის თავს ამხნევებდა: „ერთხელ ჩემ სიცოცხლეში, მხოლოდ ერთხელ“.

ერთ დღეს გალაქტიონის ნატვრა ასრულდა, მას მეტეხში გადაყვანა გამოუცხადეს. ჯერ ბავშვივით გაუხარდა, ხტუნვა იწყო. მერე სახე მოეღუშა... ისევ გამხიარულდა და მერე ისევ ფიქრს მიეცა.

მალე საკანის კარი გაიღო და გალაქტიონს უთხრეს, რომ ბარგი შეეკრა და წასასვლელად მომზადებულიყო. მალე ყველაფერი მზად იყო. ამხანაგებს ემშვიდობებოდა.

— ყოჩაღად იყავი, მხნედ! გამარჯვებით!—ესმოდა გალაქტიონს ამხანაგების გამამხნევებელი სიტყვები. „არ შეშინდე, ყოჩაღად იყავი, მხნედ!“. თვითონაც გაიმეორა გულში.—„მაშ, მაშა, ყოჩაღად იქნება! მხოლოდ ერთხელ თავის სიცოცხლეში, მხოლოდ ერთხელ, ყოჩაღად იქნება უსათუოდ, უსათუოდ!“..

ახმაურებული და ვიწრო ქუჩები გაიარეს. სიონის ქუჩა ჩაიარეს. მოუხვიეს და ხიდის ყურს მიადგენ. ამ დროს ხიდზე ურმები გაიჭედა და ჯარისკაცებთან ერთად გალაქტიონიც შეჩერდა.

მისი გული ისე სცემდა, თითქო შიგ წისქვილი ყოფილიყოს ჩამდგარი.

„მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში, მხოლოდ ერთხელ!“.

ხიდი მალე განთავისუფლდა და მიმოსვლა განახლდა.

ზევით მეჩეხი მოსჩანდა, ქვეით კი მღვრიე მტკვარი მოგორავდა.

წითელარმიელის ჩექმას შესცქეროდა და ირიბად ხიდის მოაჯირს გახედავდა. აგერ საცაა გაივლიან ხიდს და შეუხვევენ კიდეც... მაშ... მაგრამ რატომ დაიხუთა მუხლები? რატომ მოდუნდა სხეული? აგერ ხიდის ყურსაც სცილდებიან. მერე?.. აჰ!.. კიდევ შეჩერება, დატვირთული ფურგონი ეტლს მოედო.. ეხლა? ჰო, ეხლა!.. „ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში!..

უცბად მოსხლტა, ორი ნახტომით მოაჯირთან გაჩნდა, ხელი მოხვია და გადაევლო...

წითელარმიელებმა ჯერ მისი აყირავებული ფეხები შეამჩნიეს. მერე აბურდღულებული მტკვრის ტალღები დაინახეს ჯერ ძაბრივით რომ ატრიალდა ერთ ადგილს და მერე რომ აქეთ-იქით გაიფანტა..

მალე ტალღებიც მიიჩქმალა და მტკვარმაც თავის ჩვეულებრივი მსვლელობა განაგრძო.

მ. გორკის 40 წ. იუბილე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

ცხოვრება და შემოქმედება

1868 წ.

მარტის 16-ს ნიჟნი ნოვგოროდში დაიბადა ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი — მ. გორკი.

„მამა — სალდათის შვილი იყო. დედა — მდაბიო მოქალაქე. ბაბუა მამის მხრივ — ოფიცერი. ჯარისკაცებთან სასტიკი მოპყრობისათვის ნიკოლოზ პირველის მიერ მას ჩამორთმეული ჰქონდა ოფიცრის ჩინი. ის იმდენად აუტანელი ადამიანი იყო, რომ მამაჩემი მას ათი წლის ჰასაკიდან მოკიდებული ჩვიდმეტ წლამდე ხუთჯერ გაქცევია სახლიდან...

ბებიაჩემის სიტყვით მამა ჭკვიანი, კეთილი და ძალიან მხიარული კაცი ყოფილა.

ბაბუამ დედის მხრივ თავისი კარიერა ვოლგაზე ბურლაკობით დაიწყო. სამჯერ თევზაობის შემდეგ იგი უკვე ნოქარი გამხდარა ბალახნელ ვაჭარ ზუევის ქარავანში, შემდეგ მღებაობისათვის მიუყვია ხელი, გამდიდრებულა და ნიჟნში დიდი სამღებრო დაწესებულება გაუხსნია. ჩქარა მას ქალაქში რამდენიმე სახლი შეუძენია, აგრეთვე გაუხსნია სამი სამღებრო სახელოსნო... ჰამქრის მამასახლისადაც აურჩევიათ. ამ თანამდებობაზე სამ სამწლედს დაუყვია, შემდეგ კი უარი უთქვამს შეურაცყოფილს მით, რომ ხელოსანთა მთავარ მამასახლისად არ აურჩევიათ. ის ძალიან მორწმუნე კაცი ყოფილა, მასთან მეტად დესპოტი და ძუნწი.

დედას და მამას თვითნებურად დაუწერიათ ჯვარი, რადგან ბაბუას, რასაკვირველია, არ შეეძლო თავისი საყვარელი ასული გაეტანებია „უგვარო" და „საეჭვო მომავლის მქონე ადამიანისათვის" (გორკი „ავტობიოგრაფია").

1869 წ.

გორკის მამა — მ. ს. პეშკოვი ცოლშვილით მიემგზავრება ასტრახანს.

1872 წ.

შემოდგომა. გორკის მამის სიკვდილი. დედა და შვილი ბრუნდებიან ნიჟნიში. ნიჟეგოროდის საამქრო სამმართველოში დედას შეაქვს თხოვნა, რათა იგი და მისი შვილი ალექსი, ოთხი წლისა, ჩარიცხონ საამქრო საზოგადოებაში. თხოვნას აკმაყოფილებენ.

ა. მ. პეშკოვი შემდეგ ითვლებოდა სამლებრო საამქროს ძირითად ხელოსნად—მემკვიდრეობით, რადგან მისი ბაბუა—კაშირინი საამქროს მამასახლისი იყო. შემდეგში, როდესაც ა. მ. შეიქნა მწერალი მაქსიმ გორკი, ხელოსანთა სამმართველომ იგი გადარიცხა მე-3-მე ხარისხის ხელოსნობიდან მე-2 ხარისხში, შემდეგ პირველში და ახდევინებდა მას წლიურად გამოსაღებს 6 მანეთის რაოდენობით (ა. ბელოზეროვი—„გორკის ახალგაზრდობის წლები“).

1873—74 წ. წ.

გორკი ცხოვრობს ბაბუა კაშირინის ოჯახში.

„დაიწყო და საშინელის სისწრაფით განაგრძო დენა ჟრელმა, გამოუთქმელად უცნაურმა ცხოვრებამ... ბაბუაჩემის სახლი სავსე იყო ურთიერთისადმი მტრობის ცხელ ბუღით, რომელიც „შხამავდა უფროსებს. ბავშებიც კი ცხოველ მონაწილეობას იღებდენ ამ „მტრობაში“ („ბავშობა“).

„მე არავის ვუყვარდი, გარდა ბებიასი. ეს იყო გასაოცარად კეთილი და თავგანწირული მოხუცი, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე მოვიგონებ სიყვარულის გრძნობით და პატივისცემით“ („ავტობიოგრაფია“).

ბაბუა ასწავლის გორკის წერაკითხვას ფსალმუნით და ჟამნით.

1876 წ.

„შვიდის წლისა სკოლაში მიმაბარეს. ვსწავლობდი ხუთ თვეს. ვმეცადინეობდი ცუდათ. მეზიზღებოდა სკოლის წესები, ამხანაგებიც, მიყვარდა მუდამ განმარტოებით ყოფნა. სკოლაში ყვავილი დამემართა, ამით ჩემი სწავლაც გათავდა“ („ავტობიოგრაფია“).

1876—77 წ. წ.

გორკის დედა ხელახლა გათხოვდა. გორკი დედასთან და მამინაცვალთან ერთად ცხოვრობს სორმოვოში; შემდეგ ოჯახი მიემგზავრება კუნავინოში ბაბუასთან, რომლის საქმეებიც ამ ხანებში ცუდად მიმდინარეობს; ბაბუა ყიდის სახლს და ქირაობს ორ ბნელ ოთახს სარდაფში.

1877—78 წ. წ.

გორკი ხელახლა შედის სკოლაში. ამ დროს ბაბუას სახლში უკვე სრული სილატაკე სუფევდა. გორკი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა თავის ბებიას: ეზოეზო დადიოდა, ძვლებს, ჩვრებსა და ქაღალდის ნახევებს აგროვებდა და მეძველეებზე ჰყიდიდა. მოწაფეები დასცინოდენ გორკის, მეტ სახელად მაწანწალა მათხოვარი დაარქვეს; ერთხელ კიდეც უჩივლეს მასწავლებელთან: ნაგვის სუნი უდის და მასთან ჯდომა შეუძლებელიაო.

„მახსოვს,—იგონებს გორკი,—რა მწარე შეურაცყოფა მომაყენა ამ ჩივილმა და რა ძნელი შეიქნა ჩემთვის ამის შემდეგ სკოლაში სიარული. საჩივარი ბოროტად იყო მოჭორილი: ყოველ დილით გულმოდგინეთ ვიბანდი პირს და არასოდეს არ მივსულვარ სკოლაში იმ ტანისამოსით, რომელშიდაც ჩვრებს ვაგროვებდი ხოლმე“.

მესამე კლასში გორკი ქების ფურცლით გადავიდა. მან ამ დროს სწავლას თავი დაანება.

აგვისტოში გარდაიცვალა გორკის დედა. იგი გადიტანა ჭლექმა.

„დედა რომ დავასაფლავეთ, რამდენიმე დღის შემდეგ, — სწერს გორკი, — ბაბუამ მითხრა:

— აბა, ლექსო, შენ მენდალი კი არა ხარ კისერზე, რომ მიკიდო, წადი ხალხში, ბედს ეწიე.

მეც წავედი ხალხში“ („ბავშობა“).

შემოდგომა-ზამთარი. გორკი მსახურობს „ბიჭად“ ფეხსაცმელების მაღაზიაში. იქ მან ცხელი წვენით ხელები დაიფუფქა. მაღაზიის პატრონმა ბავში ბაბუას დაუბრუნა.

1879 წ.

შემოდგომაზე გორკი მიაბარეს მხაზავ სერგეევს; აქ ხაზვის ნაცვლად ბავში რეცხდა იატაკს, სდგამდა სამოვარს, რეცხდა ჭურჭელს, სჭრიდა შეშას და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1880 წ.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი დ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი. გორკი გარბის მხაზავის ბინიდგან და ვოლგის გემზე ჭურჭლის მრეცხავად დგება. გემის მხარეული შეიქნა „პირველი მასწავლებელი“ მომავალი მწერლისა: „ეს იყო გვარდიის ყოფილი უნტერ-ოფიცერი, მიხეილ ანტონის-ძე სმური, ზღაპრული ღონის პატრონი, უხეში და მეტად ნაკითხი ადამიანი: მან აღძრა ჩემში სურვილი წიგნის კითხვისა. მანამდის კი წიგნი და ყოველგვარი ნაბეჭდი ქაღალდი ჭირივით მძაგდა, მაგრამ ჩემმა მასწავლებელმა ცემითა და ალერსით შთამაგონა წიგნის უდიდესი მნიშვნელობა და სიყვარული („ავტობიოგრაფია“).

სექტემბერში გორკი თავს ანებებს გემზე სამსახურს. ბრუნდება ბაბუასთან და ხელს კიდებს ჩიტების ჭერას.

1880—1882 წ.წ.

გორკი მსახურობს ისევ მხაზავთან. შემდეგ გემის სამზარეულოში, მერე ხატების მაღაზიაში და ბოლოს შეგირდათ ხატების სახატავ სახელოსნოში. ბევრსა და ხარბად კითხულობს.

1883—1884 წ.წ.

გორკი მსახურობს სტატისტად ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრის თეატრში. საღამოში ღებულობს 20 კაპიკს. მუშაობს ათისთავად საბაზრო შენობების შეკეთებაზე. 1884 წლის ზაფხულზე „გამიტაცა სწავლის უსაზღვრო სურვილმა, რა მიზნითაც გავემგზავრე კაზანში. ვფიქრობდი, რომ იქ ყველა მსურველს უსასყიდლოდ ასწავლიდენ. აღმოჩნდა, რომ ასეთი წესი არ არსებობდა, ამიტომ შევედი საკრენდელო ქარხანაში თვეში 3 მანეთად“ („ავტობიოგრაფია“). სამუშაო დღე 14—16 საათს გრძელდებოდა.

1885 წ.

ზაფხულზე გორკი მუშაობს მეეზოვეთ და მებაღეთ, შემოდგომაზე შედის ანტრეპრენიორ ორლოვ სოკოლოვსკის გუნდში.

1886 წ.

გორკი მუშაობს დერენკოვის საფუნთუშო ქარხანაში მცხობლის თანაშემწედ. საფუნთუშოს მოგება მიდიოდა საკონსპირაციო საქმეებზე. დერენკოვის საშუალებით გორკი პირველად ეცნობა იმ დროს გავრცელებულ რევოლუციონურ ლიტერატურას და მოღვაწეებს ნიროდნიკულ და მარქსისტულ წრეებიდან. გორკი კავშირს აბამს რევოლუციონურად განწყობილ სტუდენტობასთან და მუშებთან, ესწრება არალეგალურ კრებებს.

1887 წ.

12 დეკემბერი. გორკი თავს იჭრის რევოლვერით. მძიმე შრომა საფუნთუშო ქარხანაში, გამძაფრებული გონებრივი მუშაობა, მარტოობა, ბოლოს უშედეგო სიყვარული—აი მიზეზების მთელი ქსელი, რომელმაც გორკი მიიყვანა თვითმკვლელობამდე. გორკის მიერ „სიკვდილის წინ“ დატოვებული წერილი სავსეა ნაღველით და ირონიით. აი მისი ტექსტი:

„ჩემი სიკვდილი გთხოვთ დააბრალოთ გერმანელ პოეტს ჰაინეს, რომელმაც გამოიგონა კბილის ტკივილი გულში. ამასთანავე ვურთავ ჩემს დოკუმენტს, სპეციალურად ამ შემთხვევისათვის გასწორებულს. ჩემი ნეშთი გთხოვთ აკუწოთ და გასინჯოთ,—რა ეშმაკი იჯდა ჩემში ამ ბოლო დროს. თანდართულ დოკუმენტიდან სჩანს, რომ მე ა. პეშკოვი ვარ, ხოლო ამ წერილიდან მგონი არაფერი არა სჩანს. ვიმყოფები ნათელ გონებაზე და სრულ მეხსიერებაში. ა. პეშკოვი. გთხოვთ მაპატიოთ, რომ გაგიჩინეთ სადავიდარაბო საქმე.

1888 წ.

იანვარში გორკი გამოვიდა საავადმყოფოდან „ძალიან შერცხვენილი“ და კვლავ შეუდგა მუშაობას საფუნთუშოში.

ზაფხულში რევოლიუციონერმა-ნაროდნიკმა მ. ა. რომასმა გორკი წაიყვანა ყაზანის გუბერნიის სოფელ კრასნოვოდოვოში, სადაც მან რევოლიუციონური პროპაგანდის მიზნით გახსნა საწვრილმანო დუქანი. შემოდგომაზე კულაკებმა ცეცხლი წაუკიდეს დუქანს და დაუპირეს მოკვლა რომასსა და გორკის, რომასის ურყევი სიმტკიცისა და გორკის არაჩვეულებრივი ღონის წყალობით—ორივე ამხანაგი გადარჩა სიკვდილს.

დუქნის განადგურების შემდეგ გორკი ვოლგათი ჩადის კასპიის ნაპირებამდე, სადაც იწყებს მუშაობას მეთევზეთა ნადში, მაგრამ ჩქარა სტოვებს ამ სამუშაოს და დგება ღამის დარაჯათ ტამბოვის გუბ. რკინის გზ. სადგურ დობრინკაზე.

1889 წ.

ზამთარში გორკი მსახურობს სადგ. ბორისოგლებსკში მასალების ზედამხედველად. გაზაფხულზე მსახურობს მწონავად სადგ. კრუტაიაზე (ვოლგა-დონის ტოტი). „კრუტაიაზე მე დამნიშნეს „მწონავად“; რადგან ასაწონი იქ არაფერი მოიპოვებოდა, ჩემს მოვალეობას შეადგენდა გამესინჯა ტვირთები, რომელიც მიდიოდა ცარიცინის გზით. ტვირთების გასინჯვა აუცილებელი იყო: სადგ. კრუტაიასკენ. ალმართზე მატარებლები ნელა მოდიოდენ, რითაც მეტად სარგებლობდენ გულადი კაზაკები—თევზით და ხიზილალით სავსე კასრები მატარებლიდან ჯადოსნურად ქრებოდენ. იმ ხნებში გრიაზე-ცარიცინის გზა იმდენად ცნობილი შეიქნა თავისი ქურდობით, რომ სასაქონლო განყოფილების უფროსს ადადუროვს ნება მიეცა მოეწვია სამსახურში „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო ხალხი“, ვინაიდან ამათ არც შეუძლიათ და არც იკადრებენ ქურდობას“.

სადგ. კრუტაიადან გორკი გაემგზავრა ნიჟნიში გაწვევაზე. ემეტეს ხან ქვეითად მიდიოდა, ხან მოგზაურობდა ღამღამობით საქონლის მატარებლებზე; მან გაიარა დონის ოლქი, ტამბოვისა და რიაზანის გუბერნიები. „რიაზანიდან ოკათი,—სწერს გორკი თავის მოგონებაში, შევუხვიე მოსკოვისაკენ, და შევიარე ხამოვნიკებში, ლ. ნ. ტოლსტოისთან. სოფია ანდრეევნამ მითხრა, რომ ლევ ნიკოლაევიჩი ტროიცე-სერგიევის ლავრაში წასულიყო. მან გამიყვანა სამზარეულოში, თავაზიანათ გამიმასპინძლდა ყავათი და ნამცხვარით. სხვათა შორის მან მითხრა, რომ ლევ ნიკოლაევიჩთან დაეთრევა ურიცხვი „უსაქმური და ბნელი პიროვნება“ და რომ რუსეთი საერთოდ სავსეა ამ ბნელი უსაქმური ადამიანებით. მე თითონაც კარგად ვხედავდი ამას. გულწრფელი თავაზიანობით აღიარე, რომ ჭკვიანი ქალის დაკვირვება სავსებით სინამდვილეს შეეფერებოდა“.

ნიჟნიში გორკი გადამწერლად დაუდგა ვექილ ა. ლანინს.

13 ოქტომბერს საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს განკარგულებით, რევოლუციონერ სომოვის საქმის გამო (სომოვთან იგი ერთ ბინაზე ცხოვრობდა), გორკი დააპატიმრეს.

7 ნოემბერს გორკი გაანთავისუფლეს ციხიდან და მიუჩინეს პოლიციის ჩუმი ზედამხედველობა.

დეკემბერი. გორკი სამხედრო გაწვევაზეა.

„ჯარისკაცად არ წამიყვანეს. მხიარულმა, სქელმა ექიმმა, რომელიც ოდნავ უყასაბს წაგავდა, გამსინჯა და სთქვა:

— გახვრეტილია ფილტვი! ფეხზედაც ვენა აქვს გაფართოებული. არ ვარგა!“ (გორკი—„კოროლენკოს დრო“).

1890 წ.

ზამთარი. „ჩემი ცხოვრება აბნეული და მძიმე იყო. მე ვმუშაობდი ლუდის საწყობში, ნესტიან სარდაფში ერთი კუთხიდან მეორეში კასრებს ვაგორავებდი, ვრეცხდი და თავს ვაცობდი ბოთლებს. ამას მთელი დღე მიჰქონდა.

შემდეგ შევედი არყის ქარხნის კანტორაში, მაგრამ სამსახურის პირველსავე დღეს დამეტაკა ქარხნის მმართველის ცოლის ძაღლი—მე მუშტი გავარტყი თავში და იქვე მოვკალი პირუტყვი, რისთვისაც მყისვე გამაგდეს ქარხნიდან. ერთხელ, გაჭირვების დღეს როგორც იქნა გადავწყვიტე მეჩვენებინა ჩემი პოემა ვ. კოროლენკოსათვის“ (გორკი—„კოროლენკოს დრო“).

1891—1892 წ.წ.

აპრილში გორკი სამოგზაუროდ მიდის ნიჟნიდან. „ჩემი მოგზაურობა რუსეთში,—სწერდა იგი რამდენიმე ხნის შემდეგ,—გამოწვეული იყო არა ხეტიალის სურვილით, არამედ წადილით—მენახა სად ვიმყოფებოდი, რა ხალხი ცხოვრობდა ჩემს გარშემო“.

გორკიმ მოიარა ვოლგას ნაპირები, დონის ოლქი, უკრაინა, იყო ბესარაბიაშიდაც. 15 ივლისს, ხერსონის გუბერნიის ერთ სოფელში იგი მოწმე შეიქმნა საზარელი სურათისა: მთელი სოფელი საჯაროდ აწამებდა ქალს. ეს სცენა გორკის აღწერილი აქვს მოთხრობაში „ვივოდ“. გორკი ჩაერია ამ საზიზღარ

ბოროტებაში, მაგრამ გლეხებმა მას ისე სცემეს, რომ სიკვდილამდე მიაყენეს. ხერსონის გუბერნიიდან პერეკოპით, იალტით, ყუბანით, თერგის ოლქით და სამხედრო საქართველოს გზით გვიან შემოდგომაზე გორკი ეწვია ტფილისს. აქ ის იწყებს სამსახურს რკინის გზების სახელოსნოში. აქვე ეცნობა მუშა ახალგაზრდობას და პირველად ებმება მუშათა მოძრაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისში გორკი დაუახლოვდა ყოფილ პოლიტ-კატორღელს ა. მ. კალუჟნის, რომელმაც მომავალ მწერალზე უდიდესი გავლენა იქონია. კალუჟნი ხელმძღვანელობდა მის კითხვას, და რაც უმთავრესია, მან პირველმა იგრძნო მასში მწერლის ნიჭი, პირველმა დააჯერა იგი უკუ ეგდო თავისი გაუბედაობა და მერყეობა და ხელი მიეყო მხატვრულ პროზისათვის. კალუჟნისთან ცხოვრების დროს გორკიმ დასწერა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელიც დაიბეჭდა მთავრობის ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ში 1992 წლის 12 სექტემბერს.

ოქტომბერში გორკი გაემგზავრა უკანვე ნიჟნი-ნოვგოროდს. აქ იგი ხშირად დადიოდა კოროლენკოსთან, რომელიც შეიქნა გორკისთვის მზრუნველი და ფრთხილი ხელმძღვანელი მეგობარი.

1893 წ.

5 აგვისტოს მოსკოვის გაზეთ „რუსკიე ვედომოსტში“ დაიბეჭდა გორკის მოთხრობა „ემელიან პილიაი“.

ამ წელში გორკის მოთხრობები და ნარკვევები იბეჭდება ყაზანის გაზეთ „ვოლგის უწყებაში“ და ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგარში“.

1894 წ.

ზაფხულზე ვ. კოროლენკო ურჩევს გორკის დასწეროს მოთხრობა სქელი ჟურნალისათვის. გორკი სწერს მოთხრობას „ჩელკაშ“, რომელიც შემდეგ წელს დაბეჭდილი იქნა „რუსკოე ბოგატსტვოში“.

1895 წ.

თებერვალში კოროლენკოს რჩევით გორკი ნიჟნიდან გადადის სამარაში, სადაც ხდება „სამარის გაზეთის“ თანამშრომლად: ბეჭდავს ნარკვევებს, მოთხრობებს და ფელეტონებს იეგუდილ ხლამიდას ფსევდონიმით. ამ გაზეთში დაბეჭდილი იყო მისი „სიმღერა შევარდენის შესახებ“, „ტივებზე“, „მოხუცი იზერგილი“. ყოველდღიურად ფელეტონებისა და წერილების წერისათვის და გაზეთის შედგენაში დახმარებისათვის ხლამიდას დაენიშნა 100 მანეთი თვეში, მოთხრობებისათვის ცალკე 3 კაპიკი სტრიქონზე. „გუშინდელი მეპურე აკვირვებდა ყველას თავისი ნაკითხობით. მან მშვენიერად იცოდა ლიტერატურა, რუსული და უცხოეთის. იგი იცნობდა შექსპირს, ბაირონს, გოეტეს, შილლერს, ჰიუგოს, მოპასანს, დიკენსს, ტეკერეის, რუს მწერლებს.

1896 წ.

ამ წელს გორკი თხოულობს ცოლად ე. ვოლჟინას, რომელიც კორექტორად მსახურებდა „სამარის გაზეთში“. მაისში გორკი ისევ ნიჟნში ბრუნდება.

ავად ხდება ფილტვების ჭლექით და დეკემბერში მიემგზავრება იალტას სამკურნალოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1897 წ.

მარტში ჟურ. „ნოვოე სლოვოში“ დაიბეჭდა გორკის მოთხრობა „კონოვალოვი“. ამავე წელს იბეჭდება „ცოლქმარი ორლოვები“, „ყოფილი ხალხი“ და „მოლვა“.

1898 წ.

მარტში გამოდის გორკის „ნარკვევებისა და მოთხრობების“ პირველი სრული კრებულის ორი ტომი.

6 მაისს ტფილისის სოც-დემოკრ. წრის საქმესთან დაკავშირებით გორკის აპატიმრებენ და ეტაპით აგზავნიან ტფილისში. აქ მას მეტეხში ათავსებენ. სამი კვირის შემდეგ ათავისუფლებენ და აწესებენ მასზე პოლიციის ზედამხედველობას.

ნოემბერში გორკი უგზავნის წერილს და თავის წიგნებს ანტონ ჩეხოვს. მათ შორის იწყება მიმოწერა.

1899 წ.

მარტში გორკი შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით მიემგზავრება ყირიმში. მისი ფილტვები სერიოზულად არის დაავადებული. სექტემბერში გამოდის მისი „ნარკვევებისა და მოთხრობების“ მეორე გამოცემა. ოქტომბერში გორკი პირველად ჩადის პეტერბურგში.

1900 წ.

იანვარში გორკი გაეცნო ლ. ნ. ტოლსტოის, რომელმაც თავის დღიურში 16 იანვარს ჩასწერა: „იყო გორკი. ძალიან კარგად ვილაპარაკეთ. მე ის მომეწონა. ნამდვილი ხალხიდან გამოსული ადამიანია“. გორკისთან შეხვედრის მეორე დღეს ტოლსტოიმ უთხრა პოსსეს: „მის სამუდამო დამსახურებას შეადგენს ის, რომ მან გვიჩვენა ცხოველი სული ბოსიაკში. დოსტოევსკიმ ეს დამნაშავეში გვიჩვენა, კორკიმ—ბოსიაკში“.

ივლისში გამოდის გორკის მოთხრობების ოთხი ტომი. რუსული წიგნის ვაჭრობის ისტორიაში პირველად გორკის ტომები გასაღდა რამოდენიმე ათეულ ათას ეკზემპლიარად—ჩქარა მათმა ტირაჟმა მიაღწია ვეებერთელა რიცხვს—100.000-სს.

1901 წ.

თებერვალ-მარტში გორკი პეტერბურგში იმყოფება. პოლიციის დეპარტამენტის ცნობით გორკი პეტერბურგში ყოფნის დროს „ტრიალებდა ოპოზიციონურად და რადიკალურად განწყობილ მწერალთა წრეში, იღებდა მონაწილეობას საზოგადოების აღელვებაში. ა. წ. 4 მარტს ყაზანის ტაძართან მომხდარ დემონსტრაციის ამბებთან დაკავშირებით და სხვებთან ერთად ხელი მოაწერა ამ ამ-

ბის გამო რუს მწერალთა ურთიერთ დამხმარე კავშირის მიერ შედგენილ პროტესტს.

ჟურნალ „ჟიზნის“ აპრილის ნომერში იბეჭდება გორკის „ქარიშხალას სიმღერა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკი უახლოვდება სოციალ-დემოკრატიის უაქტიურეს ნაწილს. ამ-თმელიც გაერთიანებული იყო გაზეთ „ისკრას“ გარშემო, ამ გაზეთს ხელმძღვანელობდა **ვლადიმერ ლენინი.**

17 აპრილს გორკის ისევ აპატიმრებენ. მას ბრალად ედება მიმეოგრაფის შეძენა სორმოვის მუშებისადმი როვოლუციონურ მოწოდებათა დასაბეჭდად. ერთი თვის შემდეგ მას ათავისუფლებენ. სექტემბერში დადგენილი იქნა გორკის გადასახლება ქ. არზამასში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ოქტომბერში ტუბერკულოზით დაავადებულ მწერალს მთავრობა ნებას რთავს გაემგზავროს ყირიმში. 7 ნოემბერს ნიჟნის რევოლუციონური ახალგაზრდობა გორკის უმართავს საზეიმო გაცილებას, რომელიც იქცევა დემონსტრაციათ. ქალაქში ავრცელებენ პროკლამაციებს, სადაც მოუწოდებენ ხალხს მხარი დაუჭირონ „სუსტს, მაგრამ აქტიურ პროტესტს“ და გააერთიანონ პოლიტიკური ბრძოლა გორკის გარშემო, რომელმაც უმღერა „მამაცთა უგუნურებას“.

„დეე,—ეწერა პროკლამაციაში,—მის იდეებს გამოუჩნდენ მიმდევრები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც“.

ნოემბერში გორკი ჩავიდა ყირიმში და დაბინავდა ოლეიზში.

1902 წ.

თებერვალში რუსეთის (მაშინ საიმპერატორო) მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილების სხდომაზე მაქსიმ გორკი არჩეულ იქნა საპატიო აკადემიკოსად. აკადემიკოსმა ა. ვესელოვსკიმ დაუყოვნებლივ აცნობა გორკის ამის შესახებ.

გამოქვეყნდა თუ არა გაზეთებში ცნობა „სახელოვანი ბოსიაკის“ აკადემიკოსად არჩევის შესახებ, აკადემიის „უტაქტობით“ აღშფოთებულმა რეაქციონურმა წრეებმა ერთი ალიაქოთი ასტეხეს. მაქსიმ გორკი იმ დროს რევოლუციის მრისხანე სიმბოლოს წარმოადგენდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთიდან ამონაჭერი ცნობა გორკის არჩევის შესახებ ველენის ქალალდზე დააკრა, ზედ დაურთო პოლიციის დეპარტამენტის ცნობა ახლად არჩეული აკადემიკოსის პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოების შესახებ და წარუდგინა ნიკოლოზ მეორეს.

ნიკოლოზმა პირველად გაიგონა ვიღაც მწერლის გორკის სახელი. მან ძალიან გაიკვირვა, რომ საიმპერატორო აკადემიას თავის წევრად აერჩია ადამიანი, რომელიც უკვე 1895 წლიდან ეკუთვნოდა „თვითმპყრობელობისადმი მტრულად განწყობილ პირთა რიცხვს“. მეფე განსაკუთრებით იმ გარემოებამ გაანცვიფრა, რომ ახალი აკადემიკოსი ჯერ კიდევ სასამართლოს ძიების ქვეშ იმყოფებოდა: მას ბრალად ედებოდა პროკლამაციების საბეჭდი მიმეოგრაფის შეძენა. გაკვირვებულმა და აღშფოთებულმა თვითმპყრობელმა დასწერა რეზოლუცია: „Более чем оригинально“.

მეცნიერებათა აკადემია დატუქსეს. ამას შედეგად მოჰყვა აკადემიის ცნობილი განცხადება „მთავრობის მოამბეში". ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ გორკის არჩევის დროს აკადემიკოსებმა არ იცოდნენ, თუ მწერალი 1035 მუხლის ძალით პასუხისგებაში იყო მიცემული და ამიტომ არჩევნები უკანონოთ ცხადდებაო.

აკადემიის ამ მშიშარა დადგენილებამ უღრმესი აღშფოთება გამოიწვია იმ დროინდელ მოწინავე ინტელიგენციაში. ვ. კოროლენკომ და ანტონ ჩეხოვმა უკანვე დაუბრუნეს აკადემიას თავისი საპატიო აკადემიკოსობის დიპლომები.

26 მარტს მოსკ. სამხატვრო თეატრში პირველად იდგმება გორკის „მეშჩანე". გამომცემლობა „ცოდნას" მიერ გამოცემული ეს პიესა საღდება 40 ათასზე მეტი ცალი.

დეკემბერში, მოსკ. სამხ. თეატრშივე იდგმება გორკის მეორე პიესა „ფსკერზე".

1903 წ.

თებერვალში აკრძალული იქნა „ფსკერზე"-ს დადგმა. ზაფხულში გორკი მოემგზავრება საქართველოში და ფეხით მოგზაურობს შავი ზღვის ნაპირებზე.

უცხოეთის ჟურნალ „ოსვობოჟდენიეში" დაბეჭდილი იქნა გორკის სასტიკი წერილი კიშინიოვში მომხდარი პოგრომის გამო.

პიესა „ფსკერზე" გასაღდა 80 000 ცალზე მეტი.

1904 წ.

იანვარში გამოდის კრებულ „ზნანიეს" პირველი ტომი. კრებულების გამოცემას ხელმძღვანელობს გორკი.

ნოემბერში, პეტერბურგში, კომისარჟევსკის თეატრი სდგამს გორკის პიესას „მოაგარაკენი".

1905 წ.

9 იანვრის ამბების წინ ოთხი-ხუთი დღით ადრე გორკი მუშებისაგან გაიგებს, რომ განზრახულია გრანდიოზული მსვლელობა სასახლისაკენ. გორკიმ გაითვალისწინა, რომ ამას შედეგად უსათუოდ მოჰყვებოდა სისხლის ღვრა. არავითარმა რჩევამ, რომ თავი დაენებებიათ ამ განზრახვისათვის მუშებზე არ გასჭრა; ამავე დროს გორკიმ იცოდა, რომ მთავრობა ემზადებოდა მუშების „შესახვედრად". მაშინ გორკიმ 8 იანვარს საღამოთი „ნაში დნი" ს რედაქციაში ლიტერატორებს მიმართა წინადადებით, რათა მეცნიერებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს დეპუტაცია გაეგზავნათ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის და მოეთხოვათ მისგან რომ მთავრობას 9 იანვარს ქუჩებზე ჯარი არ ეამოეყვანა. შინაგან საქმეთა მინისტრმა სვიატოპოლკ-მირსკიმ დეპუტაცია არ მიიღო. ვიტტე თუმცა თავაზიანად ესაუბრა დეპუტაციას, მაგრამ განუცხადა, არაფრის გაკეთება არ ძალ მიძსო. 9 იანვარს მშვიდობიანი და უიარაღო მუშათა დემონსტრაცია მთავრობამ დახვრიტა. მეორე დღეს გორკიმ შეადგინა პროკლამაცია-ანგარიში 9 იანვრის სისხლიანი ამბების შესახებ. ამ პროკლამაციის ხელნა-

წერი ჟანდარმებს ჩაუვარდათ ხელში. გორკი რიგაში იყო წასული, მაგრამ დააპატიმრეს და პეტრეპავლეს საპყრობილეში ჩასვეს.

ციხეში გორკი სწერს ახალ პიესას „მზის შვილები“.

გორკის დაპატიმრებამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთსა და უცხოეთში. გორკის პიესების დადგმის დროს გორკის საპატივსაცემო მანიფესტები და ყვირილი „გაუმარჯოს გორკის“!—ჩვეულებრივი ამბავი შეიქმნა რუსეთის პროვინციებში. მანიფესტაციები ეწყობოდა მთელი მსოფლიოს დიდსა და მცირე ქალაქებში. ანატოლ ფრანსმა პარიზში მიტინგზე განაცხადა, რომ „გორკი მარტო რუსეთს კი არა,—მთელ მსოფლიოს ეკუთვნისო“. საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო უცხოეთის მწერალთა პეტიცია, სადაც ნათხოვნი იყო გორკის საპატიმროდან განთავისუფლება. „მკაცრმა განაჩენმა, ან ხანგრძლივმა პატიმრობამ შეიძლება რუსეთსა და მთელ კულტურულ მსოფლიოს წაართვას შემოქმედებითი გენია, რომელსაც შეუძლია კიდევ ბევრი რამ შექმნას“,—ეწერა პეტიციაში.

20 თებერვალს გორკი განთავისუფლებული იქნა პეტრეპავლეს საპყრობილედან. მისი საქმე სასამართლოს გადაეცა. მაგრამ მთავრობამ, რომელსაც საზოგადოებრივი პროტესტის მოერიდა, მიაფუჩეჩა გორკის საქმე.

ოქტომბერში (17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ) პეტერბურგში გორკის უახლოესი მონაწილეობით არსდება სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნოვაია ჟიზნ“. გაზეთის ფაქტიურ რედაქტორად იყო ვ. ლენინი.

2 დეკემბერს მთავრობამ გაზეთი დახურა.

დეკემბერში გორკი მოსკოვში იმყოფება. შეიარაღებული აჯანყების დროს გორკი მონაწილეობას იღებს რევოლუციონერთა დამხმარე ორგანიზაციაში.

1906 წ.

იანვარში გორკი მიემგზავრება უცხოეთში, რადგან გააფრთხილეს, დაჭერას გიპირებენო. აპრილში გორკი ამერიკაშია, გამოდის მიტინგზე და ათავსებს წერილებს გაზეთებში, სადაც მოუწოდებს ამერიკელებს მხარი დაუჭირონ რუსეთის რევოლუციას. სწერს პამფლეტს „მშვენიერი საფრანგეთი“. პამფლეტი მიმართულია საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც რუსეთის თვითმპყრობელურ მთავრობას სესხი მისცა.

ამერიკაში გორკი მუშაობს რომან „დედა“-ზე.

ოქტომბერში ჩადის იტალიაში და სახლდება კუნძულ კაპრიზე.

მაისში გორკი როგორც დელეგატი სათათბირო ხმით მონაწილეობს რუს. სოც.-დემოკრ. პარტიის ლონდონის ყრილობაზე.

დეკემბერში გაზეთებში იბეჭდება გორკის პროტესტი იმ რეპრესიების გამო, რომელიც გაატარა რუსეთის მთავრობამ ფინეთში.

იბეჭდება გორკის შემდეგი ნაწერები: „ამერიკაში“, „ჩემი ინტერვიუები“, „მტრები“, „ამხანაგი“, „დედა“. უკანასკნელმა ნაწარმოებმა, სადაც ასახულია რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის საზოგადოებაზე.

1908 წ.

გორკისა და ლენინს შორის, რომელიც იმ დროს ჟენევაში ჩავიდა, იწყება მიმოწერა, რასაც მოსდევს მათი მჭიდრო დაახლოებაც.

საერთოდ ცნობილია ლენინის დამოკიდებულება გორკისადმი. ლენინი აფასებდა გორკის არა მარტო როგორც ახალი რევოლუციონური რუსეთის უდიდეს მხატვარს; გორკის შემოქმედებით პიროვნებაში ლენინი ხედავდა უძლიერეს მოკავშირეს საერთო საქმისათვის ბრძოლაში, თანამებრძოლს, რომელიც ხმარობდა სხვა იარაღს. გორკის ამ იარაღს, მხატვრულ სიტყვას, ლენინი ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა. იგი უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა გორკის ყოველ ლიტერატურულ-პოლიტიკურ გამოსვლას. ლენინი გორკიში აფასებდა დიდ ადამიანს, გამოსულს იმ ქვედა ფენებიდან, რომელთა გამარჯვებაში ილიჩი ხედავდა კაცობრიობის ისტორიის ახალ ეტაპს.

თებერვალ-მარტში ლენინი აწარმოებს მოლაპარაკებას ლუნაჩარსკისთან, რათა გორკიმ მონაწილეობა მიიღოს ბოლშევიკების გაზეთ „პროლეტარში". თითონ გორკის ლენინი 13 თებერვალს სწერს: „თქვენი განზრახვა „პროლეტარისათვის" პატარ-პატარა ნაწარმოებთა მოწოდების შესახებ მე მეტის მეტად მახარებს. მაგრამ, ცხადია, თუ სხვა დიდი სამუშაო გაქვთ, ნუ გაცდებით".

მარტში დაიწყო ფილოსოფიური დავა ლენინსა და „ვპერიოდოველთა" ჯგუფებს შორის, რომელთაც მიემხრო გორკი.

გაზაფხულზე ლენინი ესტუმრა გორკის კუნძულ კაპრიზე.

1909 წ.

ზაფხულზე გორკი უახლოეს მონაწილეობას იღებს პარტიული სკოლის მოწყობაში კუნძულ კაპრიზე. გორკი კითხულობდა ლექციებს ლიტერატურაზე; ეს ლექციები, მსმენელების სიტყვით, ძალიან ორიგინალურად იყო დალაგებული. განსაკუთრებით კარგი იყო პუშკინისა და გოგოლისათვის მიძღვნილი ლექციები. ოქტომბერში სკოლა დაიკეტა. ამისი მთავარი მიზეზი იყო ბრძოლა, რომელიც „ვპერიოდელებსა" და „ლენინელებს" შორის გაჩაღდა.

დეკემბერში ბურჟუაზიულ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, სადაც ლაპარაკი იყო ბოლშევიკური პარტიიდან გორკის ვითომც და გაძევების შესახებ. ამის საპასუხოდ ლენინმა „პროლეტარში" მოათავსა წერილი სათაურით: „ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი გორკის გაძევების შესახებ".

ლენინი სწერდა: „ბურჟუაზიულ გაზეთებს სწადიათ, რომ გორკიმ დასტოვოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ გააღვივონ უთანხმოება სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით და გამოხატონ იგი დამახინჯებულად. ამაოდ ირჯებიან ბურჟუაზიული გაზეთები: ამხანაგი გორკი თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით საკმაოდ მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას იმისათვის, რომ მან ზიზღით უპასუხოს ამ ბურჟუაზიულ გაზეთებს".

ამავე წელს დაიბეჭდა გორკის „აღსარება" და „უმაქნისი კაცის ცხოვრება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

1910 წ.

ზაფხულზე ლენინმა რამოდენიმე დღე გაატარა კაპრიზე, გორკისთან, ლენინი გამოსთქვამდა აზრს სქელი ჟურნალის საჭიროების შესახებ ბოლშევიკური ლიტერატურული ძალების შემოკრების მიზნით. დაიბეჭდა გორკის „ზაფხული“ და „ქალაქი ოკუროვი“.

1911 წ.

დაიბეჭდა გორკის მოთხრობა „ცხოვრება მათე კოჟემიაკინისა“.

ბოლშევიკურ „ზვეზდაში“ გორკიმ დაბეჭდა რამდენიმე „ზღაპარი“, რომელთაც ლენინმა უწოდა საუცხოვო „რევოლუციონური პროკლამაციები“.

1913 წ.

გაზეთ „რუსკოე სლოვოში“ დაიწყო გორკის მოთხრობის „ბავშობის“ ბეჭდვა.

31 დეკემბერს გორკიმ ისარგებლა რამანოვთა გვარის სამასი წლის თავზე გამოსული ამნისტიით და დაბრუნდა რუსეთში.

1915—1916 წ.წ.

გორკი რედაქტორობს მის მიერვე დაარსებულ სამხატვრო-სალიტერატურო და პოლიტიკურ ჟურნალს „ლეტოპის“-ს, რომელმაც იმპერიალისტური ომის მიმართ დაიკავა შეურიგებელი ინტერნაციონალისტური პოზიცია, რითაც უდიდესი აღშფოთება და მძულვარება გამოიწვია რეაქციონურ და ლიტერატურულ ობორონცების წრეებში.

ამავე დროს გორკი აარსებს წიგნების გამომცემლობას „პარუს“-ს.

1917—1918

გორკი აარსებს და ხელმძღვანელობს ინტერნაციონალისტური ხასიათის გაზეთ „ნოვაია ჟიზნ“-ს.

1919 წ.

გორკი აარსებს „სწავლულთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას“. სათავეში უდგება თავის მიერვე დაფუძნებულ გამომცემლობა „მსოფლიო ლიტერატურას“, რომელსაც განზრახული ჰქონდა გამოეცა რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

1920 წ.

ჟურნალ „კომუნისტურ ინტერნაციონალში“ დაბეჭდილია მთელი რიგი წერილებისა. მათ შორის ლენინის შესანიშნავი დახასიათება.

1921 წ.

ოქტომბერში ავადმყოფობის გამო, გორკი ლენინის რჩევით სამკურნალოდ მიემგზავრება საზღვარგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წ.

დაიბეჭდა გორკის მოგონებები ლენინზე.

1927 წ.

ცალკე გამოცემად გამოვიდა რომანი „კლიმ სამგინი“.

1928 წ.

28 მარტს საბჭოთა პრესისა და საზოგადოებრივობის მიერ ზეიმით იქნა გადახდილი გორკის 60 წლის შესრულება.

28 მაისს გორკი ჩამოდის საბჭოთა კავშირში. მას უდიდესი ენტუზიაზმით ხვდებიან მშრომელნი.

ერთ თავის მისალმებაში გორკი ამბობდა:

„მე არ ვიცი სად ან როდის შეხვედრიან მწერალს მისი მკითხველები ასე მეგობრულად და სიხარულით. ამ სიხარულმა სახტად დამტოვა. მე არა ვარ ქედმაღალი და არ ვფიქრობ, რომ ჩემი მუშაობა ღირსია ასეთი დიდი შეფასებისა. ყველაზე საყურადღებო და სასიხარულო ამ შემთხვევაში ის არის, რაც ვნახე და ვიგრძენი: ჩვენი კავშირის ახალგაზრდა ძალებმა იციან მუშაობის დაფასება, იციან ამ მუშაობით აღტაცება“.

გორკი სათავეში უდგება ჟურნალებს „ჩვენი მიღწევები“ და „სალიტერატურო სწავლა“-ს.

1931 წ.

გორკის ინიციატივით საკ. კომპ. (ბ) ცეკას გამოაქვს დადგენილება „სამოქალაქო ომების ისტორიის“ და „ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ შექმნის შესახებ.

ამ ორი უზარმაზარი სერიის წიგნებზე სამუშაოდ გორკი იწვევს სამოქალაქო ომების მონაწილეებს და მუშებს და აყენებს ლოზუნგს: „ქარხნების ისტორიის“ შექმნის საქმე თვით მუშების საქმეა“.

1932 წ.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის (ბ) მეთაურობით უდიდესი ზეიმით იხდის გორკის ლიტერატურილი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს. გორკის ლიტერატურულ დამსახურებათათვის ენიჭება ლენინის ორნი. მის მშობლიურ ქალაქს ნიჟნი-ნოვგოროდს ერქმევა მისი სახელი — გორკი.

მწერლები მაქსიმ გორკის შესახებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჟდენ კალაძე

მაქსიმ გორკის დიადი მხატვრულ ენერგიის ნაკადმა რუსეთის იმ დროინდელი რეაქციის მაგარი და მძიმე ქერქი პირველად საქართველოს დედა ქალაქში ამოხეთქა!

მაგრამ სამწუხაროდ ქართული მწერლობისათვის ეს სრულიად შეუმჩნეველი დარჩა.

ნინოშვილმა, მართალია, სწორედ იმ დროს—1892 წელს,—როცა მაქსიმ გორკის მხატვრულმა ენერგიამ ტფილისში გაიელვა „მაკარ ჩუდრას“ სახით, გადმოიტანა ტფილისში თავისი მოქმედების ცენტრი, მაგრამ ამ მოქმედების მთავარი მიზანი მხატვრული შემოქმედება კი არ იყო, არამედ—საქართველოში რევოლიუციონურ-სოციალისტური ჯგუფის შექმნა.

აი ამით აიხსნება ის ძნელად გასაგები მოვლენა, რომ გორკის და ნინოშვილის მხატვრული პროლეტარული ნაკადები დიდი ხნის განმავლობაში (1890-1920 წ-დე) ვერ შეემდინარენ ერთი მეორეს და განცალკევებულად მსვლელობდენ თავიანთ წიაღში.

მაგრამ ძლევამოსილმა რუსულმა პროლეტარულმა რევოლიუციამ დაუახლოვა ეს ნაკადები ერთმანეთს, შეაერთა ისინი და ერთ დიად—მჩქეფარე მდინარედ აქცია—ესაა საბჭოეთის ახლანდელი მრავალენიანი, მაგრამ ერთ შინაარსიანი პროლეტმწერლობა. ნინოშვილის ყოველგვარი მოქმედება და სიცოცხლე ადრე შეწყდა (1894 წელს).

მარქსიმ გორკის მხატვრობამ კი ფრთები ძალუმად გაშალა და მთელი რუსეთის რევოლიუციონური მწერლობა თავისი გავლენის ქვეშ დააყენა. არ შეიძლებოდა ეს გავლენა არ განეცადა იმ დროინდელ ქართულ მწერლობის უფრო რევოლიუციონურ ნაწილს, „მესამე დასელების“ მწერლობას.

ჩვენ, „მესამე დასელები“ თავიდანვე (1897-8 წ. წ.) ძალიან ვეტანებოდით და ხარბათაც ვკითხულობდით გორკის ნაწერებს, ძალიანაც მოგვწონდა მისი იდეალიზაციაქმნილი „ბოსიაკები“, მაგრამ მისი, „ბურევესტნიკის“ („გრიგალას სიმღერა“) დაბეჭდვის დღიდან ეს ბოსიაკები ერთიანად მივივიწყეთ და სულ რევოლიუციის აფეთქებაზე ვოცნებობდით.

მაგონდება თუ როგორ გამიტაცა ამ სიმღერის გადათარგმნის სურვილმა, როგორ დაუყონებლივ გადავთარგმნე ის ქართულად და როგორ მიურბენია დასაბეჭდათ ჟურნ. „კვალის“ რედაქციას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემთვის სხვას

ოესწრო და ეთარგმნა; მისი თარგმანი უკვე აეწყოთ და დასაბეჭდად გაემზა-ებიათ: რაღა გაეწყობოდა, ჩემი ნათარგმნი უკანვე უნდა წამომეღო, თუმცა ედაქციის მიერ ესეც მოწონებული იყო.

ამით დაიწყო გორკის მხატვრობის გავლენა ქართულ მწერლობაზე და სა-ართველოს რევოლიუციონურ მოძრაობაზე.

ბიბლიოთეკა

არც ერთს რუს-მწერალს არ ხვდომია წილად ისე უხვად და ვრცლად არგმნა ქართულ ენაზე, როგორც ეს ხვდა მარქსიმ გორკის.

ყოველი ქართველი ს. დ., განსაკუთრებით ბოლშევიკი ამაყობდა გორკის ახელით, რომ ასეთი დიდი და განთქმული მწერალი და ხელოვანი ჰყავდა მას არმომადგენლად ხელოვნების სფეროში.

გორკიმ ჩემი აზრით უმაღლეს წერტილს მიაღწია თავის მხატვრულ შემო-მედებაში რუსეთის პირველ (1905 წ.) პროლეტარული რევოლიუციის გავლე-ის ქვეშ, რაც გამოიხატა მისი რომანიო—„დედა“ (Мать)“, სადაც მან მუშათა ლასის პროლეტარული დიქტატურის და ჰეგემონიის იდეა პირველად (1906 წ.) ატარა მხატვრულ მწერლობაში.

აქ ჩაუყარა მან საფუძველი მომავალ რუსულ პროლეტმწერლობას. მისი ეს წერი შეიქნა გამოსავალი წერტილი შემდგომში რუსული პროლეტმწერლობის ომანის განვითარებისა.

გორკი არ დაკმაყოფილდა სამაგალითო ნიმუშის მოცემით და ხანგრძლივი 907-8 წლის) გადახვევა სიჩუმის შემდეგ (1914 წელს) ორგანიზატორობაც ისრა და თავი მოუყარა ერთ ლიტერატურულ კრებულში ყველა იმ დროინ-ელ მუშა-პროლეტმწერლებს, რომელთაც მკვიდრი საფუძვლები ჩაუყარეს სა-ოლოოდ მომავალ ძლიერს მხატვრულ პროლეტმწერლობას.

ამრიგად მარქსიმ გორკის სახით მხატვრული მწერლობა მჭიდროდ დაუ-ვშირდა მუშათა კლასის პროლეტარულ მოძრაობას, მისი პარტიის გმირულ ბრძოლას, რითაც მან მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა მსოფლიო პრო-ეტარიატის საკაცობრიო მაღალ სოციალისტურ მწვერვალზე აღიყვანა.

მისი პიროვნება შესანიშნავი და მომხიბლავი შეიქნა უმეტესად იმით, რომ ნ თავისი მაღალ ხარისხოვანი მხატვრული ოსტატობით და პირადი პრა-ტიკული მოქმედებით ხელოვანი და რევოლიუციონერი განუყრელ არსებად აქ-ია. მასში ვერ გამუაცალკევებ მხატვარს რევოლიუციონერისგან, და რევო-იუციონერს მხატვრისაგან როგორც ეს სხვა მწერლებში ხდება.

ხელოვანი უმეტესად ხელოვანია: პოლიტიკას და პარტიას ის პასიურად სახურება.

მარქსიმ გორკი ამ საზღვარს გასცდა და ის ერთნაირი პირადი აქტივო-ით ემსახურებოდა და ემსახურება როგორც პარტიას ისე ხელოვნებას.

აი რითია ყველაზე უფრო შესანიშნავი და მომხიბლავი მაქსიმ გორკი ელი მსოფლიოს ხელოვანთა შორის.

დღეს იგი ჯანით დასუსტებული, წელთა სიმრავლით და სიმძიმით წელში ახრილი კვლავ ძველებური სიმხნევით და ენტუზიაზმით ემსახურება სოცია-იზმის საქმეს. წინათ—რუსეთში პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების

საქმეს, ახლა რევოლიუციით მოპოებულ საფუძველზე, სოციალიზმის შენების საქმეს.

აი რაში უნდა მიბაძოს მას დღეს ქართველმა მწერლებმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

1902-3 წწ. მაქსიმ გორკი დიდად პოპულარული მწერალი იყო ჩვენში. ეს შეეხება იმ დროინდელ თაობას, რომლის გეზი იმ თავიდანვე რევოლიუციისკენ იყო მიმართული. მ. გორკის მოთხრობების პირველი წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდენ. „სერიოზულ“ ყმაწვილს მაშინ — მოშვებული თმა, მოშვებულივე გინგლოვანი წვერულვაში, „წყეული“ ფიქრებით დადაღული სახე, ჩაცმულობა, როგორც ზედმეტი, მაგრამ სამწუხაროდ აუცილებელი ბარგი — სხვა აკრძალულ წიგნებთან ერთად მაქსიმ გორკიც უნდა ჰქონებოდა. მახსოვს 1903 წ. გიმნაზიაში რუსულ ლიტერატურას გვასწავლიდა რუსეთიდან ახლად ჩამოსული პედაგოგი ა. ნ. ილინსკი. ლიტერატურის კარგი მცოდნე და მოყვარული კაცი, მოწინავე იდეებით გატაცებული. ერთხელ გაკვეთილზე მ. გორკის ახალი ტომი შემოიტანა. გადაშალა და „Двацать шесть и одна“-ს ხმამაღლა კითხვას შეუდგა. ამ დროს მოულოდნელად კლასში დირექტორი შემოვიდა. ილინსკიმ ვერც მოასწრო და არც იკადრა წიგნის დამალვა. შენიშვნა მიიღო. შემდეგში, რა თქმა უნდა, მ. გორკის გაკვეთილებზე არ გვიკითხავდა, მაგრამ სათითაოდ ყოველთვის გვირჩევდა ხოლმე, გორკი უთუოდ წაიკითხეთო.

მ. გორკის რომ დიდძალი მკითხველები ჰყავდა საქართველოში ეს იქიდანაც სჩანს, რომ არც ერთი რუსი მწერალი იმდენი არ გადმოთარგმნილა ქართულად, რამდენიც გორკი (იხ. ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი სია, საალიტერატურო გაზეთში). მე მგონია, რომ მ. გორკის გავლენა ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებაზე უთუოდ იყო. ჩვენმა კრიტიკამ ამის კონკრეტული მაგალითები უნდა გვიჩვენოს. მაგრამ ის გარემოება, რომ უდავოდ მისათითებელი არავინ გვყავს, იმის მაჩვენებელია, რომ ამ გავლენას ჩვენს მწერლობაში შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. ეს მით უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია, რომ მ. გორკი უახლოეს რუსულ ლიტერატურაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს, ხოლო მხატვრული შემოქმედების სიღრმისა და სიფართის ღირსებით მე-19 საუკ. ყველაზე უფრო თვალსაჩინო კლასიკოსების დიდი სახელობის ლიტერატურულ გამგრძელებლად ჩაითვლება.

მ. გორკის შემოქმედებითი პროდუქცია სამ თუ ოთხ მთავარ ჯგუფად შეიძლება დავანაწილოთ. ამ ანკეტაში, რა თქმა უნდა, მე არ შეუდგები მათ დახარისხებას და შეფასებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ მ. გორკის შემოქმედების პირველი და მეორე პერიოდის პიტარა მოთხრობები იმით არიან სხვათაშორის თვალსაჩინონი, რომ ამჟღავნებენ გორკის მხატვრული ნიჭის გასაკუთრებულებას და ატარებენ სპეციფიურს და, ჩემის აზრით განუმეორებელს, გორკის ხაზს

რუსულ ლიტერატურაში, ამათ რიცხვში მოვაქცევ მის პიესებსაც („Мещане“ „На дне“). მაგრამ მ. გორკი, როგორც მწერალი, გაცილებით უფრო დიდად გვევლინება, როგორც ავტობიოგრაფულ ხასიათის ნაწარმოებების ავტორი, სრულიად სწორად მიმაჩნია რუსული კრიტიკის აზრი ამ შემთხვევაში, რომელიც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთნებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი ლიტერატურული ღირსებით და სოციალური მნიშვნელობით, განსაკუთრებით ზოგი მათგანი იმ შედევრების რიცხვში მოვაქციოთ, რომლებიც დარჩებიან რუსულ მწერლობაში ლიტერატურული ძეგლების სახით.—სახეთა და ხასიათთა გალერეა, დაკვირვების სიღრმე და მხატვრული მოხაზვის სიძლიერე, ზუსტი რეალიზმის მკაცრ ფარგალში მოქცეული აი, ის დიდი შემოქმედებითი მიღწევა, რომელიც მ. გორკიმ მისცა რუსულ მწერლობას. „Детство“, Мои университеты“-ში მოქცეული ავტობიოგრაფ. მოთხრობები და სხ.

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვით არ შევეხო „არტამონოვის საქმეს“, იმიტომ კი არა რასაკვირველია, რომ ეს რომანი მე ვთარგმნე ქართულად. იგი მრავალ მხრივ არის დამახასიათებელი მ. გორკის შემოქმედებისათვის. ჩემის აზრით ამ ნაწარმოებებით შეიძლება გაიზომოს მ. გორკის შემოქმედებითი შესაძლებლობანი. რომლებიც დიდ ტილოზე უფრო სჩანან,- რომანი აგებულია ლ. ტოლსტოის მიერ თავის დროზე მოწონებულ რუსეთის სინამდვილის მასალაზე, რომელიც ავტორმა რუსული ლიტერატურის მდევს წინასწარ გააცნო. ეს არის ცდა რუსეთის ასახვისა ბატონყმობის გადავარდნიდან ვიდრე რევოლიუციამდე სამი თაობის საქმე და ამბავი. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ყოფის, ხასიათის და სულის საოცარ თავისებურებათა და ხვეულთა შეგრძნობას და ცოდნას ავტორი ამ რომანშიაც დიდი ოსტატობით იყენებს. იგი ამ მხრით დიდ სიმაღლეს აღწევს. ეს ის სიმაღლეა, რომელიც სრულიად დაპყრობილი აქვთ კარამაზოვებისა და კარატაევის ავტორებს. მაგრამ მ. გორკის მხატვრული სინტეზები ამ რომანში სწორედ იმიტომ გამოჩნდენ მკრთალად, რომ ისინი ტოლსტოისა და დოსტოევსკის სინტეზების კვალში ჩადგნენ და მათგან დაიჩრდილენ; კომპოზიციის და თემის მაშტაბის მხრით კი, ეს რომანი მაინც იმდენად საყურადღებოა, რომ მ. გორკის მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის: ის მოწმობს გორკის უფრო დიდი მხატვრული ზრახვისა და გაქანების შესახებ, ვიდრე მას ჰქონდა შემოქმედების წინა პერიოდებში.

დავით სულიაშვილი

მ. გორკის ნაწერებს გავეცანი 1902-3 წლებში. ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია მისმა ნაწარმოებმა ჩემს შემდგომ ნაწერებზე, მხოლოდ გარკვევით შემიძლია ვთქვა, რომ მისმა პატარა მოთხრობებმა და განსაკუთრებით მისმა „ქარიშხალის წინამორბედმა“ (Буревестник) და სხვა ასეთ ნაკვეთებმა ძლიერი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინა ჩემზე და ჩემს ამხანაგებზე, რევოლიუციონური მოძრაობით აფთოვანებული და გატაცებული რომ ვიყავით. ყოველ ჩვენგანს ზეპირად ჰქონდა დასწავლილი მისი მინიატურები

მაქსიმ გორკი ტფილისში ქართველ მწერლებთან 1928 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხშირად ვმღეროდით „безумству храбрых поем мы песню“... ეს სიტყვები მაშინ ახალგაზდა მარქსისტებს ლოზუნგად ქონდა მიღებული. ჩვენ ძარგათ ვიცოდით გორკის სიმღერა შევარდენზე და დაჟინებით გავიძახოდით — „пусть сильнее грянет буря!“... და ეს ქარიშხალი რომ რევოლიუციას გულისხმობდა, ყველა მიხვედრილი იყო.

ჩვენ გვინდოდა წაგვებაძა მისი შევარდენისათვის, რადგან მოგვწონდა აფრენილი და ბრძოლაში დაღუპული შევარდენი.—შევარდენთან ერთად ჩვენ მივმართავდით ლიბერალებს და ვეუბნებოდით—а вы помрете как черви слепые— ни сказок про вас расскажут, ни песень не пропают!... უსათუოდ დიდი გავლენა ქონდა გორკის მინიატურებს მაშინდელ ახალგაზდა რევოლიუციონერებზე, და როცა მას პირველ რევოლუციონურ პროლეტარულ მწერალს უწოდებენ, ეს სრული ჭეშმარიტებაა და სამართლიანი მსჯავრი. ასეთი იყო მისი ნაწერების, რევოლიუციონური გავლენა.

შემდეგში, როცა მისი ფართე ლიტერატურულ ნაწერმოებს გავეცანი, უკვე როგორც ლიტერატურის მოყვარული და მწერალი—დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა —„Мои университеты„ „Детство“ და „В людях“. გორკი ძლიერია იქ სადაც ავტობიოგრაფიულ ნაწერებს გვაწვდის და მე მგონია, რომ ეს მისი სამი ნაწარმოები მის თხზულებებში შედევრია და უნდა ჩაითვალოს ყველაზე უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად.

ამჟამად გორკი მით არის შესანიშნავი, რომ ის არის პირველი რევოლუციონური პროლეტარული მწერალი. გადაუხვევლად ემსახურება აღებულ გეზს მუშა კლასის საკეთილდღეოდ და რომენ როლანთან ერთად მიუძღვის კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ლოზუნგს — პროლეტარიატის გამარჯვებას და საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას.

როგორც მწერალს მ. გორკის ქართულ ლიტერატურაზე ჩემის აზრით არ მოუხდენია შესამჩნევი რამ გავლენა. შეიძლება ერთი ან ორიოდე მწერალი მის გავლენის ქვეშ იყო დროებით მოქცეული, მაგრამ რომ მის გავლენის ქვეშ დარჩენილიყვეს ვინმე არ მეგულება.

ვარლამ რუხაძე

გორკის, როგორც მწერალს, 1900 წლიდან ვიცნობ. მაშინ ის უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი იყო და მისი სახელი ყველას პირზე ეკერა, ამან მეც დამაინტერესა და სურვილი აღმეძრა გავცნობოდი მის შემოქმედებას, მაგრამ სამწუხაროდ რუსული ენა არ ვიცოდი. მიუხედავად ამისა, მაინც გამოვიწერე მისი პირველი და მეორე ტომი და მანამდე ვიკითხე, სანამ არ გავიგე. ამის შემდე გორკი,— ეს „შევარდენის“ მომღერალი და „ქარიშხლის“ წინამორბედი,—მისაბაძი და ძვირფასი ადამიანი შეიქმნა ჩემთვის.

გორკი პირადად 1903-ში ვნახე. მაშინ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობდა და, სხვათა შორის, ბათომსაც ეწვია და სასტუმრო „ფრანცია“-ში ჩამოხტა, სადაც რამოდენიმე დღე გაატარა. მის სანახავად დიდძალი საზო-

გადოება დადიოდა. ერთხელ მეც წავედი. სასტუმროს წინ ქუჩა გაჭედილი იყო ხალხით. ამათში ბოსიაკებიც ჩნდნენ აქა-იქ. გორკი სასტუმროს წინ იჯდა და გაცხარებული ეკამათებოდა ვიღაცას.

— Ну его К чорту.-. ренегат! წამოიძახა ზიზღით ერთმა ბოსიაკმა ჩემ გვერდით და მაგრად დააგინა დედა.

— რატომაა რენეგატი?! შევეკითხე გაკვირვებით.

— რატომ და მიტომ, რომ ისიც ჩვენსავით ბოსიაკი იყო, ჩვენს შორის გაიზარდა, სახელიც ჩვენით გაითქვა და ხომ ხედავ ეხლა სად ზის? სასტუმრო „ფრანცია-"ში და შამპანიურს შეექცევა ბურჟუებთან ერთად!.. დღეს სალამსაც კი არ იძლევა ეგ ბანჯგვლიანი!.. და ერთხელ კიდევ შეუკურთხა მაგრად. ბოსიაკი მართალი იყო: გორკი მართლა გაექცა ბოსიაკებს, მაგრამ ბურჟუებთან კი არ მისულა, როგორც ეს მათ ეგონათ, არამედ პროლეტარიატთან, რომელიც თავის ფოლადის მუსკულებით ძველ ქვეყანას ანგრევდა და ახალს აშენებდა.

მართალია ეს ერთბაშად არ მომხდარა, მან ჯერ „ღვთის მაძიებელთა" კარგა გრძელი მანძილი გაიარა, მაგრამ, როცა ღმერთი ვერ ნახა, ზიზღით შეაფურთხა ზეცას და ისევ მიწას დაუბრუნდა, დაასკვნა რა, აქ არის ღმერთიც და ეშმაკიც. და რომ მიწა გაეწმინდა, ხანძარი ესროლა ძველ ქვეყანას—გორკის გამარჯვებაც ამაშია!

გორკის ნაწარმოებთა შორის ჩემის აზრით, „დედა" ყველაზე უკეთესია. მართალია „დედა" გორკის ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე სინამდვილის ხატი, მაგრამ ეს როდი ამცირებს მის ღირსებას, პირიქით, ეს იმას ამტკიცებს რომ გორკი დიდი მხატვარი და დიდი შემოქმედია. „დედა"-ში, როგორც ფოკუსში, მან თავი მოუყარა ყველა იმ წვრილმან ელემენტს, რომელნიც რუს მებრძოლ ქალთა შორის შეუნიშნავს ოდესმე და ერთ მთლიან ქანდაკებათ გამოკვეთა.

ქართველ მწერლებზე გორკის უთუოდ დიდი გავლენა ჰქონდა, ამას აშკარად ამტკიცებს მის ნაწარმოებთა უამრავი თარგმანები ქართულად, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, არც ერთი ქართველი მწერალი გორკის არ ჰგავს წერის მანერით. რატომ? იმიტომ რომ, გორკიც, როგორც თავის მშობელი ხალხი, მეტისმეტად თავისებურია და ძნელია მის სტილის დაჭერა.

ბორ. ჩხეიძე.

ამბობენ: ინგლისში არიან ლორდებიო, რომლებიც ჯერ ტრამვაიში არ მჯდარანო. მაგრამ საქართველოში კი არ მეგულება ისეთი კაცი, რომელსაც რკინის გზის ტრანსპორტით ევლოს სადმე და „მაქსიმ გორკით" არ ემგზავროს.

ამ მატარებლის სახელით გავიგონე პირველად მაქსიმ გორკი. დღესაც არ ვიცი რატომ ერქვა მას ასეთი სახელი. თუმცა მგზავრები ასე ვამბობდით „მაქსიმ „სლადკი" ხაშურში „გაგორკდებაო". ყოველ შემთხვევაში ამ მაქსიმ გორკს თუ ის ადამიანი იყო, მე მაშინ ვადარებდი ისეთ კაცს, რომელიც არავითარ წესს, კანონს და ტრადიციას არ ემორჩილებოდა, როგორც თვით მატარებელი

და მისი არეულ-დარეული ყოველგვარ ეკონომიურ კალაპოტიდან ამოცვინული მგზავრები.

ძლიერ მსურდა გამეგო ვინ იყო მაქსიმ გორკი და ვფიქრობდი ჩავწერილიყავი იმის პარტიაში თუ ის ვინმე პოლიტიკოსი იქნებოდა.

ეს საშუალებაც მომეცა იმავე „მაქსიმ გორკი“ მატარებლით. მაგრამ ძალიან ძვირად.

ერთხელ იანვარში ვიმგზავრე. გეზრულში რომ მივედი, მუხლებში ჩამკვეთა და თავი ძალზე ამტკივდა. ორი დღის მერე ჩავწექი ლოგინად და გამომაჩნდა პარტახტიანი ტიფი. შინ არავინ იყო გარდა ჩემი ჭლექისაგან დავარდნილი უფროსი დისა. ცუდათ რომ შევიქენ ჩემ დას უცდია ჩემი მოვლა. 28 დღის შემდეგ გავახილე თვალები და ცნობაზედაც მოვედი. სამ დღეს მივჩერებოდი ტახტს, რაზედაც ჩემი და იწვა. იგი არ ინძრეოდა. ჩანდა კბილები და მე მეგონა ღიმილით მიყურებდა. მაგრამ სამმა დღემ დამარწმუნა რომ ეს ღიმილი კი არა სიკვდილი იყო. საწყალს ყოველთვის უხაროდა ჩემი კარგად ყოფნა და ჯანი. მე გავიხედე ფანჯარაში—ტყემლები ყვავოდენ. იმ დღეს მეზობელმა მოხუცმა ღვინო შემოიტანა ერთი დოქი, თავით დამიდგა ცეცხლიც დაანთო ბუხარში. მე ცეცხლი მიამა და არ ვიცი როგორ ვწვდი დოქს. ღვინო ვსვი რაც შემეძლო. ისევ სიცხე მომცა და შემიქცია. მარტის ბოლოში გამოვკეთდი. შემეძლო ბუხართან ჯდომა. ერთ დღეს სანახავად მოვიდა სოფლის მასწავლებლობის 60 წლის სტაჟის მქონე ყარამან ტარიელისძე ჩხეიძე (ეხლაც ცოცხალია 95 წლისაა). მნახა და მაგინა უფრო რომ თავის მოვლა არ ვიცი და საღაცა ჩავეგდები „მაქსიმ გორკ“ მატარებელში არ დავეძებ.

რა თქმა უნდა დატუქსვას გაუძელი და ვკითხე თუ ვინ იყო მაქსიმ გორკი. მანაც მითხრა რომ იგი რუსი მწერალია და საღამოთი ჩამომიტანა მოთხრობების კრებული და ერთიც პიესა.

ერთი მოთხრობა იმ დღესვე დავიწყე, ეს იყო მაკარ ჩუდრა. პიესის წაკითხვა კი ბლის შეთვალებამდე. გამიგრძელდა.

წავიკითხე, მოვიხადე ქუდი, დავემშვიდობე ჩემს სოფელს და გავყევი გზას რუსეთისაკენ. ვინ ისიც საით და სადამდე. ბევრგან ვიყავი...

მაქსიმ გორკის ყველაზე უფრო მომწონს „დედა“ (მგონია უფრო მიყვარს) „ჩემი უნივერსიტეტები“ და „არტამანოვების საქმე“.

მაქსიმ გორკის ტიპებს მე ვიცნობდი გაცილებით უფრო ადრე, სანამ მის მოთხრობებს წავიკითხავდი.

მიხ. ჩიქოვანი

მაქსიმ გორკი პროლეტარული მწერლობის კლასიკოსია. ლიტერატურის ისტორიაში იშვიათად თუ ვინმეს ხდომია მწერლის ისეთი გზა და ისტორიული მანძილი, როგორც მას. ამ უდიდესმა ადამიანმა მწერლის სიტყვა აიღო მაშინ, როცა რუსეთის მუშათა კლასი იღვიძებდა, რევოლიუციონურ მუშაობის ექსტაზში შედიოდა ახალგაზრდა ლენინი, პლეხანოვი თავს ვაჟკაცათ გრძნობდა, ფილოსოფიას მახიზმი და ოტზოვიზმი ეპატრონებოდა, ხოლო ლიტერატუ-

რა ტოლსტოიზმით იყო გაჟღენთილი. ასეთ განსაკუთრებულ ხანაში გამოდის ასპარეზზე გორკი—ჯერ კიდევ ალექსი პეშკოვი.

გორკისთვის, როგორც მწერლისთვის საწერი მასალის საძებრათ შორს წასვლა არ იყო საჭირო. ახალგაზრდა მაქსიმი ამას იმ თავითვე მიხვდა, მასთან ყველაზე უფრო ახლო მყოფ წრის—ფენის აღწერას მიჰყო ხელი. ის მაშინვე ორიგინალური გახდა თემატიურათ და თემასთან მისვლით. შემდეგ გორკის შემოქმედება აღმავალი ხაზით მიდის, როგორც იდეურათ ისე მხატვრული ოსტატობის მხრივ. ახლა, მოღვაწეობის 40 წლის თავზე, მაქსიმ გორკი მსოფლიო მოვლენაა. რუსეთში მას, ჩემის აზრით, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი და ნაწილობრივ გოგოლი თუ შეედრება.

გორკი როგორც მწერალი განსაკუთრებით დაჯილდოებულია ისტორიის მიერ. მას წილათ ერგო, კალმით ხელში, მოწმე ყოფილიყო სამი დიდი თარიღის 1905-ის, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციების. ამ სოციალურმა ქარტეხილებმა შექმნა ის, როგორც „მაქსიმ გორკი“.

გორკი სიტყვის, აზრის ოსტატია და ნამდვილი მხატვარი. გორკი ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მწერლისათვის, ადრიდანვე საინტერესო იყო. მის მხატვრულ თხზულებებს მოწაფეობის დროსაც ვკითხულობდი. „დედა“ ჩემი საყვარელი წიგნი შეიქმნა იმ თავითვე, „ჩელკაში“ ჩემთვის გაუგებარი იყო, სანამ კარგათ არ გავიცანი გორკის შემოქმედების რომანტიზმის პერიოდი. „არტამონოვების საქმე“ რუსეთის კაპიტალიზმის ეპოპეიაა, მოძალადე, მოუხეშავი, დაუზარებელი და გაუმაძღარი ილია არტამონოვის სახით, რომელსაც რამდენიმე თაობა სცვლის სხვა ფორმაში და გახვითარებით.

გორკიდან მე, როგორც მწერალი, ვსწავლობ. განსაკუთრებით მის შემოქმედებაში ხაზგასმით ერთი მხარე მიპყრობს, ეს მისი სოციოლოგიზმია, „პრაქტიკული სოციოლოგიზმი“, რომელიც ჩემის აზრით დედაბოძათ არის ამართული მის ყველა ნაწარმოებებში, დაწყებული „მაკარ ჩუდრადან“ „ჩელკაშით“ „ყოფილ ადამიანებამდე“ და „დედიდან“ „კლიმ სამგინამდე“. ამასვე ადასტურებს მისი მრავალრიცხოვანი პიესები. ამავე გზას ადგია ზედმეტი ადამიანების, დაცემის გზაზე მდგომი მეოცნებე ხალხის ჩვენებაში „Трое“, „Скуки ради“, Романтик“, „В людях“ და სხვ. ამ „პრაქტიკული სოციოლოგიზმის“ შექმნა კი რეალისტ მწერლისათვის, ჩემის აზრით, აუცილებელია.

ცხოვრების სოციალ-პოლიტიკური მოვლენების განვითარების მხატვრული ანალიზი გორკის დამახასიათებელი ხერხია.

ახალგაზრდობა გორკისაგან დიდათაა დავალებული. ის მისი საუკეთესო მასწავლებელია მწერლებიდან. მისი მდიდარი შემოქმედებითი კონსულტაცია დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა და დამწყებ მწერლებს მხატვრული კვალფიკაციის ამაღლების საქმეში.

გორკი ჩვენთვის მისაბაძია. არა მარტო, როგორც მწერალი და მხატვარი, არამედ როგორც პუბლიცისტი და მოაზროვნე.

ა. სტეცკი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წელი*)

ამხანაგებო, ა. მ. გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის დასაწყისი მეტად მომასწავებელი თარიღია: იგი ხვდება იმ წლებს, როდესაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი პირველად გამოდის დამოუკიდებელ ძალად, როდესაც რუსეთში იწყება მუშათა მოძრაობის ზრდა, როდესაც საფუძველი ეყრება ჩვენი პარტიის უჯრედებს, როდესაც თავის მოღვაწეობას იწყებს ვლ. ლენინი. ეს შემთხვევითი შეხვედრა როდია. ალექსი მაქსიმეს ძის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის მუშათა რევოლუციონურ მოძრაობასთან; რევოლუციის სულმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მ. გორკის თვალსაჩინო ნაწარმოებთა მთელ რიგში.

მ. გორკის მოღვაწეობის ორმოცი წელიწადი შ უძლებელია რამდენიმე სიტყვით დახასიათდეს.

გორკი მოღვაწეობს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ ეპოქაში: მუშათა მოძრაობის აზვირთება 90-იან წლებში, 1905 წლის რევოლუცია, რეაქციის წლები, იმპერიალისტური ომი, ოქტომბრის რევოლუცია, სამოქალაქო ომები, სოციალისტური მშენებლობა,—აი ის ისტორიული ეპოქა, როდესაც მოღვაწეობდა და დღესაც მოღვაწეობს მ. გორკი. მისი ფართე ბეჭების უკან გადაშლილა მთელი ისტორია და როგორი ისტორია! ის თაობა, რომელსაც მე წარმოვადგენ, ახლად დაბადებული იყო და ალბად პირველად ჭყაოდა მაშინ, როდესაც მ. გორკი უკვე სრული ხმით ელაპარაკებოდა მთელ იმ დროინდელ რუსეთს.

მე, ამხანაგებო, მხოლოდ გაკვრით შევეხები გორკის შესანიშნავ პირად ცხოვრებას, რომელიც ყველასათვის საკმარისად არის ცნობილი. ჩვენმა დიდმა მწერალმა დიდი ცხოვრების გზა განვლო. ბავშობისა და ყრმობის ჟამს მან შესვა მწარე ფიალა, მან ბევრი იხეტიალა, მან გაუძლო ბურჟუაზიულ მებატონური რუსეთის ფსკერზე ასეულ ატმოსფერის წნევას, და ყოველივეს მიუხედავად, გამობრძმედილი და გაკაჟებული გამოვიდა სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართე გზაზე.

*) მოხსენება საზეიმო საიუბილეო კრებაზე, მოსკოვში, 25. IX, 32 წ.

ორმოცი წლის წინად, როდესაც „ძაკარ ჩუდრა“ გამოქვეყნდა, გორკის პასპორტში ეწერა: „სამღებრო საამქროს ოსტატი“. ამის შემდეგ ცოტა ხანმა განვლო და სამღებრო საამქროს ოსტატმა გვიჩვენა, რომ ის ... ხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატი.

ბიბლიოთეკა

ამხანაგებო, დღეს არც იმის საშვალება გვაქვს, რომ სავსებით დავახასიათოთ გორკის მხატვრული შემოქმედება. უაღრესად მრავალფეროვანია და მრავალმხრივი ეს შემოქმედება. გორკის უწერია დიდი მხატვრული ეპოპეები და პატარა მოთხრობები, პოეტური ნაწარმოებები და დრამები. მრავალფეროვანია აგრეთვე ის მოტივები, რომელიც გორკის დაუმუშავებია თავის ნაწარმოებებში. მე დღეს შევჩერდები გორკის ნაწერების უმთავრეს, დომინანტურ მოტივზე, რომელიც მას ხდის უდიდეს პროლეტარულ მხატვრად; ამ მოტივმა ნება მისცა ვ. ი. ლენინს ეთქვა, რომ **გორკი წარმოადგენს** უდიდეს ავტორიტეტს პროლეტარული ხელოვნების საქმეში, რომ ის თავისი მხატვრული ნაწერებით მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთისა და მსოფლიოს მუშათა მოძრაობას.

როდესაც გორკიმ ფეხი შემოსდგა სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, ის უკვე გამსჭვალული იყო ბურჟუაზიულ ფეოდალური წყობის სიძულვილით, იმ წყობისა, რომელიც სჩაგრავდა და აბეჩავებდა ადამიანებს; გორკის ეზიზღებოდა გონებრივი სიჩლუნგე, კონსერვატიზმი, ბედთან შემრიგებლობა, რადგან ეს თვისებები აძნელებდენ ექსპლოატაციას და ჩაგვრაზე დამყარებულ წყობილებასთან ბრძოლას.

თავის მხატვრულ ნაწერებში გორკიმ მოგვცა ამ ჩაგვრა-ძალადობის გამანადგურებელი კრიტიკა. თემა, რომელსაც გორკი ამუშავებდა თავის მხატვრულ ნაწერებში, თემა **კაპიტალიზმის მხილებისა**, თითქოს ახალი არ იყო რუსულ ლიტერატურაში. ამ თემამ თავისი გამოხატულება ნახა ტოლსტოის ნაწერებში, რომელსაც ლენინი აფასებდა იმისათვის, რომ ტოლსტოი ბურჟუაზიულ-მემამულეთა რუსეთს ყველა და ყოველგვარ ნილაბსა ხსნიდა. გორკიმ ამ თემაში ახალი რამ შეიტანა, იგი თავისებურად მიუდგა თემას, ამიტომაც მან ახალი საფეხური გააკეთა რუსული ლიტერატურის განვითარებაში.

თუ ავიღებთ გორკის უდიდეს თხზულებებს და პატარა მოთხრობებს, ვნახავთ, რომ ძირითადს, უმთავრესს მოტივს იქ წარმოადგენს კაპიტალიზმის მხეცური და სასტიკი ძალის ჩვენება. აიღეთ ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის „თომა გორდეევი“, „სამნი“, „არტამონოვების საქმე“, „მათე კოჟემიაკინი“ და სხვა ნაწარმოებთა მთელი რიგი; თქვენ იქ ნახავთ, რომ გორკი ამხელს ამ ძალას, ხსნის მას ნილაბს, ამჟღავნებს მის ბუნებასა და შინაარსს: მატყუვრობასა და სიცრუეს, სისხლსა და სიბინძურეს, ჩაგვრასა და ექსპლოატაციას, რომელსაც ემყარება კაპიტალისტური დაგროვება. თავის ნაწერებში გორკი გვიჩვენებს, თუ როგორ ახშობს და ამახინჯებს ადამიანის პიროვნებას ეს ძალა, როგორ აქრობს ყოველგვარ თავისუფალ აზრსა და სიახლისაკენ მისწრაფებას. „თქვენ ცხოვრებას კი არ ჰქმნიდით,—ამხელს თომა გორდეევი ბურჟუაზიას,—თქვენ სანაგვე ორმო გააკეთეთ! თქვენი საქმიანობით ავრცელებდით სიბინძურესა და სიმყრალეს. თქვენ სინიდისი გაქვთ? გახსოვთ ღმერთი? თქვენი ღმერთი—

შაურიანია! სინდისი დაივიწყეთ... სისხლისმსმელნო! სხვისი შრომით ცხოვრობთ, სხვისი ხელით მუშაობთ!“.

გორკი ფარდას ხდის კაპიტალიზმს, როგორც დიდი და დახელოვნებული ოსტატი. საქმე მარტო მხილებით როდი ამოიწურება, გორკის ნაწერებში რომ გაისმის ჭარბად. ეს ნაწერები პუბლიცისტიკა არ არის, ეს ხელოვნებაა. თქვენ იქ ვერ ნახავთ ეკონომიურ ტრაქტატებს და ზედმეტ ღირებულების ფორმულებს. გორკი ჰკიცხავს კაპიტალისტებს, ამხელს მათ თავისი ძლიერი იარაღით, —მხატვრული სიტყვით. ეს გაცილებით რთული საქმეა და განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს მის ნაწერებს.

ენგელსი სწერდა ბალზაკის შესახებ, რომ იგი მას სთვლის უუდიდეს მხატვარ-რეალისტად და აყენებს ზოლაზე გაცილებით მაღლა უმთავრესად იმიტომ, რომ ბალზაკი ჩამოდის მშრალ პუბლიცისტიკამდე, ისტორიამდე და მუდამ თავის მხატვრულ პოზიციებზე რჩება. მასთან ერთად ბალზაკი ისეთი ძალით ისეთი სიცხადით ასახავს ფრანგული საზოგადოების ისტორიას, რომ მისმა კითხვამ,—ამბობს ენგელსი,—მე უფრო მეტი შემძინა, ვიდრე ათეულმა სხვა ეკონომიური, ისტორიული და სტატისტიკური ხასიათის წიგნმაო.

აი ეს საზომი, რომლითაც ენგელსი უდგებოდა ბალზაკს, შეიძლება გამოვიყენოთ ალექსი მაქსიმეს ძის ნაწარმოებთა განხილვის დროსაც. გორკი მოქმედებს ხელოვნების სახვითი საშვალებებით. იგი იძლევა კაპიტალიზმის სახეებს, ვაჭრებისა და ფაბრიკანტების სახეებს ისეთი სიძლიერით, რომ ისინი თვალწინ დგებიან სრულიად ხელსახებად, თვალსაჩინოდ და საგრძნობად. ამიტომ იყო, რომ თავის დროზე, ვოლგელი ვაჭარი ბუგროვი ჩასციებოდა გორკის, ვისგან გადაიღე ვაჭარ მაიაკინის სახეო. ბუგროვი ფიქრობდა, რომ ასეთი ვაჭარი სადმე უსათუოდ უნდა ყოფილიყო. ცხადია, ვაჭარ მაიაკინის სახე გორკის არ გადაუღია ფოტოგრაფიულად, მან იგი შექმნა თავისი დაკვირვებების, თავისი ცხოვრების გამოცდილების საფუძველზე. ეს სახე ისეთი ძალით და სიმართლით არის გამოკვეთილი, რომ თქვენ ნაწარმოების კითხვის დროს არ შეიძლება არა სთქვათ: ასეთი ადამიანი უსათუოდ იყო, უსათუოდ არსებობდაო. გარდა იმისა, რომ ეს სახეები საგრძნობი და ხელსახები არიან, რომ თვითეული მათგანი წარმოგვიდგება რეალურად, თავისი ინდივიდუალობით, თქვენ ამ ფიგურებში ამჩნევთ მხატვრული განზოგადოების დიდ ძალას. ამ შჩუროვების, არტამონოვების, მაიაკინების იქით გრძნობთ მოროზოვებს, ბუგროვებს, მამონტოვებს, ჩვენი ქვეყნის ათეულსა და ასეულს, დიდსა და მცირე კაპიტანლისტს, რომელთაც ცხოვრებაში ხვდებდა გორკი და რომელთა სახეები მან მოგვცა თავის თხზულებებში.

ეს სახეები აღვიძებენ ანალოგიებისა და ფიქრების წყებას. ავიღოთ თუ გნებავთ ვაჭარი შჩუროვი „თომა გორდეევიდან“. ეს არის კორტოხი, რომელიც აღმართულა სისხლსა და ტალახზე სადღაც ვოლგის სანაპიროებზე; როდესაც გორკი გვიღებს მისი ოთახის კარებს სასტუმროში, თქვენ გრძნობთ სუნს, რომელიც თითქოს იქიდან მოდის. როდესაც უყურებთ ამ ვაჭრის ფიგურას, თქვენ გაგონდებათ „კაპიტალის“ ბრწყინვალე ფურცლები, სადაც აღწერილია კაპიტალისტური დაგროვების პროცესი. ეს ვაჭარი, რომელიც ლაპარაკობს ღვთა-

ებრივის შესახებ, გამსჭვალულია ძველებური რწმენით, დახმარებას უწევს რომელიღაც მეუდაბნოებს, და ყოველივე ამასთან—მზად არის ნერხემალი გაუტეხოს ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობება,—განა არ გვაგონებს კაპიტალისტური დაგროვების იმ დახასიათებას, რომელიც მოცემული აქვს მარქსს ერა მხატვრულ სახეებში, არამედ რკინის ლოგიკის ფორმულებში? „თუ არის საკმარისი მოგება, კაპიტალი თამამი ხდება; უზრუნველყავით მისთვის 10 პროცენტი და კაპიტალი მზად არის ყოველგვარი გამოყენებისათვის; 20%-ის დროს იგი ძალიან მომქმედი ხდება, 50%-ის გულისთვის კაპიტალი მზად არის კისერი მოიტეხეს; 100%-ის დროს კაპიტალი ფეხქვეშ სთელავს ყველა ადამიანურ კანონს, 300%-ის დროს კი იგი არ დაიხეკს არავითარი ბოროტმოქმედების წინაშე, თუნდაც სახჩობელა მოელოდეს ამისთვის“! ის, რაც მარქსს ლოგიკის რკინის კანონებით აქვს გამოთქმული, თავისი მხატვრული განსახიერება იპოვა მ. გორკის ნაწერებში.

ვინმე შარიანი კრიტიკოსი „არტამონოვების საქმის“ კითხვის დროს იტყვის: „აბა ეს რა ნაწარმოებია, აქ ხომ ფაბრიკა სადღაც უკანა პლანზეა ნაჩვენები, აქ არა სჩანს ექსპლოატაცია, რომელიც ფაბრიკაში ხდება“.

მართლაც, კაპიტალისტური დაგროვების ძალას, მტაცებლურ ძალას გორკი გვაცნობს არა ეკონომიური გამოკვლევით. ავტორს თუმცა პირდაპირ არ შეეყავართ ფაბრიკაში, მაგრამ მაინც გვიჩვენებს, თუ როგორ და რა ნიადაგზე იზრდება ეს არტამონოვების საქმე. თქვენ ხედავთ თუ როგორ რვაფეხასავით ეხვევა გარშემო მუშა ხალხს და სწოწნის მის სისხლს. ცხოველი და მხატვრული ხაზებით ავტორი გვიჩვენებს კაპიტალისტ არტამონოვებისა და მუშების ურთიერთობას; ავტორი ნათელი ფერადებით გვიხატავს მუშათა და კაპიტალისტთა შორის არსებულ წინააღმდეგობას, მათს ურთიერთობას და ბრძოლას სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე. მკითხველისათვის აქ თუმცა უშუალოდ გადაშლილი არ არის კაპიტალიზმის ნგრევის თეორია, მაგრამ მთელი ნაწარმოების სიგრძეზე ხედავთ და გრძნობთ, რომ „საქმე“ თავის აღსასრულისკენ მიდის. როდესაც ტიხონი ეუბნება მოხუც არტამონოვს: „პეტრე ილიას ძევ! ომი, ეს თქვენ საწინააღმდეგოდაა!“. ეს აზრი მთელი ნაწარმოების მანძილზე იზრდება და საბედისწერო აუცილებლობით ვითარდება.

არსებობენ ჩვენში კრიტიკოსები და თეორიები, რომლებიც ცდილობენ გორკის ნაწერების ცოტა სხვანაირად გაშუქებას. ეს ყალბი თეორიებია.

არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც მწერალს არ ძალუძს გასცილდეს თავისი კლასის ფარგლებს და მოგვცეს სხვა კლასის სახეები; ამ თეორიის მიხედვით მწერალს თვითეულ ნაწარმოებში აუცილებლად მოეპოება თავისი ცენტრალური, მთავარი სახე; ეს სახე გამოხატავს იმას, რისი თქმაც ავტორს სწადია და რაც ახასიათებს მის კლასობრივ ბუნებას.

გორკის შემოქმედება ცხადათ გვიმტკიცებს ამ თეორიის უმწეობას. გორკი უდიდესი მხატვრული ძალით, ერთნაირის სიცხოველით გვიხატავს როგორც მუშებს (პავლე, ხახოლი, პელაგეა ნილოვნა), ისე ვაჭრებისა და ობივატელთა ფიგურებს.

ეს თეორია სულელურია და ყალბი; იგი არ იძლევა მხატვრული ნაწარმოების შემეცნების საშუალებას, პირიქით, --ბივყეევართ მხატვრული ნაწარმოების შემცდარი გაგებისაკენ. მთავარია მხატრული ნაწარმოების იდეა, მთავარია ეფექტი, რომელსაც ის იძლევა, მისი ფიდა აზრი, შინაარსი, მთავარია ის, თუ როგორ მოქმედობს ნაწარმოები მკითხველზე.

ამ მხრივ გორკის ნაწერების ეფექტი და ზემოქმედება შეიძლება მით დაახასიათდეს, რომ ისინი მობილიზაციას უკეთებენ მკითხველს ყოველივე კონსერვატიულის, გაყინულის, მონურის წინააღმდეგ, მობილიზაციას უკეთებენ მას ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის საბრძოლველად. „ადამიანს თავის ქალაში ზღარბი უნდა შეუძვრინო, რომ არასოდეს მოისვენოს“. ასე ლაპარაკობს გორკის ერთი პერსონაჟთაგანი და ასეთ ზღარბს გორკი მკითხველს თავის ქალაში უძვრენს ყოველი თავისი ნაწარმოებით.

გორკი ოსტატურად გვიხატავს ადამიანის ფსიქოლოგიას. მაგრამ იგი არ ეკიდლობს ფსიქოლოგიურ განცდათა შესწავლასა და მისი ყველა უწვრილეს ძაგებისა და ცვალებადობის დახატვას; იგი არ უდგება ფსიქოლოგიურ ცხოვრებას, როგორც დახშულსა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ რკალს. არა, ა. მ. გორკი ეხილავს და გვიხატავს ადამიანის ფსიქოლოგიას სოციალურ პირობებთან დაკავშირებით.

ზოგიერთი მისი ნაწარმოები ატარებს დიდი მხატრული ბიოგრაფიის ხასიათს. იგი იღებს ადამიანს ცხოვრების პირველ დღეებიდანვე, აგვიწერს მისი ცხოვრების გზაზე შეხვედრილ ყველა დაბრკოლებას და გვიჩვენებს, თუ წრე, პირობები, ცხოვრების დაბრკოლებანი და მოვლენები როგორ აყალიბებენ ადამიანის ფსიქოლოგიას. ამ მხრივ გორკი აღწევს უდიდეს ოსტატობას. აიღეთ ისეთი თხზულებები, როგორც „მათე კოჟემიაკინი“, „თომა გორდეევი“ და „კლიმ სამგინია“. თქვენ აქ გრძნობთ, ფურცლიდან-ფურცელზე, თუ თქვენს წინაშე როგორ ყალიბდება ადამიანის პიროვნება. ესაა დიდი ოსტატობა; გორკი გვიხატავს ადამიანის ფსიქოლოგიას მატერიალისტურად, ამავე დროს ინდივიდუალურ ბედთან ერთად გვიჩვენებს სოციალური მთელის ცხოვრებას ისე, რომ თითონ ავტორი არ სცურდება პუბლიცისტისა და ისტორიკოსის პოზიციებზე. მწერალი რჩება თავის მხატრულ პოზიციებზე. ეს უდიდესი ოსტატობა უნდა ისწავლონ და კიდევ ისწავლონ გორკისაგან ჩვენმა მწერლებმა.

გორკი—დიდ მხატვრულ განზოგადოებათა ოსტატია. თითქოს ის აღწერს ილაც ვაჭრებს, ვოლგელ ფაბრიკანტებს, ახირებულ და საშინელი მხეცური ბუნების ადამიანებს; მაგრამ გორკი მათ ასახავს მოდამ რევოლუციური კლასის თვალთახედვის წერტილიდან; იგი დგას პროლეტარიატის პოზიციებზე, რომლისთვისაც ეს მაიაკინები, არტამონოვები და სხვები ქმნიდენ არსებობის არა ადამიანურ პირობებს. სწორედ ამიტომაც, გვიჩვენებს რა აქედან ძველ წყობილებას, ძველი საზოგადოების ყველა ფენებს, მაქსიმ გორკი ლებულობს ისეთ ძალას, რომელიც არა აქვს სხვა კლასის არცერთ მხატვარს. სწორედ რევოლუციონური კლასის პოზიციებიდან გორკი ხსნის ნი-

ლაბს პირფერობისა, მზაკვრობისა, ზედაპირული კულტურული ბრწყინვალების და მოჩვენებითი კაცთმოყვარეობისა, ნიღაბს, რომელიც აკრული აქვთ მის ნაწარმოებთა გმირებს. გორკიმ იცის მათი გაშიშვლება, იცის ამ კაპიტალისტურ მტაცებელთა ნამდვილი ბუნების ჩვენება. ამიტომაა, რომ გორკის ბატვრული ნაწერები ატარებენ დიდ განზოგადოებათა ხასიათს.

ეს მარტო დიდ ნაწარმოებთ როდი ეხება. აიღეთ თუ გნებავთ ისეთი მოთხრობა, როგორიც არის „კირილკა". თითქოს აქ უბრალო ამბავია მოთხრობილი, მაგრამ ამ პატარა ამბავში მოცემულია სოციალურ ურთიერთობათა მდიდარი გამმა, შენიშნულია და ნაჩვენები გლეხის ფსიქოლოგიის ზოგიერთი ნამდვილი მხარე. ეს გარემოება „კირილკა"-ს ხდის ალექსი მაქსიმეს ძის ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებად.

„ქალაქი ოკუროვი"? ალექსი მაქსიმეს ძემდე ვის შეეძლო ასეთი თავზარდამცემი ძალით აღეწერა ოკუროვის რუსეთის მხეცური ყოფა-ცხოვრება, რომელსაც სხვა მხატვრები მოახირებულო და გულუბრყვილო რუსეთის იდილიურ ლეჩაქს აფარებდენ? გორკიმ გვიჩვენა ამ რუსეთის მხეცური ყოფის ჭაობი, რომელიც ითრევდა ყოველივეს, რაც შიგ მოხვდებოდა. ეს შეეძლო გაეკეთებინა ასეთი ძალით, ასე ზედმიწევნით მხოლოდ პროლეტარიატის მხატვარს. და ტყუილად კი არ შექმნილა ქალაქი ოკუროვი მთელი მეშჩანური სამაზრო რუსეთის საერთო სახელად! გორკი გვიჩვენებს გადაუჭარბებლად და შეუმცირებლად ცხოვრების სინამდვილეს, ოკუროვშჩინის აუტანელ ყოფას, არტამონოვთა სისხლიან და ბინძურ საქმეებს, და ამასთან ერთად არაოდეს არ იწვევს მკითხველში სასოწარკვეთილებას. ხანდახან გორკი გვიხატავს ცხოვრების საზარელ სურათებს, სავსეს საშინელებით, სისხლით, ჭუჭყით. მაგრამ იმავე დროს იგი მოგვიწოდებს ცხოვრების რევოლუციონური, სოციალისტური განახლებისაკენ.

წინად ზოგიერთ სუსტნერვებიან მკითხველს გორკის ნაწარმოებთა კითხვა თავზარსა სცემდა. ბურჟუაზიული კრიტიკოსები კი სწერდენ, რომ გორკის ნაწერები არ შეიძლება დაშვებული იქნეს არც საოჯახო, არც საჯარო წიგნთსაცავებში. იყვენ ისეთი ფილისტერებიც, რომელთაც უკვირდათ,—როგორ მოხდა რომ გორკიმ პოპულიარობა მოიპოვაო, იგი ხომ თავისი თხზულებების ყოველ გვერდზე საღვთო და ადამიანურ კანონების დარღვევისაკენ მოუწოდებსო. უკანასკნელი სამართლეს შეიცავდა, ვინაიდან გორკი წარმომადგენელი იყო სწორედ იმ კლასის, რომელიც მოვიდა ცხოვრების ძველი კანონების დასანგრევად და ახლის დასადგენად.

მაგრამ, ვიმეორებ, ალექსი მაქსიმესძე არაოდეს არ იწვევს სასოწარკვეთილებას. იგი არ ყოფილა დამარცხებული ცხოვრების ბრძოლაში. იგი მოვიდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში იმისათვის, რომ ეთქვა მწარე სიმართლე ცხოვრების შესახებ და გაეცხადებინა თავისი მხურვალე პროტესტი ცხოვრების მონურ პირობების წინააღმდეგ. ეს პროტესტი გაისმის მისი წიგნების ყოველი ფურცლიდან. ეს მგზნებარე პროტესტი, ეს ბრძოლისაკენ მოწოდება ანსხვავებს გორაკის სხვა დიდი მხატვრებისაგან.

ტოლსტოი, რომელიც ნიღაბს ხდიდა ბურჟუაზიულ-მემამულურ წესწყობილებას, ამხელდა თავად-აზნაურობას, ჩინოვნიკურ ბიუროკრატიას და კაპი-

ტალიზმს, იმავე დროს ეწეოდა წინააღმდეგობის გაუწევლობის იუროდივულ ქადაგებას და ამით დიდი ისტორიული გზიდან რეაქციურ უტოპიისაკენ მოუწოდებდა თავის მკითხველთ.

ჩეხოვმა თავისი შესანიშნავი თხზულებები გამსჭვალა პესიმიზმით, ნაღველით, სევდიანი ოცნებით, რომ შეიძლება მხოლოდ 100—200 წლის შემდეგ გაუმჯობესდეს ადამიანის ცხოვრება.

გორკი კი მოვიდა ლიტერატურაში როგორც მებრძოლი. იგი ყოველ ნაწარმოებს სარჩულად უდებდა თავისს მებრძოლ ტემპერამენტს, ისე როგორც არც ერთი სხვა მწერალი.

900-იანი წლების ერთი კრიტიკოსი კვირობდა, რა უცნაური პოეზია აქვს ამ გორკის. რაღაც ცარიელი ზეცა, რაღაც ფრინველები,—ქარიშხალის წინამორბედნი და შევარდნები, რომელნიც რატომღაც იბრძვიან?! ეს რა უცნაური მოტივები არისო? განა არა სჯობდა წინანდელი ძველი მოტივი: „По небу полуночи ангел летел и тихую песню он пел.?“ ეს იწერებოდა მაშინ სერიოზულად. ეს ბრძენი კრიტიკოსი მხედველობაში არ იღებდა ერთ პატარა გარემოებას—მხედველობაში არ იღებდა იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში იწყებოდა რევოლიუციონური მღელვარება, რომ რევოლუციონური ქარის ქროლვა პოეზიიდანაც კი დევნიდა ანგელოზებსა და ეშმაკებს. ქვეყანა ახალ სიმღერებს თხოულობდა. მათ უმღეროდა გორკი, და „ქარიშხალას“ სიმღერას თავისი ხმა „შეუერთა მთელმა რევოლუციონურმა რუსეთმა. ვლადიმერ ილიჩ ლენინმა ერთ-ერთი თავისი წერილი, მიძღვნილი რევოლუციისადმი შეამკო „ქარიშხალას“ სახეებით და დაამთავრა სიტყვებით: „Пусть сильнее грянет буря“.

არავის გორკიზე უკეთესად არ გამოუხატავს მისი შეხედულებები მხატვრული შემოქმედების ამოცანაზე, ერთ თავის წერილში, კიეველ სტუდენტების მობლიზაციის გამო, გორკი სწერდა ვალერი ბრიუსოვს: „ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ნაცემსა და ჯაჭვით დაბმულ ბრაზიან ძაღლს ვემსგავსები. თუ თქვენ ადამიანი გიყვართ, იმ შემთხვევაში საფიქრელია, რომ გამიგებთ. ჩემს აზრით სტუდენტების გასალდათება—საზიზღრობაა, თავხედური ბოროტმოქმედებაა პიროვნების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული, რეგვენული ზომაა ხელისუფლებით მოყიჭებული გარეწრებისა. მე გული მიდუღს, მე მოხარული ვიქნებოდი შემეფურთხებინა ადამიანთა მოძულეების თავხედურ სახეში, როძლებიც წაიკითხავენ თქვენს „ჩრდილოეთის ყვავილებს“ და ქებას დაუწყებენ მათ, ისევე, როგორც მაქებენ მე. ეს ალმაშფოთებელია და საზიზღარია, ეს იწვევს გაბრაზებას თითონ ბუნინზედაც კი, რომელიც მიყვარს, მაგრამ ვერ გამიგია, თავის ნიჭს, მშვენიერს, როგორც მქრქალ ვერცხლს, რატომ არ გალესავს იგი დანასავით და არ შეურჭობს მათ, სადაც საჭიროა“.

აი, როგორ უყურებდა გორკი თავის შემოქმედებას. ზოგიერთი იტყვის: ეს რა უცნაური შეხედულებაა მხატვრულ ნაწარმოებზეო?. ეს რა ტენდენციურობა არისო? ნება მიბოძეთ ამხანაგებო, ამის საპასუხოდ ერთი წუთით გამოვიწვიო სხვა დროების პოეტის დიადი აჩრდილი,—აჩრდილი დანტესი. მართალია ამის გულისათვის მე შეიძლება მომხვდეს ზოგიერთი მკაცრი კრიტიკოსისგან, რადგან დანტეს ლაპარაკი აქვს ისეთ, უკვე დიდიხანია ხმარებიდან გა-

მოსულ საგანზე, როგორიც არის „ღვთაებრივი კომედია“, ჯოჯოხეთი, სამოთხე სალხინებელი. მაგრამ დანტე წარმოადგენს ხელოვნების ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს. ამასთან ერთად მისი ნაწარმოები მთლიანად პოლიტიკური ენებათაღლვით არის გამსჭვალული; დანტემ თავისი და მშობლიური ფლორენციის ყველა პოლიტიკური მტრები ჯოჯოხეთში ჩაგზავნა და მათთვის მრავალფეროვანი სატანჯველი გამოიგონა. ერთ მათგანს, პაპი ნიკოლოზ მე-III-ეს მან გამოუგონა განსაკუთრებულად მწარე და სამარცხვინო სასჯელი: ცეცხლის სამარეში ჩასვა თავდაყირა. ცუდი ადგილი კი არაა პაპებისათვის! დანტე ზიზღით უყურებდა ადამიანთა იმ მოდგმას, რომელიც არც ცივია და არც თბილი, რომელსაც არც უყვარს, არცა სძულს; მან ასეთი ხალხისთვისაც გამოიგონა შესაფერი სასჯელი: ისინი ქარისაგან დევნილ ფოთლების მსგავსად ტრიალებენ ჯოჯოხეთის ბინდით მოცულ კარიბჭესთან.

განა გორკიმაც ზიზღი არ გამოუცხადა ადამიანთა ასეთ მოდგმას თავის თხზულებებში? განა ასეთ სამარცხვინო დაღს არ აკრავს იგი ამ ადამიანებს თავის უკანასკნელ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში—„კლიმ სამგინში“? ეს იმიტომ, რომ გორკი, ისე, როგორც დიადი ფლორენციელი მგოსანი, უპირველეს ყოვლისა არის მწერალი მებრძოლი.

ბევრმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც გორკიმ მისწერა ბრიუსოვს თავისი წერილი მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ბუნინის ნიჭის მჭრეველი ვერცხლი, გაცვეთილი და გაფხეკილი, ეხლა ემიგრაციის ჯურღმულს ამშვენებს. ხოლო გორკი, რომელმაც თავისი ნიჭი ელვარე დანის პირად გადააქცია და წარმართა ბურჟუაზიისა და მემამულეთა წყობილების გულისაკენ, შეიქნა ერთ-ერთ მსოფლიო სიდიდეთა და მილიონების საყვარელ მწერლად (ტაში).

თავისი მხურვალე პროტესტი ცხოვრების მონურ პირობების წინააღმდეგ გორკიმ ჯერ რომანტიულ ფორმაში გამოხტა, ბოსიაკების ფიგურების სახით. ტყუილია, თითქოს გორკი ამ დროს ნიცშეანელი ყოფილიყოს თითქოს ეს ფიგურები წარმოადგენდენ რაღაც რუსულ ნიცშეანელებს. არ არის მართალი. ესენი უფრო მხატვრულ ფორმულებს, წარმოადგენდენ, რომლითაც გორკი გამოხატავდი პროტესტს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ანადგურებს და სთელავს ადამიანის პიროვნებას, და თავის სახეს უკარგავს მას. მაგრამ, ცხადია, ეს ფიგურები არ გამოდგებოდენ დასაყრდენ წესტილებად, მათ არ შეეძლოთ ცხოვრების ძველი წყობილების შეცვლა. თანდათანობით, მუშათა მოძრაობის განვითარებასთან ერთად, რაც უფრო უახლოვდება გორკი ამ მოძრაობას, მის ნაწარმოებებში ჩნდებიან სხვა ფიგურები, სხვა მომქმედი პირები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ცხოვრების წესი: ესენი არიან რევოლუციონერ-პროლეტართა ფიგურები, რევოლუციონერი ინტელიგენტები, ორგანიზაციულად მებრძოლნი ახალი წყობისათვის, სოციალიზმისათვის. ეს ფიგურები, რომლებიც მოუწოდებენ ბრძოლისაკენ, არსებული საზოგადოებრივი წყობილების შეცვლისაკენ, უკვე გორკის ადრინდელ ნაწარმოებებში მოიპოვებიან. ისინი მოცემულნი არიან „თომა გორდეევში“, მოთხრობაში „სამნი“, პიესაში „მტრები“ და განსაკუთრებით მოთხრობაში „დედა“ აგრეთვე სხვა ნაწარმოებებში.

მოთხრობა „დედა"-ში გორკი პროლეტარულ-რევოლუციონური ბრძოლის საუცხოვო ტილოს იძლევა. ამ მოთხრობით ავტორი ახალი გზისაკენ მოგვიწოდებს ამ მოთხრობის გამოქვეყნებამ თავის დროზე გამოიწვია გააფთრებული თავდასხმები გორკიზე. მას თავს ესხმოდენ როგორც ბურჟუაზიული-შეხედულებანი, ისე სოციალ-დემოკრატები, მენშევიკები, პლეხანოვი. მხოლოდ ლენინმა შესძლო თავიდანვე ამ მოთხრობის სწორი და გონებამახვილი შეფასება. მან განაცხადა, რომ ეს მოთხრობა წარმოადგენს გორკის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ „დედაში" უდიდესი მხატვრული სისავსით არის მოცემული მუშათა ორანიზაციულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ბრძოლის სურათი. ჩვენ აქ, პირველად მხატვრულ ლიტერატურაში, ვხედავთ მუშა-ბოლშევიკთა ფიგურებს. ჩვენ ვხედავთ დედის მშვენიერ სახეს, ამ სახეში გორკიმ დაგვანახვა სოციალიზმის იდეის მთელი ძალა. გორკიმ შესანიშნავი მხატვრული ხერხებით გვიჩვენა, თუ როგორ იღვიძებს ამ ბნელი და ბეჩავი ქალის გონება, როგორ სწარმოებს მის შინაგან არსებაში ბრძოლა ძველ ტრადიციებთან, ჩვეულებებთან, ძველ აზრებთან, როგორ უთმობენ ისინი ადგილს ახალ იდეებს, სოციალიზმის იდეებს. გორკი უდიდესი დამაჯერებლობით გვიხატავს, თუ ეს უმეცარი და ჩაგრული ქალი როგორი თანდათანობით იქცევა სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლ რევოლუციონერად. პელაგეა ნილოვას სახე წარმოადგენს გორკის ერთ საუკეთესო ქმნილებათაგანს; მისი „დედა" საუკეთესოა იმ ნაწარმოებთა შორის, რომელიც აქამდე ამ ხაზით მოუცია პროლეტარულ რევოლუციას.

რაც უფრო უკავშირდება გორკი მუშათა მოძრაობას, მით უფრო მკვეთრად მეღავნდება მისი შემოქმედების ძირითადი ხასიათი—რეალიზმი. გორკი წვრილმანებს კი არ აგროვებს, იგი თავს როდი უყრის დეტალებს მარტო იმისათვის, რომ თავი მოუყაროს მათ· არა, გორკი ცხოვრების სინამდვილეს გადაამუშავებს რა თავის მხატრულ ლაბორატორიაში, გვაძლევს ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ გარემოებებში. ის განსაზღვრა, რომელიც ენგელსმა მისცა ბალზაკს, გორკისაც საუცხოოდ უდგება. მის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მისი ნაწარმოები გაცილებით მეტს იძლევა ჩვენი ეპოქის გასაგებად, ვიდრე ეკონომიური, ისტორიული და სტატისტიკური ხასიათის ათეული სხვა წიგნი.

მაგრამ გორკის შემოქმედება **რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ უ რ ი** რეალიზმია. გორკი უბრალო ყოფა-ცხოვრების ამსახველი მწერალი როდია, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. გორკი ყოფის უბრალო ფიქსაციას კი არ აწარმოებს. მისთვის საზიზღარია ეს გახევებული, უმოძრაო ყოფის ჭაობი, რომელიც ხელს უშლის ადამიანის წინსვლა-განვითარებას, რომელიც ბორკავს და ხუთავს ადამიანის პიროვნებას. გორკი მოგვიწოდებს ყოფისა და ცხოვრების პირობების შეცვლისაკენ. იგი მოგვიწოდებს მონობასა და ჩაგვრაზე დაფუძნებული წყობილების დასამხობად. და აი, ეს ძახილი წინსვლისაკენ, ეს მისწრაფება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ გორკის თვითოეულ ნაწარმოებში, ახასიათებს გორკის, როგორც რევოლუციონერ—რეალისტს, როგორც მხატვარს, რომელიც არა მარტო გვისახავს

სინამდვილეს, არამედ მოგვიწოდებს კიდეც წინ, ცხოვრების წინააღმდეგობათა რევოლუციონურ გადაჭრისაკენ.

გორკის შემოქმედება უაღრესად ნაციონალურია. როდესაც კითხულობთ მის ნაწერებს, გრძნობთ რომ მოქმედება სწარმოებს აქ, ამ ფართო ველებზე, სადაც მომხდარა ჩვენი ისტორიის უდიდესი მოვლენები. გორკი გვიხატავს სხვადასხვა კლასისა და მდგომარეობის რუს ადამიანებს ყველა მათი ღირსებებითა და ნაკლოვანებით. მის თხზულებებში ბრწყინავს ვრცელი და სავსეწყლიანი ვოლგა. მის წიგნებში ნარნარით გაისმის რუსული სიმღერა. როდესაც კითხულობთ გორკის წიგნებს, თქვენ ეს სიმღერა გესმით.

არც ერთ მწერალს არ ქოპოვება ეხლა ისეთი განსაცვიფრებლად მდიდარი მარაგი რუსული ენისა, როგორც გორკის...

გორკის შემოქმედება უაღრესად ინტერნაციონალურია—გორკი უყვართ მას იცნობენ, კითხულობენ პროლეტარები ჩვენი ქვეყნის გარეთაც, შორეულ მხარეებში. მისი ნაწერები იქაც ვრცელდება ასეულ ათასობით. ეს იმიტომ რომ უცხოეთის პროლეტარები ჩვენი ვოლგელი ვაჭრებისა და ფაბრიკანტების ფიგურებს იქით ხედავდენ იმ ძალას, რომელიც თითონ მათ აღრჩობს და სჩაგრავს მშობლიურ ქვეყანაში. პელაგეა ნილოვნას და პავლეს სახელში ისინი ხედავენ თავის სიხლსა და ხორცს, თავის ფიქრებსა და მისწრაფებებს. თვალწინ უდგას კაპიტალისტური საზოგადოების საშინელი ფსკერი, რომელიც გორკიმ საშინელის ძალით ასახა; ამ ფსკერზე ეხლა სცვივა კაპიტალიზმის მიერ დაფშვნილი ადამიანური ცხოვრების ნამტვრევები, რაც ამჟამად, კრიზიზის პერიოდში მოჭარბებულად არის. უცხოეთის პროლეტარები ურეთებენ თავის ხმას სოციალიზმისათვის ბრძოლის მოწოდებას, რომელიც გაისმის გორკის წიგნებში. ამიტომაა, რომ ისინი ჩვენთან ერთად იმეორებენ „ჩვენი გორკი, ჩვენი გორკი“!

ლენინი უგულითადესი გრძნობით ეკიდებოდა გორკის. ყურადღებით ადევნებდა თვალს გორკის მუშაობას. წერილებში მხრუნველობით კითხულობდა მისი ჯანმთელობის ამბავს, მისი ლიტერატურული საქმეების მსვლელობას. იგი ეხმარებოდა გორკის თავისი რჩევა-დარიგებით. ვლადიმერ ილიჩისა და გორკის ეს ურთიერთობა ძლიერი მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული ამასთანავე ერთად ლენინმა პირველმა შეაფასა გორკი, როგორც დიადი პროლეტარული მწერალი. წინააღმდეგ მენშევიკებისა, წინააღმდეგ ტროცკისა, ლენინმა პირველმა განაცხადა, იმის შესახებ, რომ გორკი წარმოადგენს უდიდეს ავტორიტეტს პროლეტარული ხელოვნების სფეროში.

ლენინი აღარ არის; ლენინი, რომელსაც გოროკიმ უძღვნა შესანიშნავი სტრიქონები. მაგრამ ცოცხალია ჩვენი პარტია, ცოცხალია ლენინის საქმე, ადამიანები, რომელებიც ლენინმა გამოწვრთნა. და გასაკვირი არაა, რომ ეხლა დიადი პროლეტარული მწერლის, ამხ. გორკის სახელი მტკიცედ არის გადაჯაჭვული პროლეტარული რევოლუციის ბელადის, ამხ. სტალინის სახელთან, რომელშიდაც განსახიერდა ყოველივე საუკეთესო, რაც კი პარტიაში მოგვეძებნება (მქუხარე ტაში).

გორკი მუდამ იწვევდა მტრების გაბოროტებულ თავდასხმებს, მათ არ შეეძლოთ და არც შეუძლიათ დამშვიდებით მოეკიდონ მას. მტრები ცდილობდენ გორკის გაჩუმებას, ის კი ლაპარაკობდა ყველას გასაგონად. მტრები ლაყბობდენ გორკის, როგორც მხატვრის, აღსასრულზე, ის კი უპასუხებდა [illegible] ახალი შესანიშნავი ხელოვნური ნაწარმოებით. და ეხლა, როდესაც გორკი იმყოფება აქ, ემიგრაციის ქოფაკები განაგრძობენ ყეფას მისი მისამართით, დეე, იყეფონ! გორკის გარს აკრავს მილიონთა სიყვარული და პატივისცემა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც.

ეს სიყვარული—მისთვის მტკიცე ფარია, რომელასც ვერასოდეს ვერ გააპობს მისი და ჩვენი მტრების მოწამლული ისარი (ტაში).

მე მაგონდება ეხლა ადრინდელი გორკის ერთი ლეგენდა,—ლეგენდა დანკოს შესახებ. ადამიანები ეძენდენ გზას სიბნელიდან და ორწოხებიდან ახალი ცხოვრებისკენ გამოსასვლელად; და აი, ჭაბუკმა დანკომ, რომლის გული ადამიანთა სიყვარულით იყო აღგზნებული, გადაწყვიტა მათი შველა: მკერდიდან გული ამოიგლიჯა და ზევით აღმართა. გული გაბრწყინდა მზესავით და ადამიანებს გზა გაუნათა--ასეა გორკიც! მისი წიგნები თითქოს გულიდან გადანაღები სისხლით არიან დაწერილნი; მისი ნაწერები გამსჭვალულია მაჩაგვრელთა სიძულვილით და ბედშავ-დაჩაგრულთა სიყვარულით,—ეს ნაწერები გორკისა ბრწყინავენ ცხოველი და უქრობი სინთლით. აშუქებენ ცხოვრების გზას, მოუწოდებენ მკითხველს ახალი ცხოვრებისაკენ, სოციალიზმისათვის ბრძოლისაკენ.

გორკი ცხოვრობს, მუშაობს და იბრძვის ჩვენთან ერთად. იგი მონაწილეობს ჩვენს საერთო მუშაობაში და კომუნიზმისათვის ბრძოლაში. მისი საქმიანობა მეტად მრავალფეროვანია: იგი განაგრძობს თავის მხატვრულ შემოქმედებას, იგი ბეჭდავს პუბლიცისტურ სტატიებს, მან გამოიჩინა თაოსნობა ისეთ დიდ საქმეებში, როგორიც არის „ქარხნების ისტორია“ და „სამოქალაქო ომების ისტორია“, დაუვიწყარია ის კეთილშობილი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის გორკის და მასთან ერთად რომენ როლანს, დრაიზერს და ანრი ბარბიუსს, რომელსაც ჩვენ სიხარულით მივესალმებით ჩვენს დღევანდელ კრებაზე (მქუხარე ტაში), ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მათ ანტისამხედრო კონგრესის მოწვევაში და ყველა ქვეყნის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილსა და მუშათა კლასის ძალთა გაერთიანებაში იპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენ მთელის გულით ვუსურვებთ ალექსი მაქსიმესძეს კვლავაც განაგრძოს ეს კეთილშობილი, თავდადებული და ენერგიით აღსავსე მოღვაწეობა.

ნება მიბოძეთ გამოვსთქვა რწმევა და სურვილი, რომ ა. მ. გორკის, რომელიც ჯერ კ-დევ მხნედ და მაგრად გამოიყურება, რომელიც ნორჩია სულით, როგორც მეორე ხუთწლედი (მქუხარე ტაში, ოვაციები), რომ ა. მ. გორკის ენახოს ჩვეი ქვეყანა, განთავისუფლებული ოკუროვის სიბინძურის უკანასკნელი ნარჩენებისაგან, აყვავებული სოციალისტური კულტურით, რომლისთვისაც იგი თავგამოდებით შრომობს. ვუსურვოთ ეს ჩვენს ძვირფასსა და საყვარელ ა. მ. გორკის (მქუხარე ტაში).

ნ. ბუხარინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი კაცობრიობა

(დაგვიანებული წერილი მ. გორკის იუბილესთვის)

•

გორკის პორტრეტთა დიდ რაოდენობაში ორ პორტრეტს განცალკევებული ადგილი უჭირავს: ერთი-გენიალური სეროვის ნამუშევარი და მეორე—სულ ახლო ხანის ნამუშევარი არაჩვეულებრივად ნიჭიერის, საკუთარი ძალლონით შინ განსწავლული პრიმიტივი მხატვრის პოლონელ კორინისა. სეროვის პორტრეტი—ახალგაზრდა არწივი. თვალები ანათებული. ქედმაღალ პოზაში, ძლიერი სხეულის მკვეთრად მოხაზული მოძრაობით. ის მთლიანად გამოწვევაა, თავაღებულობა დაუდეგარი თავით დაწყებული მაღალყელიან ჩექმებით გათავებული, კაცი რომელიც უეცრად გაჩნდა რუსეთის ლიტერატურის პალატებში; ბგონია მის ირგვლივ თითქოს ისევ ფრთქიალებენ ქარიშხალის წინამორბედი ფრინველები, ფრინველნი ახლათ-ახალ საშიშო აზრებისა, რომელთა შეხებისას უცნაური ძრწოლა იტანდა ინტელიგენციის კვალიფიციურ ლიდერებს, რომელნიც ტკბილი ძრწუნებით, ჟრუანტელ ატანილნი მიიწევდენ, რათა ჩაეხედათ „ბსკერში“, ანდა მორიდებულ სიშორიდან დაეკრათ ტაში „შევარდენისთვის“. აქ გორკი მხოლოდ ისწორებს თავის ღონიერ ფრთებს და იხედება აქეთ-იქით მზვერავი თვალებით:—აი, ეს-ეს არის დაარხევს ამ ფრთებს და გადმოეკიდება ცხოვრების უსასრულო ოკეანეს სილაჟვარდეში, რომ იქიდან კარგად მოძებნოს არწივის მახვილი ხედვით მტერი და გამარჯვებულის ყიჟინით ჩაასოს მას ფოლადის ბრჭყალები.

კორინის პორტრეტი—უკანასკნელი წლების გორკი. ბუმბერაზი კაცი მიაბიჯებს ზღვის პირზე. ერთი წუთით თავში გაგიელვებს ნესტეროვის „გლახა“, მაგრამ ეს შორეული კომპოზიციური ნათესაობა მაშინვე ქრება: ნესტეროვი—სასოებრივი დუმილი, კორინი—ზღვა ცხოვრებისა; იქ ღუთის უსიტყვო მორჩილი, აქ განპიროვნებული კაცობრიობა; იქ გახრწნა ადამიანის უსუსური გონებისა ბუნების უგულებელყოფილებაში, აქ—მისი ძლევამოსილი სრბოლა. მიდის ბუმბერაზი კაცი. ხელფეხი თითქოს რკინისგან იყოს გამოკვერილი, თუმცა მოღლილობა უკვე შეპარვია კუნთებში. ნაოჭები ასე გადაჰფენია სახეზე, თითქოს ათეულ წლების სიცოცხლეს მძაფრსა და ყელამდე სავსეს საკუთარი ხელი მოეწეროს ამ ადამიანის შუბლზე. თვალთაგან გამოსჭვირს სიბრძნე საუკუნისა და

მიდის იგი, ცხოვრების დიდი მასწავლებელი, წინ: რადგან ხედავს იქ, უკვე ცხადათ და არა ოცნებაში, მიწას აღთქმულს და თან მიჰყავს ახალი კაცობრიობა.

არ არსებობს ახლა ქვეყნიერებაზე მუშათა კლასისათვის, მხატვარი-მწერალი მასზე ახლობელი, ინტიმურად ძვირფასი, ღვიძლი და საყვარელი.

მჭიდროთ გადაეგებენ, დაუახლოვდენ პროლეტარიატს—მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან—დიდი შემომქმედნი და მათ შორის ისეთი ბრწყინვალე და თავისებურად ერთადერთი, როგორიც არის რომენ რალანი. ეს თვალის მომჭრელი ტალანტი ნამდვილი საგანძური სულიერი კულტურისა, თვალუწვდენ ისტორიულ ჰორიზონტებით, დახვეწილი ადამიანი ჩვენი დროისა, კულტურულ ღირებულებათა დიდი სახელოსნოს სრული ბატონ-პატრონი, კეთილშობილი მოაზროვნე და გაბედული მოკავშირე პროლეტარიატისა. მაგრამ გორკი თავით ფეხამდე მაინც ჩვენია, ფიქრშიც კი არ შეიძლება მისი მუშათა მასებისგან აგლეჯა, რადგან ის ორგანიულად აღმოცენდა და აღიზარდა ძირებიდან, მთელი მისი ინტელექტი აღიმართა ამ საძირკველზე. ის არამცთუ ფიქრობდა ამ ძირებზე, ის ცხოვრობდა იქ: აქ სვამდა იგი როგორც სამსალას ცხოვრებისას, აგრეთვე სიტკბოსაც მისას. აქ აყვავილდა მისი იმედები უკეთეს ხვედრზე; აქ ნახა მან რევოლუციის მუშაკები, ამ ცხოვრების ძროში განცდილი სიმწრით მიემხრო ბოლშევიზმის მებრძოლ რაზმებს. პირველმა მან გასჭვრიტა მსოფლიო სარდაფებისა და მანსარდების სარკმელიდან, გასცქეროდა ამ ქვეყანას ლაღად გაშლილ მდინარეთა და აღვართქაფებული ზღვათა ნაპირებიდან და არა წიგნებით გაძეძგილ რაფებიდან, სადაც მშრალად არის დალექილი დაპრესილი ნააზრევნი—ფორმულები, რომელნიც ცხოვრების გამოცდილებათა მიღმა მუდამ მღვრიანაცრისფერი პკით არიან დაფარული. ამიტომაც არის ასეთი მკაფიო და ნათელი, ასე თვალაღებულად ფეროვანი მისი შემოქმედება. ოქროს ბუსუსიანი ზარდლები ვარსკვლავებისა, ქედმაღალი სტიქია აზვირთებული ტალღებისა და ზღვის ფრთონისა, გრუხუნი ელვა-მეხისა და ტკბილი შეგონებანი ნაზი სევდისა; ხმანი-ბგერანი, ბურები, ფერები ცოცხლობენ და სუნთქავენ თბილი ფშვინვით მისი ქმნილებათა ფურცლებიდან.

სულ სხვადასხვა მდგომარეობის, კლასების, ჯგუფთა, ტემპერამენტისა და აზრის ხალხი სცვლის ერთი მეორეს, ჩაივლიან თქვენ წინ უთვალავ ხლართებით, კონფლიქტებით, ტრაღიკულ კოლიზიებითა და საერთო ბრძოლებით დაკავშირებული ტიპები; გლეხები და მედუქნენი, ხუცები და კახპები, სიმარილის მაძიებელი სალოსნი, „წმინდა“ საპყარნი და მარჩიელები, ბოსიაკები და სტუდენტები, ჭარმაგი ბურჟუები, ინტელიგენტები, ჩინოვნიკები, რევოლიუციონერები—ნაროდნიკები და პირველი მარქსისტები; ბურლაკები, ქურდები, პროფესორები, ხელოსნები, ქარხნის მუშები და მთელი ეს მრავალფეროვნება ცხოვრებისა დარხეულია მის შემოქმედებაში. გორკი უდიდესი ოსტატია ადამიანების ვნებათა გამოხატვაში. ამ ვნებათა მოდულაცია: პირუტყვული, მხეცური და გულის შემზარავი სიტლანქითა და უხეშობით დაწყებული, გათავებული სულის სიღრმემდე დასული უნაზეს ნიუანსებით. ადამიანის სულის ურთულესი მოძრაობა გორკის მხატვრობაში პოულობს უმდიდრეს პალიტრას, ასე აფრქვევს და იღვრება სიმფონიებად, რომელიც აგებულია სულ სხვადასხვა ძირეულად განსხვავებულ

გამმებად. გორკის კითხვით შეიძლება შეისწავლო „ისტორია რუსეთის სახელმწიფოსი“, რადგან მისი მხატვრული ყალამი ანზოგადებს და იძლევა — დროში და ვრცეულობაში — სინთენტიურ სურათებს, ტიპიურ სახეებში აღბეჭდილ ისტორიულ სვრელებსა და მთელ პლასტებს საზოგადოებრივ ცხოვრებისა. „ჩელკაში“, „ქარიშხლის მაუწყებელი“, „მტრები“, „ოკუროვი“, „დედა“ — შემოკლებული ნიშნებია, სიმბოლოებია მთელი ისტორიული უღელტეხილებისა.

მართალია, თვითონ ავტორი მუდამ მათემატიკური კონსტანტად რჩებოდა: იზრდებოდა და იცვლებოდა. თვალსაცემათ აშკარა თავაღებული და მძვინვარე დემონის ინდივიდუალიზმსა, რომელიც გამოვიდა კონტრაბანდისტების წრიდან, და „ჩელკაშისა“ და „აღსარების“ „კოლექტივიზმს შორის დისტანცია ისევე განუზომელია, როგორც რაციონალისტურ-აბსტრაქტულ „ადამიანისა“ და ისტორიულ პროლეტარიატს შორის, რომელიც ამზადებს სულ ახალ სოციალისტურ კაცობრიობას, — შაგრამ ისე მძაფრი იყო და სქელი გორკის ნაფენი, ისე ცოცხალი და ხელსახები იყვნენ მისი ტიპები, ისე შესანიშნავად არის აღნიშნული მათი ვნებანი, ისე მარჯვეთ არიან ისინი დაჭერილნი და განზოგადებულია აზრები, რომ ეს დიდი მასა სახელწოდებათა, ფრაზებისა, მდგომარეობათა, სიმღერებისა და ტიპებისა შემადგენელ ნაწილად შევიდა გამდიდრებულ და განვითარების პროცესში მყოფ „ყოველდღიურად სახმარებელ“ ენაში, რაც საუკეთესო სინჯია ყოველ მხატვრულ შემოქმედებისათვის. ჩვენს ლიტერატურაში პირველათ იქნა ნაჩვენები არამც თუ სრულიად რუსეთის ოკუროვშჩინა, არამედ ის შინაგანი მამოძრავებელი ძალები, რომელთაც შემდეგში ააფეთქეს იგი და ნაცარმტვერად აქციეს: გორკის შემოქმედებითი პროდუქციაში ისტორიულმა დიალექტიკამ ჩააქდო თავისი ხუთივე თითი და ჩვენ არა გვყავს მწერალი, რომელსაც ასეთი ძლიერებითა და მხატვრული დამაჯერებლობით ეჩვენებინოს ჩვენთვის თანდათანობითი ზრდა ჩვენი დიადი და გოროზი ეპოქისა, როგორც ეს შესძლო საყვარელზე უსაყვარელესმა მომღერალმა პროლეტარიატისა.

რა იყო მ ნამდე? დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი ჰქმნიდა მართლმადიდებელი იმპერიის აპოთეოზს და მხატვრულად დაასაბუთა აზიური სალოსობა და შეაფურთხა რევოლუციის „ეშმაკეულთ“, ისეთი გენიალური ბუმბერაზი, როგორიც ტ ო ლ ს ტ ო ი არის, ეს ნამდვილი დევგმირი ლიტერატურისა, რომელმაც ქვეყნიერების წინაშე მთელი ქედები ასახა ისტორიისა, მიებჯინა თავისი სოფლურ-პატრიარქალურ განსაზღვრულობას და ფეხიც არ მოუცვლია. ქალაქის ახალ იდეათა რეტორტები, გული და ღვიძლი ახალი ეპოქისა მისთვის დახშული იყო, მთელ ქვეყნიერებას ჩამოაცვა მან თავისი დაღრანკული შინაურულად ნაჯახირები ქალამანი და „გლეხურად, ხეპრულად“ დასწყევლა კულტურა და მით თავისივე თავს ჩაუკეტა გზა მომავლისაკენ. ჩ ე ხ ო ვ ი ცხოვრების შესანიშნავი დამკვირვებელი, სჭვრეტდა ამ ცხოვრებას თავისი ინტელიგენტური კაბინეტიდან და ამ გზით ვერასოდეს ის ვერ მიაგნებდა მიწის წიაღში ჩაგმანულ ისტორიულ პროცესის დიდ წყლებს. გ ო რ კ ი პირიქით, ის გაბედულად ცურავდა უღრმეს ფარვატერში: ის ამაყად მიჰქონდა როვოლიუციის დიდ მდინარეს, მიდიოდა ახალ კლასთან ერთად, დაუძმობილდა მის პარტიას და აი სწორედ ამიტომ შესძლო მან ასახვა ისტორიის დინამიკისა, რომელიც მთელ რიგ მიხვევ-მოხვევათა შემდგომ, წავიდა უეცრად

ისეთი თვალის მომჭრელ სისწრაფით, რომ მის წინაშე გოგოლის „ტროიკის“ გაქანება მოსჩანს ისე, როგორც საწყალი ფანტაზია, საწყალი პროვინციალისა.

მიუხედავათ გორკის იდეურ ევოლუციისა, დაწყებული [illegible]-ნიცშეანურ ანარქისტულ ინდივიდუალიზმის საგრძნობი რაოდენობით, გათავებული დიადი ერთობრივობითა და ორგანიზაციულად შემჭიდროვებული კომუნისტური რიგებით,—შეიძლება მოვნახოთ ძირითადი იდეები, რომელნიც მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში წარმოადგენდენ შემოქმედებისა და ძიებათა მოტორებს. პირველი ამ იდეათაგანი იყო ბრძოლა მეშჩანობასთან. ისტორიულად პროგრესიული, „წარმტაც“ „ჩელკაშში“ და „მოლვაში“ იყო მოცემული ამბოხება ამ ამაყი და ლაღი ხალხისა მეშჩანინის წინააღმდეგ. „წვრილი მესაკუთრე, კანონის ყურმოჭრილი ყმა, პირმოთნე ოჯახის კაცი“ ჩამოგდებული უნდა ყოფილიყო თავისი „იდეურ“ პოზიციებიდან. უკეთ რომ ვთქვათ. ეს იყო ფორმა პროტესტისა მთელი იმ ნორმათა სისტემის წინააღმდეგ—იურიდიულ და მორალურ,—რომელზედაც დაყრდნობილი იყო მაშინდელი დესპოტიური იმპერიის რკინის წყობილება. მის კონკრეტიულ მხარეს განმარტავდენ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა განუვითარებლობით, კლასიური სახის ბუნდოვანებით, თვითონ გორკი მაინც ეძებდა თავის გზებს. ცხოვრებაში მიღებულმა გამოცდილებამ ჩასახა და განავითარა მასაში ზიზღი ხარბი, ბლუ, ბოროტი და გონებრივად შემოსაზღვრულ მეშჩანინისადმი, მის პრინციპიალური ფრთაშეკვეცილობისადმი და მის საცოდავ წესწყობილებისადმი. ანტითეზა: „შევარდენი“, ქარიშხალის წინამორბედი, „ჩელკაში“ და სხვა გმირები გორკის შემოქმედების რომანტიულ პერიოდიდან.

ეს ბრძოლა მეშჩანობის წინააღმდეგ გადაეზარდა შეგნებით ჩამოყალიბებულ ბრძოლის იდეას კომუნიზმისათვის. ის სდევნიდა მტერს დაუზოგავად ყოფაცხოვრების ყველა კუნჭულებიდან, ხსნიდა ნიღაბს ინტელიგენციასაც, ამ ეგრეთწოდებულ „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებათა“ გმირს—ასეთია მისი „მზის შვილები“. და ამ ბრძოლას მეშჩანობასთან მუდამ თან ახდა შემოქმედების ქადაგებაც. ეს ნოტა უფრო და უფრო მკაფიოდ გაისმის მის ხმაში, რომ ის შემოქმედებითი შრომის დაუდეგარ აპოლოგიათ იქცეს. ხეტიალისა და ტანტალის დროს, ეს ბრწყინვალე მაწანწალა და ბრადიაგა, უერთდებოდა რა პანთეისტური აღტაცებით კოსმოს, გასცქეროდა რა სამხრეთის მოციმციმე ვარსკვლავებს, ეს ადამიანი, რომელსაც ცხოვრებამ არა ერთხელ ჩაბღუჯა ხელი საყელოში და გადაუძახა თავისი ყველაზე უშმორეს ჭაობებში და მორევებში, მაინც დაბეჯითებით, გულდაგულ ეძებდა „სიმართლეს“, ე. ი. „ალმაზს“, „ადამიანისათვის ღირსეულ“, „სამართლიან ნორმებს. სად არის აქ ღერძი ამა ცხოვრებისა, რომელზედაც იგი ტრიალებს, და მისი უმაღლესი სიხარული? მას უყვარდა ეს სიყვარული ზოოლოგიურ თავაშვებულებაში და მხეცური სიველურის საშინელ უბსკრულებშიც კი ეხერხებოდა პოვნა დიდი ინსტინქტების ძვირფასი მარგალიტებისა. არა მგონია, რომ სხვა ვინმე ასეთი თბილი, შიგნიდან აღმომხდარი სინაზით სწერდეს ქალის შესახებ, როგორც გორკი სწერს.

მაგრამ მხოლოდ ამ გრძნობაზე ხომ ვერ დააფუძნებ ამ ცხოვრებას? გორკი ამისათვისაც პოულობს შესაფერ ფუძეს და ეს ფუძე აქტიურ დასაწყისში, შ რ ო მ ა შ ი მდგომარეობს, მართლია ამისთვის საჭირო იყო გადალახვა და დაძლევა იმ ზიზღისა, რომლითაც შეხცქეროდენ შრომას ის "მის მეერ — ხელობაშეხმული რუსეთის ლაპპარონები: მაგრამ განა მათ სულ სხვა მხრით არ შესძლეს გორკის მოსყიდვა. კანონების უარყოფით. ბრძოლა მეშჩანობასთან, გონებრივ სივიწროვესთან და შეზღუდულობასთან მოითხოვდა აქტივობას, თვალთახედვის არის გაფრთოებას, შ რ ო მ ა ს. შეიძლება თვალყური ადევნოთ, კვალდაკვალ გაჰყვეთ გორკის შემოქმედებაში იმას თუ როგორ იზრდებოდა და მწიფდებოდა იდეა შემოქმედებითი სიხარულისა, აღტაცებისა, დაწყებული სულ უშუალო ფიზიოლოგიურ დამოკიდებულებით, გათავებული რთული იდეოლოგიით რომელიც შრომას აყენებდა როგორც ცხოვრების ძირითად პრინციპს. და აი ეს იდეა იმთავითვე უშვებდა სამ დიდ ყლორტს: იდეას კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ზ მ ი ს ა ს, იდეას შესაფერის „სულიერ კულტურისას" — მეცნიერებისა, შეცნობისა და იდეას რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა მ თ ე ლ ფ რ ო ნ ტ ზ ე. ჯერ კიდევ გორკის რომანტიკის გარკვეულად ინდივიდუალისტურ პერიოდში დანკო ხალხის სიყვარულით ანთია თავისი ჟინჟღილივით აღზნებული გულით.

ადამიანის პრობლემა, არა როგორც პრობლემა ინდივიდუუმისა, არამედ როგორც საზოგადოებრივი პრობლემა, იმთავითვე აწვალებდა გორკის და ნათელი, ერთობლივი, „ადამიანურ" ცხოვრებაზე ოცნება შეადგენდა მის საფუძველს. აქ „იზრდება" მისი ძიება" „სიმართლისა ამ ქვეყანაზე" და სწორედ ამ ხაზზე არის განლაგებული ის გრძნობიერი მიმღებანი კლასიურ ტალღათა ყველა რხევებისა, იმედებისა, მოქმედებისა, გულში ჩაკლულ ამოოხვრათა და ბუნტარულ გზნებათა. ანდა როგორ შეიძლება ფიქრიც კი ნამდვილ შრომაზე, როცა ყველაფერი განართხულია და გასრესილი საზიზღარი რეჟიმის ბინძური ქუსლით? საჭიროა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მისი დ ა მ ხ ო ბ ა ახალი ცხოვრების სახელით. ასეა შეთანხმებული გორკის შემოქმედებაში ბ რ ძ ო ლ ი ს გ ე რ ო ი კ ა შ რ ო მ ი ს გ ე რ ო ი კ ა ს თ ა ნ. სიმართლის მაძიებელ წმინდა კაცებიდან, რომელნიც პასიურად სჭვრეტენ „ბოროტს" და კეთილი ადამიანებიდან, გორკი თამამად გადადის რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ უ რ ი კ ლ ა ს ი ს ა კ ე ნ, პროლეტარიატისაკენ, რომელიც თვითონ იკრიბებოდა, ერთიანდებოდა ერთ მთლიან სხეულად დაქსაქსულ პეტრეებისა და იკანეებისაგან და უკვე იწყებდა თავისი კოლექტიური და ორგანიზაციულად ჩამოქნილი ნებისყოფით ამხედრებას ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ. „მტრები" გვაძლევენ ძლიერ სურათს ამ დიადის გამიჯვნისა, სადაც ყველა წერტილები უკვე დასმულია i-ზე, ბარიკადები ამართულია, ტყვიამფრქვეველები გამზადებული.

მაგრამ გეროიკა შ რ ო მ ი ს ა გულისხმობს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს გეროიკასაც. აქედან წამოვიდა გორკის ბუნებაში ის პ ა თ ო ს ი კ ულ ტ ურ ი ს ა დ მ ი, რომელიც ასე დამახასიათებელია მისთვის და რომელიც ასე გადიფურჩქნა მასში დიადი მშენებლობის პერიოდში, გორკი აღმოცენდა ნიადაგის სიღრმიდან, მას უთვალავი ფესვები აქვს გადგმული და მას ვერაფრით ვერ ამოჭგლეჯ ამ მიწიდან, ის მთლად მიწისაა, ცხოვრების წყალგაურეველი წვენი სდულს მასში და

სწორედ ამაშია მისი ძალა, მაგრამ ამავე დროს ის მწიგნობარიცაა. მან ჯერ კიდევ ადრეთვე იგრძნო ფასი ცოდნისა, წიგნისა და კულტურისა. ლუმპენ-პროლეტარულმა ნიღილიზმა გაიელვა აქ ზედაპირზე, მაგრამ სილრმეშიც აღმოჩნდა მისი მოწინააღმდეგე იდეა ფიზიკური და გონებრივი ტიროანის დაახლოებისა. ადრეული გორკი, გორკი რომანტიკოსი ჯერ კიდევ მიდიოდა ლოზუნგით:

„Тьмы низких истин нам дороже нас возвышающих обман.“ და აი მანუგეშებელ და ტკბილი, „ჩიჟის“ ილლუზიებს ადიდებდა იგი როგორც უკანასკნელ სიბრძნეს ცხოვრებისას, ვინაიდან ამაში წამტაც პოეზიას ჰპოვებდა, პოეზიას დაპირის პირებულს ყოველდღიური დაკნინებულ ცხოვრების, წინაშე, მაგრამ ძლიერმა სასიცოცხლო კონფლიქტებმა პირველი რევოლუციის დროს, რომელთაც მთელი საზოგადოებრივი წყობილება გადაზნიქეს და აფრაკად დააყენეს, რომლებმაც ყველა ურთიერთობანი ააზანზარა და გაშალა გოროზი, მაგრამ დიადი პერსპექტივები, მთელი სიმაღლით დააყენეს პრობლემა ობიექტიური ცოდნისა და ბრძოლისა „ტყუილებთან“, „ილუზიებთან“ და შესცვალა ისინი უდიდესმა შემეცნებითმა ოპტიმიზმმა, რომელსაც სუსტხერხემლიანი ბურჟუები „მეცნიერების სარწმუნოებას“, „მეცნიერების რელიგიას“ უწოდებდენ, იმ დროს, როცა ეს იყო დაჯერება ყოველდღე და ყოველ საათში მილიონების პრაქტიკით შემოწმება მთელი მსოფლიო ინდუსტრიის ცდითა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობით.

აი რატომ გვხვდება ჩვენ გორკის შემოქმედებაში ნამდვილი ჰიმნები, მაძღვნილი ადამიანის გონებისადმი. გორკის შემოქმედებით ბუნებაში არის რაღაც იმ დიდ განმანათლებელ—რაციონალისტთაგან. მაგრამ ცნობილი „რეზონიორობა“ მისი გმირებისა და მისი მგზნებარე ხოტბანი გონებისადმი მიმართულნი ახლა უკვე აღარ კიდია ჰაერში, ისე როგორც სიფრიფანა და ნაკლებ სასარგებლო ინტელექტუალური ბუღი, ეს უკვე მხატვრულად გაფორმებული იდეოლოგიაა, რომელიც დამყარებულია ცოდნაზე და მის შესაფერ ძალებზე. ეს მრავალჯერ გადიდებული სიმართლის მაძიებელი სალოსი კი აღარ არის, არამედ ეს „ბსკერიდან“ ხარისხში ამაღლებული ლუკაა, ეს არც პოეტური „ჩიჟია“, არც ის დიდი რწმენაა მონებისა, როგორც ეს ისეთ შესანიშნავ ადამიანს წამდა როგორიც ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო.

არა, აქ ყოველ დიდიდეურ დებულების უკან უკვე მატერიალისტური ძალები დგას, ძალები ისეთ მასშტაბში ორგანიზებული, როგორიც არ სცოდნია ისტორიის წარსულ ათას წლეულებს. ამიტომაც შეიცვალა დამოკიდებულება თეორიასა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის. მოქმედებისა და მიღმა ობიექტივობის შორის. მთელი ტყე კომუნისტური იდეებისა აღიმართა ახლა როგორც შეიარაღებული მასიური ძალა და იდეური ხელმძღვანელი გამოდის უეცრად როგორც მასების ორგანიზატორი.

გორკის ყველა ინტერესთა ცენტრში დგას პრობლემა ახალი კაცობრიობისა. აქედან,—მისი თავისებური ჰუმანიზმი. მაგრამ ეს ჰუმანიზმი არ ატარებს ახლა იმ ნაკლს, რომლითაც ერთობოდენ მისი წინამორბედნი; აქ საქმე სულ კონკრეტული ისტორიულ ამოცანებზეა მიმდგარი, კონკრეტიულ ის-

ტორიულ ხალხზე, ბრძოლის კონკრეტიულ მეთოდებზე, მეთოდებზე შრომისა, რაც იგივე ბრძოლაა. და ეს ახალი კაცობრიობა ვისთვისაც იბრძვის ეს დიდი პოეტი უკვე აღარ წარმოადგენს იმ უსხეულო სარეგულაციო იდეას. ის ქცევა დობის პროცესშია ჰეგელის სიტყვით რომ ვთქვათ, იზრდება და გარკვეულ სახეს იღებს განწმენდილი ძალთა დაძაბულობითა და ბრძოლით გმირულ შრომაში, რომელიც ისტორიაში შევა როგორც უდიდესი ქმედობა ყველა დროთა შორის. სად უნდა ვეძიოთ სიმართლე ცხოვრებაში?—კომუნიზმში!—გვიპასუხებენ მილიონები. რის გულისათვის ღირს რომ იცხოვრო და თავი დასდო?—კომუნიზმისათვის!—გაისმის მსოფლიოს ისტორიული ხმა.

მეცნიერება, შრომა, აქტიურობა, ნებისყოფა, თანხმობა, კოლექტივი, კულტურა,—ყველაფერი ეს იზრდება, იკაფავს გზას და იბრძვის ჩვენს ძლევამოსილ ცხოვრებაში. მთელი რიგი ძველი ურჩხულებისა განართხულია: ობლომოვშჩინა, ოკუროვშჩინა, ძველი „რასეია“ (რუსეთი) ჩაბარდენ წარსულს. ახლა მეფობს სულ სხვა ხალხი, სულ სხვა იდეები. ახალი ხალხი ნაწილ-ნაწილ აყალიბებს მას და ამ დღისთვის ისე გატაცებით, რომ ოცნებობდენ ერთ დროს ყველაზე კეთილშობილი ხალხი: უამრავი გმირები მშენებლობისა, არმია დამკვრელებისა, ათეული ათასები მუშკორებისა, მუშათა წრიდან გამოსული ახალი ინტელიგენცია, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა პიონერები, მკვლევარნი, ახალგაზდა მეცნიერნი და ტეხნიკური, კომკავშირული ახალგაზრდობა, პიონერთა რაზმები, კავშირის სამხედრო დარაჯნი—ყველაფერი ეს ახალი ყანაა, ჯეჯილია, ახალი თაობა, რომელიც შორს არის ჩელკაშებისაგან, „მზის შვილებისაგან“ და „მოაგარაკეთაგან“. მათ ჯერ კიდევ ბევრი მწვირე და მწიკვლი ახლავთ, მაგრამ ისინი თვალის მომჭრელი სისწრაფით იზრდებიან და ეს ზრდა მიმართულია კომუნისტური ამხანაგობისაკენ, გაბედულნი და კულტურულნი აქტიურ და კეთილშობილ ხალხად—ამხანაგებად. და აქ გორკის, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში მოგვცა მთელი რიგი საუკეთესო ნაწარმოებთა, ეხარებს მეორე დიდი სიხარულიც: რომ არის ბელადი, აღმზრდელი და ორგანიზატორი კულტ-მუშაკთა მილიონებისა, რომელთაც ღონივრად უჭირავთ ხელში საქე. მისი ხმა ახლა მთელ მსოფლიოს ესმის, მისი მოღვაწეობის ასპარეზი უსაზღვროდ გაიშალა. და აი, წინანდელი ბოსიაკი დღეს ჩვენი დროის ერთ უგანათლებულეს ადამიანად იქცა, დიდი პოეტი პროლეტარებისა ხდება ორგანიზატორი მეცნიერთა და მუშებისა ერთ დროულად. ეს ასეც უნდა მოხდეს, რახან დაიწყო ახალი ეპოქა, კლასებად დაქუცმაცებული კაცობრიობა სამზადისშია თავი მოიყაროს უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც ფიზიკური და გონებრივი მუშაობის პოლარობა ჩაბარდება ისტორიულ რარიტეტების მუზეუმს.

მაქსიმ გორკი, ასე ახლობელი და ძვირფასი ჩვენთვის, შევიდა თავისი შესანიშნავი ნათელი ცხოვრების ახალ ზოლში უზარმაზარი შკაფები ისტორიისა, ძალთა მრისხანე დაძაბულობა და ახალი კატასტროფები ემუქრებიან მსოფლიოს. სოციალური ბარომეტრები ყველა ქვეყნისა მიგვითითებენ ჯერ არნახულ და უეჭველ ქარიშხლებზე. გორკის სამშობლოში კი სწარმოებს ციკლოპიური მშენებლობა, დაძაბული მდგომარეობა, მაგრამ აუცილებელი და საამაყო.

მისი შემოქმედებითი არე თვალუწვდენელია, მის მასშტაბებს არ ჰყოლია წინამორბედი, მისი სიძნელენი განუზომელად დიდია, მისი მუშაკნი გმირები, მისი მტრები, — მსოფლიოს ახლანდელი ბრძანებელნი, მისი მეგობრები — მილიონები! ისტორიამ სუნთქვას მოუხშირა, დრო უფრო სწრაფად რბის, ამბები ისე მიექანებიან რომ თვალს ვერ მოასწრებ. გორკი მარტო არ მიდის, ის მიდის რჩეულთა შტაბის პირველ რიგებში, წინ მიუძღვის რევოლიუციის რკინის ჯარისკაცთა დისციპლინირებულ კომუნისტურ არმიას. ქვეყნიერების უკეთესი კაცნი, რომელნიც იცავენ საბჭოთა კავშირს, გადასძახიან ერთი მეორეს და გვერდში უდგებიან რევოლუციონურ მუშებს უკეთესი ძალები საბჭოთა ქვეყნისა სწირავენ თავის ნერვებს და ენერგიას „დიად სამუშაოებს“. და ყველა პოსტებზე კულტურისა, მეკნიერებისა, შრომისა და ხელოვნებისა გაისმის ბრძოლის მაღალი ყიჟინა გორკისა, რომელიც ხელახლა გაუმაწვილდა მუშათა უკვდაების წყაროს შესმით.

ასე სრულდება ისტორიული პროგნოზები და ისტორიული ვადები. სულ ახლად სვამს ახლა მსოფლიო ისტორია თავის ამოცანებს და ძველი ქვეყნის ჩონჩხი ჭრაჭუნობს, კრიზისის საჭირბოროტო ქანჩში მომწყვდეული. დგება აღსასრული ძველი იდეოლოგიებისა, რომელნიც წარმოიშვენ საკლასთაშორისო ღრმა უბსკრულების ნიადაგზე, დაყრდნობილ იყვნენ ფიზიკურ და გონებრივ შრომის გათხრილ უბსკრულზე: დგება ახალი მატერიალური სამყარო „სულიერი კულტურისა“. იწყება დიდი შეკრება ახალი კაცობრიობისა სამყაროს გიგანტურ გარდაქმნის ნიადაგზე. მტკიცე, და ჯიუტი, შრომაში და ხელმოკლეობაში გამობრძმედილნი, რომელნიც ზრდიან თავის თავს მწყობრი და ამხანაგური მუშაობისათვის, უტევენ ტეხნიკისა და მეცნიერების სიმაგრეებს, რომელთაც სურთ დაიმორჩილონ მსოფლიო ძთლიანად და უნაშთოდ, ასეთი არიან ისინი, მარილნი ამა მიწისა, ყვავილნი ამა ქვეყნისა, საფუარნი საქვეყნათაშორისო ისტორიისა, შემოქმედნი ახალი წყობილებისა. მართალია, მათ ჯერ კიდევ ახლავთ ობი და ფორი. არაფერია. გაივლის! ისტორიის ფოლადის სამუნელი გასწმენდს მათ თავის სისხლიან ცეცხლის დარჯაკში...

მიდის დიდი კაცი, რკინით ნაჭედი და გულკეთილი. მებრძოლი და ნაზი, მხედარი და წინასწარმეტყველი, ჯარისკაცი და მასწავლებელი. მიდის წინ ისტორიის დიდი გზით, ფართო შარით ახალ ქვეყნისაკენ მიდის ჭკვიანი თვალების მტკიცე გამოხედვით, სადაც განუკვეთელად ციმციმებს ალმასივით მაგარი და ურყევი რწმენა საბოლოო და აუცილებელ გამარჯვებაში...

მემუარები და დოკუმენტები

სიმონ ხუნდაძე

მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის

VII

სერგეი მესხის კერძო წერილები

ქვემოდ გამოქვეყნებული წერილები ეკუთვნის 70-იანი წლების შესანიშნავ და საინტერესო პუბლიცისტს—სერგეი სიმონისძე მესხს. ამჟამად ეს ნიჭიერი მწერალი და მოღვაწე დავიწყებულია და ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარიც კი ვერ იცნობს მის ნაწერებს ხოლო ფართო საზოგადოებისათვის იგი ხომ სრულიად უცნობია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სერგი მესხი დასავიწყებელი მწერალი იყოს და მას თავის დროზე დიდი როლი არ ეთამაშოს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. სერგეი მესხი 14 წლის განმავლობაში ეწეოდა განუწყვეტლივ ქართველი ჟურნალისტისა და რედაქტორის მძიმე მოვალეობას. „თოთხმეტი წელიწადი გუშაგად უდგა ჩვენს მწერლობასა, მას მოუტანა სერგეი მესხმა მსხვერპლად თავისი სიყმაწვილე, თავისი გონებისა და სხეულის ძალ-ღონე, თავის ცხოვრების მოსვენება და ბოლოს, პირველი და უკანასკნელი საუნჯე ყოველი კაცისა, თავისი ჯანის სიმრთელე".—ასე ახასიათებდა სერ. მესხის მოღვაწეობას მისი უახლოესი მეგობარი და თანამეკალმე პეტრე უმიკაშვილი[1]). ხოლო მისი მეორე თანამებრძოლი, გიორგი წერეთელი უკანასკნელ გამოსასალმებელ სიტყვაში ამბობდა:

„აწ საქართველოში ისეთი წერაკითხვის მცოდნე არ მოიპოება, რომ სერგეი მესხის სახელი არ გაეგონოს, თოთხმეტის წლის განმავლობაში ამ ქველ-მოქმედმა კაცმა აუტანელის ჯაფით ატარა მაღლა ქართულის ლიტერატურის დროშა.

არც ერთი კაცი არ მოიძებნება ჩვენ შორის, რომ არ გრძნობდეს ამ დიდს ღვაწლს; მაგრამ ჯერ კიდევ არ დასდგომია მას დრო ღირსეულად დაფასებისათვის. ვერც ერთი თქვენთაგანი იმ საშინელს ჯაფას და თავ-განწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია სერგეი მესხთან შრომაში. კვირის-კვირაობამდის, თვის-

---

[1]) პ. უ. „სერგეი მესხი" „ივერია" № VII—VIII გ. 158—59, 1883 წ.

ჟურ. „მნათობი" № 8—9.

ოვეობამდის, დღე-ნიადაგ უძილობა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა და მათი სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა"[1]).

ასე ახასიათებდენ სერ. მესხს ამხანაგები და მისი თანამებრძოლები მის მოღვაწეობასა და შრომას ქართული ლიტერატურის სასარგებლოდ. მესხმა სავსებით დაიმსახურა ეს ქება.

ამ პატარა წერილში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ სავსებითა და სრულად დავახასიათოდ სერ. მესხის სოფლმხედველობა და მისი იდეოლოგია. ეს ცალკე გამოკვლევის საქმე არის. აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ამ საკითხს.

სერ. მესხი 60-იანი წლების მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც არ იყო კმაყოფილი აღნიშნული ეპოქის „რეფორმებით" და რომელმაც 1869 წელს ახალი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ამ ჯგუფის მეთაურები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, სერ. მესხი და სხვ. მათ აღარ აკმაყოფილებდა 1861 წ. შემდგარ ა. წ. თერგდალეულთა ჯგუფის სამოღვაწეო პროგრამა, რომელიც არსებითად გამოხატავდა ლიბერალურად განწყობილ თავად-აზნაურთა ფენების ინტერესებს. ეს პროგრამა სრულიად არ მოითხოვდა ძველი წყობილების ძირიანად დამსხვრევას; იგი ცდილობდა ძველი ურთიერთობა შეეგუებია ახალ ვითარებისათვის და ამრიგად გადაერჩინა გაბატონებული კლასი განადგურებას; მისი მთავარი მიზანი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაურობა და ბატონობა კვლავ მემამულეთა კლასს შერჩენოდა. ახალი ჯგუფი არსებითად ბურჟუაზიულ თვალსაზრისით იხილავდა საკითხს და მისი სამოღვაწეო პროგრამაც ამ კლასის ინტერესებთან იყო შეწონილი. მართალია, ჩვენი ბურჟუაზია უხერხემლო და უმოქმედო იყო, იგი ჯერ კიდევ მშობიარობის პროცესში იმყოფებოდა, მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ზეგავლენით, უკვე ღრმა ცვლილებებს განიცდიდა და ამ კაპიტალისტური განვითარების ინტერესებს გამოხატავდა თავისი პროგრამით სერ. მესხი და მისი ჯგუფი. შედარებით 1861 წლის ილია ჭავჭავაძის ჯგუფთან, ის ახალი მიმდინარეობა უფრო რადიკალური და პროგრესიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ იმ გარემოებას, რომ ის მოკლებული იყო მტკიცე და აქტიურად მომქმედ დასაყრდენ ბურჟუაზიულ კლასს, ამიტომ ამ ჯგუფის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. მართლაც, მრავლის მეტყველი არის თუ გინდ ის სერიოზული ფაქტიც, რომ ჩვენი პირველი სერიოზული ორგანო „დროება"-ს რედაქტორი მთელს საქართველოში 400-დე ხელის მომწერსაც ვერ შოულობს, რომ გაზეთს ოდნავ მაინც მატერიალური ბაზა გააუმჯობესოს. დღეს, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, კულტურული ფრონტი დიდად გაფართოვდა, გაზეთებით მოიფინა მთელი საქართველო, როდესაც პარტიის ცენტრალური ორგანოს „კომუნისტს" 100 ათასზე ბევრად მეტი ხელისმომწერი ჰყავს,—აღნიშნული ფაქტი ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიიდან მეტად სასაცილო მოვლენად გვეჩვენება. მაგრამ ეს ფაქტი ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და გაბატონებული წრეების უკულტურობის გამომხატველი იყო: თავად-აზნაურულისა და ბურჟუაზიულ საქართველოს ჩამორჩენილობისა და უკულტურობის მაჩვენებელი იყო.

აქედან ცხადია, თუ როგორ პირობებში უხდებოდათ 60—70-იან წლების ბურჟუაზიულ პუბლიცისტებს მოღვაწეობა. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება საკითხის სირთულე. ისტორიულად საქართველოს ბურჟუაზია უხერხემლო იყო, პოლიტიკურად პასიური და შემგუებელი. იგი აქტიურად ვერ გამოდიოდა და არც გამოსულა არსებული წყობილების შესაცვლელად: ბურჟუაზია ფაქტიურად მოკლებული იყო რაიმე რევოლუციონურ მნიშვნელობას. 1905 წლის პერიოდში და მის შემდეგ ხანებში კი მან ის კუდშეკვეცილი ლიბერალური განწყობილებაც დაჰკარგა რომელიც წინაპერიოდში ამ კლასისა და მის მეთაურ ინტელიგენციას ახასიათებდა, და რევოლუციის მოწინააღმდეგე აქტიური ძალა გახდა.

ზედმეტი არ იქნება აქ ორიოდე სიტყვით გავიცნოთ ს. მესხის ბიოგრაფიული ცნობები.

სერგეი მესხი დაიბადა 1845 წელს ღარიბი აზნაურის ოჯახში. მისი მამა სიმონი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ნასწავლი იყო, და ღარიბ ჩინოვნიკად ითვლებოდა. დედა სერგეისა, მაგდალინა, მარჯანიშვილის ქალი იყო. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ოჯახიდან

[1]) იხ. „სერგეი მესხის დასაფლავება" „დროება" № 145, 1883 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი
(1872 წ.)

გამოვიდნენ: ცნობილი რედაქტორი და პუბლიცისტი სერ. მესხი, სახელგანთქმული არტისტი და დრამატურგი კოტე მესხი, არტისტი და მთარგმნელი ეფემია მესხი, ჟურნალისტები: ივანე და დავით მესხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ დაწყებითი სწავლა სერგეის დედის ხელმძღვანელობით დაუწყია.

1856 წელს იგი მისცეს ქუთაისის გიმნაზიაში. 1863 წელს მან დაამთავრა გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა სტუდენტად, ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე. იგი სტუდენტობის დროს სტიპენდიას ღებულობდა „კავკასიის კომიტეტისაგან". 1867 წ. კურსდამთავრებული დაბრუნდა ქუთაისში. პირველ ხანებში იგი სახელმწიფო სამსახურში შევიდა, მაგრამ ადრე დაანება თავი. მასწავლებლობის ადგილი, რომელიც მას ძლიერ უნდოდა, იმ ხანებში ვერ იშოვა.

1869 წლის აპრილში სერგეი მიიწვიეს გაზ. „დროების" დროებით რედაქტორად. ამ ხანებში საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა ნ. ნიკოლაძე და შესდგა ახალი დასი, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით.

1869 წლის მაისში „დროების" რედაქტორი გ. წერეთელი პეტერბურგში გაემგზავრა ქართულ ენაში გამოცდების ჩასაბარებლად. მესხი ჩადგა გაზეთის სათავეში და ამ დღიდან მოკიდებული 14 წლის განმავლობაში მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ იყო გადაჯაჭული „დროების" ისტორიასთან

მისი დაუცხრომელი შრომითა და დაუშრეტელი ენერგიის წყალობით გაზეთი თავის სიმაღლეზე დასდგა და საუკეთესო ინტელიგენტური ძალები შემოიკრიბა თავის გარშემო. 1873—1874 წლებში ერთი წლის ვადით, სერგეი საზღვარგარეთ წავიდა, სწავლის შესაძენად და ევროპის ცხოვრების გასაცნობად.[1]) ამ ხნის განმავლობაში „დროებას" რედაქტორობდა კ. ლორთქიფანიძე და უახლოეს თანამშრომლობას ეწეოდა მ ე ვ ე ლ ე. თვით სერგეი განუწყვეტლივ გზავნიდა წერილებს საზღვარგარეთიდან.

დაბრუნების შემდეგ, სერგეი განახლებული ენერგიით შეუდგა გაზეთის წარმოების საქმეს. იგი ნახულითა და გაგონილით აღფრთოვანებული, მხურვალეთ მიესალმა საზოგადოებას.[2]) ამავე წელს მან ცოლად შეირთო პროფ. პ. მელიქიშვილის და, ეკატერინე, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მას გაზეთის წარმოების საქმეში. პ. უმიკაშვილი სწერს: „რედაქტორს მუდამ თანამშრომლად მარტო ბატონი ეკატერინე ჰყავდა თარგმანშიაც, კორექტურის დაჭერაშიაც და გაზეთის ექსპედიციაშიაც. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულს მწერლობაში, რომ ცოლ-ქმართ სალიტერატურო შრომა ერთად გაეწიათ". 1875 წლამდე, „დროება" კვირაში ერთხელ გამოდიოდა—ამ წლიდან—კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან ყოველ-დღიურ გაზეთად გადაკეთდა.

არ ყოფილა არც ერთი საჭირბოროტო საკითხი ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილი, რომ მესხის კალამი არ შეხებოდეს მას. 1869 წლამდე იგი კორესპონდენციას გზავნიდა „დროებაში" ლ ა ხ ა რ ე მ ე ხ ი შ ვ ი ლ ი ს ფსევდონიმით, აქვს აგრეთვე თარგმნილი ლექსებიც ამ ფსევდონიმით. შემდეგ იგი გამუდმებით სწერდა მეთაურებსა და ფელეტონებს საკუთარი ხელის მოწერით, ხან ს. მ., მ ე კ ე ნ ჭ ე ს, ს ო ლ ო ლ ა კ ე ლ ი ს ა და სხვ. ფსევდონიმებით, ხან სულ ხელ მოუწერლად ათავსებდა წერილებს. თავისი სამოღვაწეო პროგრამისა და თავისი წერილებში სერ. მესხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმდინარეობის გამომხატველი იყო. სერ. მესხისა და მთელი მისი ჯგუფის სახით ქართველი უხერხემლო ბურჟუაზია მეტყველებდა ჩვენში. ქართული ვაჭრობა-მრეწველობის გაჩაღება, გლეხის განთავისუფლება მემამულის ბატონობისაგან, თვითმართველობის (ერობის, ქალაქის) შემოღება, ქართული კულტურისა და ენის გაძლიერება, ეროვნული თვით დაცვა, და მრავალი სხვ.—აი რა აინტერესებდა „დროებას" და სერ. მესხს.

---

[1]) იხ. „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები"—სერ. მესხის ნაწერები ტ. I, გვ. 165-208, 1904 წ.

[2]) იხ. „სალამი" იქვე გვ. 208—211.

ბოლო ხანებში იგი შეუწყვეტელი მუშაობით ძლიერ დასუსტდა, ანევრიზმით იქნა დაავადებული. გარდაცვალების რამოდენიმე თვით ადრე გაზეთი გადასცა ივანე მაჩაბელს. გარდაიცვალა 1883 წ. ივლისში აბასთუმანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ნაწერები 5 ტომზე მეტი იქნება. გამოცემულია მხოლოდ ერთი ტომი 1904 წ.

ქვემოთ მოთავსებული წერილები საუცხოვო ცნობებს იძლევა ამ დაუღალავი მუშაკის შრომისა და მოღვაწეობის შესახებ. აქ, ინტიმურ წერილებში, ფართოდ არის გადაშლილი გაზ. „დროების ცხოვრება და ისტორია.

წერილების დედნები ინახება ქუთაისის მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში.

წერილი პირველი

ტფილისი 1869 წ. 17 მაისს.

კირილე[1]!

13 მაისს გამოვგზავნე დეპეშა და ძალიან მიკვირს, რომ ჯერაც არ მიმიღია შენგან პასუხი. მე გწერდი, რომ ბერენშტამის ხელით ბაზუნოვთან გიგზავნი 180 მანეთსთქო ხამაშურიძისათვის;[2] ჩემი დეპეშა უნდა მიგეტანა ბაზუნოვთან და მოგცემდა ფულებს. ეს ფულები ზოგი აქ შევკრიბეთ ამხანაგებში და 100 მან. ამატუნს ქონდა კავკაზიის ყმაწვილების სასარგებლოდ აივაზოვსკის გამოფენიდან მოკრეფილი და იმიდგან შესდგა. რასაკვირველია, ბეჟანი ამ ფულებს როგორც უნდა ისე მოიხმარს. თუმც ჩვენ გზისათვის გამოგიგზავნეთ. ჩემი ძმური რჩევა კი იქნებოდა, რომ თუ მართლა ისე ავათ იყო, როგორც აქ ჩამოიტანეს ამბავი, ცოტა ხნით მაინც ჩამოვიდოდეს და მერე, დარწმუნებული იყოს, რომ იშოვის უკან დაბრუნების საშუალებას; არ ვიცი ეს რა ჯიუტობაა, რა სისულელეა რომ აქ სიკვდილი მირჩევნიაო! მართალია, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა—სიკვდილი სახელოვანი“, მაგრამ იქნება „სიცოცხლე ნაზრახი“, ვსთქვათ უდიპლომოთაც რო ჩამოვიდეს?

შენ დეპეშას მე დღეს ან ხვალ მოველი უსათუოდ. პეტრე უმიკაშვილისათვის[3] მოგეწერა, რომ ხუდიაკოვის „სამოუჩიტელიდან“ მინდა სტატიები „დროებისათვის“[4] გამოვგზავნოო. შენ მგონია შეიტყობდი, რომ დროებით მე ვარ ეხლა „დროების“ რედაქტორი:[5] ეს რასაკვირველია ძალიან გაგიკვირდება ჩემგან. მე მოვკიდე მარტო იმისათვის გიორგის[6] მოსვლამდე ხელი, რომ მინდა გაზეთი არ დაეცეს, არ მოკვდეს: თუ ეხლა არა შემდეგში მაინც იმედია მოიტანს „დროება“ სარგებლობას და რომ მნიშვნელობა ექნება. ხუდიაკოვიდან სტატიები „დროებას“ აწყენს, დარწმუნებული ვარ, ამიტომ რომ ჩვენ აზნაურ თავადებს („დროების“ მკითხველებს) უნდათ სასიამოვნო, ადვილი საკითხავი რამეები. რასაკვირველია ისინი უნდა მიაჩვიოს კაცმა ხეირიანი სტატიებისა და წიგნების კითხვას; მაგრამ გაზეთი მოკვდება ამისთანა სტატიებით, სანამ ისინი მიეჩვევოდნენ. შენი სტატიები, თუ გამოგზავნი ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება „სასოფლო გაზეთისათვის[7], რომელსაც თითქმის მარტო გლეხები ჰკითხულობენ, შენც კარგათ იცი, რომ გლეხები ისე განაზებული არ არიან, იმათ ისე წახდენილი გემო არ აქვთ, როგორც მათ უწინდელთ (და ეხლანდელ) ბატონებსა; ისინი ზრუნავენ უფრო ლუკმა პურზედ, სასარგებლოზედ. მაშ ხუდიაკოვის წიგნს თუ ჩვენი გლეხობის გასაგებად გარდააკეთებ და ისე გამოგზავნი ძალიან კარგს იქ.

გიორგი[8] ჩამოსული იქნება ეხლა, მგონია. უთხარი რომ საქმეს არ ვახდენ-თქო და რაც შემიძლია ვცდილობ, რომ საინტერესო ნომრები გამოვიდეს თქო: მეც ვატყობ და სხვებიც მეუბნებიან, რომ უწინდელ ნომრებზე ცუდია გამოსულა ჩემ ხელში. „სასოფლო გაზეთის“ მე-9 №-ს გიგზავნი. მე-8 და 9 №-ბში სტატია ვერეშჩაგინის[9] არტელებზე, მგონი შესანიშნავია ჩვენთვის; ამ საქმეზე, მგონია, ღირს მოლაპარაკება. ერთ ყმაწვილ აბხაზის მებატონეს[10] უნდა ამისთანა ამხანაგობა გამართოს აბხაზეთში, სადაც რძე და საბალახო ადგილები ოხრად არის თურმე. ამ საგანზე მე ხვალ ვსწერ ვერეშჩაგინს წიგნს, რომ დარიგება და რჩევა მოგვცეს. კარგი იქნება, რომ გიორგი მოვიდეს в Волжоэкономическое общество და შეიტყოს კარგათ, თუ მანდ არის ვერეშჩაგინი, ამ საქმის ყველაფერი დაწვრილებით. სხვას ეხლა კირილე, მეტს ვერას გწერ, რადგან მეჩქარება. შენი სიწმინდის მოყვარულობა რა ვიცი, არ მოგეწონება ჩემი გაოხუპნული წიგნი, მაგრამ რა გაეწყობა—წაიკითხავ ხომა?

მართლა, ჩემდა სამწუხაროდ, შენი პლეშჩეევის ლექსები[11] არ გაუშვა ცენზორმა—ეს „მარსელიოზაო“ ამბობს. შენ ვერ წარმოიდგენ—როგორ გვავიწროებს ცენზურა[12]: რაც რუსულად იბეჭდება იმის მეოთხედსაც არ გვაბედვინებენ და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე წერა არ ვიცით ჯერ, რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრები.

ამხანაგები მოიკითხე.

შენი სერ. მესხი

PS. იმედი მაქვს—წიგნს მოიწერ. ჩემი ადრესი: „დროების“ რედაქცია.

შენიშვნები:

1. ეს წერილი მიწერილია კირილე ლორთქიფანიძისადმი პეტერბურგში. ლორთქიფანიძე (1839—1918) 60-იანი წლების მოღვაწე იყო. 1861 წ. მან მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში, რისთვისაც რამოდენიმე თვე იჯდა კრონშტატის ციხეში. სწერდა სხვა დასხვა ფსევდონიმებით (თერგდალეული, თ. კარგარეთელი, და სხვ.) ხშირად ხელმოუწერლად იბეჭდებოდა მისი წერილები. თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“ (1863) „დროებაში“ „კრებულში“, 1881—83 წლებში ქუთათურ გაზ. „შრომაში“.

2. ბეჟან ხამასურიძე—60-იანი წლების მეორე ნახევრის ახალთაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა. მის შესახებ ხშირად ვხვდებით ცნობებს მაშინდელ მოღვაწეთა კერძო წერილებში. გარდაცვლილა პეტერბურგში 1869 წ. (იხ. ნ. ნიკოლაძის ნაწერები წ. I. გვ. 133—6, 1890 წ.).

3. პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) 60-იანი წლების მოღვაწე, უახლოესი თანამშრომელი გაზ. „დროების“, „კრებულის“ და „სასოფლო გაზეთის“. სწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით (მ. პეტრიძე პ. უ. და სხვ.)

4. გაზ. „დროება“ პირველად გამოვიდა 1866 წ. 1866—69 წლებში მას რედაქტორობდა გ. წერეთელი. იყო ახალთაობის ორგანო. მასში მონაწილეობას ღებულობდენ მაშინდელი საუკეთესო ძალები.

5. 1869 წლის აპრილში გ. წერეთელმა „დროების“ რედაქტორობა დროებით გადასცა სერ. მესხს, რომელიც მანამდე უბრალო კორესპონდენციებს ათავსებდა გაზეთში და სახელმწიფო სამსახურში იყო; თვითონ გ. წერეთელი პეტერბურგში გაემგზავრა ქართული ენის მასწავლებლის გამოცდების ჩასაბარებლად. 1870 წელს. ს. მესხი დამტკიცებულ იქნა „დროების“ მუდმივ რედაქტორად. როგორც ცნობილია, იგი „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის მიერ იქნა წამოყენებული რედაქტორის თანამდებობაზე. რედაქტორობდა 1883 წლამდე.

6. ე. თ. გიორგი წერეთელი, რომელიც უახლოესი წევრი იყო ახალი „ეგეფისა და „დროების“ სულის ჩამდგმელი. გიორგის მეგობრული კავშირი ჰქონდა მესხთან. 1879 წლიდან მან თავი დაანება „დროებაში“ თანამშრომლობას. 1883 წ. წერეთელმა მესხის დასაფლავებაზე ხაზგასმით აღნიშნა უკანასკნელის დიდი ღვაწლი ჩვენს ლიტერატურაში („დროება“ № 145, 1883 წ.).

7. „სასოფლო გაზეთი“ გამოდიოდა 1868 წლიდან გ. წერეთელის რედაქტორობით. იგი სოფლის გლეხობისათვის იყო დანიშნული.

8. ე. ი. გ. წერეთელი.

9. ვერეშჩაგინის შესახებ „დროებაში“ ბევრს სწერდენ. თვით ს. მესხსაც აქვს წერილები მის შესახებ (იხ. „მეყველეთა ამხანაგობა“ 1869 წ. მესხის ნაწერები—ტ I გვ. 5—15). ბევრს სწერდა მის შესახებ ახალედიანიც რომელმაც სპეციალურათ შეისწავლა რუსეთში „ამხანაგობათა“ მოწყობის საქმე. თვით ვერეშაგინი, იყო მეიაური თავის სოფელში მეყველეთა და რძის არტელის დაარსებისა (1865—1869 წ.). ასეთი ამხანაგობების იდეამ გაიტაცა „დროების“ მიმდევრებიც.

10. შეიძლება ეს აფხაზი მებატონე დ. ჩხოტუა იყო, რომელიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც ღებულობდა მონაწილეობას.

11. კ. ლორთქიფანიძე რუსულიდან ლექსებსაც თარგმნიდან. მას გადმოთარგმნილი აქვს დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პლეშჩეევისა და სხვათა ლექსები. ათავსებდა ხან ხელმოუწერლად ხან თომა კარგარეთელის ფსევდონიმით.

12. მაშინდელი პრესა ძლიერ შევიწროებული იყო ცენზურის მიერ. ქართულ გაზეთებს არ ჰქონდათ უფლება ორიგინალური წერილი მოეთავსებიათ პოლიტიკაზე. იგი აუცილებლად ნათარგმნი უნდა ყოფილიყო ოფიციალურ გაზეთებიდან. მაშინდელი ცენზურის შესახებ ბევრია ცნობები გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, აკაკის და სხვათა კერძო წერილებში.

წერილი მეოთხე

თბილისი 1869 წ. 14 ივლისი

ძმაო ბეჟან![1].

მე შენ დიდი ხანია გრაცხდი განსვენებულად „წიაღსაშინა აბრამისათა“. წარმოიდგინე, როგორ გამიკვირდებოდა, შენი წიგნი რო მივიღე გუშინა. კაცო, წიგნებს ვგზავნი, დეპეშებს ვგზავნი და კაცი პასუხს არ მაძლევს; ეს რა ამბავია! ნეტა ვიცოდე კირილე ცოცხალია თუ მკვდარი: თუ ცოცხალია, რად ერთი წიგნი არ მაღირსა ჩემი წიგნების პასუხად; რად დეპეშის პასუხი არ მომწერა, ტყუილ უბრალოდ რად დამაკარგვინა დეპეშისათვის 9 მანეთი. გაუხმეს მაგას გოგრა იწერები 26 მან. რად დახარჯეთ ჩემთვის ფულების გამოგზავნაზეო. პირველად უნდა გითხრა, რომ 26 მან. კი არა 13 და 80 კაპ. დავხარჯეთ 4 მან. 80 კ. ბერეშტამმა წაიღო, 3 მან. ბაზუნოვისთვის დეპეშის მისაწერად და 1 მან. და 80 კაპ. კომისსიისათვის; დანარჩენი 9 მან. მე დავხარჯე დეპეშებზე რომლებიც კირილეს მოვწერე და რომელზედაც არც ერთი პასუხი არ მომსვლია,— მაშ სადაური 26 მანეთიო? ბაზუნოვს ხო არ გადაუხდევინებია მანდ? აქ ბერენშტამმა მითხრა, რომ არაფერს არ გადააბდევინებს ისაო.

ფოჩითით იმიტომ ვერ გამოგიგზავნეთ, რომ, როცა 23 აპრილის შენი დეპეშა მოგვივიდა, მაშინ ჩვენ ხელში არ გვქონია ფული. 15 მაისისთვინ მოუყარეთ თავი და რადგან დეპეშაში იწერებოდით, რომ 20 მაისს შეგეძლება წამოსვლა ჩვენ ავ‌ᵗ ქარდით და იმ რიგად გამოვგზავნეთ, რა რიგათაც მიიღე; რომ გვცოდ, ნოდა—შემოდგომამდინ არ წამოხვიდოდი მაშინ, მგონია, არ გამოვგზავნიდით ამ

რიგათ—შემოდგომამდი მაგ ფულები, რასაკვირველია შემოგეჰმება და მერე დარჩები ყუყზე და შეიძლება ზამთარში მანდ კიდევაც ჩაკვდე... თავი ნუ მოგიკვდება, ეცადე, ეცადე რომ არ მოკვდე. თორემ ხომ იცი—რა შვილი მოაკლდება... მამულს... იმ 180 მანეთიდან, რომელიც შენ გამოგიგზავნეთ 100 მან. გამოვართვეთ—ამატუნს. რომელსაც ოთხასი მან. (400) აქვს კავკაზიელ სტუდენტებისათვის აივაზოვის სურათების გამოფენიდან შეკრებილი. ამ ფულების გამორთმევის დროს, ჩვენ უთხარით ამატუნს რომ, თუ მოკრიფეთ ფულები, ისევ დაგიბრუნებთ თქვენ 100 მანეთსა და თუ ვერა, მაშინ მოგცემთ რასპისკას, რომ 100 მან. ხამაშურიძის სასარგებლოთ ავიღეთ თქო; ის დათანხმდა.—მე მაქვს კიდევ შენთვის აქ 49 მან. და თუ გაგიჭირდება და ამატუნმა არ გადაგვახდევინა, მომწერე და გამოგიგზავნი. ჩვენ ვაგროვებდით აქ ფულს ერთი ღარიბი სტუდენტისათვის!! შენი თავის მოყვარეობა დაკმაყოფილებული უნდა იყოს... მამა შენს მივწერე, რომ შენ ავად იყავი და ეხლა კარგად ხარ; ეს იმიტომ ვქენი, რომ იქ მიდიოდენ ჩვენები და მეგონა ეტყოდენ შენ დედას შენს უიმედო მდგომარეობაზე; მე, მეგონა, სანუგეშებელი წიგნი მივწერე და არა შესაშინებელი.

ეს ხომ ანგარიშებს მოვრჩით. ეხლა სხვა რაზმედმე მოვილაპარაკოთ. გიორგი ეხლა რასაკვირველია მანდ იქნება; უთხაარ ჩემ მაგიერ რომ საქმეები გვარიანად მიდის თქო. [illegible] ხაქვს, ბეჟან, თუ კითხულობ ეხლა „დროებას“ და „სასოფლო გაზეთს“ შეატყობდი რამე ცვლილებას, ან თუ არაფერი ცვლილება შეატყო, ისიც კიდევ უკეთესი; ის იმას ნიშნავს მაშ უკან მაინც არ წავიყვანე ისინი. რა ვიცი, სხვები კი მარწმუნებენ, რომ თუ არ გავაუმჯობესე არ ვახდენ მაინცო და.—რაც შემიძლია ვსცდილობ, კი, თუ ავადმყოფობამ არ მომდვა კვანტი; ჩემ და საუბედუროდ—ეს სამი კვირაა მაციებს და ხშირად თავი მტკივა. გიორგის უთხარი, რომ „სასოფლო გაზეთისათვის“ სუფსიდიის იმედია თქო.[2] სიტოვსკიმაც და ორლოვსკიმაც ძალიან იმედი მომცეს თქო. ეხლა ორლოვსკის თხოვნა უნდა მივცე და გავახსენო. ეს საქმე—გიორგის მოსვლამდის ვერ მოიცდის, რადგან კერესელიძე[3] წინათვე იღებს მთელი წლისას და ამ წლის რო ვერ მოასწროს აღება, ჩვენ ეხლავე უნდა ვეცადოთ საქმის გარიგება. იმის გარდა რომ ორლოვსკის თხოვნა უნდა მივსცე, სიტოვსკიმ მთხოვა რომ ავსწერო „გუთნის დედის“[4] „ღირსებაები“ და მივსცე იმას ეს ზაპისკა. რასაკვირველია, ვეცდები, რომ შევამკო ეს მშვენიერი სამეურნეო გაზეთი.

„მნათობის“[5] ორი ნომერი გამოვიდა: მეორე №-ში Он заигривает с „დროება“ და ზოგან კიდევაც იკბინება ვითომ.[6] მომავალ „დროების“ №-ში მე ამაზე უნდა ვსთქვა რამე[7] კაცს რო შენი კბენა უნდოდეს, უნდა დაასწრო და პირველად შენ უკბინო, მერე ველარ გაბედავს კბენას, ამის გარდა ლიტერატურული კარგი საქმეა, მკითხველებისათვისაც და თითონ გაზეთისთვისაც.

ამას გარდა გიორგის გადაეცი, ბეჟან, რომ კერესელიძე მართლა ყოფილა აჭარაში, არა აჭარაში კი არა ახალციხეს გაუტარებია დრო და ეხლა ჩამოვიდა აქ და თავის მოგზაურობა აწერა;[8] ერთი იფიქრე, იმასაც კი ამბობს, თუ რანაირად უნდა მოვაქრისტიანოთ ჩვენ, ე. ი. რუსებმა, ეს ხალხიო. ამას გარდა მე ვიცი, რომ ჩვენი მეზობლის (მაისუროვის) შვილის ხელით იმან გაგზავნა იქ

ორასი თუ სამასი ეგზემპლიარი თავის „ცისკრისა“. ამაზე გიორგიმ უნდა მოიფიქროს.

ჰკითხე გიორგის—როგორ მოეწონა მე 23 „დროების“ №-ში რედაქციისაგან შენიშვნა თავის გარეშე თანამშრომლებზე.[9] მე იძულებულ ვიყავ მექმნა ამისთანა განცხადება ამიტომ რომ ხშირად მაქვს უკმაყოფილება თანამშრომლებთან; ნამეტურ უ. ბეთანოვის[10] უშვერმა და ხეპრულმა წიგნმა გამომითხოვა ამაზე.

სხვა კარგად იყავი... შენ წიგნს მალე მოველი.—

სერ. მესხი

— ამ ცოტა ხანში გიორგის განსაკუთრებით წიგნს მივწერ.—

ს. მ.

შენიშვნები

1. წერელი გაგზავნილია, პეტერბურგში ბეჟან ხამასურიძესთან.

2. სუფსიდიის მიღებას „სასოფ. გაზეთის“ რედაქცია ცდილობდა „აზიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან“.

3. ივ. კერესელიძე (1827—93) „ცისკრის“ რედაქტორი. სცემდა აგრეთვე „გუთნის დედასაც“

4. „გუთნის დედა“ გამოდიოდა 1861 წლიდან კერესელიძის რედაქტორობით. ეს იყო ქართულ ორგანო „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა“ და ემსახურებოდა მემამულეთა ინტერესებს. 1873 წლიდან მის რედაქტორად დაინიშნა ან. ფურცელაძე, რომელმაც გაზეთს ნაროდნიკული ელფერი მისცა.

5. „მნათობი“ 1869—72 წლებში გამოდიოდა ს. ავალიშვილის რედაქტორობით. უმთავრესად ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულებისა იყო.

6. ლაპარაკია „მნათობის“ მეორე ნომერში მოთავსებულ მოწინავე წერილზე: „მნათობზე“

7. მესხის წერილი „მნათობის“ შესახებ—დაიბეჭდა № 28-ში ლაზ. მეხ-შვილის ფსევდონიმით. წერილი იუმორისტული ხასიათისაა „მნათობის“ შესახებ გაკვრით არის მოხსენებული ანჩიხატისუბნელის (პ. უმიკაშვილის) წერილშიაც (№ 25, 1869).

8. კერესელიძემ თავისი მოგზაურობა ასწერა 1869 წ. „ცისკრის“ № 5-6.

9. „დროების“ 1869 წ. № 23-ში მოთავსებულ განცხადებაში რედაქცია აძლევს პასუხს თავის თანამშრომლებს, რომელნიც საყვედურს აცხადებდენ წერილების შესწორებისა, შემოკლებისა და ენის შეცვლისათვის.

10. ბეთანოვი დაახლოებული იყო „დროების“ რედაქციასთან, ღებულობდა მონაწილეობას წიგნების გამოცემაში, მის მიერ არის გამოცემული „კაცია ადამიანი“ (1869 წ.).

წერილი მეხუთე

(თბილისი 1869 წ. 2 ივლისს)

კირილე!

დიდი ხანია ველი წიგნს, მაგრამ არ მომდის, არ ვიცი რას მივაწერო... ხამასურიძის ამბავი ბეჯითი არ ვიცი რა. თითონ მწერდა მე რომ შემოდგომამდი არ მოვდივარო და ეხლა შენ იწერები, რომ ფულები გამოგზავნეო, არ ვიცი ვის დაუჯერო. მე მაინც მივწერე ქალანთარიშვილს და ლოლოას ფულები გამოგზავნონ და სანამ ეს წიგნი მოგივიდოდეს, მგონია, ფულები მოგივა; აქაც **არის**

50 მან. და მათაც თუ 140 მან. გამოგზავნეს 200 მანეთამდი მოგივა ბანკის სახელზე; მაცნობე კი როგორც მოგივიდეს,—ამ წიგნს ჩემი ძმა მოგიტანს[1]. შენ ხომ ოტჩენაში ხარ და ამიტომ კეთილ გზაზე უნდა დაგაყენო. ჩემი ძმა ეს შენი ვალია. პირველად შენთან ჩამოხტება, შენ მოუტანს სანელი და დაარიგე, როგორც რიგია, თორემ ჯერ სულ გამოუცდელია. სთხოვე რომ იაროს შენთან და ელაპარაკე, სხვადასხვა საგნებზედ. კეთილი წადილები აქვს მართალია მაგრამ ეს არ არის საკმაო—კაცისათვის, ექიმობას რომ აპირობს, მე ძალიან მომწონს; კარგია, შრომას მიეჩვევა. რატომ გიორგი წერეთელის არაფერი არ ისმის. იმისთანა წიგნის მოწერას ის რო მოიწერა, არ მოეწერა ის სჯობდა თავის ამბავს—დაიჭირა ეგზამენები, თუ არა ან სხვა რამეს არაფეოს არ იწერება, მიკვირს ამდენი ხანი „კაცია ადამიანს"[2] რად არა გზავნით; აქ ჰკითხულობენ მოვიდა თუ არაო. ტყვილად დამაბეჭდინე „დროებაში" განცხადება, რომ მაისის დამლევს აქეთ გამოიგზავნებაო.—გიორგი წერეთელს უთხარი ამ კვირაში წიგნს მოგწერ თქო.

სანამ შენ წიგნს არ მივიღებ მანამ დიდს და ხეირიან წიგნს არ მოგწერ.

შენი სერ. მესხი

შენიშვნები

1. აქ ლაპარაკი უნდა იყოს ივ. მესხზე. შემდეგში იგი საზღვარ-გარეთ წავიდა და ციურიხში სწავლობდა. მონაწილეობას ღებულობდა „დროებაში" „კრებულში". სწერდა ი.—ი-ს ფსევდონიმით. გარდაიცვალა 1932 წ.

2. ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი" ცალკე წიგნად გამოსცეს 1869 წელს პეტერბურგის სტუდენტებმა. ამის შესახებ წინასწარ განცხადებებიც იყო მოთავსებული 1869 წლის „დროებასა" (№ 17) და „სასოფლო გაზეთში"

წერილი ძეოთხე

თბილისი 1869 წ. 30 აგვისტო

ძმაო კირილე! დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენთან ხშირი მიწერ-მოწერა გავმართე, პუნკტუალურად წერას მიმაჩვევ და ეს, შენც იცი ჩემი ხასიათი, ძალიან სასიამოვნო არ იქნება ჩემთვის. მე არც ცხოვრებაში და არც წერაში არ მიყვარს ნემეცური სიფაქიზე და წესიერება, მაშინასავით მორთული კაცის სიცოცხლე-რა სიცოცხლეა. გარწმუნებ, რომ ხანდისხან თავხედობას და უწესობას თვით ბუნებაც მოითხოვს!... ეგეც შენთვის წინასიტყვაობა, რომელიც უსათუოდ გამოგვადგება თუ ყურადღებას მიაქცევ...

ეხლა დავიწყებ თავიდან და ეეცდები-ყოველს შენი წიგნის პუნკტზე პასუხი მოგახსენო; მაგრამ ღმერთმანი, ხელი მიჩერდება, როცა გამახსენდება-რამდენ რამეებზე უნდა მოვილაპარაკო შენთან; ნამეტურ შენი წიგნის პირველ გვერდს რო გარდავხედავ, სწორეთ სასოწარკვეთილებაში ვარდები: ხუმრობაა ძველი დეპეშებისა და ტელეგრაფის კვიტანციების ამოღება არხივიდან და იმათი გაჩხრეკა? ხუმრობაა ისე პუნქტებით გამოანგარიშება, როგორც შენ გიქნია? ამისათვის მე არც მომატებული დრო მაქვს და არც მოთმინება. ამის გამო ამ საგანზე ორ-სამს

გეტყვი და ალარც შემდეგში მოუბრუნდები, იმედი გქონდეს.—შენ სულ უბრალოდ მოგჩვენებია, რომ მე „ძალიან გავცხარდი“ ჩემი წიგნების და დეპეშების უპასუხოთ დატოვებისათვის; რასაკვირველია, სასიამოვნო არ არის, თუცა მეგობარს უ ბ რ ა ლ ო წიგნსა სწერ და ხმას არ გცემს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სულ სხვანაირად იყო: ჩემი პირველი დეპეშის პასუხი ისე ჩემთვის არ იყო საჭირო, როგორც იმათთვის ვინც ფულები გამოიღეს და სხვა მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში; იმათ მეორე დღესვე სურდათ შეტყობა მიიღე შენ მანდ ფულები თუ არა და შენ კი მწერ, რომ რას სწუხდი, მეთექვსმეტე დღეზე ხომ შეგატყობინებდა ტელეგრაფის სტანციაო? ასე თუ გვდომებოდა, არც „საპასუხო“ ფულებს (3 მან.) დავხარჯავდით და გთხოვდით წიგნით გეცნობებია. თუ კალანდარიშვილის და შენ პასუხს ორი კვირა უცადეთ, შენ რატომ ვერ მოიცდიდიო იწერები თავი ნუ მოგიკვდება, მართალი სთქვი, ვის უფრო შეფეროდა მოცდა-შენ და წერეთელს, თუ მე? მოიფიქრე რანაირ შემთხვევაში ვიცდიდი მე და რანაირში—თქვენ—შენ წიგნში სამჯერ-ოთხჯერ არის მოხსენებული ჩემი სიტყვები: „გაუხმეს კირილეს გოგრაო“; როგორც გეტყობა-კისერში გაგჩერებია ეს სიტყვები და ვერ გადაგიყლაპავს. ძალიან მიკვირს, რომ გულით ნათქვამს სიტყვას ვერ არჩევ ფრაზასთან; თუმცა, როგორც ჰხედავ, მე სრული უფლება მქონდა მეავე სიტყვები მომეხსენებია შენთვის, მაგრამ (დახე ჩემ სულგრძელობას!) ფრაზის მეტი არა მითქვამს რა.—შენ ამბობ, რომ ჩემი დეპეშა ბაზუნოვმა წაიღო და ზედ მომაწერინა ხელი აქ (ბერენშტამისთვის) გამოსაგზავნათო.—ძალიან მიკვირს, რომ არ მიგიღია ყურადღებაში ის თუ რა ბეჯითად და რა სიჩქარით ასრულებენ წიგნის მაღაზიები კერძო პირების თხოვნას და მინდობილობას; რატომ არ იფიქრე, რომ ბაზუნოვს ერთი თვის შემდეგ შეეძლო გამოეგზავნა ბერენშტამისათვის შენი ხელმოწერილი დეპეშა და რომ ამ საქმის შეტყობა ჩვენთვის საჩქაროთ იყო საჭირო? წინაღმდეგ შემთხვევაში ხომ არც „საპასუხო“ ფულებს გადავიხდიდით. შენ ორმოცჯერ იმეორებ ეს და ეს უნდა გეფიქრნაო: ეხლა ხომ ხედავ, რომ ცოტა შენც, გეფიქრნა და იმწამსვე გამოგეგზავნა წიგნი ან დეპეშა, კარგს იზამდი.—ჩემი სამდურავები შენთან პასუხის გაუცემლობისათვის უკან წამიღია. მართლა, მიკვირს, როგორ ვერ მოვიფიქრე—რამდენი დრო სჭირდება კირილეს ჯერ დასაწერად მომზადებისათვის, მერე თითონ წერისათვის, მერე გამოგზავნისათვის და სხვა! შენ ძალიან კარგად ამბობ, რომ 14 დღეზე ადრე პასუხის მოწერა ხომ არ შეიძლებოდაო (!) მართლა, 28 დღის შემდეგ, როცა შენზე სამდურავი მივწერე ბეჟანს, რომ შენი პასუხი მომსლოდა, კირილე, ძალიან არ შევრცხვებოდი, მაგრამ, უნდა გითხრა, ეს უფრო ძალიან გამიკვირდებოდა, რომ მოვიფიქრებდი...

ბეჟანის ამბავი, რომ უფრო დაწვრილებით არ მომწერე, გემდური, ძალიან მაკვირვებს, როცა შენ, რაღაც წყენით, ამბობ, რომ ბეჟანი ბეთანოვსა და ანტონოვს[1] ავიწროებსო. მე მგონია, ანტონოვი მაინც არ სჩივის ამ შევიწროებაზე და ბეთანოვს კი ცოტათი ვიცნობ: დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შევიწროებულნი არიან; მაგრამ კარგი ამხანაგისათვის და კარგი კაცისათვის, რომ კაცმა ცოტა საქმე გაიჭირვოს, მე მგონია ეს დიდი საქმე არ არის.—30 ივლისს გა-

მოვგზავნე შენ სახელზე ფოჩტით 125 მან. ბეჟანისათვის; თავი ნუ მოგიკვდება, კირილე, ეცადე, რომ წამოვიდეს, თუ შეუძლია, სისულელე არ არის, არ წამოვალო, რო ამბობს? მაგ დალოცვილს მანდ სიკვდილი ურჩევნია, თუ აქ წამოსვლა და სიცოცხლე? განა, რომ გამორჩება, მერე არ შეუძლია ისევ დაბრუნდეს? ის 125 მან. თუ არ ეყოფა, ან ნიკოლოძისაგან,[2] ან სხვისაგან სადმე უშოვეთ და გარდაიხდის კაცი.—მართალია ნიკოლაძე და წერეთელი მოდიან, თუ არ წამოსულან კიდევაც; კარგი იქნება, რომ იმათ წამოჰყოლოდა; თუ ისე ავათ არის, მარტო წამოსვლა, რასაკვირველია, არას გზით არ შეუძლია.—

გიორგი თუ წამოსული არ არის ახლა, ძალიან ცუდი ამბავი იქნება, ამიტომ რომ, სხვა სალუკმა-პურო საქმეები ავიჩინე, იმათ უნდა მოვკიდო ხელი და გაზეთებისათვის ძალიან ცოტა დრო დამრჩება: ამის გამო ისინი, იმედია კიდევ უფრო შესუსტდებიან. სხვა საქმეს იმიტომ მოვკიდე ხელი, რომ კაცს ყველაზე პირველად სტომაკი აწუხებს. გაზეთს („დროებას") რომ ჩემი რჩენა შეეძლოს როგორმე ვინ მამაძაღლი. ხელს აიღებდა იმაზე. მე ვიცი, რომ „დროებას" 300 ხელის მოწერით ერთი კაცის დარჩენა კარგათ შეუძლია; რადგან 800-1000 მანეთამდი დარჩება ხარჯს გარდა, მაგრამ უბედურება ეს არის, ჩემი თავის იმედი არა მაქვს; იმედი არა მაქვს, რომ ხეირიანათ წავიყვანო ანგარიში; ამას გარდა დეკემბრამდი რითი უნდა ვიცხოვროთ (სანამ ხელის მოწერის ფული არ მემოვა)? ნიკოლაძე რომ აიღებდეს გაზეთს თავის რისკზე (თუმც რისკი არ არის ეს) და ერთათ წავიყვანდეთ საქმეს, მგონია, ძალიან კარგი იქნება; მაშინ სხვა გარეშე საქმეს მივატოვებდი და გაზეთს მოვახმარდი მთელი დროს. ამას გარდა ნიკოლაძეს შეუძლია მელიქოვის და კომპ.[3] სტამბაში წილი ქონდეს, დ. ბაქრაძე[4] ყიდის თავის წილს 2,000 მანეთათ და თუ უნდა, იყიდოს სტამბის საქმე ეხლაც კარგად მიდის და თუ скоропечатная машина გამოიწერეს, როგორც აპირებენ, მაშინ კიდევ უკეთ წავა, უეჭველია. ეს სხვაფრივაც ძალიან სასარგებლო იქნება, მე მგონია. ამ საქმეზე რომ ჩამოვა ნიკოლაძე, მაშინ მოველაპარაკები და მოელაპარაკებიან.—

„მნათობზე" იწერები, რომ არ მეგონა თუ ამისთანა იქნებოდაო. მიკვირს, ამაზე უარესი-რაღა უნდა გგონებოდა. მითხარი ოთხს ნომერში რამდენი სტატიის წაკითხვა ღირს? ერთი, ორი და и обсчитаися! ჟურნალის ხასიათი, მე მგონია, მარტო ორ ან სამს სტატიას აქვს. სბორნიკისთვის კი ივარგებდენ ზოგიერთი თარგმანები. შენ ამბობ: „მეორე ნომერში[5] მკითხველებთან მიქცეული სიტყვები თანაგრძნობის აღმძვრელიაო" წაიკითხე მეორეთა და მერე სთქვი. რა მოგაგონდა, როცა ის სიტყვები წაიკითხე ამ სტატიაში, რომ ჩვენ „საქარ. მოამბესავით" არ ვეცდებით, რომ თავიდანვე გამოვილიოთ ჩვენი ძალა და მერე ყუყზე დავრჩეთო (აზრი ეს არის)! მე კი ეს მომივიდა იმ წამსვე ფიქრში: ჩემო ძმებო! მაშ თქვენ ძალიან ცოტა ძალა გქონიათ, რომ ასე მალე გეშინიათ იმის გამოლევა! ამას გარდა, ეს სიტყვები კიდევ იმას ნიშნავს, რომ ჯერ... მიირთვით, მკითხველებო, და მერე შაქარს მოგართმევთო! ის აზრები („დროებასთან" კონკურენციაზე და სხვა), რომელსაც ავტორი ებრძვის[6], მარტო ერთმა კაცმა წარმოსთქვა და არა საზოგადოებამ.—სად მონახე შენ „მნათობში" стремление к

решению практических вопросов: ან პრაკტიკული გზა“ არ მესმის. ერთი მარტო ჯანაშვილის სტატია? განა ჟურნალს მიმართულებას აძლევს!—

შენი მოწოდება ცოტათი მაინც „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“, დარწმუნებული იყავი, მე ძალიან მიამა. ჩემდა საუბედუროთ უკანასკნელი სამი თუ ოთხი „დროების“ ნომერი, ჩემი ავადმყოფობის გამო (მაციებდა), ძალიან შესუსტდა; სწორეთ საზაფხულო ნომრები იყვნენ. თუ არავინ მომეხმარა და ან წერეთელი და ნიკოლაძე თუ მალე არ ჩამოვიდენ, მომავალი ნომრებიც ესეთები იქნებიან, ზემოხსენებული მიზეზების გამო. ამ ზაფხულში მაინც ეს ოხრები არავინ არაფერს არ გზავნის, არც კორესპონდენციებს და არც სტატიებს მარტო ქუთაისიდან უხეირო ლექსებმა გააჭირვეს საქმე. კირილე, ერთი შენებურათ რომ მოიქაჩალებდი თავს, გააპრტყელებდე ორ-სამს ფურცელს და გამოგზავნიდე სწორეთ ძალიან კარგ საქმეს იზამ. მასალების ნაკლებობა, მგონია, არ იქნება.—შენს სტატიებზე „სას. გაზეთისათვის“ არაფერს არა გწერ რადგან გადაგიდვია იმათი წერა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერც ერთი შენი თხოვნა ფიცხელაურთან, სარაჯოვთან და უმიკაშვილთან ვერ აგისრულე; არც ერთი იმათგანი ამ ჟამათ აქ არ არიან; ფიცხელაური და უმიკაშვილი სადღაც სოფლებში წავიდენ და სარაჯოვი ტემიხანშურაშია. პირველ-ორს, როგორც ჩამოვლენ, იმ წამსვე გარდავსცემ შენ თხოვნას და ან იმათ მოვაწერინებ შენთვის წიგნსა და ან მე მოგწერ იმათ პასუხს; სარაჯ.ვს მივწერ ტემიხანშურაში წიგნს და როგორც მომივა პასუხი, შეგატყობინებ.

ჩემი ძმა როგორ მოთავსდა მანდ—თუ იცი; თუ ძმა ხარ კირილე, იქონიე იმასთან საქმე; იარეთ ერთმანეთთან, ილაპარაკეთ, ხეირიანი წიგნები მიეცი საკითხავათ და სხვა. თუ გინდა, რომ „из наших“ იყოს.—

ეხლა მშვიდობით... თუ წიგნი მომწერო, ოპტიკის კანონები იქონიე მხედველობაში, თავი ნუ მოგიკვდება: ქრისტიანო, ერთი თაბახი ქალალდი ნამეტანი წავიდეს, დაგლუპავს?... მანდაური ჩემი ნაცნობები ყველა მომიკითხე; განსაკუთრებით ბეჟანი და ანტონოვი; პირველს უთხარი—არ მოკვდეს, თორემ დაგემდურებით თქო...

შენი სერ. მესხი

შენიშვნები

1. ანტონოვი—ახალი თაობის წევრი იყო. აქვს რამოდენიმეწერილი ნათარგმნი „კრებულში“.

2. ნ. ნიკოლოძე—იმ ხანებში ახლად დაბრუნებული იყო საზღვარ-გარეთიდან და თავის პირად საქმეებისათვის იმყოფებოდა პეტერბურგში. 1870 წლიდან მან ახლო მონაწილეობა მიიღო „დროებაში“. 1874 წელს შესწყვიტა მუშაობა ამ გაზეთში და მხოლოდ 1876 წელს დაუბრუნდა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დასცილდა ს. მესხს და 1878 წ. „ობზორის“ დაარსებასთან ერთად ცხარე კამათი გაიმართა მათ შორის.

3. სტ. მელიქიშვილი—ძმა პროფ. პ. მელიქიშვილისა, რომლის სახელზედაც ნ. ღოლობერიძე, ვ. თულაშვილმა, და ბაქრაძემ გახსნეს სტამბა 1865 წ. ამ სტამბაში იბეჭდებოდა „დროება“.

4. დიმ. ბაქრაძე ცნობილი ისტორიკოსი, ერთ-ერთი დამაარსებელი დროებისა და სტამბის მონაწილე. პირველ ხანებში უახლეს მონაწილეობას იღებდა „დროებაში“, შემდეგ ცენზორადაც იყო დანიშნული.

5. აქ ლაპარაკია „მნათობის“ მეორე №-მრის მოწინავე წერილზე: „მნათობზე“

6. ზემოდმოყვანილ წერილში არის აღნიშნული, რომ „ზ—ლი აწერს „მნათობს“ „დროების“ კონკურენციისათვის დაბადებას“.

7. ჯანაშვილი ინგილო—„მნათობისა“ და „დროების“ თანამშრომელი, სწერდა სტატიებსა და ისტორიულ წერილებს. აღნიშნულ „მნათობში“ მას მოთავსებული ჰქონდა: „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზებისა და სიმდიდრის მოპოვებისა“.

წერილი მეხუთე.

თბილისი 1869 წ. 28 დეკემბერს

ძმაო კირილე!

მომიტევე, რომ ისე მალე ვერ გწერ შენი წიგნის პასუხს, როგორც შენ ეთხოვა და რიგი იყო. ახლა, რადგან საკმაოდ მაქვს თავისუფალი დრო (დღესასწაულებლის გამო) წიგნსაც გწერ და შენ, ნათხოვნ წიგნებსაც („ბუნების კარს“. ანბანს და „სახელმძღვანელოსაც“)[1] გიგზავნი. შენი სტატია,[2] ჩემს გარდა, სხვებსაც ბევრს მოეწონა. გოგებაშვილმა[3] ძიიღო ცნობაში ზოგიერთი შენი-შენიშვნები და დარიგებები: განსაკუთრებით მოსწონს იმას შენი „მანერა изложения“ და ფრაზების არ ყოფა შენს სტატიაში. ჩემი მხრით, შევნიშნავ მხოლოდ ერთს (ამას შენც მიმხდარხარ); შენი ჭირიმე კირილე, უფრო მეტი სიცოცხლე, შუშხი და ნაკლები სიმშრალე. დარწმუნებული იყავი, რომ ამას იმიტომ ვაჭირებ, რომ ვიცი „დროების“ მკითხველების და საზოგადოთ ჩვენი საზოგადოების გახსნა და ხასიათი.—ნუ მეტყვი, საგანი იმისთანა არისო, რომ იმაზე შუხიანათ ლაპარაკი შეუძლებელი არისო; შენც კარგად იცი ყოველს საგანზე შეიძლება ცხოველათაც და მშრალად სჯა. იქნება შენ მითხრა: უსულო საგნის გაცხოველებას ნიჭი უნდაო; მე მგონია, მაგდენი არა: ვისაც საზოგადოთ წერა შეუძლია, იმას ცოცხალი, მკვახე სიტყვების ხმარება და გადაკვრით, по поводу ლაპარაკიც არ გაუჭირდება მაგდენათ.

დანარჩენ შენ სტატიებს, რომელზედაც იწერები, მოუთმენლად მოველი საზოგადოთ იმედი მაქვს შენი, რომ დამეხმარები მერმისს გაზეთის გაუმჯობესებაში. თუ შენისთანა კაცებისაგან რამე შემწეობა მეჭნება, მაშინ აღარ ვიქნები იძულებული დავბეჭდო ანდიხანუაზრო და უფერული კორესპონდენციები და სტატიები ზოგიერთი ჩვენი პსევდო მწერლებისა. თავი ნუ მოგიკვდება, ნუ იფიქრებ, რომ ამას გწერ მე ვითაარცა რედაქტორი მუქთ თანამშრომელს; შენც კარგად იცი, რომ გაზეთის გაუმჯობესობა ჩემი, კერძო საქმე არ არის: ამის (გაზეთის გაუმჯობესების) შედეგები როგორც ჩემთვის, ისე ყოველი ჩვენი რჯული კაცებისათვის ერთნაირად სასურველი და სანატრელია.

შენს აზრზე, რომ იმნაირი ისტორიული სტატიები „დროებაში“, როგორც მე მოვწერე ნიკოს,[4] შეუძლებელი არისო, ვერ დაგეთანხმები: მე მგონია რომ ისეთი სტადია, რომელიც დაეტევა სამს „დროების“ ნომერში (დაახლოებით ერთი ბეჭდის თაბახი, 8 თაბახი) ცოტაოდნათ მაინც გააგებინებს ფრანციის ამ საუკუნის ცხოვრებას, მაგალითად. ავტორმა, რასაკვირველია მხოლოდ ისეთს მომენტებზე და ისტორიულ მოვლინებაზე უნდა უჩვენოს, რომელთაც ამ ჟამათაც აქვთ ხალხის ცხოვრებაზე გავლენა და რომლებზე სჯა და მოლაპარაკება ჯერაც არ გათავებულა.—ამნაირი სტატიების დაწერა არა მგონია ისე ძნელი

იყოს! როგორც შენ იწერები: იმათ, იმ დანიშნულებას გარდა, რომ ისთვისაც დაიწერებიან, თავისთავადაც ექნება დიდი მნიშვნელობა ჩვენი მკითხველებისათვის. სპეციალისტობა კი ამისთვის, მართალი გითხრა, სრულიადაც არ არის საჭირო. ქრისტიანო! მთელი ტრაქტატის დაწერას ხომ არ ეუბნებიან, კონსტიტუციების აღწერა, მგონია ვერ აასრულებენ ამ სტატიების დანიშნულებას, რადგან ისინი მარტო ერთი, პოლიტიკური მხრით შეეხებიან საგანს და შენც იცი რომ ახლახდელი ევროპის ხალხების ცხოვრებაში სოციალური მოძრაობას უფრო მომეტებული მოძრაობა აქვს, ვიდრე პოლიტიკურსა, პოლიტიკური შინაარსიანი ფელეტონები კი აკრძალულია „დროებაში“ როგორც საზოგადოთ ყოველი სხვა სტადია პოლიტიკური შინაარსით. პოლიტიკური ცნობების გარდმოლების ნება (პროგრამით) „დროებას“ შეუძლია მარტო „Кавказ“ -იდან და „Правит. Вестник“-იდან ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, ამ საგანზე კიდევ მოიფიქრებ, კირილე და მალე შემატყობინებ გარდაწყვეტით პასუხს. სტატიებს არ უჩქარი, მაისისთვის თუ იქნება, საკმაოა.

ამ დღეებში ნიკოს წიგნი მივიღე და პასუხი მინდოდა მომეწერა, მაგრამ მწერს, რომ ამ ორ კვირაში გამოვალ აქედანაო და ამიტომ აღარ ვწერ წიგნსა თუ მანდ არის კიდევ, უთხარი კირილე ჩემს მაგიერ პირველად მოკითხვა და მერე წიგნები წამოიღოს ბევრი „დროებისთვის“ გამოსადეგი (გაიხსენე სენაქ არწრენი). როგორც შევიტყვე, სხვა ჩვენებურებთ შორის, მამა მაგისიც მანდ ყოფილა: სიბერის დროს გახსენებია მაგ დალოცვილსაც რაინდობა— წმ. გიორგის ჯვარის კავალერი! ნიკომ დაიჭირა ეგზამენები, თუ არა? არაფერს არ იწერება, ამაზე—იმის ნიშანია, რომ უკუქცეულა საშინელი სამჯავროსაგან....

ნამდვილ რედაქტორად მე ჯერაც არა დამტკიცებულვარ, ამასაც ხლაფოთი და დავიდარაბა ნდომებია. იმედი მაქვს კი, რომ დამამტკიცებენ, რადგან დამაბრკოლებელი მიზეზი არრა არის რა. ახლა-დეკემბრის დასასრული რომ არის „დროებას“ ჰყავს 50 მდე ხელის მომწერი მომავლის წლისა; ამ გარემოებამ მე კინალამ სასოწარკვეთილებამდი მიმიყვანა, მაგრამ უწინდელმა გამომცემლებმა ნუგეში მომცეს მით რომ შარშანდელი ჟურნალი მიჩვენეს; აქედან შევიტყვე, რომ შარშან ამ დროს „დროებას“ 50 კიდევ ნაკლები ხელის მომწერი ყოლია, და უმეტეს ნაწილს იანვარში და თებერვალში მოუწერია ხელი: ასეთი ჩვეულება აქვთ თურმე, წელს „დროებას“ 290-მდი ხელის მომწერი ჰყავდა; ვნახოთ, მე 1870 წელიწადი რას იტყვის! 400 ხელის მომწერი, მარტო 400-რომ მეყოლებოდეს—ოთხასჯერ გარდავალ ყირამალაზე!

სხვა კირილე, რასა იქ შენ, ან სხვა ჩვენები და ჩვენი ამხანაგები რასა შვებიან? ჩემი ძმა რას შვრება; ხშირად ხედამ ხოლმე, თუ არა? როგორ ატყობ? ყველაფერი მომწერე, თუ ძმა ხარ, მოცლილი რო იქნე, ამას წინეთ რომ გაფხუკიანდი და მოგეწერა წიგნი, რომლის სტრიქონებს შუა ურემი გაიარდა ისე ნუ იქ. დაწვრილებით ნუ მომწერ თქოის კი არ მითხოვნია, წ ვ რ ი ლ ა დ ნუმომწერ თქო ის გთხოვე მარტო!

მიუნხენიდან გამოვიდა ცაგარელისაგან[5] უშველებელი სტადია, სახელად; „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ по поводу „კაცია ადამიანი“.

შენი სერ. მ ე ს ხ ი.

[მინაწერი აშიაზე] „სასოფლო გაზეთი“ თბილისის გუბერნიაში 3 მანეთად ღირს და ქუთაისის 4-ათ, იმიტომ, რომ ის, როგორც ნახევარი-ოფიციალური გაზეთი აქაური присутствия по кредт. делам სახელმწიფო ხარჯით იგზავნება, ქუთაისში კი არა. ათიოდე სურათები ცხოველებისა გიორგიმ მოსკოვიდან ჩამომიტანა.

შენიშვნები

1. ი. გოგებაშვილის ეს სახელმძღვანელოები ქართულად გამოვიდა 1868—9 წლებში, „ბუნების კარი“ ი. გოგებაშვილმა გამოსცა 1868 წელს.

2. აქ ლაპარაკია კ. ლორთქიფანიძის შემდეგ წერილზე: „ორიოდე შენიშვნა უფ. იაკ. გოგებაშვილისაგან შედგენილ ხელმძღვანელებზედ“ (დროება № 51, 1869 წ.) ხელმოწერილი აქვს კილოკავაძე.

3. ცნობილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, რომელიც ახლო იდგა „დროების“ ჯგუფთან

4. ნიკო ნიკოლაძე.

5. ალ. ცაგარელი—შემდეგში ცნობილი პროფესორი. იმ ხანებში იგი დატოვებული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტთან და მიუნხენში მივლენილი სამეცნიერო მუშაობისათვის. ცაგარელი „დროების“ დაარსებიდანვე თანამშრომლობდა; ამ გაზეთში მოთავსებული აქვს მოთხრობები. აღნიშნული წერილი ხელმოუწერელი დაიბეჭდა 1870 წ. იანვრის ნომრებში. ავტორი ამ წერილში ეხებოდა ქართულ მწერლობას და მის მიმართულებას. დიდი ხნის განმავლობაში ამ წერილის ავტორის ვინაობა ჩვენში უცნობი იყო (იხ. არ. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი).

წერილი მეექვსე

ტფილისი 1870 წ. 15 თებერვალს.

კირილე! შენი კეთილი გულის ამბავი ვიცი და ამიტომ იმედი მაქვს არ მიწყრები, რომ ამდენი ხანია შენ წიგნზე პასუხი ვერ მოგწერე. შენი სტატია და წიგნი ეს ორი კვირა იქნება რაც მივიღე, მაგრამ დახე ჩემს ცულლუტობასა, ჯერაც არ წამიკითხავს (რასაკვირველია სტატია) და ამის გამო იმაზედ ვერაფერს ვერა გწერ. ეს გარემოება არც სულ, მართალია, ჩემს ცულლუტობას არ უნდა მიეწეროს. მე არ დაუჩქარდი იმის წაკითხვას ერთი მხრივ იმიტომ, რომ საჩქარო არ იყო, რადგან იმისაგან ქვეყნის დანახვა ნიკოზედ არის დამოკიდებული და სანამ ის არ მოიწერს (როგორც შენ მთხოვე), მანამ ვერ დავბეჭდ; მეორე მხრით, იმიტომ რომ სხვა საჩქარო საქმეები მქონდა. თვე ნახევარზე მეტია, რაც ნიკო ქუთაისს ჩამოვიდა; ერთი წიგნი მოიწერა ამ ერთი თვის წინეთ და მეუბნებოდა ორ კვირაში უსათუოდ ჩამოვალო, მაგრამ ჯერაც არსად ჩანს არც ის და არც იმის სტატიები, რომლებზედაც მწერდა. მომივიდა თუ არა შენგან სტატია, იმ წამსვე შევატყობინე და ინსტრუქციები ვთხოვე, მაგრამ ისევ დუმილი. დღეს კიდევ ვსწერ წიგნს უფრო დაწვრილებით და ვთხოვ როგორც ამაზედ, ისე შენთვის ფულების გამოგზავნის თაობაზედაც მალე შემატყობინოს გარდაწყვეტილი ამბავი. შენ სახელს არ ვახსენებ, ნუ გეშინია, მომივა რამე ამბავი თუ არა იმ წამსვე შეგატყობინებ.

შენი ფსევდონიმის გამომჟღავნებაში[1], მგონი, მე ვარ დამნაშავე და ამიტომ ყური მომიშვერია და ნებას გაძლევ მომწიო. მართალი გითხრა, ფსევდონიმს ჩვენში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც შენ მიუწერ. მენ შე გარწმუნებ, რომ კირილე ლორთქიფანიძე რო მოგეწერა უფრო ბევრი იცნობს, ვიდრე კილოკავაძეს[2]. დიახ, კირილე, ჩვენში ეს საბუთია. მეორე შენ

ამბობ, რომ ჩემი ამხანაგებისაგან, ნაცნობებისაგან და საზოგადოთ მკითხველებისაგან მხოლოთ მაშინ გავიგონებდი ნამდვილს და მიუფერებელ აზრს ჩემ სტატიაზეო, როცა იმათ ჩემი ფსევდონიმი არ ეცოდინებათო. ეს სულ სუფთა, ჩემო კირილე, მე მგონი, ამაში კეთილგონიერი შენი ამხანაგები და ნაცნობები, მე მგონია, პირმოთნეობით არ აქებენ შენ სტატიას, თუ ის ცუდია, და არ გიგინებენ, თუ კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იმათ კეთილგონიერებად ვერ ჩავთვლი; და ოხრების აზრი, რასაკვირველია, შენთვის გამოუსადეგია. სხვათა შორის შენ ამისთანა საფუძველიც მოგყავს: „თუ ერთი ორი სტატია ფსევდონიმისა ივარგებდაო, მაშინ საზოგადოთ ფსევდონიმის სტატიებს მკითხველები ყურადღებას მიაქცევდენო და ეს გაზეთისათვისაც სასარგებლი იქნებაო“. ერთი მითხარი, შენი ჭირიმე, განა არ შეიძლება—ყველა ეს მოხდეს, როცა შენ სტატიას ნამდვილი შენი გვარი მოეწეროს?

ჩემი აზრით ფსევდონიმს მავნებელი მოქმედება აქვს ლიტერატურაზე. აი, როგორა, როდესაც კაცმა წინათვე იცის, რომ იმის რომელიმე მოქმედებას მთელი ქვეყანა გაიგებს და ყველანი ამ საქმით დაიწყებენ იმის პიროვნებაზე სჯას და ლაპარაკს, მაშინ, უეჭველია, ის უფრო ეცდება, რომ იმის საქმე საქებარი და სამაგალითო იქნეს, ვიდრე მაშინ, როცა ის დარწმუნებულია, რომ საქმის მომქმედს კაცი ვერ გაიგებს. ჩვენ „კაცნი ვართ, ადამიანნი“. ყოველი კარგი საქმე გვინდა მივითვისოთ და ცუდი სხვას ვისმეს დაუსაკუთროთ. ჩემ თავზე აი რა გამომიცდია: როცა ჩემ საყვარელ „დროებას“ ხანდისხან კირიანი საკვები შემოკლებია, მე ამილია კალამი და ერთი ან ორი საათის განმავლობაში დამიჯღაბნია რამე უხეირო: ამისთანა სტატიის ქვეშ მე არ მომიწერია ხოლმე არასოდეს ჩემი საკუთარი გვარი. რატომ? მისთვის, რომ მრცხვენია ამისთანა სუსტი ქმნილების მითვისება, კარგი რამ რომ დამეწერა, დარწმუნებული იყავი, დიდი სიამაყით მოვაწერდი სრულ სახელსაც და გვარსაც. საკუთარი სახელის მოწერა ამისათვის არის კარგი, რომ არ გააბედვინებს კაცს ასეთი რამ დაანახვოს ქვეყანას, რომლის მითვისება თითონვე, ეთაკილებოდეს.

ეს ჩემი აზრია; შენ, რასაკვირველია, შეგიძლია არ დამეთანხმო ამაზე და მომთხოვო, რომ შენი სახელი არ მოვაწერო შენს სტატიებს და დარწმუნებული იყავი, რომ ავასრულებ ამ მოთხოვნილებას без разсуждении.

კირილე, ერთი ამბავი უნდა მოგწერო, რომელიც, მგონია, ძალიან გაგაკვირვებს. ამ წლიდან „დროების“ რედაქციას აქვს შეძლება ლონორარი აძლიოს თავის თანამშრომლებს[3]. ჯერ-ჯერობით მე მაქვს გარდადებული თანამშრომლებისათვის 600 მანეთამდი და მალე, მგონია, მომემატოს. თავდაპირველად მინდოდა ერთი თანამშრომლის აყვანა და ეს ფული იმისათვის მიმეცა, მაგრამ მოფიქრების შემდეგ, ვარჩიე სტატიებისათვის ლონორარის მიცემა ისეთ პირებს, რომელნიც განსაკუთრებით საჭიროებენ და, რასაკვირველია, ხეირიანი რასმეს დაწერა შეუძლიათ.—ეს საქმე იცოდე, საიდუმლოა; შენ და ინაშვილის[4] მეტმა ამ საქმეზე არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს. მე ჩემი მიზეზები მაქვს. აი, რანაირი წინადადება უნდა მოგცე, კირილე, თუ დრო გაქვს და იკისრებ, მე შემიძლია ყოველ თვე 20 მანეთი გიგზავნო იმ პირობით, რომ

[3] ეუ „მნათობი“ № 8—9.

თვეში რვა „დროების“ კოლონის ასავსები მასალები ჩამაბარო; „დროების“ თითო კოლონაში 80 სტრიქონია, ასე რომ სტრიქონზე თითქმის 3 კაპიკი მოგივა; მართალია ცოტაა, უღმერთობაა, მაგრამ რას იქ, ბეტი ვარ—შეიძლება თუ გინდ ისე, უვადოთ, მოგირიგდეთ, ე. ი. როდესაც და რამდენსაც გამომიგზავნი, იმის ფასს მოგცემ მაშინვე, ეს ორიგინალური სტატიებისათვის და ნათარგმნისათვის კი სტრიქონზე—2 კაპიკის მეტი არა.—ამაზედ ამასთანავე ვწერ ინაშვილსაც და იმასაც ამგვარ პირობებს უთვლი; თუ შესაძლო იქნება და დამეთანხმებით, მე მგონია, ორივე მხარესათვის სახარბიელო იქნება. ამას გარდა, კირილე, ერთი პირობა უნდა გამოგართვათ (განსაკუთრებით, შენ): სტატიებზე თქვენი სახელი და გვარი უნდა მოაწეროთ. ჩემი ანგარიშები ითხოვენ ამას. მომავალს მარტში მიიღებ ჩემგან, თუ ნიკომ არ გამოგიგზავნა, 30 მანეთს მაინც. მომავალ კვირას ინაშვილს ძოუა 25 მან., მაგრამ გაზეთის ფულებიდან კი არა.

ამას გარდა მე მინდა ზოგი ცვლილება მოვახდინო „დროებაში“ ივლისიდან (შუა წლიდან) ან ახალი წლიდან; შეიძლება ფორმატი გამოვცვალო და ერთი თაბახის მაგივრად თაბახ ნახევარი გამოვსცე კვირაში, ანა და ფასი დაუკლო ერთი მანეთი მაინც, თუ მეტი არა, შეიძლება, კიდევ, რომ გაზეთს ესევე ფასი დარჩეს, მაგრამ წელიწადში სამი დამატება მაინც გამოვსცე, თითო სამი ან ოთხი დაბეჭდილი თაბახი. ამაზე ჯერ ხეირიანად არ მომიფიქრებია. ეს კი ვიცი, რომ შვიდ მანეთზე ზევით აწევა ფასისა არას გზით არ მოხერხდება.

ყველა ამ საგნებზე შენ თუ მალე და დაწვრილებით პასუხს მომცემ, ძალიან კარგი იქნება.—ერთხელ კიდევ, გთხოვ კირილე, ეს ამბავი შენ და ინაშვილის მეტმა არავინ იცოდეს. ამას სხვათა შორის იმიტომ გეუბნებით, რომ სხვებმა, რომ გაიგოს, დაიწყებენ წერას და სუსტ სტატიებში ფულებს ითხოვენ; „სხვებს თუ აძლევთ ჩვენ რა ვართო“! დამეთანხმე, რომ ყოველ უბრალო კორესპონდენციაში (რომელიც, შეიძლება დაბეჭდის ღირსი იყოს) ფულის მიცემა გასაჭირია. ეს მიზეზი, გეუბნები, სხვათა შორის არის, უმთავრესი კიდევ სხვა არის, რომელზედაც არც შენ და არც სხვამ არავითარი იცის და ვერც უნდა გაიგოს.

ნიკოს მივწერე, თუ სანახევროთ შემომიდგება, ამ ორ თვეში გამოვსცემთ ერთ დამატებას წიგნათ[?], რომელიც „დროების“ ხელის მომწერლებსაც დაერიგება და ცალკეც გაიყიდება. იმაში დავბეჭდ მაშინ შენ სტატიას; ამას გარდა მე მაქვს კიდევ სხვა სასბორნიკო სტატიები და ლექსებიც. რა კარგი იქნება, რომ ამ სბორნიკისათვის ერთ კარგ, პატარა მოთხრობას ან რომანს რასაკვირველია (ჩვენი ცხოვრებიდან) დაწერდეს ვინმე! ოთხ კაპიკს მივსცემ სტრიქონში. თავი ნუ მოგიკვდება, კირილე, ეს ამბავი ლონარარზე საეჭვოდ არ მიგაჩნდეს, იცოდე, რომ აქ ერთი სიტყვა არ არის მომატებული და წინ დაუხედავათ ნათქვამი; რაზედაც გწერ ყველაფრის ასრულებას შენ თითონ ნახავ და თუ დამეთანხმები ზემო თქმულზე შენ თავზედაც იგრძნობ. მეტი არა მინდა რა ახლა, რომ ერთი ხეირიანი ქრონიკერი ვიშოვნო ქუთაისში; არ იცი, კირილე, შენ—რა საჭიროა „დროებისათვის“. კარგი ქრონიკერი ქუთაისში...

კიდევ რაღაცაები მაქვს მოსაწერი და მოსალაპარაკებელი, მაგრამ ეხლა დრო აღარ არის, სხვა დროისათვის დარჩეს. შეიძლება მალე მოგწერო კიდევ წიგნი. ამის პასუხს კი მოველი მალე, შენგან.

მანდაური ძველი ქართული წიგნების თაობაზე, თითონ უმეკაშვილი ან წერეთელი აპირებენ მოწერას და ამიტომ მე არას გწერ[6]. ჩემ ძმაზე მომწერე რამე. გ. წერეთელი ასწავლის კი ქართულ ენას რეალურ გიმნაზიაში, მაგრამ მასწავლებლად ჯერაც—არ დაუმტკიცებიათ. „სასოფლო გაზეთს“ არც წელს მისცეს ჯერ-ჯერობით სუფსიდია. მერმისათვის კი უსათუოდ დაპირდენ 900 მანეთის მიცემას. ჯერ ისევ კერესელიძეს აძლევენ. ვერ მოიწერები რა ამბავია, რომ ეს ორი კვირა არის, რაც რუსეთის ფოჩოები არ მოდის აქ?...[7]

შ ე ნ ი შ ნ ვ ნ ე ბ ი:

1. როგორ პირობებში და როგორ გამომეღავნდა კ. ლორთქიფანიძის ფსევდონიმი არ არის ცნობილი.

2. კილოკავაძის ფსევდონიმით „დროებაში“ მოთავსებულია რამოდენიმე წერილი (იხ „დროება“ № 51. 1869 წ. და 1870 წლის ნომრები).

3. შესძლო თუ არა „დროებამ“ თავისი თანამშრომელებისათვის ჰონარარის მიცემა, ან საიდან აპირებდა ამ თანხის შოვნას ს. მესხი, არ არის ცნობილი. პ. უმეკაშვილი აღნიშნავს, რომ „დროებას“ დიდ მატერიალურ დახმარებას აძლევდა ახალგაზრდა მდიდარი სტეფანე ზარაფოვიო (იხ. „ივერია“ № VII, 1881. წ.)

4. ნ ი კ ო ნ ი ნ ა შ ვ ლ ი „დროების“ თანამშრომელი. „მნათობში“ მოთავსებული აქვს ორი წერილი და მილის თარგმანი ქალთა განთავისუფლებაზე. გარდაიცვალა სრულიად ახლგაზრდა 1870 წელს (იხ. ნიკო ნიკოლაძის წიგნი, გვერდი 133—6)

5. „დროების ეს დამატება არ გამოსულა.

6. 1869 წლიდან პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი და ნ. ბერძენიშვილი შეუდგნენ ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვებასა და გამოცემას. პირველად გამოსცეს „დავითიანი“ გ. წერეთლის წინასიტყვაობით. ცხადია, ისინი პეტერბურგის არქივებშიაც ეძებდენ ხელნაწერებს.

7. ამ წერილს ბოლო აკლია.

წ ე რ ი ლ ი მ ე შ ვ ი დ ე

თბილისი 1870 წ. მარტის 29-ს

ძმაო კირილე! ღმერთმა კი იცის, რომ მე ვერ გამიგია შენი მოსაზრება ფსევდონიმის მნიშვნელობაზე... რას ნიშნავს მაგალითად შემდეგი სიტყვები: თუ ნამდვილ სახელს მოუპოებია სახელოვანება, მაშინ იმის შედარებით ფსევდონიმი იმაზედ უმდარესი იქნება და ფსევდონიმი გაიცნო საზოგადოებამ მოქმედებით, მაშინ ეს ნამდვილ სახელსაც ემჯობინება. „რას ნიშნავს ეს სიტყვები? მართალია ფსევდონიმიცა და ნამდვილი სახელიც „იარლიკია“; მაგრამ შენი ნამდვილი სახელი მე იმიტომ მინდა, რომ იმას უფრო იცნობენ ჩვენი მკითხველები (როგორი მხრითაც უნდა იყოს, ეს სხვა საქმეა) და „კილოკავაძეს“ კი იქნება ყურადღებაც არ მიაქციონ, აი ჩემი ანგარიშები.

მეორე ალაგას ფსევდონიმის თაობაზედვე შენ ამბობ. თუ მაინცა და მაინც იტყვის, რომ ფსევდონიმი სჯობიაო, მაშინ ნურც ერთ სტატიას ნუ მოაწერ ავტორის სახელსაო; ამ შემთხვევაში კერძოობითი პირების ნაცვლათ, შეკრებილებითი პირი. გაზეთი მოიპოებს რენომესაო და ეს საჭიროა მკითხველების გამრავლებისათვისო. მიკვირს, როგორ არ გესმის, რომ გაზეთს ან ჟურნალს მოემატება მკითხველები ამას გარდა იმ შემთხვევაშიაც, როცა ამ გაზეთში ან

ჟურნალში საუკეთესო და გამოჩენილი მწერალნი სწერენ და თავის სახელს აშკარათ აცხადებენ. წარმოიდგინე რომელიმე უფერული ჟურნალი, მაგ. Библиотека для чтения 1861 წლისა, წარმოიდგინე, რომ ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა იყიდეს იმ დროს ეს ჟურნალი: გაუმრავლდებოდა იმათ მკითხველები, რომელთაც გაგებული ექნებოდათ ეს ამბავი, თუ არა? ნაცხობი სახელები განსაკუთრებით ჩვენი მკითხველებისათვის, ერთი სიტყვით, ბევრს ნიშნავს, კირილეიცოდე.

ჩემი აზრი იმაზე, რომ ფსევდონიმების მიმადლით ხშირათ სტატიებს ღირებულება აკლდებათ, ბეჯითი მიმაჩნია (ჩემი სიტყვებიდან არა ჩანს, მგონია, რომ შენ მყავდი სახეში. მე საზოგადოთ ვლაპარაკობდი). მაგრამ შენი მოსაზრება, რომ მაშ რედაქციაც იმიტომ აწერს სტატიების ქვეშ ავტორების სახელს რომ ეშინიან თვითონ იმას არ მიაწერონო, სრულებით უსაფუძვლოა. ავტორების სახელებს რედაქცია იმიტომ აწერს სტატიების ქვეშ, რომ ამას თითონ ავტორები თხოულობენ. ეჰ, კმარა ამაზე...

ინაშვილისაგან ჯერ წიგნი (პასუხი) არ მომსვლია. ჩემთვის ძალიან საჭიროა რომ მალე შევიტყო გადაწყვეტილი ამბავი. რადგან შენ მუდამ თანამშრომლობას ვერ ჰპირდები გაზეთს, ამის გამო. შენი სტატიების მოსვლისთანავე, იმანგარიშით, როგორც წინანდელ წიგნში გწერდი, სტრიქონებზე გამოგიგზავნი ფულებს. ამ ფულების წყაროზე, რომლის შეტყობას ისე ესწრაფის შენი ცნობის-მოყვარეობა, ჯერ ვერა გწერ ვერაფერს მხოლოდ იმას გარდა რომ პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ამ წყაროსაგან „სმევა" არც ერთი პატიოსანი კაცისათვის სათაკილო არ არის. ანა და მიკვირს что за щепетильность такая! ჩვენ თუ გლეხების ნაოფლარი და ნაღვაწი ფულებით ვიკვებებით, ამის გამო შემდეგ ამაზე უარესი სათაკილო კიდევ იქნება რამ?.. შენი მახვილი გონება შეცდა; ამ ფულებს არავითარი კავშირი არა აქვს იმ სიტყვასთან, რომელიც მე ვსთქვი ა. ჯ. ორბელიანის დასაფლავებაზე [1]. თითონ მისი ოჯახი ღარიბი და ღატაკია. ძალიან მწყენს, თუ ასე ცუდი აზრის ხარ შენ ჩემზე, რომ მე ანგარიშ მოყვარეობით ყველაფერი ცუდ-კაცობა შემიძლია, ძალიან მწყენს აგრეთვე, რომ ვერ მიხვდი რისთვის ვთქვი მე ამნაირი სიტყვა გენერალიტეტის წინა...

ამ ფულების წყაროს კიდევ სხვა ბევრ კარგ საქმეებთან აქვს კავშირი და როდისმე ყველაფერს ერთად და დაწვრილებით მოგწერ იმ იმედით, რომ არ გამცემ.

ამ წელს ოთხი სბორნიკის გამოცემა შეუძლებელი საქმეა, სხვადასხვა მიზეზების გამო. ორი კი შეიძლება. პირველათ როგორც გწერდი გამოვა მაისში ან ივნისში და მეორე კი ნოემბერში ან დეკემბერში. მერე გაისს, ნებართვა უნდა ვითხოვო, რომ დრო გამოშვებით სბორნიკების გამოცემის ნება მოგვეცეს დროების დამატებასავით.

ნიკოსაგან 20 ნომრის საყოფი სტატიები კი არა 20 სტრიქონი არ მომსვლია, შარშან ზაფხულის შემდეგ. ძალიან მაწუხებს იმის დაუდევრობა: ორი თვეა აწერს მოვალო და ჯერ კი არსად სჩანს და არც იქიდან არაფერს იგზავნება, ამბობენ მამის საქმეებშიაო გართული.

ყველაზე უფრო მე მაკვირვებენ დ. აბდუშელიშვილი და ლოლია. ამბობენ რომ ახალმა სულმა და ადვოკატობამ ისე ჩაჰყლაპა ისინიო, რომ სუდენი უსტავის სტატიების მეტს არაფერს დასდევენ ქვეყანაშიო; მუდამ იმაზე აქვთ თორმე სჯა, ბაასი და ჩხუბი: აი ეს სტატია ასე უნდა გაიგოს, ეგა, ამ კასაციონნი რეშენიას ეს აზრი აქვსო და სხვა. აბდუშელისშვილისაგან მაინც არ მოველოდი. საზოგადოთ, ძმაო ახალმა სუდმა თხუთმეტი იმდენი ვნება მოიტანა, რაც სარგებლობა: ყველა ახალგაზრდა და ცოტანი მაინც საიმედო პირები სრულებით შთანთქო. ეს კარგი პოლიტიკაა მმართებლობის ძხრივ,

ცაგარელის სტატია მეორედ და მესამედ რომ წავიკითხე უფრო მომეწონა, ასე რომ ეხლა ვნანობ იმ შენიშვნისათვის, რომელიც პირველ სტატიას გაუკეთე. 10 პუნქტი მაინც ვნახე რომელზედაც შეიძლება გაჩერდეს და მოიფიქროს კაცმა. მაშ მე შენ აზრზე ვერ დაგეთანხმები. ამაზე როდესაც შეიძლება უფრო დაწვრილებითი მოლაპარაკება.

აკი მოგწერე მგონია, რომ შენგან გამოგზავნილი სტატია სბორნიკისათვის მაქვს შენახულიმეთქი? ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ ჩემი აზრით, მძიმეთ ნათარგმნია, ერთობ ბევრი ახალი და ზოგან გაუგებარი ქართული სიტყვებია ნახმარი. მაგ. რა არის „შესახვედრობა“, ამისთანა სიტყვები ბევრია სხვაც „გამორიცხვაო“ და სხვა, განა არ შეიძლებოდა გვერდი აგეარა ამისთანა სიტყვებისათვის?

დამიგვიანდა ფოსტაში და ამიტომ მეტს ვერას გწერ, ესეც მივჯლაბნ-მოვჯლაბნე და თუ გაიგებ ხომ კარგი. ამ საალდგომოთ მე ქუთაისში მივდივარ ორი კვირის ვადით, მინდა იმერეთი დავიარო გაზეთის თაობაზე.—მანდედან ძალიან ცუდი ამბები ისმის, გახშირებული არესტებიაო და მესამე განყოფილება დიდ ამბებში ჩასდისო. განა საშიშია ამაზედ რომ რაიმე მოიწეროო?

შენ თავზე რათ არაფერს იწერები: როდისთვის ემზადები ეგზამენის დაჭერაზე და ჩამოსვლას? ამბობენ, რომ შენ კარგათ გაგიზეპირებია იურიდიული ლექციები. მაგრამ ეგზამენზე მისვლა გეშინიაო, მომეტებული სიფრთხილე ხომ სიძაბუნის ნიშანია...

შენი სერ. მესხი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. 1869 წ. დეკემბერში გარდაიცვალა ცნობილი ა. ორბელიანი, ერთ-ერთი მეთაური 1832 წლის შეთქმულებისა, „ცისკრის“ თანაშრომელი, დრამატურგი და ჟურნალისტი. სერ. მესხმა წარმოსთქვა მის დასაფლავებაზე სიტყვა. ამ სიტყვის დედანი ინახება მესხის არქივში (იხ. საქ. მუზეუმის საქმე № 5103).

2. ცაგარელის წერილებს შენიშვნა ჰქონდა გაკეთებული, რომ რედაქცია აო ეთანხმება მას ზოგიერთ მოსაზრებებშიო.

წ ე რ ი ლ ი მ ე რ ვ ე

ივნისის 2, 1870 წ. თფილისი

ძმაო კირილე! იმედი მაქვს, არ მემდური, რომ ეს ორი წიგნი მომივიდა შენგან და მარტო ახლა მოვახერხე პასუხის მოწერა. პირველი წიგნი, რომ მოვიდა შენი, მაშინ მე ქუთაისში ვიყავი და ამიტომ ვერ მოგწერე. ახლა ეს ერთი

თვეა აქა ვარ, მაგრამ, საუბედუროთ ვრცელ წიგნს ვერც ახლა გწერ, რადგან დღეს გაზეთი გამოდის და შენც მიხვდები—მოცალება არ მექნება. უკანასკნელ დროს არც შენ იტეხ თავს გრძელი წიგნების მოწერით. ძალიან [illegible] ბოლოა, რომ ნიკოლაძის ჩამოსვლა და „დროებაში" იმისაგან მოსაწყენობის [illegible] ასე დაეტყო გაზეთს. ნეტა განახვა ამ თავით რანაირათ არის ის გართული ამ გაზეთში (это свойство всех стремительных натур). ვნახოთ შემდეგში... ამ მოკლე ხანში ბევრი ადგილებიდან მოგვივიდა თანაგრძნობის და ქების წიგნები; „დროება" უკანასკნელ დროებაში ძალიან გაკეთდაო, განსაკუთრებით აღტაცებაში მოუყვანია ჩვენი ახალგაზრდობა მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე ნომერს; მაგრამ ამ ნომერში ლექსებზე და მელექსეობაზე ნიკოლაძის შენიშვნა რედაქციისაგან მე,[1] მართალი გითხრა, სრულიათ არ მომწონს. მიზეზები: ერთი ეს, რომ შარშანდელ ერთს №-ში რედაქციისაგან იყო ნათქვამი „რომ ჩვენმა მწერლებმა, წერის მსურველებმა, ჯერ წერა უნდა დაისწავლონ და მერე გზავნონ სტატიები დასაბეჭდათქო". ახლანდელი რედაქციის შენიშვნისაგან სჩანს, რომ რედაქციას უბეჭდია „დროებაში" ისეთი მწერლების ლექსები, რომელთაც წერა არ სცოდნიათ და რომელთა ლექსები ღირსი არ ყოფილან დაბეჭდვისა. Явное противоречие. მეორე—ამიტომ რომ დააფრთხო ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და ახლა არავინ აღარ გზავნის ლექსებს „დროებაში" დასაბეჭდათ; ყველამ ისე გაიგო შენიშვნა, რომ ლექსების წინააღმდეგი შექმნილა რედაქციაო და აწი იმათ აღარ დაბეჭდავენ გაზეთშიო. ეს ხომ ხეირიანი საქმე არ არის, როგორ იტყვი შენ? ხომ იცი როგორ უყვართ ჩვენში ლექსები, თუნდ უხეიროც იყვნენ? მე ვიცი და გამიგონია კიდეც, რომ ბევრი მარტო ლექსებისთვის იწერს გაზეთს და სანატრელია, რომ უიმისოთაც მკითხველების ვიწრო წრეს მოაკლდეს? მე მგონია, რომ თუ ცუდი ლექსები იყო „დროებაში" (ამაზე თანახმა ვარ), შეიძლებოდა შემდეგში მიგვეჭცია ამ საქმისათვის ყურადღება და აუარებელ ლექსებში, რომლებსაც დასაბეჭდათ აგზავნიან, საუკეთესო გამოგვერჩია, არც ისეთი ახალგაზრდა პოეტების ხელის-კვრაა საქები, როგორც მაგ ჭალადიდელი,[2] რომელსაც უეჭველია ნიჭი აქვს და რომელსაც, შეიძლება, ხელები ჩამოეშვას.

კრებულის ბეჭდვა დავიწყეთ[3], ამთავით იბეჭდება შენგან გამოგზავნილი სტატია,[4] რომელშიაც ორი, თუ ორ ნახევარი თაბახი წაშალა ცენზორმა, მაგრამ, ღვთის მადლით, მაგის დამწერს ისეთი მანერა აქვს წერისა, რომ ერთსა და იგივე აზრს ორჯერ სამჯერ დაღეჭს და ისე მიართმევს მკითხველს. ცენზორს სრული დაღეჭვა არ მოეწონა; სტატიის აზრი არ გამოცვლილა, რაც უნდოდა ავტორს, ყველაფერი ნათქვამია, ისევ; მაგრამ ნაკლები სიცოცხლით და განმარტებით. გულსმოდგინე მკითხველი ყველაფერს ადვილად გაიგებს, რაც უნდოდა ეთქვა ავტორს.

გიგზავნი 20 მანეთს.

რატომ შენ საქმეებზე არაფერს არ იწერები? რათ არ მოგწონს ოდესა? ნუ თუ იმ საქმეს, რომლისთვისაც ჩამოდი მანდ, ვერ მოიყვან სისრულეში? დავით ღოლობერიძე ჩამოსულა ქუთაიში; ვიღაცამ სთქვა.

სხვა, მშვიდობით. შენ წიგნს მალე მოველი.

სერ. მესხი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ნიკოლაძეს აღნიშნული წერილი ხელმოწერილია და სათაურად აქვს „რედაქციის შენიშვნა“ (№ 16.)

2. პოეტმა გ. ჭალადიდელმა (ქოჩაკიძემ) იმ ხანებში დაიწყო „ლეკვების“ ბეჭდვა გაზ. „დროებაში“ იხ. № 15, 25), შემდეგში მან, როგორც პოეტმა საკმაოდ გაითქვა სახელი.

3 „კრებულის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1871 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით.

4. ეს სტატია შეიძლება იყოს „ს ა ზ რ დ ო“, რომლის დედანიც კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახებოდა, ხოლო დაიბეჭდა „კრებულში“ და დედანთან შედარებით სჩანს, რომ შიგ მრავალი ადგილებია ამოღებული ცენზორის მიერ.

წ ე რ ი ლ ი მ ე ც ხ რ ე

თფილისი, 1872 წ. 26 იანვარს.

ძმაო კირილე!

მე და შენ შუა იმდენი ხანია მიწერ-მოწერა შეწყდა, რომ შენი წიგნი, რომ არ მომსვლოდა; არ მეცოდინებოდა— რაზედ გელაპარაკო, რით დავიწყო და როგორ გავათავო. მაგრამ ეხლა პატარა ბარათში იმდენი კითხვებია, რომ თითო კითხვაზე, ორ-ორი სიტყვის მოწერით ძლიერ ვრცელი ბარათი შესდგება. შენ იჭვნეული კაცი ხარ, ჩემო კირილე, და მეშინია—ვაი თუ ჩემი ამდენი ხნის წიგნის მოუწერლობა, როგორმე სხვანაირად ახსნა, ამიტომ პირდაპირ გეტყვი, რომ ამის მიზეზი არც დროს უქონლობა იყო, არც რაიმე სამდურავი და არც სხვა რაიმე ამგვარი გარემოება. ამის მიზეზი იყო ქართველური დაუდევრობა. დღეს, აი ხვალ მივსწერ მეთქი და ამასობაში დღეები და თვეები კი არა წელიწადები გავიდა და ერთი წიგნი ვერ მოგწერე. მაგრამ ამაზედ კმარა... სჯობს ისევ საქმეს შეუდგე და აქაური ამბები, ჩვენი ალიან-ჩალიანის ამბები მოგწერო, მაგრამ ამ წამში იმდენი რამეები მომიგროვდა თავში, რომ, ღმერთმანი, არ ვიცი რომელი ერთიდამ დავიწვო .. ისევ „დროებიდამ“ მოვუვეთ.

შენ მართალია გაგიგონია, რომ მე კინალამ „დროებას“ თავი არ დავანებე. საქმე აი რაშია: წასული წლის ოქტომბერში მე და ვახ. თულაშვილს[1] (მელიქოვის სტამბის გამგებელს) ლაპარაკი მოგვივიდა იმის თაობაზე, რომ ხშირათ სტამბა სრულიად დამზადებულს გაზეთს თავის დროზე არ აბეჭდინებდა და ამის გამო გაზეთი პარასკევის მაგიერათ, კვირას ან ორშაბათს გამოდიოდა: თფილისს და გარეშე ხელის მომწერლებისაგან მე საყვედური საყვედურზე მომდიოდა, რომ „დროება“ თავის დროზე არ მოგვდისო. ზოგიერთები სულაც ალარ აწერდენ გაზეთზე ხელს ამის გადამკიდე, მელიქოვის სტამბა კი თავის ბლანკებსა და სხვა განცხადებებს ჰბეჭდავდა ამ დროს, და გაზეთი ფეხებზე ეკიდა. აი ეს გარემოება იყო პირველი მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა,.. მე და ვახ. თულაშვილმა კარგა-გვარიანათ შევლანძღეთ ერთმანეთი. ცოტა ხანს შემდეგ მე შევიტყე, რომ კამპანიას[2] (მელიქიშვილს, თულაევსა და დ. ბაქრაძეს) ერთმანეთში მოლაპარაკება ჰქონიათ და მგონი კიდეც გადაუწყვეტიათ, რომ 1872 წლიდამ მესხი ნულარ გვინდა რედაქტორათ, სხვა რედაქტორი ვაშოვოთო. ხშირათ იკრიბებოდნენ მაშინ ისინი და არჩევდნენ, ვინ ამოვირჩიოთ რედაქტორათო? ერთი ამბობ-

და გ. იოსელიანი (წყალტუბელი)[3] დავაყენოთო, მეორე სერ. მელიქოვიო (გინახავს?), მესამე (ე. ი. ანტ. ფურცელაძე)[4] ურჩევდა, რომ ჩემი ცოლი დავაყენოთო და სხვა ამგვარები როდესაც ეს ამბები შევიტყვე ავდექი და პირდაპირ ულტიმატუმი წარუდგინე: ან სრულებით მე მომეცით გაზეთი, მეთქი (გამომცემლობაც) და ან თუ არ მომცემთ, ღმერთმა მოგახმაროსთ, მე ხელს ვიღებ გაზეთზე, მეთქი. ფულიშვილმა, ფიცხელი უარი სთქვა და დანარჩენმა ორმაც კვერი დაჰკრეს. მაშ ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, დღეის შემდეგ მე გაზეთზე ხელს ვიღებ, მეთქი, გამოუცხადე იმათ და შეუდექი ახალი გაზეთის გამოცემის თადარიგს. ეს იყო ნოემბრის (ამოშლილია სიტყვა) მაგრამ ბოლოს თითონ ისინივე მოვიდნენ და ერთს თავის კრებაზე მიმიწვიეს უკანასკნელად მოსალაპარაკებლად. ამ კრებაზე, ბევრი ყიჟინისა და ყბედობის შემდეგ, გადავსწყიტეთ: 1) „დროების“ გამომცემლათ 1872 წლიდამ უნდა ვიქნე მე და სტ. მელიქიშვილიც, 2) გაზეთი გადამაქვს მელიქოვის სტამბიდამ და სადაც მსურს, იქ ვბეჭდავ; 3) ეკონომიური მხარე გაზეთისა (ყოველგვარი შემოსავალ-ვასავალი) ჩემ ხელშია, 4) უჩემოთ მელიქოვს არ შეუძლია გამომცემლობა ვისმეს გადასცეს და უიმისოდ-მე, და ზოგი სხვა წვრილმანი პირობები შევკარით ერთმანეთში, ნოტარიუსის წესით, და განვშორდით ერთმანეთს. თუ ამ წლის პირველ ნომრებზე გამომცემლათ მარტო მელიქოვის გვარს ჰკითხულობ, ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ გლავნი უპრავლენიას არ დაუმტკიცებივარ მე გამომცემლათ, რადგან ქალალდი გვიან შევიტანეთ.[5]—აი მოკლეთ იმ ხმების ამბავი, რომელიც შენ მანდ გაგიგონია, ამ ჩემს შეტაკებაში ბევრი კომიკური და ბევრი ტრაგიული ეპიზოდები იყო, მაგრამ ყველასი წიგნით გადმოცემა შეუძლებელი საქმეა.

ღღემდი შენ „დროება“ (2 ნომერი) უნივერსიტეტში გეგზავნებოდა და ღღეის შემდეგ ახალი ადრესით გამოგიგზავნი, თუ ის ნომრები დაგეკარგა და თუ გინდა მის მაგიერი გამოგიგზავნო, მომწერე. ახალი სათაური „დროებისა“[6] მაგდენად მე თითონაც არ მომწონს და აბა შენ რათ მოგეწონება. შეგიძლია თითოეულ ასოს ნაკლოვანებაზე თითო ტომი დასწერო და გამომიგზავნო; მაგრამ ამაზე უფრო იმას დაგიმადლებ, ახალ ასოებს რომ დამიხატავდე, კარგათ, შენებურათ, და გამომიგზავნიდე, ეს ასოები დიმ. ყიფიანმა[7] დახატა. ჩვენ აქ უკეთესი ვერ მოვიგონეთ და ამასთან კიდეც გვეჩქარებოდა. თუ გამოგზავნი, ამომჭრელს აქაც კარგს ვიშოვნით. „დროება“ ჯერ-ჯერობით მაგრათ დგას. მეცხადათ ვატყობ, რომ აქაც და განსაკუთრებით იმერეთშიც „დროებას“ ახლა უფრო მომეტებულის ინტერესით ჰკითხულობენ ვიდრე იმ ორი-სამი წლის წინათ. ეს ხელის მომწერლების მომატებაზედაც ეტყობა, სხვა არა იყოს რა. რასაკვირველია „დროება“ და მისი გავლენა და მდგომარეობა მე ცისარტყელის სინათლეში (როგორც ნიკოლაძე იტყოდა) არ მეჩვენება, მაგრამ ისიც კარგია, რომ ცოტათი მომეტებულის ინტერესით ჰკითხულობენ და ხანდისხან წაკითხულსაც ყურადღებას აქცევენ ხოლმე.

ახლა „კრებულზე“. დიახ, ჩემო კირილე, დიდათ სამწუხაროა, რომ „კრებულმა“ თითქმის კიდეც გადააჭარბა „მნათობს“ ფეხმძიმობაში.[8] მაგრამ რა გაეწყობა. გაეწყობოდა ბარემ რამე, მაგრამ ღმერთმა ნიკოლაძეს და იმის ტყიბულას მოჰკითხოს.[9] „კრებულის“ წაყვანა ნიკოლაძემ ითავა, მაგრამ არ ვიცი—საუბე-

დეროთ, თუ საბედნიეროთ ამავე ნიკოლაძემ ამავე დროსვე ტყიბულის ქვის ნახშირსაც მოჰკიდა ხელი და მილიონების იმედი აქვს. ხუმრობა გამვებით და [ნახევარი სტრიქონი დაზიანებულია] მითქვამს თვითონ იმისათვის, რომ ჩვენ, რომელნიც მუდამ „მნათობს“ დავსცინოდით ღოღიალზე, [illegible] ეს ამაშვე საბაცილო შევიქენით, მაგრამ ეს არაფერი თუ ნიკომ თავისი (ე. ი. ტყიბულის საქმეები) კარგათ მოათავა; იმედი კი არის ამისი. ამ დღეებში გამოვიდა „კრებულის“ მეექვსე წიგნი. ამასაც და იმ დანაკლის წიგნებსაც, რომელზედაც შენ იწერები, ერთად გამოგიგზავნი მალე, მოკლე ხანში მეშვიდე წიგნიც გამოვა; ეხლაც თითქმის სულ მზად არის; მხოლოთ ერთი კრიტიკულა სტატია აკლია. რადგანაც „კრებულზე“ და ნიკოზე ლაპარაკი ერთმანეთში აურია, ბარემლა ნიკოს ამბავს სულ მოვათავებ. მაგრამ ტყიბულის და ნიკოს ამბავი ამჟამად არ გაიყოფება. ტყიბულის ამბავი ცოტათი ხომ გეცოდინება, თუ სხვა გზით არა „დროებიდამ“ მაინცა. ნიკომ სულ იყიდა ეს მთა მეპატრონეებისაგან (მებატონეებისაგან); გლეხების ნაწილი ხომ უიმისოთაც იმის ხელშია. ამ დღეებში ნიკომ 52,000 მანეთი წააგო ნიკოსელსკის, რომლისთვისაც მეპატრონეებს ნაყიდობის წერილი უნდა დაემტკიცებინათ, ეს წერილი არ დაუმტკიცეს და ამის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაადვა იმათ ჯარიმის ფული (40,000 მან.). და ბეის ფული, რომელიც ნოვოსელსკის თავიდამვე მიეცა იმათთვის. ტყიბულის მამულის „ზაპრეშჩენია“ დაადვეს; მაგრამ ნიკო აინუმშიაც არ იგდებს ამ ფულს იმედი აქვს, რომ ამ ფულს ის კამპანია გადაიხდის, რომელიც ახლა პარიჟში სდგება (Для эксплоатации Ткибульских каменно-угольних копей). ამ კამპანიის შედგენას ნიკოც უნდა დაესწროს პარიჟში. როგორც „პრედსედატელი და ამიტომ ის, დ. ღოღობერიძე. და ი. თარხანოვი ერთად მიდიან მანდეთკენ მომავალ კვირაში.

მას აქეთ რაც ეს შენი წიგნი მივიღე უმიკაშვილი არ მინახავს, და ამიტომ არ ვიცი—რათ არ გამოგიგზავნა იმან რაღაც ლექსებიო. რაც შეეხება იმას, რომ მე არაფერი არ მოგწერე და ვერც მოვკრიბე ფულები მანდაური „დამარცხებული“ ყმაწვილებისათვის, რომელთაც „მაკარი რომ ხბორებს სდევნის, იქ აგზავნიან[10]“, ამაზე უნდა გითხრა, რომ საქმეს მე გულ-გრილად მოვკიდე ხელი. ამის მიზეზი ერთი, რომ საზოგადოთ რუსეთში სხვა ჩვენი ყმაწვილებიც არიან, რომელთაც მართლადა, არსად არ აგზავნიან, მაგრამ ულუკმა-პურობა იმათვისაც კარგა საგრძნობელია: მეორე, აქ მე ძალიან ცოტა მყავს ისეთი ნაცნობები, რომელთაც შეწევნა შეეძლოთ და ვინც არიან ჩემსავით ჯიბე ცარიელები. შენზე ადრედ მიქელაძემ[11] მომწერა ამ საქმის თაობაზე, მაგრამ ვერა გავარიგე რა.

„ჩონგურის“ ფულს მე და პ. უმიკაშვილი (20-ან 30 მანეთამდე) მომავალ კვირაში გამოგიგზავნით.

„დროებისათვის“ წერა სულ დაგავიწყდა? წელიწადში, რომ რამდენიმე სტატია გამოგზავნო, ხელი მოგტყდება? ერთი სიტყვით, მგონია სულ ამ ქვეყნის მოშორებას აპირებ როგორც სხეულითაც აგრეთვე სულით. აგრეთვე იმედი მექნება, კირილე, რომ ამ ზამთარში [დაზიანებულია] „შენი კალმის ნაწარმოებს“

გამომიგზავნი. უთუოთ, კირილე, გესმის? ჩაუჯექი შენებურათ სტილს, სწერე, სწერე, სწერე და მერე გამომიგზავნე

იქნება არ იცოდე, რომ ჩემი ძმა ივანე, ეხლა ციურიხშია, ... და ვლ. ნიკოლაძე[12] ერთად წავიდენ. ამათ გარდა ოთხი სხვები ... ... ჩვენები შვეიცარიაში: ძიგოევი[13] და ჯაფარიძე[14] ჟენავაში და სუმბათოვი (მანდაური) და ქადაგოვი[15] ციურიხში. ეს კიდევ არაფერი: ერთი ჩვენებური ქალიც მიდის მალე იქ, მედიცინის სასწავლებლად[16]! კარგად შემოგვხედე...

ჩვენში ძალიან ბეკრი ახალი ამბებია, განსაკუთრებით კურიოზული ხასიათისა. მაგრამ წიგნი უიმისოთაც გაგრძელდა და ახლა დროც აღარა მაქვს ამათზე წერისა. გეტყვი მხოლოთ, თფილისში ჰყვავის... ლიტერატურა[17]. ორი ისეთი ხელთნაწერი პანფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთი „გამოცანები“,[18] რომელშიაც აწერილი არიან (ანუ უკეთ ვსთქვათ, გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად): გრ. ორბელიანი, გ. და კ. მუხრანსკები, იასე ანდრონიკოვი,[19] პლატონ იოსელიანი, ბეს. ღოღობნრიძე, რევაზ ანდრონიკოვი და დიმ. ჯორჯაძე. ნიმუშათ მოგიყვან ბესარიონ ღოღობერიძის[20] ხარაკტერისტიკას (ზეპირად ვსწერ და კარგად არც ეს მახსოვს).

ერთი ვინმე შავგვრემანი სუსტია და პირად ხმელი,
დიდებაში ბრმად ქებული, მაგრამ არის ჭკუა-თხელი.
დიდთა ქებით გაბერილა, ვით ავი სენით ტრიკია!
[დაზიანებულია] ის ჩატეხილი ხიდია.
ქვეყანა და ქვეყნის საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდია![21]

ორი თუ სამი სტრიქონი ამ ლექსში გამოტოვებულია; თითვეული პირის შემკობა უკანასკნელი ლექსით თავდება. ამის გარდა გამოვიდა მეორე ლექსი, სახელად; „Благодарю, не ожидал![22]“ რომელსაც სოლლოგუბს[23] მიაწერენ, მაგრამ ტყვილია...

ამ შემთხვევაში კმარა... შენ სრული უფლება გაქვს, კირილე, უპასუხოთ დააგდო ეს ჩემი წიგნი, როგორც მე ორი-თუ სამი შენი წიგნი დავაგდე, მაგრამ იმედი მაქვს, შენ შურისძიებას არ დაიწყებ, და წიგნს და შენ და საზოგადოდ მანდაურ ამბებს მომწერ განსაკუთრებით გთხოვ „დროებისათვის“ რაიმეს გამოგზავნას...

შენი სერ. მესხი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ვახ. თ უ ლ ა შ ი ლ ი—ი. ჭავჭავაძის ჯგუფის წევრი იყო. თანამშრომლობდა „საქ მოამბეში“ (1863 წ). ვ. თ.-ს ფსევდონიმით. „დროების“ ერთ-ერთ წამომწყებთაგანი იყო. შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შევიდა. გარდაიცვალა 1911 წ.

2. ეს კამპანია ითვლებოდა „დროების“ გამომცემლად. როგორც ცნობილია 1865 წ. ამ კამპანიამ ნიკ. ღოღობერიძის დამატებით იკისრა „დროების“ გამოცემის საქმის მოწყობა და ს. წერეთელი მოიწვია რედაქტორად.

3. გ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (წყალტუბელი) იმ ხანებში თანამშრომლობდა „მნათობში“. ცნობილი პედაგოგი და ჟურნალისტია. აქვს რამოდენიმე წერილი, „დროებაშიც“.

4. ანტ. ფურცელაძე იმ ხანებში ცხარე პოლემიკას აწარმოებდა „დროების“ ჯგუფის წინააღმდეგ. თანამშრომლობდა „მნათობში“. ხშირად აწერდა წერილებსა და ლექსებ ზურაბ მოენიძეს. ერთხანს იგი „დროებაში“-ც თანამშრომლობდა.

5. ამის შემდეგ „დროების“ გამომცემლებად იყვენ: სერ. მესხი და ალ. მელიქიშვილი. რედაქტორად სერ. მესხი.

6. აქ ლაპარაკია „დროების“ სათაურის მხატრული გამოხატულების შესახებ: 1872 წელში მისი ძველი ფორმა შეაცვლევინა ს. მესხმა. 1873 წელს, როდესაც დროებითი რედაქტორობა იკისრა კ. ლორთქიფანიძემ, თავის მხრივ მანაც ახალი „რეფორმა“ მოახდინა „დროების“ სათაურის გამოხატულებაში.

7. დიმ. ყიფიანი—ცნობილი მ ერალი და საზოგადო მოღვაწე. ერთ-ერთი წარმომადგენელი ძველი თაობისა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

8. „კრებული“ 1871 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით. მაგრამ მისი ხელმძღვანელობა დაჰკისრებული ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს. ბოლო ხანებში ნომრები ერთობ გვიან გამოდიოდა „მნათობსაც“ ეს სენი სჭირდა.

9. 1871 წლიდან ნ. ნიკოლაძემ ტყიბულის საქმეს მოკიდა ხელი, რის გამო მას დიდი დავა მოუხდა სხვადასხვა პირებთან. საქმე სასამართლოებშიაც ირჩეოდა რამოდენიმე წლის განმავლობაში.

10. აქ აღნიშნულ ფაქტის შესახებ ცნობები არ არის ცნობილი. რომელ „დამარცხებულ“ ყმაწვილებზეა აქ ლაპარაკი, ან სად აგზავნიდენ მათ არ ვიცით. შეიძლება აქ ლაპარაკი იყოს „ნეჩაევის პროცესის“ დროს გასამართლებულ „ყმაწვილებზე“ (ვ. ჩერქეზიშვილი და სხვ,).

11. დათამიქელაძე, რომელიც მეველეს, დ. კულაშელისა“ და დ. ზურაბიშვილის ფსევდონიმით თანამშრომლობდა „დროებაში“.

12. ვლ. ნიკოლაძე—ნიკო ნიკოლაძის ძმა. გარდაიცვალა ციურიხში 1872 წ. აქვს „დროებაში“ მოთავსებული კორესპონდენციები.

13. ძიგოევი—იყო ჩვენებური ოსი, ანარქისტი—ბაკუნინის მიმდევარი. აგზავნიდა ჟენევიდან „დროებაში“ კორესპონდენციებს. ადრე გარდაიცვალა.

14. ბეს. ჯაფარიძე—1869 წლის სტუდენტთა აჯეულობის მონაწილე. დაპატიმრებიდან განთავისუფლების შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ. თანამშრომლობდა „დროებაში“ ბ. ჯ-ს ფსევდონიმით. გარდაიცვალა 1877 წ.

15. დავ. ქადაგიძე—წევრი ციურიხის ქართველ საზოგადოების „ულლისა“.

16. 1872-73 წლებში რამოდენიმე ქართველი ქალი წავიდა საზღვარგარეთ სწავლის მისაღებად (დები ნიკოლაძეები,, გ. წერეთლის და, ოლ. გურამიშვილი და სხ.). ეს პირველი მაგალითი იყო ჩვენს ისტორიაში.

17. 1871—72 წლებში ჩვენში გავრცელდა არა ლეგარულად მთელი რიგი ლექსებისა, რომელშიაც დაგმობილი იყო მაშინდელი ძველი თაობის მოღვაწენი (გრ. ორბელიანი, გ. მუხრანსკი, დ. ჯორჯაძე, რ. ანდრონიკაშვილი, პ. იოსელიანი, ლევ. მელიქიშვილი, მ. თუმანიშვილი და სხ.). ამ ლექსების ავტორები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი. ამას მოყვა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“ და აკაკის „ღენერალი ხარაბუზა“, „კოლო-ბუზების პასუხი“. ამ ლიტერატურული ბრძოლის შესახებ აკაკი ერთი თავის შენიშვნაში სწერს:

„1870 წელს ჩამობრძანდა ხელმწიფე საქართველოში, ხალხს უნდა მიერთმია ადრესი და გაეცხადებია სათხოვარიც თუ რამ ექნებოდა.— აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოლობერიძე და ნ. ნიკოლაძე. ოთხიც ძველებიდან: გ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი). ახალ-თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ რადგანაც ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალთაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი

უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგანაც იმათ ბესარიონ ღოღობერიძეც მიუდგა, გადაასვეფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უმნიშვნელო საგანი ითხოვეს და ისე მიართვეს ხელმწიფეს. ამან გამოიწვია უსიამოვნება ძველის და ახალთაობა შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალუფავ ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდიაო“ (იხ. აკაკი: „ჩემი ნაწერები“ ტ. II გვ. 96-8, 1913 წ). თვით მესხი ამ ბრძოლას შეეხო 1872 წლის დროების მეთაურში. (იხ. წერილი: „ჩვენი მამები და შვილები“ ს. მესხის ნაწერები გვ. 66—71.).

18. ამ „გამოცანების“ ავტორია ი. ჭავჭავაძე. ამ გამოცნაში ავტორი ეხებოდა რვა წარჩინებულ თავადს. შემდეგ ავტორმა გამოაქვეყნა „კიდევ გამოცანები“, რომელშიაც ეხებოდა ხუთს (მ. ლორის-მელიქოვს, ლ. მელიქიშვილს. ი. თარხნიშვილს, „თუმანიშვილს და დ. ყიფიანს).

19. სხვა ცნობით: იასე ჭავჭავაძე, საგუბერნიო სამმართველოს წევრი იყო „გამოცანებში“ გაკიცხული.

20. ბესარიონ ღოღობერიძე ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო ახალ თაობის ინტელიგენციისა. ახლო იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის, დობრილიუბოვს, პანტელეევს; მეთაურობდა 1861 წ. სტუდენტთა არეულობას. შემდეგში სახალხო სკოლების ინსპექტორად იყო. ბოლოს ქუთაისის ბანკის თავმჯმარედ. გარდ. 1879 წ.

21. ილიას ავტოგრაფების მიხედვით ეს ადგილი სხვაგვარად არის ცნობილი.

ერთი ვინმე შავგვრემანი სუსტია და პირად ხმელი,
დიდებში ბრძნად ქებული, ჭკვა-მოკლე და ენა-გრძელი.
დიდთა ქებით გაბერილა ვით ავი სენით ტრიკია,
ახლის აღთქმის კაცი იყო, ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყუილის ბრძენსაც ქვეყანა, ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

22. ეს რუსული ლექსი არ არის ცნობილი.

23. სოლოგუბი, (1814—82)—რუსი მწერალი, ჩვენში მოღვაწეობდა ვორონცოვისდა ბარიათინსკის დროს (1850-54, და 1857-60 წლებში). აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ტფილისის თეატრის მოწყობის საქმეში თანაშრომლობდა „კავკაზში“. მას ეკუთვნის ცნობილი ლექსი „ალავერდი“, რომელზედაც დავ. ერისთავმა უპასუხა „იახმიოლით“ (იხ. „Акты“ ტ XI გვ. 10 „Театр в Тифлисе 1845—56“. 1888).

წერილი მეათე

15-16 ივლისი ოდესა, 1873 წ.

ძმაო კირილე!

ეს არის რკინის გზაზე მივდივარ და რამდენიმე სიტყვის მოწერას ვეპირები[1]. დღეს შენგან დეპეშა მომივიდა, რომელშიაც იწერები, რომ „დროების“ საქმე სამშაბათს გადაწყდებაო[2]. მადლობა ღმერთს, მე კი ნიკომ გული მომიკლა ტელეგრამებით; სამჯერ კი მომწერა, რომ თუ არ ჩამოხველი, გაზეთს დახურამენო. მე დარწმუნებული ვარ, რომ არ ჩამოველი უკან, კარგი ვქენი, რადგან საქმე უჩემოთაც გაკეთდება და მე კი ტყუილ-უბრალოთ ერთს, და იქნება, ორ კვირასაც დავკარგავდი.

პარახოდზე გიორგი შარაშიძე გავიცანი, რომელიც გლავნი უპრავლენიაში მსახურებს და იმან დამპირდა, რომ ვეცდები, ამ საქმეს არავითარი დაბრკოლება არ ექნესო, მხოლოდ ლორთქიფანიძემ ან ნიკოლაძემ მიამბოს როგორ მდგომარეობაში არის საქმეო, რომ იმის დაგვარად მოველაპარაკო პრობილს და

ბარნსაო. ერთი სიტყვით, მე გულდამშვიდებული მივდივარ, რომ ჩემი აჩქარებით გაზეთს არა დააკლდება რა.

ამასთანავე გიგზავნი იაკობ ისარლოვის[3] გადასაცემად ჩემ ხელწერილს, რომელიც იმის ვექსილის დაბრუნების მაგიერობას იზამს. რა მუხრუჭი მომიჭირეთ მაგ ისარლოვის ვექსილის გამოისობით.

ჩემი თხოვნა საჭირო არ არის, კირილე, რადგან ვიცი, რომ ჩვენ საქმეებს და განსაკუთრებით „დროების", იმედია ეცდები რაც შეიძლება, კარგად წაიყვანთ.

ნიკოს შემახვეწე, რომ მალე გამომიგზავნოს ფულები ციურიხში, ჩემი ძმის სახელზე, თორემ გზაზე კარგა ლაზათიანათ შემომეხარჯა და, უეჭველია, რაც დამრჩა, ისიც მალე შემომეჭმება.

თუ ციურიხიდამ ჩემ სახელზე წიგნი ან სხვა რამე მოვიდეს, უკანვე გამომიგზავნეთ.

ნახვამდის შენი სერ. მესხი

ეს რასპისკა ისარლევს მხოლოთ იმ შემთხვევაში მიეცით, თუ ნამდვილათ გაათავისუფლა ზარაფოვის ზალოგები.

შენიშვნები

1. 1873 წლის ივლისის თვეში ს. მესხი საზღვარგარეთ წავიდა. მისი მთავარი მიზანი იყო გასცნობოდა ევროპის ცხოვრებას, შეესწავლა იქაური პირობები და უფრო მომზადებული დაბრუნებულიყო საქართველოში და განეგრძო თავისი საყვარელი საქმე. თავის წერილებში: „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები" იგი სწერდა:

„მას აქეთ, რაც პირველათ ადამიანისა და ქვეყნიერობის საქმეებსა და ცხოვრებას თვალყურის დევნა დავუწყე, ჩემი მუდმივი სურვილი, დაუწყნარებელი ნატვრა და გულითადი განზრახვა ის იყო, რომ ევროპა და განსაკუთრებით საფრანგეთი მენახა. მინდოდა მენახა ის ევროპა, რომლის ცხოვრება, ნამდვილათ რომ გასინჯოს კაცმა, მთელი ქვეყნიერების ცხოვრებას შეადგენს, და ის საფრანგეთი, რომელიც თავის მხრით, საუკეთესო წარმომადგენელია ევროპის ცხოვრებისა. მინდოდა, ცოტათი გაკვრით მაინც, გამეცნო და დამენახა იმ ხალხების ცხოვრება, რომელთაც ბევრნი შენატრიან, რომელთ სხვადასხვა დაწყობილებასა და წესებს სხვები ბაძავენ. ყველა ამაებს სად ვნახავდი, თუ არა დასავლეთ ევროპაში და იმის საუკეთესო კუნჭულში—საფრანგეთში" (ს. მესხის ნაწერები, ტ. 1, გვ. 165).

ევროპაში ს. მესხი თითქმის ერთი წელიწადი დარჩა. აქედან იგი ხშირად გზავნიდა წერილებს „დროებაში", რომლის დროებითი რედაქტორობაც კ. ლორთქიფანიძეს ჩააბარა, ხოლო უახლოეს თანამშრომლად მოიწვია ევროპიდან იმ ხანებში დაბრუნებული დავით მიქელაძე-მეველე.

2. აქ ლაპარაკია კ. ლორთქიფანიძის დროებით რედაქტორად დამტკიცებაზე.

3. ი. ისარლოვი—60-იანი წლების სტუდენტი იყო. მონაწილე 1861 წლის სტუდენტთა არეულობისა. მისი მოგონება გამოაქვეყნა მ. თუმანიშვილმა (იხ. მისი „Характеристики" წ. I).

წერილი მეთერთმეტე

პარიჟი, 23 დეკემბერი. 1873.
Boulvard st Michel, 32

ძმაო დავით[1]!

არ ვიცი ღმერთმანი, რას მივაწერო ამდენი ხანი თქვენი ხმის ამოუღებლობა; ყველანი ხომ არ ამოწყდით, თქვე ოხრებო, რომ ერთ სიტყვას არ იწერებით!

გიგზავნი კორესპონდენციას.

ჟენევიდამ მოგივათ, მგონია ამ ცოტა ხანში ბეთანიშვილის წერილი „უღელთან“ [2] მიწერილი, რომელიც პირველს ფურცელს გარდა, (როგორც თვითონაც ჩემს ძმას სწერს) გამოსადეგი იქნება დასაბეჭდათ, და ძლიერ საინტერესოც არის ჩვენი მკითხველებისთვის. დღეს მეორე იმდენივე წერილი მივიღე მე ჩემი ძმისგან და რომ წავიკითხავ ჟენევაში გავგზავნი „უღელის“ წევრებს წასაკითხავად და მერმე მანდ გამოგზავნიან რედაქციაში. მგონი „ქრებულისათვის“ კარგად გამოდგეს.

დროება! დროება! დროება!

ქრისტიანებო! ეს ორი თვეა, რაც „დროების“ არც ერთი ნომერი არ მომსვლია და ჟენევიდან რომ არ გამოეგზავნა მელიქოვის ქალს, [3] მგონი ჯავრითაც მოკვდებოდი!.. რა გაჭირდა ერთი ეგზემპლიარის გამოგზავნა ჩემ სახელზე, სირცხვილი არ არის!

გუშინ წინ დავით ბაქრაძე [4] წამოვიდა აქედამ და ხუთი თუ ექვსი ამ მოშავალი წლის კალენდარი (ალმანახი) გამოგიგზავნეთ. თქვენი („დროების“) კალენდრისათვის, [5] მაგრამ, მგონი დაგვიანდა.

ჩემი ძმები რას შვრებიან? [6] უთხარი უთუოთ წიგნი მომწერონ. საქმეები როგორ ნიდის? ხმა ამოიღეთ და!

შენი მეგობარი სერ. მესხი

შენიშვნები

[1]. ეს წერილი მიწერილია დავით მიქელაძისადმი, რომელიც იმ ხანებში დროების რედაქციაში მუშაობდა.

[2]. „უღელი“ ციურიხში დაარსეს ქართველმა სტუდენტებმა თვითგანვითარების და ურთიერთ დახმარების მიზნით. ამ „უღელის“ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს გ. წერეთელმა და სერ. მესხმაც.

[3]. ეკატერინა მელიქიშვილისა, და პროფ. პ. მელიქიშვილის, შემდეგში სერ. მესხის მეუღლე; 1875 წლიდან იგი სერ. მესხს დიდ დახმარებას უწევდა გაზეთის წარმოების საქმეში; თითონაც სწერდა და სთარგმნიდა. გარდაიცვალა. 1928 წ.

[4]. ქუთაისელი მოღვაწე, 1881—83 წლებში ქუთათურ „შრომის“ თანამშრომელი.

[5]. „დროების“ კალენდარი შემდეგ წლებში გამოვიდა.

[6]. ლაპარაკია კოტე მესხსა (შემდეგში ცნობილი არტისტი) და დავით მესხზე (შემდეგში ჟურნალისტი).

წერილი მეთოდრმეტე

პარიჟი 15 იანვარი 1874 წ.

ძმაო დავით!

როგორც ვატყობ, სწორეთ შაჰის მუშათ გინდათ გადამაქციოთ! მართლა, რა ამბავია, რომ ამდენი ხანი, ერთს გარდა, ჩემი კორესპონდენციები არ იბეჭდება! მე ლამის მადა დამეკარგოს, ღმერთმანი, წერისა! რისთვის, ვისთვის ვწერო, თუ არ დამიბეჭდავთ? მიზეზს მაინც რატომ არა მწერთ, თუ რისგან არის, რომ რამდენი ხნის გამოგზავნილი კორესპონდენციები (რომელთაც დროებით მნიშვნელობა ჰქონდათ) არ დაგიბეჭდიათ: ცენზურის ბრალი არა მგონია იყოს,

რადგან იმაში ისეთი არა იყო რა. ეხლა რაღა აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა ბაზენის თაობაზე დაბეჭდილ წერილს, როდესაც ამ ორი ნომრის წინ გამოცხადებული იყო, რომ ბაზენს აპატიესო! თავი ნუ მოგიკვდებათ, [illegible] დროზე დაბეჭდეთ წერილები ან სულ ნუ ბეჭდავთ.

ამას გარდა, როგორც მე გთხოვეთ, რატომ იმ როგათ არ დაბეჭდეთ? თუ ფელეტონში არ შეიძლება, ცალკე მაინც დაგებეჭდათ იმავე სათაურით (ქართველი ევროპაში და სხვა) და იმ რიგათ, როგორც დაწერილი იყო.

უკანასკნელი (შენი) №№ საზოგადოთ კარგი ცოცხალი ნომრებია, თუმცა ნაკლულევანება არ აკლია. შენი ფელეტონები და ლუარსაბთან მიწერ-მოწერა საზოგადოთ არ მომწონს. ფელეტონებს ერთობ отвлеченно (განყენებით) და აბსტრაქტულათ სწერ. დაანებე თავი ნუ მოგიკვდება, თავი ამ ბოროტებაზე, სიკეთეზე, პატიოსნებაზე და სხვა ამგვარ მაღალ და დაბალ გრძნობებზე და ჰაზრებზე წერას და უფრო მიწიერ, უფრო ყოველდღიურ, უფრო შესახებელ საგნებს მოჰკიდე ხელი, ისეთ საგნებს, რომელიც მკითხველს ცხვირში ეცეს და გამოალვიძოს ძალაუნებურად. მიწერ-მოწერილი ფორმა ლიტერატურისა ერთობ გაცვეთილი, ერთობ ძველი ფორმაა.

წვრილ ამბებს უფრო მომეტებული ყურადღება; ნარევის მოსპობისათვის დიდი საყვედური;[1] ცნობათა-ფურცელი კარგია, მაგრამ როგორც ვხედავ, ფასებს და რიცხვს არა სცვლით და ამნაირი განცხადება სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს.

მე „დროება“ გამომიგზავნეთ, ერთხელ კიდევ მოგაგონებთ... ამას წინათ სტეფანე ზარაფოვს[2] ტელეგრამმა მივსწერე, რომ რაიმე საშუალება მიეცა ჩემი ძმის კოტესთვის და აქეთ გამოეგზავნა. პასუხი ჯერაც არ მომსვლია და ძალიან მაწუხებს, თუ ის ეხლაც ამ უთავბოლო მდგომარეობაშია. რამე მოუხერხე, თუ ძმა ხარ, დათა, და როგორმე გამოატანე ვისმეს აქეთ ივანესთან,[3] თორემ მანდ ეხლა რას გააკეთებს. ეხლა ახალი წელიწადი დაწყებულია მანდ და ფულები ბლომათ შემოვა რედაქციაში. თუ მოახერხო, ცოტაოდენი გამომიგზავნე, თორემ ჩემი საქმე ძალიან ცუდათ არის უფულობით. რამდენი ხანია, ერთი სანტიმი არა მაქვს და ხან ერთისაგან ვსესხულობ თითო ორლა ფრანკობით სადილის ფასს და ხან მეორესაგან. ასე ცხოვრება აქ არ იქნება. სტეფანემ დამპირდა და ძალიან იმედიც მაქვს იმისი, მაგრამ მიკვირს, რატომ აქამდი არაფერს არ მიგზავნის და არც წიგნს მწერს. ნიკო სად არის?

თუ ძმა ხარ დათა, მიიღო თუ არა ეს წიგნი, იმ წამსვე შემატყობინე ჩემი ძმის და ჩემთან ფულების გამოგზავნის საქმე, თუ შეიძლება დეპეშით.

შენი ძმა სერ. მესხი.

შენიშვნები

[1] „ნარეკი“ ცალკე განყოფილება იყო „დროებაში“

[2] სტეფანე ზარაფოვი—ახალგაზრდა მდიდარი კაცი იყო, რომელიც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ჩვენს ლიტერატორებს.

[3]. ივანე მესხთან, სერგოს ძმასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი მეცამეტე

კირილე!

გიგზავი ამ კორესპონდენციას; თუ ცენზურისგან რამე ... შეემთხვა, კარგი იქნება. ამ სამ-ოთხ დღეში მოგივა ვიქტორ ჰიუგოს უკანასკნელი რომანი (Quatrevingtreize) თარგმანი; მაგრამ სრული კი არა: საუკეთესო ადგილები სიტყა სიტყვით იქნება გადმოთარგმნილი და დანარჩენი ნაამბობი ჩემი სიტყვით. იმდენი გამოვიდეს, მგონია, რომ „დროების“ ხუთ ან ექვს ფელეტონს ეყოს[1] თუ მოხერხდეს „დროებაში“ დაბეჭდე და თუ „კრებული“ გამოდის,[2] იმაში, ერთი სიტყვით, შენთვის მომინდვია; სადაც ემჯობინება. მხოლოთ ნუ შეცვლი, ნუ შეამოკლებ.

სტეფანე (ზარაფოვს) გადაეცი, რომ 680 ფრანკი მივიღე და იქიდამ 340 ბეს. ჯაფარიძეს გაუგზავნე. სთხოვე, ერთი წიგნი მაღირსოს და შემატყობინოს: რა და რა დროს უნდა მოელოდე იმისგან ფულებს. იმის წიგნებს ამ დღეებში გამოვგზავნით.

ჩემი ძმების ამბავი? ნიკო სად არის? მოდის თუ არა? საქმეები „დროება“ როგორ მიდის? წიგნი! წიგნი! ერთ წიგნში ნახევარი სახელმწიფო! რამდენია ამ ჟამად „დროების“ ხელის მომწერლები? შენი აზრი ჩემს კორესპონდენციებზე! ერთი სიტყვით, ყველაფერი.

შენი მეგობარი სერ. მესხი

შენიშვნები

[1]. ეს თარგმანი დაიბეჭდა 1874 წ. „დროებაში“ ფელეტონებათ.

[2]. „კრებულის“ გამოცემა 1874 წელში შეწყდა.

წერილი მეთოთხმეტე

პარიჟი, 15 თებერვალი 1874
Baulevard st Michel, 32

ძმაო კირილე!

ერთი რამ ახირებული ამბავი შევიტყე დღეს: სტეფანე მელიქიშვილი[1] გიორგის[2] მოთხრობას გაუცხარებია და რაღაც პასუხი დაუწერია „დროებაში“ დასაბეჭდათ. შევიტყე რომ ეს თავის ნაწარმოები სტეფანეს თავის ძმის-პეტრესთვის[3] გამოუგზავნია გასასწორებლად; იმას მგონია, გაუსწორებია და უკან დაუბრუნებია.

რასაკვირველია, თქვენ უჩემოთაც კარგად მიხვდებით, რომ ამ სტატიის დაბეჭდვა არავითარ შემთხვევაში არ ივარგებს „დროებაში“, მაგრამ გულმა ვერ მომითმინა და მაინც გწერთ; გთხოვთ, რომ, რადგან მაგ სტეფანეს სტატია პასკვილი იქნება გიორგიზე და პასკვილიც, რომ არ იყოს, მაინც არამც და არამც, თუ ძმა ხარ არ დაუბეჭდოთ. განა „დროებას“ გარდა, ცოტაა ტფილისში სხვა გაზეთები და ჟურნალები? წაიღოს და სადაც უნდა იქ დაბეჭდოს. პეტრეს საიდუმლოთ მოსვლია სტეფანესაგან წერილი. უთხოვია არავის უჩვენო და, მაშასადამე, სტეფანეს ნუ შეატყობინებ, რომ მე ეს ამბავი ვიცი. (ძალიან მაკვირებს, პეტრე რად გარეულა ამ ბინძურ საქმეში).

რა ამბავია, კირილე, რომ მანდედამ სრულიად არაფერი ამბავი არ ისმის? მოუთმენლად მოველი წიგნს, ფულებს, ჩემი ძ[illegible]ების ამბავს, და [illegible] ხმას არა მცემს, თუმცა მე კი ხშირათ ვიწერები წიგნებს და ყველას [illegible] — რომ მანდაური გარემოება და ამბები მომწეროთ. ამბად გავიგე, [illegible] ჩემ[illegible] [illegible] კოტე, ნიკოს მოჰყავდეს: ნამდვილი კი არ ვიცი რა. არც ის ვიცი, როდის მოდის ნიკო, ან მოდის თუ არა. ერთი სიტყვით, არაფერი არ ვიცი, და ყველაფრის ცოდნა და შეტყობა კი მინდა! მაგრამ ვინ არის მოწყ[illegible]ლე კაცი — ჩემი ცხობის მოყვარეობის დამაკმაყოფილებელი? თუ ძმა ხარ, კირილე, [illegible]ემატყობინე გთხოვ, ჩემი ძმების ამბავი და ამას გარდა სტეფანესთან მიდი და უთხარი ჩემ მაგიერ... მაგრამ არა, არ უნდა მე თითონ მივწერე წიგნი და იმედია, მალე მიპასუხებს. სწორეთ გამიჭირდა კი საქმე ამ უფულობისაგან; კარგი კიდევ, რომ კეთილი სახლის პატრონი ამომიჩნდა და სადგომს და სადილებს ნისიათ მაძლევს, თორემ, მგონი, შიმშილით არა ერთხელ ამეწოდა კუჭი. ერთი სიტყვით, თუ ამ ორ კვირაში ფულები არ გამიჩნდა საიდამვე, ჩემი საქმე ძალიან ცუდათ იქნება.

ღმერთმა ჩემი რედაქტორობის რისხვა ხუ მოგაკლოსთ ასე უთავბოლოთ ჩემი წერილების დაბეჭდვისათვის! „მიუნხენი“ ან როგორც იყო, ისე უნდა დაბეჭდილიყო, ან სულ უნდა გამოგეშვათ. თორემ ეხლა სულ უაზრო და უფერულია. „დროების“ საზოგადოთ ძალიან კმაყოფილი ვარ, მხოლოთ წვრილ ამბებს მომეტებული ყურადღება და ფილოსოფიურ ფელეტონებს ნაკლები ადგილი. მომწერე. თუ ძმა ხარ, კირილე, შენი აზრი საზოგადოთ ჩემს წერილებზე. შემატყობინე აგრეთვე: რამდენ დღეზე მოგდით თქვენ ჩემი კორესპონდენციები და განსაკუთრებით რა **დღეს მოგდისთ**? ეს ჩემთვის ძალიან საჭიროა რომ ვიცოდე.

მიქელაძემ შემატყობინოს: აქედამ წამოიღო რამე წიგნები, თუ არა? თუ წამოიღო, როგორ რა გზით და საშუალებით ჩამოიტანა? დამოკნაში რამ დაბრკოლება ჰქონდა, თუ არა?

„კრებული“ (10) რას შვრება? „დროების კალენდარი“ გამოვიდა დანაპირები გამოცემის თუ არა? თუ არ დაიზარებ, ჩემო კირილე, შენ[illegible]ურად დ წიგნს მომწერ, გპირდები, რომ მერე მეც დიდ-უშველებელ წერილს მოგწერ და ჩემ აქაურს ცხოვრების (თუ საინტერესო იქნება), ჩემ სწავლას, მომავალ პლანებს და სხვას ბევრ რამეებს მოგწერ. ოღონდ [illegible]ენ ნუ დაიზ[illegible]ებ ამ კითხვაზე პასუხის შეტყობინებას. მართლა: რა გაჭირდა „ვეჟო“, რომ გაზეთი ცალკე ადრესით ვერ გამომიგზავნეთ! მე აქ მოუთმენლათ მოველი ყოველ ნომერს და ყოველთვის იზმაილოვი[4] სად ვეძიო. 405 ნომერი სულ არ მომ[illegible]ვლია აქ. ყურადღება თქვენი ჭირიმე...

შენი მეგობარი სერ. მესხი.

შენიშვნები

[1]. სტეფ ნე მელიქიშვილი — „დროებ[illegible]ს“ გამომცემელი და ს[illegible]ის პატრონი.

[2]. გიორგი წერეთელი „მოთხრობაში“ — უნდა იგულისხმებოდეს გიორგის „[illegible]ოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა-ს მეორე ნაწილი, რომელშიც მხატვრულად აწერილია გაზ. „დროების“ დაარსების საქმე და შიგ გამოყენილია მისი დამაარსებელნიც (ნ. ღოღობერიძე, დ. მიქელაძე. ს. მელიქიშვილი) და რედაქტორიც (თვით გიორგი წერეთელი). ამ მოხოობის მეორე ნაწილი დაიბეჭდა „კრებულის“ №-9-ში.

[3]. პეტრე მელიქიშვილი,—რომელიც იმ ხანებში საზღვარგარეთ იმყოფებოდა,

[4]. პ. იზმაილოვი—ახლო მეგობარი სერ. მესხის, გ. წერეთლისა, და ნ. ნიკოლაძის. შემდეგში ტფ. ქალაქის თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი მეთხუთმეტე

კირილე!

დაპირებისათანვე, გიგზავნი ვიქტორ ჰიუგოს რომანის დასაწყისს. ეს თითქმის პირველი ტომის შინაარს შეადგენს. კიდევ სამი ან ოთხი ამდენი იქნება, მგონია მეტი არა, და ამასაც ამ ორ-სამ დღეში გამოგიგზავნი უთუოთ. ჩემი სიტყვები და ავტორის ალაგები, რასაკვირველია, სხვადასხვა შრიფტით უნდა დაიბეჭდოს. თუ „დროებაში“ დაბეჭდავ (ოთხ ან ხუთ ფელეტონად გაიყოფა), მაშინ ადგილის მოსაგებად, ჩემი სიტყვები რადგან უფრო ცოტაა, შეიძლება უფრო დიდი ასოებით დაიბეჭდოს, და ავტორის კორპუსით. თუ „კრებულში“, მაშინ სულ ამის საწინააღმდეგოდ.

მეორე და მესამე ტომიდამ უფრო დიდი ალაგების სულ სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნა დამჭირდება, რადგან იქ მშვენიერი ალაგებია.

ერთი რამე უნდა გთხოვო! თუ შეიძლება, კირილე, ჩემი კორესპონდენციები, თუ ძმა ხარ, ხელ უხლებლად დაბეჭდე, ისევე დაყოფილი ჭერებათ ან სხვა რამეთი და ხელ-მოწერილი, როგორც მე ვგზავნი. მე არა მაქვს ჩვეულება, რომ ხელ-მეორეთ გადავიკითხო ჩემი ნაწერები და შეიძლება, რასაკვირველია, რამე წერის დროს ან სიტყვა გამოუშვი ან საზოგადოთ რამე შეცდომა მომივიდეს. ამის გასწორება, რასაკვირველია, შეგიძლიანთ. სხვა არა.

გუშინ წინ დიმიტრი დადიანი ჩამოვიდა და, სხვათაშორის, ერთი ცუდი ამბავი ჩამოიტანა: რომ აკაკი გაგიჯავრებიათ და „დროებაში“ წერას თავი დაანებაო. იქნება მოუქონოთ როგორმე თავი...

შენი მეგობარი სერ. მესხი.

პარიჟი, 26 თებერვალს 1874 წ.

შენიშვნები

[1]. დ. დადიანი—„დროების“ თანამშრომელი იყო, შემდეგში ქუთაისში სცემდა „შრომას“.

[2]. პოეტი აკაკი წერეთელი.

წერილი მეთექვსმეტე

ძმაო კირილე!

როგორც ხედავ, ამ კორესპონდენციას ჟენევიდამ გიგზავნი, სადაც დროებით ჩამოველი. ამ ერთ კვირაში უკანვე დავბრუნდები. იქნება ერთი კორესპონდენცია კიდევ აქედამ მოგვიდეთ. მერე კი ისევ პარიჟიდამ დავიწყებ გზავნას. უკანასკნელი ჩემი კორესპონდენცია, ალზას-ლორანის თაობაზე—საშინლად დამახინჯებულია. როცა ამისთანა ლუკმები ამოაგლიჯონ, ნუ დაგავიწყდება, თუ ძმა ხარ, რამოდენიმე წერტილი, ან მთელი სტრიქონი დაუსვი, რომ დაინახოს მკითხველმა, რომ ასე მიუბმელად და უკავშიროთ არ ყოფილა დაწერილი. ამასთა-

ნავე ძალიან გთხოვ „კრებულის“ მეათე წიგნი გამომიგზავნო (პარიჟში იზმაილოვის სახელობაზე); აქ არავის არ მიუღია, თუმცა როგორც სჩანს, დიდი ხანია გამოსულა. ამას გარდა, თითო ეგზემპლიარი ყველა ქართული წიგნებისა გამოგვიგზავნე, ნუ დაიზარებ, მაგისთანა ბეჯითი კაცი ხარ; ერთი ეკონომიაში ვისმეს სახელობაზე. ერთი ციურიხში და ერთი ჩვენ პარიჟში. რაღაც კომედია გამოსულა ჩვენზე ვ. თარხნიშვილისა[1]—საინტერესოა, რაც უნდა იყოს და ისიც, საზოგადოთ ყველაფრის გამოცემა მოგვაწოდე.

ნიკო პარიჟშია, ამ ორ-სამ დღეში, მგონი, აქ ჩამოვიდეს და აქედამ ერთად დავბრუნდებით უკან. იმის საქმეებზე ბეჯითს ვერაფერს ვერ მოგწერ, რადგან არ ვიცი. პირველად რომ ჩამოვიდა პარიჟში, ამბობდა, რომ პერთოლეს ხეირიანი რაპორტი არ წარმოუდგენია ტყიბულის თაობაზე: უნდა გადაეხედნათ ერთად და შეესწორებინათ. იმედი არ დაუკარგავს კი... მიქელაძე ბარაქალა მარჯვეთ შრომისათვის!

შენი მეგობარი სერ. მესხი

1874 წ.

შენიშვნები

[1]. 1874 წელს ტფილისში გამოვიდა ვ. ა. თარხან-მოურავის: „ქართული ენის მხრუნველები“ (სცენები ჩვენი მწერლობის მოქმედებიდამ). ავტორი სრულიად უცნობი პიროვნება არის ჩვენს მწერლობაში. „სცენებში“ სასაცილოდ არის აგდებული ქართული ჟურნალ-გაზეთები, და მათი რედაქტორები და თანამშრომლები. „სცენებში“ გამოყვანილია შემდეგი გმირები:

ა) კიკო, რედაქტორი „ფერმკრთალისა“. იგულისხმება ნ. ავალიშვილი „მნათობის“ რედაქტორი.

ბ) გოგიტელა „ვნებულის“ რედაქტორი—გ. წერეთელი „კრებულის“ რედაქტორი.

გ) სესიკელა „აჭია ბაჭიას“ რედაქტორი—სერ. მესხი „დროების“ რედაქტორი.

დ) კოკო კოკოლიანი, ამ ორი რედაქტორის მრჩეველი—ნიკო ნიკოლაძე.

წერილი მეჩვიდმეტე

პარიჟი, 13 მარტი 1874.
Boulevard st Michel 32.

ძმაო დავით!

დღეს სწორეთ უბედური დღე გათენდა ჩემთვის: ჯერ ლოგინიდამ წამომდგარი არ ვიყავი, შინიდამ გამოგზავნილი წერილი შემომიტანეს, რომელშიაც მწერდენ, რომ ჩემი უფროსი ძმა (გიორგი) ძალიან ავად არისო. თუმცა ექიმების ჩვეულებრივ იმედს მწერდნენ, მაგრამ ცხადათ ჩანდა წიგნიდამ, რომ იმის მორჩენა ძალიან საეჭვოა. და ვინ იცის, იქნება, ეხლა მომკვდარიც იყოს... საწყალი... მაგრამ კიდევ უფრო საწყალი იმის ახალგაზრდა ცოლი და სამი პატარა შვილი! რა ეშველებათ? ყველა ეს ჩვენს ოჯახს დააწვება და, ვინ იცის, როგორ დაიხლართება, ჩემი საქმეები...

ცოტა ხანს შემდეგ, შენი წიგნიც მომივიდა. ყველაფერს მოველოდი, და თუ სტეფანე იმდენ კაცობას არ გამოიჩენდა, რომ კოტეს მხოლოდ აქ წამოსასვლელად 150 მანეთს არ მისცემდა,—ამას კი არ მოველოდი. რასაკვირველია, ეს უფულობის მიზეზი არ არის. „სხვა არაფერი ღონის-ძიება არ არის, რედაქ-

ციის საშუალება შენც კარგად იცი"-ო,—ღმერთო ჩემო, რა ეშველება, აბა, ამ ყმაწვილს! ღმერთი არ არის, რომ მაგ ხანში, მაგისთანა მოცადინე და გონიერი ყმაწვილი სწავლას მოკლებული დარჩეს? მაგრამ მეტი რა ღონეა! მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენ ან, კირილე, რამე რიგათ სამგზავრო ფულს უშოვნით, გამოისტუმრეთ, და თუ „არავითარი ღონის ძიება" არ იქნება, ჩემ ჩამოსვლამდე დარჩება, როგორც არის, მე რომ ჩამოვალ, ვეცდები და რითაც და როგორც იქნება გამოვისტუმრებ აქეთ უთუოთ. მანამ კი, თუ მანდ იქნება შენი და კირილეს იმედი მაქვს, რომ რიგიანათ უგდებთ ყურს და საკითხავ წიგნებსაც აშოურჩევთ.

ისეთ საძაგელ გუნებაზე ვარ, რომ მეტი არაფრის მოწერა არ შემიძლია. მშვიდობით... შენი მეგობარი სერ. მესხი

[მინაწერი:]

ღმერთი არა გრწამს, რომ აქ, პარიჟში, უმარკო წიგნს მიგზავნი! ამ ორი კვირის შემდგომ მე სახლს ვიცვლი და გაზეთი და სხვა რამე, რაც იქნება ჩემ სახელობაზე, — დღეის შემდგომ იზმაილოვის სახელზე გამომიგზავნეთ დროებით, სანამ ჩემ ადრესს შეგატყობინებდეთ.

წერილი მეთვრამეტე

პარიჟი, 24 ივნისს, 1874
Brd st Michel,107.

ახირებული ხალხი ხართ ღმერთმანი! ასე უთავბოლოთ დეპეშის მოწერა შეიძლება? მოდიო! როგორ, რითი, რატომ? რაღანც იწერებით, ჰგავს საჭიროა ჩემი მანდ ყოფნა, მაგრამ ერთი სიტყვა დაგეტანათ მაინც არის ტელეგრამმაში, გამეგო, თუ რისთვის შევიქენი ასე უეცრად მანდ აუცილებლად საჭირო და რა ამბავია. ეს კიდევ არაფერი: განა თქვენ არ იცით, რომ მე ეხლა კაპეიკი არ გამაჩნია? არა თუ მე, ნიკოს და იზმაილოვს რაც რამე გაგვაჩნდა, ყველაფერი დაგირავებული გვაქს, ამას გარდა ბე აქ ცოტაოდენი ვალიც მაქვს და ასე როგორ წამოვალ? დღეს ტელეგრამის მოწერა მინდა თქვენთვის; 14 ფრანკი არ გამაჩნია, რომ გამოგიგზავნოთ. ზარაფოვი სად არის, მაინც მოგეწერათ, რომ იმისთვის შეგეტყობინებინა და წამოსასვლელი ფულები გამოეგზავნა. ამას წინათ იზმაილოვს მოუვიდა ამბავი, რომ ზარაფოვი ამ დღეებში მანდეთ მოდისო, თორემ თფილისში მოვწერდი. ჩემი ანგარიშით, აქამდინაც უნდა მომსვლოდა მე იმისგან თვის ფული, მაგრამ არ მომდის.

ყოველ შემთხვევაში, დღეს-ხვალ ტელეგრამის ფულს ვიშოვნი, მოგწერთ და როგორც თქვენგან ცოტათი გარკვეული ამბავი და ზარაფოვისაგან ფულები (უკანასკნელი 350 მანეთი) მომივა, იმ წამსვე გამოვსწევ.

თუ ფულები მექნა, სხვა არაფერი დამაბრკოლებს, თუმცა ასე მოულოდნელად წამოსვლა ზოგიერთ ჩემ აქაურ პლანებს სრულებით ყირამალაზე მიყენებს და მიფუშავს. სამ კვირაზე, მგონი, მანდ ვიქნები. მანამ რაც უნდა იყოს, თქვენი ჭირიმე, საქმეებს ნუ დააბრკოლებთ. მგონი ეს გაზეთის საქმე უნდა იყოს. ნიკოს აზრით, იქნება სტეფანემ უხრიჟა გაზეთსა და დაბეჭდვას არ უპირებდესო. ეს კიდევ ბევრი არაფერია, ამის გასწორება შეიძლება, რომ ჩამოვალ; მაგრამ მე ის

მაწუხებს, ვაი თუ ცენზურისგან ან მმართველობისაგან რაიმე გასაჭირი დაადგა ბაზეთს. რაც უნდა იყოს, ამ წიგნის მოსვლის შემდეგ, მე ერთ კვირაზე ან კვირა ნახევარზე მანდ გავჩნდები და მანამ თქვენ იცით. ოდესაც მოუერეთ თუ ძმა ხართ, პოსტ-რესტანციით უფრო დაწვრილებით—რაში მდგომარეობს საქმე.

აქეთ წამოსვლაც უბედური იყო ჩემი და დაბრუნებაც ასეთივეა...

თქვენი სერ. მესხი

ოდესაში ეხლავე მიიწერე უთუოთ არ დაგავიწყდეთ, თორემ ექვსი-შვიდი დღე ზღვაში მგონი, ჯავრით სული ამოვხდება.

ს. მ.

წერილი მეცხრამეტე

15 სექტემბერი, 1875 წელი. თფილისი.

ძმაო კირილე!

დღე ერთია და ქანდაქარის მოსვლა ორი... სწორედ ტვინი წაიღო, ეი! გუშინ გადაწყვეტით მითხრა, რომ ამ თვის დამლევამდი თუ ცოტა მაინც რამ არ მომეცით, მეტი გზა არ მაქვს, უნდა წარვადგინო თქვენი ვექსილი და უნდა გიჩივლოთ.

თუ ძმა ხარ, იქნება ერთი 100 ან 200 მანეთი მოუხერხო, მანდ როგორმე იშოვნე და ან მე გამომიგზავნე და გადავსცემ და ან პირდაპირ მაგის სახელზე გამოგზავნე.

აკაკი თუ ნახო, ჩემ მაგიერ უთხარი, რომ სცხვენოდეს ასე ჩვენი დავიწყება. ერთი ფელეტონი მაინც რატომ ვერ გამოგზავნა ქუთაისიდამ? ქუთაისიდამ მან კარგი „ცხელ-ცხელ ამბების“ გზავნა იცოდა ხოლმე!

მოიკითხე ყველანი. მე ახალ სახლში გადავედი როგორც იქნა; იმ პატარა სახლში, რომელიც შენც ნახე.

მშვიდობით, ფულები არ დაგავიწყდეს თუ ძმა ხარ, კიდევ გთხოვ.

შენი სერ. მესხი.

წერილი მეოცე

თფილისი, 1876, 14 დეკემბერს

ძმაო კირილე!

თუ ძმა ხარ, ამ ქანდაქარისგან მიხსენი როგორმე: დღე ერთია და ამის მოსვლა ორჯერ. განსაკუთრებით ახლა, ქალაქში ხარჯი მაქვს შესატანიო 31 ქრისტეშობისთვემდინ 400 მანეთიო და თუ როგორმე არ მიხსენით, რაც უსიამოვნება მოგადგეს ჩემგან, ნურას უკაცრავათო,—ასე ამბობს. იქნება როგორმე შენ შენის მხრით 200 მანეთი მოუხერხო ამ 31 დეკემბრისათვის; სწორეთ რომ მეც მიხსნი გაჭირვებისაგან და შენც დაგიმადლებს. ჩემი მდგომარეობა რომ იცოდე, იტყვი—იმას თავის დარდიც და თავის ვალებიც ეყოფაო, და ამიტომ მომიტევებ—თუ ასე ხშირად გწერ ამ კაცის ვალზე; შენ რომ ცოტას მაინც შენსას გაიტუმრებ, იქნებ მე ხელი შემიშვას, თორემ რამდენი ხანია არც ერთს ჯროშს არ მოგვიცდიდა და ვინ იცის, რას არ ჰფიქრობს. სულ კი მე მაწყდება ამის ყვედრება და უსიამოვნება.

მაშ ეგრე, ეცადე თუ ძმა ხარ, როგორმე 200 მან. მაინც უშოვნე და გამოუგზავნე. ყოველ შემთხვევაში წიგნი მოსწერე, გემდურის, წიგნი მიგწერე და პასუხიც არ მაღირსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის უთხარი—სცხვენოდეს, რომ ამდენი ხანი ხმას არ იღებს და არაფერს არ იწერება. იქნება კიდევ რაზედმე გაბუტული მყავს?! მიზეზი მაინც შემატყობინოს, რომ ვიცოდე და იქნება თავის გამართლება მოვახერხო, თუმცა ალახმა იცის, არაფერ შეცდომას არ ვგრძნობ ჩემში მაგის შესახებ.

თუ ბ. ლოლობერიძეს ღმერთი უწყრება და ახერხებს ფულების ძლევას ბანკიდამ, ფულები ცოტათი მაინც დატრიალდებოდა მანდ და ისე ძნელი საშოვარი აღარ უნდა იყოს, განსაკუთრებით შენთვის და აკაკისთვის... მაგას ჰე, აფსუს, მამულებო, რომ დროზე მოხმარება და გამოყენება არ იცით!

საშობოთ თუ არა, სანათლიღებოთ მაინც ჩამოვალ და იქნება сами-друг ესღა გვაკლდა, განა!

შენი სერ. მესხი.

ბარონ ბიბინეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ა მ ო*)

ევტუშევსკისაგან მიღებული პირველი ცნობები მეტად დამაფიქრებელი და უიმედო იყო. პროვინციალური მაძებარი, მოხვდა რა უშველებელ პეტერბურგში, დაიბნა სრულებით, იმედი დაეკარგა და შეეკითხა ტფილისს. მაგრამ გამომძიებელი მოუწოდებს მას წესიერებისაკენ. ჩვენს წინ ძევს შავი მალინოვსკის წერილისა ტფილისის სამძებრო მილიციის უფროსისადმი:

„თქვენ დეპეშით გვატყობინებთ, რომ ყოველგვარი საშუალება გიხმარიათ და ვერაფერი ვერ ამოგიჩენიათ. მე ვიანგარიშე და აღმოჩნდა, რომ თქვენ პიტერში სულ ორი დღე მუშაობთ. რასაკვირველია, ასეთ მოკლე ხანში რისიმე გაკეთება პიტერში ყოვლად შეუძლებელია. დამნაშავეთა აღმოსაჩენი ერთადერთი საშუალება, თუ ისინი სხვისი გვარებით ცხოვრობენ, მათი შემოხვევით შეხვედრაა ვოსტრიაკოვასთან. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ვოსტრიაკოვა თქვენთან ერთად რაც შეიძლება ბშირად პიტერში დადიოდეს... თქვენი იმედი მაქვს, როგორც სალიკლდის, და მწამს, რომ თქვენი შრომა ამაოდ არ დაიკარგება და ბრწყინვალე შედეგს გამოიღებს. იყავით ჯანმრთელად და გისურვებთ წარმატებას დაწყებულ საქმეში. მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა“.

თავაზიან ფრაზებში გახვეულმა შეყვირებამ, როგორც ჩანს, ევტუშევსკის ერთგულება გამოუცოცხლა. მან თავს ძალა დაატანა და პეტერბურგელი კოლეგების და დაუცხრომელი ვოსტრიაკოვას დახმარებით ძალიან მოკლე ხანში „ბოროტმოქმედთა“ კვალს მიაგნო. ევტუშევსკის ანგარიში პეტერბურგის საგმირო საქმეების შესახებ ავსილია სისულელის და სისაძაგლის ისეთი დაუმჭკნარი ნიმუშებით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია იგი შემოკლებით მაინც არ გამოვაქვეყნოთ. ეს დოკუმენტი საყურადღებოა ყოველსაირად, თავის მატიანური სათაურიდან დაწყებული—დამპალი იმპერიის სხვადასხვა სამძებრო ინსტანციათა ურთიერთული მტრობის და შეჯიბრების დახასიათებამდე. დედნის სტილი შეძლებისდაგვარად დაცულია.

„ჩემი შრომების დღიური ქ. პეტერბურგში უდიდეს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ბ-ნი მალინოვსკის ბრძანებისამებრ.

---

*) იხ. „მნათობი“ № 7.

პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს მაღ. ლ კეთილშობილებას, რომ თქვენთვის ცნობილი საქმის გამო ა/წ. 7 ოქტომბერს ჩემი წამოსვლის შემდეგ მატარებლის გაჩერების დროს, ქ. როსტოვში შევამოწმე სამისამართო მაგიდა იმის გასაგებად ცხოვრობს თუ არა იქ პეტრე გამბაროვი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი არავინ იყო აღნიშნული. შემდეგ შევუხვიე კიევში, სადაც შევამოწმე სამისამართო მაგიდა და უნივერსიტეტი ვიკითხე, ხომ არ ირიცხება იქ თავისუფალ მსმენელთა შორის აღნიშნული პეტრე გამბაროვი.

ქ. პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე გავშინჯე სამისამართო მაგიდა, ხელოვნებათა აკადემია და უნივერსიტეტი, მაგრამ ამაოდ დარჩა ყოველი ჩემი ცდა. ბოლოს მივედი ს.-პეტერბურგის სამძებრო პოლიციის უფროს ბ-ნ ფილიპოვთან, რომელსაც ავუხსენი ჩემი ჩამოსვლის მიზანი, მან მოსმენისათანავე წინადადება მომცა დაუყონებლივ წავსულიყავი პეტერბურგის დამცველ განყოფილებაში. იქ მე შემხვდა ვილაც პოლკოვნიკი, რომლის გვარი არც კი მითხრეს. მან ზომისმინა და მაშინვე დაიწყეს ცნობების შეკრება პეტრე გამბაროვის შესახებ, მაგრამ ის არ აღმოჩნდა იმ პირთა შორის, რომელნიც აღრიცხული ჰყავდათ დამცველ განყოფილებაში.

როდესაც თქვენი დეპეშა მივიღე რათა ძიება განმეგრძო და მომეცადა წერილისთვის, მე გადავწყვიტე ჩემი პასუხისმგებლობით შემემოწმებია პეტერბურგში ყველა ის პირები, ვინც კატასტროფის დროს პეტრე გამბაროვის მამის სახლში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ 13 ივნისს პეტერბურგსს წამოვიდა. აღმოჩნდა, რომ სტატსკი სოვეტნიკის შვილი თავადი პეტრე აბესალომისძე ბებუთოვი, 17 წლისა, მოვიდა ქ. შუშიდან 7 ივნისს გამბაროვთან ერთად და 13 ივნისს წამოვიდა ს.-პეტერბურგს. ის ცხოვრობდა აქ თავის დედასთან—სოფიო სტეფანეს ასულ ბებუთოვთან. საბინაო წიგნის მიხედვით ბებუთოვები ჩამოსულან 15 ივლისს რიგიდან და 27 ივლისს წასულან ვასილევსკის კუნძულზე, სახლი № 59, ხაზი 8.

ვინაიდან გამბაროვი და ბებუთოვი ერთ დღეს, ე. ი. 7 ივნისს, მოვიდენ შუშიდან, და ბებუთოვი ცხოვრობდა გამბაროვის სახლში, მე იმ დასკვნამდი მივედი, რომ მათ შორის მეგობრული დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო, ამიტომ დაწვრილებით გამოვკითხე ნევის პროსპექტი, № 53 სახლის უფროს მეეზოვეს, რომელმაც მითხრა: ბებუთოვები—დედა და შვილი—ჩამოხტენ სასტუმრო ოთახებში № 11, ხოლო ვინ მოდიოდა მათთან, ეს შვეიცარმა იცისო. მე გამოვიწვიე შვეიცარი, რომელმაც მითხრა: როდესაც ბებუთოვები ნომრებში ცხოვრობდენ, მათთან თითქმის ყოველდღე მოდიოდა ერთი კავკასიური ტიპის კაცი, ბრიუნეტი, დაახლოვებით ოცი წლისა, მაღალი, გამხდარი, პატარა შავი ულვაშებიანი. როდესაც ბებუთოვები მიდიოდენ ნომრიდან, ძირს ქუჩაზე საპარადო შესასვლელთან მათ უცდიდა ექვსი კავკასიელი, მათ შორის ის ახალგაზრდა კაციც, რომელიც მათთან ყოველდღე მოდიოდა. ყოველივე ამან მე დამარწმუნა, რომ ბებუთოვების ყოველდღიური სტუმარი იყო გამბაროვი, ამიტომ ბინას თვალყურის დევნება დავუწყე.

მაშინ მე გადავწყვიტე სრულიად ფარულად მენახვებია ბებუთოვი ვოსტრიაკოვასათვის, ისე რომ ერთი სიტყვაც არ მეთქვა მისთვის ჩემი ცნობების და განზრახვის შესახებ. გავსწიე ვასილიევსკი „ოსტროვზე“, რათა იქაურობა დაეთვალიერებია და მომემზადებია [illegible] სადაც უნდა შეხვედროდა ბებუთოვი ვოსტრიაკოვას. უფროსმა მეეზოვემ დიდი სამსახური გამიწია. მან მიჩვენა ადგილი შვეიცრის მისაღებ ოთახში, სადაც დიდ სარკესთან სტოლი და ორი სკამი დგას. სტოლზე დაყრილია გაზეთები და წერილები, და ამ კიბით დაიარება ბებუთოვი უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენადო.

მე მოვიწონე შეხვედრის გეგმა, მეორე დღეს, დილის 8 საათზე თან წავიყვანე ვოსტრიაკოვა შვეიცრის მისაღებ ოთახში, დავსვი სკამზე და ვუთხარი: „აქ გაივლის სტუდენტი, რომელსაც შვეიცარი გიჩვენებთ, შეხედეთ კარგად, იცნობთ თუ არა მას?“.

8-დან $11^1/_2$ საათამდე ის არ გამოვიდა. შემდეგ შვეიცარმა გვანიშნა, ბებუთოვი მოდისო. დაეშვა თუ არა კიბიდან საშვეიცროში, ბებუთოვი მაშინვე მაგიდასთან მივიდა და დაუწყო თვალიერება წერილებს. ეს საკმარისი იყო, რომ ვოსტრიაკოვას რაც შეიძლება კარგად დაეთვალიერებია იგი (ვოსტრიაკოვა სკამზე იჯდა ვითომ ვილაცას ელოდა). ბებუთოვის წასვლის შემდეგ, მან მაშინვე მითხრა: ეს სტუდენტი პეტრე გამბაროვის მახლობელი მეგობარია, რომელიც უკანასკნელთან ერთად ჩამოვიდა პეტერბურგიდან, მაგრამ მაშინ მას სტუდენტური ფორმა კი არ ეცვა, არამედ შავი, სარტყელიანი ხალათი და მაღალყელიანი ჩექმები—და რომ ყოველივე ამაში ის, ვოსტრიაკოვა, არ სცდება; ხოლო მისი სახელი და გვარი მან არ იცის. იმ დროს როდესაც ვოსტრიაკოვა იჯდა და ბებუთოვის გამოსვლას უცდიდა, მე შვეიცრის ოთახში ვიყავი სახლის უფროს მეეზოვესთან ერთად, რომელმაც, სხვათა შორის, საიდუმლოდ გამანდო, რომ 16 ოქტომბერს ღამის 2 საათზე პოლიციამ და პირადათ ვასილიევსკის ნაწილის მეორე უბნის ბოქაულმა და დამცველი განყოფილების მოხელეებმა გაჩხრიკეს ბებუთოვის ბინა, ნახეს რაღაც წერილები და ფოტოგრაფიული სურათები, რომელიც თან წაიღეს, ხოლო თვით ბებუთოვი არ დაუპატიმრებიათო.

გავიგე თუ არა ეს საიდუმლოება, მე უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ვოსტრიაკოვა ამხელდა ბებუთოვს. ის მაშინვე შინ გავგზავნე, თვითონ კი თვალყურის დევნება დავუწყე, თუ სად წავიდოდა ბებუთოვი.

19 ოქტომბერს დღის 1 საათზე დამცველ განყოფილებაში ვიყავი. ბებუთოვი გაეჩხრიკათ იმის გამო, რომ ცნობები ყოფილიყო მიღებული მოსკოვში განხრახული ექსპროპრიაციის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ სხვადასხვა პირებს და მათ შორის თავად ბებუთოვსაც. ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად დამცველმა განყოფილებამ გაჩხრიკა ყველა ის პირები, ვისაც იცნობდა დამცველი განყოფილება, და ზოგიერთი მათგანი დააპატიმრა.

20 ოქტომბერს წავიყვანე ვოსტრიაკოვა და დამცველ განყოფილებაში წავედი. დარწმუნებული ვიყავი, რომ გვაჩვენებდენ იმ პირებს, ვის ჩვენებასაც დამპირდენ, მაგრამ ჩვენების ნაცვლად წინადადება მომცეს წავსულიყავი დიდი პუშკარის ქუჩაზე № 36 სახლთან, სადაც ვნახავდი დამცველი განყოფილების აგენტებს, რომელნიც ქუჩაზე მაჩვენებდენ სტუდენტს. მე ხმაამოუღებლივ შევასრულე. დილის 9 საათიდან პირველ საათამდე ქუჩაში ვიცადე. ერთერთმა აგენტმა დამანახვა სტუდენტი, რომელიც გამოვიდა სახლიდან № 36. მე ისე მოვაწყე, რომ მომავალი სტუდენტი პირდაპირ წინ შეგვეხეჩა, და ვოსტრიაკოვას შეეძლო ძალიან კარგად დაენახა იგი. როდესაც ვოსტრიაკოვა უცნობ სტუდენტს გაუსწორდა, უკანასკნელმა, პირდაპირ შეხედა მას სახეში. ამის გამო ვოსტრიაკოვა ძალიან შეშფოთდა და მითხრა: „ალბად მიცნო“ და იქვე შემატყობინა, რომ ეს სტუდენტი კამპანიის ერთი მონაწილეთაგანია, მხოლოდ წვერი მოუშვია, რომელიც წინათ არ ჰქონია, მაშინ მხოლოდ ულვაშები ჰქონდაო. მითხრეს, ეს არის გაიკა სტეფანესძე კალმაკოვი, რომელიც სხვისი გვარით ცხოვრობს, უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, ბებუთოვის მეგობარი და ამხანაგიაო.

გარდა ამისა ქუჩაზე თვალყურის დევნების დროს აგენტებმა მიამბეს, რომ სხვადასხვა პოლიტიკური დანაშაულის ჩამდენი პირნი, რათა მათ დაუსჯელად გაატარონ დროჲ, იმყოფებიან, ტერიოკსა და ვიბორგში, სადაც არ არის რუსული ხელისუფლება, ისინი აშკარად დადიან ქუჩაში წითელი დროშებით, აქვთ საკუთარი კლუბები და მთელს მათ მიერ გატაცებულ ფულებს თავიანთ კომიტეტებში ინახავენო. თავის სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად მათ მოჰყავდათ საბუთები, თითქო ისინი რამდენჯერმე ყოფილიყვენ იქ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მისულიყო ნომერში ადგილობრივი პოლიცია და განეცხადებიოს მათთვის: „კეთილ ინებეთ და დაუყონებლივ დასტოვეთ აქაურობა, ჩვენ ჯაშუშები არ გვესაჭიროება და თქვენი სიცოცხლისათვის პასუხს არ ვაგებთო“.

22 ოქტომბერს მთელი დღე გავატარე დამცველ განყოფილებაში, სადაც ვიყავი ვოსტროაკოვასთან ერთად. იქ სულ უნდოდათ რაღაც ეჩვენებიათ, მერე გადაიფიქრეს, ბოლოს კი გამომიცხადეს, რომ მომეცადა სამი დღე, რათა ჩემთვის ექსპროპრიატორები დაენახვებინათ. ისინი ნაკლებად ფიქრობდენ იმაზე, თუ რა დიდმნიშვნელოვანი საქმე იყო ეს, მათთვის სულ ერთი იყო, ხალისით არც კი უგდებდენ ყურს ჩემს საქმეებს და დაკვირვებებს, როცა მე მათ ვუმტკიცებდი, რომ ჩემი საქმე წინ მიდის, მხოლოდ ეს არ კმარა—აუცილებლად საჭირო იყო შემეხედა დაპირებულ ექსპროპრიატორებისათვის. ისინი მიპასუხებდენ: კარგი, გიჩვენებთო. ზემოხსენებულის შესახებ მე დეპეშით ვაცნობე ტფილისს:

23 ოქტომბერს, პოლკოვნიკის ბრძანების თანახმად, მე გამოვცხადდი დამცველ განყოფილებაში დღის პირველ საათზე. იქ შემხვდა მოხელე ფედოროვი. მან მითხრა, რომ მას ჩემთვის დაპატიმრებული ორი კაცის წარმოდგენა არ შეუძლია; მხოლოდ მთხოვა მივსულიყავი ღამის პირველ

საათზე მარტოდმარტო, არ მიმეყვანა ვოსტრიაკოვა; უნდა შეგვედგინა ახალი გეგმა, მაგრამ, რა გეგმა—არ მითხრა. შემდეგ მითხრეს მივსულიყავი მათთან დღის სამ საათზე, რადგან ჯერ მზად არ ყოფილიყვნენ ყველაფერი. მე ვხედავდი, რომ აქ რაღაც იმალებოდა, მაგრამ რა, არ ვიცოდი. ჩემი ჩამოსვლის დღიდან პროკურორი არ შემიწუხებია და კიდეც მეშინოდა შემეწუხებია, რათა დამცველ განყოფილებაში უარესი არ ექნათ ჩემთვის.

24 ოქტომბერს, დილის 8 საათზე წავიყვანე ვოსტრიაკოვა და სათვალთვალებლად წავედი დიდ პუშკარის ქუჩაზე, სახლი № 3, სადაც ცროვროპს სტუდენტი კონსტანტინე ალექსანდრესძე ესაევი. მე ვოსტრიაკოვას სწორედ ისევე მოვუწყე საქმე, როგორც ბებუთოვთან. მან მითხრა, რომ ეს გამბაროვის ძმაა, იგი მას იცნობს, როგორც მის ძმას; ის ტფილისში ცხოვრობდა როგორც მისი მახლობელი ნათესავი, და ვოსტრიაკოვა ფიქრობს, რომ ძმა უნდა იყოს. მე დავკმაყოფილდი იმით, რომ გავჩხრიკე და დავაპატიერე მხოლოდ სამი უკვე შეცნობილი და მხილებული კაცი, სახელდობრ: პეტრე ბებუთოვი, კონსტანტინე ესაევი და გაიკა კალმაკოვი, რომელნიც, ჩემი ცნობების მიხედვით, უსათუოდ მონაწილეობას ღებულობდნ გაძარცვაში, ხოლო შემდგომი ძიება მასალას მოგვცემს, დანარჩენ დამნაშავეთა შესაპყრობად. ამასთანავე დამცველ განყოფილებაში მითხრეს, რომ ამალამ კიდევ დაიჭერენ ექსპროპრიატორ სტუდენტებს და აჩვენებენ ვოსტრიაკოვას. მე მოვისმინე და დავთანხმდი, გულში კი ვამბობდი, ნეტა როგორმე თავი დავაღწიოთ მეთქი. ჩხრეკა და დაჭერა მათ დამინიშნეს 24 ოქტომბერს ღამის 2 საათზე. მე მაშინვე დეპეშით ვაცნობე ტფილისს, თუ რით გათავდა 24 ოქტომბერი.

25 ოქტომბერს დღის 3 საათზე ბრძანების თანახმად გამოვცხადდი დოკუმენტების და ნივთიერი საბუთების მისაღებად, რათა მაშინვე დეპეშით მეცნობებინა მათი დაპატიმრების და ნანახის შესახებ, მაგრამ, ჩემდა-განსაცვიფრებლად, იქ შემხვდა გოროდოვოი, რომელმაც მითხრა, რომ უფროსების განკარგულებით ხვალ დღის 2 საათზე გამოვცხადებულიყავი. სხვა არავინ მინახავს და ჩემს თხოვნაზე ვისიმე ნახვის შესახებ არავინ არ გამოვიდა. ასე უმიზნოდ დაიკარგა მთელი დღე. გარდა ამისა, შეიძლება ტფილისისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა იმის გაგებას, თუ რა იქნა ნახული და რა ზომების მიღება იყო საჭირო. ყოველივე ეს ამაო აღმოჩნდა და მე იძულებული ვარ ხვალამდე დავრჩე. არ ვიცი, ეს რა წესები აქვთ შემოღებული ლურჯებს.

26 ოქტომბერს მივიღე წერილი ბატონ სასამართლო გამომძიებელ მალინოვსკისაგან, პასუხი გავეცი ორი დეპეშით საქმის გათავების შესახებ. დღეს ორ საათზე მივედი დამცველ განყოფილებაში, სადაც ჩვეულებრივ მითხრეს. ჯერ მზად არაა და ღამის პირველ საათზე იქნება მზად მთელი მიწერმოწერა და ნივთიერი საბუთებიო. შევურიგდი რა ამას. დავაპირე წასვლა, მაგრამ მოხელე ფედოროვმა გამაჩერა და მითხრა, რომ დღეს ჩაიგდეს ხელში შემდეგი შინაარსის წერილი: „ბაქოდან ამან აკოფოვის

სახლი. ძველი საპოლიციო. მე მივდივარ ციურიხში, მოიწერე ასე: სარქის ლუსაგენისძე სრაბიონიანცს. მოკითხვამდე. ფული გამოგზავნე პეტერბურგში ასე: გაიკა სტეფანესძე კალმაკოვს. მე და სარქისმა შევცვალეთ გვარები, ამიტომ არ აურიო ჩემი გვარი მის გვარში. ახლა მას ჩემი პასპორტი აქვს“.

ცნობებიდან ჩანს, რომ სრაბიონიანცი პეტერბურგში მოვიდა 18 ოქტომბერს. მე დაუყონებლივ გავსწიე აღნიშნული მისამართით, მაგრამ უკვე გვიან იყო. როდესაც მისი ამხანაგი კალმაკოვის დატუსაღება გაუგია, მაშინვე გამქრალა პეტერბურგიდან. ცნობა დაუტოვებია, ტფილისში მივდივარო. მაშასადამე, ქუჩაზე ვოსტრიაკოვას მიერ შეცნობილი უცნობი სტუდენტი, რომელმაც გაიკა სტეფანესძე კალმაკოვის დოკუმენტი წარმოადგინა, ნამდვილად სარქის ლუსაგენისძე სრაბიონიანცია. რატომ შეიცვალეს მათ გვარები—ეს გამოცანაა, რომელიც თავის დროზე აიხსნება. საღამოს 9 საათზე ვოსტრიაკოვასთან ერთად წავალ ვიბორგის საცალკეო საპატიმროში. იქ მაჩვენებენ ორს დაპატიმრებულ სტუდენტს, რომელნიც ეკუთვნიან ჩემ მიერ დაჭერილ ბებუთოვის, ესაევის და კალმაკოვის კამპანიას. ყველა ესენი ეკუთვნიან ტერორისტთა პარტიას. საამისო ცნობები დამცველ გამყოფილებაში მოიპოვება.

საღამოს 10 საათზე დავბრუნდი პეტერბურგის საცალკეო საპატიმროდან, სადაც ვოსტრიაკოვთან ერთად წავედი დამცველი განყოფილების წინადადებით. იქ გვაჩვენეს ერთი შეპირებული ექსპროპრიატორთაგანი, № 204 კამერაში მაჩვენეს კავკასიელი. მე დავუძახე ვოსტრიაკოვას შეეხედა მისთვის. ვოსტრიაკოვამ მითხრა, ეს კაცი კამპანიის მთავარი ხელმძღვანელია, მაგრამ ის მაშინ უწვერო იყო, მხოლოდ ულვაშები ჰქონდაო. მე წინადადება მივეცი კიდევ ერთხელ შეეხედნა, მაგრამ მან კათეგორიულად გამიცხადა, არა ვცდებიო. მხოლოდ ჩემს თხოვნას მაინც სცა პატივი, მეორედ შეხედა და მითხრა: „გეფიცებით ყველაფერს, არა ვცდებიო“.

მის მიერ მხილებული კავკასიელი არის შუშის მაზრის სოფელ გუსუპინად—სულეიმან მახმანდაროვი (ნიშნები: 25 წლის, მაღალი, ბრიუნეტი, ახლახან წვერმოშვებული, შესახედავად მკაცრი და სასტიკი). ღამის პირველ საათზე წავალ დამცველ განყოფილებაში, სადაც გავიგებ, რომ ვოსტრიაკოვამ იცნო ის კაცი და საჭიროა ოთხივენი გაიგზავნოს ტფილისის მეტეხის ციხეში.

ღამის პირველ საათზე მივედი დამცველ განყოფილებაში, სადაც ისევ ის ფედოროვი შემხვდა, რომელსაც განვუცხადე: „სრობიანიანცი გაქცეულა, ხოლო თქვენ რომ გუშინდელზე ადრე მოგეცათ ცნობები, ის ახლა ჩემს ხელში იქნებოდა“. ფედოროვმა ამაზე მიპასუხა: „რას იზამთ, ეგეც მოხდება ხოლმეო“. მე ვუთხარი, რომ ვოსტრიაკოვამ ვიბორგის საცალკეო საპატიმროში იცნო კიდევ ერთი ბოროტმოქმედი—მახმანდაროვი. ფედოროვმა მიპასუხა: „კარგი, მოიცადეთო“. მე კიდევ ვთხოვე სამ საათამდე, შემდეგ გამოვიდა უფროსის თანაშემწე და გამომიცხადა; დღეს კიდევ არ იქნება მზად და ხვალ დღის პირველ საათზე შემოიარეთო. მე

აღარ შემეძლო ლაპარაკი გამემართა ამ ლურჯ მანეკენებთან. ხმაამოუღებლივ გამოვტრიალდი და წამოვედი".

საჭირო აღარ არის კვალდაკვალ მივდიოთ, თუ რა ბედი ეწვევა ბრეცხავი ვოსტრიაკოვას მეცადინეობით დაპატიმრებულ პოლიტიკურ [illegible]ებს. მათი საქმე დიდხანს გაჭიანურდება, თუმცა არსებითად მათ შესახებ თითქმის არავითარი საქმე არაა. გამარჯვებით თავბრუდახვეული ვოსტრიაკოვა პროცესში გაახვევს კიდევ რამდენიმე ათეულ ამ სრულიად უდანაშაულო ადამიანს. გამომძიებელი მოთმინებით შეიტანს ოქმში მის ნალაპარაკევს, რომელიც თავში ოდნავ მაინც იყო ზოგიერთი შემთხვევით გამართლებული, ხოლო ბოლოში—სავსებით იდიოტურ ჩმახვას წარმოადგენდა. ვოსტრიაკოვა დღითი-დღე უფრო უტიფარი და ლაქლაქა გახდება, სანამ თვითონვე არ გაეხვევა სიცრუის ქსელში. როგორც სჩვევია მისი ტიპის ხალხს. საქმის შედეგი წინდაწინვე აშკარაა: გამომძიებელი ბოლოს რწმუნდება, რომ სწორი გეზი ვერ აიღო, ყალბ გზას დაადგა. გამბაროვის ჯგუფს იგი ჟანდარმერიას გადასცემს და ვოსტრიაკოვას ავანტურის მსხვერპლთ ისღა ექნებათ სანუგეშოდ, რომ ისინი ციმბირში ან ციხეში გაგზავნეს არა სასამართლოს განაჩენით, არამედ დამკვალი პოლიციის გადაწყვეტილებით.

* *
*

ტფილისის სამძებრო განყოფილების მოხელის „რაპორტი" ჩინებულად ახასიათებს იმ გარემოებას, თუ როგორ უსწორდებოდა თავის მოწინააღმდეგეებს რუსეთის ხელისუფლება ამიერკავკასიაში, აგრეთვე კარგად აშუქებს იმ სიადვილეს, რომლითაც იგდებდენ ხელში ბრალდებულებს ოხრანკის და სამძებრო პოლიციის სარეაბილიტაციოდ ესოდენ აუცილებელი პროცესის შესახანხლავად.

„ჩემს მიერ სოფ. მუხრანში 1907 წლის დეკემბერში დაპატიმრებული ჩიტო სეხნიაშვილის შესახებ მოგახსენებთ, რომ სააგენტურო ცნობების მიხედვით იგი 1907 წლის დამდეგს გორის მაზრაში მეთაურობდა ყაჩაღთა ბრბოს, რომელიც განადგურებულ იქნა კაზაკების მიერ, მაგრამ ის რაღაცნაირად გადარჩა; შემდეგ კი ის გადასახლდა ტფილისს და შეუერთდა ცნობილ კატორღელებს ლოლაძეს (იგივე ცეცხლაძე), კასრაძეს და ანიაშვილს. ისინი მონაწილეობას იღებდენ ერევნის მოედანზე მომხდარ გაძარცვაში, აგრეთვე ყარსის გზაზე საფოსტო მატარებლის გაძარცვაში და მრავალ სხვა ბოროტმოქმედებაში".

* *
*

ერთ დროს მ-უნჰენში დაპატიმრებულს ამხ. ს. რავიჩს გერმანიის ხელისუფლებამ პასპორტი უნახა მეშჩანინი ბერკა ევლესძე შეინინის სახელზე. გერმანიის ოხრანკამ ეს პასპორტი გაუგზავნა პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში, პოლიციის დეპარტამენტი კი თავის მხრით შეეკითხა გამომძიებელ მალინოვსკის და მოგილევის გუბერნატორს. ბოლოს ბერკა შეინინი დაპატიმრებულ იქნა როგორც ექსპროპრიაციის თანამონაწილე. ამის შესახებ ჟანდარმერია გამომძიებელს ატყობინებს: „ზოგიერთი ცნობების მიხედვით ბერკა შეინინი

უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ურევია ხსენებულ ძარცვაშიო",—ამასთან არც დაპატიმრებისას და არც შემდეგ ჩვენ ვერ ვნახულობთ ვერავითარ მითითებას ამ „ზოგიერთ ცნობებზე".

ბერკა შეინინს დიდხანს მოუხდა ჯდომა. ის თითქმის სულ „გადარიცხვის" პროცესში იმყოფებოდა. ხან ირიცხებოდა ოხრანკაზე, ხან გადაეცემოდა გამომძიებელს, ხან გამომძიებელი ისევ უარს ამბობდა ვასზე, ხოლო ეს „გადარიცხვა" უბედური მკერავის ბედს არსებითად არ სცვლიდა. მეტად მძიმე იყო შეინინისადმი წაყენებული ბრალდება, მაგრამ თვით ოხრანკა მას საუკეთესო მხრით ახასიათებდა:

„ბერკა ევლესძე შეინინი,—ნათქვამია ამ დახასიათებაში,—ხელობით მკერავია და ამ ხელობას ამჟამადაც ეწევა. მის მეუღლეს—ეტა შავშეს ასულს განსაკუთრებული ხელობა არა აქვს, ცხოვრობს ქმართან: პოლიტიკურ არაკეთილსაიმედობაში აგრეთვე რაიმე დასაძრახისში შეინინები დღევანდლამდე შენიშნული არ არიან; ეწევიან წესიერ და მართებულ ცხოვრებას". ამნაირად, ვინ არის შეინინი—უკეთური ბოროტმოქმედი თუ უდანაშაულო, უბრალო მსხვერპლი? ამის ნათელ ახსნას ჩვენ ვნახავთ მისი მეუღლის თხოვნაში, რომელიც გაგზავნილია შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე. ვინ სწერს ამ თხოვნას? ყოველ შემთხვევაში არა პატივცემულ ეტა შავშეს ასულ შეინინი არამედ მეტად მჭერმეტყველი გომელელი ან მოგილეველ კერძო საქმეთა „შუამდგომელი"

„უმორჩილესად გთხოვთ რაც შეიძლება მალე გაანთავისუფლოთ ჩემი ქმარი. ის სრულიად უწიგნარი კაცია და უ მ ა ღ ლ ე ს ი ინ ტ ე რ ე ს ე ბ ი მ ა ს ვ ერ გ ა ი ტ ა ც ე ბ დ ე ნ (ასე უყურებდენ 1907 წ. პოლიტიკურ მოღვაწეობას მივარდნილ კუთხეებშიაც კი და ასე უნებურად წამოსცდებოდათ ხოლმე თხოვნებში მაშინდელ გულუბრყვილო ადამიანებს. ავტ.) და თუ იგი რაიმე კანონის საწინააღმდეგოს ჩაიდენდა, ეს... მოუვიდობა არა განზრახვით, შეგნებით, არამედ თავის გამოუცდელობით, თავის უბრალოებით და უცოდინარობით. მისი პოლიტიკური ფიზონომიის დასახასიათებლად, რომ გარდა თავის სამკერვალო ხელობისა, მას არავითარ სხვა საქმისათვის არ მოუკიდნია ხელი, უმორჩილესად გთხოვთ დააკითხვინოთ ვისაც ჯერ არს ქვემოთ დასახელებული ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც სრული ნდობა აქვთ მოპოებული საზოგადოებაში"..—აძას მისდევს გრძელი სია, ჩამოთვლილი დაახლოებით ოციოდე მოსარჩლე ადგილობრივ ებრაელ ბურჟუაზიიდან. მთხოვნელის ხელმოწერა თხოვნაზე არ არის, ჯინაიდგან იგი უწიგნარია..

* * *

საშეფო იუსტიცია უარჰყოფდა ნათესავების ბუნებრივ „სისუსტეს", ნათესაურ მოსარჩლეობის გრძნობას,—თუმცა კანონით უკანასკნელი აღიარებული იყო,-მას არა ერთხელ უცდია აეძულებინა მშობლები, რომ ემოწმათ შვილების წინააღმდეგ (იხ. კამოს საქმეში მისი მამის დაკითხვის ოქმები), დები ძმების წინააღმდეგ (სია იმ კითხვებისა, რომელზედაც უნდა მიეღოთ პასუხი ამხ. ნ. ა. სემაშკოს დისაგან), დედები და მამები—საკუთარი შვილების წინააღმდეგ (იხ. გამოძიება ამხ. ვ. ა. კარპინსკის საქმის გამო და ამხ. ო. რავიჩის მამის შესანიშნავი დაკითხვა.)

მოგვყავს ერთი ამგვარ დოკუმენტთაგანი, რომელიც ეხება ნ. ა. სემაშკოს.

ი. ხ.

ტფილისის საოლქო სასამართლოს
საგანგებო საქმეთა გამომძიებელი
ი. გ. მალინოვსკი
1908 წ. 5 მაისი
№376
ქ. ტფილისი

საგანგებო
ბ ნ ვორონეჟის საოლქო სასამართლოს
პროკურორს

გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, განკარგულება მოახდინოთ, რათა სათანადო სასამართლო გამომძიებელმა, სისხ. სამ. წარ. წეს. 292 მუხ. თანახმად, დაჰკითხოს როგორც მოწმეს, სისხ. სამ. წარ. წეს. 705 მუხ. დაცვით, გრაფინია პანინას სტარი ხუტორის (ვეილენის თემი, ვალიუსკის მაზრა, მასწავლებელს ზინაიდა ალექსანდრეს ასულს სემაშკოს შემდეგი საკითხების შესახებ: მოწმემ აჩვენოს , რაც კი იცის მისი ღვიძლი ძმის ნიჟინოვგოროდის საგუბერნიო ერობის ყოფილი სანიტარული ექიმის ნიკოლოზ ალექსანდრესძე სემაშკოს წარსულ ცხოვრებაზე, მის დანაშაულობრივ მოღვაწეობაზე იმპერიის საზღვრებში და უცხოეთში, სადიმყოფებოდა 1907 წ. 13 ივნისს მოწმის ხსენებული ძმა ნიკოლოზი, ხომ არ ყოფილა ის ამ დღეს ქალაქ ტფილისში, როდის, საიდან, სად, სახელდობრ, რისნივის და რა პასპორტით წავიდა ის საზღვარგარეთ რა კავშირი და ურთიერთობა აქვს მას მეერ ვოლოხსა, სარა რავიჩსა (იგივე ოლღა რაბინოვიჩი), ტიგრან ბაგდასარიანსა (იგივე კონსტანტინე ეგიაზარიანცი), მიგრან ხოჯამირიანცსა, იან მასტერსა, ვიაჩესლავ კარპინსკისა, სტრელოჩნიკოვსა, ალექსანდრე კანჩენკოსა, ბერკა შეინინსა, იანკელ დანციგსა, დმიტრი მირსკისა, ტიუფექჩეევსა, ტიგრან გევორქოვსა და პარტიული ზედმეტი სახელის „კამოს მატარებელთან,—რა იცის მოწმემ ამ პირების და მისი ძმის ნიკოლოზის მონაწილეობის შესახებ ქ. ტფილისის 1907 წ. 13 ივნისს ერევნის მოედანზე სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ფულად ტრანსპორტზე თავდასხმის დროს 250.000 მანეთის ავაზაკურ გატაცებაში.

მოწმე ზინაიდა სემაშკოს დაკითხვის ოქმი მე უნდა გადმომეგზავნოს ამაზევე სარწერით

სასამ. გამომძიებელი **მალინოვსკი.**

* * *

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეს ცირკულიარულად ეცნობა ერევნის მოედანზე წაღებული საკრედიტო ბილეთების ნომრები, იწყება ამ ბილეთების მფლობელთა დაჭერა. ეს ბილეთები ყველგან ჩნდება: საზღვრის მახლობლად, პატარა დაბა-ქალაქებში, რკინის გზის სალაროებში, ბანკებში და სხ. ადგილობრივი ხელისუფლების აგენტები იჭერენ არა მარტო იმ პირთ, ვისაც სადანაშაულო ხუთასმანეთიანები აღმოაჩნდათ, არამედ აგრეთვე მათ მახლობლებს, მეგობრებს და ნაცნობებსაც, სწორედ ისე, როგორც ეს ხდებოდა მიუნხენსა, სტოჰკოლმსა და ჟენევაში. თავისებური პოლიტიკური აჟიოტაჟის ნიადაგზე რუსთის ობივატელობის ფსკერიდან ზევით ტივტივდება დიდი ხნის

ჩალაბულა და უწმინდურება, ითხზვება დასმენა დასმენაზე, ცოლები აბეზღებენ ხელის შემშლელ ქმრებს, ანტისემიტიზმი ცდილობს გამოიყენოს ახალი შესაძლებლობა ებრაელ მეწარმეთა შესავიწროებლად.

ერთი ხუთასმანეთიანთაგანი ამოყურყუმალავდა კიევის გუბერნიაშიც, რაც შემდეგ დეპეშაში აისახა:

„უმანი. ისპრავნიკს. ორი მისამართი. საიდუმლოდ. ასლი ბოქაულს. „რომელნიც (ასე საპოლიციო გამოძიება ჩეხოვის რეცეპტისებურად იწყებდა დეპეშის ტექსტი. ავტ.) ახურდავებდენ ზაიდმანის დუქანში ხუთასმანეთიან ბილეთს, შეპყრობილი იქნენ, იგზავნებიან, ცხელ კვალზე საჭიროა სასწრაფოდ წასვლა ვასილიევის მაზრაში, ველით განკარგულებას. ბოქაული ბეზრუჩკინი, ზედამხედველი დაბროვოლსკი“.

მოქალაქემ სოფიო ვოლეიბამ, რომელიც, როგორც ჩანდა, პეტერბურგის დამცველი გახყოფილების აგენტურაში მუშაობდა, განაცხადა, რომ მისი თანამცხოვრები მ. ა. კომაროვსკი არის ერევნის მოედნის ყაჩაღური თავდასხმის მთავარი მონაწილეთაგანი, კომაროვსკი ამავე დროს ერთი მეთაურთაგანია მთელს იმპერიაში მომქმედ ექსპროპრიატორთა ბანდის, რომელიც დაბელოვნებულია არა მარტო ძარკვა-გლეჯაში, არამედ ყალბი ჩეკებით და ასიგნობით ბანკებიდან და ხაზინებიდან ფულების მიღებაშიაც“

კომაროვსკი დაიჭირეს. გაჩხრეკისას მას გასაწბილებელი ვერა უნახეს რა, მაგრამ ვინაიდან ის ყალბი პასპორტით ცხოვრობდა, ყოველ შემთხვევისათვის წაუყენეს ბრალდება მაწანწალობის შესახებ...

მინსკის გუბერნიის ქ. ბორისოვის ანონიმური მცხოვრები შეშფოთებულა, რომ ხელისუფლებამ თადარიგი ვერ დაიკავა და ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, ერთი მხრით, ბორისოვში, პროცესი მოეწყო ხოლო, მეორე მხრით, ბრალდებების ქარცეცხლი დაეტეხა ადგილობრივ ებრაელების თავზე. ის დასახმარებლად ისევ იმ გამომძიებელ მალინოვსკის მიმართავს:

„ჩვენი ქალაქის მრავალი მცხოვრებნი ვერ მიმხვდარა, რატომ მიწყნარდა ისტორია ტფილისის სახელმწიფო ბანკის განაძარცვი ხუთასმანეთიანი ბილეთისა, რომელიც ბორისოვის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში აღმოჩნდა. აქ ხომ აშკარაა, რომ ერთადერთი პასუხისმგებელი პირია, ბანკის გამგეობის წევრი შმერკა ტრეისტერი, როგორც ყველა საქმის მთავარი და ერთად ერთი ხელმძღვანელი. ყველაფრიდან ჩანს, რომ აქ რაღაც ცუდი რამ იმალება, ეს ბილეთი პირველი არაა და იგი მისი, ტრეისტერის საქმეა, ვინაიდან ეს მდიდარი ვაჭბატონი ყველაფრის ჩამდენია. ასე, გასულ წელს მან ჩაიდინა ბოროტმოხმარება რკინის გზაზე და დაასველა შაქარი ვაგონში, რომ წაეგლიჯა რამე რკინის გზისოვის, რის შესახებაც შედგენილია საჟანდარმო საქმე. ამ წლის შემოდგომაზე მან ხელოვნურად მოაწყო შაქრით დატვირთული გემის ავარია და მატყუარობით მიიღო დამზღვევ საზოგადოებიდან ფულები. ყველა მის საქმეში მონაწილეობას ღებულობს ქალაქში კარგად ცნობილი მატყუარა და აფერისტი ზაიმან ლიბენსონი, რომელმაც დიდი ქონება შეიძინა მატყუარობით. და აი ეს ლიბენსონი მუდამ ბანკში ზის და ძალიან ახლო მე-

გობრობს ტრეისტერს. უეჭველია, მათ ორთავემ იშოვეს ასეთი ბილეთები და ახურდავებენ ხაზინაში. ერთი სიტყვით, საჭიროა საქმის გამოკვლევა, ვინაიდან რაკი ლიბენსონი მთელი დღეებით ბანკში ზის და ტრეისტერთან თათბირობს, აქ რაღაც სხვანაირი ამბავი უნდა იყოს. ამბობენ, პოლიციამ ხელი მოჰკიდა ტრეისტერის საქმეს, მაგრამ უკანასკნელმა 300 მანეთი ჩაუჯიბა ვისაც ჯერ არს და ყველაფერი დაწყნარდაო. ეს პირდაპირ გასაკვირვალი საქმეა, როცა უწიგნარ ბიჭს რომელიმე ძველ-პროკლამაციას აღმოუჩენენ, მას აპატიმრებენ და ორ წელიწადს აჩერებენ საქმის გარჩევამდე; აქ კი ასეთი დიდი ამბავია და უცებ, როდესაც დიდი ფრინველი უვარდებათ ხელში, მას ხელიდან უშვებენ. უცნაური და გაუგებარია! თქვენ როგორც ენერგიულმა გამომძიებელმა უნდა მოახდინოთ განკარგულება და დაუყონებლივ დააპატიმროთ ტრეისტერი — მარტო ის, იმიტომ, რომ ბანკის მოსამსახურენი აქ არაფერ შუში არიან, და ჩააჯინოთ მინსკის და არა ბორისოვის საპატიმროში, რათა მას მოესპოს მოწმეების მოსასყიდებელი საშუალება. მაშინ ყველანი გაიგებთ, საიდან და როგორ მოხვდა ეს ფულები ბანკში, და თქვენ უეჭველად აღმოაჩენთ მრავალ დამნაშავეს, მაგრამ საჭიროა ძალიან ფრთხილად და ჭკვიანურად მოიქცეთ.

უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ პოლიცია ყოველთვის მხარს დაუჭერს მდიდრებს და ბორისოვში ფულით რამდენიც გნებავთ, იმდენს მოწმეს იშოვით".

თავი XIV.

ფეშლილობის სიმულაცია

ჩვენ ამხ. კამოს დაჭერა უბრალო შემთხვევით ავხსენით. შესაძლოა ეს იყო მართლაც შემთხვევა ან შედეგი ერთერთი იმ ამხანაგების გაუფრთხილებლობის, რომელსაც კამოს მისამართი უნახეს. თვითონ კამო კი,—თუმც არა სავსებით დარწმუნებული,—თავის დაჭერას პროვოკატორ ჟიტომირსკის აბრალებდა ასე იყო თუ ისე, მის ჩემოდანში აღმოჩენილ ასაფეთქებელ ნივთიერებას და საცნაური კონსტრუქციის მანქანას კამოს ბედი შემთხვევით უსიამოვნებათა კალაპოტიდან გამოყავს. მას ჰგზავნიან სამძებრო განყოფილებაში. გერმანიის პოლიციის თვალსაზრისით ის იყო საერთაშორისო პოლიტიკური დამნაშავე ეს იყო ხსნის ერთგვარი შანსი, როგორც საზოგადოთ შანსს წარმოადგენს მდგომარეობის ყოველგვარი დახლართვა.

კამო რომ გერმანელი ყოფილიყო, რომელმაც თავის ქვეყნის კანონები დაარღვია,—ან მშობლიურ ინკვიზიტორების ხელში ჩავარდნილიყო ცხადია, ხსნის შანსი უფრო ნაკლები ექნებოდა, სამაგივროდ ხსნის გზები უფრო გამარტივდებოდა. არსებითად რომ ვილაპარაკოთ, იყო მხოლოდ ერთი გზა—გაქცევა. ხოლო საერთაშორისო დამნაშავის მდგომარეობაში, იმ დამნაშავის, რომელმაც

ამასთანავე თითქმის სრულიად არ იცოდა გერმანული ენა,—შეიძლებოდა გადაწყვეტილების გაჭიანურება, მოტყუება, ლეგალური საშუალებებით ბრძოლა. კამო შეუმცთარად მიხვდა თავისი მდგომარეობის უპირატესობას, და შემდეგში მთელი მისი თამაში მტრებთან მხოლოდ და მარტოოდენ ერთ მიზანს ისახავს—ნილაბი ჩამოიფაროს, მდევნელთ გზა აუბნიოს, ბუნდოვანება შექმნას და, რაც უმთავრესია, მოახერხოს გერმანიაში დარჩენა. რუსეთში მას ძალიან კარგად იცნობდენ, ის მეტად გარკვეულ და დიდ ფიგურას წარმოადგენდა, იქ მას აშკარად და დაუფარავად უნდა აღეარებინა თავისი რევოლუციური „მრწამსიც“ და თავისი რევოლიუციური „შრომითი სიაც“ ამას კი აუცილებლივ დაღუპვა მოჰყვებოდა.

ამ ხანაში შესაძლოა ყველაზე უფრო ნათლად იჩენს თავს კამო—რევოლუციონერის ერთერთი უაღრესად დამახასიათებელი თვისება—სახელდობრ მისი დამოკიდებულება დაღუპვისა და სიკვდილისადმი. არიან რევოლიციური იატაქვეშეთის გმირები, ამასთან არაჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც ცხოვრებასა და ბრძოლაში სრულიად არ ახასიათებს სულმოკლეობა,—მიუხედავათ ამისა ისინიც კი შიშსა და ძრწოლას განიცდიან დაღუპვის წინაშე. არიან ისეთებიც, ვინც ბრძოლაში დაფერილნი, აშურებენ ამ დაღუპვას, ესწრაფიან მას, უჩქარიან ამით აღბეჭდონ თავისი ცხოვრების გმირული მოღვაწეობა. კამო არ გავს არც პირველს და არც მეორეს. და აი აქ მასში განსაკუთრებული სისრულით აშკარავდება მისი „ბოლშევიზმი“, მისი, თუ შეიძლება ითქვას, თანდაყოლილი „ისტორიული მატერიალიზმი“. მისი ცხოვრების ძირითადი მოთხოვნილებაა ბრძოლა, მაგრამ არა როგორც ზოგიერთ უშიშარ სოციალისტ რევოლიუციონერთა, მაქსიმალისტთა თუ ანარქისტთა სპორტულ-რევოლიუციური ინდივიდუალისტური ვარჯიშობა არამედ ბრძოლა პროლეტარიატის გამარჯვებისათვის. კამო აბსოლუტურად უშიშარია, მას არ ეშინია დაღუპვის, მაგრამ დაღუპვა, მისი წარმოდგენით, დამარცხებაა, მტრისათვის სიხარულის მინიჭებაა, ეს რევოლუციონერთა რიგების რაოდენობითი და თვისებითი დანაკლისია, თუნდაც ერთი წამით საბოლოო გამარჯვების დაშორებაა. ამიტომ ის მთელი თავისი არსებით ცდილობს არ დაიღუპოს, თუმცა თავისთავად არაფრად არ აგდებს სიცოცხლეს ვერავითარი შიში ვერ აჩერებს მიმდინარე დღის რევოლიუციურ დავალებათა განხორციელების გზაზე, კიდევ ერთი თვისება, რომელიც უკავშირდება იმავე მისწრაფებას საბოლოო მიზნისადმი. კამო, რომელიც აქტის შესრულების დროს არ ზომავს არც თავის თავს და არც თავის თანამებრძოლთ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ურიგდება უსარგებლო დანაკლისს, უმიზნო მსხვერპლს. ის თავს სწირავს, როდესაც საჭიროა, მაგრამ იქვე უდიდესი გულმოდგინებით ამზადებს საბრძოლო უკანდახევის გზას. ის არ არის ინდივიდუალისტი, მაგრამ უაღრესად უფრთხილდება ადამიანს. ის ლენინისებურად ზრუნავს ამხანაგზე—არა მარტო დაზავების დროს, არამედ ბრძოლის წუთებშიც. გავიხსენოთ მისი წიმოძახილი ერევნის მოედნის: ექსპროპრიაციის დროს „რად გვინდა ფული, თუ ამხანაგი დაიღუპა?—ან სხვანაირად რომ ვთქვათ: ამხანაგი ადვილი საშოვნელი არაა, მას მოვლა: გაფრთხილება უნდა, ვინაიდან ის ამხანაგია. ხოლო მთავრობისათვის ფულის წართმევას ყოველთვის მოვესწრებითო...

ამ სიტყვებში იხატება უზომო რევოლიუციური სიმხურვალე და უდიდესი რწმენა თავის და კოლექტივის ძალებისადმი...

კამო გერმანულად არ ლაპარაკობდა, ხოლო ზემოთ აღნიშნული მოსაზრების გამო გადაწყვიტა თავი მოეჩვენებია თითქოს არც რუსული ესმოდა კარგად, ამიტომ მისი დაკითხვა მეტად გაძნელებული იყო.

გერმანიის ს.—დ. პარტიის წევრების შუამდგომლობით პატიმართან დაუშვეს ნაფიცი ვექილი ოსკარ კონი საგულისხმიეროა, რომ პირველ ნახვისთანავე ამ ადამიანებმა, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას გასაგები ენით ელაპარაკნათ. ერთმანეთზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. ამხ. კამომ მაშინვე სრული ნდობა იგრძნო კონისადმი, ხოლო კონი თავის წინაშე ხედავდა არაჩვეულებრივს, ორიგინალურსა და მიმზიდველ პიროვნებას. ის გაიმსჭვალა უცხოველესი მონაწილეობით და ინტერესით ამ რევოლიუციონერისადმი, რომელიც მას, როგორც უცხოელს, სავსებით არ ესმოდა, მაგრამ ხიბლავდა თავის მიმზიდველი პიროვნებით და ბედის თავისებურობით.

ისინი ჟესტების და მიმიკის საშუალებით საკმაოდ კარგად აგებინებდენ ერთმანეთს, იმდენად კარგად, რომ ხშირათ თითქმის აღარც კი იყო საჭირო თარჯიმანი—ამ შემთხვევაში ნაფიცი ვექილი კლიბანსკი, რომელმაც რუსული ენა კარგად იცოდა, მაგრამ მის შუამავლობას რამდენადაც შესაძლებელია უნდა მორიდებოდენ სიფრთხილის გულისათვის. საცნაური მანქანა, რომელიც ამხ. კამოს უპოვეს, გამოდგა ჯოჯოხეთის მანქანა, იგი საფრანგეთის არმიის ერთერთ სამხედრო საიდუმლოებას შეადგენდა. ამხ. კამოს წაუყენეს ბრალდება როგორც ტერორისტანარქისტს საქმე სერიოზულ მიმართულებას ღებულობდა. ამას უკვე ზურგზე ეკიდა ორჯერ გაქცევა და სიკვდილით დასჯის ორი განაჩენი. წამოიჭრა რუსეთის მთავრობის ხელში გადაცემის საშიშროება. ორი სამი კვირით ადრე საქმის გარჩევამდე, რომელიც მოხდა ნოემბერში, ამხ. კამომ დაიწყო შმაგი შეშლილობის სიმულაცია.

როგორც ცნობილია, სულიერი შერყევის სიმულაცია ყველა შესაძლებელ სიმულაციაზე ძნელია. არსებობს მრავალი ფორმა ფსიქიური დაავადების, თვითეულ ფორმას განსაზღვული სიმპტომები და ამ სიმპტომთი კომბინაციები ახასიათებს. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად სიმულანტები იწყებენ შმაგი შეშლილობით, რაც მოითხოვს ფიზიკური ძალების უდიდეს დაძაფრვას. ამის გამო ისინი შალე იქანცებიან, ეცემიან და ნებაუნებურად სწყვეტენ სიმულაციას. სამოსამართლო მედიცინის ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა ამ საქმეს კისრულობდენ მედიცინაში, მომზადებული პირები, მიუხედავად ამისა ისინი დასახულ მიზანს ვერ აღწევდენ. გარდა ბუნებრივი მოქანცვისა, ეს აიხსნება, კიდევ იმითაც, რომ სულით ავადმყოფთა დაწესებულების საერთო პირობები საშინლად მოქმედობს ნერვიულ სისტემაზე. სიმულანტმა დღე და ღამე განუწყვეტლივ უნდა ადევნოს თვალყური თავისთავს და შეასრულოს განსაზღვრული პროგრამა. ბოლოს ის კარგავს თავისთავისადმი მეთვალყურეობის უნარს და მარცხდება. საქმე ჩვეულებრივ იმით თავდება, რომ სიმულანტი მართლა იშლება ან და ნებაყოფლობით ანებებს თავს დაუძლეველ ამოცანას. ჩვეულებრივ უაღრესად მტკიცე

და თავგადადებული სიმულანტებიც ვერ ახერხებენ ექიმების გასულელებას ორ თვეზე მეტს.

ცხადია, ამხ. კამოს მდგომარეობაში ჩავარდნილი უფრო სუსტი ნებისყოფის ადამიანის ბედი სულ რამოდენიმე დღეში ან, უკეთეს შემთხვევაში, რამოდენიმე კვირაში გადაწყდებოდა პსიქიატრიულ საავადმყოფოში შესვლის შემდეგ კამომ სიმულაციის ერთგვარი სასწაული მოახდინა: ის წარმატებით ეწეოდა სიმულაციას ორი წლის განმავლობაში. ეს განსაცვიფრებელი ფაქტი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ამხ. კამო განსაკუთრებული თვისებებით იყო დაჯილდოებული. მას ხელს უწყობდა შესანიშნავი ჯანმრთელობა და დაუშრეტელი ფიზიკური მარაგი. მის ნერვიულ სისტემას მოსდგამდა არაჩვეულებრივი სიმტკიცე და გამძლეობა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მას ჰქონდა ფოლადისებური ნებისყოფა და აღსავსე იყო თავის პოლიტიკური მტრებისადმი შეურიგებელი მძულვარებით, რომელიც იწვევდა მასში გბირულ გამბედაობას—ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი მოემოქმედნა, ყოველგვარი ტანჯვა-წამება გადაეტანა, ოღონდ მათ არ მისცემოდათ მასზე გამარჯვების შესაძლებლობა.

თავისი „ავადმყოფობის“ პირველივე დღეს, როდესაც დაიწყო ბორგვა, შმაგობა, ყვირილი, ტანისამოსის ხევა, საჭმელიანი ჭურჭლის მტვრევა და ზედამხედველების გალახვა, კამო გადაიყვანეს ცივ სასარდაფო კამერაში, სადაც ტემპერატურა ნულზე დაბლა იდგა; აქ ის დააგდეს სრულიად გატიტვლებული ცხრა დღედაღამის განმავლობაში. რომ არ გაცივებულიყო და ავად არ გამხდარიყო, ის იძულებული იყო თითქმის გახუწყვეტლივ ერბინა და ეხტუნა. ცხრა დღის შემდეგ უკანვე გადაიყვანეს. მალე მასთან დაუშვეს კონი, რომელსაც მან მეტად მოხერხებულად და შეუმჩნევლად აცნობა, რომ სრულიად ჯანსაღია.

სასამართლოში საქმის გაარჩევის დროს 1907 წ. ნოემბერში ამხ. კამოს ისე ეჭირა თავი როგორც შმაგ შეშლილს ამიტომ სასამართლომ დაადგინა გადაეყვანათ იგი საპატიმროს საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში გამოსაცდელად, აგრეთვე დააკმაყოფილა ოსკარ კონის შუამდგომლობა, რათა იგი დაენიშნათ სულით ავადმყოფი პატიმრის მეურვედ. ექვს თვეს გრძელდებოდა ამხ. კამოს გამოცდა ოთხი თვის განმავლობაში არ დაწოლილა, დღე-ღამით, ზეზე იყო, ხოლო დასასვენებლად კუთხეში დგებოდა პირით კედლისკენ და რიგრიგად სწევდა მაღლა ხან ერთ ფეხს და ხან მეორეს. შემდეგ უარი სთქვა საჭმლის მიღებაზე. მას ხელოვნურად დაუწყეს კვება ზონდის საშუალებით, ამასთან ყბების ძალით გახსნის დროს რამოდენიმე კბილიც ჩაამტვრიეს. ამხ. კამო შემდეგში ამბობდა, რძის რეჟიმი (მას ამ დროს მხოლოდ რძით ჰკვებავდენ) ძალიან მომიხდაო.

მას არ ელეოდა მოსაჩვენარი სიგიჟის გამოვლინების სხვადასხვა ფორმის გამოგონების უნარი. ასე მან ერთხელ ბლომად გამოიგლიჯა წვერი და კონაკონად დააწყო თავის საბანზე სიმეტრიულად, ბწკრივად. როდესაც ექიმმა და ზედამხედველებმა დაინახეს ეს სურათი, შიშით შეპყრობილებმა დაიყვირეს „შრეკლიხ“ (საშინელებაა!). ერთხელ კამო ნამდვილად ჩამოეკიდა თავის დასალ-

ჩობად, რასაკვირველია იმ იმედით, რომ ადმინისტრაცია ამას არ დაუშვებდა. მისი ანგარიში გამარჯვდა: იგი მარყუჟიდან ჩამოხსნეს. მეორეჯერ მან წვნიანში პატარა ძვალი იპოვა. ეს ძვალი გამახვა და ღამით გადაიჭრა მარცხენა ხელის სისხლის მილები. როდესაც სასწრაფოდ გამოწვეულმა ექიმებმა სისხლის დენა შეუჩერეს და მომაკვდავი გონს მოიყვანეს, მან შენიშნა, რომ არა მარტო საწოლი, არამედ მისი კამერის იატაკიც სისხლით იყო მორწყული. ალბათ ექიმებს დიდხანს ეგონათ, რომ სიმულანტთან ჰქონდათ საქმე. ამას ამტკიცებს შემოწმების ხანგრძლივი ვადა, რომელიც ექვს თვეს გრძელდებოდა. მაგრამ უსაშინელესი ტანჯვა-წამება, რომელსაც თავისთავს აყენებდა გამოსაცდელი ადამიანი, მათ საწინააღმდეგო აზრზე აყენებდა. ბოლოსდაბოლოს ექიმებმა ის ავადმყოფად იცნეს და 1908 წ. მაისში გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ის იმყოფებოდა 1909 წ. მარტამდე. ამ დაწესებულებაში ყოფნიდან ამხ. კამოს ძალიან მძიმე მოგონებანი დარჩა. მისი მაშინდელი ცხოვრების ერთადერთი ნათელი წუთები იყო ხოლმე კონის მოსვლა,—ეს ხდებოდა ერთხელ ან ორჯელ კვირაში. მაგრამ ჩვეულებრივი იუმორი, სიმხნევე და კარგი გუნება აქაც არ შორდებოდა ამხ. კამოს.

„ბუხ"-ში[1]) გადაყვანისას იგი მოათავსეს პალატში, სადაც ცხრა შმაგი შეშლილი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ავადმყოფების თვალყურის დევნება ვერ იყო კარგად დაყენებული, რადგან ისინი აღრჩობდენ, ურტყამდენ, ჰკაწრავდენ და ჰკბენდენ ერთმანეთს. ესოდენ სასიამოვნო, მაგრამ საშიშარ კამპანიაში კამომ რამდენიმე დღე გაატარა, შემდეგ ის უფრო მშვიდობიან განყოფილებაში გადაიყვანეს. მაგრამ ხანგრძლივი ყოფნა ამ განყოფილებაში—გონება-დაკარგულ ხანდახან საცოდავ, ხშირად საშინელ ადამიანთა შორის, რომელნიც მზად იყვნენ ყოველთვის რაიმე მოულოდნელი უსიამოვნება მიეყენებიათ, მეტად მძიმე გამოცდას წარმოადგენდა. გაქცევა ყოვლად შეუძლებელი იყო. რას არ იგონებდა, რამდენს არ ფიქრობდა ამხ. კამო, რამდენს არ ცდილობდა კონი, რომ დახმარებოდა და გაექცია იგი; მაგრამ ორივე კარგად ხედავდა, რომ აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. მაშინ კონი შეუდგა იმის ცდას, რომ ავადმყოფი სხვა საავადმყოფოში გადაეყვანათ, საიდანაც უფრო ადვილი იქნებოდა წასვლა. მაგრამ მისი შუამდგომლობა უარყოფილ იქნა.

„ბუხ"-ში ყოფნის დროს ამხ. კამო გამუდმებით უკვირდებოდა გარშემოხვეულ ავადმყოფებს. მათ შორის იყო ერთი ექიმი შორფინისტი, რომელიც აქ საკუთარ მშობლებს მოეთავსებიათ, რადგან ის თურმე მორფში ხარჯავდა მთელ თავის საკუთარს და სხვის ფულებს, როცა ხელში ჩაუარდებოდა. ეს ექიმი ესაუბრებოდა უფრო მოხედულ ავადმყოფებს, უამბობდა მათ ფსიქიურ ავადმყოფობათა სხვადასხვა ფორმების და მათი დამახასიათებელი სიმპტომების შესახებ ამხ. კამო სმენად იყო ხოლმე გადაქცეული და ცდილობდა ყოველივე მოსმენილი კარგად შეეთვისებია.

1909 წ. მარტში „ბუხის" ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სულითავადმყოფი ტერორისტ—ანარქისტის პეტროსიანცის ჯანმრთელობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, იგი სრულიად დამშვიდებულია, სრულ გონებაზეა და შეუ-

[1]) ბერლინის სულითავადმყოფთა საქალაქო სამკურნალო.

ძლია კიდეც შეასრულოს ზოგიერთი ხელსაქმე ამის შემდეგ ამხ. კამო ხელახლა ალტმოაბიტის საპყრობილის საგამომძიებლო განყოფილებაში დააბინავეს. აქ იგი ისევ დაავადმყოფდა, მაგრამ აიჟამად უკვე არა უბრალოდ, ზერელედ, კუსტარულად, არამედ მეცნიერების წესებისამებრ ამიტომ 16 [illegible] ისევ ბუხში იქნა მოთავსებული ამხ. კამო ბაძავდა ერთ ავადმყოფს, რომელსაც ქრონიკული ფსიქოზი ჰქონდა კანის მგრძნობელობის აშლასთან ერთად ამ ავადმყოფის სახის გამომეტყველებას, სიარულს, მოძრაობას, ბოდვას, მთელს მის ყოფაქცევას კამო დიდის ოსტატობით იმეორებდა. ექიმები ძალიან დაინტერესდენ ამ მოვლენით და რომ გაიოეაშკარავებიათ მოხერხებული სიმულანტი, დაუწყეს მას ბარბაროსული წამება: ქინძისთავით ჩხვლეტდენ ფრჩხილებ ქვეშ, სხეულს უდალავდენ ლითონის გახურებული ბუნიკით. ამხ. კამოს მრავალი წლის შემდეგაც აჩნდა მარცხენა ფერდზე ამ ბუნიკის (ტერმოკაუტერი) ღრმა დალი. მთელ ამ წამებას ამხ. კამო უდიდესი სიმშვიდით იტანდა. „რა საშინლად ყარდა გატრუსული ხორციო“,—იგონებდა ის შემდეგში. ვინაიდან ექიმებს და პროფესორებს არც მეცნიერულ ლიტერატურაში და არც პრაქტიკაში არ შეხვედროდათ ისეთი შემთხვევა, რომ ნორმალურად მგრძნობიარე ადამიანს შესძლებოდა წამების ასე მტკიცედ გადატანა, ამიტომ ისინი ძალაუნებურად მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ამხ. კამო ნამდვილად დაავადმყოფებული იყო იმ სენით, რომელსაც ის ბაძავდა.

ამ მძიმე დროის შესახებ დარჩა არა მარტო ამხ. კამოს და ო. კონის ნაამბობი და მოგონებანი არამედ კიდევ მთელი რიგი საბუთები. იმ საავადმყოფოების „საურვო ფურცლების“ სახით, სადაც ამხ. კამო იყო ხოლმე გამოსაცდელად. ამ „ფურცლების“ ამონაწერები შესანიშნავად ახასიათებს იმ ატმოსფეროს, რომელშიაც უხდებოდა ამხ. კამოს ბრძოლა სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჩვენ მოვიყვანთ ამ ამონაწერებს იმ სახით, როგორითაც დართული ჰქონდა ამხ. კამოს „საქმეს“ მისი რუსეთის მთავრობის ხელში გადაცემის შემდეგ. ამ ამონაწერთა სისრულისთვის ზრუნავდა ოსკარ კონი, რადგან ის უყურებდა მათ როგორც თავის კლიენტის ხსნის შანსს. „საურვო ფურცლების“ თარგმანი, როგორც დოკუმენტის ბოლო სტრიქონებიდან ჩანს, შესრულებულია ოფიციალურ თარჯიმანის მიერ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

კაპიტალისტურ დასავლეთში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. მ. ერქომაიშვილი

მსოფლიო კრიზისი და სოციალ-ფაშიზმი თანამედროვე ეტაპზე

„იმპერიალიზმი—ლენინის თვალსაზრისით კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიაა“ ის „აღმოცენდა საზოგადოდ როგორც განვითარება და პირდაპირი გაგრძელება კაპიტალიზმის ძირითად თვისებათა“ [1].

ეს დებულება პირდაპირ გვითითებს მას, რომ კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია სრულიად ვერ სპობს იმ ძირითად თანდაყოლილ წინააღმდეგობებს, რომელიც გააჩნია კაპიტალიზმს. პირიქით ეს წინააღმდეგობები, მიუხედავად სოციალ ფაშისტების მტკიცებისა, უარესად და უმძაფრესად მწვავდება.

ძირითადი წინააღმდეგობა წიანააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათისა და მითვისების კერძო ხასიათს შორის—უფრო მეტად ღრმავდება კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში. ღრმავდება და ძლიერდება ანტაგონიზმი ცალკე კაპიტალისტურ ქვეყანათა შორის იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და ჩაგრულ კოლონიალურ ქვეყნებს შორის, რევოლიუციონურ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

აქედან ცხადია, რომ იმერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია, მსოფლიო პროლეტარიატის მედგარი წინააღმდეგობის და ჩაგრული ერების განმათავისუფლებელი მოძრაობის მეოხებით აუცილებელ დაღუპვამდე მიდის.

არ არსებობს კაპიტალიზმის განვითარების სხვა საფეხური. სწორედ განვითარების ამ საფეხურზე უნდა დაიღუპოს მომაკვდავი კაპიტალიზმი და იგი სოციალისტურმა მეურნეობამ უნდა შესცვალოს.

„იმერიალისტური ომი—ამბობს ლენინი—არის სოციალისტური რევოლიუციის წინადღე, ეს არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავის სისაძაგლით პროლეტარულ აჯანყებებს ბადებს—არავითარი აჯანყებები არ ჰქმნის სოციალიზმს, თუ ის ეკონომიურად მომწიფებული არ არის—და ამიტომაც სახელმწიფოებრივი მონოპოლისტური კაპიტალიზმი არის სოციალიზმის მატერიალური სრული მომზადება, მისი წინა კარი, საიდანაც სოციალიზმამდე განვითარების არავითარი შუალედი საფეხური არ არსებობს“ [2].

---

[1]) იხილე ლენინი „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ სახელგ. 1932. გვ. 77/78.

[2]) იხ. ლენინი „Грозящая катастрофа и как с ней бороться? т. 14 ч. II ст. 209.

ამრიგად იმპერიალიზმი, უკანასკნელი სტადიაა, მაგრამ მისი დალუპვა მოხდება არა ავტომატიურად, არა კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის გზით, როგორც ეს მეორე ინტერნაციონალის ბელადებს გვინდათ, არამედ რევოლიუციონური გზით, პროლეტარიატის, სისხლს მღვრეული ბრძოლით ბურჟუაზიასთან.

მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა უკუაგდეს ლენინის ეს სწავლება იმპერიალიზმის შესახებ და მის ნაცვლად წამოაყენეს საწინააღმდეგო თეორია. მაგალითად კაუცკის თვალსაზრისით, შესაძლოა „ახლანდელი იმპერიალისტური პოლიტიკა გააძევოს ახალმა ულტრა-იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, რომელიც ნაციონალურ საფინანსო კაპიტალთა ურთიერთული ბრძოლის ადგილას წამოაყენებს მსოფლიო საერთო ექსპლოატაციას ინტერნაციონალურად გაერთიანებულ საფინანსო კაპიტალის მიერ. კაპიტალიზმის ამგვარი ახალი ფაზისი ყოველ შემთხვევაში წარმოსადგენია“.

როგორც ვხედავთ, კაუცკის შეხედულებით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობები მოისპობა მონოპოლისტური კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებით ფინანსიურ მაგნატების მსოფლიო მაშტაბით გაერთიანების საფუძველზე.

1928 წელს კაუცკი უფრო გარკვევით ლაპარაკობს ამის შესახებ: „ჩვენ უკვე შევედით საერთაშორისო ტრესტების და კარტელების და ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალურ ორგანიზაციის პერიოდში, რომელიც გავლენას მოახდენს დამპყრობელ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე‘ [1]).

რენეგატ-კაუცკის ეს „თეორია“ შექმნილია იმ მიზნით, რომ პროლეტარიატი ჩამოაცილოს რევოლიუციონურ მოძრაობას, მისი აზრით იმერიალიზმმა უნდა გაიაროს კიდევ ერთი ფაზისი თავისი განვითარებისა,— ხანა ზე-იმპერიალიზმისა და ამიტომ პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალიზმის დამყარების მიზნით ვერ მიაღწევს მიზანს, ხოლო მეორეს მხრივ მოსალოდნელია ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის შეთანხმება და წინააღმდეგობათა მოსპობა. მუშათა კლასი, კაუცკის აზრით, „ულტრა—იმპერიალიზმში“ შესასვლელად უნდა ემზადოს და არა პროლეტარულ რევოლიუციისათვის. ეს„ თეორია“, როგორც ხედავთ, არის მუშათა კლასის ბურჟუაზიის ინტერესებისადმი დამორჩილების თეორია.

ტყუილად კი არ გამოვიდა სასტიკი კრიტიკით ამ თეორიის წინააღმდეგ ლენინი, რომელიც თავის დროზე ამტკიცებდა, რომ კაუცკის „თეორიის ობიექტიური ე. ი. ნამდვილი სოციალისტური აზრი მხოლოდ ერთია: მასების ურეაქციურესი ნუგეშის ცემა კაპიტალიზმის დროს მუდმივი მშვიდობიანობის შესაძლებლობის იმედით ყურადღების გატყუება თანამედროვეობის მწვავე წინააღმდეგობათა და მწვავე პრობლემათაგან და მისი მიძართვა რაღაც ვითომდა ახალი მომავალი „ულტრა-იმპერიალიზმის“ ყალბი პერსპექტივებით. მასების მოტყუება—ამას გარდა არაფერი არაა კაუცკის „მარქსისტულ“ თეორიაში [2]).

---

[1]) იხ. კაუცკი „Wehrfrage und Sazialdemokratie“ 1928 წ.

[2]) ლენინი „იმპერ. როგორც კაპატალიზმის უმაღლესი სტადია“. გვ. 106.

აქ სავსებით მეღავნდება კაუცკის თეორიის მოღალატური სოციალ-ფაშისტური არსი. მეორეს მხრივ ლენინის თვალსაზრისით „ულტრა-იმპერიალიზმი“ ყოველგვარ შინაარს მოკლებული წმინდა აბსტრაქციაა. „თუ წმინდა ეკონომიური თვალსაზრისიდან „წმინდა“ აბსტრაქციას მივიჩნევთ, შაშინ ყველაფერი რისი თქმაც კი შესაძლებელია, შემდეგ დებულებად გამოისახვის: საქმის ვითარებას მონოპოლიამდე მივყევართ, მაშასადამე მონოპოლიის განვითარება ბოლოსდაბოლოს ერთ მსოფლიო მონოპოლიამდე, ერთ მსოფლიო ტრესტამდე მიგვიყვანს. ეს დებულება უდავოა, მაგრამ ამავე დროს სრულიად უშინაარსოც ისე როგორც იმის თქმა, რომ „განვითარებას მივყევართ“ ლაბარატორიებში კვების საგნების წარმოებამდე. ამ აზრით ულტრა-იმერიალიზმის „თეორია“ ისეთივე სისულელეა, როგორც „ულტრა-მიწათმოქმედების თეორია იყო“ [1]).

მიუხედავად „ულტრა-იმპერიალიზმის“ „თეორიის“ რეაქციონური, ანტიმარქსისტული შინაარსისა, მიუხედავად ლენინის შეუბრალებელი მხილებისა, სოციალ-ფაშისტებმა ომის შემდგომ კაპიტალიზმის „ანალიზის“ საფუძველზე შექმნეს მეორე თეორია მოწესრიდებულ კაპიტალიზმის შესახებ. ორთავე ეს თეორია ერთი მეორეს ავსებს. „მოწესრიგებული კაპიტალიზმიც“ იმიტომ სჭირდება სოციალ-ფაშისტებს რათა დაამტკიცონ მონოპოლისტურ კაპიტალიზმში გეგმიანი საწყისის შეტანის შესაძლებლობა, მისი აუცილებლობა სოციალიზმში შეზრდისა და ამრიგად ყოველგვარი წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობა.

ამ თეორიის ავტორმა გილფერდინგმა თავის წერილში „ჩვენი დროის პრობლემები“ ის აზრი გამოსთქვა, რომ შესაძლებელია „თავისუფალ კონკურენციის კაპიტალიზმიდან მოწესრიგებულ კაპიტალიზმზე გადასვლა.“

1927 წელს სოციალ-დემოკრატების კონგრესს კილში დადგენილება გამოაქვს იმის შესახებ, რომ „ბრძოლა კაპიტალისტურ მოწესრიგებულ მეურნეობის დემოკრატიულში და სოციალისტურში თანდათან გარდამქნისათვის წარმოადგენს მუშათა მოძრაობის უშუალო ამოცანას“.

„სამეურნეო დემოკრატია წარმოადგენს ყოველგვარი ბატონობის უარყოფას და ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანიზაციების კაპიტალისტურ ინტერესებიდან საზოგადოების ხელში გადაცემას.“

ეს დებულებაც, როგორც ვხედავთ, სავსებით აყალბებს მარქსიზმს და ხელს უწყობს ბურჟუაზიის კლასიურ პოზიციის გამაგრებას. ამ დადგენილების შემდეგ „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის“ თეორია, რომლის ავტორი სოციალ ფაშისტი გილფერდინგი არის, იქცევა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ოფიციალურ „თეორიად“. კიდევ მეტიც: გერმანიის სოციალ-დემოკრატები „ახერხებენ“ ამ თვალსაზრისის 1928 წლის ბრიუსელის კონგრესზე გატარებას. კონგრესი აღნიშნავს, რომ „ომის შემდგომი განვითარების ათი წელი ხასიათდება მონოპოლისტური ორგანიზაციების გიგანტიური განვითარებით. სამრეწველო დარგებიდან, რომელთა რიცხვი იზრდება, თავისუფალ კონკურენციის ინდივიდუალური კაპიტალიზმი იდევნება მოწესრიგებულ კაპიტალიზმით“.

---

[1]) ლენინი, იქვე, გვერდ. 183/84.

როგორც ხედავთ, მენშევიზმის ეს თეორია ითვალისწინებს კონკურენციის მოსპობას, წინააღმდეგობათა მშვიდობიანი გზით გადაჭრას ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებსა და აგრეთვე მუშათა კლასის და ბურჟუაზიას შორისაც სხვანაირად რომ ვსთქვათ სოციალ-ფაშისტების აზრით კაპიტალიზმის მონოპოლიური სტადია საშუალებას აძლევს მუშათა კლასს კაპიტალისტების დახმარებით შესცვალოს წარმოების ანარქია გეგმიანი მეურნეობით. ეს უნდა მოხდეს ბურჟუაზიულ მთავრობებში სოციალ-ფაშისტების მონაწილეობის საფუძველზე, რომლებმაც თავიანთი „ავტორიტეტით" გაკლენა უნდა მოახდინონ ეკონომიურად გაბატონებულ კლასზე, რათა კაპიტალისტური სისტემა შეიცვალოს სოციალისტური სისტემით მშვიდობიანი გზით.

ამგვარად მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალ-გამყიდველების თვალსაზრისით თვით იძლევა პროლეტარულ რევოლიუციის გარეშე სოციალიზმის დამყარების საშუალებებს. აქედან მოდის კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდის იდეა, აქედანვეა მათი ბრძოლა რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის" კანონებს არღვევენ.

ძველი წარმოსადგენია მარქსიზმის უარესი დამახინჯება. როგორც ვიცით მარქსის თვალსაზრისით კაპიტალიზმი ხასიათდება წარმოების ანარქიით და ამის გამო გეგმიან მეურნეობებზე ლაპარაკი პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებამდე შეუძლებელია. მარქსიზმის ეს ძირითადი დებულება მიუღებელი აღმოჩნდა სოციალ-ფაშისტებისათვის.

ასეთივე მდგომარეობაა სახელმწიფოსთან დამოკიდებულების საკითხშიაც. მარქს-ენგელს-ლენინის აზრით ძველი სახელმწიფოებრივი კაპიტალისტური მანქანა აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს. ეს აზრიც უარყოფილია სოციალ-ფაშისტების მიერ. რა საჭიროა, მათი აზრით, კაპიტალისტური სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა, როცა ის შესაძლოა გამოყენებულ იქნენ მუშათა კლასის მიერ სოციალიზმის დასამყარებლად. არა პროლეტარული რევოლუცია, არა მუშათა კლასის დიქტატურა, არამედ სოციალ-ფაშისტების კაპიტალისტურ მთავრობებში მონაწილეობის მიღება მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის დასათრგუნავად—აი მთავარი ამოცანა მეორე ინტერნაციონალის თანამედროვე ეტაპზე.

ცნობილმა ავსტრო-მარქსისტმა სოციალ-ფაშისტმა რენერმა მთელი წიგნი უძღვნა მუშათა კლასს სოციალიზმის განხორციელების გზების შესახებ [1]).

ამ წიგნის შინაარსი წარმოადგენს მეორე ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესის დადგენილებათა პრაქტიკულ გამოხმაურებას. პოლიტიკური დემოკრატია თანამედროვე პირობებში, რენერის აზრით, თვალსაჩინო ფაქტს წარმოადგენს. საჭიროა მხოლოდ სოციალიზმის აშენება მოწესრიგებულ კაპიტალიზმის „თეორიულ პრინციპების მიხედვით. არსებობს სოციალიზმის განხორციელების ორი გზა: 1) დიქტატურის საშუალებით და 2) გზა მეურნეობის დემოკრატიზაციის საშუალებით. პირველი გზა, მისი აზრით, ფაშისტურია მთელი თავისი შინაარსით, ამიტომ სოციალ-ფაშიზმი, რასაკვირველია, ამ გზას უარჰყოფს. საჭიროა მისი აზრით მუშათა კლასმა თავისი პოლიტიკა ეკანომიკას დაუკავშიროს. რუსეთის ბოლშევიზმი კი პოლიტიკურ საკითხებს ეკონომიკის გარეშე სწყვეტს-

[1]) იხ. რენერი „Wege der Verwirklichung" 1929 წ.

ისე გამოდის, თითქოს მარქსი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მსჯელობის დროს მხედველობიდან უშვებდა პროლეტარულ სახელმწიფოს გამოყენების აუცილებლობას სოციალიზმის დასამყარებლად.

მუშათა კლასმა საბჭოთა კავშირში დიქტატურა დამყარა და ეკიდევაც კოლოსალური მუშაობა ჩაატარა სოციალისტურ მშენებლობის დარგში და უზრუნველჰყო კლასების საბოლოო მოსპობა და ზოციალიზმის დამყარება მეორე ხუთწლედში. ყველაფერი ეს, თუ რენერს დაუჯერებთ, წარმოადგენს ბოლშევიკების მოღვაწეობას მხოლოდ პოლიტიკურ დარგში. პროლეტარიატის დიკტატურისათვის ბრძოლა რენერს წარმოუდგენია, როგორც უშინაარსო პოლიტიკური ბრძოლა და არა როგორც იარაღი კაპიტალისტური მეურნეობის შეცვლისა.

როგორია ნამდვილი გზა სოციალიზმისაკენ რენერის აზრით? პირველყოვლისა კოოპერაცია—ამბობს ის. მართალია, მარქსი კოოპერაციას არ სთვლიდა მუშათა კლასის კაპიტალიზმისაგან განთავისუფლების საშუალებად, მაგრამ, რენერის აზრით, კოოპერაცია მარქსის მოღვაწეობის დროს არ წარმოადგენდა ისეთ ძლიერ ეკონომიურ ძალას, როგორც დღეს. შემდეგ პროფკავშირები, რომლებიც უნდა აწარმოებდნენ მუშაობას კაპიტალისტებთან კონტაქტში, ურთიერთ დამხმარე სალაროები, საწარმოო თათბირები და ისეთი თავისუფალი ორგანიზაციები როგორიც არის მეცნიერული გაერთიანებანი, რელიგიური ორგანიზაციები და სხვა. ჩამოსთლის რა ყველა ამ საშუალებებს, რენერი დაასკვნის „Generalsozialisirung ist Generalunsinn" (გენერალური სოციალიზაცია არის გენერალური უაზრობა).

ლენინური პარტიის გენერალური ხაზი. რომელიც მტკიცედ ეყრდნობა რევოლუციონური მარქსიზმის მოძღვრებას სოციალიზმის აშენების სექმეში, რენრეს წარმოუდგენია როგორც თამაში პოლიტიკაში, მხოლოდ თავისი რევიზიონისტური სოციალ-ფაშისტური ვარჯიში კაპიტალიზმის მოსპობის საუკეთესო გზად. მისი აზრით, არ არის საჭირო მუშათა კლასმა კლასიური ბრძოლა აწარმოოს მარქსის მოძღვრების მიხედვით, რადგან არც ისე ღრმა არის წინააღმდეგობა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში. „კლასობრივი ბრძოლა ამბობს ის, არც იმდენად აბსოლუტური და უსაზღვრო საშუალებაა, მას აქვს საზღვარი. ბურჟუაზია და პროლეტარიატი აწარმოებენ თავის კლასიურ ბრძოლას, მხოლოდ პრაქტიკულად მათ შეუძლიათ ამ ბრძოლის წარმოება უმაღლეს მთლიანობის შენარჩუნების ფარგლებში [1]).

პროლეტარიატს შეუძლია აწარმოოს ისეთი „კლასობრივი ბრძოლა", რომელიც მიმართული იქნება კაპიტალისტური ურთიერთობის და კაპიტალისტური სახელმწიფოებრივობის შენარჩუნებისაკენ, ასეთია სოციალ-ფაშისტური „პრაქტიკა" „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის" და „ულტრა იმპერიალიზმის" თეორიების მიხედვით

ამხ. ბუხარინიც მოხვდა ამ თეორიის გავლენის ქვეშ. თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ ის ამბობს, რომ „ყველას მიერ აღნიშნულ ცენტრალიზაციის ტენდეციის" საზღვარს წარმოადგენს „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი დას-

[1]) იხ. „Die Gesellschaft" 1930 № 2.

რულებული სახით. რას ნიშნავს სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი კონკურენციის თვალსაზრისით, ეს ნიშნავს კონკურენციის მოსპობას ქვეყნის შიგნით და კონკურენციის უაღრესად გამწვავებას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“ [1]

როგორც ვხედავთ, ამხ. ბუხარინიც სოციალ-ფაშისტურ აზრს გამოთქვამს. ეს არსებითად იგივე „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ თეორია არის, რომლიდანაც გამომდინარე მსოფლიო სოციალ-ფაშიზმი უპირისპირდება მარქსიზმ-ლენინიზმს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბუხარინი თავის მცდარ დებულებიდან რევოლიუციისათვის გამოსავალ გზას ეძებს კონფლიქტებში კაპიტალისტური სახელმწიფოთა შორის.

„ყველა პრობლემათა-პრობლემაც კი ამბობს ის, ეგრეთწოდებული „სოციალური საკითხები“, კლასთა ურთიერთობისა და კლასთა ბრძოლის პრობლემა უაღრესად დაკავშირებული ხდება ამა თუ იმ კაპიტალისტურ ქვეყნის მდგომარეობასთან მსოფლიო ბაზარზე“.

ამ რიგად ბუხარინი თავის პროლეტარულ რევოლიუციის თეორიას მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე არსებულ წინააღმდეგობებზე აშენებს. ადვილი გასაგებია, რომ სოციალ-ფაშისტური „თეორია“ „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის“ შესახებ, მიუხედავად მისი სიყალბისა და მარქსიზმის თვალსაზრისით მიუღებლობისა, მაინც უფრო „ჩამოყალიბებულ თეორიას“ წარმოადგენს, ვიდრე ბუხარინის ცალმხრივი „თეორია“. მართლაც და რომ დაუშვათ გეგმიანი მოწესრიგებული მეურნეობის შექმნის შესაძლებლობა ცალკე კაპიტალუსტურ ქვეყნებში მაშინ ხომ ძნელი არ იქნება მსოფლიო მაშტაბით მოწესრიგებულ კაპიტალიზმის თეორიამდე მისვლა იმ სახით, რა სახითაც ის წამოაყენა ჰილფერდინგმა.

„გასაკვირვალია ის, რომ ორგანიზაცია ქვეყნის შიგნით—იმეორებს ბუხარინი, თავის მხრივ იწვევს ანარქიულ კონკურენციის გამწვავებას ქვეყანათა შორის“.

მარქსის-ენგელსის-ლენინის მოძღვრება მიმართულია სოციალ-ფაშისტებისა და აგრეთვე ბუხარინის „თეორიის“ წინააღმდეგაც. მონოპოლიის და კონკურენციის ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ მარქსი ამბობს: „მონოპოლია წარმოშობს კონკურენცია, კონკურენციას წარმოშობს მონოპოლიას. მოპოპოლისტები კონკურენციას უწევენ ერთი მეორეს, კონკურენტები იქცევიან მონოპოლისტებად. თუ მონოპოლისტებმა კონკურენცია თავიანთ შორის შეზღუდეს ნაწილობრივი ასოციაციების შექმნის გზით, კონკურენცია გაიზრდება მუშებს შორის და რაც უფრო იზრდება პროლეტართა მასა ერთი ნაციის მონოპოლისტთა მიმართ დაპირისპირებით, მით უფრო აღვირახსნილი ხდება კონკურენცია სხვადასხვა ნაციათა მონოპოლისტებს შორის. სინტეზი ამგვარია, რომ მონოპოლიას განუწყვეტელი საკონკურენციო ბრძოლის გზით შეუძლია არსებობა“ [2]).

ასეთივე აზრს გამოსთქვამს ენგელსი, რომელიც ამბობს: „მონოპოლიას არ შეუძლია კონკურენციის დაავადების შეჩერება, ეს ცოტაა, ის თვით ჰქმნის კონკურენციას“ [3])

[1]) იხ. ბუხარინი 1. „Некторые проблемы современного капитализма у теоретиков буржуазии; 2. Теоря организовонной безхозяйственности.

[1]) კ. მარქსი „ფილოსოფიის სიღატაკე“ სახელგ. 1931 წ. გვ. 226/227.

[3]) ფ. ენგელსი ტომი 2 გამოც. 1929 წ. გვრდი 308.

ენგელსის ამ ციტატიდან ცხადად სჩანს, რომ ვისაც სურს მონოპოლიზმი წარმოგვიდგინოს კონკურენციის გარეშე, ის ალამაზებს კაპიტალისტურ სინამდვილეს, ის ღალატობს მარქსიზმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ამბობს ლენინი ამის შესახებ? „მონოპოლია გამომდინარეობს ერთ თავისუფალი კონკურენციიდან, არ სპობს ამ უკანასკნელს. იგი არსებობს მის ზევით და მის გვერდით, რითაც იწვევს მრავალ მწვავე და დიდ წინააღმგობებს, უთანხმოებასა და კონფლიქტებს“ [1]).

აქედან ცხადია, რომ ლაპარაკი კაპიტალიზმის არსებობის პირობებში წინააღმდეგობათა მოსპობის და კაპიტალიზმში გეგმიანი საწყისის შეტანის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მარქსიზმის დამახინჯების მიზნით.

მოწესრიგებული კაპიტალიზმის თეორია კი ითვალისწინებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გადაჭრას მშვიდობიანი გზით, რაც ომამდე არსებულ რეფორმიზმის და თანამედროვე სოციალ-ფაშიზმის ურეაქციონერეს „მოძღვრებას“ წარმოადგენს.

ლენინი გვასწავლის, რომ „ფინანსიური კაპიტალი და ტრესტები კი არ ასუსტებენ არამედ აძლიერებენ განსხვავებებს მსოფლიო მეურნეობის ცალკე ნაწილების განვითარების სისწრაფეთა შორის. რახან ძალთა ურთიერთობა შეიცვალა, რაში უნდა გამოიხატებოდეს კაპიტალიზმის დროს წინააღმდეგობათა გადაწყვეტის საშუალება თუ არა ძალაში“ [2]).

ლენინის ეს დებულება წარმოადგენს მთავარ გამოსავალ წერტილს რევოლიუციონურ მოქმედების დროს როგორც საკავშირო კომუნისტური პარტიის ისე კომინტერნისათვის. მონოპოლისტური სტადია კაპიტალიზმისა კი არ სწყვეტს წინააღმდეგობებს, არამედ ამწვავებს მათ. ამ წინააღმდეგობათა მშვიდობიანი გზით მოსპობის იდეა წარმოადგენს კაპიტალიზმის დაცვის იდეას, მუშათა კლასის აშკარა ღალატს და მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯებას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს მუშათა კლასის რევოლიუციის პრაქტიკა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. „ქრება და ეცემა სოციალ-დემოკრატიული ილუზიები მუშათა მასებში—ამბობს მეთექვსმეტე ყრილობაზე ამხ. სტალინი. მას შემდეგ, რაც გამოცდილებამ დაგვანახა სოციალ-დემოკრატების ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს, როცა ისინი შლიდენ გაფიცვებს, აწყობენ ლოკაუტებს და ხვრეტდენ მუშებს, ბოროტ დაცინვად გაისმა მუშათა შორის ყალბი დაპირებები „საწარმოო დემოკრატიის“ „სამრეწველო ზავისა“ და ბრძოლის „მშვიდობიანი მეთოდების შესახებ“ [3]).

ამგვარად ჩვენ გვაქვს ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრი. სოციალ ფაშისტები იცავენ მონოპოლისტურ კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდის იდეას, ყოველგვარ წინააღმდეგობის, მშვიდობიანი გზით გადამწყვეტის შესაძლებლობის აზრს, ეკონომიური კრიზისების წარმოშობის შეუძლებლობას კაპიტა-

---

[1]) იხ. ლენინი „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ სახ. 1932 წ. გვ. 77.

[2]) ლენინი ტომი XX გვ. 297.

[3]) იხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“ გამოც. 1931 წ. გვ. 660.

ლიზმის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე. ეს აზრი, როგორც ვიცით დადასტურებულ იენა მეორე ინტერნაციონალის მიერ. მეორე გზა არის გზა პროლეტარულ რევოლიუციისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ, გზა რომლითაც უნდა მიდიოდეს სოციალიზმისაკენ მსოფლიო პროლეტარიატი მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის სწავლებით.

არ ამომშრალა ის მელანი, რომლითაც დაიწერა მეორე ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესის რეზოლიუცია კაპიტალიზმის „მოწესრიგების" შესახებ, რომ იფეოქა მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა. დაისვა საკითხი კრიზისის წარმოშობის მიზეზის და მისგან თავის დახწევის საშუალების შესახებ. მსოფლიო ბურჟუაზია ეძებს გამოსავალ გზას ერთის მხრივ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომით გამოლაშქრებაში. სოციალ-ფაშისტების „თეორიები" როგორც „ულტრა-იმპერიალიზმის" ისე „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" შესახებ აღმოჩნდა საპნის ბუშტი, რომლითაც ისინი ფიქრობდნენ იმპერიალისტური წინაღმდეგობების მოსპობას

როგორია მათი შეხედულება მსოფლიო კრიზისზე? პირველ ხანებში სოციალ-ფაშისტების თეორეტიკოსები სდუმდენ, თითქოს პირი წყლით აევსოთ. ეს სავსებით გასაგებიც არის. ისინი „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის" თეორიიდან გამოდიოდენ და არც კი მოელოდნენ კრიზისს. მეორეს მხრივ ისინი ფიქრობდნენ, რომ კაპიტალისტები კრიზისს თავს დააღწევენ უფრო ადრე, ვიდრე მუშები შეიგნებდენ სოციალ-ფაშისტების თეორიების გაკოტრების ფაქტს.

მაგრამ კრიზისი მოედო მთელს მსოფლიოს, მიიღო მწვავე ხასიათი, რამაც სოციალ-ფაშისტები აიძულა კალამი აეღოთ ხელში. „ჟურნალ საზოგადოება-"ში, რომელიც გამოდის ბერლინში ცნობილ სოციალ-ფაშისტ გილფერდინგის ხელმძღვანელობით, ნაფტალი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მუშათა კლასი უნდა ქმნიდეს პოლიტიკას იმავე „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის" თეორიის მიხედვით. თანამედროვე კრიზისი, ავტორის აზრით, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც კაპიტალიზმის სისტემის კრიზისი და ამიტომ ლაპარაკი შეიძლება არა სისტემის მოსპობის შესახებ დღევანდელ პირობებში, არამედ ხალხთა ურთიერთშორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარების და გერმანიასა და საფრანგეთს შორის მშვიდობიან პოლიტიკის წარმოების შესახებ კრიზისიდან თავის დასაღწევად. ავტორის აზრით მონოპოლისტურ ორგანიზაციების კონტროლი, რომლის მოთხოვნილებას აყენებს სოციალ-დემოკრატია და რომელსაც ჩვენ გეგმიან მეურნეობისაკენ მივყევართ, მთავარ გამოსავალ წერტილად უნდა იქმნეს აღიარებული მიმდინარე მომენტში [1]).

1930 წ. გამოდის ალფრედ ბრაუნტალის წიგნი „თანამედროვე მეურნეობა და მისი კანონები", ავტორი იქაც არ სცილდება „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის „იდეას".

ეხება რა საკითხს კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალისტურად შეცვლის შესახებ, ავტორი ამბობს: „სინამდვილეში არ შეიძლება იმის უარყოფა,

[1]) იხ. ნაფტალი „Der Organilsierte Kapitalismus in der Wirtschaftskrise" „Die Gesellschaft" 1931. № 5

რომ მოწესრიგების ტენდენციები მეურნეობაში ვითარდება ერთი საერთო კარტელის შექმნის მიმართულებით“ [1]).

ამის შემდეგ, მისი აზრით, ადვილია მეურნეობის კაპიტალისტური ხელმძღვანელობის სოციალისტურ ხელმძღვანელობით შეცვლა.

ასეთია სოციალ-ფაშისტების ბოდვა არსებულ კრიზისის და აქედან გამომდინარე სოციალიზმისაკენ მიმავალ გზების შესახებ. კაპიტალიზმი, მათი აზრით „მოწესრიგებულია“, კაპიტალიზმის სისტემის კრიზისზე არ შეიძლება ლაპარაკი, არ შეიძლება მსჯელობა უმუშევრობის კანონზომიერებაზე, ყოველ შემთხვევაში კაპიტალიზმი აქ არაფერ შუაშია და, მაშასადამე, რევოლუციაზე ლაპარაკი, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გადაწყვეტის საშუალებაზე, უაზრობა იქნებოდა. მონოპოლისტური კაპიტალიზმი თვით ჰქმნის სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლის საშუალებას. ბრაუნტალის აზრით პროფკავშირებმა უნდა აწარმოონ მხოლოდ მცირე ხასიათის ბრძოლა მწარმოებლებთან, რადგანაც პროფკავშირები კაპიტალიზმის თანამედროვე სამეურნეო დემოკრატიულ ორგანოებს წარმოადგენენ. მათ უნდა შეასრულონ სახელმწიფოს საერთო ხასიათის განკარგულებები და სხვა.

აქედან ცხადია, რომ მუშათა კლასი მთლიანად უნდა გადავიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების განკარგულებაში გაბატონებული კლასის ინტერესების დასაცავად. აი ეს არის მისი აზრით „პროლეტარული რევოლუცია“, რომელიც მიიყვანს პროლეტარიატს „სრულ გამარჯვებამდე“.

მართალია, მარქსს სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა პროლეტარულ რევოლუციაზე, ამბობს ბრაუნტალი, მაგრამ ეს მას არ უშლის ხელს, რადგან მარქსი სულ სხვა პირობებში სცხოვრობდა.

ამ „მიზეზის“ გამო სამართლიანად მიაჩნია მას მარქსიზმის მთლიანად გაყალბება და მისი უარყოფა.

თვით ვანდერველდე იმ აზრისა არის, რომ თანამედროვე კაპიტალისტის ფსიქოლოგია სხვაა, ვიდრე სამრეწველო კაპიტალიზმის დროს. ევროპა ცხოვრობს კაპიტალიზმის განვითარების ახალ პერიოდში და ამიტომ კაპიტალისტური მეურნეობის მოსპობის ხერხი და საშუალებაც უნდა შეიცვალოს [2]).

დეკერის აზრით თანამედროვე კრიზისი იწვევს დიდ უმუშევრობას, ვიდრე კრიზისები წარსულში, თუმცა უმუშევრობასთან წარსულშიც გვქონდა საქმე. მაგალითად 1908 წ. ამერიკაში ითვლებოდა $1^1/_2$ მილიონი უმუშევარი. ინგლისში მძვინვარებდა კრიზისი 1879-1878 წლებში. ამით დეკერს სურს დაამტკიცოს, რომ თანამედროვე კრიზისი არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივ კრიზისისაგან წარსულში. ამიტომაც ის ფიქრობს თანამედროვე კრიზისი კაპიტალისტური მეთოდით და საშუალებებით დასძლიოს. როგორია ეს მეთოდი? ინდუსტრიალური წარმოების ინტენსიური რაციონალიზაცია—ამბობს დეკერი [3]).

---

[1]). იხ. ბრაუნტალი „Die Wirtschaft der Gegenuzart und ihre Gesetze“ 1930 წ.

[2]). ვანდერველდე „Die Gesellschaft“ 1930 № 8.

[3]). იხ. „Die Gesellschaft“ 1931 წ. № 4.

ნაფტალი იმეორებს თავის შეხედულობას იმის შესახებ, რომ თანამედროვე კრიზისი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც კაპიტალიზმის სისტემის კრიზისი [1]).

მაქს ადლერი ფიქრობს, რომ საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა თანამედროვე კრიზისი კაპიტალიზმის სისტემის კრიზისი, მჭიდროდ არის დაკავშირებული პროლეტარიატის ბრძოლის უნარიანობასთან [2]).

მაგრამ, რადგან ავტორი არ იძლევა პროლეტარიატის ბრძოლის სწორ მარქსისტულ გეგმას, ამიტომ ისიც სდგას კრიზისიდან კაპიტალისტური მეთოდით გამოსვლის თვალსაზრისზე.

ოტტო ლიაიხტერი იძლევა ორი სექტორის ანალიზს კაპიტალიზმის პირობებში. ასე გამოდის თითქოს კაპიტალიზმის მონაპოლისტური სტადია ჰქმნიდეს სოციალისტურ სექტორს, რომლის გასამაგრებლად უნდა იბრძოდეს მუშათა კლასი კაპირალიზმის სისტემის არსებობის პირობებში.

ამაშია ავტორის აზრით მომენტის მთავარი ამოცანა [3]).

ბაუერი შემდეგნაირად ამაგრებს სოციალ-ფაშისტების პოზიციას: თავის, უკანასკნელ წიგნში რაციონალიზაციის შესახებ ის ველარ უარყოფს იმ უდიდეს გამარჯვებას, რომელსაც მიაღწია მუშათა კლასმა საბჭოთა კავშირში. მისი აზრით შესაძლებელია ხუთწლედის განხორციელება; ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმ დიად სოციალისტურ მშენებლობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი მიჰყავს უკლასო საზოგადოებისაკენ, მაგრამ ყველაფერი ეს ბაუერის აზრით ხდება საბჭოთა კავშირში ტერორის საშუალებით და ამიტომ „სამრეწველო ქვეყნების მუშათა კლასი უნდა შეეცადოს მივიდეს სოციალიზმამდე არა სამოქალაქო ომის და დიქტატურის გზით, არამედ დემოკრატიული გზით, უფრო მშვიდობიანი გზით, გარეშე საშინელ მსხვერპლისა და სამოქალაქო ომისა, რაც ერთად-ერთ საშუალებას მისცემს პროლეტარიატს ინდუსტრიალურ ბიუროკრატიასთან და გლეხობასთან ითანამშრომლოს“ [4]).

ყველაფერი ეს იმის დამამტკიცებელია, რომ სოციალ-ფაშიზმი, არსებულ კლასთა ბრძოლის დროს აშკარად გადადის ბურჟუაზიის მხარეზე. ამის გამო აწარმოებს ის შეტევას მარქსიზმის ძირითად საფუძვლების წინააღმდეგ. მათი აზრით არ არის საჭირო კლასთა ბრძოლა, რომელსაც მარქსის სწავლებით პროლეტარიატის დიქტატურამდე მივყევართ. აქედან ის ანტი-მარქსისტული ბოდვა, რომლითაც ისინი უმასპინძლდებიან მუშათა კლასს—ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე. აქედან—ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობა, კაპიტალისტების წინაშე ქედის მოხრა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

ცნობილი ვანდერველდე, რომელმაც თავის დროზე დაათვალიერა მენშევიკური საქართველო და დიდად კმაყოფილი დარჩა მენშევიკების პოლიტიკით, აცხადებს მეორე ინტერნაციონალის ვენის კონგრესის წინაშე, სოციალისტებს

[1]) იხ. „Die Gesellschaft“ 1931.“ № 12

[2]) იხ. „Die Kampf“ 1931. № 7/8

[3]) იხ. „Der Kampf“ 1931 № 7/8.

[4]) „Rationalisirung—Fehlrationalisirung“ 1931.

დიდი მიღწევები აქვთო. ეს მიღწევები იმაში გამოიხატება, რომ ისინი ღებულობენ მონაწილეობას ბურჟუაზიულ მთავრობებში, ინგლისში გერმანიაში ავსტრიაში ფინლანდიაში, ბალტის სახელმწიფოებში და სხვაგან. მიღწევა იმაშიაც გამოიხატება, რომ მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის ცნობილი წევრები არიან „ან ყოფილი ან მომავალი მინისტრები [1]).

მსოფლიო კრიზიზის პირობებში, როდესაც მწვავედ სდგას მსოფლიო პროლეტარიატის წიხაშე კლასთა ბრძოლის საკითხი, როდესაც უსაშინელეს შეტევას განიცდის მუშათა კლასი კაპიტალისაგან, როდესაც კაპიტალისტური ქვეყანა სოციალისტურ მეურნეობის წინააღმდეგ ირაზმება—სოციალ-ფაშიზმი პორთფელებისათვის იბრძვიან და არც კი სცხვენიათ ვანდერველდეს ენით ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა მიღწევად აღიარონ. მეორეს მხრივ ბურჟუაზია ზურგს იმაგრებს სოციალ-ფაშისტების პოლიტიკით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს თანამედროვე სოციალ-დემოკრატების აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებასთან. წინააღმდეგ მათი გაკოტრებულ თეორიებისა, მსოფლიო ეკონომიური კრიზისი საკმაოდ ემუქრება მსოფლიო კაპიტალისტურ სამყაროს. ამ მხრივ ამახვილებს თავის ყურადღებას მსოფლიო პროლეტარიატის კლასიური მტერი ბურჟუაზია, რომელიც მშვენივრად იყენებს სოციალ-ფაშისტების თეორიას და პრაქტიკას მსოფლიო მუშათა კლასის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„კრიზისმა უკვე მოასწრო გაეძლიერებია კაპიტალისტების შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ, კრიზისმა უკვე მოასწრო გამოეწვია კაპიტალისტური რაციონალიზაციის ახალი ტალღა. მუშათა კლასის მდგომარეობის ახალი გაუარესება, უმუშევრობის ზრდა, უმუშევართა მუდმივი არმიის გადიდება. შრომის ხელფასის დაცემა. გასაკვირალი არაა, რომ ეს მოვლენები ქმნიან რევოლიუციონურ განწყობილებას.

ერეკებიან მუშებს ახალი კლასიური ბრძოლების გზაზე“ [2]).

ამასთან ერთად იზრდება და ძლიერდება საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკა, რაც თავზარს სცემს მსოფლიო ბურჟუაზიას.

ამიტომ ეძებს ბურჟუაზია გამოსავალს არა მარტო მუშათა კლასი წინააღმდეგ ბრძოლაში ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ომშიაც საბჭოთა კავშირის მიმართ. კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ უკიდურესი გამწვავება წინააღმდეგობების კაპიტალისტურ სახელმწიფოში. მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება ერთის მხრივ. ხოლო ფაშისტური რაზმების აქტიობა მეორეს მხრივ. ასეთ პერიოდში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა აფხიზლებს მუშებს, იმ მუშებს რომელნიც დღემდე სოციალ-ფაშისტებს უჭერდენ მხარს. ეს გარემოება აიძულებს მათ დაადგენ კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენებ გზას.

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი უშინაარსო ფრაზეოლოგიით მეორე ინტერნაციონალის პარტიების გადარჩენას

[1]). იხ. ვანდერველდე „Der Kampf“. 1931. წ. № 7/8.

[2]) იხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“ გამოც. 1931. გვ. 660.

ცდილობს. გასულ წელს ქ. ბერლინში გამოიცა კრებული. ამ კრებულის ერთ-ერთი წერილის ავტორი, სახელდობრ ვაკერლე, აცხადებს, რომ თანამედროვე კრიზისი არის სოც-ფაშისტური თეორიის „მოწესრიგებული კაპიტალიზმის კრიზისიო. კაპიტალიზმის მოწესრიგების ნაცვლად ჩვენ მივიღეთ, ამბობს ის, 22 მილიონი უმუშევარი, გლეხკაცობის გაღატაკება, მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის დაცემა და სხვა. ან უნდა მოისპოს კაპიტალიზმი, ან და კაცობრიობა წავა ბარბაროსობისაკენო[1]).

მეორე წერილის ავტორი ზაიდევიცი ამბობს, რომ მიმდინარე მომენტში ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღება და კაპიტალისტური საბელმწიფოების დაცვის პოლიტიკა უდიდესს პასუხისმგებლობას აკისრებს სოციალ-დემოკრატიას. სოციალ-დემოკრატია, ავტორის აზრით, კაპიტალიზმისაგან ჰეჟა-ქუხილის ამცილებელ როლს ასრულებს (Blitzableiter des kapitalismus).

მეოთხე წერილში მაქს ადლერი ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატები აგიტაციას ეწევიან სამეურნეო და პოლიტიკურ დემოკრატიის სასარგებლოდ იმ დრდოს, როდესაც მასა მზად არის ბრძოლისათვის. ამის გამო ის მოითხოვს აქტიურ მოქმედებას მოწინააღმდეგე კლასების მიმართ[2]).

ასეთია ის ფრაზეოლოგია, რომლითაც „მემარცხენეები“ გამოდიან მუშების წინაშე. როცა მათ მემარჯვენები ეკითხებიან, როგორი უნდა იყოს პარტიის მოქმედების პროგრამაო, ისინი სდუმან. გამოსთქვამენ რა ერთგვარ უკმაყოფილებას პარტიის უმრავლესობისადმი, „მემარცხენეები“ ამავე დროს არ აყენებენ საკითხს პროლეტარულ რევოლიუციის აუცილებლობის შესახებ და აკრიტიკებენ კომუნისტურ პარტიის სტრატეგია-ტაქტიკას. აქედან—აშკარა ღალატი და მასების მოტყუება.

საინტერესოა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმას თუ როგორ აფასებს თანამედროვე მომენტს კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმი. 1930 წელს ტროცკი უარყოფდა მსოფლიო კრიზისის არსებობას და შესაძლებლად მიაჩნდა კრიზისის ლიკვიდაცია უახლოვეს მომავალში. კიდევ მეტიც: „საბირჟო“ კრიზისი, როგორც ის ამბობს, შესაძლებელია დამთავრდეს მრეწველობის აყვავებითაც კი“. „საბირჟო“ სპეკულიაციაზე დარტყმას მივყევართ ჩვენ, ამბობს ტროცკი, ბურჟუაზიულ ღირებულების კურსის და სავაჭრო სამრეწველო მოღვაწეობის ნორმალურ ურთიერთობამდე[3]).

ეს მოხდება ამერიკის დახმარებით.

ამრიგად, ტროცკის აზრით თანამედროვე კრიზისი ამერიკის დახმარებით ახლო მომავალში მრეწველობის აყვავებით უნდა დამთავრდეს. აბსოლუტური სტაგნაციის თეორიის მომხრე უცებ სდგება არსებულ პირობებისადმი შეგუების თვალსაზრისზე. ერთის მხრივ საწარმოო ძალთა განვითარების აბსოლუტური შეზღუდვა და მეორის ძხრივ მრეწველობის აყვავების და განვითარების

[1]) იხ. ვაკერლე „Die Krise des Kapitalismus“
[2]) ადლერი „Die Soziale Revolution“
[3]) იხილე „Бюлетень оппозиции“ № 8.

შესაძლებლობა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ ეკლეკტიზმთან, რაც ტროცკიზმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

ასეთივე აზრს გამოსთქვამს პრეობრაჟენსკიც. ის ამბობს, რომ ჩვენ საქმე გავქვს არსებულ პირობებში საწარმოო ძალთა განვითარების აბსოლუტურ შეჩერებასთან. მეორეს მხრივ ის სდგას „მოწესრიგებულ კაპიტალიზმის“ თვალსაზრისზე, —„მონოპოლიზმი ნიშნავს ბაზრის უფრო მეტს ცოდნას განსაზღრულ დროის განმავლობაში და მოთხოვნილებისადმი უკეთეს შეგუებას. ამასთან ერთად ეს ცოდნა აძლიერებს წარმოების შემცირების ტენდენციას“[1]).

აქაც ტროცკისტული აზრია გატარებული. ერთის მხრივ ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციები, მეორეს მხრივ საწარმოო ძალთა განვითბრების ობსოლუტური შეჩერება.

გეგმიანი მეურნეობის შექმნის შესაძლებლობის იდეა, როგორც ვიცით ეკუთვნის სოციალ-ფაშისტებს. ეს თეორია სჭირდებათ მათ რათა მუშათა მოძრაობას გამოაცალონ მარქსისტულ-რევოლუციონური შინაარსი.

ტროცკისტული თეორიაც სტაგნაციის შესახებ იმავე მიზანს ისახავს.

არც ერთი ეს თეორია არ გამოხატავს სინამდვილეს. ამასთან დაკავშირებით თანდათან ქრება სოციალ-დემოკრატიული ილიუზიები მუშათა შორის.

კაპიტალიზმში სოციალიზმის შეზრდის თეორია სრულიად არ გამოხატავს მუშათა კლასის თვალსაზრისს. თვით სოციალ-ფაშისტების თეორეტიკოსებიც კი გრძნობენ, რომ მოწესრიგებულ კაპიტალიზმის თეორია გაკოტრდა, ამიტომ ისინი ეძებენ გამოსავალს. ცნობილი ნაფტალი სწერს: „რამდენადაც კრიზისი ვითარდება მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში მას ახასიათებს თავისებურებანი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი თუ ის თავისუფლადაა ე. ი. კერძო სამეურნეო გზით განვითარდა, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს კრიზისის შერბილების ელემენტს, არამედ პირიქით ის წარმოადგენს მის გამწვავების ელემენტს[2]).

ლაიპციგის პარტიულ ყრილობაზე ტარნოვი შემდეგნაირად ცდილობს გილფერდინგის თეორიის გამართლებას: „მართალია,„ მონოპოლისტური კაპიტალიზმი აწესრიგებს, მაგრამ აწესრიგებს სამეურნეო ერთეულებს და არა საბალაო მეურნეობას, ის ვერ სპობს ანარქიას მთელს მეურნეობაში, მაგრაე იძლევა მის გამოხატულებას სხვა მასშტაბით. მოწესრიგებულმა კაპიტალიზმმა შესცვალა ეკონომიური სამოქალაქო ომი ცალკე პიროვნებებთა შორის ეკონომიურ ბრძოლით მონოპოლისტურ ბანდათა შორის“.

ამ სახით სურთ სოციალ-ფაშისტებს გაკოტრებულ თეორიის შეკეთება. სადლაა „მოწესრიგებული კაპიტალიზმი“, თუ თავისუფალი კონკურენციის ნაცვლად ცალკე პიროვნებათა შორის“ ჩვენ მივიღეთ ეკონომიური ბრძოლა მონოპოლისტურ“ ბანდანთა შორის“.

---

[1]). იხ. პრეობრაჟენსკი „Закат капитализма“.

[2]). იხ. ნაფტანით „Die Wirtschaftdemokratie und arbeiterlosigkeit“ s. 20.

ლენინიზმის წინააღდეგ ბრძოლამ მსოფლიო სოციალ-ფაშიზმი საკუთარ რიგების გახრწნამდე ძიიყვანა. ამიტომ გასაგებია ის პოზიცია, რომელსაც იცავს მეორე ინტერტერნაციონალი მიმდინარე მომენტში.

ის ცდილობს ხელი შეუწყოს საქვეყნო ბურჟუაზიას მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის დროს და მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლის მიზნით მოითხოვს საბჭოთა კავშირის განადგურების აუცილებლობას.

ცნობილი კონტ-რევოლიუციონერი დანი კმაყოფილებით აღნიშნავს მეორე ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესის დადგენილებას, რომელიც მოითხოვს ბურჟუაზიულ დემოკრატიის აღდგენას იმ ქვეყნებში სადაც მან დაკარგა ბატონობის უნარი. ეს დადგენილება, დანის აზრით, რუსეთს უფრო ეხება, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანას, სადაც ბრძოლით უნდა იქნეს აღდგენილი ძველი ბურჟუაზიული წესყობილება. ის ცდილობს აღადგინოს რუსეთში კერენსკის ყოფილი მთავრობა ინტერვენციის საშუალებით. ყველა ჯურის კონტრევოლიუციონერი პარტია ინტერვენციაში ეძებს გამოსავალს და დანიც როგორც უჯარო გენერლების ინტერესების გამომხატველი, ამ გზით აპირებს მის განადგურებულ პარტიის აღდგენას საბჭოთა კავშირში. ამასთან დაკავშირებით სავსებით გასაგებია ქართველი მენშევიკების ბელადების პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმირთ.

ნოე ჟორდანიას აზრით „საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია როგორც შედეგი საშინაო და საგარეო კონფლიქტებისა რუსეთში". საზღვარგარეთ გადახვეწილ მეხშევიკებს კარგად აქვთ წარმოდგენილი, რომ საბჭოთა კავშირში მათ არასოდეს არ გაჰყვება მუშათა კლასი, რომელიც გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ სოციალისტურ უკლასო საზოგადოების შექმნისაკენ" ამიტომ მთელი მათი იმედები გარეშე სახელმწიფოებზე არის დამყარებული. „მთელი ჩვენი მუშაობის მიხანი, ამბობს ნ. ჟორდანია, მდგომარეობს იმაში, რათა ევროპის ოფიციალური და არა ოფიციალური წრეები მოვამზადოთ იმდენათ, რომ რუსეთში რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში ისინი ჩვენი მომხრეები გახდენ და პოლიტიკური დახმარება გაგვიწიონ". ცნობილი რენეგატი კაუცკი აცხადებს, რომ ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია თანამედროვე კრიზის მიერ, „შესაძლოა გამოსწორებულ იქმნეს ევროპის და ამარიკის კაპიტალიზმის მიერ აზიის და რუსეთის ბაზრების დაპყრობის გზით".

„ეს მომენტი, ამბობს ის, მით უფრო ადრე დადგება, რაც უფრო ადრე შეთანხმდებიან ცალკე სახელმწიფოები და თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანხმოებებს გადალახავენ. კეთილი განწყობილება დამყარდება საკმარის დროის განმავლობაში იმ შემთხვევაში თუ შევსძლებდით ევროპის და ამერიკის ინდუსტრიისათვის აზიის ბაზრის საგრძნობლად გაფართოებას. ეს კი შესაძლებელია მოხდეს ისეთ პირობების შექმნით, რომელიც გამოიწვევს რკინის გზების და გზატკეცილების ინტენსიურ მშენებლობის ხანას ჩინეთში, ინდოეთში და რუსეთში[1]).

---

[1]) იხ. კ. კაუცი. „Der Kampf" 1931 წ, 7/8 გვ. 297

ასეთია კაუცკის კრიზისიდან გამოსასვლელი პროგრამა. „მარქსისტი“ კაუცკი საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირის განადგურებას და აზიის ქვეყნების ბაზრების სავსებით დაპატრონებას კრიზისებიდან გამოსვლის მიზნით. მომავალი პროლეტარული რევოლიუცია ევროპაში თავზარს სცემს ~~ara~~ მარტო კაპიტალისტებს, არამედ მათ ლაქიებსაც—სოციალ-ფაშისტებს, ამიტომ სავსებით გასაგებია. მათი პოზიცია მსოფლიო მუშათა კლასის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შორს არ არის ის დრო, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატი სათანადო პასუხს გასცემს მსოფლიო ბურჟუაზიას და მის დამცველ სოციალ-ფაშისტებსაც. აზრი პროლეტარულ რევოლიუციის აუცილებლობის შესახებ თანდათან იპყრობს მასებს. „ეს ნიშნავს ჯერ ერთი იმას, რომ ბურჟუაზია ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას დაიწყებს შინაურ პოლიტიკის შემდგომ ფაშიზაციაში და ამ მიზნით გამოიყენებს ყველა რეაქციონურ ძალას, მათ შორის სოციალ-დემოკრატიასაც.

მეორე—ეს ნიშნავს, რომ ბურჟუაზია საგარეო პოლიტიკის მხრივ გამოსავლის ძებნას დაიწყებს ახალ იმპერიალისტურ ომსა და ინტერვენციაში. და ბოლოს ეს ნიშნავს რომ პროლეტარიატი კაპიტალისტურ ექსპლოატაციასა და ომის საფრთხესთან ბრძოლის დროს გამოსავლის ძებნას დაიწყებს რევოლიუციაში“[1]).

ამხ. სტალინის ეს სიტყვები სრულ გამართლებას პოულობს თანამედროვე კრიზისით გამწვავებულ კლასთა ბრძოლის პირობებში.

ამას გრძნობს როგორც მსოფლიო ბურჟუაზია ისე მისი ლაქია მსოფლიო სოციალ-ფაშიზმიც.

---

[1]). იხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 662

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალი არსენიშვილი

ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. წ. I 320 გვ. სახელგამი. 1932 წ. ფ. 6 მან.

საბჭოთა მკითხველის ლიტერატურული ცნობისმოყვარეობა უმეტეს შემთხვევაში მიმდინარე მწერლობის საკითხებითაა შემოფარგლული. მისთვის კლასიკოსები, უალდის თქმის არ იყოს, ეს ის მწერლებია, რომელთა შესახებ ყველა ლაპარაკობს, მაგრამ არავინ კითხულობს. და ძველ მწერლებზე (რუსთაველის გამოკლებით) ხომ არც ლაპარაკობენ და არც კითხულობენ მათ. საუკუნეების მანძილზე გაბმული ლიტერატურული პროცესი მხოლოდ ვიწრო სპეციალისტთა კვლევა-ძიების სფეროდაა გადაქცეული და ამ სფეროში მომუშავე მკვლევარების ნაციონალისტურ—არქაისტული პარტიკულიარიზმი და სქოლასტიურ ფილოლოგიის კონსერვატიზმი ხომ ნამდვილი საფრთხობელაა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

„ნარკვევების“ ავტორი მიუღებლად აცხადებს ხსენებულ მკვლევართა ლიტერატურულ მემკვიდრეობას, როგორც მეთოდოლოგიური საფუძვლების, ისე ფაქტიური მასალის მხრივ, გმობს ცარიელ „აღწერილობით“ მეთოდს და კვლევა-ძიების მარქსისტულ-ლენინურ საფუძვლების მომარჯვების ლოზუნგს აყენებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, ავტორი თავის ნარკვევების მხოლოდ ორ თავში („საერო—ფეოდალური მწერლობის წარმოშობისათვის საქართველოში“ და „ვეფხის-ტყაოსნის სოციალური გარემო“) გვაძლევს მასალის მატერიალისტური ანალიზის ცდებს, ნარკვევების დანარჩენი, უმეტესი ნაწილი (252 გვ.) კი ჩაფლულია ძეგლების ფორმალისტურ—ტექნოლოგიურ ფილოლოგიის ისეთ დეტალებში რომელნიც შეადგენენ „ფილოლოგიას თავისთავის“ ეს არავითარ შემთხვევაში არაა მისაღები ისეთ წიგნში, სადაც მკითხველი ეძებს თანმიმდევარ და მთლიან ისტორიულ—ლიტერატურულ პროცესის სოციოლოგიურ კურსს, ან მის ნაწილს. მართლაც, რა მხრივ უნდა იყოს საინტერესო მკითხველისათვის 150 გვ. მანძილზე მოთხრობილი აოგუმენტაცია იმისა, რომ „ვისრამიანი“ არა „ზედმიწევნით ზუსტი გამეორებაა დედნისა“, არამედ მისი „საერთოდ სწორი და კარგი თარგმანი“. ეს მოგვაგონებს გოგოლის „дама приятная во всех отношенях и просто приятная дама“.-ს.

ეს უსათოუოდ არის „სუსტი ერუდიციის თამამი გაბედულება და ჯიუტური გაცხარება“, რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს მკვლევართა ერთი რიგის შესახებ (გვ. 35).

ავტორი მოხდენილად ამხელს პროფ. აბულაძის და პროფ. კეკელიძის ნაციონალისტურ ილოვაიშჩინას (გვ. 21), როდესაც მოყავს ასეთი კურიოზები:

1. „თამარის ციურმა სახემ, მისმა საოცნებო მშვენიერებამ და სამეფო ჭკუამ მეტის მეტად აამაღლა მეფის უზენაესი უფლება და შეუწყო ხელი ეროვნული პიროვნების გაღმერთებას...“ (აბულაძე).

2. 1931 წლის მიწურულში აი რას სწერს პროფ. კეკელიძე: „ქვეყნის ნივთიერ დოვლათიანობას ხელს უწყობდა, პირველ ყოვლისა ინტენსიური (მაშინდელი მასშტაბით) მეურნეობის განვითარება, რომელსაც ფრთებს ასხამდა სახელი ეთეროვანი თამარისა... (ხაზი ავტორისაა.—ა. ა.).

ეტიუდში „ვეფხის-ტყაოსანის სოციალური გარემო“ ავტორი პოემიდან ამოკრეფილ სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე იძლევა პოემის სოციალური სტრუქტურის ნახაზს და ამით ნაწილობრივ ასრულებს იმ მითითებას, რომელიც მოიპოება ფილიპე მახარაძის ადრინდელ შრომაში, სადაც დასმულია ამოცანა „ვეფხის-ტყაოსანის საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესწავლის შესახებ. მაგრამ სავსებით გულუბრყვილოდ გვეჩვენება ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „რუსთველისტთა მრავალრიცხოვანმა ფალანგამ დაუმსახურებლად დაივიწყა ერთი მკვლევარი (ე. ი. ფ. მახარაძეო.—ა. ა.). რომელმაც ჯერ კიდევ 1896 წ. სამართლიანად განაცხადა... ზემოთმოყვანილი მიმართულებით „ვ.—ტყაოსნის“ გამოკვლევის საჭიროებაო: ცხადია, რომ „რუსთველისტთა ფალანგის გულმავიწყობა ამ შემთხვევაში არაა შემთხვევითი, მისი მიზეზი გახლავთ იგივე, რაც საერთოდ სთიშავდა ნაციონალისტურ—ბურჟუაზიულ ლიტერატურისმცოდნეობას მარქსისტულისაგან—ეს არის ლიტერატურული პარტიულობა. თუ პროფ. კეკელიძეს დღესაც „ეთეროვანი თამარის სახელი“ მეურნეობის ერთ-ერთ ეკონომიურ სტიმულად ეჩვენება, რა უნდა ყოფილიყო 90-იან წლების თავადაზნაურული აპოლოგია პოემისა!

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუმცა ნარკვევები ნაწილობრივ არღვევენ ქართულ ტრადიციულ რეაქციონურ ფილოლოგიის სქოლასტიკას და სოციოლოგიურ ლიტერატურის მცოდნეობის გზას მისდევენ, მათი ეპიზოდიური, ვიწრო სპეციალური ხასიათი და საერთო გელერტერულ—მეცნიერული დონე არ იძლევიან საკმარისს საბაბს მათი სამასო კრებულის სახით გამოცემისა და უმაღლეს სკოლის დამხმარე წიგნად გამოცხადებისათვის. მასიურ წიგნად ასეთი ნარკვევების გამოცემის გაგრძელება სათანადო სამსახურს ვერ გაუწევს მკითხველს შორეული ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად მიღების საქმეში, ამ მიზნისთვის საჭიროა ცალკეულ მკვლევართა ღონისძიების კოოპერაცია და რაც, მთავარია, იდეური გაშუქების ხარისხის და მონაცემი მასალის მთლიანობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აბესალომ და ეთერი“ მოსკოვის დიდ თეატრში

მოსკოვის დიდი თეატრი მიმდინარე სეზონში აპირებს „აბესალომ და ეთერის“ დადგმას.

—

ხელოვნებათმცოდნეობის ახალი ცენტრი მოსკოვში

რუსეთის სახალხო განათლების კოლეგიამ „ბუბნოვმა ხელოვნებისა და ლიტერატურათ მცოდნეობის დარგის მუშაკთა ერთი ჯგუფისგან მიიღო წერილი თხოვნით, რომ დაარსებული იქნეს მოსკოვში ხელოვნებათმცოდნეობის სრულიად რუსეთის ცენტრი—ხელოვნებათმცოდნეობის აკადემია. წერილს ხელი მოაწერეს: სახ. არტ. კაჩალოვმა, რეჟ. პუდოვკინმა, აკადემიკოსებმა როზანოვმა და ჟელტოვსკიმ და სხვ.

ეცნიერებათა სექტორთან მოწვეულმა სპეციალურმა თათბირმა საჭიროთ სცნო მოსკოვში ხელოვნებათ-მეტყველების ინსტიტუტისა და საშეცნიერო-ხელოვნებათმცოდნეობის საზოგადოების დაარსება. ინსტიტუტისა და საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად თათბირმა გა ოჭყო კომისია, სადაც შევიდენ: ლ. აქსელროდი, ბროდსკი, სოკოლოვი, ვერესაევი, ეფრემინი, ერმილოვი, ნუსინოვი, ლებედევ-პოლიანსკი და სხვ.

—

კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავი

რუსეთის მხატვრულ ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა კარლ მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის შესრულების აღსანიშნავად სცემს ესტეტიკის საკითხებზე კარლ მარქსის შეხედულებათა დიდ მონოგრაფიას; ამ მონოგრაფიას ადგენენ კომაკადემიის თანამშრომლები.

—

„საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“

მომავალი წლიდან მოსკოვის გამომც. „ფედერაციაში“ გამოსვლას დაიწყებს კრიტიკული ლიტერატურის სპეციალური სერია.

პირველ რიგში გამოცემული იქნება „საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“ 2 ტომად. ისტორიაში მოთავსებული იქნება მთელი რიგი მონოგრაფიებისა, აგრეთვე დახასიათება შემოქმედებითი მიმდინარეობათა, ჯგუფებისა და პრობლემების, რომელიც წამოჭრილია ამ ჟამად თანამედროვე ლიტერატურაში.

ისტრიაში გამოქვეყნდება აგრეთვე მანიფესტები და დეკლარაციები იმ ლიტერატურულ გაერთიანებათა, რომელთაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უმუშავნიათ.

პირველ ტომზე უკვე მუშაობს ოცდაათი მწერალი და კრიტიკოსი.

—

„შვიდი რესპუბლიკა“

მოსკოვის „ფედერაცია“ სცემს სალიტერატურო ალმანახს „შვიდი რესპუბლიკა“. ალმანახში შევა მოთხრობები, ნარკვევები და სხვ. ყირგიზეთის, ტაჯიკისტანის, დაღესტანის, უკრაინის და სხვა კულტურულ-პოლიტიკური ზრდა განვითარების შესახებ.

„ლომონოსოვის შრომა და დღეები“

ამ სათაურით რუსეთის სახელგამი სცემს გ. შტორმის წიგნს. მაქსიმ გორკი ამ წიგნის შესახებ სახელგამს სწერდა: „ჩემის აზრით ამ ნაწარმოების აღმზრდელობითი მნიშვნელობა მრავალმხრივია. მისი გამოცემა სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

„შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“

ამ სერიის რედაქციის მიერ, რომელსაც სცემს მ. გორკი, უკვე მიღებულია ხელნაწერები პირველი წიგნებისა: ი. გრამარის „რეპინი“, კ. ბოლშაკოვის—„ლერმონტოვი“, ა. ვინოგრადოვის—„ბაირონი“, ა. დეიჩის „ჰაინე“ და ლ. გუმილევსკის „დიზელი“. წიგნები 1933 წელს გამოიცემა.

—

„ტრედიაკოვსკის გალერეია“

რუსეთის განსახკომმა დაამუშავა საკითხი ტრედიაკოვსკის გალერეისათვის ახალი შენობის აგების საკითხი: შენობის ღირებულება უდრის 10 მილიონ მანეთს. აშენების ვადა—3 წელიწადი. ახალი შენების საკონკურსო პროექტების პრემიებისათვის გადადებულია 100 ათასი მანეთი.

—

მაიაკოვსკის თხზულებათა მე-10 ტომი

უახლოეს ხანში გამოვა მაიაკოვსკის თხზულებათა კრებულის მეათე, უკანასკნელი ტომი.

აღმოსავლურ ენათა ლექსიკონები

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის მცოდნეობის ინსტიტუტი შეუდგა პრაქტიკულ, მაგრამ მეცნიერულად შედგენილ ლექსიკონების შედგენას. ამჟამად სწარმოებს მუშაობა შემდეგ ლექსიკონებზე: ჩინურ-რუსული, იაპონურ-რუსული, მონგოლურ-რუსული, ტაჯიკურ-რუსული, ოსურ-რუსულ-გერმანული, აფხაზურ-რუსული.

ტოლსტოის მუზეუმის რეორგანიზაცია

სახელმწიფო ტოლსტოის მუზეუმი მოსკოვში ამჟამად აწარმოებს სამზადისს, რათა მოახდინოს დარბაზების სრული რეექსპოზიცია ტოლსტოის მხატვრულ-ფილოსოფიური შემოქმედების მარქსისტულ—ლენინური ანალიზის საფუძველზე. მუზეუმს განზრახული აქვს ქრონოლოგიურად და თანმიმდევრობითი წესით წარმოადგინოს ტოლსტოის შემოქმედების ევოლუცია რუსეთის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ევოლიუციასთან დაკავშირებით.

მთელი აქსპოზიცია 4 ძირითად ნაწილისგან შესდგება: „40 და 50-იანი წლები“—პერიოდი, როდესაც დაწერილი იქნა „ბავშობა, ყრმობა, ჭაბუკობა“, „კაზაკები“, „სევასტოპოლის მოთხრობები“, „ძემამულის დილა“. ეს განყოფილება უკვე მზადაა. „60—70-იანი წლები“: პერიოდი ტოლსტოის მხატვრული შემოქმედების გაფურჩქვნისა („ომი და ზავი“, „ანნა კარენინა“) და მწერლის გატაცებისა პედაგოგიური მოღვაწეობით. ცალკე განყოფილებად იქნება წარმოდგენილი თემა „ტოლსტოი და ჩერნიშევსკი“.

მესამე განყოფილებაა—„80—90-იანი წლები“. იგი გვიჩვენებს გარდატეხას ტოლსტოის იდეოლოგიაში: თავადაზნაურულ-ფეოდალურ მსოფლმხედველობიდან რევოლიუციონური გლეხობის მსოფლმხედველობაზე გადასვლას („აღდგომა“, „განათლების ნაყოფი“, „მეუფება წყვდიადისა“, „კრეიცერის სონატა“ და სხვ.)

უკანასკნელი პერიოდია—რევოლიუციის წინ (1905 წლის რევოლიუცია და თანმიმდევნო რეაქცია) აქ მოცემული იქნება სხვადასხვა თემები. „ტოლსტოი და მუშათა საკითხი“, „ტოლსტოი და გლეხური რევოლიუცია“, ტოლსტოი და ს.—დ.“, „ტოლსტოი და რუსეთის რევოლიციის განვითარების ორი გზა“ და სხვ.

მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ადგენს ტოლსტოის ამომწურავ ბიბლიოგრაფიას რუსულ ენაზე.

ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის პოლიტრედაქცია

„ფაბრიკა ქარხნების ისტორიის“ მთავარი რედაქციის სხდომაზე, რომელიც მ. გორკის თავჯდომარეობით შესდგა, განხილული იქნა „ისტორიაზე“ შემდეგ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. შერჩეულ იქნა განსაკუთრებული პოლიტრედაქცია, რომელიც საბოლოოდ განიხილავს დასაბეჭდად განზრახულ წიგნებს „ქარხნების ისტორიის“ სერიიდან. პოლიტრედაქციის შემადგენლობაში შედიან მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი, ლ. კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი, ა. პ ო ს ტ ი შ ე ვ ი ა. ს ტ ე ც კ ი, ა. ე ნ უ ქ ი ძ ე.

მუშათა მოძრაობის და მრეწველობის ისტორიის საკითხებში საქარხნო რედკოლეგიების სწორი ბოლშევიკური ორიენტაციისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი გამოიცეს კრებული ლენინისა და სტალინის შეხედულებებისა ამ საკითხებზე.

—

„ქარხნების ისტორიის“ მთავარი რედაქციის სამდივნოსთან მოსკოვში შექმნილია რედსაბჭო, მის მოვალეობას შეადგენს ადგილობრივ რედკოლეგიათა პროგრამებისა და აგრეთვე შემოსულ ხელნაწერთა კითხვა და რეცენზიების მიცემა.

—

მოსკოვში იბეჭდება წიგნებისა და ბროშურების ბიბლიოგრაფიული. საძიებელი იგი შეიცავს როგორც ქარხნების ისტორიას აგრეთვე მუშათა მოძრაობის ცალკე მხარეებს და აგრეთვე 1400 სახელწოდებას მე-XIX ს. დასაწყისიდან მოკიდებული 1931 წლამდე. საძიებელს დართული აქვს ანბანზე დალაგებული სია მოხსენებულ ნაწარმოებისა.

—

მზადდება მაჩვენებელი წერილებისა საბჭოთა ჟურნალებში, ისტორიულ-რევოლუციონურ კრებულების და მემუარების, აგრეთვე არალეგარული ბოლშევიკური ლიტერატურისა. დაიწყო საბიბლიოგრაფიო დამუშავება ბურჟუაზიული გაზეთებისა 1902 წლიდან 1917 წლამდე.

—

„ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ პასუხ. მგებელი რედაქტორები

„ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ მთავარი რედაქციის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე მოსკოვში გამოყოფილი იქნენ რედაქტორები ქვემოდჩამოთვლილ საწარმოთა ისტორიისა:

გორლოვის მაღაროთა რაიონი — ა. კოსარევი, ბაქოს სარეწაოები — ა. ენუქიძე

ზლატოუსტის ქარხანა — ამხ. სულიმოვი

დნეპროჰესი — პოპოვი.

ქარხანა „წითელი პროლეტარი“ — ამხ. ციხონი.

კოლომენსკის ქარხანა — ი. გრონსკი

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა — ამხ. მეხლის.

—

ათი წელი ველიმირ ხლებნიკოვის გარდაცვალებიდან

მიმდინარე წელს შესრულდა ათი წელიწადი გამოჩენილი რუსი პოეტის ველიმირ ხლებნიკოვის გარდაცვალებიდან. ხლებნიკოვი მეთაური იყო ფუტურისტული მოძრაობისა რუსულ ლიტერატურაში. მისი უახლოესი ლიტერატურული მეგობრები იყვნენ: ვ. კამენსკი, დ. და ნ. ბურლუკები, მ. მატუშინი, გ. პეტნიკოვი, და დ. პეტროვსკი და სხვ. რუსული ფუტურიზმი ხლებნიკოვს სთვლიდა თავის უდიდეს წარმომადგენლად. მაგრამ მასიური მკითხველი ძალიან ნაკლებად იცნობდა ხლებნიკოვს. სიცოცხლეში მას აფასებდა მხოლოდ მკითხველთა ვიწრო წრე და ლიტერატურულ მოძრაობასთან ახლო მდგომი ხალხი.

ხლებნიკოვი ხელახლა იქნა „აღმოჩენილი“ მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, განსაკუთრებით მისი თხზულებათა კრებულის გამოცემის მერე.

ხლებნიკოვის, როგორც პოეტის და ოსტატის შესწავლის საქმეში მარქსისტულ კრიტიკასა და ლიტერატურის მეცნიერებას ჯერ კიდევ თითქმის არაფერი გაუკეთებია.

ხლებნიკოვი შეიძლება ითქვას უსახელო ბელადი იყო რუსული ფუტურიზმისა. მისი მოწაფე და ბევრით მისგან ვალდებული ვლადიმირ მაიაკოვსკი, უკვე ფუტურისტული მოძრაობის პირველსავე წლებში, გაცილებით პოპულიარული იყო თავის მასწავლებელზე.

საგულისხმოა ხლებოკოვის ადგილი და მნიშვნელობა რუსული პოეზიის ისტორიაში.

რუსული ფუტურიზმი წარმოიშვა როგორც ლიტერატურული რევოლუციონერ-სიმბოლიზმისა და აკმეიზმის წინააღმდეგ. იგი ცალკე შკოლის სახით 1912-13 წლებში ჩამოყალიბდა. ფუტურისტების „ჯვანყებას“ სოციალურ საფუძვლად ედო წვრილბურჟუაზიული, ნაწილობრივ დეკლასიური ინტელიგენციის ანარქისტული ბუნტარობა.

ხლებნიკოვის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუტურისტული პოეზის განვითარებაში. ხლებიკოვმა ბევრი გააკეთა ფუტურისტული „სიტყვაქმედობის“ და „ზაუმის“ ხაზით. მან გამოიგონა უამრავი ახალი სიტყვა (კერძოთ იგი ცდილობდა უცხო სიტყვები შეეცვალა რუსულით). მაგრამ ხლებნიკოვის შემოქმედება მარტო სიტყვიერი ექსპერიმენტალობა. როდი იყო. „თავისთავად“ სიტყვას გახსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებდა პირველი ხანების ფუტურისტული პოეზია: ეს იყო უძლიერესი იარაღი სიმბოლისტების პოეტიკის დასანგრევად, საშუალება სიტყვისათვის მისი „ულერის“ დაბრუნებისა, საშუალება სიტყვის სტიქიონის გამოცოცხლებისა.

ხლებნიკოვს მხედველობაში ჰქონდა მიღებული არა მარტო „უცნობი“, „ზაუმური“ სიტყვების ემოციური ზეგავლენა, არამედ იგი ცდილობდა ახალი პოეტური მნიშვნელობის შექმნას ახალი ენობრივი საშუალებით.

ხლებნიკოვი ამ მიზნით ხშირად აცოცხლებდა სლავიანურ და ძველ-რუსულ სიტყვებსაც.

ხლებნიკოვი ცდილობდა შეექმნა ახალი ეპოსი. მსგავსი კალევალასი, ბილინების, გაიავატას სიმღერისა. ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელიც ეპიურად იქნა ხლებნიკოვის მიერ მიღებული, უაღრესად გააფართოვა და გააღრმავა მისი შემოქმედების არე. მისი მთავარი და ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაწერები დაწერილია ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ და რევოლიუციის თემაზე: „ლადომირი“, „ღამე სანგარში“, „ღამე საბჭოების წინ“ ამ ნაწარმოებებში ხლებნიკოვი არა მარტო „გასაგებია“, არამედ იგი აღწევს განსაცვიფრებელ სისადავეს, რომელშიდაც იმალება შემოქმედებითი მუშაობის უაღრესად რთული პროცესი.

მწერალთა კლუბის მუშაობა.

ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლეში გასული წლის იანვარს გაიხსნა მწერალთა კლუბი, რომელიც სისტემატიურად მართავს საღამოებს, მოხსენებებს და დისკუსიებს. ამ საღამოებში ფართედ არის ჩაბმული მწერალთა აქტივი და გარეშე სამეცნიერო ძალები.

მწერალთა კლუბში 1931—32 წლის განმავლობაში (დღემდე) გაიმართა შემდეგი მოხსენებები (მოგვყავს იმ მოხსენება-საღამოთა სიაც, რომელიც წინ უსწრებდა კლუბის გახსნას):

1931 წ.

1) ოქტომბრის 14 წლის თავის აღსანიშნავი საღამო (8 ნოემბერს).

2) კონსტ. ჭიჭინაძის მოხსენება: „ვეფხის ტყაოსნის ნამდვილი დაბოლოების აღდგენისათვის“ (11 ნოემბერს).

3) აკ. გაწერელიას მოხს. „ვეფხის ტყაოსნის პოეტიკა“ (დეკემბერს)

4) მიხ. ჯავახიშვილის მოხს. „ქართული ენა“ (11 დეკემბერს).

5) ლოკაფის საღამო (27 დეკენბერს).

1932 წ.

6) დ. კარბელაშვილის მოხს. „მატერიალისტური ენათმეცნიერება (იაფეტოდოლოგია) და მისი თანამედროვე მდგომარეობა“ (21 იანვარს).

7) ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო (25 იანვარს)

8) „თანაგზავრობა და მოკავშირეობა“ (1—5 თებ. დისკუსია).

9) პ. ჭიკოძის მოხს. „დრამატურგიის მემოქმედებითი საკითხები“ (27 თებერვალს).

10) კ. გამსახურდიას მოხს. „სალიტერატურო ქართული“ (28 თებ.—1 მარტს)

11) საქ. საბჭ. ხელისუფლების 11 წლის თავის აღს. საღამო (26 თებერვ.)

12) სახელგამის მოხს. (27 თებერვ.)
13) „პოეზიის საწარმოო თათბირი“ (29 თებერ.).
14) ი. ვ. გოეტეს გარდაცვალებიდან 100 წ. თავის აღსანიშნავი საღამო (29 მარტს).
15) პროზის საწარმოო თათბირი (5,11.14, 15, 19 აპრ.).
16) დ. კლდიაშვილის საღამო (25 აპრ.).
17) საქართველოს კინო-მუშაკთა თათბირი (22 აგვ.).
18) „გიორგი სააკაძე“—ა. ანტონოვსკაიას რომანის საჯარო წაკითხვა (19 სექტ.).
19) მ. გორკის მოღ. 40 წ. აღსან. საღ. (სექტემბერს)
20) დიმ. ბენაშვილის მოხს. „პირველი ხუთწლედი და ქართული მწერლობა“ (3 ოქტ.)
21) კოლმეურნეთა და მწერალთა შეხვედრა (19 ოქტ.).
22) პანტ. ჩხიკვაძის რომანის „რომანტიული ამბავი“-ს საჯარო კითხვა (14 ოქტ.).
23) გ. ნატროშვილის მოხს. შემოქმედებითი მეთოდის შესახებ (ოქტ.).
24) ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავის აღს. საღამო (13 ნოემბერს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალში განხორციელდება მთელი რიგი საღამოების მოწყობა ცალკეულ მწერლებზე და ნაწარმოებებზე. მოწვეული იქნებიან გარეშე სამეცნიერო ძალები ლექციების ციკლის წასაკითხავად დიალექტიკური მატერიალიზმის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის და ლინგვისტიკის საკითხებზე.

სალიტერატურო წრეები

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმისა და პროფ. კავშირის კულტსექტორის შეთანხმებით მუშათა კლუბებთან ჩამოყალიბდა სალიტერატურო წრეები.

წრეების ხელმძღვანელებად გამოყოფილია მწერალთა კავშირის წევრები უმაღლესი განათლებით. მეცადინეობა უკვე დაიწყო.

სალიტერატურო წრეების მუშაობის ამოცანებს შეადგენს: მუშათა ფენებიდან მწერლების აღზრდა და დაწინაურება, სალიტერატურო საკითხების დამუშავება, როგორც წრის, ისე კლუბის მასშტაბით (გასამართლებები, მოხსენებები სხვადასხვა თემებზე და სხ.). ახალი კვალიფიციური ძალების მომზადება კულტმუშაობისათვის, მუშათა ნაწარმოებების კითხვა და შემოქმედებითი ხასიათის კონკრეტული მითითებების გაკეთება, თანამედროვე ლიტერატურული პრობლემების გარკვევა. ლექციები ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის ისტორიიდან, ლიტერატურული ჟანრების სპეციფიური ნერხების ახსნა-განმარტებები. გასამართლებების მოწყობა და სხვა.

წრეები უკვე შეუდგენ მეცადინეობას. მოგვყავს დღემდე ჩამოყალიბებული წრეების სია:

1) სტალინის სახ. ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხანა — ხელმძღ. დ ე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა
2) პლეხანოვის სახ. კლუბთან არის. სალიტერატურო წრე. ხელმძღ. გრ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე.
3) სტალინის სახ. კლუბთან არს. სალიტ. წრე. ხელმძღ. აკ. გ ა წ ე რ ე ლ ი ა.
4) ტრამვაის სახ. კლუბთან არს. სალიტ. წრე. ხელმძღ. პ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე.
5. კამოს სახ. საქარხნო საფაბრიკო სკოლასთან არს. სალიტ. წრე. ხელმძღ. ალ. გ ო მ ი ა შ ვ ი ლ ი.
6. ტყავტრესტის კლუბთან არს. სალიტ. წრე,—ხელმძღვ. გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი.

პარალელურ. ჩამოყალიბებულია რუსული და სომხური წრეები. მათ ხელმძღვანელებად გამოყოფილია წევრები საქ. საბჭ. მწერლების კავშირის რუსული და სომხური სექციებიდან. წრეების ხელმძღვანელთ ეძლევათ თვიური ხელფასი.

მ. ა. ვოლოშინი

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ყირიმში გარდაიცვალა რუსი პოეტი სიმბოლისტი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ვოლოშინი (სრული გვარით—კირიენკო-ვოლოშინი).

მ. ვოლოშინი დაიბადა 1877 წლის 16 მაისს ქ. კიევში, აზნაური ინტელიგენტის ოჯახში. ამის მხრით ყაზახების მოდგმისა იყო. დედა—გერმანელი ჰყავდა. დაამთავრა ფეოდოსიის გიმნაზია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტად. იმავე

წელს მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა მოძრაობაში, რის გამოც გადააგზავნეს უკანვე ფეოდოსიაში.

1899 წელს იმგზავრა ევროპაში. რუსეთში დაბრუნებისას აუკრძალეს პეტერბურგსა და მოსკოვში დარჩენა. გადააგზავნეს თურქესტანში. თურქესტანიდან მ. ვოლოშინი ჩავიდა პარიზში, სადაც საკმაო ხანს დაჰყოფს. ეცნობა ფრანგულ პოეზიას. სწავლობს ისტორიას, ფილოსოფიას... ისევ მოგზაურობს ევროპის სახელმწიფოებში. ეწევა მხატვრობას.

მ. ვოლოშინი სალიტერატურო ასპარეზზედ პირველად გამოდის კრიტიკული წერილებით. 1900 წელს ჟურნალ „რუსსკაია მისლ"-ში ბეჭდავს კ. ბალმონტის მიერ თარგმნილ ჰაუპტმანის დრამებზე კრიტიკულ სტატიას, რომელშიაც მკაცრად ეპყრობა „ახალ პოეზიას" თუმცა ჩქარა უახლოვდება რუსულ სიმბოლისტურ სკოლას (კ. ბალმონტთან პირადი დაახლოვების ნიადაგზე.) სიმბოლისტების ორგანოებში („ნოვი პუტ", „ზოლოტოე რუნო", „ვესი" და სხ.) მ. ვოლოშინი ათავსებს თავის სურათებს, ლექსებს და კრიტიკულ სტატიებს ლიტერატურული საკითხების გარშემო. ახლო თანამშრომლობას ეწევა აკმეისტების ორგანო „აპოლონ"-ში და სხ. 1909 წლიდან ჟ. „აპოლონში" იბეჭდემა მისი საინტერესო წერილები მხატვრობაზე, რომელშიაც იგი კუბისტების დამცველად გამოდის.

1913 წელს ვოლოშინი ისევ მიდის პარიზსს, საიდანაც ის რუსეთში მცირე ხნით ბრუნდება და თებერვლის რევოლიუციის დაწყებამდე მიენგზავრება ყირიმს, სახლდება ლამაზ ადგილას—კოკტებელში და რჩება იქ გარდაცვალებამდე.

მაქსიმილიან ვოლოშინი უკიდურესი სუბიექტივისტი და ინტელექტუალისტი იყო. მის ლირიკაში ყურადღებას იქცევს პოეტის ღრმა განათლება და ბუნების ფერადებზე შეყვარებულ ადამიანის დიდი ოსტატობა გამოთქმის სფეროში. მ. ვოლოშინის „სახეები გრანდიოზული და მომხიბვლელია თავისი ამსახველობის სიძლიერით. პოეტი სამუდამოდ შეყვარებული დარჩა წიგნთსაცავებს» და მუზეუმებზე, საიდანაც ის იღებდა გარდასულ დროთა რომანტიკას, შეფერადებულს მოდერნული საღებავებით.

პოეზიაში ვოლოშინი ფრანგული პარნასის ერთგულ მიმდევრად დარჩა, ხოლო მხატვრობაში—იმპრესიონისტული სკოლის ანგარიშგასაწევ ფიგურად. პარიზულმა მხატვრობის სკოლამ შესძინა მის სურათებს ფერადების მაღალი კულტურა.

მაგრამ მ. ვოლოშინის უშუალო სფერო მაინც პოეზია იყო. მისი ლირიკა მკითხველს ხიბლავს ავტორის ვრცელი ერუდიციით, ისტორიის შესანიშნავი ცოდნით, საერთოდ—ვრცელი ინტელექტუალური დიაპაზონით, რომელიც ასე ახასიათებს მის ლირიკას. ბუნება ვოლოშინის ლექსებში დანახულია მითოლოგიის პრიზმიდან. ელინიზმი, ინდური მისტიკა, თეოსოფია და ფრანგული ოკულტიზმი წარმოადგენენ ვოლოშინის შემოქმედების ლეიტმოტივს. („ლექსები" „1910., Anno mundi ardentis 1916)"; როგორც ფრანგული სკოლის წარმომადგენელი ე. მ. ვოლოშინი თავისი პასივობით, გარემოსადმი სკეპტიკური განწყობილებით უახლოეს კავშირშია ვილიე დე ლილ ადანთან, ბარბე დე-ორვილთან, პარნასელებთან. ამ მწერლების გარდა მას ხიბლავდა თანამედროვე ფრანგი პოეტის, პოლ კლოდელის ეგზოტიკა.

მ. ვოლოშინი მტრულად იყო განწყობილი ინდუსტრიული ქალაქების, ფაბრიკებისა და ქარხნების კვამლის მიმართ. სევდის და მოწყენის სევადი თავიდან ბოლომდე შესამჩნევ ხოლად გასდევს ვოლოშინის იშვიათი სტილიური ოსტატობით დაწერილ ლექსებს.

მ. ვოლოშინის პოზიცია რუსეთის რევოლუციებისადმი (1905,1917) ნეიტრალური იყო. 1905 წლის ამბებს ის მეტად პირქუში ტონით გამოეხმაურა (ლექსი „Ангел мщеня"). მისი პროტესტი უკმაყოფილების გამოთქმას უფრო მიაგავდა, ვიდრე ენერგიულად გამოთქმულ გულისწყრომას, მას მეტად რეაქციური პარალელები გაჰყავდა ოქტომბრის რევოლუციასა და ავაკუმის, სტენკა რაზინის და მოსკოვის მრისხანე მეფეთა დიქტატურას შორის. დოსტოევსკისა და ტიუტჩევის მსოფლმხედველობამ, სტეფან ვერხოვენსკის ლიტერატურულმა ნიღაბმა (დოსტოევსკის რომანიდან „Бесы") მ. ვოლოშინის პოლიტიკური შეგნების შემუშავებისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ლექსი „ბრესტის ზავი" რევოლუციისადმი მტრული განწყობილებით არის დაწერილი. მიუხედავად ამისა, რევოლუციამ მაინც მოახდინა საგრძნობი ძვრები მ. ვოლოშინის შემოქმედებასა და პაროვნებაში. ის არ გაჰყოლია ემიგრაციას, რეაქციის პოეტმა თა-

ვის ცხოვრებას არ მისცა მისთვის შესაფერი დასასრული. არამედ არჩია საბჭოთა კავშირში დარჩენა,—თუმცა შემოიფარგლა სკეპტიციზმითა და ნეიტრალობით.

მ. ვოლოშინმა ჩუმად გაატარა თავისი სიცოცხლე ყირიმში და ადგილი, სადაც ის ცხოვრობდა—კოკტებელი—აქცია თავისი ლირიკის თემად. ვოლოშინმა ფანტასტიურ ფერებით დახატა ეს მხარე. ინტელიგენტი-ინდივიდუალისტი, მოწყვეტილი მტკიცე სოციალურ ნიადაგს, განმარტოებით უხიარებდა ბუნებას თავის სევდას:

О, мать—невольница! На грудь твоей пустыни,
Склоняюсь я в полночной тишине...
И горький дым костра, и горький дух полыни
И гореч волн—останутся во мне."

თავისი სახლი კოკტებელში—მდიდარი ბიბლიოთეკით და ესთეტიურად მორთული ბინებით, მ. ვოლოშინმა დაუტოვა რუსეთის საბჭ. მწერლების კავშირს.

ჰერგარდ ჰაუპტმანი

ბურჟუაზიული გერმანია ზეიმობს ცნობილი მწერლის ჰერგარდ ჰაუპტმანის დაბადებიდან სამოცდაათი წლის შესრულების თავს. საიუბილეო წერილების ავტორები ჰაუპტმანს ადარებენ შილერს, გოეტეს და სხვა უდიდეს სახელებს. ჰაუპტმანს გამოუჩნდა თავის ეკერმანი, რომელმაც გამოსცა წიგნი „საუბრები ჰაუპტმანთან."

ბურჟუაზიულ გერმანიას გააჩნია საფუძველი, რათა ჰაუპტმანი თავისად დასახოს. გარკვეული კლასიური მიდრეკილებით ჰაუპტმანი თავისი შემოქმედების დასაწყისიდან დღევანდლამდე წარმოადგენს გერმანიის წვრილბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველს.

მრუდე დალმართი, რომელიც გაიარა ჰაუპტმანმა, სავსებით კანონზომიერი და თანმიმდევარი გზაა. ეს მრუდე დალმართი გერმანიის ბურჟუაზიის იმ ფენის გზაა, რომელსაც პირნათლად ემსახურებოდა და ემსახურება თავისი შემოქმედებით ჰერგარდ ჰაუპტმანი.

ჰაუპტმანი დაიბადა 1862 წელს სილეზიის სოფელში. მომავალი მწერალი ახალგაზრდობაშივე იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს დარვინიზმისადმი, მემკვიდრეობის პრობლემებისა და მეცნიერულ დისციპლინებისადმი. ის ეცნობა კარლ მარქსის მოძღვრებას და მრავალჯერ გამოუთქვამს თაყვანისცემა მეცნიერული სოციალიზმის შამამთავრისადმი.

მაგრამ ჰაუპტმანი სოციალისტი არ გამხდარა. მუშათა მოძრაობა დაინტერესებს მას, მაგრამ არ ითრევს თავის რიგებში, როგორც აქტიურ მებრძოლს. ყველაზე უფრო სოციალური ხასიათის დრამა მისი პიესებიდან, „ფეიქრები", გვიხატავს სილეზიის ფეიქართა ამბოხებას 1844 წ. მაგრამ ჰაუპტმანი ვერ ხედავს ფეიქრების მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს კლასიურ ბრძოლაში. უიმედო ამბოხების ასახვით ის თითქოს აღნიშნავს ამ ბრძოლების უსარგებლობას. და როცა პრუსიის მთავრობამ აკრძალა პიესის დადგმა და გააძლიერა მეთვალყურეობა მის ავტორზე—ჰაუპტმანი აჩქარდა განეცხადებინა, რომ ის თავის იდეებს ატარებს არა როგორც „პარტიის მომხრე", არამედ როგორც ადამიანი, მოცული ქრისტიანული და საკაცობრიო გრძნობით.

ჰაუპტმანმა თავისი დრამატურგიული მოღვაწეობა დაიწყო პიესით „მზის ამოსვლის წინ", რომელიც ნატურალისტური დრამის პირველ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. თავის პირველს თხზულებებში მან ასახა მსხვილი ბურჟუაზიის ეგოიზმი და ზნეობრივი დაქვეითება, აგრეთვე დარღვეული სოციალური გარემო, რომელსაც აშუქებდა რადიკალურ დემოკრატიული თვალთახედვით.

გვიან ჰ. ჰაუპტმანს იტაცებს პიროვნებასა და კოლექტივს შორის ბრძოლის პრობლემა და ამას სჭრის გამოჩენილი პიროვნების სასერგებლოდ. პიროვნებას ის უპირისპირებს მეშჩანურ ფენებს.

მაგრამ შემოქმედებითი ხერხებისაგან დამოუკიდებლად ჰაუპტმანის ნატურალისტური და სიმბოლისტური დრამები ინარჩუნებენ მთლიანობას თავიანთი იდეოლოგიური ბუნების მხრით-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი—ჰაუპტმანი ამყარებს ხელოვნურ საგნების მატერიალისტურ გაგებასა და რომანტიულ სიმბოლიკას შორის.

არაა გასაკვირი, რომ როცა იმპერიალისტურმა ომმა იფეთქა, ჰაუპტმანი აღმოჩნდა შოვინისტების ბანაკში. ეს უკანასკნელი კი გერმანიის რკინის მუშტის შემძლებლობას ადიდებდა. არაა გასაკვირი ისიც, რომ როცა მსხვილმა ბურჟუაზიამ თანდათან იცნო ჰაუპტმანი თავის მწერლად, ეს უკანასკნელი უფრო მეტად მიეცა ლიმშვიდესა და უმოქმედობას, შეურიგდა კაპიტალიზმის ბატონობას.

ამჟამად მიმდინარე კლასიური ბრძოლების მნიშვნელობა სცილდება ჰაუპტმანის შეგნების ფარგლებს და აყენებს მას საბჭოთა კავშირის და მუშათა დიქტატურის მიმართ აშკარა მტრულ პოზიციაზე.

„მნათობის“ № 8—9-ის შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული მწერლობა.

		გვერდ-
1.	პ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები (გაგრძელება).	3
2.	ვ. გაფრინდაშვილი—რევოლუციის წარსულიდან (ლექსი)	34
3.	ტიციან ტაბიძე—ლექსები.	35
4.	როდიონ ძოწენიძე—გრიგალი (დასასრული)	38
5.	გ. კაჭახიძე—ჭალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა (ლექსი).	69
6.	გ. ძუჩიშვილი—ხალხურ კილოზე (ლექსი)	73
7.	კ. გამსახურდია—გოეტეს ცხოვრების რომანი (გაგრძელება).	74
8.	ვარლამ რუხაძე—საბჭოთა სახლი (ლექსი)	89
9.	გ. შატბერაშვილი—ღამე ყაზბეგში	90
10.	დ. სულიაშვილი—კედელი (დასასრული).	92

მ. გორკის 40 წლის იუბილე.

1. მ. გორკის ცხოვრება და შემოქმედება—(თარიღები) 135

მწერლები მაქსიმ გორკის შესახებ (**რ. კალაძე, ლეო ქიაჩელი, დავ. სულიაშვილი, ვარლამ რუხაძე, ბ. ჩხეიძე, მ. ჩიქოვანი**) 149

2. ა. სტეცკი—მ. გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წელი. 158

3. ნ. ბუხარინი—ახალი კაცობრიობა 169

მემუარები და დოკუმენტები

1. სიმონ ხუნდაძე—სერგეი მესხის კერძო წერილები 177

2. ბ. ბიბინეიშვილი—კამო 215

კაპიტალისტურ დასავლეთში

1. ა. ერქომაიშვილი—მსოფლიო კრიზისი და სოციალ-ფაშიზმი თანამედროვე ეტაპზე 231

ბიბლიოგრაფია

ალი არსენიშვილი—ალ. ბარამიძის „ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტორიიდან“ 246

კულტურის მატიანე. . . 247

შეცდომის გასწორება:

ნ. ბუხარინის წერილში „ახალი კაცობრიობა“ [illegible] ადგილზე სტრიქონში სწერია „პრიმიტივი მხატვრის პოლონელ კორინისა“, უნდა იყოს „პალეული მხატვრის კორინისა“.

ბიბლიოთეკა